გია მურღულია
გიორგი ალიბეგაშვილი
ვასილ მაღლაფერიძე

საუბრები ძველ ქართულ ლიტერატურაზე

დამხმარე სახელმძღვანელო



გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

რედაქტორები: რევაზ თვარაძე
რევაზ სირაძე

დამკაბადონებელი: ლია მოსეშვილი

© გია მურღულია, გიორგი ალიბეგაშვილი, ვასილ მაღლაფერიძე
© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2019

ISBN 978-9941-16-075-2

ეძღვნება ჩვენი მასწავლებლების –
რევაზ თვარაძისა და რევაზ სირაძის ხსოვნას.

მესამე გამოცემის წინათქმა

ერთი ცნობილი გამონათქვამის პერიფრაზს მოვიყვანთ: ისე იღვაწე, აღწერად ღირდეს, ისე დაწერე, წაკითხვად ღირდეს. სწორედ ასე შრომობდნენ ჩვენი წინაპრები – აშენებდნენ, ქმნიდნენ, თარგმნიდნენ, წერდნენ და ყველაფერ ამას ისე აკეთებდნენ, რომ მათი ნამუშაკევის შესწავლა მომავალი თაობებისათვის სულიერი და ინტელექტუალური ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი საფუძველი გამხდარიყო.

ძირითადი თუ დამხმარე სახელმძღვანელოს ერთი არსებითი ფუნქცია სწორედ გამორჩეულ შემოქმედთა მემკვიდრეობის მრავალი კუთხით სწავლებაა. ამ დროს პედაგოგის ამოცანა არის მიმართვა როგორც მოწაფეების მთელი ჯგუფისადმი, ასევე ცალკე აღებული თითოეული მათგანისადმი. ძველი ქართული ლიტერატურული ნაწარმოებები არ იკითხება მხოლოდ სიძველის გამო, ისინი არ არიან მხოლოდ ნაშთნი ძველი დიდებისა, სამუზეუმო ექსპონატები; ძველი თხზულებები ესთეტიკურ სიამოვნებასაც გვანიჭებენ. სწორედ ამის ჩვენებისა და გადმოცემის სურვილით იწერებოდა ეს წიგნი.

მისი შექმნიდან თითქმის სამი ათეული წელი გავიდა. ეს ამ სახელმძღვანელოს მესამე, შევსებული და გადამუშავებული გამოცემაა. წლების მანძილზე იქმნება ახალი გამოკვლევები, ახალი მეთოდოლოგიური ნაშრომები, ყალიბდება ახლებური ხედვები და განახლებული კონტექსტებიც ჩნდება. სწორედ ამ ყოველივეს გათვალისწინებით ორჯერ (2007 და 2019 წლებში) განახლდა „საუბრები ძველ ქართულ ლიტერატურაზე“. ისევე როგორც მეორე გამოცემა, ესეც შეივსო ახალი კითხვებითა და დავალებებით, რომლებიც ხელს შეუწყობენ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ძველი ქართული მწერლობის ძეგლების არა ერთი ასპექტით გაანალიზებაში, დაეხმარებიან, ამ მეთოდოლოგიით დასვან სხვადასხვა ხასიათის კითხვები, გამოიმუშავონ ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნების, მსჯელობისა და წერის უნარჩვევები. „საუბრებს“ ერთი მიზანი ჰქონდა და აქვს – მოსწავლეებს არა მხოლოდ ინფორმაცია გადასცეს, არამედ ასწავლოს რაციონალური ფიქრი და ესთეტიკური ხიბლის აღქმა.

ამ წიგნმა რამდენიმე ათეულ წელს გაუძლო, რაც, ბუნებრივია, მისი ავტორებისათვის დიდი პატივია. როგორც ყოველთვის, ისინი ახლაც მადლიერებით მიიღებენ დასაბუთებულ შენიშვნასა თუ წინადადებას, არგუმენტირებულ მოსაზრებას.

„ბნელი უჩინო იქმნების ნათლითა და
უფროჲსღა ფრიადითა ნათლითა. უმეცრებაჲ
უჩინო იქმნების მეცნიერებითა და უფროჲსღა
ფრიადითა მეცნიერებითა“.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელი

შესავალი

ჩვენ უნდა ვიფიქროთ სხვათა ნაფიქრზე და ამით სრულვქმნათ ჩვენი ფიქრი და ცხოვრება – აი, რას ნიშნავს ლიტერატურის შესწავლა. უცნაური რამ არის წიგნი – სამყაროს გამამთლიანებელი. ის არა მხოლოდ თანამედროვეებს აკავშირებს ერთმანეთთან, არამედ სხვადასხვა თაობასაც – იგია არა მხოლოდ თანამედროვეთა, არამედ ცოცხალთა და გარდაცვლილთა დიალოგის მშვენიერი მაგალითი. მართლაც, საოცარია: საუკუნეთა წინათ დაბადებულა კაცი, რომელსაც უფიქრია სამყაროზე, საზოგადოებაზე, საკუთარ თავზე, მარადიულ თუ წარმავალ ღირებულებებზე, მერე ეს სულის გამონაშუქი ფურცლებისათვის მიუნდვია. მათ, ერთი შეხედვით, ასე სუსტებსა და ადვილად დასამარცხებლებს, ჩვენთვის შემოუნახავთ. ათასი ცეცხლი და ვარამი გამოუვლიათ ამ ფურცლებს, მადლიერ ხელებსაც სჭერიათ და მტრის გაყინული მზერისთვისაც გაუძლიათ; ასე მოსულან ჩვენამდე, რათა წინაპრის სულისა და აზრის ძალასთან წილნაყარნი გავმხდარიყავით და, ჩვენი მხრივ, ყველაფერი ეს შთამომავლობისათვის გადაგვეცა.

რას ნიშნავს ლიტერატურის შესწავლა?

წიგნი იდეის სამოსია. ქრისტიანთა წარმოდგენით, ქრისტე იმიტომ განხორციელდა დედამიწაზე, რომ ადამიანებს მათი ბუნების შესაბამისად ეხილათ ჭეშმარიტება ამქვეყნად. ასევეა ნებისმიერი იდეაც – თუ სიტყვიერი ხორციელება არ შეიძინა, მხოლოდ მისი დამბადებლის გონებაში არსებობს. სიტყვის დაბადება ერთი ყველაზე დიდი საიდუმლოა, რომელთან ზიარებასაც ჩვენ შევეცდებით ლიტერატურის ისტორიის შესწავლისას.

მაინც რა არის ლიტერატურა? რა განსხვავებაა, ვთქვათ, მასა და მათემატიკას შორის? თითქოს, ერთი შეხედვით, მარტივი და თანაც ცოტა სასაცილო შეკითხვაც კია, მაგრამ დიდი ხანია ცნობილია, რომ მარტივ შეკითხვებზე ყველაზე ძნელია პასუხის გაცემა. და მაინც, მოდით, ეს სიძნელე ჩვენ ნუ შეგვაშინებს.

ადამიანი მოაზროვნე არსებაა. ის კოსმოსის შვილია და მოწოდებულია, რომ აღიქვას, შეიმეცნოს ყველაფერი, რაც ამ კოსმოსის გამოვლინებაა, მისი ნაწილია, მაგრამ, თურმე, ეს შემეცნება შეიძლება ორგვარი იყოს. ერთი და იგივე მოვლენაც კი შეგვიძლია სხვადასხვა კუთხით დავინახოთ და შევაფასოთ. ვთქვათ, ერთ მშვენიერ დღეს, თქვენ შეიგრძენით, რომ სამყარო მთლი-

ანია, ყველა მისი ელემენტი რაღაც დიდი აზრით უკავშირდება ერთმანეთს (ძველი ბერძნები ამგვარ ერთიანობას ლამაზ სახელს არქმევდნენ: „სიმპათიის კანონი“).

როგორ გააგებინებთ ამ აზრს თქვენს მეგობარს?

თქვენ შეგიძლიათ დიდხანს ამტკიცოთ, რა დიდი კანონზომიერებაა განფენილი ბუნებაში: როგორ მოსდევს ყოველ ღამეს დილა ან ზამთარს – გაზაფხული, რა განსაზღვრული კალაპოტით მიედინება მდინარე, როგორ სცვივა ფოთლები შემოდგომაზე ხეებს, რაგვარად უკავშირდება ზღვის მოქცევა-უკუქცევა მნათობთა მოძრაობას; შეგიძლიათ გაიხსენოთ, თუ როგორ განსაზღვრავს ამა თუ იმ კუთხის ადამიანთა ცხოვრების წესს, ტრადიციებსა და თვით გარეგნობასაც კი მათი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა თუ კლიმატი – ამაზე საუბარი გაუთავებლად შეიძლება, მაგრამ მოვა უცბად ვაჟა-ფშაველა და გეტყვით საიდუმლოებით მოცულ სიტყვებს:

„ნისლი ფიქრია მთებისა,
იმათ კაცობის გვირგვინი“...

და თქვენ უფრო იგრძნობთ, ვიდრე მიხვდებით, რაც ბრძანა დიდმა პოეტმა. ნისლი, ჩვეულებრივი აზრით, არ შეიძლება იყოს ფიქრი, თანაც მთების ფიქრი. ფიქრობს მხოლოდ ადამიანი. მთა ამ უნარით დაჯილდოებული არ არის. მაგრამ თუ მთა მაინც ფიქრობს, მაშინ რა განსხვავება იქნება მასა და ადამიანს შორის? ყველა განსხვავება უკან დაიწევს და გამოჩნდება ამაღლებული მსგავსება ბუნებისა და ადამიანისა; მთა თუ ფიქრობს, ის „ბუნების გვირგვინის“ მსგავსია. ამადაც ამბობს ვაჟა მთების ფიქრზე: ეს არისო მათი „კაცობის გვირგვინი“.

ასე რომ, სამყაროს მთლიანობა შეიძლება შეიმეცნო და გამოთქვა ორგვარად:

1. კოსმოსში ყველაფერი ერთმანეთს უკავშირდება (ეს იქნება პირდაპირი ნათქვამი);

2. „ნისლი ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის გვირგვინი“

(ეს იქნება არაპირდაპირი, ირიბი, სათქმელის რაღაც შუამავალი აზრით გამოხატვა).

ცნება და მხატვრული სახე

როდესაც რაიმე მოვლენასა თუ საგანს მისი არსის იგივეობრივი ტერმინით გამოვხატავთ – ეს არის ცნება. მაგალითად, როცა მათემატიკოსი ამბობს: „ორჯერ ორი არის ოთხი“, ის „ორში“ სწორედ „ორს“ გულისხმობს და არა, ვთქვათ, „ათს“. ეს ცნებითი აზროვნებაა. ცნების დონეზე სამყაროს აღქმა ეს მეცნიერებაა. ისტორიკოსი იტყვის: „მეფე მირიანის დროს გაქრისტიანდა საქართველო“ – და ყველა ზემონახსენებ სიტყვაში სწორედ იმას გულისხმობს, რასაც ეს სიტყვები სინამდვილეში გამოხატავს: მირიანი მეოთხე საუკუნეში მეფობდა საქართველოში, ქრისტიანობა მსოფლიო რელიგიაა და სწორედ ამ მნიშვნელობათა შეერთებით მიიღება წინა წინადადების ჭეშმარიტი აზრი.

მაგრამ, როდესაც სულხან-საბა ორბელიანი თავის იგავში იტყვის კუსა და მორიელის ამბავს, განა აქ მართლა კუ და მორიელი უნდა ვიგულისხმოთ? ანდა ნიკოლოზ ბარათაშვილის უკვდავი სტრიქონები: „მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი, უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი" – ცხენსა და ფრინველზე მოგვითხრობს!? ძალიან შეცდება ის, ვინც მხოლოდ ასე იფიქრებს, იმიტომ რომ აქ მთავარი ის კი არ არის, რაც ჩანს, არამედ ის, რაც იგულისხმება.

ცნებაში რაც ჩანს, იგივე იგულისხმება, ხოლო **მხატვრულ სახეში** (აი, ცნებისაგან განსხვავებული ტერმინიც) ჩანს ერთი და იგულისხმება სრულიად სხვა. სახეობრივი აზროვნება – ეს მხატვრული აზროვნებაა, სამყაროს ცნებითი აღქმიდან სრულიად განსხვავებული შემეცნება. ჩვენი წინაპარი ამას „სახისმეტყველებას" ეძახდა. სიტყვა „სახისმეტყველება" ძველ ქართულ აზროვნებასა და მეტყველებაში VIII საუკუნიდანაა დამკვიდრებული (რევაზ სირაძე).

დავასკვნათ: სამყაროს ცნებითი შემეცნება – მეცნიერებაა, სამყაროს განსხვავებული გზაა. ეს ორი გზა ერთმანეთს არ უპირისპირდება და არ გამორიცხავს, პირიქით, ისინი ურთიერთს ავსებენ და სამყაროსა თუ ადამიანის მასთან მიმართების სრულ სურათს ქმნიან.

მეცნიერება და ხელოვნება

ხელოვნება, ისევე როგორც მეცნიერება, ერთაზროვანი არ არის. მხატვრული ლიტერატურა, მუსიკა, მხატვრობა, არქიტექტურა, თეატრი და კინო ხელოვნების დარგებია. ამ დარგებს ის აერთიანებს, რომ ისინი სამყაროს სახეობრივად აღიქვამენ და გამოხატავენ, მაგრამ მათი გამომსახველობითი საშუალებები განსხვავებულია. მუსიკის არსება ბგერაა, მხატვრობისა – ფერი, მხატვრული ლიტერატურისა – სიტყვა და ა. შ. მიუხედავად ამ განსხვავებისა, ხელოვნების არსება მაინც ერთია – ეს არის საგნისა თუ მოვლენის „თავისუფალი არსებობიდან" კანონზომიერ, მოწესრიგებულ „თანაარსებობით სისტემაში" გადასვლა, ანუ, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ერთი ან ბევრი საგნისა თუ მოვლენის სამყაროს მოწესრიგებულობაში ჩართვა.

ლიტერატურა და ღირებულებები

ლიტერატურა სისტემას ქმნის, მაგრამ ჩვენ ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს, ამ სისტემატურობის გამო ლიტერატურა შეზღუდული, რეგლამენტირებული და ბორკილდადებული აზრია. ეს დიდი შეცდომა იქნებოდა. ჭეშმარიტი ლიტერატურა ყოველ დროსა და ყველა ხალხის ისტორიაში იყო და არის თავისუფალი აზრის ნავსაყუდელი – კერძო ადამიანის, ერისა თუ მთლიანად კაცობრიობის უკეთეს ფიქრთა გამომხატველი. იგია, აგრეთვე, დამამტკიცებე-

ლი იმ მშვენიერი აზრისა, რომ სიკეთე განუყოფელია და ის, რაც ჭეშმარიტად მადლია ადამიანისთვის, მადლია ერისთვისაც და კაცობრიობისათვისაც. მსოფლიოს საუკეთესო მწერლები, თავიანთი ხალხისა და მთელი ქვეყნის ღირსეული შვილები, დროზე გამარჯვებულნი და მარადისობას ნაზიარებნი ამტკიცებენ, რომ ერთი ადამიანის ან ერის უბედურება, მათ თავს დატეხილი ბოროტება არ შეიძლება სხვა ადამიანისათვის ან ერისათვის ნამდვილი სიკეთე იყოს. ეს აზრი არის კაცთმოყვარეობის, ჰუმანიზმის დიდი საფუძველი. იდეის საყოველთაო განფენაშია ლიტერატურის უზარმაზარი ფუნქცია, მისი დანიშნულება. ყველაფერი მანამდე არსებობს, სანამ მას ფუნქცია აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გადაგვარებას იწყებს. ლიტერატურას სიკვდილი არასდროს უწერია, რადგან სიყვარულისა და კაცთმოყვარეობის ქადაგება არ შეიძლება დროის მსხვერპლი გახდეს. ეს მარადიული ღირებულებებია.

ჩანართი №1

ცარიელი ფურცლის სრულყოფილება

აბსოლუტურად სრულყოფილი მხოლოდ აბსოლუტური სიცარიელეა, რადგან არანაირი ნაკლი არ აქვს და ყველანაირ პოზიტივს შეიცავს. სიცარიელე ასპროცენტიანი შესაძლებლობაა, მაშინ, როცა რაიმეს შექმნა და დაბადება, უკეთეს შემთხვევაში, იდეალურის მხოლოდ ნაწილი შეიძლება იყოს.

ცარიელი ფურცელი, დიდ შემოქმედებით ტანჯვასთან ერთად, ადამიანის ბედნიერებაა, რადგან აბსოლუტურ შესაძლებლობას თუ არა შემოქმედი კაცის სურვილისა და შესაძლებლობის მაქსიმუმს მაინც გამოხატავს. ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ ამ „აბსოლუტურ შესაძლებლობას“ უსასრულოდ ბევრი ვარიაცია აქვს და სიცარიელე უკლებლივ ყველას გამოსახვის პოტენციას ფლობს. ეს ადამიანის ფსიქიკის „დამანგრეველი სიამოვნებაა“ – ერთი მხრივ, იდეისა თუ თვითრეალიზების მრავალ ალტერნატივას გვიჩვენებს („ვეფხისტყაოსანი“ ან „ღვთაებრივი კომედია“ შესაძლოა კიდევ ათასნაირად დაიწეროს და მეათასეც არ იყოს პირველზე რამით უარესი); მეორე მხრივ კი, ნათლად დაგვანახვებს, რამდენად ძნელი და უმრავლეს შემთხვევაში შეუძლებელიც არის არათუ მეათასე, არამედ მეორე „პირის“ შექმნაც.

ცარიელ ფურცელზე ლაპარაკი ისევე რთულია, როგორც ღმერთზე – ის არაფერიც არის და ყველაფერიც. არაფერია ისეთი, რაც მისი გამოხატვის მიღმა იყოს. ეს სიცარიელის სისავსეა.

ამ ფურცელთან ახლოს, რომელიც ახლა წინ მიდევს, უკვე ნაფიქრის, ამჟამინდელი ფიქრისა თუ სამომავლო გაფიქრების ნებისმიერი გამოვლინების სახე ჩანს. აი, ამწუთას პლატონმა მასზე თავისი უკვდავი „ფედონის“ პირველი სტრიქონის წერა დაიწყო, წამსიქით რუსთველმა „ავთანდილის ანდერძის“ საწყისი სტროფის „დ“ („დაჯდა წერად...“) გამოიყვანა, შექსპირი კი სხვა სურათში „რომეო და ჯულიეტას“ ასრულებს. ასე თუ ისე, მწერლობა ის არის, რაც სიცარიელის სისავსეს მიგაგნებინებს და გამოგახატ-

ვინებს. ამ დროს წარმატება ყოველთვის მეტ-ნაკლებია და არასდროს არის სრული – ამგვარი სისრულისთვის თავად ღმერთი უნდა იყო.

სიცარიელის სრულყოფილებას შემოქმედების რაგინდარა გამოვლინება ქმნის – აქ არაარსებითი დეტალი და თუნდაც ნიუანსი არ არსებობს. მნიშვნელობა აქვს: რას წერ, როგორ წერ, ვის აღწერ, როგორ იქცევიან და რას ლაპარაკობენ ნაწარმოების გმირები. მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ფიქრს, არამედ მის ჩრდილსაც კი. ერთმა პატარა ლაფსუსმაც კი შეიძლება სამუდამოდ დააზიანოს სრულყოფილების სიხარულის შეგრძნება.

განსაკუთრებულ სირთულეს ის ქმნის, რომ ადამიანთა სამყაროში სიტყვა „სრულყოფილება" ძალიან ფარდობითია და ბევრ რამეზეა დამოკიდებული: განათლებაზე, გემოვნებაზე, ზნეობასა და ხანდახან მეხსიერებაზეც კი. ის, რაც ერთისთვის სრულყოფილია, მეორისთვის ასეთი სრულიადაც არ არის. ამიტომაც ცარიელი ფურცლის სრულყოფილებას საბოლოოდ და სრულად მხოლოდ ზეადამიანური ცნობიერება წარმოიდგენს. ჩვენ შეგვიძლია ოდენ შევიგრძნოთ და მეტ-ნაკლებად მივუახლოვდეთ ამგვარ წარმოდგენას.

ცარიელი ფურცელი...

ის მეტია, ვიდრე ლაო-ძის, ჰაფეზის, სერვანტესის, თომას მანის ან ვაჟას ნაფიქრ-ნაწერი...

ის მეტია, ვიდრე ლეონარდოს, რაფაელის, ბოსხის, მოდილიანის ან ფიროსმანის ნახატები...

ის მეტია, ვიდრე ბახის, მოცარტის, ვაგნერის, შოპენის ან ფალიაშვილის მუსიკა...

მეტია, რადგან სიცარიელე სრულად მოიცავს ყველაფერს, ხოლო ყველაფერი, ერთად აღებულიც კი, ვერასდროს მოიცავს სიცარიელეს.

წმინდა შესაძლებლობა ყოველთვის აღემატება განხორციელებულის ბრწყინვალებას.

ყველა მწერალმა იცის ეს და იტანჯება ამით, მაგრამ მაინც წერს, რათა კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდეს სიცარიელეს.

ლიტერატურა
და ერი

ლიტერატურა ერის სულის უდიადესი გამომხატველია. ყოველ დროში ქვეყნის ერთგული პატრიოტები მშობლიურ ლიტერატურაზე იზრდებოდნენ და იზრდებიან. ქართულ ლიტერატურაში ჩაბუდებულია ჩვენი ეროვნული ცნობიერება, ჩვენი ინტელექტი და გრძნობა, ჩვენი სინდისი და პატიოსნება, ჩვენი ძალა და მიტევების უნარი, ქართველი კაცის ისტორიული გამოცდილება, აწმყოსთან დამოკიდებულება და მომავლის შეგრძნება, განვითარების

ნაციონალური გზაა მოაზრებული. ამიტომ ყოველი ჩვენგანის ვალი, მეტიც, შინაგანი მოთხოვნილება უნდა იყოს ამ უძვირფასეს, მატერიალურად შეუფასებელ სულიერ განძთან ზიარება, მისი შესწავლა და გათავისება. „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“, – ამბობს დავით გურამიშვილი. ჩვენი ქვეყნის, საზოგადოდ, მსოფლიოს ღირსეული მოქალაქეები რომ გავხდეთ, უნდა შევძლოთ სულიერი ზიარება წინაპართან, თანამედროვესთან და შთამომავალთან. ამას – ერთ-ერთი პირველი – ლიტერატურა შეგვაძლებინებს.

ძველი ქართული ლიტერატურა

ქართული ლიტერატურის პერიოდები

საზოგადოდ, ქართული ლიტერატურა, პირობითად, სამ პერიოდად იყოფა: ძველი, ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურა. ძველი ლიტერატურა, ტრადიციული თვალსაზრისით, იწყება მეხუთე საუკუნიდან („შუშანიკის წამებით“) – თუმცა არსებობს საკმაოდ დასაბუთებული მეცნიერული თვალსაზრისი, რომ ჩვენი ლიტერატურის ისტორია გაცილებით ადრე იწყებს ათვლას – და მთავრდება მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში (იოანე ბატონიშვილის „კალმასობით“). ახალი ლიტერატურა მოიცავს მთლიანად მეცხრამეტე საუკუნის მწერლობას, ხოლო უახლესი – მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეებს. როგორც ვხედავთ, ძველი ქართული ლიტერატურა, სულ ცოტა, ცამეტ საუკუნეს მოიცავს და ბუნებრივია, ის არ არის ერთგვაროვანი. მას განვითარების თავისი საფეხურები აქვს.

სანამ, საზოგადოდ, ქართული მწერლობის აღმოცენებაზე ვიტყოდეთ რამეს, რამდენიმე სიტყვა ვთქვათ ძველი ქართული მწერლობის ისტორიის საწყისი ეტაპის შესახებ.

მაინც როგორი იყო მეხუთე საუკუნის მიწურულს ჩვენი სამშობლო?

მოვუსმინოთ გამოჩენილ ქართველ ლიტერატურისმცოდნეს კორნელი კეკელიძეს: „მწერლობის დასაწყის მომენტში იბერია ორ ნაწილად იყო (368 წლიდან) გაყოფილი: დასავლეთის სექტორი რომაელების პოლიტიკური გავლენის ზონაში იმყოფებოდა, ხოლო აღმოსავლეთის სექტორი, რომელსაც მეხუთე საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან დასავლეთის სექტორიც უერთდება, თანდათან ხდება ობიექტი სპარსეთის აგრესიული ზრახვებისა. მეხუთე საუკუნის დამდეგიდან, ბაკურ დიდის დროიდან, სპარსეთი თანდათან უჭერს მას არტახებს, 532 წელს საბოლოოდ აუქმებს აქ მეფობას და თავის წარმომადგენლად „მარზპანს“ ნიშნავს. სპარსელების ბატონობა ქართლში 643-645 წლებში შეიცვალა არაბთა და მათი „ამირას“ ბატონობით... შინაგანი მართვა-გამგეობის აპარატისათვის სპარსელებსა და არაბებს ხელი არ უხლიათ და ის ერისთავები, რომლებიც წინათ ამა თუ იმ ფეოდალურ ერთეულს – საერისთაოს განაგებდნენ, თავიანთ ადგილზე დარჩნენ“.

მოკლე ისტორიული ექსკურსი

მეცნიერის სიტყვით, ეს ერისთავები „შეიქმნენ თავისებური მეფეები თავიანთ საბრძანებელში“ და „დროთა განმავლობაში, ერთის ნაცვლად, აღმოსავლეთ საქართველოში იმდენი „სამეფო“ გაჩნდა, რამდენიც წინათ საერისთაო იყო“.

ეს „სამეფოები“ განუწყვეტლივ ებრძოდნენ ერთმანეთს სასიცოცხლო სივრცის დასაუფლებლად და, ამ ბრძოლათა შედეგად, არაბთა თანდათანობითი დასუსტების პირობებში, წარმოიქმნა ოთხი მსხვილი ერთეული:

1.„ქართველთა მეფის“ საბრძანებელი ტაო-კლარჯეთში;

2. კახეთის საქორეპისკოპოსო;

3. თბილისის ემირატი;

4.აფხაზეთის სამეფო (დასავლეთი საქართველო).

მეათე საუკუნეში იწყება ამ პოლიტიკური ერთეულების გაერთიანების პროცესი, რომელიც წარმატებით სრულდება დავით კურაპალატის შვილობილის, ბაგრატ მესამის ზეობისას. საგულისხმოა, რომ ტერმინი „საქართველო“ მხოლოდ X-XI საუკუნეთა მიჯნაზე ჩნდება ჩვენს სიტყვახმარებაში, მანამდე ერთიანი ქართული ქვეყნის აღმნიშვნელად **„ქართლი“** გამოიყენებოდა.

სამი მთავარი ტენდენცია

პირველი პერიოდის ანალიზის დროს წინა პლანზე წამოიწევს სამი უმთავრესი ტენდენცია:

1. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება;

2. უცხოელ დამპყრობთა მმართველობა;

3. ბრძოლა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და გამაერთიანებელი ძალების კონსოლიდაციისათვის.

მოკლედ დავახასიათოთ თითოეული ეს ტენდენცია.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება საქართველოს ისტორიაში უდიდესი, შეიძლება ითქვას, განმსაზღვრელი მნიშვნელობის ფაქტი იყო. რელიგია – ეს არის ეროვნული თუ პიროვნული სულის მიდრეკილება, სამყაროს, ადამიანთა ურთიერთობისა თუ საკუთარი თავის წვდომის განსაკუთრებულობა, საგანთა, მოვლენათა და იდეათა ხედვის გარკვეული მოდელი, რომელიც, მორწმუნეთა წარმოდგენით, ღვთიური მოცემულობა და გამოცხადებაა. რელიგიური წარმოდგენები წინ უსწრებს ლოგიკურს. რელიგიური მსოფლშეგრძნება მეცნიერულზე ადრინდელია. ჯერ არსებობს რწმენა და მხოლოდ შემდეგ – ცოდნა. ცოდნა ხანდახან უარყოფს რწმენას, მაგრამ რწმენა ცოდნას – უფრო იშვიათად (თუმცა ისტორიიდან ცნობილია პერიოდები, როდესაც მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჩაღდებოდა). რწმენა და ცოდნა ერთმანეთს არ გამორიცხავს. „ცოდნის კაცებს“ ზოგჯერ ავიწყდებათ ხოლმე ეს ელემენტარული ჭეშმარიტება და უარყოფენ რწმენას,

ვერ აცნობიერებენ, რომ რწმენა, გარკვეული აზრით, მომცველია ცოდნისა, ცოდნა კი ვერასოდეს მოიცავს რწმენას.

ცოდნა და რწმენა

რაკილა რწმენა, პირობითად მაინც, მომცველია ცოდნისა (სანამ მეცნიერება გაჩნდებოდა, რელიგიამ იკისრა მისი ფუნქციებიც), ხოლო ორივე ერთად კი განაპირობებს ერის ცხოვრების წესს, ამდენად, სარწმუნოების მიღება, ნებისმიერი, გარკვეული წანამძღვრებით განუპირობებელი აქტი როდია. ის არ არის შემთხვევითი, უბრალო გარემოებების გადახლართვით გამოწვეული მოვლენა, პირიქით – ამ დროს სრული კანონზომიერება და გაპირობებულობა სუფევს.

ქართველი კაცის სულის მიმოხრამ, ეროვნულმა მისწრაფებებმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა ორიენტაციამ მოითხოვა, რომ ჩვენი ქვეყანა ქრისტიანული ცხოვრების გზას დასდგომოდა. ჩვენი წინაპრებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპულ კულტურასთან და ცხოვრების წესთან დაკავშირებას, განვითარების დასავლური გზა საქართველოსთვის ბუნებრივი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს უთუოდ აღმოსავლური ქვეყანა ვიყავით, ჯერ ცეცხლთაყვანისმცემლობა, ხოლო შემდეგ კი ისლამი ჩვენთვის, ქართული სულისათვის მიუღებელი, უცხო აღმოჩნდა. განსაკუთრებით კი იმის გამო, რომ ეს რელიგიური მოძღვრებანი ჩვენთან ისტორიულად დაპირისპირებული ქვეყნების დროშებად იყო აფრიალებული. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მომენტია – ქართველთა სახელმწიფო თავისი განვითარების გზად უარყოფას ვერ დაისახავდა. ჩვენმა წინაპრებმა ხსენებული რელიგიები მხოლოდ იმიტომ კი არ უარყვეს, რომ ისინი ისტორიული მტრების სულს ეხმატკბილებოდნენ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენთვის აღმოჩნდნენ გამოუსადეგარნი. ქართული სული სხვა საზრდოს ეძებდა და იპოვა კიდეც ქრისტიანობის სახით. კაცთმოყვარე ღმერთისკენ სწრაფვამ დაათმობინა ქართველ კაცს ძველი კერპები. ჩვენს გულს ესალბუნებოდა: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თჳსი“. უეცრად მოვარდნილი ბედნიერებასავით სანეტარო იყო იმხანად ჯერ არგაგონილი ჭეშმარიტების მოსმენა და გათავისება: „უკეთუ შესწირჳდე შესაწირავსა საკურთხეველსა ზედა და მუნ მოგეხსენოს შენ ვითარმედ ძმა შენი გულ-ძჳრ რაიმე არს შენთვის, დაუტევე შესაწირავი იგი წინაშე საკურთხეველსა მას, მივედ და დაეგე პირველად ძმასა შენსა, და მაშინ მოვედ და შეწირე შესაწირავი შენი“ (მათე, 5, 23-24).

ღვთაების სიყვარული ადამიანურ სიყვარულში მჟღავნდება, მოყვასია უდიდესი ღირებულება ამქვეყნად – აი, ქართველთა საარსებო ჭეშმარიტებად ქცეული ქრისტიანული მოძღვრების არსი. გაივლის კიდევ რამდენიმე საუკუნე და იოანე საბანისძე თავის დიდებულ „აბოს წამებაში“ იტყვის: იმიტომ „აღვერიენით ერსა უცხოსა“, რომ დავკარგეთო „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვის“ შეგრძნება, სწორედ ქრისტიანობა იქცა „მამულის ჩვეულებად“, მისი ერთგულება თუ გარემიქცევა განაპირობებდა ყოველთვის საქართველოს ისტორიის ბედნიერ და უბედურ დღეებს.

ევროპეიზმი

ევროპეიზმი, რომლისკენ შებრუნების საწყის ეპოქად მეცხრამეტე საუკუნეს ასახელებენ ხოლმე, ქართული კულტურისათვის, ფაქტობრივად, უძველესი დროიდანვე მომდინარე და საუკუნეთა განმავლობაში განუშორებელი ტენდენცია იყო და, სპარსეთის მხრივ გააფთრებული წინააღმდეგობისდა მიუხედავად, ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადებამ ოდენ თვალსაჩინო გახადა ეს ტენდენცია. ამ მხრივ დიდად საგულისხმოა ვახტანგ გორგასლის ერთი გამონათქვამი. პოლიტიკური სიტუაციის გამო სპარსთა ლაშქარში წლობით ნაბრძოლი მეფე შთამომავლობას ანდერძად უბარებდა: „სიყვარულსა ბერძენთა ნუ დაუტეობთ“ (რეზი თვარაძე, „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა“). ეს იმას ნიშნავდა, რომ ქართულ სახელმწიფოსა და საზოგადოებას არ უნდა ეღალატათ ქრისტიანული სარწმუნოებისთვის.

მიღებულია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობა ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა 326 წელს. მაშასადამე, უკვე თითქმის 1700 წელია, რაც ჩვენ ქრისტიანული ქვეყანა ვართ.

ახლა მეორე მომენტსაც შევეხოთ.

იმპერიების პირისპირ

უცხო კაცის იარაღისა და ფეხის ხმა, უცხო კაცის მეტყველება, სამწუხაროდ, არასდროს უჩვეულო არ ყოფილა საქართველოსთვის. ისტორიის ბედისწერამ ისე ინება, რომ ევროპისა და აზიის გზის გასაყარზე მდებარე ქვეყანა ყოველთვის დიდი და მცირე დამპყრობლების ყურადღების ცენტრში ყოფილიყო. ავბედითი იყო ამგვარი „ყურადღება“. წისქვილის ქვაც დატრიალებულა საქართველოს თავზე. მტერი მტერია, მაგრამ თითქმის ყოველთვის განსაკუთრებულად ჭკვიან და ძლიერ მტერს გვარგუნებდა ხოლმე განგება. სპარსელებიცა და არაბებიც უზარმაზარ იმპერიებს ქმნიდნენ და ეს ჩვენი პატარა ქვეყანა ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლი იყო მათ პოლიტიკურ სტრატეგიაში. მტერს კარგად ესმოდა, რომ მიწის დაპყრობა ჯერ არ იყო გამარჯვება, გონებისა და სულის დაპყრობა უფრო ძნელი შეიქნა. მტრის ყოველი ნაბიჯი იქით იყო მიმართული, რომ ქართველთა სული დაეშალა და გონება დაემცირებინა. მან კარგად იცოდა, რომ ადამიანებს ერთი დიდი ნაკლი აქვთ, შემგუებლობა – და ყოველნაირად ცდილობდა ადგილობრივ მოსახლეობაში გაელვივებინა ეს უწინარესი მაუწყებელი ეროვნული გადაგვარებისა. ხომ კარგად ცნობილია: ყოველი ერი იღუპება მხოლოდ მაშინ, როდესაც ურიგდება თავის ხვედრს. აი, სწორედ მაშინ ივიწყებენ, ილიასი არ იყოს, სიტყვას „ჩვენ“, რაც ეროვნულ ერთობას გამოხატავს და საგულდაგულოდ ეალერსებიან სიტყვას „მე“. მათ არ იციან (და რისხვაზე მეტად სიბრალულს იმსახურებენ), რომ ამნაირი „მე“ ძალიან ადვილად ეტმასნება ხოლმე სხვა „ჩვენ“-ს და მაშინ საკუთარ ინდივიდუალობასაც კარგავს სამშობლოს დამკარგავი. ადამიანი მაშინაა ყველაზე უბედური, როდესაც არ იცის, ვერ გაუგია, რომ

უბედურია; როდესაც, აკაკი წერეთლის თქმისა არ იყოს, „ალერსით მთვრალს ვერ უხილავს ისარი“. ეს „ვერ-ხილვა“ ბუნებრივი კი არა, შეძენილი სიბრმავის ბრალია, ეს კი ის სიბრმავეა, რასაც ამპარტავნობა და ცრუ განდიდებისა და გამორჩეულობის ავადსახსენებელი სურვილი ბადებს. „მცირე“ ადამიანებისათვის ხომ დამღუპველია ამგვარი სენი, მაგრამ როცა ქვეყნის მმართველს უღრღნის იგი გულს, მთლად ტრაგედიაა ერისათვის, რადგან, როგორც სახარება გვასწავლის, „ბრმაჲ ბრმასა თუ წინა წარუძღვა, ორთავენი უფსკრულს შთაცვივნიან“. სამწუხაროდ, ისევე როგორც მრავალი სხვა ქვეყანა, არც საქართველო იყო ისტორიის გრძელ გზაზე ამგვარი დამღუპველი ავადმყოფობისაგან თავისუფალი. მტერმაც იცოდა ეს საყოველთაო და, საუბედუროდ, მარადიული სისუსტე კაცთა მოდგმისა და მოხერხებულად იყენებდა ჩვენ წინააღმდეგ. საუკუნეთა განმავლობაში ეროვნული სახის მოშლისა და მტერს მიმსგავსებულობის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა ყოველთვის იყო ქართველ მამულიშვილთა უპირველესი მოწოდება და გადასახდელი ვალი.

ფიზიკიდან ცნობილია, რომ ყოველ ქმედებას თან სდევს უკუქმედებაც. ეს კანონი არც საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის არის უცხო. როდესაც დამპყრობლის ზემოქმედება ეროვნულ სულზე კრიტიკულ ზღვარს აღწევს, ერის სასიცოცხლო ძალები უკიდურესი ენერგიით ამოქმედდებიან ხოლმე და მაქსიმალური ინტენსივობით გამოხატავენ საკუთარ თავს, რათა არ გადაშენდნენ. ეს საყოველთაოდ ცნობილი კანონზომიერებაა, რასაც ჩვენი ქვეყნის ისტორიაშიც საკმაოდ ხშირად უჩენია თავი.

ქართული მწერლობის „ეროვნული ხანა“

VIII-X საუკუნებს საქართველოს ისტორიაში კორნელი კეკელიძე „ეროვნულ ხანას ქართული მწერლობისას“ უწოდებს. რატომ? – არაბთა ბატონობის ხარისხმა საქართველოში ისეთ უმაღლეს წერტილს მიაღწია ამ დროს, რომ ქართულ სულს გადაშენების, სხვა ტომის ყოფიერებისა და ცხოვრების წესის წიაღში ჩანთქმის საფრთხე შეექმნა. გადამჭრელი ზომების მიღების გარეშე, ალბათ, აღსრულდებოდა ყველაზე უსიამოვნო მოლოდინიც. ერი არ არის ხორციელი, კონკრეტულ დროში მოძრავი ფიგურების უსაზრისო ერთობა; ის მარადიული, უკვდავი სულიც არის და სწორედ ამ სულს ელოდა ათქვეფა სხვა სულში. ასეთი უდიდესი განსაცდელის ჟამს ქვეყანას მოევლინებიან ხოლმე ჭეშმარიტი მამულიშვილნი, რომლებიც განგაშის ზარებს შემოჰკრავენ, აფხიზლებენ ხალხის გონებას და ხსნის გზასაც აჩვენებენ. ეს გზა კი ეროვნული სულის გამძაფრებული შეგრძნების გზაა, მეტიც – გარდამეტებული შეგრძნებისა. თუკი ჩვეულებრივ პირობებში ასეთი „გარდამეტება“ საზიანოც კი არის, ისტორიის კრიზისულ პერიოდებში უამისოდ, შესაძლოა, ყველაფერი დაინგრეს. „ეროვნული ხანის“ ლიტერატურული ძეგლები იმდენად არიან გამსჭვალული ნაციონალური სულითა და ხასიათით, რომ შემდეგი დროის, XI-XII საუკუნეთა მწერლები მათ აღსანიშნავად ხშირად ხმარობენ ტექნიკურ ტერმინს – „ქართული“. მაგალითად – „ქართული სახარება“, „ქართული დავითნი“,

„ქართული კანონი“ და სხვ., – წერს კორნელი კეკელიძე. მაშასადამე, საღვთო წერილშიც კი, რომელშიც თარგმნისას ერთი სიტყვის შეცვლაც დიდ მკრეხელობად მიიჩნეოდა, ჩვენს წინაპრებს ძლიერი ეროვნული ნაკადი შეჰქონდათ. ამასთან ერთად, ქართველებმა ამ დროს „ეკლესიურ-კულტურულად“ და თან ეროვნულადაც კატეგორიულად დაუპირისპირეს თავისი თავი ბერძნულ-ბიზანტიურ მსოფლიოსაც. „ეს იყო მერვე საუკუნის გასულს, ხოლო მეათე საუკუნეში ქართული ენის შესახებ ქართველებმა შექმნეს ერთგვარი თეორია, რომლითაც ეს ენა არამცთუ გასწორებულია ბერძნულთან, არამედ უპირატესობაც კი აქვს მინიჭებული შემდეგ სიტყვებში: „ყოველი საიდუმლოჲ ამისა შინა დამარხულ არს“. არამცთუ უპირატესობა, საერთაშორისო საქრისტიანო ენადაც კია აღიარებული, ვინაიდან, ქართველთა რწმენით, „დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა უფლისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითაო“ (კორნელი კეკელიძე).

ასე რომ, ქართველი ხალხი, რომელიც ეროვნული აღზევების გზას დაადგა, ეტოლებოდა იმდროინდელი მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრს, ბიზანტიის იმპერიას – როდესაც უმაღლესი მიზანი გაქვს დასახული, ცხადია, ორიენტირიც შესაფერისი უნდა გქონდეს. რა თქმა უნდა, ამ საუკუნეებში საქართველო არ იყო ბიზანტიის ფარდი ქვეყანა არც პოლიტიკურად, არც ეკონომიკურად და არც კულტურულად, მაგრამ გაივლის რამდენიმე ათეული წელი და უმაღლესი მიზნისკენ დიდებული სწრაფვა გასაოცარ შედეგს გამოიღებს – ჩვენი ქვეყანა იქცევა ახალ კულტურულ სამყაროდ, რომელიც აღმოსავლეთის ქრისტიანთა პოლიტიკურ და იდეურ წინამძღოლად მოგვევლინება, ბიზანტიის მემკვიდრეობას იკისრებს და შიშის ზარს დასცემს მუსლიმურ გარემოცვას.

მაგრამ ეს იქნება შემდგომ. მანამდე კი ქართველობას დიდი და წინააღმდეგობებით სავსე გზის გავლა მოუწევს – ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და კონსოლიდაციის, ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული გაერთიანების ნიშნით დაღდასმული გზისა. ქართული მწერლობა ამ უზარმაზარი პროცესის შუაგულში იყო იმთავითვე.

მხატვრული წესრიგი

ხშირად გვსმენია: მწერალი, საზოგადოდ, ხელოვანი, ერისა და კაცობრიობის საუკეთესო ფიქრთა და მისწრაფებათა გამომხატველიაო. რატომ არის ასე? ჩვენ გარშემო, ბუნებასა და საზოგადოებაში უამრავი რამ ხდება. და ყველაფერი ეს ისეთ გონებით მიუწვდომელ სიმრავლეს ქმნის, რომ თუ ვინმემ გარკვეული კანონზომიერება, რაღაც წესრიგი არ განჭვრიტა, ადამიანი ქაოსის ყოვლისწამლეკავი და ამაზრზენი ძალმოსილების ტყვეობაში აღმოჩნდება. მოწესრიგებულობა ადამიანური არსებობის, საერთოდ არსებობის, საფუძველია. ძველები სამყაროს გაჩენას ღვთისაგან მოიაზრებდნენ, როგორც ქაოსიდან წესრიგის შექმნას (სხვათა შორის, სიტყვა „კოსმოსი“, რომელიც ბერძნული წარმოშობისაა, სწორედ „წესრიგს“ ნიშნავს. თავიდან ეს სიტყვა,

თურმე, მწყობრად დარაზმული ჯარის წესრიგს აღნიშნავდა და პირველად ცნობილმა ფილოსოფოსმა პითაგორამ გამოიყენა იგი სამყაროს წესრიგის აღმნიშვნელად). გარემომცველ ქაოსში წესრიგის განჭვრეტა არსებობის (კაცობრიული, ეროვნული და ინდივიდუალური არსებობის) რეალურ და უთუმცაო შეგრძნებას მოასწავებს. ადამიანი რეალურად არსებობს, თუ მას აქვს საკუთარი ყოფის წესრიგის შეგრძნება. ერი რეალურად არსებობს, თუ მას აქვს ეროვნული ყოფისა და ცნობიერების წესრიგის შეგრძნება, ასევეა კაცობრიობაც, საზოგადოდ. სამწუხაროდ, დიდია პირველყოფილი ქაოსისაკენ ლტოლვა როგორც კერძო ადამიანში, ისე ერში და მთლიანად კაცობრიობაში და ჟამითი-ჟამად აუცილებლად უნდა გამოჩნდნენ ისეთი მოაზროვნენი, ისეთი შემოქმედნი, ისეთი პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც კოსმოსს გაამარჯვებინებენ ქაოსზე.

ამ ტენდენციის გაღვივებაში დიდია შემოქმედი ადამიანის როლი. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ხელოვნების საფუძველი სახისმეტყველებაა, მხატვრული სახის დაბადებაა. აი, რას წერს გენიოსი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე თავის „პოეტიკაში“:

„მხატვრული სახის შექმნით ყოველი მხატვარი მრავალფეროვან საგანთა იმ ქაოსში, რომელიც მისი გრძნობების წინაშე ირევა, აღმოაჩენს ერთობას, წესს, ფორმას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მხატვრული შემოქმედება ყოფილა გრძნობათა მიერ გარედან მიღებული მასალის გაფორმება, განსახიერება, გაწესიერება, გაშნოიანება, გალამაზება“.

აი, ეს არის სწორედ კანონზომიერების განჭვრეტა გარემომცველ სიმრავლეში. თანაც არისტოტელესათვის ამგვარი „გაწესიერება“ გარემომცველი სინამდვილისა არის მშვენიერებისა და სილამაზის შემცველიც. „წესიერი“ და „ლამაზი“ ერთი და იგივეა და ორივე „სახის მქონეა“.

მაშასადამე, შემოქმედი ადამიანი, მწერალი სამყაროს ქაოსში გზისმკვლევია ადამიანისათვის. „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“, – ამბობდა ილია ჭავჭავაძე. აქედან გამომდინარე, მწერლობა ეროვნული და პიროვნული (საზოგადოდ, კაცობრიული) ცნობიერების განვითარების დიდი იმპულსია და ნებისმიერი ქვეყნის ისტორიაში მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ცხადია, ამ შემთხვევაში არა პოლიტიკურ, არამედ სულიერ-ზნეობრივ წინამძღოლობაზე ვსაუბრობთ.

სად არის ქართული მწერლობის სათავე? სად უნდა ვეძიოთ მისი საწყისები? დასაწყისის მოძებნა ყოველთვის საინტერესო, მაგრამ რთული პროცესია. დასაწყისი აკვალიანებს განვითარებას, განაპირობებს შემდგომ მსვლელობას, ამდენად, დასაწყისის პრობლემა მთელის პრობლემაცაა. ჩვენი მხატვრული ლიტერატურის აღმოცენების დროის საკითხი მჭიდროდ უკავშირდება ქართული დამწერლობის წარმოქმნის პრობლემას, ანბანის შემოღების დროს.

ქართულმა ანბანმა განვითარების სამი საფეხური გაიარა; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის სამსახოვანია: 1. მრგვლოვანი ანუ ასომთავრული, 2. ნუსხური ანუ ნუსხა-ხუცური და 3. მხედრული. მრგვლოვანი უპირველესია. მის საფუძველზე ჩამოყალიბდა ნუსხური და შემდეგ მხედრული (უკანასკნელი წლების გამოკვლევები საფუძველს ქმნის ვიფიქროთ, რომ მხედრული დამწერლობა გაცილებით ადრინდელია, ვიდრე აქამდე მეცნიერებს ეგონათ).

ქართული ანბანი

ასომთავრული გამოიყენებოდა უძველესი დროიდან XI საუკუნემდე. X-XI საუკუნეებიდან თანდათანობით ნუსხური გაბატონდა, რომლის უძველესი ჩვენამდე მოღწეული ნიმუშია სინური მრავალთავის 864 წლის ანდერძი. რაც შეეხება მხედრულს, რომელსაც ჩვენ ახლაც ვიყენებთ, მისი უადრინდელესი ნიმუში აღმოჩენილია ატენის სიონის კედელზე და თარიღდება IX საუკუნით. ცალკეული მეცნიერები ამ თარიღს უფრო ადრეც სწევენ.

ანბანურ დამწერლობამდე სხვა ტიპის დამწერლობებიც არსებობდა, მაგრამ იგი ყველაზე მეტად სრულყოფილი სისტემაა. „დამწერლობის წმინდა ანბანური სისტემის შემოღებას კაცობრიობა ჩრდილო-სემიანებს (ფინიკიელებს) უნდა უმადლოდეს. არც ერთ სხვა ერს მსოფლიოში დამოუკიდებლივ ანბანური დამწერლობა არ შეუქმნია, უფრო სწორად რომ ითქვას: დამწერლობის ანბანურ სისტემას მხოლოდ ერთმა ერმა მიაგნო და, ამდენად, ანბანური დამწერლობა კაცობრიობამ მხოლოდ ერთხელ შექმნა... „ეს არის მიგნება, რაც არ შეიძლება ორჯერ მოხდეს“, – ამბობს ცნობილი პალეოგრაფი მორის დიუნანი (რამაზ პატარიძე).

როდის და რა საფუძველზე წარმოიშვა ქართული ანბანი? ამის შესახებ დიდი ხანია დაობენ მეცნიერები, მაგრამ საბოლოოდ გადაწყვეტილად ეს საკითხი არც ახლა მიიჩნევა. პასუხს ითხოვს ორი უმთავრესი შეკითხვა: წარმართულია თუ ქრისტიანული ქართული ანბანი? რომელ ანბანურ სისტემას ეყრდნობოდა ქართული ანბანის შემქმნელი?

კორნელი კეკელიძე წერდა: „მეხუთე საუკუნემდე (ახალი წელთაღრიცხვით) ქართულ ენაზე არ მოიპოვებოდა არც ერთი ლიტერატურული გინდა თუ ეპიგრაფიკული ძეგლი, ჯერ არ აღმოჩენილა არც ერთი ქართული წარწერა არც დედამიწის ზედაპირზე, არც მის წიაღში. მცხეთა-არმაზის გათხრების შედეგთა მიხედვით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ქართველები თავიანთ საჭიროებას იკმაყოფილებდნენ უმთავრესად არამეული და ბერძნული დამწერლობის საშუალებით. მეოთხე საუკუნის გასულს და მეხუთის დამდეგს, მას შემდეგ, რაც ჩვენში დამყარდა ქრისტიანობა, ეს უაღრესად მწიგნობრული რელიგია, დაიბადა საჭიროება ნაციონალური ანბანისა და მწგნობრობის შემოღებისა. როგორც არ უნდა იყოს, ლიტერატურულ ძეგლებზე დამყარებული ქართული მწერლობის მეცნიერული ისტორია მხოლოდ მეხუთე საუკუნის დამდეგიდან შეგვიძლია დავიწყოთ“.

ქართული ანბანის ბერძნულიდან მომდინარეობისა და მის ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგდროინდელობას ბევრი აღიარებული მეცნიერი უჭერს დღეს მხარს (მაგალითად, თამაზ გამყრელიძე), მაგრამ არის ამის სრულიად საპირისპირო შეხედულებაც, რომელსაც არანაკლებ თვალსაჩინო მეცნიერები იცავენ – ასევე საყურადღებო არგუმენტაციით. ქართულ ანბანს წარმართულ ხანაში შექმნილად მიიჩნევდა ჩვენი ეროვნული დამწერლობათმცოდნეობის მამამთავარი ივანე ჯავახიშვილი. მისი აზრით, ჩვენი დამწერლობა წარმოიქმნა არაუგვიანეს VII საუკუნისა (ძველი წელთაღრიცხვით) ფინიკიურ-სემური ანბანისგან. ქართული ანბა-

ნის წარმართულ ხანაში შექმნის თეორიას იცავს და ავითარებს თანამედროვე მეცნიერი რ. პატარიძე, რომელიც ფიქრობს, რომ ჩვენი დამწერლობა ეფუძნება ფინიკიურ ანბანს და იგი წარმოიქმნა ძველი წელთაღრიცხვის 412 წელს; ხოლო სახელმწიფოში გაბატონებულ სისტემად იქცა მეფე ფარნავაზის დროს, როდესაც შეიქმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო, კერძოდ კი, ძველი წელთაღრიცხვის 284 წელს.

რაკიღა მეფე ფარნავაზი ვახსენეთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული პირველი ცნობა ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ, რომელიც ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაშია შემონახული: ეს არის რუისის ეპისკოპოსის ლეონტი მროველის (XI ს.) ცნობა, რომელიც მის საისტორიო ნაწარმოებში „მეფეთა ცხოვრებაში" გვხვდება და რომელიც ჩვენი დიდი ისტორიული წიგნის „ქართლის ცხოვრების" ნაწილია. აი, რა წერია ამ წყაროში:

„...და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლისა შინა ქართლოსისასა ნათესავთაგანი: ამან განავრცო ენა ქართული, და არაღა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა და ამან შექმნა „მწიგნობრობა" ქართული".

როგორც ი. ჯავახიშვილმა გაარკვია, სიტყვა „მწიგნობრობა" ანბანის ზოგად სახელად იხმარებოდა.

რამაზე პატარიძე: „ფარნავაზ მეფის ზეობის ხანაში განხორციელებულა უდიდესი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი აქცია: ქართული დამწერლობა ფარნავაზ მეფემ ზოგად-ქართულ სახელმწიფო დამწერლობად აქცია უფრო სწორად, ამ მეტად მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებას ქართული ისტორიული ტრადიცია ფარნავაზ მეფეს მიაწერს".

ამასთან ერთად, ძალიან საგულისხმოა ის, რომ ლეონტი მროველი, ქრისტიანული მსოფლმხედველობის სისავსით გამომხატველი პიროვნება, ქართული დამწერლობის შემოღებას წარმართულ ხანას მიაწერს. რ. პატარიძე აღნიშნავს: „ქართული დამწერლობა რომ ქრისტიანული კულტურის ძეგლი ყოფილიყო, განა მროველ ეპისკოპოსს და ქართველ მემატიანეს ეს არ უნდა სცოდნოდა?"

ერთი რამ უდავოა: როგორც ჩანს, ლეონტი მროველს რაიმე მნიშვნელოვანი საბუთი უნდა ჰქონოდა ქართული ანბანის წარმართულობის უთუოდ დამამტკიცებელი, თორემ ასე ადვილად არ გამოაცხადებდა მას არაქრისტიანულ ძეგლად.

მიუხედავად ამისა, ნიშანდობლივია, რომ, გავრცელებული აზრით, დღემდე არსად აღმოჩენილა წარმართული ხანის ქართული დამწერლობის ერთი ნიმუში მაინც. ჩვენამდე მოღწეული, დრო-ჟამს გადარჩენილი წერილობითი ძეგლებიდან უძველესად ითვლება პალესტინის ბეთლემის მონასტრის წარწერა, რომელიც იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ აღმოაჩინა 1953 წელს და ცნობილმა ქართველმა აღმოსავლეთმცოდნემ გიორგი წერეთელმა დაათარიღა 432-433 წლით. საქართველოს ტერიტორიაზე უადრინდელესია ბოლნისის სიონის წარწერა, რომელიც 493-494 წლებით თარიღდება. ბევრი რამ, რაც ზემოთ ითქვა, შესაძლოა, შეცვალოს შემდეგმა ფაქტმა: ჟურნალ „ქართველოლოგის" 2000 წლის ნომერში დაიბეჭდა მკვლევარ ლევან

ჭილაშვილის წერილი „წინაქრისტიანული ხანის ქართული ასომთავრული ანბანის I ან II საუკუნის (ახალი წელთაღრიცხვით) თოთხმეტი ასო-ნიშანი: „ეს აღმოჩენა შესაძლოა სენსაციური გამოდგეს“ (რეზი თვარაძე).

ძველი ქართული მწერლობის პირველი პერიოდი სასულიერო ხასიათისაა. საერო ლიტერატურა ჩვენში მხოლოდ XI საუკუნიდან აღმოცენდა და განვითარდა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ქრისტიანობა უაღრესად მწიგნობრული რელიგიაა. მისი გავრცელების არეალში ყველგან მაღლობს მწიგნობრული კულტურა. როგორც კი ესა თუ ის ერი ქრისტიანობას მიიღებდა, მაშინვე იწყებოდა მის ენაზე საღვთო წერილისა და სხვა ქრისტიანული ლიტერატურის თარგმნა. ეს კი თავისთავად ხელს უწყობდა ეროვნული ლიტერატურული აზროვნების განვითარებასაც. სწრაფი და კანონზომიერი პროგრესი იწყება იქ, სადაც არსებობს ტრადიცია. ქრისტიანობამ კი ლიტერატურული აზროვნების დიდი გამოცდილება დააგროვა და სადაც ფეხს მოიკიდებდა, ეს გამოცდილება ბუნებრივად ინერგებოდა და ვრცელდებოდა.

სასულიერო მწერლობის ჟანრები

სასულიერო მწერლობის ძირითადი ჟანრებია ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია: ჰაგიოგრაფია სასულიერო პროზაა, ხოლო ჰიმნოგრაფია კი – სასულიერო პოეზია. ამ ჟანრების შესახებ შემდეგი რამ უნდა ვიცოდეთ:

„ჰაგიოგრაფია“ ბერძნული წარმოშობის ტერმინია და სიტყვა-სიტყვით ნიშნავს წმინდანთა – ანუ ქრისტიანობისათვის თავდადებულ პირთა – წამებისა თუ, საზოგადოდ, ცხოვრების აღწერას: აქედან გამომდინარე, ერთმანეთისაგან განსხვავდება „მარტვილობანი“ ანუ „წამებანი“ და „ცხორებანი“.

სასულიერო მწერლობას სრულიად კონკრეტული დანიშნულება ჰქონდა. ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს წასაკითხად იყო გამიზნული. ამ ნაწარმოებებს მრევლში უნდა დაემკვიდრებინა ადამიანის ქრისტიანული იდეალი. სრულქმნილების ქრისტიანული წარმოდგენა. სხვა ფუნქცია (ვთქვათ, ესთეტიკური ტკბობის მინიჭებისა) მათ არ ჰქონდათ. ასე რომ, ჰაგიოგრაფია იდეოლოგიური ლიტერატურაა. იდეა, შინაარსი ამგვარ ლიტერატურაში „მეტობს“ ფორმას, მხატვრულ მხარეს. იდეა ჰაგიოგრაფი მწერლისთვის უმთავრესია, ხოლო მხატვრულობა – მეორეხარისხოვანი. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ჰაგიოგრაფია არ არის მხატვრული ლიტერატურა, მხატვრული აზროვნების ნიმუში. მართალია, ჰაგიოგრაფია ძალიან უახლოვდება ისტორიულ ლიტერატურას, ის პირდაპირ გაჟღენთილია, გაპოხილია ისტორიულობით, მაგრამ სასულიერო მწერლობის ეს ჟანრი მაინც უცილობლად მხატვრულ შემოქმედებას განეკუთვნება, რადგან იდეას ჰაგიოგრაფი მწერალი მხატვრული სახის მეშვეობით გადმოსცემს. განვითარების საწყის ეტაპზე, როდესაც ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურას მხოლოდ გამოყენებითი მნიშვნელობა ჰქონდა (ის ეკლესიებში უნდა ეკითხათ), იწერებოდა ე. წ. „კიმენური“ ტექსტები, რომლებიც გამოირჩეოდნენ სიმცირითა და ერთგვარი „ესთეტიკური ნაკლულობით“,

სიმშრალით. მათში მხოლოდ იდეოლოგიური მომენტი იყო აქცენტირებული საგულდაგულოდ. დაახლოებით მეათე საუკუნიდან, მაშინ როდესაც მორწმუნე ადამიანის ლიტერატურული გემოვნება ყურადღებული იქნა, იწერება ე. წ. „მეტაფრასტული" ტექსტები, რომლებშიც მხატვრულ მხარეს არანაკლები ყურადღება ექცევა, ვიდრე იდეოლოგიურს. კიმენურ რედაქციებს ამ დროიდან ხშირად „გადაამეტაფრასტებდნენ" ხოლმე და არსებობდა ერთი და იმავე ნაწარმოების კიმენური რედაქციაც და მეტაფრასტულიც.

ლიტერატურა ადამიანისმცოდნეობაა. პიროვნების სულის წვდომაზე, მისი რაობის განჭვრეტა-გააზრებაზე და ადამიანის სულისკვეთების წარმართვაზე უმაღლესი ფუნქცია ლიტერატურას არა აქვს. ყველა ეპოქას თავისებურად ესმის ადამიანის არსი, ცხოვრების საზრისი და ადამიანური ბუნების სრულქმნილებას განსხვავებულად მოიაზრებს. დრო განსაზღვრავს წარმოდგენებს. ჰაგიოგრაფიაც თავისი ეპოქითაა გაშინაარსებული. ეს ეპოქა შუა საუკუნეებია.

მაშინდელი ზოგადი ესთეტიკური პრინციპი, – წერს „ქართულ აგიოგრაფიაში" რევაზ სირაძე, – ამგვარი იყო: „მწერლობამ უნდა ასახოს მხოლოდ და მხოლოდ იდეალური ადამიანი, გვიჩვენოს იდეალის წვდომის გზებიო. ამის გვერდით ფერმკრთალდებოდა ყველაფერი, ადამიანის ცხოვრების სხვა ნებისმიერი მხარე. აგიოგრაფიულ ნაწარმოებებში მრავალგვარი პერსონაჟია ხოლმე გამოყვანილი, მაგრამ ძირითადი გმირი მხოლოდ იდეალური ადამიანის განსახიერებაა. მის გვერდით ცხოვრებისეული დეტალებია, კონკრეტული ხასიათები, ბუნების კანონზომიერებანი, ოჯახური პრობლემები შეიძლება მხოლოდ დამხმარე მასალა იყოს და მათ ძირითადი მნიშვნელობა არასდროს არ ენიჭებათ, როგორი ცხოვრებით უნდა იცხოვროს კონკრეტულმა პიროვნებამ, რათა იგი გახდეს იდეალური ადამიანი, – აი, ესაა ძირითადი ყოველ აგიოგრაფიულ ნაწამოებში".

ჰაგიოგრაფიის
კანონზომიერებანი

კიდევ რა კანონზომიერებები ახასიათებს ჰაგიოგრაფიას?

1. მან შეიმუშავა ეროვნული გმირის ახლებური სახე. შუა საუკუნეებში სარწმუნოების მტკიცე დაცვა უტოლდება ეროვნული მეობის შენარჩუნებას. პრინციპთა შინაგანი შენარჩუნება, იდეისათვის თავგანწირვის მზადყოფნა ჰაგიორგაფიის უმთავრესი ტენდენცია აღმოჩნდა.

2. ჰაგიოგრაფიამ ბუნებაზე გაბატონების მითოსური იდეალი ადამიანის მიერ საკუთარ თავზე, საკუთარ ნებისყოფაზე ბატონობის იდეალით შეცვალა. ეს პრინციპული განსხვავება იყო.

3. სასულიერო მწერლობის ამ ჟანრმა ფიზიკური ძლიერების კულტი უკუაგდო და ახალი გმირის სულიერი ძალმოსილებით შეცვალა.

4. თუკი ადრეული ხანის მწერლობაში ადამიანურ იდეალს გამორჩეული, განსაკუთრებული პიროვნებები გამოხატავდნენ, ჰაგიოგრაფიამ ასეთებად უბრალო ადამიანებიც წარმოადგინა. ამით სასულიერო მწერლობამ

კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა ქრისტიანული ჰუმანიზმი და დემოკრატიზმი – სრულქმნილებისაკენ მიმავალი გზა მან ნებისმიერი ადამიანისათვის ხელმისაწვდომად გამოაცხადა. ეს დიდი სიახლე იყო, რადგან უმაღლესი იდეის წინაშე აღიარებდა ადამიანთა თანასწორობას (მიუხედავად მათი ასეთი თუ ისეთი განსხვავებისა) (რევაზ სირაძე).

ძალიან საგულისხმოა კიდევ ერთი გარემოება: „აგიოგრაფიული გმირი საერთოქართულ იდეალად ცხადდებოდა, განსხვავებით ფოლკლორისაგან, რომელიც იცნობდა როგორც საერთო ეროვნულ, ისე ადგილობრივ-ტომობრივ გმირებს. აგიოგრაფიის გმირები საერთო იყო მთელი ქვეყნისათვის, „რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“, სადაც ქართული იყო ენა კულტურისა, განათლებისა და მწიგნობრისა. ეს კი ქვეყნის მთლიანობას ამტკიცებდა“ (რევაზ სირაძე).

ჰაგიოგრაფი მწერლისათვის იდეალური ადამიანი შეიძლება იყოს ძირითადად სასულიერო პირი. ერისკაცი მხოლოდ იმ შემთხვევაში ეზიარება სრულქმნილებას, თუკი ის მოწამეობრივად აღესრულება „ცხორებათა“ ჟანრში. ერისკაცი იდეალურობას ვერ აღწევს.

ჰაგიოგრაფიას გარდა, თავისთავადისა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საერო ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისითაც. მის წიაღში ჩამოყალიბდა ქართული მხატვრული ენა, რომლისთვისაც აღარ არსებობდა, გამოხატვის თვალსაზრისით, სიტყვა „შეუძლებელი“. აქვე ჩაისახა იდეური და მხატვრული ტენდენციები, რომლებიც სრული სახით წარმოჩინდა შემდეგდროინდელ საერო ლიტერატურაში.

ქართული სასულიერო პოეზია

ქართული სასულიერო პოეზია, კ. კეკელიძის განმარტებით, ორგვარია: ლიტურგიკული და სამოძღვრო-მოთხრობითი. პირველი შეიცავს ლიტურგიკულ ანუ საღვთისმსახურო მიზნებით შექმნილ ნაწარმოებებს, ხოლო მეორე ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც ეკლესიაში წასაკითხად არ არიან განკუთვნილნი და გამოხატავენ სარწმუნოებრივ-ზნეობრივ აზრებს, ავტორის შინაგან გრძნობებს, სულიერ განცდებს, ხილვებს. ქართული ჰიმნოგრაფია იწყება მერვე საუკუნის გასულიდან, მის პირველ ნიმუშად ითვლება იოანე საბანისძის „აბოს წამების“ მეოთხე თავი. თანამედროვე მეცნიერებაში არის ცდები ჰიმნოგრაფიული ძეგლების უფრო ადრეული საუკუნეებით დათარიღებისა. განვითარების მწვერვალს კი იგი მეათე საუკუნის მეორე ნახევარში აღწევს.

ლიტურგიკულ ჰიმნებს ეკლესიებში გალობდნენ ხოლმე. ამიტომ მათ **„გალობანი“** ან **„საგალობელი“** ეწოდებათ. „საგალობელ ჯგუფში პირველი სტროფი, ჩვეულებრივ, წარმოადგენს ზუსტ მოდელს მისი მომდევნო სტროფებისათვის. ის „უჩვენებს“ დანარჩენებს კილოსაც, საზომსაც და ერთ ტაეპში მარცვალთა რაოდენობასაც. ამ სტროფს **„ძლისპირი“** ეწოდება, ხოლო სხვებს **„ტროპარი“, „მუხლი“** ან **„დასდებელი“.**

ქართული ჰიმნოგრაფიის ყველაზე ცნობილი სახეა **იამბიკო**. იგი დაყოფილია ცალკეულ სტროფებად, რომლებიც შეიცავენ ხუთ სტრიქონს ანუ ტაეპს. „შეტყუებას". მაშასადამე, მთელ სტროფში სულ სამოცი მარცვალია... თორმეტმარცვლიანი ტაეპი **მახვილით** ანუ **ცეზურით** (რომლის მაგივრობას ტექსტში წერტილი ასრულებს) ორ ნაწილად იყოფა. პირველში ხუთი მარცვალია, მეორეში – შვიდი, თუმცა შეიძლება პირუკუც იყოს: 7 და 5. იამბიკოში რითმა სავალდებულო არ არის, თუმცა ძალიან იშვიათად რითმის ჩანასახს მაინც ვხვდებით.

კ. კეკელიძე: „ჰიმნების გალობით შესრულების სახელმძღვანელოდ საეკლესიო პრაქტიკამ შედარებით ადრე... შეიმუშავა საგანგებო ნიშნები, რომლებიც ხმის აწევ-დაწევასა და გაგრძელებას უჩვენებენ, ერთი სიტყვით, თანამედროვე ნოტების ფუნქციებს ასრულებდნენ. უნდა შევნიშნოთ, რომ ებრაელთა საღვთისმსახურო პრაქტიკის მიხედვით, ქრისტიანებიც თავიანთ ეკლესიებში გალობდნენ არა მარტო ჰიმნებს, არამედ საღმრთო წერილსაც... ყოველ შემთხვევაში, ეს თუ ნამდვილი გალობა არ იყო, არც ჩვეულებრივი კითხვა იყო: ხმის აწევ-დაწევითა და მოდულაციით მკითხველი თითოეულ სიტყვას აგონებდა მსმენელს და შესაფერის გრძნობებს უღვიძებდა მას გულში. ამ შემთხვევისათვის საგანგებო ნიშნები ყოფილა შემუშავებული და ეს ნიშნები ქართველებსაც სცოდნიათ, კერძოდ, გიორგი მთაწმიდელს (XI ს.), რომელსაც მის მიერ ნათარგმნი სახარებისათვის დაურთავს ის ბოლოში..." საკუთრივ ჰიმნებთან ასეთ ნიშნებს ჩვენ უკვე მეათე საუკუნის ხელნაწერებში ვხვდებით.

ქართული ფილოსოფიური აზროვნება

როდესაც ძველი ქართული მწერლობის პირველ პერიოდზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება საგანგებოდ არ შევეხოთ ქართველთა მიერ გამოვლენილ დიდ ინტერესს ფილოსოფიური აზროვნებისადმი. „ფილოსოფია" ბერძნული სიტყვაა და „სიბრძნის სიყვარულს" ნიშნავს. ადამიანი უხსოვარი დროიდან განჭვრეტდა სამყაროს ფილოსოფიურად. რას ნიშნავს ფილოსოფიურად აზროვნება? ეს არის ბუნების, საზოგადოებისა და, საერთოდ, ადამიანური ყოფის უზოგადეს კანონზომიერებათა მოაზრება, მათ არსში წვდომა. ყოველი ცალკე აღებული მეცნიერება სამყაროს გარკვეულ კანონებს სწავლობს, ფილოსოფია კი მხოლოდ უზოგადეს კანონებს ეხება, ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფილოსოფია მეცნიერებათა მეცნიერებაა. მისი ორი უმთავრესი ფუნქციაა, გაარკვიოს, რაგვარად არსებობს სიცოცხლე და საით არის მიმართული სიცოცხლის განვითარება, რა აზრით არის დატვირთული ის. კიდევ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფილოსოფია – ეს არის სამყაროს ახსნა გარკვეული მსოფლმხედველობის საფუძველზე. ოღონდ კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ სამყაროს ახსნაში სტატიკაც იგულისხმება და დინამიზმიც. ფიქრი ასეთ დროს აღნაგობასაც ეხება (რაგვარად არის მოწყობილი სამყარო, რა კანონებს ეფუძნება მისი არსებობა) და განვითარების ტენდენციასაც.

ფაზისის რიტორიკული სკოლა

ახლა, როგორც ძველი ქართველი მწერალი იტყოდა, „პირველსავე სიტყუასა აღვიდეთ“, ანუ წინა სათქმელს დავუბრუნდეთ. საქართველოში ფილოსოფიური აზროვნების კულტურა იმთავითვე არსებობდა. უკვე ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში ჩვენში დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ფილოსოფიურ მუშაობას ეწევა ფაზისის რიტორიკული სკოლა, რომელშიც არა მხოლოდ ადგილობრივნი ეუფლებოდნენ ცოდნის იმდროინდელ უმაღლეს დონეს, არამედ ისე დიდად ცივილიზებული ქვეყნის წარმომადგენლებიც, როგორიც საბერძნეთია. შემონახულია დოკუმენტური ცნობა, რომელიც მოწმობს, რომ ამ სკოლაში სწავლობდა ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი თემისტიოსი. ეს ფაქტი ფაზისის რიტორიკული (სამჭევრმეტყველო) სკოლის მაღალ საერთაშორისო ავტორიტეტზე მეტყველებს. უნდა ითქვას, რომ ხსენებული სამჭევრმეტყველო სასწავლებელი ანტიკურ ფილოსოფიურ და რიტორიკულ ტრადიციას ეყრდნობოდა, თანდათანობით კი, როდესაც საქართველოში ქრისტიანული ცხოვრებისა და აზროვნების წესი დამკვიდრდა, ფილოსოფია ჩვენში შეერწყა თეოლოგიას ანუ ღვთისმეტყველებას, მაშასადამე, ფილოსოფიური აზრქმნადობა რელიგიის საბურველში გაეხვია და მოძღვრება სიბრძნეზე, ჭეშმარიტზე დაეფუძნა მოძღვრებას ღმერთზე. ფილოსოფია „გაქრისტიანდა“. როდესაც ამ სახის ფილოსოფიურ აზროვნებაზე ვმსჯელობთ, უწინარეს ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ ერთი უდიდესი პიროვნების, საქვეყნოდ ცნობილი მოაზროვნის სახელი. ეს კაცი, რომლის ფილოსოფიური ნააზრევიც ბევრი გამოჩენილი და აღიარებული მოღვაწის ფიქრსა და განსჯას დაედო საფუძვლად, მთელ მსოფლიოში მოიხსენიება ფსევდო-დიონისე არეოპაგელად, ანუ ცრუ დიონისე არეოპაგელად, თუმცა ბოლო დროს გავრცელდა შეხედულება, რომ ის შეიძლება სწორედ ნამდვილი დიონისე არეოპაგელი იყოს.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელი

ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში საბერძნეთში ცხოვრობდა ერთი კაცი, დიონისე, რომელიც ათენის არეოპაგის ანუ სამსჯავროს წევრი იყო. იგი პავლე მოციქულის სულიერი შვილი ყოფილა და სულ მალე ათენის ეპისკოპოსიც („ეპისკოპოს“, ბერძნული სიტყვაა და „ზედამხედველს“ ნიშნავს) გამხდარა. ამ პიროვნებამ ქრისტიანულ სამყაროში უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა და სწორედ მას მიეწერებოდა საქვეყნოდ ცნობილი ფილოსოფიური შრომები (ცხადია, თეოლოგიის სახით წარმოდგენილი), ე. წ. „არეოპაგიტული მოძღვრება“, რომელსაც დაყრდნობიან შემდეგ საუკუნეთა ტიტანები, მათ შორის, შოთა რუსთაველი და დანტე ალიგიერი. ბუნებრივია, ასეთი დიდი ღირებულების მქონე ფილოსოფიური სისტემის ავტორისადმი ინტერესი საყოველთაო იყო, მაგრამ შუა საუკუნეებშივე გაირკვა, რომ ეს ნაწერები

ეკუთვნოდა არა პირველში, არამედ მეხუთე საუკუნეში მცხოვრებ კაცს და, ამდენად, დიონისე არეოპაგელი არეოპაგიტული წიგნების ავტორი ვერ იქნებოდა – მას ვიღაც უცნობმა მხოლოდ მიაწერა ეს პატივი (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მოსაზრებას, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იყო გაბატონებული, ახლა სერიოზული კრიტიკოსები გამოუჩდნენ).

დაიწყო ხანგრძლივი ძიება, მაგრამ იგი უშედეგო აღმოჩნდა – ვინ იყო ჭეშმარიტი ავტორი დიდებული მოძღვრებისა, რომელიც VI საუკუნის 30-იანი წლებიდან მოევლინა მსოფლიოს, გაურკვეველი რჩებოდა XX საუკუნის 40-იან წლებამდე.

შალვა ნუცუბიძის აღმოჩენა

და აი, 1942 წელს გამოქვეყნდა დიდი ქართველი მეცნიერის, შალვა ნუცუბიძის, წიგნი: „ფსევდო-დიონისე" არეოპაგელის საიდუმლოება", რომელშიც ავტორი ამტკიცებდა, რომ ფსევდო-დიონისე არეოპაგელი სხვა არავინაა, თუ არა ბიზანტიაში მძევლად წაყვანილი ქართველი უფლისწული, შემდგომში გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე, ქალაქ მაიუმის ეპისკოპოსი პეტრე იბერიელი. მაგრამ ამ დროს მსოფლიო ომი მძვინვარებდა და, ცხადია, სამეცნიერო ინფორმაცია ნაკლებად ვრცელდებოდა, ამიტომ შ. ნუცუბიძის აღმოჩენა ევროპული და მსოფლიო მეცნიერებისათვის პრაქტიკულად უცნობი დარჩა.

ზუსტად 10 წლის შემდეგ, 1952 წელს, ბელგიელმა აკადემიკოსმა ერნსტ ჰონიგმანმა გამოაქვეყნა ნაშრომი („პეტრე იბერიელი და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის შრომები"), რომელშიც, შ. ნუცუბიძისგან განსხვავებული არგუმენტაციით, იმავეს ამტკიცებდა, რასაც ქართველი მეცნიერი. სამეცნიერო სამყარო შეძრა ამ მიგნებამ. მას „განსაცვიფრებელი აღმოჩენა" უწოდეს. ასე შეიქმნა ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია.

ამ თეორიას მიმდევრებიც ჰყავს და მოწინააღმდეგენიც, თუმცა, უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად იმისა, არის თუ არა პეტრე იბერიელი არეოპაგიტული წიგნების ავტორი, ეს მოძღვრება მაინც დიდად განფენილია ქართულ აზროვნებაში, ღრმა კვალს აჩნევს ჩვენს კულტურას (მარტო რუსთაველისა და გურამიშვილის დასახელებაც იკმარებს) და მისი გაცნობა უთუოდ გვმართებს.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრება

მოკლედ ამ მოძღვრების არსის შესახებ: ფსევდო-დიონისე არეოპაგელისათვის უზენაესი, უმაღლესი არსება არის ღმერთი – იგივე ქრისტიანული სამება (მამა-ღმერთი, ძე-ღმერთი და სულიწმიდა). იგია ყოველივე წარმოქმნილის მიზეზი ანუ საწყისი და საბოლოო მიზანიც. მაშასადამე, ღვთაებისგან წარმოქმნილი სამყარო გარდაუვლად მასვე მიუბრუნდება. ღმერთისაგან „გა-

მოსვლა", მისგან „გამოსხივება" (ემანაცია) იერარქიულად ხდება ანუ საფეხურეობრიობის პრინციპს ექვემდებარება. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ყოველი ზემდგომი საფეხური ქვემდგომს ანიჭებს როგორც არსებობას, ისე არსებობის წესს, ხოლო ქვედა საფეხური ესწრაფვის ზედას მსგავსებასა და მასთან შერწყმას. ეს არის ღვთაებრივი „ერთისაგან" სიმრავლის წარმოშობისა და ამ სიმრავლის ისევ „ერთში" მიქცევის საკითხი. „ერთის" სიმრავლეში განფენა და მისი უკუქცევა სოფლისა და ზესთასოფლის ერთიანობის, მათი განუყოფელი მთლიანობის განსახიერებაა. რა აკავშირებს იერარქიის სხვადასხვა საფეხურს ერთმანეთთან? არეოპაგელის აზრით, ეს არის „საღმრთო ტრფიალება" ანუ სიყვარული. სიყვარული დამბადებელი ძალაა. ის ღვთაებაში იმთავითვე იყო და „არა უტევა მან (ე. ი. ღმერთმა. – გ. მ.) უშობელად თავსა შორის თჳსსა ყოფად, არამედ აღძრა იგი მოქმედების ყოფად ყოველთავე მოქმედებისა აღმატებულობითა". სიყვარულია ის ძალაც, რომელიც „განამტკიცებს უდარესთა მიქცევად უმაღლესთა მიმართ". ღვთაება ყოველი არსისათვის ერთნაირად გასცემს სიყვარულს, სიკეთეს (ღმერთის ერთი უპირველესი სახელი „სიკეთეა" ანუ „სახიერება") და ნათელს (რომელიც „საცნაური სახიერებაა" – ხილული, შესაცნობი სიკეთეა), მაგრამ სხვადასხვა საფეხურს „მიმღებლობის" მეტ-ნაკლები შესაძლებლობა აქვს. როგორც ფსევდო-დიონისე წერს:

„ხოლო რომელი რაჲ ვერ მიიღებს ნათელს მისსა, ესე არა უძლიერებისაჲ არს, სიმცირისაჲ ნათელმიმცემლობისაჲ მისისაჲ, არამედ უმარჯობისაგან ნათელთ-მიმღებელთასა, რომელთა ვერ განიმარტეს მიღებად ნათლისა".

იერარქიის თითოეულ საფეხურზე ორი ამოცანაა: ა) ზესწრაფვა, ბ) საკუთარ თავში (შეძლებისდაგვარად) ღვთაების წარმოჩენა. აი, როგორ განმარტავს ამას ფსევდო-დიონისე: „რამეთუ თითოეულისა მღვდელ-მთავრობისა („მღვდელ-მთავრობა" სწორედ იერარქიას ნიშნავს. – გ. მ.) წილ-ხუდომილთა სრულება არს ძალისაებრ უსაკჳრველესი ყოვლისაჲ რაჲთა, ვითარცა საღმრთონი სიტყუანი იტყვიან, ღმრთისა თანა მოქმედ იქმნეს და აჩუენოს საღმრთოჲ იგი მოქმედებაჲ ძალისაებრ თავსა შორის თჳსსა გამოჩინებულად".

აქ ქვედა საფეხურის უდიდესი სწრაფვა უმაღლესისადმი, ანუ „ღმერთისა თანა მოქმედება" – ზემდგომის ტრფიალი და ბაძვა, ღმერთთან დაბრუნების უმძლავრესი სურვილი არის საწყისი განღმრთობის იდეისა, ადამიანური ბუნების ღვთაებრივამდე ამაღლების რწმენისა, რაც რენესანსული აზროვნების საფუძველთა საფუძველია.

არეოპაგიტული მოძღვრება, გავიმეორებთ, გარკვეული აზრით, ერთმანეთს არ უპირისპირებდა მატერიალურ ქვეყანასა და მარადიულ სამყოფელს, ზესთასოფელს, პირიქით, ერთ მთლიან ჰარმონიად სახავდა და „ტომით ბრძოლას" ანუ საფეხურობრივ განსხვავებას (აქ ამქვეყნიური დაპირისპირებულობის პრინციპიც იგულისხმება, რაზედაც ჩვენ უფრო გვიან ვისაუბრებთ) „საღმრთო მშვიდობით" ცვლიდა. ეს „საღმრთო მშვიდობაა" სწორედ კოსმოსური ჰარმონია: „ვინაჲცა ყოველთა მისსა მიმართ სურის (ე. ი. ყველა ღვთაებისაკენ ილტვის. – გ. მ.), რომელი-იგი ყოველთასა მას მიმო-განყოფილსა სიმრავლესა ყოვლად ერთობად მოაქცევს და ტომითსა მას ბრძოლასა ყოველთასა ერთ-სახეობითად თანა-მოკარვეობად შეაერთებს მისაღებელ მათდა ყოფითა საღმრთოჲსა მშვიდობისაჲთა".

ეს ჰარმონია სრულიადაც არ ნიშნავს აღრევასა და საკუთარი სახის დაკარგვას, თუმცა ისინი „განუყოფლად და განუწვალებლად შეერთებულ არიან ურთიერთას, არამედ ეგრეთცა ჰგიესვე რომელობაჲ მათი სახესავე და წესს ზედა თითოეულისასა“.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ განცალკევებულთა ეს ჰარმონია ყოველთვის გულისხმობს და მიანიშნებს „ერთს“, სიმბოლურად ყოველთვის მისი „მაუწყებელია“. „და მრავალნი რიცხვითა გინა ძალითა ერთ არიან სახითა“, – ამბობს ფსევდო-დიონისე არეოპაგელი. ეს „ერთი“ განმსაზღვრელი და სიმრავლისაგან დამოუკიდებელია. „და თჳნიერ (ე. ი. გარეშე – გ. მ.) ერთისა ვერ არს სიმრავლე, ხოლო თჳნიერ სიმრავლისა არს ერთი“.

ბოროტების უარსობის თეორია

არეოპაგიტული მოძღვრების ერთი დიდი დამახასიათებელია ბოროტების არასუბსტანციურობის ანუ უარსობის თეორია. რაკიღა „ყოველნი არსნი კეთილისაგან არიან“ (ჩვენ უკვე ვიცით, რომ სიკეთე, სახიერება, ღმერთის სახელია), არ შეიძლება, რომ ბოროტებას არსი ჰქონდეს – სიკეთისაგან ბოროტება ვერ დაიბადება. აქედან გამომდინარე, რაკი ბოროტება ღვთისგან არ დაბადებულა, ის არც არსებობს ანუ არსება არა აქვს. მაშ, რა არის შური, გაუტანლობა, ავადმყოფობა, სიკვდილი, რასაც ცხოვრებაში ხშირად ხვდება ადამიანი? ეს სიკეთის დაკლებულობაა, – ამბობს არეოპაგიტული კორპუსის ავტორი. რაც შექმნილია, სიკეთისაგან მოკლებული არაფერია – თვით ეშმაკიც კი არ არის ბოროტი: „ვინაჲცა არცა ეშმაკთა შორის, არცა ჩუენ შორის არს ბოროტი, ვითარ იგი არს ბოროტი, არამედ ვითარცა მოკლებაჲ და ოხრებაჲ თჳსთა კეთილთა სრულებისაჲ“. ასე რომ, ბოროტებას არსი არა აქვს, ის არსისგან გაქცევაა, მისი უარყოფაა და რაკი მხოლოდ არსი შეიძლება იყოს მარადიული, ამიტომ ბოროტება, როგორც არსის არმქონე, დროში შეზღუდულია და განწირულია დასაღუპად სიკეთესთან შერკინებაში. სწორედ ამ აზრს ეფუძნება „ვეფხისტყაოსანში“ რუსთაველი, როდესაც საგანგებოდ იმოწმებს ფსევდო-დიონისეს:

„ამ საქმესა დაფარულსა, ბრძენი დივნოს განაცხადებს:
ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს,
ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს,
თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს“.

ჩვენ კიდევ მივუბრუნდებით არეოპაგიტულ მოძღვრებას, ამიტომ ახლა სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები

ძველი ქართული მწერლობის პირველი პერიოდის მიმოხილვა სრული ვერ იქნება, თუკი არ ვახსენებთ ისეთი დიდი მნიშვნელობის მოვლენას, როგორიც იყო ქართული სასულიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების არსებობა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ. ეს ცენტრები მონასტრები იყო. საერთოდ უნდა ვიცოდეთ, რომ განათლება, კულტურული მოღვაწეობა სასულიერო წოდების უფლებაში შედიოდა, საერო განათლების ცენტრები შედარებით გვიან წარმოიშვა. რა მიზნები ჰქონდა მონასტრების საზღვარგარეთ მშენებლობასა და ფუნქციონირებას? ასეთი მიზანი რამდენიმე იყო – უმთავრესნი მოვიხსენიოთ.

1. უწინარეს ყოვლისა, ეს იყო სარწმუნოებრივი მიზანი, რომელიც განაპირობებდა ყველაფერს დანარჩენს – სულიერი ცხოვრების მოძიება მორწმუნე კაცის უპირველესი საფიქრალია.

2. გარდა პიროვნულისა, სამონასტრო ცხოვრებას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც ჰქონდა – მონასტრები ერთგვარი „კულტურული ელჩების" როლს ასრულებდნენ. როგორ უნდა გავიგოთ ეს? არც ერთი ხალხი აბსოლუტურად დამოუკიდებლად არ არსებობს – ეროვნული ისტორია იზოლირებული არ არის მსოფლიო ისტორიისაგან. ამასთან ერთად, გარდა ზოგადსაკაცობრიო თანაარსებობისა, არის კიდევ რეგიონული, ე. ი. გარკვეული გარემოთი განსაზღვრული ინტერესები (ვთქვათ, ევროპული ცივილიზაციის სფერო, კავკასიის ცივილიზაციის სფერო და ა. შ.), რელიგიურ ინტერესთა თანხვედრა და კულტურული სიახლოვეც. ერის ისტორიას მხოლოდ ამგვარ ინტერესთა ჭრილში უნდა შევხედოთ. სიტყვა „ინტერესი" შეიძლება აქ მთლად ზუსტადაც არ იყოს მოხმობილი – ხალხების თანაარსებობის პრინციპებს ხომ არა მხოლოდ მათი ნება, არამედ ისტორიის კანონზომიერებაც აპირობებს. ჩვენ არ აგვირჩევია არც ჩვენი მეზობლები და არც ტრადიციული კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური პარტნიორები – ეს ისტორიული „მოცემულობაა" და ჩვენ მოვალენი ვართ ჩვენი ეროვნული სახისა და ღირსების დაუკარგავად თანავიარსებოთ ამ „მოცემულობასთან".

მაგრამ რაც ითქვა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ერის ურთიერთობა სხვა ერებთან თავსმოხვეული რამ არის, პირიქით! ისევე როგორც ერთი კაცი, მთლიანად ერიც, საზოგადოებრივია, სოციალური ერთეულია, მისი არსებობა სხვებთან ურთიერთობის, ყოველდღიური კონტაქტის გარეშე უბრალოდ წარმოუდგენელია. მარტოსული ერი არამცთუ არ არსებობს, რომც ყოფილიყო, მისი არსებობა კარჩაკეტილი, უბადრუკი და საოცრად ერთფეროვანი იქნებოდა. საერთოდ, კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობის უმთავრესი და უზოგადესი კანონია მრავალფეროვნება – ერთსახოვნება, „გაერთმნიშვნელიანება" ყოფიერების დასასრულს მოასწავებს. სწორედ ამიტომ ვხედავთ ჩვენ ისტორიულ კანონზომიერებასა და სამართლიანობას იმაში, რომ არც ერთ მსოფლიო იმპერიას მარადიულად არ უარსებია – დამპყრობლები ხომ ყოველთვის ერთი პრინციპით მოქმედებდნენ დაპყრობილი ტერიტორიების მოსახლეობის მიმართ: „მემსგავსე მე" (აკაკი ბაქრაძე) – ეს კი ერთსახეობის-

კენ სწრაფვა იყო. ცივილიზაცია, კაცობრიობის განვითარების პრინციპი თავად იცავდა თავს, როდესაც ერთსახეობას ებრძოდა. ერის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარება ეფუძნება არა მხოლოდ მის თავისთავად, შინაგან „იმპულსებს“, არა მხოლოდ ნაციონალურ „მე“-ს, არამედ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ კონტაქტებს, ურთიერთობას სხვა ერებთან. ეს ურთიერთობა მრავალმხრივ ხორციელდება. დღეს, როდესაც სივრცის სწრაფად გადალახვის პრობლემა თითქმის არ არსებობს და ყოველგვარი ინფორმაცია ჩქარა ვრცელდება, ძალიან გაადვილებულია უმჭიდროესი კონტაქტების დამყარება სხვადასხვა ქვეყანასა და ხალხს შორის, მაგრამ ადრე, რა თქმა უნდა, ეს ასე არ იყო – ნებისმიერი ინფორმაცია უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ ადამიანთან ერთად გადაადგილდებოდა, რაც ძალიან ზღუდავდა მისი გავრცელების სისწრაფესაც და სივრცესაც. ამიტომ შუა საუკუნეებში ქართველები, ისევე როგორც სხვა ერის წარმომადგენლები, სხვადასხვა ადგილას აგებდნენ ეკლესია-მონასტრებს, რომლებშიც ბერები დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდნენ. განსაკუთრებით ფასეული იყო ის, რომ მათი დაუღალავი მეცადინეობით, დიდი შრომისა და რუდუნების ფასად ქართულ ენაზე ითარგმნებოდა ყველაფერი ის, რაც აუცილებელი იყო, რათა ჩვენი ქვეყანა იმდროინდელ ევროპულ თუ აზიურ კულტურულ ცხოვრებას არ ჩამორჩენოდა და მოწინავე მსოფლიო აზროვნების წიაღში ეგრძნო თავი.

ათონის ქართველთა მონასტერი – „ივირონი“

ქართველებს ბევრი მონასტერი აუგიათ საზღვარგარეთ, მათ შორის, შესაძლოა, ყველაზე დიდი მნიშვნელობისა იყო ათონის ქართველთა მონასტერი, ანუ როგორც მას ბერძნები მოიხსენიებენ – „ივირონი“ (სიტყვასიტყვით: „ივერთა“); როგორც კ. კეკელიძე წერს: „უამისოდ (ე. ი. ათონის ქართული სავანის გარეშეო. – გ. მ.) ჩვენი კულტურის ისტორიას შეიძლება სხვა სახე და ხასიათი მიეღო“.

განა შეიძლება, ერთ მონასტერს ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს მთელი ერის ცხოვრებაში? თურმე შეიძლება, თუკი ის გამოხატავს უმთავრეს ეროვნულ მისწრაფებებსა და თან ერთვის გლობალურ, ე. ი. მსოფლიო მნიშვნელობის ტენდენციებს. მეათე საუკუნის ბოლოს მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის ასეთი ყოვლისმომცველი ტენდენცია იყო სწრაფვა ბიზანტიური კულტურული ცხოვრებისაკენ. კვლავ კ. კეკელიძეს მოვუსმინოთ:

„ბიზანტია იყო „მაღალი“ და საერთოდ პროგრესული კულტურის მატარებელი ქვეყანა. აქ ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში თავი იჩინა ძლიერმა კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობამ, რომელმაც მეთერთმეტე საუკუნეში, კონსტანტინე მონომახის აკადემიისა და მის პროფესორთა ხელმძღვანელობით, ნამდვილი რენესანსის ხასიათი მიიღო. ამ მოძრაობამ გადმოხეთქა კონსტანტინოპოლისა და საკუთრივ ბიზანტიის საზღვრები და ეგრეთ წოდებული ქრისტიანი „ბარბაროსებიც“ ჩაითრია და წარიტაცა. „ბარბაროსთა“ ცოც-

ხალი, შემოქმედი ძალები აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მიილტვიან ბიზანტიაში. აქ ეზიარებიან მის კულტურას და საკუთარი წვლილი შეაქვთ ამ კულტურის ზრდა-განვითარებაში. ამ საერთო და საყოველთაო მოძრაობასა და გატაცებას ქრისტიანული საქართველო ვერ დააღწევდა თავს: თუ მეცხრე-მეათე საუკუნეებში ის ბერძნებს უმთავრესად იმპერიის პერიფერიებზე (ე. ი. განაპირა ოლქებში) ხვდებოდა, ახლა XI-XII საუკუნეებში, ათონის, პეტრიწონის და სხვათა მონასტერთა მეოხებით შეიჭრა პირდაპირ ბიზანტიის კულტურულ ცენტრში".

VIII-X საუკუნეებში აღორძინებისა და სწრაფი განვითარების გზაზე დამდგარი საქართველო ეტოქება კიდეც ბიზანტიას, მაგრამ ეტოქება, როგორც ნიმუშს კლასიკური ქრისტიანული ქვეყნისა, ითავისებს მის მიღწევებს და, ყოველივე ამის გათვალისწინებით, საკუთარ ეროვნულ შემოქმედებით ენერგიაზე დაყრდნობით ქმნის ახალ, ორიგინალურ, ფორმითა და შინაარსით ნაციონალურ კულტურას.

ათონის ქართველთა მონასტერი აიგო 980-983 წლებში. ეს სავანე საბერძნეთში მდებარეობს. ათონის მთას სხვაგვარად მთაწმიდასაც უწოდებენ, რადგან უკვე წარმართულ ხანაში აქ უმოღვაწიათ რელიგიური კულტის მსახურებს, ხოლო VIII-X საუკუნეებიდან პირველი ქრისტიანი ღვთისმსახურიც ჩანან, რომლებმაც შემდგომ საგრძნობლად იმატეს. მთაწმიდაზე სხვადასხვა ქრისტიანი ხალხის ბევრი მონასტერია აგებული. ათონის მთა ერთგვარი ქრისტიანული რესპუბლიკაა. ამ ქრისტიანული საკრებულოს ზეობის ხანაში აქ 50000-მდე ბერი ცხოვრობდა (ალექსანდრე ალექსიძე).

როდესაც ბიზანტიის საიმპერატორო კარს მცირეაზიელი დიდებული ბარდა სკლიაროსი აუჯანყდა, ბერძნებმა დახმარება სთხოვეს ქართველთა მეფეს დავით კურაპალატს, რომელმაც ამ საქმისათვის უკვე ბერად შემდგარი თორნიკე ერისთავის სარდლობით 12000 რჩეული მეომარი გააგზავნა ერთმორწმუნე ქვეყანაში. ბიზანტიელთა და ქართველთა შეერთებულმა ლაშქარმა 979 წელს სასტიკად დაამარცხა ამბოხებული ფეოდალი; თორნიკემ დიდი ალაფი იგდო ხელთ. როდესაც მეომარყოფილი ბერი ათონს დაუბრუნდა, ქართველებმა თავიანთი საკუთარი სავანის დაარსება მოინდომეს და ამ დიდძალი ქონების საფასურად მოახერხეს კიდეც ეს. მის დამაარსებლად მიიჩნევიან იოანე და თორნიკე ათონელები (მთაწმიდელები). აქ მოღვაწე სასულიერო პირთაგან გამოირჩევიან ექვთიმე და გიორგი ათონელები, რომლებმაც დიდად შესამჩნევი კვალი დაამჩნიეს ქართულ აზროვნებას, კულტურას, წარუხოცელი ღვაწლი დასდეს ქართული ქრისტიანული თვითშეგნების ამაღლებას, ქართველი კაცის სულიერ ცხოვრებას საზოგადოდ.

სწავლა-განათლების („სასწავლენი სწავლანის“) შესახებ შუა საუკუნეების საქართველოში

ცნობილია ძველი საქართველოს ისეთი საგანმანათლებლო კერები, როგორებიც იყო ფაზისის, მოგვიანებით, გელათის, იყალთოს აკადემიები, აგრეთვე, საზღვარგარეთ მდებარე სამონასტრო კომპლექსები, სადაც, საღვთო რჯულის, ღვთისმეტყველების, უცხო ენებისა და სხვ. გარდა, მრავალ ისეთ გამოყენებით საგანსაც ასწავლიდნენ, რომელთა ცოდნაც აუცილებელი იყო ტაძრებისა თუ მრავალგვარი დანიშნულების შენობების ასაგებად, ხატებისა და ფრესკების დასაწერი საღებავების ფერების მისაღებად, ხელნაწერების შესაქმნელად, მედიკამენტების დასამზადებლად და კიდევ მრავალი სულიერი თუ ყოფითი ამოცანის განსახორციელებლად. ეს თავისთავად გულისხმობს გეომეტრიის, ბოტანიკის, მინერალოგიის, მედიცინის და სხვა საბუნებისმეტყველო თუ ჰუმანიტარულ დისციპლინათა საფუძვლების ღრმა ცოდნას.

სამწუხაროდ, ამ მხრივ მწირი ცნობები მოგვეპოვება შუა საუკუნეების საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაზე, თუმცა არაერთ თხზულებაში გაფანტული ცნობებისა და ანტიკურ-ბიზანტიური ეპოქების განათლების სისტემის გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება სასწავლო ტრადიციების გარკვეული სურათის წარმოდგენა; მითუმეტეს, რომ ბიზანტია საქართველოს მეზობელი სახელმწიფო იყო და ჩვენი ქვეყნის კულტურულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, რეგიონულ ინტერესებს უშუალოდ უკავშირდებოდა. იმასაც შევნიშნავთ, რომ შუა საუკუნეებში განათლება ადამიანის ჭეშმარიტ საკუთრებად მიიჩნეოდა. ჩვენი წინაპრების რწმენით, ის მოზარდს ანიჭებდა სულიერებას, შინაგან გაწონასწორებულობას, სიმტკიცესა და მხნეობას.

გიორგი მერჩულეს თანახმად, წმ. გრიგოლი თავის აღმზრდელებს შემდეგნაირად მიმართავს, რაშიც ჩანს შუა საუკუნეების სწავლა-განათლების პრიორიტეტები: “თქვენ იცით ძალი საღმრთოთა წიგნთა, გულისხმა გიყოფია წმიდათა მოციქულთა და მღდელმოძღვართა განსაზღვრებული კანონი წმიდისა კათოლიკე ეკლესიისაო”. თავისთავად დაისმის კითხვა: რა საგნები ისწავლებოდა ამ ეპოქის საგანმანათლებლო სასწავლებლებში, გარდა საღმრთო წიგნებისა და წმიდა მოციქულთა და მღვდელმთავართა მიერ განსაზღვრული წეს-კანონებისა? თვალს თუ უფრო შორეულ წარსულს გადავავლებთ, დავინახავთ რომ ანტიკურ ეპოქაში წამყვან სასწავლო-სამეცნიერო დარგად ფილოსოფია – “სიბრძნის სიყვარული” მიიჩნეოდა; როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში მას თეოლოგია – “ღვთისმეტყველება” ჩაენაცვლა. მსგავსად ანტიკური ეპოქის მოაზროვნეებისა, ქრისტიანი მოღვაწეებიც, როგორც წესი, მეცნიერების სხვადასხვა სფეროში წერდნენ შრომებს: ღვთისმეტყველებაში, ისტორიოგრაფიაში, მათემატიკაში, მედიცინაში, ანთროპოლოგიაში, ბიოლოგიაში, გეოლოგიაში და ა.შ., რომელთა დარგობრივი დიფერენციაციაც მოგვიანებით მოხდა.

აქვე საინტერესოა ერთი გარემოებაც: თუკი ეკლესიის მიერ, ერთი მხრივ, აკრძალული იყო ანტიკური წიგნების შესწავლა-გამოყენება, მეორე მხრივ, მათი სამეცნიერო-კვლევითი მიღწევების გათვალისწინება აუცილებლად მიიჩნეოდა. ამასთან დაკავშირებით წმ. ეფრემ მცირე (XIს.) საყურადღებო აზრს გამოთქვამს: "ამათ მიერ (წარმართული წიგნებით – გ.ა.) წინა აღუდგებოდინ შვილნი ეკლესიისანი გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა და მათითავე ისრითა განჰგურემდენ" მათ ანუ არაქრისტიან მოწინააღმდეგეებსო. ე.ი. ქრისტიანები არა მარტო საღვთო სიბრძნით, არამედ წარმართული, ანტიკური წიგნებითაც განისწავლებოდნენ და მათივე იარაღით, მათივე სიბრძნით, თხზულებებით ამარცხებდნენ არაღვთივსულიერ წინააღმდგომებსა და მწვალებლებს.

აქვე შეიძლება გაგვეხსენებინა წმ. იოანე ოქროპირის ცხოვრებიდან ის ეპიზოდი, რომელიც გვამცნობს: მან ,,დაისწავა რაჲ ღრამატიკოსობაჲ და სწავლაჲ იგი გარეშეთაჲ , მიიწია რიტორობისადაცა და ფილოსოფოსობისა". ამგვარი გარეშე სიბრძნისა და გამოცდილების შესწავლა გონების გავარჯიშებას, ენამჭევრობის ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს.

ცნობილია,რომ პირველი ქრისტიანული სასწავლებლები ჯერ კიდევ ქრისტიანობის დევნის ეპოქაში წარმოიშვა; IV საუკუნიდან ისინი აქტიურდებიან და უპირისპირდებიან წარმართულ საგანმანათლებლო კერებს. დაწყებით ეტაპზე ისწავლებოდა წერა-კითხვა, ორთოგრაფია, არითმეტიკისა და გრამატიკის საფუძვლები; იგულისხმებოდა კლასიკოსი ავტორების თხზულებათა გაცნობაც; ბიზანტიაში, მაგალითად, ჰომეროსის "ილიადასა" და "ოდისეას" კითხულობდნენ. გავიხსენოთ, რომ, ხალხური გადმოცემით, ათენში სასწავლებლად გაგზავნილი შოთა რუსთაველი გაუტაცნია ჰომეროსის პოემებს, დაუფლებია ბერძნულ, არაბულ და სპარსულ ენებსაც.

სწავლების მომდევნო ეტაპზე მოზარდები კითხულობდნენ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს, ხოლო განსაკუთრებული გულმოდგინებით ფსალმუნს სწავლობდნენ, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე ღვთისმსახურების უმთავრეს ტექსტად გამოიყენებოდა. ამ კონტექსტში "შუშანიკის წამებასა" და "აბოს მარტვილობაში" დაცული ცნობების დასახელებაც შეიძლება.

რაც შეეხება სხვა საგნებს, რომლებიც შუა საუკუნეების საქართველოშიც ისწავლებოდა; მოვიყვანთ ცნობილ ციტატას ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან": "მსწრაფლ დაისწავლა ,,დავითი" და ხმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიო, სამოძღვროჲ, ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობაჲცა ისწავა მრავალთა ენათაჲ და საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწუართნა. ხოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად; და რომელი პოვის სიტყვაჲ კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკვალი განაგდის, და განითქვა სისრულე იგი მისი სახელოვნად ყოველთა შორის. ხოლო გარეშესა მას სიბრძნესა სოფლისასა ჰბასრობნ სიტყვისაებრ მოციქულისა, ვითარმედ: გან-რაჲმე-აცოფა ღმერ-

თმან სიბრძნეჲ იგი ამის სოფლისაჲ. სიტყვაჲ მისი იყო შეზავებული მარილითა მადლისაჲთა. რაჟამს იტყვინ, ბრძნად აღიღის პირი თვისი და წესი განუჩინის ენასა თვისსა და ჰასაკისა ზრდასა თანა სათნოებაჲცა კეთილი იზარდებოდა".

მოყვანილი ციტატიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ იმ ,,საგანმანათლებლო პროგრამაში", რომლითაც წმ. გრიგოლი განისწავლა, შემდეგი ,,დისციპლინები" შედიოდა: 1) ბიბლია, უპირველეს ყოვლისა კი ,,ფსალმუნნი" და გალობით წარმოსათქმელი ტექსტები; 2) საეკლესიო სწავლა, რომელიც საეკლესიო ისტორიასაც შეიცავდა; 3) სამოძღვრო ანუ ღვთისმსახურება, ლიტურგია; 4) სხვადასხვა უცხო ენა; 5) საღმრთო წიგნები ანუ ბიბლიურთან ერთად ეგზეგეტიკური თხზულებები; 6) გარეშე სიბრძნე ანუ, სავარაუდოდ, ანტიკური ფილოსოფია; 7) მადლის მარილით შეზავებული სიტყვა ანუ მჭევრმეტყველება, რიტორიკა; 8) ქრისტიანული სათნოებანი ანუ ქრისტიანული ეთიკა.

ამ ჩამონათვალში იმ საგანთა მხოლოდ ერთი ნაწილია მოხსენიებული, რომლებსაც შუა საუკუნეების ბიზანტიასა და საქართველოში ასწავლიდნენ, რამდენიმე მნიშვნელოვანი დარგი კი არაა დასახელებული, მაგრამ შეუძლებელია, მათი საფუძვლები არ ყოფილიყო გათვალისწინებული სასწავლო პროცესში, ვინაიდან ცნობილია, რომ გრიგოლ ხანძთელი იყო საეკლესიო წეს-განგებისა და სამართლის მცოდნე, გამორჩეული ხუროთმოძღვარი, პოეტი-ჰიმნოგრაფი, საგალობელთა მუსიკოს-შემოქმედი, ადამიანთა სულიერად და ფიზიკურად განმკურნებელი, ხელნაწერთა შემქმნელ-გადამწერი, ხელოვანი და ა.შ.

აღმოსავლეთ საქრისტიანოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დარგად ითვლებოდა მათემატიკა, რომელიც პრაქტიკული მოთხოვნების შესაბამისად ვითარდებოდა. მათემატიკური გათვლები საქართველოში ასტრონომიული თუ სხვადასხვა კალენდარული თარიღის, საეკლესიო ქრონოლოგიის (მაგალითად, სამყაროს შესაქმის, იესო ქრისტეს მოძღვრების ქადაგების, აღდგომის დღისა და სხვ.), არქიტექტურული პროექტების (აქ აუცილებელი იყო გეომეტრიის ცოდნაც) შესაქმნელად გამოიყენებოდა.

მათემატიკასთან კავშირში უნდა გავიაზროთ ქიმიაც, რამდენადაც მის სწავლებას ასევე დიდი პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა, კერძოდ, ხელნაწერებში, ფრესკათა მოხატვისას, სამკურნალო წამლების დასამზადებლად. ადრებიზანტიური ეპოქიდან ცნობილიც კია სპეციალური ნიშნები ქიმიურ ნივთიერებათა გამოსახატავად, რომლებიც თანამედროვე ქიმიურ ფორმულებს ცვლიდნენ.

ქიმიასთან კონტექსტში განიხილებოდა ისეთი დარგები, როგორებიცაა ბოტანიკა, ბიოლოგია, ზოოლოგია, ანატომია და მედიცინა, რომლებიც ხალხის მრავალსაუკუნოვან დაკვირვებებთან ერთად ითვალისწინებდნენ არა მხოლოდ სოფლის მეურნეობისა და სამკურნალო საქმის ყოფით თუ მეცნიერულ განვითარებას, არამედ მათი ქრისტოლოგიური კუთხით სწავლებასაც. ასე შეიქმნა არაერთი თხზულება, რომლებშიც თვალსაჩინოა ავტორთა მცდელობა, შეძლებისდაგვარად ერთმანეთთან შეაზავონ ანტი-

კურობისა და ქრისტიანობის სამეცნიერო-საბუნებისმეტყველო გამოცდილება და წარმოდგენები.

საგანმანათლებლო სისტემის ასევე მნიშვნელოვან კვლევით დარგებად და სასწავლო საგნებად განიხილებოდა ჰუმანიტარული დისციპლინები: ისტორია, ფილოსოფია, სამართლისმცოდნეობა და საბუნებისმეტყველოდან – გეოგრაფია.

ისტორიის, ანტიკურ ეპოქაში ფილოსოფიის, გვერდით მდგომი საგნის მნიშვნელობა შუა საუკუნეებში შეიცვალა და დაუკავშირდა ბიბლიურ ისტორიას, რომელიც სამყაროსა და ადამის შესაქმიდან იწყებოდა. ამასთანავე, ძველი აღთქმა განიხილებოდა ახალ აღთქმაში აღნიშნული ამბების წინასწარუწყებებად, ხოლო ახალი აღთქმა – ძველ აღთქმაში გადმოცემულ წინასწარმეტყველებათა აღსრულებად. ჰუმანიტარული მეცნიერების ერთ-ერთი დარგში – გრამატიკაში იგულისხმებოდა არა მხოლოდ "გრამატიკა", ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, არამედ ლექსიკოგრაფია და მათემატიკა, თავისთავად, ორთოგრაფიაც. Xს.-ის უნიკალურ "შატბერდის კრებულში" შემონახულია ერთ-ერთი საყურადღებო ძეგლი, რომელშიც შეტანილია მსჯელობა ბერძნული ანბანის, სხვადასხვა ასო-ნიშნის ფინიკიური და ებრაული ანბანების ასოებთან კავშირის შესახებ, აგრეთვე, თუ რომელმა მოღვაწემ რა "შესძინა" ბერძნულ ანბანს.

რაც შეეხება სამართლისმცოდნეობას, იგი განიხილებოდა მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებებით, სჯულისკანონის შინაარსით, სხვადასხვა სამონასტრო წეს-განგებითა და ბიბლიური ტექსტების განმარტებით, რამდენადაც წმიდა წერილი არა მარტო საღვთო ისტორია და ღვთისმსახურების საფუძველთა საფუძველია, არამედ უფალსა და ადამიანს შორის "სამართლებრივი" ურთიერთშეთანხმების, ღვთის მიერ დადგენილი ოთხი აღთქმის ზნეობრივ მოთხოვნილებათა სისტემის ამსახველი ძეგლიც.

დაბოლოს, გეოგრაფია, რომელიც ასევე ანტიკურ გამოცდილებას, კერძოდ, სტრაბონის გამოკვლევებს ემყარებოდა; თუმცა შემდგომ პრაქტიკულმა სახელმწიფოებრივმა საჭიროებამ ეკლესიისა და ვაჭრობისათვის სხვადასხვა ხასიათის თხზულებების შექმნაც განაპირობა, რომლებშიც შესაბამის ეპოქათა კონკრეტული ქვეყნები და ხალხების წეს-ჩვეულებანი იყო აღწერილი. ზოგიერთი ასეთი ნაშრომის ავტორები სასულიერო პირები ან ვაჭრები იყვნენ და წერდნენ იმ მხარეთა და მიმოსვლის გზების შესახებ, სადაც მოგზაურობა მოუხდათ.

ამგვარია ზოგადი მონაცემები იმ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ტრადიციების შესახებ, რომლებიც შუა საუკუნეებში არსებობდა; თუმცა, როგორც შევნიშნეთ, სრულყოფილი სურათის აღდგენა, რა თქმა უნდა, ჭირს, მაგრამ თუ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ ჩვენი წინაპრების მოღვაწეობას, რომ ისინი იყვნენ დიდი ღვთისმეტყველები, ხელოვნები, მხატვრული სიტყვისა და მუსიკალური საგალობლების შემოქმედნი, ხუროთმოძღვარნი, ოქრომქანდაკებელნი, ხატმწერნი, მკურნალნი და ა.შ., აღნიშნული ეპოქის კულტურული, სწავლა-განათლებისა და მეცნიერების სისტემის სურათი უფრო ნათელი გახდება.

როდესაც ქართველებმა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადეს, ეს იყო ბუნებრივი რეაქცია (ცხადია, სხვა განმსაზღვრელ ფაქტორებთან ერთად) აღმოსავლეთის ხალხთა ტრადიციულ აგრესიაზე – ჩვენ, გარკვეული აზრითა და პათოსით, გავემიჯნეთ მათ სულიერად, მაგრამ არ გვავიწყდებოდა, რომ ერთმორწმუნე ქვეყანასაც შეეძლო სხვათა მსგავსი პრეტენზიები განეცხადებინა ქართულ მიწაზე; ამიტომ ბიზანტიიდან, კონსტანტინოპოლიდან კი არ მივიღეთ ოფიციალურად ქრისტიანობა (კონსტანტინოპოლი კი მართლმადიდებლური ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი იყო სხვა ოთხთან – ათენთან, იერუსალიმთან, ანტიოქიასთან და ალექსანდრიასთან ერთად), არამედ იერუსალიმიდან, რომელსაც არ შეეძლო ჩვენი ფიზიკური დამონება. მაშასადამე, დავემორჩილეთ იმას, ვისაც არ ხელეწიფებოდა საქართველოს დამორჩილება (რ. სირაძე). ამიტომ იყო, რომ ათონის ქართველთა მონასტრის დაარსებამდე ჩვენში მოქმედებდა ქრისტიანული ცხოვრების წესის განმსაზღვრელი იერუსალიმური წესდება, ე. წ. „იერუსალიმის განჩინება“. ყველაფერი ეს ძალზე ლოგიკური იყო, მაგრამ ქვეყნის სისუსტის მაუწყებელიც – ერისთვის სულერთია, „მგელი შეჭამს თუ მგლის შვილი“, წარმართი ან მაჰმადიანი გადაყლაპავს თუ ერთმორწმუნე ბიზანტია. მაგრამ როდესაც საქართველო პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად მომძლავრდა, როდესაც, როგორც გრიგოლ ორბელიანი ამბობს თავის ლექსში, „დადგა ერად სხვა ერთა შორის“, მას უკვე ნაკლებად ეშინოდა გარეშე მტრისა და შეეძლო თამამად გამოეხატა თავისი სულიერი მისწრაფება – ასეთი კი ჩვენთვის უკვე მეოთხე საუკუნიდან იყო დასავლურ-ევროპული ორიენტაცია. საქართველო თავისი შინაარსით ევროპული ქვეყანაა და რომ ეს ასეა, ამაში უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი ათონის ქართველთა მონასტერს, რომელმაც ძალუმად და შეუქცევლად წარმართა ქართველთა ეროვნული ენერგია ევროპული ცხოვრების წესისა და აზროვნებისაკენ.

ძველი ქართული მწერლობის პირველი პერიოდის ზოგადი მიმოხილვა

კონკრეტული პიროვნებები იბადებიან და იხოცებიან, მაგრამ ერი თავისი არსით უკვდავია. ქართველების მოკვდავობით განუწყვეტლივ იბადება საქართველოს უკვდავება. ნებისმიერი მწერლობა ეროვნული სულის გამოხატულებაა, მისი გამოსხივებაა. ეროვნული სული დაუშლელი, განუცალკევებელი რამაა, ამიტომ საუბარი ლიტერატურის განვითარების პერიოდებზე, ცხადია, პირობითია. ქართული მწერლობა, ყველაზე ცოტა, თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობაა (ზოგი ქართველი მეცნიერი თექვსმეტ საუკუნეს ასახელებს – მაგალითად, რევაზ სირაძე, რომელიც „წმიდა ნინოს ცხოვრებას“ მე-4 საუკუნის ძეგლად მიიჩნევს) და თუკი ჩვენ, მისი განვითარების ტენდენცი-

ების უკეთ მოსააზრებლად, ცალკეულ მონაკვეთებად ვყოფთ საზოგადოდ ლიტერატურულ პროცესს, დაშლისას ელემენტებში არ უნდა დავიკარგოთ და მთელი ყოველ წამს უნდა გვახსოვდეს.

ქართული ლიტერატურა მრავალსაუკუნოვანი მთლიანობაა

ძველი ქართული ლიტერატურა ჩვენი კულტურული ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. არ არსებობს კაცობრიული ყოფის არც ერთი, ცოტად თუ მეტად მნიშვნელოვანი, პრობლემა თუ საკითხი, რომელსაც ჩვენი წინაპრები არ შეხებოდნენ; ადამიანის ბედნიერება და ტანჯვა, ყოფიერების საიდუმლოს ამოხსნისკენ მიმართული მარადიული სწრაფვა, ადამიანისა და ღვთაების ურთიერთმიმართება, სიყვარული, მეგობრობა, თავისუფლება, სიკეთისა და ბოროტების ოდინდელი დაპირისპირება, ფიქრი წარსულსა და მომავალზე, ცხოვრების საზრისის პრობლემა – ეს ყველაფერი უცხო არ ყოფილა ძველი ქართული მწერლობისათვის; ეს და ბევრი სხვა რამეც, რითაც საერთოდ სუნთქავს ადამიანი. „არარაჲ არს ყოველივე ახლად მზესა ამას ქუეშე“, – წერია ბიბლიის ერთ-ერთ წიგნში, „ეკლესიასტეში“. მართლაც, ადამიანი უკვე იმდენი ხანია ცხოვრობს დედამიწაზე, რომ თითქოს ძნელია პრინციპულად ახალი რამის დანახვა საზოგადოებრივ ურთიერთობებში. რაც იყო, ის ხდება და რაც მოხდება, ის უკვე არის, ამიტომ წარსულიც ისეთივე დიდი მასწავლებელია ჩვენი, როგორც აწმყო და მომავლის განცდა.

ლიტერატურის შესწავლა – თვითშემეცნება

„შეიცან თავი შენი“, – ეს იყო და არის ადამიანური არსებობის ერთი უმთავრესი ფორმულა. მით უფრო ეხება ეს მთლიანად ერს. ძველი ქართული ლიტერატურის რიგიანი შესწავლის გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი ეროვნული ყოფისა თუ ცნობიერების გააზრება, უამისოდ კი ვერმისაწვდომია ჩვენი ოცნებები. რაოდენ პარადოქსულადაც უნდა აღიქმებოდეს, მხოლოდ სამშობლოს სიყვარული არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ადამიანი წესიერ პიროვნებად, პატრიოტად იწოდებოდეს; აუცილებელია სამშობლოს ცოდნაც – უნდა უყვარდეს არა მხოლოდ გულს, არამედ გონებასაც. აი, ეს იქნება მშობლიური ქვეყნის ჭეშმარიტი სიყვარული და პატივისცემაც. ერთიც არის: ადამიანი თუ საკუთარ თავს ვერ აცნობიერებს, ძნელად შეიმეცნებს საკუთარ ქვეყანასა და მთლიანად სამყაროსაც. როგორც შოთა რუსთაველი ამბობს: „მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“ – იმიტომ ვსწავლობთ, რომ ღვთისგან დადგენილი წესრიგი შევიმეცნოთ და მასში ღირსებით ჩავერთოთო.

ლიტერატურის
განვითარება

სანამ კონკრეტულად შევეხებოდეთ საკითხს, ერთი რამ უნდა ითქვას: როდესაც ჩვენ ლიტერატურის განვითარებაზე ვსაუბრობთ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ განვითარების ყოველი მომდევნო საფეხური უფრო სრულქმნილია, ვიდრე წინა – ლიტერატურა ამგვარ კანონზომიერებას არ ცნობს. ჩვენ ვერაფრით ვიტყვით იმას, რომ ბარათაშვილის პოეზია „უმჯობესია" რუსთაველისაზე, ან გალაკტიონი უფრო „მეტია", ვიდრე ვაჟა-ფშაველა. ლიტერატურის განვითარების პროცესი, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია ისტორიის მდინარებაზე, მაგრამ მხოლოდ ამით არ განისაზღვრება. ლიტერატურა არ არის მხოლოდ „რა", ის აგრეთვე არის „როგორ". საკუთრივ თემა (ანუ ის, რაზეც წერს ესა თუ ის მწერალი) არ არის ყველაზე მთავარი. უმთავრესია ის, თუ როგორ წერს შემოქმედი, აქ მჟღავნდება მისი ტალანტი, ნიჭიერების ხარისხი. შემოქმედებითი ნიჭიერება არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ საუკუნეში დაიბადა ადამიანი – ნიჭიერებას დრო არ განსაზღვრავს.

ჩანართი №3

ცასა ბეწვითა...
(ფიქრი ფიქრზე)

წარსულის ადამიანები ზოგჯერ დღევანდელებზე გაცილებით თანამედროვენი არიან. თუ საქმე ტექნოლოგიებს არ ეხება, ჩვენ ფიქრის არანაირი უპირატესობა არ გვაქვს – მისი ორიგინალურობით, სიღრმითა თუ ინტენსივობით ისინი თუ არ გვაჭარბებენ, არც ჩამოგვრჩებიან. ახალი დრო ამგვარი კომფორტის ზონას არ ქმნის და წარსულიც ისევე მეტყველებს თანამედროვე ენაზე, როგორც აწმყო. თან, კლასიკურ სინათლესთან ერთად, სიძველის მომნუსხველი სურნელიც ახლავს. ერთი მაგალითი ვიხილოთ:

ცასა ბეწვითა ეკიდა, ვნახე, კაცი და
მასვე კაცს შუბის წვერს ედგნეს დარბაზნი;
მუმლსა ზედა ჯდა, მინდორს სდევდა ქურციკთა,
და ზღვასა ზედა მოარბევდა ცხენითა
და ღაღადებდა: „ღმერთო, შენ კურთხეულ ხარ!"

ეს იამბიკო დემეტრე მეფეს, დავით აღმაშენებლის ძეს, ეკუთვნის. სტუდენტობის დროს ნავიკითხე პირველად და მას შემდეგ ჩემს ცნობიერებას არც გაშორებია. საინტერესო ტექსტია, არა?! ერთი შეხედვით, მასში არანაირი ლოგიკა არ ჩანს და თითქოს სულის თავისუფალი „მიმოქცევაა" – რაღაცდაგვარი აბსურდის ჰარმონია, რომელიც აზრს ადამიანის გონების მიღმა იძენს. არც უამისობაა, მაგრამ საქმე მთლად ასე არ არის. შუა

საუკუნეების უკიდურესად სიმბოლურენოვანი ფიქრისა და მეტყველების კვალობაზე, ამ იამბიკოსაც თავისი მკაფიოდ გამოხატული სასიცოცხლო სივრცე აქვს და მასში ცალკეული სიტყვები სხვადქმნილი მნიშვნელობით არსებობენ.

ტექსტი ადამიანის განვითარების, ცოდნისა თუ განწყობის შესაბამისად მრავალნაირად შეიძლება აიხსნას და განიმარტოს. იმის მიხედვით, თუ რა სიმბოლურ მნიშვნელობას ამოვიკითხავთ ცალკეულ სიტყვა-სახეებსა თუ მათ ურთიერთმიმართებაში, შესაძლოა, სრულიად განსხვავებულად აღვიქვათ და გავიაზროთ მთავარი სათქმელიც და ცალკეული დეტალებიც.

დღეს და ახლა ჩემი ხედვა ასეთია:

1. მთელი ლექსი არის ადამიანის სამყაროსა თუ საკუთარ წარმოსახვაში ყოფნის ერთიანი დინამიკური ხატი, რომელშიც უკიდეგანო მოძრაობა (ეკიდა, ედგნეს, ჯდა, სდევდა, მოარბევდა, ღაღადებდა) თანაარსებობს უფლის აბსოლუტური და ყოველწამიერი განცდის უძრაობასთან. ეს არის განვითარებისა და მარადისობისკენ მიპყრობილი უძრავი მზერის შემაძრწუნებლად მშვენიერი ერთობა.

2. ეს, ამავე დროს, არის შეუთავსებელთა შეთავსება, რაც ღვთის ყოვლად საკვირველი გამაერთიანებელი მნიშვნელობისა და მოქმედების მიღმა უბრალოდ შეუძლებელი და წარმოუდგენელია.

3. ადამიანი ცის (ღმერთის) ნაწილი და მისი ხატების გამომსახველია, მაგრამ ცოდვას ნაზიარები კაცის ცასთან კავშირი უკიდურესად პრობლემური და საბოლოო მარცხს მიახლებულია („ბეწვითა ეკიდა“).

4. ამგვარი სავალალო ვითარების მიუხედავად, ადამიანი ვერ და არ თმობს თავის ამპარტავნებასა და ძალაუფლებისაკენ მუდმივ, შეუჩერებელ სწრაფვას – თუ ერთი ხელით მაცოცხლებელ ბეწვს ჩასჭიდებია, მეორე ხელით სწორედ ამპარტავნების შუბი აღუმართავს, რომლის წვერსაც „დარბაზნი“, ანუ ჩვენთვის მნიშვნელოვან მიწიერ სიამეთა სიმბოლო, „ედგნეს“.

5. რას ნიშნავს ამ კონტექსტში „მუმლი“? ეს სახე აქ შორსაა ცნობილი ქართული ტექსტისა და სიმღერის („მუმლი მუხასა“) გააზრებისგან და ამქვეყნიურ წვრილმანთა მარადიულ ღირებულებებზე აღმატებას გამოხატავს. აქ ჩვეულებრივი ცხენოსანი რაინდის სახე, რომელიც სიკეთისა თუ სიყვარულის მსახურებასა და ბოროტ ვნებებთან ბრძოლას განასახიერებს, დაკნინებულია და ყველაფრის მოხვეჭის მიზანს გამოდევნებულ დამდაბლებულ პერსონაჟს – დაცემულ ადამიანს მოგვაგონებს. „ქურციკი“ აღმოსავლურ ლიტერატურაში სწორედ მიზანს გამოხატავს და მისი გამოდევნება მიზნისკენ დაუოკებელ სწრაფვას აღნიშნავს. გავიხსენოთ, მაგალითად, „ამირანდარეჯანიანი“, რომლის დასაწყისშივე ვხვდებით სანადიროდ წასულ (ნადირობა ამავე კულტურულ კონტექსტში რაიმეს მოსაძიებლად წასვლას ნიშნავს) მეფესა და მის ამალას, რომელთაც გზაზე უცნაურად ლამაზი ქურციკი გადმოუხტებათ – ძვირფასი თვლებისა და ოქროს სხეულით. მონადირეები მას გამოეკიდებიან, მაგრამ მოულოდნელი რამ ხდება – ვერც ეწევიან და არც ჩამორჩებიან. ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა ან ხედვის რაკურსი. აქ არსებითი სათქმელი ის არის, რომ მთავარი მიზანი (მიზანთა მიზანი) ადამიანისთვის ხშირად მიუღწეველი შეიძლება დარჩეს, მაგრამ მისკენ სწრაფ-


ვისას კაცი ბევრ სხვა მიზანს მიაღწევს და ეს სწრაფვა განვითარებისა და საკუთარი ცხოვრების სრულყოფის უმთავრესი საწინდარია. თუმცა ამ კონტექსტში მუმლზე ამხედრებული კაცის სწრაფვას ირონიული შეფერილობა შეიძლება ჰქონდეს, თუ ჩვენი მსჯელობის მე-2 პუნქტს არ გავიხსენებთ. 6. მომდევნო სტრიქონში კვლავ შეუთავსებლის შეთავსებაა – თითქოს ხედვის რაკურსი სრულად იცვლება და ახლა უკვე ცხენზე ამხედრებულ რაინდს ვხედავთ, რომელიც მიწიერი ვნებებისგან ადამიანის სულისთვის საგანგებოდ შექმნილი ზღვარის გადალახვას ცდილობს. საგულისხმოა, რომ უკვე გამოთქმული შეხედულების თანახმად (რომელსაც ბევრი იზიარებს), ქართული ცნობიერებისათვის ზღვა ახალი სივრცის გახსნას კი არა, შესაძლოა, სივრცის დახშობას ნიშნავდეს (ზღვარი და ზღვა). იამბიკოში კი სწორედ ამ საზღვრის გადალახვას ესწრაფვის მხედარი. ასეთი თვალსაზრისით (ზოგადად კი, ფანტასტიკური დინამიკითა და ტელეოლოგიით ანუ ერთმიზნობრიობით), ეს ტექსტი ძალიან ჰგავს ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანს“ და მის ლიტერატურულ წინამორბედადაც შეიძლება განვიხილოთ. 7. მიწიერი წვრილმან-აბსურდულობის დაძლევითა და გადალახვით ადამიანი ესწრაფვის, საკუთარ თავში კვლავ აღიდგინოს ღვთის განცდა გონებითაც და გულითაც, მოარიგოს ეს ორი – თითქოს მარადიულად შეურიგებელი – კაცობრივი სტიქია და შეუერთდეს პირველქმნილი სამყაროს უფლით დალოცვილ ჰარმონიას, ეზიაროს სულის სიმშვიდესა და მარადისობას.

მართლაც, საოცარი ტექსტია – უკიდურესი ლაკონიურობით უტეხი რწმენისა და მშვენიერი ადამიანური სევდის გამომხატველი.

იაკობ ხუცესი

„წმ. შუშანიკის წამება“

ეპოქა და ლიტერატურული ჟანრის მოთხოვნები



წმ. შუშანიკი

იაკობ ხუცესის „წმ. შუშანიკის წამება“ დღემდე მოღწეული უძველესი ქართული ლიტერატურული ძეგლია. იგულისხმება, რომ მანამდე უეჭველად არსებობდა სხვა თხზულებები, რომელთაც ნიადაგი შეუმზადეს ამ ნაწარმოებს. „შუშანიკის წამებით“ იწყება თექვსმეტსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის შესწავლა. თუმცა არსებობს სხვადასხვა მკვლევრის მოსაზრებანი იმის თაობაზე, რომ ქართული მწერლობა იწყება: ა) „წმიდა ნინოს ცხოვრებით“, ბ) „ფარნავაზის ცხოვრებით“, გ) იოანე ზოსიმეს ჰიმნით „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“.

„შუშანიკის წამების“ ყველაზე ძველი ხელნაწერი X საუკუნით თარიღდება – იგი მოთავსებულია ხელნაწერ კრებულში, რომელსაც „პარხლის მრავალთავი“ ეწოდება.

საქართველო და კულტურული სამყარო

„შუშანიკის წამებაში“, როგორც ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში, კონკრეტული ეროვნულ-ისტორიული საკითხების გვერდით აისახა მაშინდელი მსოფლიოს ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა: ბრძოლა ორ დიდ რელიგიას – ქრისტიანობასა და მაზდეანობას შორის. ამიტომ ეს მოთხრობა რამდენადმე სარწმუნოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ნაწარმოებია.

ქრისტიანობა საუკუნეთა მანძილზე საქართველოსთვის მხოლოდ რელიგია კი არ იყო, არამედ, აგრეთვე, ეროვნული ღირსებისა და კულტურული თვითმყოფობის საწინდარი: „შუშანიკის წამებაში“ სიტუაცია ისეა წარმოსახული, რომ რწმენის ღალატი ქვეყნის საქმის ღალატს, ხოლო ქრისტიანობის დაცვა – ეროვნული ინტერესების დაცვას ნიშნავს.

„შუშანიკის წამება“ თავისი მხატვრული ღირსებებითა და ისტორიული ხასიათის მონაცემებით იმსახურებს, რომ განიხილებოდეს იმდროინდელ მსოფლიო მწერლობათა ფონზე. მაშინდელი კულტურული სამყარო კი, ქართველთა ინტერესებიდან გამომდინარე, მოიცავდა ოთხ ქვეყანას: ბიზანტიას, სირია-პალესტინას, სომხეთსა და სპარსეთს.

იაკობ ხუცესის თხზულების შექმნის ეპოქა ბიზანტიური მწერლობის დასაწყისი ხანაა. ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის პირველ პერიოდად

IV-VI საუკუნეებია მიჩნეული. ამ დროს ჩამოყალიბდა თვისებრივად ახალი მწერლობა – ბერძნულენოვანი და ქრისტიანული აღმსარებლობის; ბიზანტიური მწერლობა აღნიშნული პერიოდიდან გახდა ქართული ლიტერატურის განვითარებისა და მიღწევათა საზომი. თუმცა ქართული მწერლობა საგრძნობლად განსხვავდება ბიზანტიურისაგან, რადგან იგი განსაკუთრებით გამოირჩევა ეროვნულობის ნიშნით. დღიდან საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობისა, ყოველი ძნელბედობს ჟამს, ქართველ ხალხს რწმენას, იმედსა და ძალას ნიადაგ მწერლობა უნერგავდა. ეკლესიასთან ერთად იგი იყო თანამდგომი ჩვენი ერისა. საქართველოში მწერლის წინამძღოლად წარმოდგენას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მეფეთა შორისაც ბევრი პოეტი იყო. წმ. დავით აღმაშენებელი ავტორია ფილოსოფიურ-აღმსარებლობითი ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებისა „გალობანი სინანულისანი"; დემეტრე პირველმა შექმნა საგალობელი „შენ ხარ ვენახი", ხოლო წმ. თამარს იამბიკოები დაუწერია. მწერლები იყვნენ თეიმურაზ I, არჩილი, ვახტანგ VI, თეიმურაზ II, მრავალი ბატონიშვილი.

ჰაგიოგრაფია

ქრისტიანული მწერლობის ერთ-ერთი დარგი – ჰაგიოგრაფია, რომელსაც ეკუთვნის „შუშანიკის წამება", IV-VI საუკუნეებში შეიქმნა. როგორც ზემოთ ითქვა, სიტყვა „ჰაგიოგრაფია" ბერძნულია და ნიშნავს წმიდანის (ჰაგიოს) ცხოვრების აღწერას (გრაფო).

შევჩერდეთ იმაზე, თუ რატომ იქმნება ჰაგიოგრაფიული თხზულებები. ქრისტიანული თვალთახედვით, ყოველი ადამიანი ცოდვილია, რისი მიზეზიც არის შემდეგი: ქრისტიანობის საღმრთო წერილის – ბიბლიის, კერძოდ, ძველი აღთქმის პირველი წიგნის – „დაბადების" მიხედვით, შემქმნელი ცისა და ქვეყნისა, ყოველივე ხილულისა და უხილავისა, ღმერთია, რომელიც არსებით ერთია, მაგრამ სამპიროვანი – მამა, ძე და სულიწმიდა. უზენაესმა სამყარო გააჩინა ექვს დღეში. სულ ბოლოს, მეექვსე დღეს მან შექმნა კაცი – ადამი, რომლისთვისაც თავიდანვე მოამზადა სამოთხე, მშვენიერი ბაღი ედემში. ღმერთმა დაასახლა ადამი სამოთხეში და უბრძანა, რომ მოევლო მისთვის. საჭმელად კაცს ღმერთმა მისცა ბალახის თესლი და ხის ნაყოფი და თან ასეთი მცნება დაუწესა: „არ ჭამო კეთილი და ბოროტის ცნობის ხის ნაყოფი და თუ ჭამო, მოკვდეო". ეს ხე შუა სამოთხეში იდგა. რადგან ადამს არ ჰყავდა „შემწე მსგავსი მისი", ღმერთმა იგი დააძინა, გამოუღო ერთი ნეკნი, შეუქმნა შემწე და მოუყვანა. ადამმა სახელად მას ევა – „ცხოვრება" დაარქვა.

სამოთხეში ყოფნის დროს ადამი და ევა იყვნენ ნეტარებაში. მათ გამოულევლად ჰქონდათ საზრდო, ტანისამოსი კი სრულებით არ სჭირდებოდათ, რადგან იყვნენ უმანკონი და უცოდველნი, სინდისი წმინდა ჰქონდათ და არ რცხვენოდათ. ისინი არც სიკვდილს მოელოდნენ – არ იცოდნენ შური, მტრობა და სიძულვილი.

ადამისა და ევას ნეტარება შეშურდა ეშმაკს – სატანას (ებრაულად „წინააღმდგომი"). სატანა ღმერთის მიერ პირველ დღეს შექმნილი უხილავი ქვეყ-

ნის – ანგელოზთა წევრი იყო. სიტყვა „ანგელოზი“ ნიშნავს მაცნეს, მაუწყებელს. ასე ისინი იმიტომ იწოდებიან, რომ ღვთის განგებით მიიღებდნენ ხოლმე კაცის სახეს, გამოეცხადებოდნენ წმიდა კაცებს და აუწყებდნენ უზენაესის ნებას. სატანაც, თავდაპირველად, მსგავსად სხვა ანგელოზებისა, კეთილი სული იყო, მაგრამ შემდეგ გაამპარტავნდა, შეაცდინა და მიიმხრო ბევრი ანგელოზი და მოინდომა ღმერთთან გათანასწორება. ღმერთი მათ განურისხდა და გადმოყარა ციდან, მოაკლო ისინი სასუფეველს. ამგვარად, ანგელოზები განიყვნენ კეთილ და ბოროტ სულებად.

სატანამ მიიღო გველის სახე, რომელიც „იყო უგონიერეს ყოველთა მხეცთა“, მივიდა ევასთან და დაარწმუნა, თუ შეჭამთ კეთილისა და ბოროტის ცნობის ხის ნაყოფს, „განგეხუნენ თქუენ თუალნი და იყვნეთ, ვითარცა ღმერთი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისაო“ (დაბადება, 3.5). ევამ დაივიწყა ღვთის ბრძანება, მოწყვიტა აკრძალული ნაყოფი, მიირთვა და ადამსაც აჭამა. ამით მათ დაარღვიეს ღვთისაგან მიცემული მცნება. ღვთის მცნების დარღვევა არის ცოდვა. ამის შემდეგ უზენაესმა ადამი და ევა განდევნა სამოთხიდან, ოღონდ მან კაცობრიობას აღუთქვა, რომ მოუვლენდა მაცხოვარს – მესიას ანუ ქრისტეს, რომელიც თავისი სისხლით – ჯვარზე გაკვრით ადამიანებს იხსნიდა ცოდვებისაგან. ამრიგად, ქრისტიანული რელიგიის თანახმად, პირველ-მამის – ადამის ცოდვა კაცობრიობის მთელ მოდგმას, თითოეულ მოკვდავს შეეხო. ამიტომაც მითითებულია ახალ აღთქმაში: „და ვითარცა იგი ადამის გამო ყოველნი მოწყდებიან, ეგრეთცა ქრისტეს მიერ ყოველნი ცხოველ იქმნენ“ (I კორინთელთა მიმართ, 15.22).

აქედან გამომდინარე, ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში მოთხრობილია იმ პირთა შესახებ, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობით იმეორებენ ადამის მოდგმის მხსნელისა და ცოდვათა გამომსყიდველის – იესო ქრისტეს ცხოვრების გზას.

ისიც ითქვა, რომ ჰაგიოგრაფიაში ორი ქვეჟანრი გამოიყოფა: ერთში მოთხრობილია იმ პირთა შესახებ, რომელთაც იღვაწეს და ქრისტეს მსგავსად მოწამებრივად აღესრულნენ, ე. ი. იმარტვილეს. „მარტვიროს“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მოწმეს, თავისი სისხლით დამმოწმებელს, დამამტკიცებელს. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ მოწმე ქართულ აზროვნებაშიც დაუკავშირდა „მოწამეს“ და არა „ტანჯულს“ ან „ნაწვალებს“. ასეთმა პირმა თავისი სისხლით დაამოწმა, დაადასტურა ქრისტეს ერთგულება, გახდა „მოწამე ღმრთისაჲ“.

ჰაგიოგრაფიული თხზულებებში მოთხრობილია, აგრეთვე, ქრისტიანული რწმენის ერთგულ იმ პირთა შესახებაც, რომელთაც ქრისტეს მსგავსად იცხოვრეს, მაგრამ მოწამებრივად არ აღსრულებულან. მამათა ცხოვრების აღმწერელ წიგნს პატერიკი ეწოდება, ხოლო დედათა ცხოვრებისას – მატერიკი, რაც ქართულად, შესაბამისად, მამათა და დედათა ცხოვრების წიგნებს ნიშნავს. ზოგადად, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა პერსონაჟების სულიერი იდეალი „სინანული“, „განწმენდა“ და „მოწამეობაა“.

ქართულ მწერლობაში XVIII საუკუნის დასასრულამდე იქმნებოდა მარტვილობითი ჟანრის ძეგლები, რადგან საუკუნეთა მანძილზე საქართველოში

მომხდურთაგან მოსახლეობის დევნას, ტყვეობას, წამებას ბოლო არ უჩანდა – ჩვენი მწერლობა კი მუდამ რეალურ ყოფას ეხმიანებოდა და გამოხატავდა. მარტვილობით თხზულებებში ჩვენ უმეტესად ვხედავთ ერთი ადამიანის დაუშრეტელ ენერგიას, ერთი ადამიანის უნარს, ერთი ადამიანის ძალას, რომელიც ხშირად მრავალთა და მრავალთა მაგივრად უპირისპირდება ბოროტებას, იცავს ეროვნულ-სარწმუნოებრივ პრინციპებს.

„შუშანიკის წამება“ განეკუთვნება ჰაგიოგრაფიული მწერლობის პირველ ჟანრს – მარტვილობითს. იგი შეთხზულია ქვემო ქართლში, დაბა ცურტავში, საპიტიახშოს კარის ხუცესის – იაკობის მიერ. საჭიროა აღინიშნოს, რომ V საუკუნეში ქვემო ქართლის საპიტიახშოში შედიოდა ვრცელი ტერიტორია, რომელიც მოიცავდა ბოლნისს, მარნეულს, დმანისს, ყაზახს, ტაშირს, თრიალეთს, რუსთავს. ნაწარმოებიდან ჩანს, რომ ქვემო ქართლს ეკუთვნოდა ჰერეთიც, რომელსაც ალბანეთსაც უწოდებდნენ. საპიტიახშოს ცენტრი – პიტიახშთა რეზიდენცია – იყო ცურტავი. ვარაუდობენ, რომ ცურტავი ბოლნისა და რუსთავს შორის უნდა ყოფილიყო.

„შუშანიკის წამება“ მრავალმხრივ იპყრობს თანამედროვე მკითხველის ყურადღებას. ნაწარმოებში აღძრული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და სოციალური პრობლემები, ჰუმანისტური იდეები თუ თხრობის ოსტატობა დღესაც საინტერესო საკითხავს ხდის მას.

თხზულების შექმნის ისტორიული ფონი



წმ. ვახტანგ გორგასალი

„შუშანიკის წამებაში“ აღწერილია ის პერიოდი, როდესაც ირანი საქართველოს დასამორჩილებლად ინტენსიურად და მიზანსწრაფულად ცდილობდა ქრისტიანობის აღმოფხვრასა და მაზდეანობის დანერგვას.

მაზდეანობა, იგივე ზოროასტრიზმი, როგორც რელიგია წარმოიშვა ქრისტეს შობამდე I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში ირანის მთიანი ტერიტორიის აღმოსავლეთ რაიონებში. იგი ფართოდ გავრცელდა მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ზოროასტრიზმს აღიარებდნენ ძველ ირანულ სახელმწიფოებში, ხოლო სასანიანების ეპოქიდან (226 წ.) მოყოლებული კი გაბატონებული რელიგია გახდა. არაბთა მიერ ირანის დაპყრობისა და სასანიანთა დაცემის (651 წ.) შემდეგ მოსახლეობამ მიიღო ახალი რელიგია – ისლამი (ისლამი – იგივე მაჰმადიანობა, მუსულმანობა წარმოიშვა ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნის პირველ ნახევარში).

ზოროასტრიზმმა სახელდება მიიღო ამ რელიგიის დამაარსებელ წინასწარმეტყველ **ზარატუსტრასაგან**, იგივე ზოროასტრისაგან ძველბერძნული და თანამედროვე წარმოთქმით. ზოროასტრიზმის მთავარი წიგნია **ავესტა**, რომლის ჩვენამდე მოღწეული ტექსტი მოიცავს შემდეგ ნაწილებს: იასნა (მსხვერპლთშეწირვა ან ლოცვა), იაშტები (ღვთაებისადმი მიძღვნილი ჰიმნები) და ვიდევდატი (კანონი დევებისა და ბოროტი სულების წინააღმდეგ).

ზოროასტრული **დუალიზმის** (ანუ ორსაწყისიანი რელიგიის) თანახმად, უმაღლესი ღვთაებაა **აჰურა-მაზდა** (ორმუზდი, ჰორმუზდი). ყველა დანარჩენი მასთან მიმართებაში დაქვემდებარებული ღვთაებაა. სახელი აჰურა-მაზდა ნიშნავს „მეუფე-სიბრძნეს“, „ბრძენ უფალს“.

აჰურა-მაზდამ გამოაგზავნა წინასწარმეტყველი ზოროასტრი და დაავალა მოექცია ადამიანები ახალ სარწმუნოებაზე. ზოროასტრიზმის რიტუალებში შემორჩენილია განსაკუთრებული როლი **ცეცხლის კულტისა**, როგორც უმაღლესი სტიქიისა, რომელიც ასოციაციურად უკავშირდება უმაღლეს ღვთაებას – აჰურა-მაზდას. ამიტომაც ზოროასტრიზმს (მაზდეანობას) ცეცხლთაყვანისმცემლობასაც უწოდებენ.

ზოროასტრიზმში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ადამიანს. მას აქვს არჩევნის უფლება, დადგეს ნებისმიერ მხარეს კეთილსა და ბოროტს შორის ჭიდილში. მართალი ადამიანისათვის, რომელიც იბრძვის ბოროტების წინააღმდეგ, აუცილებელია სამი წეს-მცნების შესრულება: **კეთილი აზრის, კეთილი სიტყვის, კეთილი საქმის**. ზოროასტრიზმში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, აგრეთვე, წინაპართა გზის დაცვა და განგრძობა.

ამ რელიგიის გაბატონება სურდა ირანს საქართველოში, რაც ჩვენი ქვეყნის დაპყრობას მოასწავებდა, რადგან IV საუკუნის 30-იანი წლებიდან (337 წლის სიახლოვეს) ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად მიღების შემდეგ საქართველო ირანს სულიერი და პოლიტიკური ცხოვრებით თანდათანობით საბოლოოდ გაემიჯნა. რელიგიური და პოლიტიკური დაპირისპირების ფონზეა გაშლილი ის დრამატული ამბავი, რომელიც მოხდა ცურტავში. თხზულების ერთი მთავარი გმირი, ცურტავის პიტიახში, „შვილი მთავართა“ ვარსქენი სწორედ მაზდეანობის დანერგვაში ეხმარება ირანს და ცდილობს, მტრების ძალით განმტკიცდეს და აღზევდეს. ამიტომ იცვლის იგი რჯულს და ერთგულების დამტკიცების მიზნით სურს, ცოლ-შვილიც მოაქციოს მაზდეანობაზე. ცოლი, შუშანიკი, უშიშრად წინ აღუდგა ქმრის განზრახვას.

ტექსტის დასაწყისი

ტექსტი იწყება მოულოდნელი განცხადებით: „და აწ დამტკიცებულად გითხრა თქვენ აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი“. ასეთი დასაწყისი მკვლევრებს ავარაუდებინებს, რომ მოთხრობა არასრული სახითაა მოღწეული, რომ ხელთ გვაქვს ის ნაწილი, რომელშიც გადმოცემულია

შუშანიკის აღსასრულის ამბავი. მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: იაკობ ხუცესის სტილის თავისებურება, მისი წერის მანერა რეალურ მოვლენათა მხოლოდ ძირითადი მომენტების, ყველაზე საინტერესო, დაძაბული, დრამატული კვანძების გადმოცემაა. ამიტომ ტექსტის ასეთი დასაწყისი არცთუ მთლად მოულოდნელია.

თუმცა ავტორი შუშანიკის დახასიათებისას შენიშნავს, იგი იყო „მოშიში ღმრთისაჲ, ვითარცა იგი ვთქუთ, სიყრმითგან თვისით". ეს ფრაზა იძლევა იმ მოსაზრების გამოთქმის საფუძველს, რომ იაკობ ხუცესს უნდა ეკუთვნოდეს სხვა თხზულებაც, რომელშიც გარკვეულ ისტორიულ ამბებთან ერთად მოთხრობილი იქნებოდა შუშანიკის ბავშვობის, მისი აღზრდის რეალიებიც.

ისტორიული ეპოქა, როდესაც იწერებოდა „შუშანიკის წამება", ასეთია: 428 წელს დაეცა სომხეთში არშაკიდების სამეფო ხელისუფლება, ხოლო 443 წელს ალბანეთში შეწყდა მეფის ძალაუფლება. მხოლოდ ქართლმა შეინარჩუნა სუვერენიტეტი VI საუკუნის 20-იან წლებამდე წმ. ვახტანგ გორგასლის სწორი და თანმიმდევრული სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით. ვარსქენის მიერ გადადგმული ნაბიჯი კი ირანის პოლიტიკის მიმხრობას ნიშნავდა.

ტექსტი და მისი პერსონაჟები

ნაწარმოების პერსონაჟთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თავად ავტორს – იაკობ ხუცესს. საერთოდ, არცთუ იშვიათია, როდესაც მხატვრულ ნაწარმოებში ავტორიც გვევლინება მოქმედ პირად. ძველ მწერლობაში, განსაკუთრებით ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში, როგორც წესი, წარმოდგენილია ხოლმე ავტორის სახე, რომელიც თხზულებაში ხშირად გვხვდება. ასევე ინტენსიურად მეორდება ერთი და იგივე ფორმულები, რომელნიც გამოხატავენ ავტორის მოწიწებას, მოკრძალებულობას, ერთი და იგივე ხერხი თვითდახასიათებისა; ერთი და იგივე ფრაზები მკითხველისადმი მიმართვისა. ასეთ შემთხვევებში ჩვენ იმდენად ავტორს არ ვხედავთ, რამდენადაც ვგრძნობთ მის დამოკიდებულებას ფაქტებისა და მოვლენებისადმი, უფრო მჟღავნდება მისი შემფასებლობითი პოზიცია, მისი ემოციები.

იაკობ ხუცესი – ავტორი და პერსონაჟი

სხვაგვარად არის იაკობ ხუცესი წარმოდგენილი ნაწარმოებში. იგი, ბიზანტიელი თვითმხილველი ჰაგიოგრაფებისაგან განსხვავებით, მოთხრობის ერთ-ერთი ძირითადი და აქტიური პერსონაჟია. იაკობს ნანარმოებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რადგან მასთან მიმართებაშიც იკვეთება შუშანიკისა და ვარსქენის ხასიათები.

„შუშანიკის წამება" რომ იაკობ ხუცესის მიერაა დაწერილი, ეს ჩანს თვით მოთხრობიდან, იმ ეპიზოდებიდან, რომლებშიც ავტორი პირველი პირით

საუბრობს თავის შესახებ „და მეცა, ხუცესი დედოფლის შუშანიკისა, თახა ვჰყვანდი ეპისკოპოსსა მას“: „ხოლო მე ვიჯმენ ადრე და მივიწიე დაბასა“. „შუშანიკ მრქვა მე და მე ვარქუ მას“; „მოვიდა ყრმაჲ ერთი და თქუა: იაკობ მანდ არსა? და მე ვარქუ, ვითარმედ რაჲ გინებს? და მან მრქუა: უწესს პიტიახში. და მე დამიკვირდა, თუ რაჲსა მე მიწესს ამას ჟამსა, და მივისწრაფე და მივედ, და მან მრქუა მე: უწყია, ხუცეს!..“ და სხვ.

ასე რომ, იაკობ ხუცესი კარგად იცნობს პიტიახშის ოჯახობას, უფრო მეტიც: იგი უშუალო მომსწრეა ვარსქენისა და შუშანიკის სიყრმისა, მათი შეუღლების, დაბოლოს, იმ ტრაგედიისა, რითაც დასრულდა ამ ორი პიროვნების ცხოვრება – ერთი გამოცხადდა ქართველი ერის მოღალატედ, ხოლო მეორე წმიდანად შერაცხა ეკლესიამ.

შუშანიკისა და ვარსქენის წარმომავლობა

შუშანიკი იყო სომეხთა სპასპეტის (მხედართმთავრის, სომხურად – სპარაპეტის) ვარდანის ასული. ცოტა რამ ვარდანისა და ვარსქენის მამის – არშუშას შესახებ; ვარდანი ცნობილი ისტორიული პირია, მამიკონიანთა საგვარეულოდან, სომეხთა კათოლიკოსის საჰაკ დიდის შვილიშვილი, ტარონიდან. არშუშა კი იყო ქვემო ქართლის პიტიახში. მისი ცოლი – ანუშვრამ არწრუნი ვარდანის ძმის – ჰმაიაკის ცოლის – ძვიკის და იყო. არშუშა მძევლად ჰყავდა ირანის შაჰს იეზდიგერდ II-ს (438-457 წწ.). 451 წელს ირანის წინააღმდეგ აჯანყების შემდეგ, როდესაც ბრძოლის ველზე დაეცნენ ვარდან და ჰმაიაკ მამიკონიანები, არშუშა გაათავისუფლეს. იეზდიგერდისაგან მან დიდძალი საბოძვრის გაღებით დაიხსნა ჰმაიკის ვაჟები – ვაჰანი, ვასაკი და არტაშესი და თავისთან – ცურტავში წაიყვანა აღსაზრდელად. ამ ცნობებს გვაწვდის V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ლაზარე ფარპეცი. აღნიშნულ პერიოდში უნდა მოხვედრილიყო შუშანიკიც ცურტავში, რადგან, ტექსტის მიხედვით, წამებული დედოფალი ჯოჯიკს – ვარსქენის ძმას ასე მიმართავს: „უწყი, ვითარმედ დაჲ ვარ და ერთად განზრდილნიო“.

ვარსქენი წავიდა ირანში შაჰის – პეროზის (იგივე ურმიზდ III, რომელიც მეფობდა 459-484 წწ.-ში) სამეფო კარზე, ქტეზიფონში. იმავე კარში მიიღო მაზდეანობა, მიუხედავად იმისა, რომ, არშუშასაგან განსხვავებით, „არცა ჭირი ეხილვა, არცა შიში, არცა მახვილი, არცა პყრობილებაჲ ქრისტეისათვის“. „შუშანიკის წამების“ ქართული ვერსიით შაჰმა ვარსქენს ცოლად გააყოლა საკუთარი ასული, ხოლო სომხური რედაქციით – თავისი სიდედრი. თუმცა ვარსქენის ახლად მოყვანილი ცოლი ნაწარმოებში შემდგომ არცკი ჩანს.

შუშანიკი თითქოს „წინასწარმეტყველურად“ გრძნობდა ვარსქენისაგან ამ ნაბიჯის გადადგმას და რაწამს შეიტყო, რომ მისმა ქმარმა სარწმუნოება შეიცვალა, მიატოვა სასახლე, შვილები – სამი ვაჟი და ერთი ასული და განცალკევებით დაიწყო ცხოვრება. ვარსქენისაგან ღალატი იყო ღალატი ოჯახისა, სარწმუნოებისა და სამშობლოსი. ან ეგებ ვარსქენის საქციელი შუშანიკს ასე მასშტაბური აზრით არცკი გაუგია და მას მხოლოდ საკუთარი პიროვნე-

ბის განმტკიცება სურდა: მთელი მოთხრობის მანძილზე ვარსქენი ხომ შუშანიკს სარწმუნოებრივად კი არ დევნის, არამედ ოჯახის მიტოვების გამო?! მაგრამ ერთი რამ კი მთავარია: ერთგულება შინაგანი მრწამსისა და ღალატი პრინციპებისა უბერებელი თემაა და ეს პრობლემა ყველა დროის ადამიანის წინაშე შეიძლება წამოიჭრას.

პიტიახში

ვარსქენმა ცოლის საქციელი შეურაცხყოფად მიიღო, რაც იმას მიუთითებს, და შემდგომაც მჟღავნდება, რომ ვარსქენს შუშანიკისადმი, როგორც თავისი შვილების დედისადმი, ოჯახის დიასახლისისადმი, ქალისადმი, დაბოლოს, დედოფლისადმი, გარკვეული გრძნობა ჰქონდა. ამიტომაც ვარსქენი „სახლისა მაოხრებლად სახელ სდებდა შუშანიკს“. ასეთი დამოკიდებულება „კაცი ერთი სპარსის“ სიტყვებიდანაც გამოსჭვივის: „ესევითარი სახლი მშვიდობისაჲ ვითარ საწყალობელ იქმნა და სიხარული მწუხარებად გარდაიქცაო“. თავისი კარიერის, აღმასვლის, „აღტაცებული ოცნების“ გზაზე ვარსქენმა ვერ აიტანა ცოლისაგან განდგომა, რამაც გააბოროტა კიდეც იგი. აკი აფრთხილებდა იაკობი შუშანიკს, „მწარე გონებაჲ აქვს მასო“.

მიუხედავად ამისა, შეუძლებელია ვარსქენის იოტისოდენადაც კი გამართლება. იგი არა მხოლოდ ქვეყნისა და რჯულის მოღალატეა, არამედ სასტიკი და დაუნდობელი პიროვნებაც. გავიხსენოთ, თუ რა სურათები მოსდევს ვარსქენის სანადიროდ წასვლას: „იწყო გინებად და გმობად ღმრთისა სასტიკად“, „წმიდაჲ შუშანიკ თრევით მოითრია თიხათა შიგან და ეკალთა ზედა“, უბრძანა „შეკრვაჲ მისი და ცემაჲ“; შუშანიკს მისი განკარგულებით „სცეს კუერთხი სამას ოდენ“, „ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა“, „იგი ბოროტებდა და იტყოდა“, „და დაადგინა მცველნი მას ზედა და ამცნო მათ, რაჲთა სიყმილითა მოკლან იგი“; „ნურარაჲ გგლიან, უტე მოკუდეს“! – უთხრა მცველს. ხოლო ვარსქენის ეჭვი, – „ნუუკუე მთავართაგანსა ვისმე ეცოლოს“ – მისი ტირანული ბუნების გამოვლენა უფროა, ვიდრე შუშანიკის სიყვარულისა.

ვარსქენმა სამჯერ აუტანელი შეურაცხყოფა მიაყენა შუშანიკს და ციხეში ჩასვა, სადაც წამებულმა დედოფალმა ექვსი წელიწადი დაჰყო და მეშვიდე წელს გარდაიცვალა იქვე, ცურტავში.

ნაწარმოების შექმნის თარიღი

ირანში ვარსქენი წავიდა პეროზის მეფობის მერვე წელს, მობრუნდა 468 წლის მიწურულს. 469 წლის 8 იანვარს მან პირველად აწამა შუშანიკი. სამგზის ტანჯვა-წამების შემდეგ, „ვითარცა მეშვიდე წელი დადგებოდა“, ე. ი. 475 წლის 17 ოქტომბერს („სთულის“ თვეს), დასნეულებული დედოფალი გარდაიცვალა. ერისა და სახელმწიფო ინტერესების მოღალატე ვარსქენი, იმავე სომეხი ისტორიკოსის – ლაზარე ფარპეცის ცნობით, ვახტანგ გორგასალმა

482 წელს მოაკვლევინა: „ვახტანგ მოკლა პიტიახში იგი უშჯულოჲ ვაზგენ წელსა ოცდა მეხუთესა პეროზ მეფისასა“. ნაწარმოებში ჩანს შუშანიკის გარდაცვალება და დაკრძალვა, მაგრამ არ ჩანს ვარსქენის სიკვდილი, ასე რომ, თხზულება დაწერილია შუშანიკის გარდაცვალების შემდეგ და ვარსქენის დასჯამდე, ე. ი. 476-482 წლებში.

მოღვაწეობის სახისმეტყველება

ცნობილია, რომ ერთი ყურადსაღები თვისება გამოარჩევს ქართულ ენას ძველი კულტურის მქონე სხვა ხალხთა ენებისაგან: ქართული სალიტერატურო ენა ერთიანია და განუყოფელი, მრავალი საუკუნის წინანდელი ნაწარმოებები, ორიგინალურიც და თარგმნილიც, თითქმის თანადროულივით გასაგებია განათლებული მკითხველისათვის; ხოლო, ვთქვათ, ძველბერძნულ ან ლათინურ ენებზე დაწერილი თხზულებები თანამედროვე ბერძნებისა და იტალიელებისათვის თარგმნას საჭიროებს.

დღევანდელ ქართველ მკითხველს უჭირველად, უშუამავლოდ შეუძლია თვალი გაადევნოს ქართული მწერლობის გზას უძველესი დროიდან დღევანდლამდე, ეზიაროს იმ მშვენიერებას, რომელსაც ქმნიდნენ ძველი და ახალი აღთქმის მთარგმნელნი, პირველ ქართველ მოწამეთა ღვაწლის აღმწერელნი. ასეთი ნაწარმოებია იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაც“, რომელიც სხვადასხვა ეპოქის ადამიანებმა შეიძლება ნაიკითხონ ახლებურად, თავისი ეპოქის ლიტერატურული გემოვნებისა და შემოქმედებითი პრინციპების შესაბამისად.

„შუშანიკის წამებაში“, ისევე როგორც სხვა ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში, უმთავრესად ორი ნაკადია შერწყმული: ლიტერატურული და საისტორიო. წამყვანი, რა თქმა უნდა, ლიტერატურული ნაკადია. ისტორიისადმი დიდი ინტერესიც ნაწარმოების ლიტერატურული ღირსებებითაა განპირობებული: იდეალური გმირი ისტორიული, რეალური პიროვნება უნდა ყოფილიყო.

ქართულ-სომხური ურთიერთობები

როგორც დავინახეთ, რეალური პიროვნებაა ამ თხზულების არა მხოლოდ იდეალური გმირი – შუშანიკი, არამედ უარყოფითიც – ვარსქენი. რეალური პიროვნებაა ასევე ავტორიც, იაკობ ხუცესიც, რომელიც, როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, დადგენილ იქნა ცურტავის ეპისკოპოსად. 506 წელს დვინში გამართულ ქართველ-სომეხთა ერთობლივად გამართულ საეკლესიო კრების მონაწილე ქართველ ეპისკოპოსთა რიცხვში აღნიშნულია ცურტაკის ეპისკოპოსი იაკობი, როგორც მეხუთე მღვდელმთავარი ცურტავის კათედრისა. აქედან, იაკობ ხუცესი იაკობ ცურტაველადაც მოიხსენიება ხოლმე.

სომხეთი და საქართველო ეკლესიურად VII საუკუნის დასაწყისამდე იყვნენ დაკავშირებულნი. შემდეგ მათ შორის მოხდა განხეთქილება, რადგან

ქართველები აღიარებენ ქრისტეს ორბუნებოვნებას ანუ იმას, რომ ქრისტე ამ ქვეყანას მოევლინა როგორც ღმერთი, მაგრამ ეწამა და განიცადა ყველა ტანჯვა ისე, როგორც ადამიანმა. სომხები კი იცავენ იმ თვალსაზრისს, რომ იესო ქრისტე იყო მხოლოდ ღმერთი და მას არ შეეძლო ადამიანივით წამებულიყოო. ქართველთა აღმსარებლობას ეწოდება დიოფიზიტობა (ქრისტეს ორბუნებოვნება), სომხებისას კი – მონოფიზიტობა (ქრისტეს ერთბუნებოვნება).

V საუკუნეში სომეხი შუშანიკის მიერ სარწმუნოების ერთგულება ჩვენი ქვეყნის არსებობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისა იყო. იგი მალევე გახდა წმიდანი როგორც ქართველ, ასევე სომეხ მორწმუნეთათვის; ვინაიდან ცურტავის მრევლი იმ პერიოდში ქართულ და სომხურენოვანი იყო. ჩვენს მწერლობაში გვხვდება კიდევ ორი არაქართველი წმიდანი – სპარსელი ევსტათი მცხეთელი და არაბი აბო თბილელი. ეს ხაზგასმით მიუთითებს იმას, რომ ქრისტიანობის დაცვა ქართველი ერის ინტერესების დაცვას ნიშნავდა. სამივე მოწამე ქართველთა ეროვნულ გმირებად იქცა, მიუხედავად მათი არაქართველობისა.

ფრესკა და ჰაგიოგრაფიის გმირი

ჰაგიოგრაფიულ ძეგლთა საბისმეტყველების შესაბამისად, „შუშანიკის წამებაში" მნიშვნელოვანია არა გმირის გარეგნული სილამაზის, მშვენიერების, არამედ გმირის სულიერი ამაღლებულობის გამოხატვა. ხორციელი სილამაზე მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იგი სულის გამონაშუქშია. ასეთია ფრესკაც, რომლის დახატვისას აქცენტი კეთდებოდა პიროვნების არა ხორციელ სილამაზეზე, არამედ სულიერის გამომხატველ სხეულის ნაწილებზე – თვალებზე, წარბებზე, შუბლზე, თითებზე, ხელის მოძრაობებზე და ა. შ., რომლებიც, თავის მხრივ, მიუთითებენ ამ პიროვნებათა სულიერ განწყობილებაზე, შინაგან სიმშვიდეზე, სიწყნარეზე, ამაღლებულობაზე, ღვთაებრიობაზე.

ასეთი ფრესკულია შუშანიკის მხატვრული სახე. ამაღლებულობას წმ. დედოფალს ანიჭებს არაჩვეულებრივი სულიერი სწრაფვანი. ამგვარი სულიერი ძალა მან თანდათანობით, შინაგანი განვითარებით შეიძინა. თუმცა ერთი რამ კი უნდა ითქვას: როდესაც შუშანიკმა ვარსქენის ღალატი შეიტყო, თავიდანვე ურყევი გადაწყვეტილება მიიღო, შეენარჩუნებინა სულიერი მდგრადობა და სიმტკიცე. ეს გადაწყვეტილება უცვლელია და საბოლოო. სულიერმა ამაღლებულობამ შუშანიკში იმთავითვე დაბადა თანაგრძნობა. სიბრალულის განცდა: „საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ". თუ რატომ განიცადა ასეთი გარდასახვა შუშანიკმა, ტექსტის მომდევნო შინაარსიდან ირკვევა: სულიერებადაკარგული ნებისმიერი ადამიანი შესაბრალისია, რადგან განწირულია როგორც მიწიერ ყოფაში, ასევე იმქვეყნად მარადიული ტანჯვისთვის.

ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში დადებითი პერსონაჟი აბსოლუტურად სრულყოფილი უნდა იყოს. ზოგიერთი მეცნიერის შეფასებით, შუშანიკი ფიც-

ხი ადამიანი იყო, ვინაიდან მან ვარსქენის ძმის – ჯოჯიკის ცოლს ღვინიანი ჭიქა შეალეწა. სხვა შეხედულებით, აქ არ არის წუთიერი აფეთქების გამოვლენა. ამ ეპიზოდში იაკობ ხუცესი გვაჩვენებს, რომ დედოფლისთვის მთავარი იყო არა მოთმინებით, არამედ აქტიურად დაემტკიცებინა ვარსქენისათვის თავისი თვალსაზრისი, შეურიგებლობა, და კიდევ, რაც უფრო მთავარია, თავისი ურყევობა უნდა დაემტკიცებინა საკუთარი თავისთვის.

ზიარება

გარდა ამისა, საგულისხმოა შემდეგი გარემოებაც: ქრისტე თავისი მოძღვრების ქადაგებისას ერთგან იგავურად აცხადებს: „რომელი ჭამდეს ხორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ... რამეთუ ხორცი ჩემი ჭეშმარიტი სასუმელი არს" (იოანე მახარებლის სახარება, 6.54-55). ქრისტეს ხორცსა და სისხლში იგულისხმება პური და ღვინო. პურობაზე შუშანიკის მიერ ჯოჯიკის ცოლისთვის ღვინიანი ჭიქის შელეწვა ცხადყოფს, რომ წამებული დედოფალი ვარსქენს უჩვენებს, შენთან ერთად ქრისტეს სისხლსა და ხორცს არ ვეზიარებიო.

ქრისტიანული მსოფლმხედველობით, ზიარება (ევქარისტია) ერთ-ერთია მაცხოვრის მიერ დაწესებული შვიდი საიდუმლოებიდან. ესენია: ნათლისღება, მირონცხება, სინანული, ზიარება, მღვდლობა, ქორწინება, ზეთის კურთხევა. ადამიანის სულს მათი საშუალებით გადაეცემა მადლი უფლისა.

ზიარებით ადამიანი ღირსი ხდება მიიღოს საზრდო ცოდვებიდან თავდახსნისათვის, ხორცი და სისხლი მაცხოვრისა. „რომელი ჭამდეს ხორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგრომილ არს და მე მის თანა" (იოანე მახარებლის სახარება, 6.56). ამიტომ ღვთის ეკლესია იქაა, სადაც სრულდება ზიარების საიდუმლო.

ასე რომ, ბუნებრივია, ახალ წეს-ჩვეულებამიღებულ, ქრისტიანობისაგან განდგომილ ვარსქენთან ერთად შუშანიკი სატრაპეზოდ არ დაჯდებოდა.

ნაწარმოებიდან კიდევ ორი ეპიზოდი შეიძლება გამოვყოთ, რომლებშიც ზიარების საიდუმლოა აღწერილი: პურობაზე ნაცემ შუშანიკს მეორე დღესვე მიაკითხა იაკობმა. მან იხილა „ხატი მისი დაბძარული და განსივებული". ავტორი წერს: „ხოლო მე მცირედ ვაიძულე მიღებად ჭამადი, რომელი მოეძღვნა სამოელ ეპისკოპოსსა და იოვანეს, რამეთუ ფარულად იღვწოდეს და ნუგეშინის სცემდეს". წამებულმა დედოფალმა ვერ შეძლო ჭამადის „გემოჲს ხილვად, რამეთუ ყბანი და ზოგნი კბილნი შთამუსვრილ" ჰქონდა. „მაშინ მივიღე მცირედ ღვინოჲ და პური დავალბე და მცირედ გემოჲ იხილა", – ამბობს იაკობი.

მეორე ეპიზოდი: ექვსი წლის ნატანჯ-ნაწამები შუშანიკი „შეიქმნა და დადნა, ვითარცა ავლი". „ექვსთა წელთა შინა არცა დღისი, არცა ღამეჲ არა დაჯდის ქვე, არცა დაიძინის, არცა საჭმელი მიიღოს. გარნა დღესა ხოლო კვირიაკესა ეზიარის ხორცსა და სისხლსა ქრისტე ღმრთისა ჩუენისასა".

ქრისტეს ერთგულებით, ზიარების საიდუმლოების დაცვით – განწმენდით, სინანულითა და მოწამეობით ჭირის სანაცვლოდ სიხარულს, სატანჯ-

ველის მაგიერ – განსვენებას და გვემის, თრევისა და შეურაცხყოფის ფასად – დიდებასა და პატივს მოელის შუშანიკი „ცათა შინა დაუსრულებელსა“.

ასე სწამს ტანჯულ დედოფალს.

რწმენითი იდეალები

„შუშანიკის წამებაში“ მრავალი დაპირისპირებულობაა წარმოდგენილი: ქრისტიანობასა და მაზდეანობას, რწმენასა და ურწმუნოებას შორის, ქართველთა ბრძოლა ირანელთა წინააღმდეგ, ოჯახური დრამა, მარადიული არსებობა და „საწუთო“ ცხოვრება, ამაღლებული სულიერი მისწრაფებანი და მიწიერი ბუნება, სულიერი სიძლიერე და ფიზიკური უხეში ძალა, „სულითა ცხოველ“ და „სულითა მომკუდარ“ ყოფნა, „დიდებაჲ ღმრთისაჲ“ და „დიდებაჲ კაცთაჲ“. კომპოზიციის წამყვანი პრინციპები ამ დროს კონტრასტულობაა. ეს ძირითადი კომპოზიციური პრინციპი ნაწარმოებში ვლინდება სხვადასხვა მიმართებით: გმირთა საპირისპირო ქცევებში, ნაწარმოების პერსონაჟებთან მათ საპირისპირო დამოკიდებულებაში, ხაზგასმით საპირისპირო ტროპებში – შუშანიკი არის „სამგზის სანატრელი“, „მოწამე ღმრთისაჲ“ და „კრავი“, ხოლო ვარსქენი – „სამგზის საწყალობელი“, „მტერი ღმრთისაჲ“ და „მგელი“, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი დაპირისპირებულობაა სულისა და ხორცის ჭიდილი, რაც ადამიანის ანტინომიურ ბუნებაშია.

შუშანიკის სულისა და ხორცის ჭიდილში სული იმარჯვებს – ტანჯვის გზის გავლით მოწამემ სიცოცხლეშივე მიაღწია სულიერ სრულყოფილებას. იგი შინაგანი სიმშვიდით აღვსილი მქადაგებელია, მიმტევებელი, გზის მაჩვენებელი და შემწყნარებელი. თავიდან იგი იყო ტანჯული, გზის მაძიებელი, მერე კი ცოდვათა მონანიებით, ვედრებითა და ღაღადისით გაიმარჯვა, სრულყოფილებას მიაღწია.

სიცოცხლის სიყვარული შუშანიკში ზეცაზე ფიქრს ბადებს. იგივე სიცოცხლის სიყვარული მას სიცოცხლესთან განშორებას უმსუბუქებს, რადგან, როცა ოცნებამ რეალური განხორციელება ვერ პოვა, წამებულმა დედოფალმა საბოლოოდ ირწუნა, რომ რეალობა ამაოებაა, ხოლო ოცნება – რეალურია და იგი ზეცაში განხორციელდება. იგი ნატრობს ვარსქენთან ერთად განსჯას, „სადა არა არს რჩევაჲ მამაკაცისა და დედაკაცისა“, რადგან ვარსქენს შუშანიკის არსისთვის ზიანის მიყენება არ ხელეწიფება. მას შეუძლია ხელყოს მხოლოდ ის, რაც მოწამის არსებაში წუთიერი და წარმავალია.

შუშანიკი ნატრობს, რომ იმ ქვეყანაზე ვარსქენს „მიაგოს უფალმან“, ვინაიდან: „მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოსთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააჭნო, მშვენიერებაჲ სიკეთისა ჩემისაჲ დააბნელა და დიდებაჲ ჩემი დაამდაბლა. და ღმერთმან საჯოს მის შორის და ჩემ შორის“. ასე მკვეთრად ამჟღავნებს ამ ეპიზოდში შუშანიკი საკუთარი ქალური ბუნების სრულყოფილების, სისავსის, ღირსების შეგრძნებასა და წუხილს მისი დაკარგვის გამო. ამიტომ გამოიკვეთება წმ. დედოფლის ბუნებაში განსაკუთრებული ორი შრე – აშკარა, წმიდანური და დაფარული, ადამიანური.

სახარება და
ჰაგიოგრაფია

ჰაგიოგრაფიული მწერლობისათვის სახარების გავლენით არცთუ იშვიათია მოწამის ორჭოფობა და ჩივილი მოსალოდნელი განსაცდელის გამო. ჰაგიოგრაფები მარტვილთა მოწამებრივი მზადყოფნისა და სიხარულის გვერდით ზოგჯერ მათ შიშს, სიკვდილის წინაშე ადამიანურ ძრწოლასაც აღწერენ. ჰაგიოგრაფები გვაჩვენებენ, თუ რა სიმძიმე გადაიტანეს მათი ნაწარმოებების გმირებმა, თუ რა ძნელია, რა მწვავე სულიერ და ფიზიკურ ტკივილებთანაა დაკავშირებული სულის გამარჯვება ხორცზე; მოწამეთა ორჭოფობა, მარტოობის შიში და ჩივილი კიდევ უფრო გამოკვეთს მათი ღვაწლის სიდიადესა და მოწამეობრივი ხვედრის სიმძიმეს. ამის დასტურია ჯვარცმისას ქრისტეს ნათქვამი: „ან სული ჩემი შეძრწუნებულ არს და რაჲ-მე ვთქუა? მამაო, მიხსენ ჟამისა ამისგან, არამედ ამისთვის მოვედ ჟამსა ამას“ (იოანე მახარებლის სახარება, 12.27).

აქ წამყვანია პარადიგმული სახის – იმავე პირველსახის, კერძოდ, ქრისტეს ქმედების გამეორების აუცილებლობა. შუშანიკისთვის პირველსახე ქრისტეა და იაკობ ხუცესიც, მსგავსად მახარებლებისა, ჩივილს „აღმოახდენინებს“ ტანჯულ დედოფალს.

სხვა შემთხვევაშიც შუშანიკს ისეთ სიტუაციებში ვხედავთ, როდესაც ცხადად იჩენს ხოლმე თავს ამქვეყნიური სწრაფვანი, ჩვეულებრივი ადამიანური ტკივილი, საკმაოდ წარმოსახვითად გადმოცემული: მოწამე „მიეყრდნა ყურესა ერთსა და მწარითა ცრემლითა ტიროდა“. აქ გვაქვს მაღალმხატვრულად აღწერილი სურათი. იაკობი ნათლად, ხედვითად გვისურათხატებს თავისი პერსონაჟის მოძრაობას, გამოკვეთს გმირის სულიერ განცდებს. ჩვენი მზერა მიქცეულია ყურეში „მწარითა ცრემლითა“ მგოდებელ ქალზე, თითქოს იმასაც ვხედავთ, როგორ უთრთის მას მხრები.

როგორც ითქვა, მარტოობის გამო შუშანიკის ჩივილი ეხმიანება გოლგოთაზე ჯვარცმული ქრისტეს მიერ ნათქვამს. მოვუსმინოთ სახარებას: „ხმა-ყო იესო ხმითა დიდითა და თქუა: „...ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაჲსათვის დამიტევებ მე“? (მათე მახარებლის სახარება, 27. 46; მარკოზ მახარებლის სახარება, 15. 34).

ჯვარცმამდეც ვხვდებით ერთგვარი „ადამიანური“ სისუსტის გამოვლინებას მაცხოვრის მხრივ: „რა დავარდა პირსა ზედა თვისსა, ილოცვიდა და იტყოდა: მამაო ჩემო, უკეთუ შესაძლებელ არს, თანაწარმხედინ ჩემგან სასუმელი ესე; ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ“ (მათე მახარებლის სახარება, 26. 39).

ასეთივე ჩივილი აღმოხდება წამებულ დედოფალსაც: „და აღაპყრნა ხელნი თვისნი ზეცად წმიდამან შუშანიკ და თქვა: უფალო ღმერთო, არცა მღვდელთაგანი ვინ იპოვა მოწყალე, არცა ერისა კაცი ვინ გამოჩნდა შორის ერსა ამასა, არამედ ყოველთა მე სიკვდილად მიმითვალეს მტერსა ღმრთისასა ვარსქენს“.

მსგავს სიტყვებსვე ეუბნება მომაკვდავი მარტვილი ჯოჯიკს და მის ცოლს: „ჰყავთ წარმდებად საქმეჲ ესე ჩემი, რამეთუ არავინ იპოვა კაცთაგან, რომელსამცა აქვნდა წყალობაჲ და ტკივილი და ტკივილი ჩემთვის, რომელმანცა შეაჯერა უღმრთოსა მას საწუთროსა მეუღლესა“, ე. ი. ვარსქენს.

ტექსტის რიტმი და დიალოგები

„შუშანიკის წამებაში“ ხშირია დიალოგები. მათში ყველაზე მეტად ვლინდება ენობრივი ლაკონიზმი და სისადავე ნაწარმოების სახისმეტყველებისა. ფრაზები ზუსტია და დახვეწილი, ამასთანავე, შეკუმშული. მათში ჩანს ავტორის გემოვნება და ზომიერების გრძნობა; მაგრამ მოთხრობაში დიალოგი მხოლოდ ორ პირს შორის საუბარი არ არის; ამ დროს წამყვანია რომელიმე პერსონაჟის სიტყვა და ეს პერსონაჟი იმდენად უშუალო თანამოსაუბრეს არ მიმართავს, რამდენადაც ჩვენ, მკითხველს გველაპარაკება. საფიქრებელია, რომ ეს მხატვრული ხერხი შემოტანილია სახარებიდან, სადაც ქრისტე თავისი მოძღვრების ქადაგებისას მიმართავს ხოლმე არა იმდენად თანამოსაუბრეებს, მოპაექრეებს, მსმენელებს, თავის მოწაფეებს, რამდენადაც მკითხველს, საერთოდ, მრევლს. ეს იმასაც მიანიშნებს, რომ იმ დროისათვის სახარება ახლად ნათარგმნია და ის განსაკუთრებული გრძნობა, რომელიც მშობლიურ ენაზე მისმა წაკითხვამ წარმოშვა, ჯერ კიდევ არაა განელებული.

დიალოგები

სახარების დიალოგებთან მსგავსების დადასტურების მიზნით ვნახოთ მაგალითი: ასეთი საუბარია გამართული სახარების ერთ ეპიზოდში მაცხოვარსა და მის გარშემომყოფ ხალხს შორის: „ჰრქუეს მას: რაჲ ვყოთ, რაჲთა ვიქმოდით საქმესა ღმრთისასა? მიუგო იესო და ჰრქუა მათ: ესე არს საქმე ღმრთისაჲ, რაჲთა გრწმენეს, რომელი– იგი მან მოავლინა.

და მათ ჰრქუეს მას: რასა სასწაულსა იქმ, რაჲთა ვიხილოთ და გურწმენეს შენი? რასა იქმ? მამანი ჩუენნი ჭამდეს მანანას უდაბნოსა ზედა, ვითარცა წერილ არს: პური ზეცით მოსცა მას ჭამად.

ჰრქუა მათ იესო: ამინ გეტყვი თქუენ: არა მოსე მოგცა თქუენ პური ზეცით, არამედ მამამან ჩემმან მოგცა თქუენ პური ჭეშმარიტი ზეცით“ (იოანე მახარებლის სახარება, 6. 28-32).

ხოლო იაკობ ხუცესსა და შუშანიკს შორის კი ასეთი დიალოგი იმართება:

იაკობი: „მტკიცედ სდგაა?

და მან მრქვა მე: ნუ იყოფინ ჩემდა, თუმცა ვეზიარე საქმეთა და ცოდვათა ვარსქენისთა.

მე მიუგე და ვარქვი მას: მწარე გონებაჲ აქვს მას, გვემასა და ტანჯვასა დიდსა შეგაგდოს შენ.

ხოლო მან მრქვა მე: უმჯობეჲს არს ჩემდა ხელთა მისთაგან სიკვდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრებაჲ და წარწყმედაჲ სულისა ჩემისაჲ, რამეთუ მასმიეს მე პავლეჲს მოციქულისაგან: „არა დამონებულ არს ძმაჲ, გინა დაჲ, არამედ განეყენენ“.

იაკობ ხუცესის მიერ გადმოცემული დიალოგები სტილურად ისეთი სადა და გამჭვირვალეა, რომ ჩვენ გვესმის არა მარტო ვიღაცის ხმა, არამედ თითქოს ვხედავთ კიდეც მას, თვალწინ წარმოგვესახება მისი მოძრაობა, ჟესტი. ჯოჯიკი შუშანიკს აფრთხილებს: „უწყი მე, აწ მოავლინნეს მსახურნი და თრევით წარგიყვანოს შენ!“ წამებული დედოფალი პასუხობს: „უკეთუ შემკრას და მითრიოს, მიხარის“... ჯოჯიკი უსიტყვოდ „აღდგა და ცრემლით გარე გავიდა“ ერთი კია: მართალია, მთელი ნაწარმოების მანძილზე შუშანიკის მაზლი და მისი ცოლი მარტვილი დედოფლის თანამგრძნობლებად მოჩანან, მაგრამ თხზულების ბოლოს ისინი ისე მხურვალედ ევედრებიან მომაკვდავ მოწამეს შენდობასა და პატიებას, ფიქრი გვიჩნდება, რომ თავს დამნაშავედ გრძნობენ ტანჯული დედოფლის წინაშე, სინდისის ქენჯნას განიცდიან და სინანულის გრძნობა ეუფლებათ.

დიალოგების მსგავსებაზე მიმათითებელი მაგალითების მოყვანა სახარებიდან და „შუშანიკის წამებიდან“ კიდევ მრავლად შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია ზემოთქმულის დასადასტურებლად. „შუშანიკის წამებაში“ იაკობ ხუცესი არ არის წარმოდგენილი მხოლოდ როგორც ავტორი-მთხრობელი და როგორც ავტორი-პერსონაჟი: იგი მოწამის ტრაგედიას აღიქვამს არა მარტო მემატიანის ისტორიული თვალთახედვით, რომელსაც მთელი სიღრმით აქვს გააზრებული ამ კონფლიქტის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და სარწმუნოებრივი მნიშვნელობა ხალხისთვის და სურს შთამომავლობას დაუტოვოს გმირობისა და სიმტკიცის ამსახველი ფაქტი, არამედ ავტორი იმითაც გვხიბლავს, რომ ყოველივე ეს წმინდა ადამიანური კუთხით აქვს აღქმული და მას განიცდის როგორც საკუთარ ტკივილს, როგორც პირად უბედურებას. იაკობი ყოველთვის იშვიათი სიბრძნითა და შთაგონებით მოძღვრავს ტანჯულ დედოფალს და ამით განმაცვიფრებელ სულიერ სიმშვიდესა და სიმტკიცეს შთააგონებს მას.

რიტმი

ავტორი თავის მოთხრობაში გადმოგვცემს, თუ რა მოხდა და მაღალოსტატურად აღგვიწერს, თუ როგორ მოხდა. იგი თითქოს სულ ჩქარობს. დავუკვირდეთ იაკობის მოძრაობის დინამიკას, რიტმს: „ხოლო მე ვიჯმენ ადრე“, „და მე ვისწრაფოდი გამოსლვად“, „წარვედ სწრაფით ვანად ჩემდა“. მან იცის, რომ ყოველი ფეხის ნაბიჯზე მახეს შეიძლება გადააწყდეს.

თხზულებიდან შეიძლება გამოიყოს ორი მოძღვრის სახე: მოძღვარი იაკობისა და მოძღვარი აფოცისა. იაკობს შუშანიკი თითქოს დიდი ხანია ბრძოლისთვის გამზადებული ჰყავს – ვარსქენის და ირანის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. აქ შეიძლება დავინახოთ იაკობის გულისზრახვა. გავიხსენოთ, რას ამბობს იგი, როდესაც შეიტყობს წამებული დედოფლის მიერ სასახლის დატოვებას: „მე ვიჯმენ ადრე და მივიწიე დაბასა მას, რომელსაცა იყო ნეტარი შუშანიკ. და, ვითარცა ვიხილე იგი განმწარებული, მეცა ვტიროდე მის თანავე და ვარქვ ნეტარსა შუშანიკს: „ღვაწლსა დიდსა შესლვად ხარ, დედოფალო! – ეკრძალე სარწმუნოებასა ქრისტეჲსსა, ნუუკუე მტერმან ვითარცა სრსვილმან საძოვარი პოოს შენ თანა“. შუშანიკიც პასუხობს: „ხუცეს, და მეცა დიდსა ღვაწლსა განმზადებული ვარო“. აქ ჩანს, რომ იაკობი სულიერი შვილისკენ მიიჩქარის, საჭიროა, კიდევ ერთხელ შემოწმდეს, შეუძლია თუ არა დედოფალს აღთქმული სიმტკიცის გამოჩენა, საჭიროა, კიდევ ერთხელ შეახსენოს მოვალეობა. „მხნე იყავ, მოთმინე და სულგრძელ“, – აფრთხილებს იგი შუშანიკს.

იაკობი
და აფოცი

რაც შეეხება ეპისკოპოს აფოცს, იგი სამღვდელოების იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც ერთგვარად ლოიალურია ვარსქენის მიმართ, რადგან თავშეკავებით ეპყრობა სარწმუნოებისა და ერის მოღალატე პიტიახშს. გავიხსენოთ თხზულებიდან ერთი ეპიზოდი: აღვსების ორშაბათი მოიწია. „მოვიდა პიტიახში ბრძოლისა მისგან ჰონთაჲსა, ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა. და აღდგა და მივიდა ეკლესიად და ეტყოდა ეპისკოპოსსა მას აფოცს:

– „გამომეც ცოლი ჩემი, რად განმაშორებ ჩემგან?

და იწყო გინებად და გმობად ღმრთისა სასტიკად“.

წამებული დედოფლისა და ეპისკოპოს აფოცის დასაცავად „ხუცესმან ერთმან“ აღიმაღლა ხმა: „უფალო, რაჲსა ეგრე იქმ და იტყვი ეგრეთ ბოროტსა და აგინებ ეპისკოპოსსა და წმიდასა შუშანიკს რისხვით ეტყვი?

ხოლო მან უხეთქნა კვერთხით ხუცესსა მას ზურგსა და მან ვერღარა იკადრა სიტყვად“. ამ ეპიზოდში არ ჩანს ეპისკოპოსი აფოცის რეაქცია, თუმცა ივარაუდება, რომ მას მშვიდი, გაწონასწორებული სიტყვით უნდა დაეცხრო ვარსქენის მრისხანება. ამაზევე მეტყველებს მისი მცდელობა, დააბრუნოს წმ. დედოფალი სასახლეში.

საბოლოოდ თავად შუშანიკი გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას თავისი მოძღვრებისა და სულიერი მამების მიმართ: აღსასრულის ჟამს მან „მოუწოდა ეპისკოპოსსა მისისა სახლისასა აფოცს და მადლსა მისცემდა მისა მიმართ მოწლეობისა მისისათვის, ვითარცა მამასა და მამამძუძესა. შემავედრა მე (იაკობი – გ. ა.), კაცი ცოდვილი და გლახაკი ესე“.

მეორე რიგის
პერსონაჟები

სასულიერო წოდების პერსონაჟთაგან კიდევ გამოსაყოფია ვინმე წმინდა კაცი, რომელიც სასახლის კარისაგან მოშორებით იყო დავანებული. მისი სახე მხოლოდ ერთგან გამოკრთება თხზულებიდან. იაკობ ხუცესი შენიშნავს, რომ როდესაც შუშანიკმა მიატოვა სასახლე, მან „სახლაკი ერთი მცირე პოვა მახლობლად ეკლესიისა და შევიდა მუნ"; მაშინო „ეპისკოპოსი იგი სახლისაჲ მის პიტიახშისაჲ, რომელსა სახელი ერქუა აფოც, არა მუნ იყო, არამედ კაცისა ვისამე წმიდისა ვანად მისრულ იყო კითხვად რაჲსმე სიტყვისა. და მეცა, ხუცესი დედოფლისა შუშანიკისი, თანა ვჰყვანდი ეპისკოპოსს მას". სავარაუდებელია, რომ ეს წმინდა კაცი, რომელიც განმარტოებულა და რომელთანაც ეპისკოპოსი და მღვდელი „რაჲსმე სიტყვისა" საკითხავად მისულან, წმიდა მამა, განდეგილი ბერი, შავი სამღვდელოების წარმომადგენელია, ღვთისმეტყველებაში ფრიად განსწავლული პირია. ეს იმას მიუთითებს, რომ ამ პერიოდში საქართველოში ბერ-მონაზვნური მოღვაწეობა უკვე დაწყებული და გავრცელებულია.

საერო პირთაგან ნაწარმოებიდან ვარსქენის, ჯოჯიკის, ჯოჯიკის ცოლის გარდა წარმოდგენილია მათი შვილები, შიკრიკი, „კაცი ერთი სპარსი", მსახური, მონა-მხევალნი, „ყრმაჲ ერთი", სენაკაპანი ანუ ციხის მცველი, მოგვი დედაკაცი, ვარსქენის ძიძიშვილი. იაკობის თქმით, მომაკვდავ შუშანიკთან გამოსამშვიდობებლად მივიდნენ „აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი". ისინი წყალობას, ცოდვათა შენდობას ითხოვდნენ წამებული დედოფლისაგან: „მოგვიტევენ ბრალნი ჩვენნი და გვაკურთხენ, წმიდაო მოწამეო და მარტვილო სანატრელო ქრისტეჲს ღმრთისაო". თითქოს ბერსაც და ერსაც დაუფლებია მონანიების გრძნობა, რადგან შვიდი წლის მანძილზე მეტ-ნაკლებად ერთგვარი პასიური თანამონაწილენი იყვნენ ვარსქენის ქმედებისა; ამიტომაც მარტოდარჩენილი მარტვილი დედოფლის მიერ ჯოჯიკისა და მისი სახლეულობის მისამართით წარმოთქმული სიტყვები, „ღმერთმან მოგიტევენინ, რომელი რაჲ-იგი-ჰყავთო", – ყველას მიმართაა ნაბრძანები. სატანჯველად და სასიკვდილოდ განწირული შუშანიკის რეალური დახმარება ხომ ვერავინ ვერ შეძლო, მხოლოდ ვახტანგ გორგასლის მიერ ვარსქენის მოკვლევინება თუღა იქნებოდა აღქმული მოღალატე პიტიახშისათვის სამაგიეროს მიზღვევად სხვადასხვა ანტიეროვნულ საქმეთა ჩადენის გამო.

დინამიკა

იაკობ ხუცესი მაღალმხატვრულად აღწერს დინამიკურ სურათებს; აი, მაგალითი: „მაშინ იწყო უჯეროსა გინებად ვარსქენ და ფერხითა თვისითა დასთრგუნვიდა მასდა, აღიღო ასტამი, და უხეთქნა მას თავსა, და ჩაჰფლა, და თუალი ერთი დაუბუშტა; და მჯიღითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოითრევდა; ვითარცა მხეცი მძვინვარეჲ ყიოდა და იზახდა ვითარცა ცოფი. მაშინ შველად აღდგა ჯოჯიკ, ძმაჲ მისი, და იბრძოდეს, ვიდრემდის გუემა იგიცა, და კუბასტიცა თავსსა მისსა მოხეთქა და ჭირით, ვითარცა კრავი მგელსა, გამოულო ხელთა მისთა და ვითარცა მკვდარი იდვა წმიდაჲ შუშანიკ ქვეყანასა ზედა. და აგინებდა ვარსქენ თესლ-ტომსა და სახლისა მაოხრებლად სახელსდებდა მას. და უბრძანა შეკრვაჲ მისი და ბორკილთა შესხმაჲ ფერხთა მისთა“.

ვარსქენი ტირანი ანუ „მძლავრია“. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „მძლავრი ესე არს ყოვლითა უშჯულოებითა აღსავსე მეფე“; სხვა ხელნაწერის მიხედვით: „მძლავრი არს ყოვლითა უსამართლოებითა აღსავსე და არაღირსი მეფე“ („ლექსიკონი ქართული“). ყველა ეს უარყოფითი თვისება ახასიათებს პიტიახშს – იგი ძლიერია და ამავე დროს მოძალადეც. როგორც ითქვა, ვარსქენის მძლავრება მხოლოდ ოჯახის მასშტაბით არ შემოიფარგლება, ვინაიდან მისი ტირანიისა და სიბოროტის სათავე სარწმუნოებისა და ერის ღალატი იყო, რაც უფრო დიდ გაქანებას გულისხმობდა.

ღალატი

აღინიშნა, რომ მაზდეანობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წინაპართა გზის დაცვა და განგრძობა. „მამამან შენმან აჰლმართნა სამარტვილენი და ეკლესიანი აღაშენა, და შენ მამისა შენისა საქმენი განჰრყვნენ და სხვად გარდააქციენ კეთლნი მისნი. მამამან შენმან წმიდანი შემოიხვნა სახიდ თვისა, ხოლო შენ დევნი შემოიხვენ“, – ეუბნება შუშანიკი ქმარს და ამით ხაზს უსვამს, რომ ვარსქენი გადაუდგა მამამისის გზას. ამდენად, მკითხველისათვის ნათელი ხდება, რომ იგი არა მარტო ქრისტიანი აღარაა, არამედ არც ის შეუძლია, ჭეშმარიტი მაზდეანი იყოს. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ: რატომ „შემოიხვნა“ ვარსქენმა მაინცდამაინც დევები? ზემოთ მივუთითეთ, რომ მაზდეანობის მთავარი წიგნის ავესტას ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ვიდევდატი – კანონი დევებისა და ბოროტი სულების წინააღმდეგ. ვარსქენს იმიტომ არ შეუძლია ჭეშმარიტი მაზდეანიც კი იყოს, რომ წინაპართა გზის დაუცველობით მან დევები – ამ რელიგიის ბოროტი სულები აღიარა. ამიტომ ვარსქენი ყოველმხრივ ბოროტების სიმბოლოა, მისთვის შეუფერებელია რაიმე დადებითი თვისება.

„რაჲ არს ეშმაკთა შორის ბოროტი?“ – სვამს კითხვას V საუკუნის ღვთისმეტყველი პეტრე იბერი და იქვე უპასუხებს: „ვეტყვით, ვითარმედ რისხვაჲ

პირუტყული, გულისთქუმაჲ უგუნური, ოცნებაჲ აღტაცებული“. სწორედ ეს თვისებები ახასიათებს ვარსქენ პიტიახშს. იაკობ ხუცესის მიხედვით, იგი არის „მტერი ღმრთისაჲ“, „ულმრთოჲ“, „ურჩულოჲ“, „უბადოჲ“, „უბადრუკი“, „ყოვლად განწირული“, მგლის, მხეცისა და ცოფის სადარი. მისი „ოცნებაჲ აღტაცებული“ კი კარიერისტობაა სარწმუნოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების, ადამიანური ღირსების ხარჯზე.

ვარსქენის მეტყველება მბრძანებლურია, მისი ფრაზა ვერ წარმოითქმება ხმადაბლა. მისი მეტყველება ხმაურიანია, ბრაზიანი, დაძაბული. ასე გვიხატავს იაკობი პერსონაჟის ნერვულ მოძრაობას – თხრობით პასაჟებს მოსდევს დაძაბული დიალოგები.

აი, როგორი მართალი და შთამბეჭდავი სურათი აქვს აღწერილი იაკობ ხუცესს, რომლითაც ხაზი ესმება ვარსქენის უგულობასა და ცინიზმს. მან ნაგვემი და შეჯაჭვული ცოლი ციხეში შეამწყვდია: „ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა: „მე ამას მხიარულ ვარ, რაჲთა აქა ვიტანჯო და მუნ განვისუენო! ხოლო პიტიახშმან ჰრქუა მას: ჰე, ჰე, განისუენე!“

კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთება ულმობელი და მრისხანე ვარსქენისა და დამფრთხალი დიაკვნის სახეები ნაწარმოების შემდეგ ეპიზოდში: „დიაკონი ვინმე ერთი მის ეპისკოპოსისაჲ დგა წმიდისა შუშანიკის თანა მას ჟამსა, რომელსა გამოჰყვანდა იგი ტაძრით, და უნდა, რაჲთამცა ჰრქუა, თუ „მტკიცედ დეგ!“ და თუალი ჰკიდა პიტიახშმან, სხუაჲ ველარაჲ სცალდა სიტყუად, ესთენ ოდენ ჰრქუა: „მტკი“... და დადუმნა ხოლო და სივლტოლად იწყო სწრაფვით“.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ვარსქენი გარკვეულწილად მომთმენი პიროვნებაა. იგი დიდხანს იტანდა ცოლის წინააღმდეგობას. ამასთანავე, პიტიახში ძალიან ფიცხიცაა, თუ გული მოუვიდა, წონასწორობას კარგავს, თავს ველარ იკავებს. ამ დროს შეიძლება ადამიანიც კი შემოაკვდეს. სამაგიეროდ, როდესაც გაბრაზება გაუვლის, თითქოს განიცდის კიდევაც იმას, რაც სიბრაზეში ჩაიდინა. აქედან იბადება აზრი, რომ ვარსქენი ერთგვარად ნებაშეუვალი მბრძანებლისა და ქმრის როლს თამაშობს, რადგან ყოველთვის იგრძნობა მისი წინააღმდეგობრივი ხასიათი.

იქნებ, შესაძლებელია, რომ ეს წიგნი ტრაგიკულ სიყვარულზეა დაწერილი?! აქ ხომ სიძულვილად გარდაქმნილი სიყვარული გვაქვს და ჩვენ, მხოლოდ სიძულვილის მოწმენი, სწორედ მისი წყალობით ვაკვირდებით და ვხვდებით, თუ რა ძალით უყვარდათ ერთმანეთი ვარსქენსა და შუშანიკს. როცა მოთმინებადაკარგულმა, გონებასგადამცდარმა პიტიახშმა ცოლს პირველად ხელი შემოჰკრა, ის ღამე თეთრად გაათენა. „და ვითარცა ცისკარ ოდენ იყო, იკითხა და თქუა მსახურისა მიმართ მისისა, ვითარმედ: წყლულებისა მისგან ვითარ არს“? ეს არის პირველი გამოფხიზლება, საკუთარ არსებაში მეორე, აქამდე უცნობი, დაუნდობელი და საზარელი არსების აღმოჩენა.

შუშანიკი მიწიერი არსებობისას ცოლია ვარსქენისა, ხოლო იმქვეყნად ქრისტეს სასძლოდაა გამზადებული. ამაზე მიუთითებს იაკობ ხუცესი, მარტვილი დედოფალი ვარსქენს რომ თავის „საწუთრო მეუღლეს“ უწოდებდა. ხოლო ჯოჯოხეთარ შუშანიკს ასე მიმართავს: „სძალო და მხევალო ქრისტჱსოო“; იაკობმა კი დედოფალი – „ტარიგი იგი ქრისტჱსი“ იხილა „შუენი-

ერად ვითარცა სძალი, შემკული საკრველთა მათგან". „კრავი" ამ კონტექსტში „ტარიგად" იქცა და მსხვერპლის მნიშვნელობით დაიტვირთა, რაც ქრისტეს სასძლოდ გამზადებაზე მიუთითებს.

ქრისტეს
მხევალი

რას ნიშნავს სიტყვა **„სძალი"** ქრისტიანული თვალთახედვით? სულხან-საბა ორბელიანს მისი რამდენიმე განმარტება აქვს მოცემული: „ძის ცოლი; სძლადვე ითქმის მაზლისაგან ძმის ცოლი; სძალი არს ქორწილოსანი ქალი, სძლად ქრისტესა ითქმის უბიწონი სულნი ქალწულთანი; სძლად იწოდების ეკლესია ქება-ქებათა შინა".

ახალ აღთქმაში იგავურადაა ნათქვამი, რომ ქმართა ისე უნდა უყვარდეთ „ცოლნი თვისნი, ვითარცა ქრისტემან შეიყვარა ეკლესიაჲ და თავი თვისი მისცა მისთვის" (ეფესელთა მიმართ, 5,25). ქრისტიანული ეთიკით, ცოლ-ქმარი „იყვნენ ორნივე იგი ერთ ხორც" (იქვე, 5. 31). ამაში იგულისხება დიდი საიდუმლო: მაცხოვრისა და ეკლესიის ერთიანობა. სულხან-საბას განმარტებით, „სიძე", გარდა იმისა, რომ ქალის ქმარს ნიშნავს, ის, უპირველეს ყოვლისა, „სულის სიხარული ქრისტეა". მაცხოვარი ეკლესიის სიძეა, ხოლო ეკლესია – მისი პატარძალი. ქრისტეს ეკლესიაზეა დაწინდული (მიქაელ მოდრეკილი) მაცხოვრის ქორწილი „არს სასუფეველი" („უძველესი იადგარი"). ქორწილი – ეკლესიის სასუფეველი არის ქრისტეს სიყვარულის ის გზა, რომელიც „ცათა შინა დაუსრულებელში" მოსახვედრად უნდა გაიაროს ერისკაცმა.

შუშანიკი სძალია, რომელიც იყო ვარსქენის „ქორწილოსანი ქალი". თავისი ქმრის ღალატის გამო გახდა „სძალი ქრისტესი" – იგი სასუფეველში ვარსქენთან ერთად ვეღარ შევა, რადგან „სძლად იწოდების ეკლესია", რომლის ნაწილიცაა წამებული დედოფალი, ვინაიდან თავად მოიცავს ეკლესიურ სიწმიდეს (სასუფეველში შემყვან ქრისტესთან ქორწინებისა).

ტექსტის მხატვრული დეტალები

მსგავსად სახარებისა, „შუშანიკის წამებაშიც" არ არსებობს პირდაპირ გადმოცემული პეიზაჟი, გარდა იმ ადგილისა, როდესაც იაკობ ხუცესი გვიყვება ცურტავის ბუნების შესახებ: „ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწველი იგი მხურვალებაჲ მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომლისა მკვიდრნიცა მის ადგილისანი – სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი, დაწერტილნი და დამჭკნარნი და დამღიერებული არავინ არს მათ ქვეყანათა". აქ ბუნების აღწერასთან მხოლოდ პირველ წინადადებას აქვს კავშირი – „ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწველი და მხურვალებაჲ მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი", – და თანაც აქ არ არის ქვემო ქართლის ბუნების სურათი, რადგან საქართველოში არ მოიძებნება

ამგვარი გაპარტახებული ადგილი, სადაც დასნეულებული ხალხი ცხოვრობს, სიმბოლურად გამოხატავს იმდროინდელი ქვემო ქართლის სულიერ მდგომარეობას, რომელიც უფლის მოწინააღმდეგე ძალისგან ითრგუნება. რწმენაშერყეული ხალხი ხსნას მოელის. შუშანიკი აქტიურად უპირისპირდება ბოროტებას. ციხის ჩრდილოეთით მდებარე პატარა საკანში შესულმა მოწამემ „განაბრწყინა და განაშუენა ყოველი იგი ციხე სულიერითა მით ქნარითა“. კრულვიანი სამყოფიდან ღვთიური მადლი ეფინება ქართლს. წყეული და უწყალო სენთა ბუდე კურნების ადგილად იქცა, სადაც ყოველი მხრიდან მოდიოდნენ ქართლის მკვიდრნი.

ზემომოყვანილი ციტატის მეორე ნაწილში კი მხოლოდ იმ ადგილის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაა ასახული, მაგრამ აღწერილია უდიდესი ექსპრესიით. ეს პასაჟი რიტმული პროზის ნიმუშია. აქ რიტმი იმორჩილებს ფრაზას: „სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი“; გან – თავსართის გამეორება გამომსახველობით ძალას ჰმატებს, თავრითმასავით გასდევს რიტმულ ფრაზას; შემდეგ კი ამას ერთვის: „დაწრეტილნი და დამჭკნარნი და დამღიერებულნი“; ახლა მან იტვირთა რიტმის გამოკვეთა და კიდევ უფრო გააძლიერა იგი. „ჩარადოვანნი, პირმსივანნი და დღემოკლედ ცხორებულნი“, – ერთვის გაძლიერებულ რიტმულ ნაკადს და ესქპრესიულობას ჰმატებს მას. შემდეგ ეს რიტმი კლებულობს, ნელდება, მდოვრდება: „და მოხუცებულ არავინ არს მათ ქუეყანათა“. ამ უკანასკნელმა ფრაზამ რიტმი, რომელიც ისე დაიძაბა, რომ კიდევ ერთ რიტმულ ნაკადს ითხოვდა, შეაკრთო და გვამცნო საზარელი შედეგი ყოველივე აღწერილისა, დაგვიტოვა ქვეყნად მოვლენილი ჯოჯოხეთის განცდა, მოგვანიჭა წუთისოფლის „დღე-მოკლედ ცხორებულ“ მკვიდრთა ხილვა. ვგრძნობთ, რომ ამქვეყნიური ჯოჯოხეთიც დაერთო მარადიული სასუფევლის მოსაპოვებლად წამებული ქალის განცდებს.

ასევე რიტმული და ემოციურობის გაძლიერების მიზნითაა გამოყენებული ე. წ. პარონომაზიული შესიტყვებანი: „თრევით მოითრია“, „ტირილითა დიდითა ვტიროდით“ „თხოვასა ერთსა ითხოვდეს“. სხვა მხატვრული გამოსახვის საშუალებებიც მრავლადაა ნაწარმოებში, რომლებიც განუმეორებელ ხიბლს ანიჭებს მას.

„შუშანიკის წამებაში“ თითქოს ნაცრისფერი ღრუბლებით ჩამოქუფრული შემოდგომის დღის ტონი შეიგრძნობა, ამ ტონს აცოცხლებს სხვადასხვა ბგერა: გვესმის სანთლების ტკაცუნი, მაშხალის შიშხინი, ნაბიჯების ხმა ქვის იატაკზე, ხუცების გუნდის ფლარტუნი ვარსქენისაგან შუშანიკისაკენ და, პირიქით – მარტვილისაგან პიტიახშისკენ; გვესმის, როგორ იმსხვრევა ჭიქა და როგორ ეხეთქება კედელს ასტამი, რომლითაც ეს-ესაა მოწამეს თვალი „დაუბუშტეს“. აქ ყველანაირი ხმა ქმნის ნაწარმოების ხედვით ხატებსა და მუსიკალურ გამას: ქალებით მოთქმა, „ყურესა ერთსა“ მიყრდნობილი შუშანიკის ქვითინი, გაცოფებული ვარსქენის ყივილი, შეშინებული დიაკვნის შუაზე გაწყვეტილი სიტყვა, ნარბენი იაკობის გამწარებული სუნთქვა.

შორეული წარსულიდან ნებისმიერი რამ შეიძლება ცოცხლობდეს აწმყოში, მაგრამ შეიძლება ცოცხლობდეს მხოლოდ და მხოლოდ სულიერი, მხატვრული ან ისტორიული ფასეულობით; მხოლოდ ასე შეიძლება ერწყმოდეს აწ-

მყოს; „შუშანიკის წამება“ არაა მხოლოდ „ნაშთი ძველი დიდებისა“, მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატი. მასში ჩანს დიდი ადამანური რწმენა და თავდადების ძალისხმევა. „სიკვდილისა სიკვდილითა“ დათრგუნვით შეძლო წამებულმა დედოფალმა ჯალათის დამარცხება, თუნდაც თავისი მორალური უპირატესობის დამტკიცებით. პიროვნების სულის სიძლიერე და გაუტეხავობა კი ნებისმიერი ეპოქის ადამიანს ხიბლავს და პატივისცემით განაწყობს. ამიტომ იკითხება „შუშანიკის წამება“ ყოველთვის ახლებურად, ახლებური ლიტერატურული გემოვნებისა და შემოქმედებითი პრინციპების შესაბამისად.

ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობას უამრავი შეხების წერტილი აქვს საერო მწერლობასთან. „საერთო ნიშნები“ აქვს „წმ. ნინოს ცხოვრებას“ თუ „წმ. აბოს წამებას“, „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ თუ „წმ. კონსტანტი კახის მარტვილობას“, „წმ. გიორგი ათონელის ცხოვრებას“ თუ „წმ. მიქელ-გობრონის წამებას“, რასაც განაპირობებს ის გარემოება, რომ ქართული მწერლობა ყოველთვის ეროვნული შეგრძნებით იყო გამსჭვალული. ნებისმიერი ქართველი მწერლის თხზულებიდან აშუქებს სულიერებაცა და ამქვეყნიურობაც, ქრისტიანული ზნეობრიობა და რეალური ყოფის სიტკბოების შეგრძნება; რომელიმე მათგანს მოკლებული არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა ქართველ მწერალთა ქმნილებები.

იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ ესოდენ ენობრივი და სტილური დახვეწილობა, მასში მოცემული ადამიანის ხასიათის, შიდასამყაროს სიღრმისეული და ბუნებრივი, საოცრად ლაკონური და მაღალმხატვრული გახსნა საფიქრებელს ხდის, რომ ამ ნაწარმოების შექმნამდე ქართულ მწერლობას გარკვეული ლიტერატურული ტრადიციები ჰქონდა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ქართულად დახვეწილ ენაზეა თარგმნილი ძველი და ახალი აღთქმის უმთავრესი წიგნები („შუშანიკის წამების“ მიხედვით, ეს წიგნებია: ფსალმუნი ანუ დავითნი, ევანგელე ანუ სახარება, პავლენი), აგრეთვე, „წმიდანი იგი წიგნნი მონამეთანი“, რაც ვერ განხორციელდებოდა წინასწარი ხანგრძლივი და გულმოდგინე სამწერლობო საქმიანობის გარეშე. ამიტომაც არის იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“ მიჩნეული ჩვენამდე მოღწეულ ერთერთ უძველეს ქართულ ლიტერატურულ ძეგლად.

ტექსტის ანალიზი

ტექსტის გაგება

1. მოკლედ აღწერეთ შუშანიკისა და ვარსქენ პიტიახშის ცხოვრების გზა. გამოიყენეთ მოთხრობის დეტალები და ფრაზები;

2. დაახასიათეთ შუშანიკისა და ვარსქენის ურთიერთობა. ტექსტში იპოვეთ ისეთი დეტალები, რომლებიც ამყარებენ თქვენს პასუხს;

3. რა თვისებებია ყველაზე მეტად დამახასიათებელი, ერთი მხრივ, შუშანიკისათვის და, მეორე მხრივ, ვარსქენ პიტიახშისათვის?

4. რას აყვედრებენ ერთმანეთს შუშანიკი და ვარსქენი? რა არის ამ საყვედურების საფუძველი?

5. იაკობ ხუცესი შუშანიკს უწოდებს „კრავს", „ტარიგს", ხოლო ვარსქენს – „მხეცს", „ცოფს". მიიჩნევთ თუ არა შუშანიკისა და ვარსქენ პიტიახშის ამ ეპითეტებს შესაფერისად?

ლიტერატურისმცოდნეობითი გააზრება

1. **ჰაგიოგრაფია.** ქრისტიანული მწერლობის ჟანრი, რომელიც ასახავს სარწმუნოებისათვის წამებულ ადამიანთა ან ბერ-მონაზონთა თავდადებას ქრისტიანული იდეალებისათვის. რატომ არის „შუშანიკის წამება" ჰაგიოგრაფიული თხზულება? როგორია წმ. დედოფლის თავდადება და დამსახურება და რატომაა იაკობ ხუცესის თხზულება ეკლესიაში ღვთისმსახურებისას წასაკითხად გამიზნული?

2. **სიუჟეტი.** ტექსტის მოვლენათა თანმიმდევრობას სიუჟეტი ეწოდება. მრავალ მოთხრობაში სიუჟეტი ვითარდება ძირითადი გეგმის მიხედვით. ასეთი გეგმის ელემენტებია:

პროლოგი. ესაა მოთხრობის შესავალი ნაწილი. პროლოგი წარმოადგენს ხასიათებს, გარემოს და კონფლიქტს.


ექსპოზიცია. ექსპოზიციაში აღწერილია დაძაბული მდგომარეობა ან დამატებითი სირთულეები, ხასიათები, რომლებსაც ტექსტში უნდა შევხვდეთ.

კულმინაცია. მოქმედების განვითარების უმაღლესი წერტილი, რომლის შემდეგ წინააღმდეგობა ვერ გართულდება. იგი ხშირად შეიცავს მნიშვნელოვან მოვლენას, გადაწყვეტილებას ან სიუჟეტის გაშლას.

კვანძის გახსნა. მოქმედებას, რომელიც კულმინაციის შემდეგ იწყება, კვანძის გახსნა ეწოდება. იგი ლოგიკურად წინ უძღვის დასკვნას.

ეპილოგი. სიუჟეტის დასკვნითი ნაწილი, რომელიც გვამცნობს გმირის ცხოვრების ბედს კვანძის გახსნის შემდეგ, ან გვაწვდის ავტორის მოსაზრებას მოთხრობისა თუ გმირის ხასიათის შესახებ.

ქვემოთ მოცემულია სიუჟეტის დიაგრამის მონახაზი. გადაიტანეთ ეს ნახაზი თქვენს რვეულში. განალაგეთ „შუშანიკის წამების" მოვლენები სქემის სწორ პოზიციებზე. გაითვალისწინეთ, რომ თითოეულ ადგილას ერთ მოვლენაზე მეტის მოთავსება შეიძლება:



3. **ხასიათების ანალიზი.** მწერალი ხშირად არაპირდაპირი აღწერით გვიხსნის ხასიათს. ამ ტექნიკის გამოყენებით მკითხველი იგებს გმირის ხასიათს

მისივე სიტყვებით ან ქმედებით. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე წინადადება შუშანიკის შესახებ. ხასიათის როგორი თვისებები ჩანს მათში?

ა) „სადიასპანოჲთა ცხენითა“ მისულ მონას წმ. დედოფალმა ვარსქენთან დაკავშირებით ეს უთხრა: „უკუეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალმცა ხართ იგიცა და შენცა. უკუეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვაჲ ეგე შენი შენადვე მოიქეცინ“!

ბ) „ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მიართუა ღჳნოჲ ჭიქით და აიძულებდა მას, რაჲთამცა იგი ხოლო შესუა. ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ რისხვით: – ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური? განყარა ჴელ და ჭიქაჲ იგი პირსა შეალეწა და ღვინოჲ იგი დაითხია“.

გ) „წმიდამან შუშანიკ უკმოჰხედნა ერსა მას და ჰრქუა მათ: ნუ სტირთ, ძმანო ჩემნო, და დანო ჩემნო, და შვილნო ჩემნო, არამედ ლოცვასა მომიჴსენეთ, და ჯმნულმცა ვარ მე თქუენგან ამიერითგან, რამეთუ არღარა მიხილოთ ცოცხალი გამოსრულ ციხით“.

4. **თხრობის ანალიზი.** „შუშანიკის წამებაში“ მთხრობელი ან ამბის გადმომცემი პერსონაჟები ხშირად ერთმანეთს ესაუბრებიან. მაგალითად, ავტორი ამბობს: „ვითარცა ვიხილე იგი განმწარებული, მეცა ვტიროდე მის თანავე და ვარქუ ნეტარსა შუშანიკს: – ღუაწლსა დიდსა შესლვად ხარ, დედოფალო. ეკრძალე სარწმუნოებასა ქრისტჱსსა, ნუუკუე მტერმან, ვითარცა სრსჳლმან, საძოვარი პოოს შენ თანა“.

იპოვეთ სხვა მაგალითები, რომლებშიც მთხრობელი ესაუბრება რომელიმე პერსონაჟს. როგორ ფიქრობთ, რატომ აქვს არჩეული იაკობ ხუცესს პირველ პირში თხრობის ხერხი?

5. **ჰაგიოგრაფიული თხზულების დასასრულის შეფასება.** ჰაგიოგრაფიული თხრობა, ჩვეულებრივ, წმიდანის აღსასრულის აღწერით მთავრდება. ჰაგიოგრაფიისთვის უფრო მნიშვნელოვანია არა ქრისტიანობისათვის თავდადებული პიროვნების მიწიერი მოღვაწეობის, რამდენადაც სულიერი ღვაწლის აქცენტირება, იმ გზის ჩვენება, რომლითაც იგი უერთდება უფალს და ერწყმის მარადისობას, რითიც სამაგალითო ხდება ჩვეულებრივი მოკვდავებისათვის. მონახეთ სპეციფიკური პასაჟები, რომლებიც ამ აზრს ადასტურებენ.

ლექსიკური უნარების განვითარება

არქაიზმები. V-XVIII საუკუნეების თხზულებები არქაული ქართული სალიტერატურო ენითაა დაწერილი, თუმცა თანამედროვე მკითხველს მისი გაგება არ უძნელდება. არქაიზმი ხმარებიდან გასული სიტყვა ან შესიტყვების ფორმაა, მხატვრულ ნაწარმოებში მოძველებული, ცოცხალი მეტყველებიდან ამოღებული სიტყვების გამოყენებაა. არქაული სიტყვებისა და ფორმების ხმარების სამი შემთხვევაა აღსანიშნავი: 1. როცა მწერლის შემოქმედებაში არქაიზმი წარმოდგენილია როგორც სისტემა და გულისხმობს მწერლის ერთგვარ კონსერვატიზმს, წარსულით გატაცებას; 2. შემოქმედი ხმარობს არქაულ სიტყვებსა და ნორმებს ძველი კოლორიტის დაცვის მიზნით. იყენებს

მეტყველების არქაულ ფორმებს, როგორც სტილისტიკურ ხერხებს, პოეტური გამოსახვის საშუალებას. გმირს ალაპარაკებს ეპოქის ენით, რომლითაც გვიჩვენებს ისტორიული სინამდვილის თავისებურებას; 3. როდესაც არქაიზმს მწერალი მიმართავს არსებული ლექსიკური ხარვეზის შესავსებად და აცოცხლებს მივიწყებულ სიტყვებს.

ქვემოთ მოცემული წინადადებები „შუშანიკის წამებიდანაა". მოძებნეთ გამუქებული არქაული სიტყვების თანამედროვე მნიშვნელობები, ამონერეთ ისინი და შეეცადეთ დაუწეროთ არქაიზმებს რამდენიმე სინონიმური სიტყვა:

1. ვითარცა ესმა ნეტარსა შუშანიკს, დავარდა იგი ქვეყანასა ზედა და თავსა **დამართ** სცემდა და ცრემლითა მწარითა იტყოდა...

2. ხოლო ეპისკოპოსი იგი სახლისა მის პიტიახშისაჲ, რომელსა სახელი ერქუა აფოც, არა მუნ იყო, არამედ კაცისა ვისამე წმიდისა **ვანად** მისრული იყო.

3. ხოლო მე **ვიჯმენ** ადრე და მივიწიე დაბასა მას, რომელსა იყო ნეტარი შუშანიკ.

4. და ვარქუ მე სანატრელსა მას ხუაშიადად – **რე**.

5. **მასმიეს** მე პავლეს მოციქულისაგან: „არა დამონებულ არს ძმაჲ გინა დაჲ, არამედ განეყვნენ".

6. ნუ რას ფიცხელსა სიტყუასა ეტყჳ მას, რამეთუ დედათა ბუნება **იწრო** არს.

7. ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ: – უწყი, ვითარმედ დაჲ ვარ, ერთად განზრდილნი, ხოლო მაგას ვერ ვჰყოფ, ვითარმცა მოსისხლეობაჲ იქმნა, და თქუენ ყოველნი **თანამდებ** იქმნენით.

ამოკრიბეთ სხვა არქაული სიტყვებიც. მიუწერეთ თანამედროვე მნიშვნელობები და შეადგინეთ მცირე ლექსიკონი.

წერითი უნარების განვითარება

1. **ნაწარმოების თემის გააზრება.** „შუშანიკის წამება" არ არის მოთხრობა მხოლოდ სარწმუნოებისათვის თავდადებულ ადამიანზე. მთავარი იდეა, რომელიც იაკობ ხუცესს სურს მკითხველს დაანახოს, არის გამიჯვნა სულიერი ფასეულობებისა მატერიალური, წარმავალი მისწრაფებებისაგან. ამოიწერეთ ტექსტიდან ამის დამადასტურებელი მაგალითები.

2. **განსხვავებული ხედვა.** „შუშანიკის წამებაში" მოვლენები წამებული დედოფლის განცდების კუთხითაა წარმოდგენილი. მკითხველი ხედავს მის სულიერ ტკივილს, ემოციებს, ხოლო ვარსქენის განცდები მხოლოდ უარყოფითი კუთხითაა ნაჩვენები, რაც ჰაგიოგრაფიისათვის ნორმაა.

აღწერეთ პიტიახშის ის დღე, როდესაც მან მიიღო გადაწყვეტილება, შეეცვალა სარწმუნოება და კავშირი დაემყარებინა სპარსეთის სამეფო კართან. შეგიძლიათ ვარსქენი ჩააყენოთ ნებისმიერ სიტუაციაში, როგორიც კი წარმოგიდგენიათ, მაგრამ ეს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოთხრობაში მოცემულ ინფორმაციას.

თხზულების გააზრება. ჩამოთვალეთ ვარსქენ პიტიახშის ქმედებები, რომლებსაც იგი მოთხრობის მიხედვით ახორციელებს. მოკლედ ჩამოწერეთ შენიშვნები, რომლებიც აჩვენებენ, თუ რას ფიქრობდა პიტიახში კონკრეტული ნაბიჯის გადადგმისას: დაალაგეთ ისინი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. შეადარეთ საკუთარი ჩანაწერები ტექსტს. გახსოვდეთ, რომ თქვენი ჩამონათვალი უნდა თანხვდებოდეს იმ მონაცემებს, რომლებიც მოთხრობაშია აღწერილი.

თხზულების წერა. დაიწყეთ მსჯელობა წინადადებებით, რომლებიც წარმოადგენენ ვარსქენს და შემოჰყავთ გარემოცვაში. შეგიძლიათ დაიწყოთ მისი დაბრუნების ამბით „საზღვართა ქართლისათა". შემდეგ აღწერეთ ის დღე. გადმოეცით, რას აკეთებდა და რაზე ფიქრობდა იგი.

დაასრულეთ წინადადება იმ ეპიზოდით, როდესაც სარწმუნოებაშეცვლილი პიტიახში პირველად შეხვდა სასულიერო პირებს. დაბოლოება ისეთივე უნდა იყოს, როგორიც ტექსტშია მოცემული.

შემოწმება. შეამოწმეთ თქვენი ნაწერი შემდეგი მითითებების მიხედვით:

მიაქციეთ ყურადღება, რომ თქვენს მიერ აღნუსხული მოვლენები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით იყოს დალაგებული.

შეამოწმეთ, რომ შესავალი და დამაბოლოებელი წინადადებები ლოგიკურად იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული.

კორექტურა, წაიკითხეთ ყურადღებით, რათა არ გამოგრჩეთ გრამატიკული და მექანიკური შეცდომები.

მოამზადეთ ნაშრომის საბოლოო ასლი, რომელშიც მოცემული იქნება თქვენ მიერ შეტანილი ყველა შესწორება.

უნარების განვითარება სწავლისა და კვლევის პროცესში

ბიბლიური პარადიგმები. ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებებისათვის ბიბლიური პარადიგმები ანუ მაგალითები, ნიმუშები, წინასახეები წმიდა წერილის წიგნებია, განსაკუთრებით კი, სახარება – მათში აღწერილი მოვლენები, სახეები, გამონათქვამები, მთელი ფრაზები სამაგალითოა როგორც მთხრობელისათვის, ასევე – პერსონაჟებისათვის და ისინი ხშირადაა დამოწმებული ჰაგიოგრაფიულ მოთხრობებში.

მოძებნეთ ტექსტში მოხსენიებული ბიბლიური თხზულებების სათაურები, მოყვანილი ციტატები და პერსონაჟები. ისარგებლეთ სხვადასხვა ლიტერატურით, ენციკლოპედიით მათ შესახებ მეტი ინფორმაციის მოსაპოვებლად.

რის გააზრებაში ეხმარება მკითხველს ბიბლიური პარადიგმები და რამდენად უწყობს ხელს კონკრეტულ ეპიზოდში ტექსტის წვდომას?

იოანე საბანისძე

„წმ. აბოს წამება“



წმ. აბო

ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ერთერთ კლასიკურ ნიმუშად მიიჩნევა „აბოს წამება“. ნაწარმოები დაწერილია 786-790 წლებში. მისი ავტორია იოანე საბანისძე, რომელიც თვითმხილველი ყოფილა იმ ამბებისა, რომლებზეც გვიამბობს. ეს გარემოება, თვითმხილველობა, განსაკუთრებით ფასეულია სასულიერო მწერლობისათვის, რადგან ჰაგიოგრაფიის მხატვრული ასახვის უპირველეს და უმთავრეს პრინციპს წარმოადგენდა „ჭეშმარიტად და უტყუელად“ აღწერა. თავად იოანე საბანისძე ამბობს: „აღვწერე უღირსისაგან გონებისა ჩემისა შემოკრებული მარტვილობაჲ, ჭეშმარიტი და უტყუელი...“

პატრიოტული ნაკადი „აბოს წამებაში“

„აბოს წამებას“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არა მხოლოდ ჰაგიოგრაფიის, არამედ, საზოგადოდ, მთელი ქართული ლიტერატურის ისტორიაში – ის არის პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული პირველი ქართული ძეგლი. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მწერლობაში პატრიოტულ მოტივს სათავეს სწორედ „აბოს წამება“ უდებს. როდესაც კ. კეკელიძე VIII-X საუკუნეებს მოიხსენიებდა, როგორც „ეროვნულ ხანას“ ქართული მწერლობის ისტორიისა, მხედველობაში, უწინარეს ყოვლისა, იოანე საბანისძის თხზულება ჰქონდა (რასაკვირველია, აქ ხაზგასმულია მკვეთრად გამოხატული, აქცენტირებული პატრიოტულობა და ეროვნული რაობის შემეცნების სურვილი).

პოლიჟანრულობა

როდესაც ჩვენ „აბოს წამებას“ ვკითხულობთ, ხელით ვეხებით ეროვნული თვითშემეცნების მაჯისცემას, საკუთარი ერის ისტორიულ ბედ-იღბალზე, საკუთარ თავზე, წინაპრებზე და შთამომავლობაზე დაფიქრებული ქართველი კაცის გონებისა და სულის სინათლეს შევიგრძნობთ. ერის სიყვარულსაც თავისი „შინაისტორია“ აქვს – თუ არ იცი და მხოლოდ გრძნობ, როგორ უყვარდათ, შენ გაგიძნელდება გიყვარდეს სრულად.

„აბოს წამება“ პოლიჟანრული ნაწარმოებია (რ. სირაძე), ე. ი. მასში რამდენიმე განსხვავებული ლიტერატურული ჟანრის ნაკვეთია წარმოდგენილი. I თავი ქადაგებაა, რომელშიც ავტორი ზოგადად მსჯელობს თანადროულ საქართველოში შექმნილ კატასტროფულ მდგომარეობაზე, წმინდანობის არსზე, სრულქმნილი, იდეალური ქრისტიანი ადამიანის ცხოვრების საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე. II-III თავებში ჰაგიოგრაფიული თხრობაა, საკუთრივ აბოს „ამბავია“ აღწერილი, ხოლო IV თავი წარმოადგენს წმინდანის შექებას, მის ხოტბას. ეს თავი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული ჰიმნოგრაფიის ანუ სასულიერო პოეზიის პირველ ნიმუშადაა მიჩნეული. არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამ პოეზიას არ გააჩნია ლექსის ფორმა და ჩვეულებრივი პროზის სახე აქვს. პოეზია და ლექსი ერთი და იგივე არ არის. პოეზია მხოლოდ ფორმა არაა, ის, უწინარეს ყოვლისა, შინაარსია, სამყაროს ხედვის განსაკუთრებული მოდელია. გაბმულ მეტყველებაში, პროზის ფორმით დაწერილ ნაწარმოებში შესაძლებელია იდოს უზარმაზარი პოეტური სული, მაშინ როდესაც ფიზიკა, თუნდაც გალექსილი, მაინც ფიზიკად რჩება. სხვათა შორის, ლუკრეციუსს, ძველ რომაელ ავტორს, ლექსად აქვს დაწერილი საბუნებისმეტყველო ნაშრომი „საგანთა ბუნებისათვის“, მაგრამ არავის მიუჩნევია ეს თხზულება მხატვრულ ქმნილებად. მაშასადამე, დავასკვნათ, პოეზიის ბუნება ლექსის ფორმაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ სამყაროს განსაკუთრებულ ხედვაში. „ხოხბობას გნახე, მიწურვილ იყო, როცა ზაფხული რუსთაველისა“, – წერს თავის ერთ-ერთ შესანიშნავ ლექსში („ყივჩაღის პაემანი“) გამოჩენილი ქართველი პოეტი გიორგი ლეონიძე. „ხოხბობას გნახე“ პოეტურ ფრაზად რჩება, გინდ ლექსში შევხვდეთ მას, გინდაც პროზაულ ნაწარმოებში (რ. სირაძე).

შეკვეთა

ჩვენი განსახილველი ნაწარმოები შეკვეთით არის დაწერილი. ეს ჩვეულებრივი ამბავია საზოგადოდ შუა საუკუნეებისათვის და არც ჰაგიოგრაფიისათვის არის უცხო მოვლენა. ქართლის კათოლიკოსმა სამოელმა იოანე საბანისძეს, რომელიც კ. კეკელიძის აზრით, საერო პირი უნდა იყოს, სთხოვა აღეწერა ღვაწლი და მოწამეობრივი აღსასრული მისი თანამედროვის, აბოსი. სამოელს იოანე ამ საქმის შესასრულებლად ყველაზე ღირსეულ კანდიდატად მიუჩნევია. „ჩვენ თჳით უწყით წადიერებაჲ შენი ღმრთის-მსახურებისათჳს და ღმრთივ-მიმადლებული შენი მეცნიერებაჲ საღმრთოთა წიგნთა და გულსმოდგინება შენი კეთილთა საქმეთა მოღვაწებისათჳს“.

კათოლიკოსს უნებებია: „ხელ-ყავ გამოთქმად სრულიად ჭეშმარიტად, ვითარ-იგი იყო და ვითარცა შენ თჳით უწყი, და აღწერე მარტვილობაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსა“...

შემოქმედის პრობლემა

როგორც უკვე ვიცით, იოანეს პირნათლად შეუსრულებია კათოლიკოსის ეს თხოვნა, თუმცა კი თავს ღირსად არ მიიჩნევდა ამ მეტად საპასუხისმგებლო ამოცანის გადასაწყვეტად. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ჰაგიოგრაფები თითქმის მთლიანად უარყოფენ საკუთარ შემოქმედებით ღირსებებს, თავიანთ დამსახურებად არ მიიჩნევენ ჭეშმარიტად დიდებული მხატვრული ქმნილებების შექმნას და აცხადებენ, რომ მხოლოდ ღვთაებრივი ნების აღმსრულებლები არიან. ამიტომაც არის, რომ ჰაგიოგრაფი ავტორები ფრიად დაკნინებულად მოიხსენიებენ ხოლმე (ან სულაც არ მოიხსენიებენ) თავიანთ სახელებს. ეს მათ ანტიკური ხანის ავტორებს ანათესავებს. თუ სასულიერო მწერლები სულიწმიდის „კარნახით“ წერენ, ძველი ბერძენი ავტორებისათვის ასეთი „მოკარნახე“ მუზა იყო. საქვეყნოდ ცნობილი ჰომეროსი თავის გენიალურ „ილიადას“ ასე იწყებს: „მუზავ, მიმღერე აქილევსის უწყალო რისხვა“ (თარგმანი რ. მიმინოშვილის). მუზა „იმღერებს“, ხოლო პოეტი მოისმენს და ჩაიწერს – ასეთ შემთხვევაში თავად შემოქმედი ადამიანის ღვაწლი დაკნინებულია – მისი ქმედება პასიურია და არა დინამიკური, აქტიური საწყისის მატარებელი. მსგავსია ჰაგიოგრაფიული თვალთახედვაც. ქართული სასულიერო მწერლობის უშესანიშნავეს ძეგლში, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, რომელსაც ჩვენ მოგვიანებით შევისწავლით, წერია: „აწ არს ხანძთას ჴელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდოჲ იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან“. დავაკვირდეთ: „ხელითა მისითა“, ოღონდ „სულისა მიერ წმიდისა დაწერილი“ – მისი (ე. ი. გრიგოლ ხანძთელის) ხელით, მაგრამ სულიწმიდის მიერ... აქაც მწერალი არა საკუთარი, არამედ სხვისი ნების აღმსრულებელია. ნათქვამის საპირისპიროდ, თავისი შემოქმედებითი გენიის სრულ შეგრძნებას გვაუწყებს შოთა რუსთველი, რომელიც ღვთაებრივ თანადგომასთან ერთად (უამისოდ მორწმუნე კაცისათვის არაფერი ხდება მზისქვეშეთში) ადამიანის დიდ ნიჭიერებასაც სათანადო პატივს მიაგებს. ამის შესახებ მოგვიანებით დაწვრილებით ვიტყვით.

ტექსტის ანალიზი

ახლა საკუთრივ თხზულების ტექსტის ანალიზზე გადავიდეთ. როგორც უკვე ვთქვით, I თავში მოცემულია ზოგადი მსჯელობა, რომლის ფონზეც უნდა გაიშალოს აბოს ამბის თხრობა. იოანე საბანისძე მკითხველისაგან, ე. ი. თანამემამულეთაგან, ნაწარმოების დასაწყისშივე დიდ გულისყურსა და დაფიქრებას მოითხოვს, რადგან ის, რაც მან ერს უნდა აუწყოს, მშობელი ქვეყნის ტრაგიკული ბედის გამხელაა, მოახლოებულ კატასტროფაზე თვალის ახელაა, რისი უკეთესად გაცნობიერების გარეშე ოცნებაც კი არ შეიძლება ეროვნულ ხსნაზე: „მომაპყრენით საჩინონი ეგ სასმენელნი თქუენნი და უფ-

როისღა საცნობელნი ეგე ყურნი გულისა და გონებისა თქუენისანი განმარტენით სმენად და მასპინძელ ექმენით სიტყუათა ამათ ჩემთა...“

იოანეს სწამს, რომ ცოდნა რწმენის გარეშე მკვდარია ან ავად გამოსაყენებელი, ამიტომ თანამოძმეებს მოუწოდებს, გულისა და გონების კარი გაუღონ ქრისტეს მოძღვრებას და მით გაძლიერდნენ თავსდატეხილი განსაცდელის წინააღდგომად. ავტორი სახარებას იმოწმებს იმის ნათელსაყოფად, რომ რწმენის ნავსაყუდელი გულია: „სასუფეველი ღმრთისა გულთა შინა თქუენთა არს“.

ესქატოლოგია

იოანე საბანისძე ქართველთა სავალალო მდგომარეობას **ესქატოლოგიით** ხსნის. რა არის ესქატოლოგია? ეს არის მოძღვრება ქვეყნის დასასრულზე. ძველების წარმოდგენით, ამ ქვეყანას დასაწყისიც აქვს (ის ღვთის შექმნილია) და დასასრულიც (რადგან ღვთაებიდან „გამოსული“ სამყარო ღვთაებასვე უბრუნდება). ამ სრულიად გარკვეული თვალსაზრისით, ქვეყნის შექმნა არის ღმერთის „განფენა“, ხოლო ისტორია არის უკუდინება ღვთაებისაკენ და საბოლოოდ მასთან კვლავ შერწყმა (ამის შესახებ ჩვენ შემდგომში, დავით გურამიშვილის შემოქმედების განხილვისას ვრცლად ვისაუბრებთ). სწორედ ამ შეხედულების გამოვლენაა ის სტრიქონი, რომელსაც „აბოს წამების“ პირველ თავში ვხვდებით და რომელიც განსაზღვრავს ქართველების ლამისაა უიმედო მდგომარეობას. იოანე საბანისძე ამბობს: „ჟამსა მეშვიდესა დარსა ზედა ვდგათ, რომლისა ჟამისთჳსცა უფალი იტყვის: „მრავალნი სცთებოდიან და მრავალთა აცთუნებდნენ“. ეს ის დროა, როდესაც, პავლე მოციქულის სიტყვით, ადამიანები ღვთაებრივ ჭეშმარიტებას განუდგებიან და ზღაპრებს (ე. ი. ცრუ ჭეშმარიტებას) მიენდობიან. რას უნდა ნიშნავდეს „მეშვიდე ჟამი“?

მეშვიდე ჟამი

მოვუსმინოთ კ. კეკელიძეს: „ბიბლიური შეხედულებით, ეს ქვეყანა, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, შექმნილი და გაფორმებულია ღვთის მიერ შვიდი დღის განმავლობაში... იმავე ბიბლიური შეხედულებით, ღვთის წინაშე ათასი წელი ერთი დღეა... ამიტომ ქრისტიანთა შორის იმთავითვე ფეხი მოიდგა რწმენამ, რომ ქვეყანა 7000 წელს იარსებებს, რის შემდეგაც დადგება მისი აღსასრული. ქვეყნის არსებობის 7000 წელი თავდებოდა იმის მიხედვით, თუ რამდენ წელს ითვლიდა ესა თუ ის ერი ქვეყნის გაჩენიდან ქრისტემდე; ბერძნები და რუსები, მაგალითად, რომელნიც 5508 წელსა თვლიდნენ, ქვეყნის აღსასრულს 1492 წელს (7000-5508) მოელოდნენ. ქართველები კი, რომელნიც ქვეყნის გაჩენიდან ქრისტემდე 5604 წელს ანგარიშობდნენ, ქვეყნის აღსასრულს, როგორც მონღოლთა შემოსევის ხანის დოკუმენტებიდან ვიცით, 1396

წელს (7000–5604) მოელოდნენ". შემდეგ კ. კეკელიძე ხსნის: „ესქატოლოგიური თემებისადმი ინტერესი საზოგადოებაში იღვიძებდა ხოლმე ერის პოლიტიკურად და ეკონომიურად ჩაგვრის, დამონების და დაბეჩავების დროს; ასე, მაგალითად, 1396 წელთან დაკავშირებული ესქატოლოგიური მოლოდინი ქართველებისა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, გამოწვეული იყო მონღოლების ბატონობითა და ჩაგვრით. რადგან არაბთა ბატონობა მერვე საუკუნისა თავისი სისასტიკითა და სიმძიმით, ჩვენი ავტორის აღწერილობით, მონღოლებისას თუ არ აღემატებოდა, ყოველ შემთხვევაში არ ჩამოუვარდებოდა, გასაკვირი არაა, თუ ესქატოლოგიურ სულისკვეთებას ამ დროსაც უჩენია თავი".

იოანე საბანისძის აზრით, არაბობა ანტიქრისტიანული ე. ი. ბოროტების განმასახიერებელი ძალაა, რომელიც არის „მფლობელი ამის ჟამისა", მათ „მრავალნი შეაცთუნნეს და გარდადრიკნეს გზისაგან სიმართლისა". ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ქრისტიანული ღვთაება მარადიულია, ყოველი ჟამის მპყრობელია, ხოლო, მისგან განსხვავებით, ბოროტება დროში შეზღუდულია – ის შეიძლება მხოლოდ ცალკეული ჟამის მფლობელი იყოს.

„მეშვიდე ჟამის" ქართველობა

იოანე საბანისძე ხატავს „მეშვიდე ჟამის" ქართველთა დაკნინებისა და გადაგვარების საშინელ სურათს: „...ნაშობნი ქრისტეანეთანი გარდაგულარძნნეს: რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკუვარებით. და სხვანი, რომელნი ესე ვართ მორწმუნენი, მძლავრების ქუეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძჯირ-ძჯირად ზღვეული, შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა".

„ჩვეულებისაებრ მამულისა სლვა"

ერთადერთი, რაც კიდევ ანარჩუნებინებს ქართველს ეროვნულ სახეს, ეს არის ერთგულება „ჩვეულებისამებრ მამულისა სლვისა", ანუ ჭირთა მოთმენით არ განშორება ქრისტიანული სარწმუნოებისა. კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რას ნიშნავს „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვა". აქ გააზრებულია ერის განვითარების მაგისტრალური, უმთავრესი გზა, რომელიც, იოანეს აზრით, უთუოდ ქრისტიანობასთან არის წილნაყარი, უფრო სწორად მისითაა სულჩადგმული. „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვა" რომ არ გამრუდებულიყო, ამას ეწირებოდნენ საუკუნეთა მანძილზე ჩვენი წინაპრები. ერს ყოველთვის ზუსტად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, მიჰყვება თუ არა იმ გზას, რომელიც „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვას" გულისხმობს.

ერის
გადარჩენის იმედი

მიუხედავად ესქატოლოგიური პესიმიზმისა, იოანე საბანისძე გულხელდაკრეფილი და უიმედოდ მგლოვიარე კაცი და მოქალაქე არ არის. პირიქით, ის გულმხურვალედ აცოცხლებს ერის გადარჩენისა და აღზევების იმედს. რას ეფუძნება ასეთი, ერთი შეხედვით, მოულოდნელი ოპტიმიზმი? გარემოებანი ხომ ამგვარი განწყობისთვის თითქოს არავითარ საფუძველს არ იძლევიან?!

როგორც ჩანს, ქართველ მწერალს აქვს მტკიცე რწმენა იმისა, რომ მისი მშობელი ხალხის შემოქმედებითი გენია და ძალმოსილება არ შეიძლება დაიშრიტოს, გაცამტვერდეს და საქართველო, როგორც მრავალი სხვა უიღბლო ქვეყანა, აღიგავოს პირისაგან მიწისა. იოანე საბანისძეს მოაქვს რამდენიმე, ქრისტიანული სარწმუნოების თვალთახედვით გადამწყვეტი მნიშვნელობის, არგუმენტი, რომელთა ძალითაც ჩვენი ქვეყანა კვლავ წელში უნდა გაიმართოს და სრულუფლებიან ერად იგრძნოს თავი. ეს შემდეგი საბუთებია (რევაზ სირაძე):

ქართველთა ხსნის
ოთხი არგუმენტი

1. ქართულ სახელმწიფოს აქვს თავისი განუმეორებელი ფუნქცია – ის ქრისტიანული სამყაროს განაპირა გოდლის, ციხე-სიმაგრის როლს ასრულებს („ვართ ყურესა ამის ქუეყანისასა“) და მტკიცე ჯებირად უდგას მუსლიმურ შემოტევას. ეს ფრიად სერიოზული არგუმენტია, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, ყველაფერი მანამდე არსებობს, სანამ დანიშნულება, ფუნქცია აქვს. როგორც კი ფუნქცია იკარგება, მისი ყოფილი განმასახიერებელიც კვდება. მაშასადამე, იოანე საბანისძე ამტკიცებს, რომ ქართველი ხალხი არ შეიძლება გადაშენდეს, რაკი მას თავისი ფუნქცია არ დაუკარგავს.

2. საქართველო უძველესი ქრისტიანული ტრადიციის ქვეყანაა. იოანე წერს: ქართველები „ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარეცსღა შჯულდებულ ყოფილ არიან წმიდითა მადლითა ნათლის-ღებისაჲთა“. ნაწარმოები დაიწერა, როგორც ვიცით, 786-790 წლებში. ამას რომ ავტორის მიერ ნახსენები 500 (და მეტიცო) წელი გამოვაკლოთ, მივიღებთ 286-290 წლებს, ჩვენ კი ვიცით, რომ ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანობა ოფიციალურად სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა 326 წელს. ხომ არ არის აქ წინააღმდეგობა? ცხადია, არა, რადგან სანამ რომელიმე რელიგია სახელმწიფოში ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადდებოდეს, მისი კერები აუცილებლად ამაზე ადრე იარსებებს ამ ქვეყანაში. ეს ძველი ქრისტიანული ტრადიცია, ავტორის ფიქრით, პირველზე არანაკლები არგუმენტია სახელმწიფოებრივი მთლიანობისა და ძლიერების შენარჩუნების თვალსაზრისით.

3. მესამე არგუმენტი ასეთია: „არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოება ესე ღმერთისა მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორიელთა ამა მკჯიდრთა“.

საუბარი შეეხება იმას, რომ ქართველთა, „შორიელთა ამათ მკჳდრთა“, ანუ ქრისტიანული სამყაროს „ყურეში“ (განაპირა ოლქში) მცხოვრებთა სარწმუნოება არაფრით ჩამოუვარდება საბერძნეთის (ქრისტიანული ერთობის ცენტრის) მკვიდრთა სარწმუნოებას. ჩვენ ზემოთ უკვე ვახსენეთ ერთი მიზეზი ამ შეთანატოლებისა ამდროინდელი კულტურული საქრისტიანოს ცენტრთან – ეს იყო სწრაფვა ნიმუშისაკენ. აქ დამატებით უნდა ითქვას კიდევ ერთი რამ: საქმე ისაა, რომ ამ დროს საბერძნეთში გავრცელდა ე.წ. ხატმბრძოლობა, ეს იყო ოფიციალური მართლმადიდებლური სარწმუნოებისაგან გადახრა. იგი „იდეალთა შინაგან განცდას ითხოვდა და მის საგნობრივ განსახოვნებას უარყოფდა. ნებისმიერი საგნობრივი განსახოვნება წარმართულ კერპად მიაჩნდა“. ეს მიმართულება უფრო აღმოსავლურ ტენდენციებს გამოხატავდა, ვიდრე ბერძნულს და „შორეულად არაბულ სამყაროსაც კი უკავშირდებოდა“ (რ. სირაძე).


საქართველოში ხატმბრძოლობას არასოდეს გაუმარჯვია და, ამდენად, ჩვენი ქვეყანა ჭეშმარიტი აღმსარებლობის დამცველად წარმოგვიდგა. მაშასადამე, მესამე არგუმენტი ის არის, რომ ჩვენში ნამდვილი სარწმუნოებიდან გადახრა არ მომხდარა.

4. იოანე საბანისძე წერს: „აჰა, ესერა ქართლისაცა მკჳდრთა აქვს სარწმუნოება და წოდებულ არს დედათა წმიდათა, რომელთამე თჳით აქა მკჳდრთა და რომელთამე უცხოთა და სხვით მოსრულთა ჩუენ შორის ჟამად-ჟამად...“

საქართველო აქ მოხსენიებულია „წმინდანთა დედად“, თანაც ხაზგასმულია, რომ ქართულ მიწაზე ქრისტესთვის თავს დებდნენ არა მხოლოდ ქართველნი, არამედ უცხო ტომელნი, რომლებიც დრო და დრო გამოჩნდებოდნენ ჩვენს ქვეყანაში. ამ ბოლო გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ეროვნულ ღირსებათა წარმოჩენის თვალსაზრისით. რაგვარად?

მცხეთა – მეორე იერუსალიმი

როგორც კ. კეკელიძემ ცხადყო, ქართლის უმთავრესი ქალაქი მცხეთა ქართველთაგან სიმბოლურად გაიაზრებოდა, როგორც „მეორე იერუსალიმი“. იერუსალიმს, როგორც ცნობილია, უკავშირდება ქრისტეს ისტორიის უძირითადესი ნაწილი, კერძოდ კი, მისი ჯვარცმა და აღდგომა. იერუსალიმი ქრისტიანთა წმინდა ქალაქია და მცხეთა სწორედ მის ისტორიულ მემკვიდრედ ცხადდებოდა. ამას არა მხოლოდ სარწმუნოებრივი, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა – აღმოსავლეთის ქრისტიანობის წინამძღოლობაზე პრეტენზია, რაც საქართველოს გაძლიერების კვალდაკვალ სულ უფრო და უფრო იკვეთებოდა, გარკვეულ იდეოლოგიურ წინაპირობასაც გულისხმობდა. ეს წინაპირობა კი იყო მცხეთის „მეორე იერუსალიმად“ ანუ წმინდა ქალაქად გამოცხადება.



მცხეთა – სვეტიცხოველი

ქართულ ჰაგიოგრაფიაში შემონახულია ამგვარი აზროვნების მაგალითები. ჩვენი სასულიერო მწერლობა არაერთხელ საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ქართლში მოხვედრა ჯერ არნახული სულიერი ძალმოსილებითა და სისპეტაკით აღავსებდა უცხოელ ადამიანს და აპირობებდა მის გაქრისტიანებას. ქართლს აქვს ორგვარი „ქრისტიანული მიზიდულობის ძალა“, რომელიც მას, ქართველთა წარმოდგენითა და ღრმა რწმენით, ქრისტიანული აღმოსავლეთის უცილობელ ცენტრად აქცევს.

ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „ევსტათი მცხეთელის წამება“ ვკითხულობთ: „და მოვიდა ქალაქად მცხეთად... და ხედვიდა იგი რჩულსა ქრისტეანეთასა და მსახურებასა ქრისტესა და წმიდისა ჯუარისა ძალისა ჩინებასა. შეიყუარა მან რჩეული ქრისტეანობისა და ჰრწმენა ქრისტე... ითხოვა მან ცოლი ქრისტეანე და თჳით ქრისტეანე იქმნა და ნათელი მიიღო“.

ქართლი – „წმიდისა ჯუარისა ძალისა ჩინების“ ადგილი

აქ საგულისხმო ის არის, რომ ქართლი მიჩნეულია „წმიდისა ჯუარისა ძალისა ჩინების“ ადგილად. მაშასადამე, ჯვარი ანუ ქრისტიანული სარწმუნოება თავის ძალმოსილებას ქართლში აჩვენებს, ქართლი, მცხეთაა ის ადგილი, სადაც ქრისტიანული სარწმუნოებრივი ენერგია ყველაზე მეტად გამოსხივდება.

ეს წარმოდგენა არეკლილია „აბოს წამებაშიც“. თხზულებაში არაბი ჭაბუკის აბოს ქართლში მოსვლა მისი საკუთარი კი არა ღვთაების ნებით არის ახსნილი – ისევე როგორც ებრაელთა დიდი მამამთავარი აბრაამი გამოიწვია ღმერთმა მისი საცხოვრისისგან და წარმართა მისი გზა აღთქმული ქვეყნისაკენ, ასევე აბოც, მისდაუნებურად, ღვთის ნებით, წამოჰყვა ქართლში, სიმბოლურად აღთქმულ მიწაზე, ნერსე ერისთავს: „ხოლო ამიერ ჩუენდა სოფლად გამოსლვა იგი არა თუ თჳით თავით თჳისით განიზრახა, არამედ ვითარცა იგი უფალმან ჰრქუა ნეტარსა მას აბრაჰამს მასვე ქვეყანასა შინა ქალდეველთასა, ვითარმედ: „გამოვედ ქუეყანისაგან შენისა და ნათესავისაგან შენისა და სახლისაგან მამისა შენისა და მოვედ ქვეყანასა მას, რომელი მე გიჩუენო შენ“. ეგრეთვე ესე კუალად ნაშობი აბრაჰამისა არა თუ თჳისითა გონებითა, არამედ წამისყოფითა ღმრთისა მიერითა იწვივა ესეცა და დაუტევა მამაჲ და დედაჲ და ძმანი და ნათესავნი და მონაგებნი და აგარაკები და ვითარცა იგი უფალი იტყვის წმიდისა სახარებასა შინა, წამოვიდა აქა ნერსესთანა მგზავრ ქრისტეს სიყვარულისთჳს... მაშინ იწყო ზედა-მოწევნად და სწავლად წმიდათა საღმრთოთა წიგნთა ძუელისა და ახლისა შჯულისაჲ, რამეთუ უფალი მეცნიერ ჰყოფდა მას“.

მართალია, აბო ქართლის საზღვრებს მიღმა, ხაზარეთში, მოინათლა, მაგრამ უკვე აქ „უდებ-ყო შჯული იგი მაჰმადისი და წესი იგი მამულისა მისა ლოცვისა დაუტევა და შეიყუარა ქრისტე ყოვლითა გულითა...“

ღვთაების სიმბოლური სახელები

სანამ მეორე თავის ანალიზზე გადავიდოდეთ, აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ ღვთაების სიმბოლურ სახელთა მთელი წყება, რაც დამოწმებულია „აბოს წამების“ პირველ თავში. ეს სახელებია: „კარ“, „გზა“, „ტარიგ“, „მწყემს“, „ლოდ“, „მარგალიტ“, მარილ“, „ყუავილ“, „ანგელოზ“, „კაც“, „ღმერთ“, „ნათელ“, „ქუეყანა“, „მარცუალ“, „მატლ“, „მზე სიმართლის“. ცხადია, რომ ეს არის ღვთაების არაპირდაპირი, სიმბოლური სახელები, მაგრამ რა უდევს საფუძვლად ამგვარ სიმბოლიკას? მოკლედ ამის შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი:

მთელ ძველ ქართულ ლიტერატურაში (და არა მხოლოდ ძველში) განფენილია სიმბოლურ-ალეგორიული აზროვნება. ამას, ცხადია, თავისი მიზეზი, საფუძველი აქვს. შეიძლება გამოვყოთ შემდეგი გარემოებანი:

სიმბოლურ-ალეგორიული აზროვნება

სიმბოლურ-ალეგორიული გამოხატვა იყო ერთ-ერთი არსებითი გზა წინაქრისტიანული მემკვიდრეობის საქრისტიანოდ გამოყენებისა. თუ როგორ უნდა აეთვისებინათ ქრისტიანებს წარმართული ანუ ქრისტიანობამდელი კულტურა, ამის შესახებ სპეციალური შრომაც კი დაწერა გამოჩენილმა თეოლოგმა და საეკლესიო მამამ **ბასილი დიდმა** (330-379). ქრისტიანობა არ იყო საწყისი სიმბოლურ-ალეგორიული აზროვნებისა. მან მხოლოდ გამოიყენა აზროვნების ეს დიდი ხნის წინ ცნობილი სისტემა, რათა მემკვიდრეობით მიეღო წარსულის სულიერი საგანძური (პირდაპირი გზით ეს ვერ მოხერხდებოდა იდეოლოგიური განსხვავებულობის გამო) და ღია კარები არ ემტვრია.

„სიმპათიის კანონი“

აზროვნების ამ ტიპის აღმოცენება-განვითარების ერთი წინაპირობა იყო კაცობრიობისათვის ადრევე ცნობილი სამყაროს მთლიანობის პრინციპი, რომელსაც ძველ საბერძნეთში, როგორც ზემოთვე ვთქვით, „სიმპათიის კანონი“ უწოდეს და რომელმაც საოცარი სიცოცხლისუნარიანობა გამოამჟღავნა – საუკუნეებს გადაჰყვა. ინგლისელი მეცნიერი **უილიამ გათრი** წერს: „ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება, სიმპათიის კანონს, რომელიც ბუნებრივი კავშირის არსებობას აღიარებდა ერთმანეთს მიმართ, ჩვენი აზრით, სავსებით უცხო საგნებს შორის. ამ კანონის თანახმად, ორ საგანს შორის ამგვარი კავშირის არსებობისას ყოველივე, რასაც ერთი აკეთებს ან განიცდის, მეორემაც გარდაუვლად უნდა გააკეთოს ან განიცადოს“.

მაშასადამე, სამყაროში ყველაფერი ერთმანეთთან დაკავშირებულია უმჭიდროესი შინაგანი ძაფებით და ერთ საგანში მიმდინარე ნებისმიერი პროცესი მაშინვე აისახება ყველა სხვაში. ამგვარი თვალსაზრისის პირობებში ნებისმიერი საგანი ან მოვლენა შეიძლება იქცეს სხვა ნებისმიერი საგნისა თუ მოვლენის სიმბოლოდ, ანუ „სხვა თქმად“. ქრისტიანთათვის ეს ძალიან ადვილად მოსააზრებელი იყო: რაკიღა ყველაფერი ღმერთმა შექმნა, ის არის გამჭოლი იდეა, რომელიც სამყაროში ნებისმიერ საგანს თუ მოვლენას ერთმანეთთან ბუნებრივად აკავშირებს, მისით მთლიანდება ყოველივე და ამდენად არ არსებობს ცალკე აღებული რომელიმე საგანი, ღვთაების სიმბოლო რომ არ იყოს, ღვთაებაზე რომ არ მიანიშნებდეს. სწორედ ამიტომ არის, რომ „აბოს წამებაში“ სიმბოლურად ასე მრავალსახოვნად მოიხსენიება ღმერთი: იგია: „კარიც“, „გზაც“, „მწყემსიც“, „ყვავილიც“, „კაციც“, „ანგელოზიც“, „ღმერთიც“ (ესეც ადამიანთაგან შერქმეული სახელია) და, თქვენ წარმოიდგინეთ, „მარცვალიც“ და „მატლიც“ კი. მოკლედ, რაც არსებობს, ყველაფერი ღვთაების სიმბოლოა: „ყოველივე რაჲმე მას ერთბამად სახე-ედების“ (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი).

3. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ სიმბოლურ-ალეგორიული აზროვნების დამკვიდრება განაპირობა ქრისტიანთათვის აუცილებელმა საიდუმლოებათა დაცვის გარანტიამაც. სწორედ ამიტომ „ცდილობდნენ ეპოვათ განსაკუთრებული პირობითი სიტყვები და გამოთქმები, რომელნიც გარკვეულ აზრს სრულიად ნათლად გადასცემდა მორწმუნეებს და ამავე დროს ურწმონოთათვის დარჩებოდა გამოუცნობი, გაუგებარი (რ. ბარამიძე).

სახისმეტყველება

ძველ საქართველოში არათუ კარგად გაუთავისებიათ აზროვნების სიმბოლურ-ალეგორიული სახე, არამედ თეორიულადაც ღრმად გაუაზრებიათ. ამის დამადასტურებელია ტერმინი „სახისმეტყველება", რომელიც თანამედროვე ტერმინს „სახეებით აზროვნებას" არამცთუ სრულად მოიცავს, არამედ აღემატება კიდეც გადმოსაცემი მნიშვნელობის გამოხატვის სიზუსტით.

ახალი
მოწამე

აბო არის „ახალი მოწამე". როგორ უნდა გავიგოთ ეს ნაწარმოებში მრავალგზის ნახსენები ტერმინი? როგორც „შუშანიკის წამების" ანალიზისას ითქვა, სიტყვა „მოწამე" პირდაპირი მნიშვნელობით „მოწმეს" ნიშნავს, ანუ მას, ვინც თავისი ცხოვრების წესით თუ ერთჯერადი ქცევით მიემოწმება ქრისტეს ამქვეყნიურ ცხოვრებას, ერთგვარად გაიმეორებს მის გზას. მოწამის ანუ მარტვილის აღსასრული არასდროს არის ცალკეული მოვლენის ფარგლებში ჩაკეტილი ფაქტი, მას ყოველთვის საზოგადოებრივი ღირებულება აქვს – თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია ეროვნული ცნობიერების განახლებასთან. არ არსებობს მარადიული საზოგადოებრივი ენერგია, ჟამითი-ჟამად ის იშრიტება ხოლმე და ძლიერი იმპულსები სჭირდება განახლებისათვის. ეს განახლება ყოველთვის პიროვნებასთან, მის ნებისყოფასთან, მის თავდადებასთან არის დაკავშირებული – ქვეყნისათვის, სამშობლოსათვის მსხვერპლშეწირვასთან (ილია ჭავჭავაძეც ხომ წერდა, რომ მამულიშვილობა ყოველთვის მსხვერპლია და არა სეირი). მსხვერპლშეწირვა ხანგრძლივიც შეიძლება იყოს (მთელ ცხოვრებას რომ მოიცავს) და დროში შეზღუდულც, ერთჯერადიც. არიან მამულიშვილები, რომლებიც მთელი თავისი ცხოვრების წესითა და ბრძნული სიტყვით მოძღვრავენ ერს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც მოძღვრავენ ქვეყანას თავიანთი მოწამეობრივი სიკვდილით. პირველთა შესახებ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" წერია: „მეფეთა ისრაელისათა ჟამად-ჟამად წინასწარმეტყველი აღუდგინის ღმერთმან სიქადულად მათა და ზღუდედ შჯულისა, და შესაწევნელად მორწმუნეთა და სამხილებლად ურწმუნოთა". მაშასადამე, აქ ნათქვამია რომ დრო და დრო ღვთაება ამა თუ

იმ ერს (ტექსტში ისრაელია გამოყოფილი) მოუვლენს ხოლმე წინამძღვარს, მოძღვარს, რომელიც იცავს სარწმუნოების სიმტკიცეს, აძლიერებს მორწმუნეებს და ამხელს ურწმუნოთ. ასეთია საქართველოსთვის, მაგალითად, გრიგოლ ხანძთელი, ხოლო კაცი, რომელმაც თავისი სიკვდილით განაახლა ჩვენი სარწმუნოება, არის აბო თბილელი. ამიტომაც ეწოდება მას „ახალი მოწამე“.

აბოს წარმომავლობა

აბო წარმოშობით არაბი იყო, ბაღდადელი ჭაბუკი, ჩვიდმეტი-თვრამეტი წლისა. ეს ახალგაზრდა კაცი თავის მშობლიურ ქალაქში შეხვედრია ადარნასე კურაპალატისა და ერისმთავრის ძეს ნერსე ერისთავს, რომელიც ამირა მუმნის დროს ბაღდადს გაუწვევიათ, როგორც ქართული ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელი და სამი წლის განმავლობაში საპყრობილეში ჰყოლიათ. აბო ნერსეს მსახური გამხდარა. როდესაც ნერსე ქართლში დაბრუნებულა, აბოც თან გამოჰყოლია. აქ მას შეუსწავლია ქართული მწიგნობრობა, უკითხავს ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, „რამეთუ უფალი მეცნიერ ჰყოფდა მას“, ესე იგი, თვალს უხელდა საღმრთო ჭეშმარიტებაზე. აბოს ეკლესიაში სიარულიც დაუწყია, რომელშიც თურმე მას კი არ სდევნიდნენ, როგორც უცხოტომელსა და სხვა სარწმუნოების მქონეს, არამედ მოძღვრავდნენ კიდეც. ცოტა ხანში აბო ფრიად განსწავლულა და შეუგნია და შეუგრძნია, რომ ნამდვილი სარწმუნოება სწორედ ქრისტიანობა ყოფილა. სწორედ მაშინ მან „უდებ-ყო შჯული იგი მაჰმედისი და წესი იგი მამულისა მის ლოცვისა დაუტევა და შეიყუარა ქრისტე ყოვლითა გულთა...“

აბო ფარულად მარხულობდა და ლოცულობდა, რადგან „ეშინოდა სოფლისა მპყრობელთა ამათ ზედამდგომელთა ჩუენთა სარკინოზთაგან“ (ამ ადგილს განსაკუთრებულად მივაქციოთ ყურადღება: გაივლის კიდეც ცოტა ხანი და აბოსათვის სრულიად უცხო გახდება ადამიანისათვის ისეთი ბუნებრივი გრძნობა, როგორიც არის შიში. ამით ავტორი საგანგებოდ მიგვანიშნებს იმაზე, რომ გაუბზარველი და სრული რწმენა ისეთ დიდ შინაგან თავისუფლებასა და ძალმოსილებას ბადებს, რომელსაც შიში ვერ ეკარება).

რამდენიმე ხნის შემდეგ არაბთაგან კვლავ შევიწროებული ნერსე ერისთავი იძულებული გახდა ხაზართა მეფეს შეჰკედლებოდა. ხაზარები არაბების დაუნდობელი მტრები იყვნენ (ისინი ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობდნენ) და ამიტომ გასაგებია ნერსეს არჩევანი. ხაზარეთში აბო უკვე თავისუფლად მარხულობდა და ლოცულობდა, რადგან ამ ქვეყანაში მრავლად ყოფილან ქრისტიანები: „მრავალ არს ქალაქები ქრისტეჲსითა და ცხონდებიან უზრუნველად“. ამ ქვეყანაში აბო მოინათლა კიდეც.

აბოს
მონათვლა

როდესაც ნერსე აფხაზეთში გადავიდა, სადაც არაბთა მოსალოდნელ რისხვას განარიდა თავისი ცოლ-შვილი, აბოსათვის ნეტარი ქრისტიანული ცხოვრება დაიწყო. აფხაზეთი იმ დროს ყოფილა სრულად ქრისტიანული ქვეყანა, „სავსე ქრისტეჲს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკჯიდრად იპოვების საზღვართა მათთა". ავტორი აქ საგანგებოდ ამბობს, რომ აფხაზეთის ქვეყანას გარს აკრავს ქრისტიანული გარემო, რომ ის ახლოსაა ქრისტიანობის ცენტრთან და აქ გაცილებით მეტი ინტენსივობისაა ქრისტიანული ცხოვრება, ვიდრე განაპირა ოლქებში. აბოს სანეტარო ცხოვრებასაც ქრისტიანულ ცენტრთან სიახლოვის შეგრძნება განაპირობებდა. ის საღმრთო, ანუ კეთილი შურით აღივსო, როდესაც „იხილა კაცთა მის ადგილისათა გარდამეტებული ღმრთის-მოყუარება" და გაიხსენა ერთი უმშვენიერესი სიტყვა მოციქულისა: „კეთილ არს ბაძვა კეთილისათვის მარადის". ვის ბაძავდა აბო? – „მოიხსენია მან მაცხოვრისა ჩუენისა, ვითარ-იგი შემდგომად წმიდისა მის ნათლისღებისა უდაბნოდ განსრულმან, მზაკვარსა მას განსაცდელსა სძლო, ეშმაკსა, ლოცვითა მით და მარხჳთა წმიდითა ორმეოც დღე".

იესოს გამოცდა
ეშმაკის მიერ

როგორც სახარებიდან ცნობილია, მონათვლის შემდეგ (ქრისტე იოანე ნათლისმცემელმა მონათლა მდინარე იორდანეში) მაცხოვარი უდაბნოში გავიდა, სადაც ეშმაკი სცდიდა მას. ეს ამბავი აღწერილია მათეს სახარების მეოთხე თავში: „მაშინ იესო აღმოიყუანა უდაბნოდ სულისაგან გამოცდად ეშმაკისაგან და დაიმარხა ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე და მერმე შეემშია. მოუჴდა მას გამომცდელი იგი და ჰრქუა: უკუეთუ შენ ხარ ძეჲ ღმრთისაჲ, თქუ, რაჲთა ქუანი ესე პურ იქმნენ. ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა: წერილ არს, რამეთუ არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყუითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისაჲ. მაშინ წარიყვანა იგი ეშმაკმან მან წმიდა ქალაქსა და დაადგინა იგი სართულსა მას ზედა ტაძრისასა და ჰრქუა მას: უკუთუ ძეჲ ხარ ღმრთისაჲ, გარდაიგდე თავი შენი ამიერ ქუეყანად, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ ანგელოზთა მისთა უბრძანებიეს შენთჳს, და ჴელთა მათსა ზედა აღგიპყრან შენ, ნუსად წარსცე ქუასა ფერჴი შენი. ჰრქუა მას იესო: ვითარმედ წერილ არს: არა განსცადო უფალი ღმერთი შენი. კუალად წარიყუანა იგი ეშმაკმან მთასა ფრიად მაღალსა და უჩუენა მას ყოველნი სუფევანი სოფლისანი და დიდებაჲ მათი და ჰრქუა მას: ესე ყოველი მიგცე შენ, უკეთუ დავარდე და თაყუანი მცე მე. მაშინ ჰრქუა მას იესო: წარვედ ჩემგან მართლუკუნ, სატანა, რამეთუ წერილ არს: უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანი-სცე და მას მხოლოსა ჰმსახურებდე. მაშინ დაუტევა იგი ეშმაკმან მან, და ანგელოზნი მოვიდეს და ჰმსახურებდეს მას".

სახარების ანალოგია

ამიტომ წერია სწორედ „აბოს წამებაში“, რომ აბო ქალაქში კი იყო, მაგრამ თითქოს უდაბნოში ყოფილიყო, ეშმაკს ებრძოდა და თრგუნავდა ქრისტეს მსგავსად: „ვითარცა უდაბნოსა ზედა ეწყვებოდა მტერსა მას ეშმაკსა“.

ამ შემთხვევაში საგულისხმო ის არის, რომ, „შუშანიკის წამების“ მსგავსად, ჩვენს განსახილველ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაშიც სულის ამაღლებასა და გაბრწყინვებას ესწრაფვიან ხორცის მოუძლურებითა და დათრგუნვით: „დუმილითა და მარხვითა მოაუძლურებდა იგი ჴორცთა მათ სიჭაბუკისა თჳისათა“. რაგვარი აზრობრივი კანონზომიერება მოქმედებს აქ?

სრულქმნილი ადამიანის ანტიკური იდეალი

ანტიკურ ეპოქაში ადამიანური სრულქმნილება, მისი იდეალურობა უკავშირდებოდა ხორციელ სრულყოფილებასა და სიმშვენიერეს. გარეგნული სილამაზე და მომხიბვლელობა, ადამიანის აღნაგობის პროპორციულობა და სიმრთელე მიიჩნეოდა სულიერი სიმაღლის გამოვლინებადაც. ამიტომაც ამბობდნენ, რომ „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო“. აქედან გამომდინარე, ძალიან ბუნებრივი ჩანს ის, რომ ანტიკური ხელოვნების ერთ უმთავრეს ჟანრში, ქანდაკებაში (ბერძნებსა და რომაელებს ტრადიციულად იზიდავდათ პლასტიკურობა) აქცენტირებულია, ხაზგასმით წინა პლანზე წამოწეულია სხეულის სიმშვენიერე.

სრულქმნილი ადამიანის ქრისტიანული იდეალი

ქრისტიანული მსოფლმხედველობა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში სულ სხვა თვალსაზრისს ეფუძნებოდა. მისთვის ხორციელ სრულქმნილებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარი იყო სულიერი ამაღლებულობა, სულის სიწრფელე და სიმტკიცე, ღმერთს მიმსგავსებულობა. სულიერი ამაღლებულობა კი, ადრეულ ქრისტიანთა აზრით, ხორცის დათრგუნვით, მისი მოუძლურებითა და დამარცხებით მიიღწეოდა. სწორედ ამიტომაა, რომ ჰაგიოგრაფიის განვითარების ადრეულ ეტაპზე ხორცი სრულიად უარყოფილია – ჩვენ ვერ შვხვდებით გმირის გარეგნობის აღწერას, მის პორტრეტს, უფრო მეტიც: დედოფალ შუშანიკს რამდენიმე წლის მონამეობრივი ცხოვრების შემდეგ მატლები ეხვევიან ტანზე – აქ კი ხორცი უკიდურესად დამცირებულია. „შუშანიკის წამების ანალიზისას უკვე ითქვა, რომ ფრესკულ ხელოვნებაშიც სულიერებაა აქცენტირებული და არა ხორცი და ამდენად აქ აღარაფერს ვიტყვით ამის შესახებ (მხოლოდ შევნიშნავთ, რომ ანტიკური ქანდაკების შედევრი **„ლაოკოონი“**, რომელიც განსახიერებაა იმისა, თუ ქალღმერთ

ათენას მიერ გამოგზავნილმა გველებმა რა სასიკვდილოდ დაგესლეს მისგან შერისხული ტროელი ქურუმი ლაოკოონი და მისი ვაჟები, გამომხატველია უკიდურესი ტანჯვის, რაც ხორციელი ტკივილითაა გამოწვეული, ხოლო ამის საპირისპიროდ, ქრისტეს ჯვარცმის ტრადიციულ კომპოზიციებზე განკაცებული ღვთაების სახე ხორციელთან ერთად, არსებითად, სულიერ ტანჯვას გამოხატავს. პირველ შემთხვევაში გამოხატულია მშვენიერები ხორცისა, ხოლო მეორეში – ღვთაებრივი სულიერება.

ქრისტიანული დამოკიდებულების შეცვლა

უნდა ითქვას, რომ ქრისტიანობა არ დარჩენილა მხოლოდ ამგვარ თვალსაზრისზე – იყო განსხვავებული აზრიც: სულიცა და ხორციც ღვთაებრივია, ამდენად, ხორცის ხელოვნური დათრგუნვა და უარყოფა ცოდვას ნაზიარები საქმეა. ხორცი სულის ნავსაყუდელია, ხორცის სიმრთელე და სიმშვენიერე მხოლოდ ეხმარება სულის ამაღლებასა და ნათელმოსილებას – მისი დაკნინება და დამცირება არ შეიძლება. ამიტომ ქართულ ჰაგიოგრაფიაში მე-10 საუკუნიდან, კერძოდ, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“, დამკვიდრდა ხორციელი სიმრთელის მიღების ტენდენცია: აღნიშნულ ნაწარმოებში ჩვენ უკვე გმირის, გრიგოლის, პორტრეტსაც ვხვდებით და ისიც კი საყურადღებოდ მიუჩნევია ავტორს, რომ 102 წლის ხანძთელ ბერს სიცოცხლის ბოლომდე შერჩა ჯანის სიმრთელე: „ხოლო ფერი პირისა მისისა არა იცვალა, არცა შემთხვევია თუალთა მისთა მრუმედ-მხედველობაჲ და ჴორცითა ძლიერ იყო და რაჲთურთით უძლურებაჲ სიკვდილამდე არა იპოვნა მის თანა“.

როგორც ვხედავთ, ერთი მხრივ, შუშანიკი და აბო თავიანთ ახალგაზრდა სხეულებს ძალით აკნინებენ და შეურაცხყოფენ, მეორე მხრივ კი, ას ორი წლის მოხუცი ხორციელი სრულქმნილების მაგალითია. დავასკვნათ, რომ ჰაგიოგრაფიამ ხორციელების შეფასებისას ორი მნიშვნელოვანი ეტაპი გაიარა. სხვათა შორის, მეორე ეტაპი იყო წინასწარმეტყველება იმ თვალსაზრისისა, რომელიც რენესანსის ეპოქამ მოიტანა. ეს თვალსაზრისი კი ასეთი იყო: ადამიანი არის ერთობლიობა ხორცის და სულის და, თუკი ჩვენ ადამიანურ სრულქმნილებაზე ვსაუბრობთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ორივე ეს ელემენტი უნდა იყოს სრულქმნილი – რენესანსის დროინდელი იდეალური ადამიანები ბრწყინავენ როგორც სულიერი, ისე ხორციელი მშვენიერებით. თუმცა ამის შესახებ ჩვენ საგანგებოდ ვისაუბრებთ „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის დროს და აქ ზედმეტად სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

დავუბრუნდეთ „აბოს წამებას“. როდესაც ნერსე ერისთავმა თბილისში დაბრუნების უფლება მიიღო, ახლად მონათლულ აბოს ურჩევდნენ, აფხაზეთში დარჩენილიყო, რადგან არაბთაგან შესაძლოა დიდი განსაცდელი შეჰხვედროდა თბილისში ჩამოსულს. აბომ შორს დაიჭირა ეს საქმე, რადგან, როგორც ზემოთ ვთქვით, სარწმუნოების სიმტკიცემ მასში სრულად ჩაკლა შიშის გრძნობა. სასუფეველში ანუ სამოთხეში მოხვედრის სურვილი და რწმენა მისთვის, ისევე, როგორც სხვა მორწმუნეთათვის სიკვდილის შიშს უაზროს

ხდის. აბო გულმხურვალედ ამბობს აფხაზეთიდან წამოსვლის წინ: „სადღა შემიწყნარა მე ქრისტემან და განმაშორა ჩემგან ბნელი იგი პირველისა მის უმეცრებისაჲ ჩემისაჲ და ღირს მყო მე ნათელსა მას მისსა, არსადა უვარ-ვყო მე სახელი მისი, დაღათუ ბევრეული ოქროჲსა და ვერცხლისა მომცენ მე, გინა თუ ტანჯვითა და გუემითა განმიკითხონ მე, ვერ განმაშორონ მე სიყვარულს უფლისა ჩემისასა". ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა თანამედროვე კაცისათვის განსაკუთრებულად იმითაა საყურადღებო და მნიშვნელოვანი, რომ გვასწავლის: ამ ქვეყანაზე არის იდეები, რომლებიც თავიანთი ღირებულებით აღემატებიან თვით კაცის სიცოცხლესაც კი. ადამიანისაგან უდიდესი ნებისყოფის გამოვლენა ყველა ეპოქაში დიდად საპატივცემულოდ მიიჩნეოდა და მიიჩნევა. როდესაც პიროვნებას შეუძლია იდეისათვის თავგანწირვა, ეს ერთნაირად წარმოაჩენს როგორც ამ პიროვნების სულის სიმრთელესა და სიმტკიცეს, ისე თავად იდეის ყოვლისმომცველ ღირებულებასაც. მსხვერპლშეწირვის უნარი ადამიანის შესაძლოა უმთავრესი და უდიდესი უნარია, რომელსაც ერთნაირი ძალისხმევით ააშკარავებდა ნებისმიერი ეპოქისა და ხალხის ლიტერატურა.

აბო არ ცდილობს დაფაროს თავისი რწმენა – რა აზრი აქვს სანთლის ანთებას, თუკი მისი სინათლე დახშული სივრციდან გარეთ ვერ გააღწევს? ნაწარმოების გმირი იხსენებს მაცხოვრის სიტყვებს სახარებიდან: „არავინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქვეშე ჯჯმირსა, არამედ ზედა სასანთლესა გადგიან, რაჲთა ჰნათობდეს ყოველთა: ეგრე ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა".

დროის ფაქტორი

თბილისში ჩამოსული აბო სამ წელიწადს თავისუფლად დადიოდა ქალაქში, რადგან, როგორც ავტორი ამბობს, „არღა მოწევნულ იყო ჟამი მისი". ქრისტიანებს, საზოგადოდ ბიბლიის მაღიარებელ ხალხებს, ღრმად სწამთ, რომ ამქვეყნად ყველაფერს თავისი დრო აქვს – ჟამის მოწევნამდე არ აღსრულდება აღსასრულებელი (ეს აზრი მკაფიოდ არის წარმოჩენილი ძველი აღთქმის შესანიშნავ წიგნში, რომელსაც „ეკლესიასტე" ჰქვია).

ჩანართი №4

ეკლესიასტეს წიგნის III თავი

1. ყოველივეს თავის დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი ამ ცისქვეშეთში.

2. ჟამი შობისა და ჟამი სიკვდილისა; ჟამი დანერგვისა და ჟამი დანერგულის აღმოფხვრისა.

3. ჟამი მოკვდინებისა და ჟამი განკურნებისა; ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისა.

4. ჟამი ტირილისა და ჟამი სიცილისა; ჟამი გლოვისა და ჟამი ლხინისა.

5. ჟამი ქვათა მიმოფანტვისა და ჟამი მათი შეგროვებისა; ჟამი მიჯნურთა პაემანისა და ჟამი მათი გაყრისა.

6. ჟამი პოვნისა და ჟამი დაკარგვისა; ჟამი შენახვისა და ჟამი გაფლანგვისა.

7. ჟამი დარღვევისა და ჟამი შეკერვისა; ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა.

8. ჟამი სიყვარულისა და ჟამი სიძულვილისა; ჟამი ომისა და ჟამი მშვიდობისა.

9. რას არგებს მაშვრალს შრომა მისი?

10. კიდევაც ვნახე საზრუნავი, რომელიც ღმერთმა მიუჩინა ადამის ძეთ მათ სატანჯველად.

11. მან ყველაფერი კეთილად შექმნა თავის დროისთვის, თვით იდუმალის შეცნობად აღძრა გონება კაცთა, ოღონდ ისე, რომ ვერ გაუგონ ღვთის ნამოქმედარს თავი და ბოლო.

12. ვუწყი, რადგან არაფერია კაცისათვის იმაზე კარგი, რომ გაიხაროს და ქმნას სიკეთე, ვიდრეღა ცოცხლობს.

13. თუ კაცსა ვისმე არ აკლდება სასმელ-საჭმელი და შრომისა წილ სიკეთეს ჰპოვებს, ეს მადლია, ღვთის ნაბოძები.

14. ვუწყი ისიც, რომ ყოველივე, ღვთის მიერ ქმნილი, იარსებებს უკუნისამდე; არც დამატება სჭირდება რამის, არც გამოკლება. ასე ქმნა ღმერთმა, მის წინაშე შიში რომ ჰქონდეთ.

15. რაიც ყოფილა, უკვე არის დიდი ხანია; და რაც იქნება, ის უკვე იყო. და აწ გარდასულს მხოლოდ ღმერთი გამოიძიებს.

16. კიდევ ვიხილე მზისქვეშეთში: განსჯის ადგილი დაეჭირა უკანონობას. მართლის ადგილი მტყუან კაცს ეპყრა.

17. მაშინ ვთქვი გულში: ღმერთი განსჯის მართალს და მტყუანს, როცა ყველაფერს და ყოველ საქმეს დაუდგება იქ თავის ჟამი.

18. და ვთქვი ჩემს გულში: ასე გამოცდის თურმე ღმერთი ადამის ძეთა, რათა დარწმუნდნენ, რომ თავისთავად პირუტყვები არიან მხოლოდ.

19. რადგან კაცის და პირუტყვის ხვედრი ერთია – ერთის სიკვდილი მეორისას ჰგავს და ყველას ერთი სული უდგას, კაცი პირუტყვზე ვერაფრით ვერ უპირატესობს, რადგან ყველაფერი ამაოა.

20. ყოველივე ერთ ადგილს მივა; ყველაფერი მიწისგანაა და ყველაფერი მიწად იქცევა.

21. რომელი იტყვის, რომ კაცთა სული ზევით მიილტვის, ხოლო პირუტყვის ქვევით ჩადის, ქვესკნელისკენ?

22. ვხედავ, კაცთათვის სხვა სიკეთე რომ არ ყოფილა, თუ არ იხარა თავის ნაღვაწით, რადგან ესაა მისი წილი ამ მზისქვეშეთში, ვინ დაანახვებს, რა მოხდება შემდგომად მისა?

აღსასრული

და აი, დადგა დრო. აბო არაბებმა დაასმინეს ამირასთან და საპყრობილეში ჩააგდეს. ამ ჯერზე მან თავი დააღწია სასჯელს, რადგან ქართლის ერისთავმა სტეფანოზმა გამოიხსნა მსაჯულთა ხელიდან, მაგრამ დამსმენნი არ დაშოშმინდნენ; მათ ეშინოდათ, რომ აბოს გაქრისტიანება ერთ უბრალო ამბად არ დარჩებოდა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფაქტად იქცეოდა – მას მიმბაძველებიც შეიძლება გამოსჩენოდნენ. სწორედ ამიტომ ის მეორედ დაასმინეს ამირასთან: „აწ ბრძანე შეპყრობაჲ მისი და შეაგდე იგი სატანჯველსა და გუემასა, ვიდრემდის არა აღიაროს შჯული მაჰმედ მოციქულისა ჩუენისა; უკეთუ არა, მოკვედინ იგი, რაჲთა არა მობაძავ იქმნენ მისა მრავალნი სიტყჳთა მისითა“.

აბო გააფრთხილეს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, მაგრამ იგი „განძლიერდა ქრისტეს მიერ“ და გაბედულად წარდგა ამირას წინაშე. მან მსაჯულის პირისპირ მტკიცედ უარყო „კაცთა ჴელოვნებითა შეთხზული შჯული და ზღაპრობისა სიბრძნითა ღონისძიებელი რწმუნება“, ე. ი. მაჰმადიანობა და ამირამ მისი ოქრო-ვერცხლით მიდრეკა სცადა, მაგრამ აბოს პასუხი იყო: „მე პატივსა კაცთაგან არა ვეძიებ“.

არაბი ჭაბუკი კვლავ საპყრობილეში ჩააგდეს, რომელშიც დღე და ღამე განუწყვეტლივ მარხულობდა, ლოცულობდა და ფსალმუნებს, ბიბლიურ ჰიმნებს წარმოთქვამდა. როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, გამოჩნდნენ „ცრუ-მოძღუარნი და შემასმენელნი“, რომლებიც აბოს მოუწოდებდნენ, თავი ტყუილად არ გაეწირა, არ დაშორებოდა ძმებსა და ნათესავებს, არ დაემწუხრებინა გარეშემონი. ზოგიერთნი აშინებდნენ მოსალოდნელი ტანჯვითა და წამებით, მაგრამ სასოებით მლოცველი აბო ვერ მოდრიკეს და „გამოვიდეს მიერ სირცხჳლეულნი“.

ამ ამბებიდან რამდენიმე დღის შემდეგ აბო საპყრობილედან გამოიყვანეს და ხელებსა და ფეხებზე ბორკილდადებული ქალაქში გამოატარეს. ყველა „ცრემლოოდეს მისთვის“, გარდა მისი მწვალებლებისა. აბო, შუშანიკის მსგავსად, ეუბნებოდა დამწუხრებულებს: „ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ გიხაროდენ, რამეთუ მე უფლისა ჩემისა მივალ, ლოცვით წარმგზავნეთ და მშვიდობამან უფლისამან დაგიცვენინ თქუენ“.

როგორც ვხედავთ, „შუშანიკის წამების“ და ადრეული ხანის სხვა ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა მსგავსად, არც „აბოს წამებაშია“ ადამიანის მოახლოებული სიკვდილით დაბადებული სინანულისა და სიბრალულის განცდა – წმინდანისათვის სიკვდილი არ არის უბედურება, რადგან ის განქარვებასთან და საბოლოო გაქრობასთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ უკეთეს და მარადიულ სასუფეველში გადასვლასთან (სიკვდილის ამგვარ გააზრებას უკავშირდება სწორედ ქართული სიტყვა „გარდაცვალება“). ადამიანის იმქვეყნად წასვლის ტრაგიკული განცდა ქართულ ჰაგიოგრაფიაში შედარებით გვიან გამოჩნდება, კერძოდ, „გიორგი ათონელის ცხოვრებაში“. აქ მთავარი გმირის გარდაცვალება დიდ ადამიანთან განშორების მწუხარებას იწვევს და წუთისოფელში დარჩენილთათვის ტრაგედიად აღიქმება.

როდესაც აბო ამირასთან მიიყვანეს საბოლოოდ განსასჯელად, ხელისუფალი კვლავ შეეცადა აბოს გადაბირებას, მაგრამ პყრობილმა ასე უპასუხა:

„მე, ვითარცა კედელმა მაგას, რომელსა მიყრდნობილ ხარ, ეგრე არა მესმიან ცუდნი ეგე სუტყუანი შენნი, რამეთუ გონება ჩემი ქრისტეს თანა არს ზეცას“.

აბო მთლიანად საკუთარი რწმენის საუფლოშია და მიწიერი შეგონებები მას უკვე სრულიად აღარ აინტერესებს. მოძალადეობასა და საშინელ ტანჯვას, რომელიც მას მოელის, მისთვის ყოველგვარი მნიშვნელობა დაუკარგავს.

აბოს სამგზის სცეს მახვილი. მარტვილმა მხნედ გაუძლო განსაცდელს, დუმილი იყო მისი პასუხი მტარვალთა მიმართ, რადგან მათ ვერც ადრე შეძლეს და არც ახლა შეეძლოთ მისი შეშინება თუ დამარცხება – „სრულ იქმნა ნეტარი იგი ქრისტეჲს მიმართ“.

არაბებმა იცოდნენ, რომ ქრისტიანებისთვის წმინდანთა წმინდა ნაწილები უძვირფასესი რელიკვია იყო და ამიტომ „მძლავრს“ ანუ ამირას სთხოვეს ნებართვა, რომ აბოს ნეშტი დაეწვათ და მთლიანად გაენადგურებინათ. მისი გვამი წაიღეს იმ ადგილას, რომელსაც „საგოდებელი“ ეწოდებოდა (თბილისის მეტეხის ღვთისმშობლის სახელობის ტაძართან), დაწვეს, დარჩენილი ძვლები ცხვრის ტყავში გაახვიეს, შეკერეს და მტკვარში ჩააგდეს.

შიშის დაძლევა

არაბებმა ყველაფერი სწორად ვერ განჭვრიტეს. არსებობს ერთი ძველი ჭეშმარიტება: იდეა მხოლოდ იდეითვე შეიძლება დაამარცხო, მას მახვილით ვერ დათრგუნავ. აბოს სიკვდილი ქართველებისათვის, ქრისტიანობისათვის ზნეობრივ მაგალითად იქცა, „ახალი მოწამის“ მიერ კვლავ განახლდა მინავლებული ქრისტიანული გრძნობა და მაშინ აზვავდა და აღზევდა ქართლის მკვიდრთა ეროვნული და სარწმუნოებრივი სული. წმიდათა მათ მენელსაცხებელთა, დიდი ექსპრესიითა და დინამიზმით აღწერს იოანე საბანისძე ხალხის მიერ შიშის უკუგდებისა და სულიერი გათავისუფლების მართლაც მშვენიერ სურათს: მაშინ იწყო სიმრავლემან ქალაქისამან ქრისტეანეთამან და განაგდეს შიში მძლავრთა მათ და განვიდოდეს ყოველნივე ადგილსა მას, სადაცა დაწვნეს ხორცნი იგი წმიდისა მოწამისანი. მოხუცებულნი მირბიოდეს კუერთხებითა თჳსითა, მკელობელნი ვლდომით ვითარცა ირემნი, ჭაბუკნი სრბით, ყრმანი აჯდომით ურთიერთას, დედანი მსგავს იყვნეს წმიდათა მათ მენელსაცხებელთა, რომელთა სრბით მიაქვნდა სულნელები იგი წმიდასა მას ქრისტეჲს ღმრთისა ჩუენისა საფლავსა. ნანდვილვე იყვნეს ესენიცა მსგავს მათა, რამეთუ რბიოდეს ცრემლითა და მიაქვნდა მათ თანა სანთლები და საკმეველი ხელითა თჳსითა. ყოველნივე სიხარულითა და მადლობითა ქრისტეჲსითა მივიდოდეს და აღიღებდეს მიწასაც მის ადგილისასა, და მრავალნი სენთაგან შეპყრობილნი მიჰყვანდეს და მასვე დღესა შინა განიკურნებოდეს“.

აბოს წამება – შიშის დაძლევის გზა

ძველებს ესმოდათ, რომ ადამიანის მარტვილობა მხოლოდ პიროვნულ ხსნას არ გულისხმობდა და განასახიერებდა – ასე რომ ყოფილიყო, ამ გზაზე დადგომა უკიდურესი ეგოიზმის ფარგლებს ვერ გასცდებოდა. მოწამეობას ძალიან დიდი საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც ჰქონდა. ტყუილად არ სწერს სამოელ ქართლის კათოლიკოსი იოანე საბანისძეს, აბომ „ყოვლისა ამის სოფლისა ჩვენისა ქართლისათვის“ იმარტვილაო. ამასთან, ნახსენები მნიშვნელობა მხოლოდ აწმყოს არ ეკუთვნის და მათი საზიაროცაა, „ვინ იყვნენ შემდგომად ჩვენსა“.

მონობასა და თავისუფლების დაკარგვას უძლურებაზე მეტად შიში განაპირობებს. თუ კაცი ან ქვეყანა შიშს მიეცემა, ვეღარაფერი უშველის, რადგან თუ გეშინია, ვერც მოქმედებ. შიში, თავისი არსით, ორ რამეს ნიშნავს – უიმედობასა და უსიყვარულობას. უიმედობას – იმიტომ, სავალ გზაზე თვალები მარცხის გარდა ვერაფერს ხედავენ, უსიყვარულობას კი – იმიტომ, რომ ადამიანის სულს არავინ ავსებს ღმერთისთვის კარის გასაღებად.

კი მაგრამ, ღმერთი რატომ ვახსენეთ – განა ადამიანს თუ რამის ეშინია, ეს მისი პიროვნული მახასიათებელი არ არის? მთლად ასეც არ ყოფილა – უიმედობა და უსიყვარულობა, პირველ რიგში, რწმენის არარსებობას ან დაკარგვას ნიშნავს. ეს კი, თავის მხრივ, იმაზე მეტყველებს, რომ კაცი მაღალი ღირებულებებისგან დაცლილია და არც მოწოდებულია და არც შეუძლია ძალა მოიძიოს სიკეთის, მშვენიერებისა და სიმართლის გამოსახატად ან დასაცავად. ეს აღარ არის „ცხოვრება“ – მხოლოდ არსებობაა.

მათეს სახარების მე-5 თავის ბოლო (48-ე) მუხლი მოგვიწოდებს: „იყუენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ სრულ არს“. როდის ემსგავსება ყველაზე მეტად ადამიანი ღმერთს? – როდესაც ის შემოქმედია. ღმერთმა შექმნა ქვეყანა და სულ ბოლოს – მის გვირგვინად და წარმმართველად – კაცი. მეშვიდე დღეს უფალმა დაისვენა. ზოგჯერ თეოლოგები სამყაროსა და კაცობრიობის მთელ ისტორიას სიმბოლურად „მერვე დღედ“ მოიხსენიებენ. ადამიანი უნდა აღასრულებდეს ღვთისგან დაკისრებულ მოვალეობას მისივე მიბაძვით – შემოქმედებითა და ახლის შექმნით.

მოახერხებს ის ამას, თუ შიშით შეპყრობილი იქნება? განა ეს გრძნობა თავისუფლების პირველი მტერი არ არის?! უფლის უპირველესი საჩუქრის – თავისუფალი ნების – გამოვლენის გარეშე შემოქმედება არ არსებობს, ამიტომ შიში ადამიანს საკუთარ ღვთაებრივ ბუნებას აკარგვინებს და დამდაბლებული სახის ამარა ტოვებს.

აბო ნერსე ერისთავს ჩამოჰყვა ქართლში და ქრისტიანობის უკეთ გაცნობისა და შეცნობისთანავე სწრაფადვე განიმსჭვალა მისი სიყვარულით, თუმცა მონათვლა ვერ გაბედა – გამარჯვებული და ძალმოსილი თანამოძმეების ეშინოდა: „... ვერ განაცხადებდა თავსა თვისსა სრულიად ქრისტიანედ, ხოლო ფარულად იმარხავნ და ილოცავნ ქრისტეს მიმართ და ეძიებ-

და ადგილსა კრძალულსა, სადამცა მოიღო ნათელი ქრისტეისი, რამეთუ ეშინოდა სოფლისა მპყრობელთა ამათ ზედამდგომელთა ჩვენთა სარკინოზთაგან".

ეშინოდა, მაგრამ მიისწრაფვოდა გათავისუფლებისკენ. მასში ღვთაებრივმა ბუნებამ გაიღვიძა და ველარ ეგუებოდა მიწიერ განწყობათაგან შებორკილობას. წუთისოფლური „მიზანშეწონილობა" ხომ ყოველ ჩვენგანს უბიძგებს უპასუხისმგებლო „სიმშვიდისა" და „გონიერებისაკენ". სიცოცხლის გზა კი მოქმედებისა და **შე-მოქმედების** გზაა – წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილად გადაიქცევა. აბომ ან უნდა გაიმარჯვოს მასში ჩაბუდებულ დამთრგუნველ შეგრძნებაზე ან პიროვნულ თავისუფლებას ეზიაროს ადამიანის მოვალეობის აღსასრულებლად.

იოანე საბანისძე მხოლოდ აბოს შიშზე არ მოგვითხრობს. სრულიად ქართლიც ამ შეგრძნებას შეუპყრია და დაუმონებია. აქაური ადამიანები, რომლებიც 500-ზე მეტი წლის წინ მონათლულან ქრისტიანებად, ძალით, მოტყუებით, ახალგაზრდული გამოუცდელობითა თუ მზაკვრობით დამპყრობელ არაბებს თავისუფლებისა და ღირსებისაგან განუძარცვავთ და, „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვის" გამცნობიერებელს, ცოტას თუ შერჩენია იმედის ნაპერწკალი – „შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა". სიკეთე ბადებს სიყვარულსა და თავისუფლებას, ბოროტება კი – შიშსა და სხვის ნებას მიკუთვნებულობას. სიკეთე მცდელობაა, ბოროტება – შემგუებლობა. „აბოს წამება" გვიჩვენებს, რა შეუძლია ღმერთსმიმსგავსებულობისკენ დაუოკებელ სწრაფვას.

მწერალი გვარწმუნებს, რომ საზოგადოებისა და სახელმწიფოს გათავისუფლება პიროვნების გათავისუფლებას ეფუძნება – სადაც ადამიანი არ არის თავისუფალი, ვერც კაცთა ერთობა დააღწევს თავს მონობას.

აბო ხაზარეთში მოინათლა, „რამეთუ კრძალულ იყო ქუეყანა იგი შიშისაგან სარკინოზთაჲსა". არაბი ჭაბუკი აქ ჯერ კიდევ არ არის სრულ თავისუფლებას მიწევნილი და მის სურვილს საშიშროებისაგან განრიდება აძლევს ძალას. სულ სხვა ვითარებას ვხედავთ, როდესაც ის ნერსე ერისთავთან ერთად აფხაზეთში გადადის და მთლიანად ღმერთს მიუძღვნის თავის თავს. აქ ის გადაივლის კრიტიკულ მიჯნას, რომლის იქითაც შიში ველარაფერს აკლებს ადამიანის თავისუფალი ნების გამოხატვას. როდესაც აფხაზეთის მთავარი აბოს დაბეჯითებით ურჩევს, არ დაბრუნდეს თბილისში („მეშინის მე შენთვის, ნუუკვე კვალად არ განგდრიკონ შენ სარწმუნოებისაგან ქრისტეისისა ნეფსით, გინა უნებლიეთ..."), „ვარდი, ეკალთაგან გამორჩეული" ერთი ნაბიჯითაც არ იხევს უკან და თამამად (სიხარულითაც!) მიდის უკვე დაძლეულ შიშთან და სიკვდილთან შესახვედრად („... რაი მადლ არს ყოფა ჩემი აქა, სადა არა არს შიში, არცა სიკვდილი ქრისტეისთვის"?). უკვე თბილისში ჩამოსული აბო მის გასაფრთხილებლად მოსულ ქრისტიანებს („აწ ესერა გეძიებენ შენ შეპყრობად, ტანჯვად და გვემად"), რომლებიც დამალვასა და ხიფათისგან გარიდებას ურჩევენ, უპასუხებს: „მე არა ხოლო ტანჯვად გამზადებულ ვარ ქრისტჱსთვის, არამედ სიკვდიდცა".

იოანე საბანისძე აბოს პირით აცხადებს, რომ ადამიანის თავისუფლების უშრეტი წყარო და შეუმუსრავი ძალმოსილება ღმერთია: „დაღათუ ვი-

დოდი მე შორის აჩრდილთა სიკვდილისათა, არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ, უფალი, ჩემ თანა ხარ". სიკვდილის აჩრდილები აღამებს წუთისოფელს, რომლის გათენება უფალია.

სწორედ ეს გამთენებელი ღმერთია აბოს გამათავისუფლებელი. ის კი, თავის მხრივ, მაგალითს აძლევს სხვა ადამიანებს. ტყუილად არ ამბობს იოანე საბანისძე ტექსტის მე-4 თავში: „ხოლო აწ შენ მიერ მოგვეახლა ქრისტე".

აბოს თავგანწირვამ და პრინციპთა ერთგულებამ ყველას დააძლევინა შიში დამპყრობელთა მიმართ. მწერალი დაგვანახვებს ნების დამთრგუნველი შეგრძნებისგან ადამიანების გათავისუფლების დინამიკურ, ამაღელვებელ და მშვენიერ სურათს: „მაშინ იწყო სიმრავლემან ქალაქისამან ქრისტეანეთამან და განაგდეს შიში მძლავრთა მათ და განვიდოდეს ყოველნივე ადგილსა მას, სადაც დაწვნეს ხორცნი იგი წმიდისა მოწამისანი. მოხუცებულნი მირბიოდეს კვერთხებითა თვისითა, მკელობელნი ვლდომით, ვითარცა ირემნი, ჭაბუკნი სრბით, ყრმანი ხდომით ურთიერთას, დედანი მსგავს იყვნეს წმიდათა მათ მენელსაცხებლეთა, რომელთა სრბით მიაქვდა სულნელები იგი წმიდასა მას ქრისტეის ღმრთისა ჩვენისა საფლავსა".

პიროვნება დგამს პირველ ნაბიჯს და მას მიჰყვებიან დანარჩენები. ამგვარი პირველობა ძალიან ძნელი, სახიფათო და ზოგჯერ დამღუპველიც არის, თუმცა თავისუფლებისა და სიყვარულისთვის თავგანწირვა ადამიანის საქციელს ამაღლებულს, მშვენიერსა და მართალს ხდის.

ერთხელ, როდესაც იოჰან ვოლფგანგ გოეთემ მიქელანჯელოს შედევრი იხილა, თქვა: „ვისაც სიქსტეს კაპელა არ უნახავს, ვერასდროს წარმოიდგენს, რის გაკეთება ძალუძს ერთ ადამიანს".

როცა ასეთ გამორჩეულ შემოქმედებსა და საზოგადოების დიად გარდამქმნელებზე ვფიქრობთ, გვეუფლება შეგრძნება, რომ ჩვენი შემოსაზღვრულობა დროითა და სივრცით უბრალოდ ილუზიაა.

ისინი ჩვენ გვასწავლიან და გვიდასტურებენ, რომ შეუძლებლის წინაშე შიშის დამძლევი თავისუფალი ადამიანისთვის სამყარო ყოველთვის ხსნის კარს, რომლის იქითაც სიკეთის მარადისობაა.

ღვთაებრივი
სასწაული

მოქალაქეებმა სასწაული იხილეს – იმ ადგილს, სადაც მოწამის ნეშტი დაწვეს, ბრწყინვალე ვარსკვლავი დაადგა, ხოლო მეორე ღამეს „წყალთა გამოსცეს გასაკჳრველი ნათელი". წყლის სისქემ ვერ დაფარა აბოს წმინდა ძვლების ღვთაებრივი სინათლე. ავტორი ამას იმიტომ გვიხატავს საგულდაგულოდ, რომ განაცხადოს: თუკი აბომ უკვე ამქვეყნად აჩვენა „ჯორცთა მათ განხრწნადთა ესოდენი პატივი", მისი სულიერი დიდება ათასგზის მეტი იქნება და „დიდებითა და პატივითა იხილონ შორის ანგელოზთა".

IV თავი
– მოწამის ქება

როგორც უკვე ვთქვით, „აბოს წამების" მეოთხე თავი მოწამის ქებაა. ავტორი თავის თავს ღირსად არ მიიჩნევს, რომ აბოს ღვაწლი შესატყვისად შეაქოს, მაგრამ დადუმებაც არ შეუძლია: „და კულავ მეშინის მე დადუმებად, რამეთუ სანატრელითა მით ქრისტესმიერითა სიყუარულითა შემიყუარე მე, ვიდრე იყავ-ღა სოფელსა ამას შინა ჩუენსა". ეს ფრაზა მიგვანიშნებს იმაზე, რომ იოანე საბანისძე, მართლაც, აბოს თანამედროვე იყო და პირადად იცნობდა მას.

ავტორი აბოს მოიხსენიებს, როგორც „მეათერთმეტე ჟამის მუშაკს": „რამეთუ შენ, უკანასკნელი ესე მუშაკი მაცხოვრისა ჩუენისა მეათერთმეტისა ჟამისაჲ მდევართა მათ თანა აღმსრთობილთა მიეწიფე და მათ თანა სასყიდელსა მათსა არა დააკლდი".

ვინ არის „მუშაკი მეათერთმეტისა ჟამისაჲ"?

ამის გასაგებად საჭიროა ვიცოდეთ სახარების ერთი იგავი (მათე, თავი მე-20):

მეათერთმეტე
ჟამის მუშაკი

„რამეთუ მსგავს არს სასუფეველი ცათა კაცსა სახლისა უფალსა, რომელი განვიდა განთიად დადგინებად მუშაკთა ვენაჯსა თჳსსა. და აღუთქვა მათ სასყიდელი თითოეულსა დრაჰკანი დღესა შინა და წარავლინნა იგინი ვენაჯსა თჳსსა. და განვიდა იგი მესამესა ჟამსა და პოვნა სხუანი, მდგომარენი უბანთა ზედა უქმად, და ჰრქუა მათ: წარვედით თქუენცა ვენაჯსა ჩემსა, და რაჲ-იგი იყოს სამართალი, მიგცე თქუენ, ხოლო იგინი წარვიდეს. და მერმე განვიდა მეექუსესა და მეცხრე ჟამსა და ყო ეგრეთვე, ხოლო მეათერთმეტესა ჟამსა განვიდა და პოვნა სხუანი მდგომარენი და ჰრქუა მათ: რაჲსა სდეგით თქუენ აქა დღე ყოველ უქმად?" ხოლო მათ ჰრქუეს მას: ვითარმედ არავინ დამიდგინნა ჩუენ. ჰრქუა მათ: წარვედით თქუენცა ვენაჯსა ჩემსა და, რაჲ-იგი იყოს სამართალი, მიიღოთ. და ვითარცა შემწუხრდა, ჰრქუა უფალმან სავენაჯისამან ეზოს მოძღუარსა თჳსსა: მოუწოდე მუშაკთა მათ და მიეც მათ სასყიდელი; იწყე უკანაჲსკნელთაგან, ვიდრე პირველთამდე. მოვიდეს მეათერთმეტისა ჟამისანი იგი და მიიღეს თითოჲ დრაჰკანი. მოვიდეს პირველისანიცა და ჰგონებდეს, ვითარმედ უფროჲსი მიიღონ. და მიიღეს მათცა თითოჲ დრაჰკანი, ხოლო მი-რაჲ-იღეს, დრტვინჳდეს სახელისა უფლისა მისთჳს და იტყოდეს, ვითარმედ: უკანასკნელთა მათ ერთი ხოლო ჟამი დაყვეს და სწორ ჩუენდა ჰყუენ იგინი, რომელთა ვიტჳირთეთ სიმძიმე დღისაჲ და სიცხე. ხოლო მან მიუგო ერთსა მათგანსა და ჰრქუა: მოყუასო, არარას გავნებ შენ, ანუ არა-ერთი დრაჰკანი აღგითქუ შენ? მიიღე შენი და ვიდოდე, ხოლო მე მნებავს უკანაჲსკნელსა ამას მიცემად, ვითარცა შენ".

აქ ნათქვამია, რომ საქმე უფლობს ჟამზე და არა ჟამი საქმეზე. ქრისტიანული თვალთახედვით, „საქმეთაგან განმართლდების კაცი“ და „თჳნიერ საქმისა სარწმუნოებაჲ მკუდარ არს“. თუკი საქმე წრფელად და სახიერად კეთდება, თუკი იგი სიკეთესთან და ღვთაებრივ მცნებებთან წილნაყარია, მაშინ აღარა აქვს მნიშვნელობა, როდის კეთდება იგი, ან რა ხანგრძლივობისაა. „მეათერთმეტე ჟამი“ თერთმეტი საათია, ანუ დღის ბოლოა (იესოს ეპოქაში ებრაელები დროის ათვლას დილის ექვსი საათიდან იწყებდნენ. მაშასადამე, „მეათერთმეტე ჟამი“ დღევანდელი საღამოს 5 საათია). „მუშაკი მეათერთმეტისა ჟამისაჲ“ ნიშნავს კაცს, მოღვაწეს, რომელიც ამა თუ იმ დროითი მონაკვეთის დასასრულს გამოჩნდება ხოლმე ასპარეზზე და, ქრისტიანული წარმოდგენით, წინამავალზე არაფრით დაკნინებულად არ მიიჩნევა, თუკი ღირსეულად აკეთებს თავის საკეთებელს. ჩვენ ზემოთ უკვე ვთქვით, რომ არაბთა ბატონობის დრო, ესქატოლოგიური წარმოდგენის მიხედვით, ქვეყნის აღსასრულის წინადღედ მაჩნდათ ჩვენში, ამიტომაც უწოდებს იოანე საბანისძე აბოს „მეათერთმეტე ჟამის მუშაკს“.

ცხრა ცა

თეოლოგიური ანუ საღვთისმეტყველო სიბრძნით სამყარო ცხრა სფეროს, ცხრა ცას მოიცავს. თითოეულ საფეხურს ღვთაებრივი ჭეშმარიტებისა და სიწმინდის მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი ხარისხი აქვს. ეს ცხრა საფეხურია:

1. მამა ღმერთი;
2. ძე ღმერთი;
3. სულიწმიდა;
4. ანგელოზნი;
5. მამამთავარნი;
6. მოციქულნი;
7. მოწამენი;
8. აღმასარებელნი და მართალნი;
9. ჩვენ.

როგორც რ. სირაძე აღნიშნავს, აბოს სულიერი სიწმინდე ნაწარმოების მეოთხე თავში ამ იერარქიის სხვადასხვა საფეხურთან მიმართებაში არის წარმოდგენილი.

„შენ მამამან ზეცათამან მხოლოდ-შობილსა ძისა თჳსისა მიერ გჳრგჳნოსან გყო და სულისა წმიდისა მადლითა აღგავსო!

შენ სულმან წმიდამან შეგიყუარა და მამისა და ძისა თანა ერთობითა თჳსითა პატივ-გცა და ღუაწლისა მძლედ გამოგაჩინა!

შენ ზედა განუკვირდა ანგელოზთა წესსა, რამეთუ ვითარცა უჯორცომან დაითმინე სიკვდილი ქრისტესთჳს!

შენ ზედა მამათ-მთავარნი იხარებენ, რამეთუ ნეტარმან აბრაჰამ თჳსთა ნაშობთაგანი შეგიწყნარა წიაღთა თჳსთა...

შენ ქრისტეს მოწამეთა მათ ნაყოფ ექმენ და მოციქულთა მოწაფე!

შენ მოწამეთა მათ შორის ზეცისა მეუფისა მას მატიანსა სახელით დაიწერე და მარტჳლთა თანა გჳრგჳნოსან იქმენ!

შენ აღმსარებელთა მათ თანა განეწესენ და მართალთა თანა დიდებულ ხარ!

შენთჳს ფრიად დამიკვირდების ჩუენ, წმიდაო მოწამეო.

სარწმუნოების განახლება

იოანე საბანისძე, გარდა სარწმუნოებრივი მნიშვნელობისა „ახალი მოწამის" თავდადებას ეროვნული ცნობიერების გამოღვიძებასა და განახლებას უკავშირებს. ჩვენი თანამედროვეთათვისაც კი საოცრად შემაძრწუნებელი და ამაღელვებელია გადაგვარებისა და უზნეობის ის საშინელი სურათი, რომელსაც მწერალი ხატავს, მაგრამ სასოება და იმედი უმალ იკავებს თავის კუთვნილ ადგილს, როდესაც სარწმუნოების განახლებით იქვე იხატება ფერფლიდან აღდგომისა და ერის აღზევების ნათელმოსილი მომავალი: „შენ გამო, წმიდაო მოწამეო, სიყვარული იგი ქრისტჱსი ჩუენდამი და სარწმუნებაჲ ჩუენი მისა მიმართ კუალად განახლდა, რამეთუ აღვერიენით ერსა, უცხოსა შჯულითა, განდგომილსა ქრისტჱსგან, ნათესავსა საწუთროჲსა ამის მოყვარესა, თესლსა ურწმუნოსა ძისა ღმრთისასა, სარწმუნოებისა ჩუენისა მაგინებელთა, რომელთაგან ვისწავენით საქმენი მათნი და ვჰმონებდით გულისთქმასა გულთა ჩუენთასა მიბაძვებითა მათითა, ვითარცა უსასონი ქრისტჱსგან და დამვიწყებელნი საუკუნოჲსა ცხორებისანი. ხოლო აწ შენ მიერ მოგვეახლა ქრისტჱ და ჩუენ გულისჴმა ვყავთ კუალად შიში მისი და სიყუარულ მისი, და მადლსა მისსა ღირს ვიქმნენით და სიყუარულსა მისსა და წყალობასა დღითი-დღე მრავალთა სასწაულთა და კურნებათა ჩუენს შორის გამოჩინებითა!"

რაგვარად გამოვლინდა ღვაწლი აბოსი, რომელიც ქრისტემ „ისმაიტელთა შორის ვითარცა ვარდი ეკალთაგან გამოარჩია"? იოანე საბანისძე ასე მიმართავს მოწამეს: „...შენ, ახალი ეგე ქრისტჱს მორწმუნე, მოძღუარ ჩუენდა იქმნენ, სწავლულნი უფროჲს გულისხმიერ ჰყუენ, შერყეულნი უფროჲს განამტკიცებენ, განმტკიცებულნი განამხიარულენ, წარმართნი წადიერ ჰყუენ ქრისტეის მონებად".

ნაწარმოების მნიშვნელობა

„აბოს წამება" გვასწავლის, რომ ადამიანი ჭეშმარიტ ბედნიერებას მხოლოდ მატერიალურ ცხოვრებაში არ უნდა ესწრაფვოდეს. უმთავრესი საწადელია ნამდვილი სულიერი ცხოვრება, რომელიც კეთილ საქმესთან წილნაყარობაში მჟღავნდება და რომლის მოძიება და მოპოვება ძალიან ხშირად

პიროვნების ნებისყოფის დიდი გამოცდის გზაზე გადის. ადამიანს არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ ხორცის გარდა მას სულიც აქვს და იგია სწორედ მისი ჭეშმარიტი ბუნების გამოვლინება. პიროვნება მოწოდებულია ამაღლებული, კეთილშობილური ცხოვრებისათვის. სწორედ ასეთი არსებობაა ადამიანის ამქვეყნად ყოფნის გამამართლებელი, მისი ჭეშმარიტი და უტყუარი აზრი.

პირველი ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებების გმირები არაქართველები, უცხოელები არიან: შუშანიკი სომეხია, ევსტათი მცხეთელი – სპარსი, აბო – არაბი. ეს არ არის შემთხვევითი – როდესაც სხვა ეროვნების ადამიანები შენს სამშობლოში შენივე ქვეყნის სასიკეთო საქმეს აკეთებენ, თავად შენ, სამკვიდრო მიწისა და ზეცის შემყურეს, მოგეთხოვება ღირსეული შვილი იყო მამულისა, პატიოსნად მოიხადო შენი წმიდათაწმიდა ვალი მშობელი ხალხისა და საკუთარი სინდისის, საზოგადოდ ადამიანური ბუნების წინაშე.

ტექსტის ანალიზი

I. ტექსტის გაგება

1. რა არის „ესქატოლოგია“?
2. როგორ გესმით სიტყვები: „მფლობელი ამის ჟამისა“?
3. რა აზრს გამოხატავს „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვა“?
4. რა არის იოანე საბანისიძის ეროვნული ოპტიმიზმის საფუძველი (დაასაბუთეთ კონკრეტული მაგალითებით)?
5. რა არის „ხატმბრძოლობა“?
6. რაგვარად გაიაზრება მცხეთა სიმბოლურად „მეორე იერუსალიმად“?
7. რას ნიშნავს „წმიდისა ჯუარისა ძალისა ჩინება“?
8. რა აზრით არის აბო „ახალი მოწამე“?
9. ვინ არის ნერსე ერისთავი?
10 როგორ დაახასიათებთ ხაზართა ქვეყანას?
11. როგორ გესმით ფრაზა: „კეთილ არს ბაძვა კეთილისათვის მარადის“?
12. სახარების მიხედვით, როგორ გამოსცადა უდაბნოში ეშმაკმა იესო?
13. როგორ განმარტავდით აბოს სიტყვებს: „მე პატივსა კაცთაგან არა ვეძიებ“?
14. რომელ ადგილას ეწოდებოდა თბილისში „საგოდებელი“?
15. როგორ არის აღწერილი „აბოს წამებაში“ ადამიანების მიერ შიშის დაძლევის, სულიერი გათავისუფლების სურათი?
16. სახარების რომელ იგავს ეფუძნება და რას ნიშნავს „მუშაკი მეათერთმეტისა ჟამისაჲ“?
17. როგორ განმარტავდით ფრაზას: აღვერიენით ერსა უცხოსა“?
18. როგორ გესმით იოანე საბანისძის მიერ ნათქვამი სიტყვები წამებული აბოს მიმართ: „ხოლო აწ შენ მიერ მოგუეახლა ქრისტე“?

II. ტექსტის შეფასება

1. ქართული ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით, რით არის გამორჩეული „აბოს წამება“?

2. რატომ მიიჩნევა „აბოს წამება“ პოლიჟანრულ ნაწარმოებად?

3. ჟანრობრივი თვალსაზრისით, რით არის საინტერესო „აბოს წამების“ IV თავი?

4. როგორ ესმით შემოქმედისა (ავტორის) და შემოქმედების პრობლემა ჰაგიოგრაფებს?

5. როგორ შეგიძლიათ დაახასიათოთ სიმბოლურ-ალეგორიული აზროვნება?

6. რა შეგიძლიათ თქვათ ღმერთის „აბოს წამებაში“ ნახსენები სიმბოლური სახელების შესახებ?

7. რას გულისხმობს „სიმპათიის კანონი“?

8. როგორ განმარტავთ ტერმინ „სახისმეტყველებას“?

9. როგორია სრულქმნილი ადამიანის ქრისტიანული იდეალი სასულიერო მწერლობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე?

III. პერსონაჟთა ხასიათების ანალიზი

1. დაახასიათეთ ნერსე ერისთავი.

2. როგორ შეგიძლიათ დაახასიათოთ აბოს ხასიათის ცვლილება თავდაპირველი სიფრთხილიდან მძლავრთა წინაშე შიშის დაძლევამდე?

3. რა შეგიძლიათ თქვათ „ცრუ შემასმენელზე“?

4. როგორ დაახასიათებდით მსაჯულს?

IV. განსხვავებული ხედვა

1. შეაფასეთ აბოს გაქრისტიანება არაბთა თვალსაზრისით.

2. რამდენად მართებულია ვენახის პატრონის პოზიცია სახარებისეული იგავიდან?

3. არის თუ არა „აბოს წამების“ აქცენტირებული პატრიოტიზმი ტექსტის მხატვრული ღირსება?

IV. თხზულების სტრუქტურის გააზრება

გაიაზრეთ და დაწერეთ შემდეგი თემები:

1. რა არის ჭეშმარიტება „აბოს წამების“ მიხედვით (შეეცადეთ გააანალიზოთ და შეაფასოთ აბოს მიერ სარწმუნოების გამოცვლის რელიგიური და ადამიანური საფუძვლები)?

2. რატომ არის „აბოს წამება“ პატრიოტული ნაწარმოები (შეეცადეთ გაანალიზოთ და შეაფასოთ ყველა ის მსოფლმხედველობრივი და მხატვრული წანამძღვარი, რომლებიც ნაწარმოების პატრიოტულ ფონსა და პათოსს უკავშირდება)?

3. სიკვდილის შიში და რწმენის თავისუფლება (შეეცადეთ ტექსტის მიხედვით გააანალიზოთ და შეაფასოთ აბოს და სხვა პერსონაჟების ქცევის მოტივაცია ამ თვალსაზრისით).

„წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“

თანამდევი სული



წმ. გრიგოლ ხანძთელი

861 წელს „ჟამი იყო სთულისაჲ“, როცა 102 წლის წმ. გრიგოლ ხანძთელს „გულმან უთქუა განსვლაჲ ხორცთაგან და ღმრთისა მისლვაჲ“, რაც არ იყო სიკვდილის წინათგრძნობა, გამოწვეული ფიზიკური სისუსტით, ვინაიდან, მიუხედავად ხნოვანებისა, „ფერი პირისა მისისაჲ არა იცვალა“ არცა შეემთხვია თვალთა მისთა მრუმედ მხედველობაჲ, და ხორცითა ძლიერ იყო და რაჲთურთით უძლურებაჲ სიკუდილამდე არა იპოვა მისთანა“. ეს არის საკუთარი სულის სრულყოფილების განცდა და ღმერთთან მიახლების დაუოკებელი სურვილი. ამ დროს სული ზეცად ისწრაფვის და გვამი ტვირთადღა იქცევა; სიკვდილი ჭეშმარიტი სიცოცხლისა და თავისუფლების დასაბამი ხდება.

ადამიანის სული და სხეული

„მე აწ ესერა ხორცთა საპყრობილით განვალ და უძლურებისაგან განვთავისუფლდები მადლითა ღმრთისაჲთა“, – ამას წმიდანად ქცეული ადამიანი ამბობს, რომელიც ზეცად მიილტვის „დაუსრულებელი ნათლისაკენ“.

აქ საჩინოვდება ქრისტიანული აზროვნებისათვის დამახასიათებელი ხედვა და აღქმა სამყაროსი, რის გათვალისწინებაც აუცილებელია ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაზე საუბრისას.

ზოგჯერ, ამა თუ იმ ფორმით, თავს იჩენს ხოლმე მოსაზრება, თითქოს ქრისტიანობა უარყოფდეს ამქვეყნიურ ცხოვრებას. ქრისტიანობა კი არ უარყოფს მიწიერს, არამედ ადამიანს ახსენებს, რომ იგი წარმავალია, ხორცი – მოკვდავი, მაგრამ ადამიანური არსებობის უპირველესი ნიშატი – სული უკვდავია და ამიტომ ის უნდა იყოს პიროვნების უმთავრესი საზრუნავი. გიორგი მერჩულეც ამ მსოფლმხედველობიდან გამომდინარე ხატავს წმიდანის სახეს.

ადამიანს ბევრი საცდური ელის ამ სოფლად: „ოდესმე წმიდათა ანგელოზთა გონებაჲ პოვის ჩუენ შორის, და ოდესმე ეშმაკთა“, – მაგრამ იგი მუდამ უნდა ესწრაფოდეს სულის სიწმინდეს. თავისთავად ანგელოზური საწყისი ყოველ ადამიანშია; გიორგი მერჩულე საგანგებოდ აღნიშნავს: „უხორცონი ანგელოზნი და სულნი კაცთანი ერთ-ბუნება არიან და სულსა კაცისასა აქუს მეტყუელებაჲ ანგელოზებრი“, – მაგრამ ამ ანგელოზურ ბუნებას წარმოჩენა

სჭირდება, სული არ უნდა დათრგუნოს ხორციელმა სურვილებმა. გავიხსენოთ, როგორ აგვიწერს ილია ჭავჭავაძე ლუარსაბ თათქარიძეს: „თავი ისეთი მსხვილი, რომ თითქო იმის სიმძიმეს მორგვივით სქელი კისერი მხრებში ჩაუძვრენიაო; წითელი, თურაშაული ვაშლსავით ხაშხაში ლოყები, სამკეცად ჩამოსული ტრფიალების აღმგზნები ფაფუკი ღაბაბი; დიდრონი თვალები, ყოველთვის დასისხლიანებულნი, თითქო ყელში თოკი წაუჭერიათო! გაბერილი, მეტად გონიერად გადმოგდებული, დიაღ პატივსაცემი და პატივცემული ღიპი, კოტიტა და ქონით გატენილი ბალნიანი ხელები, დამორილი მსხვილი ფეხები – ესე ყოველ ერთად და თვითოეული ცალკე გახლდათ თავად ლუარსაბის „ცით მონაბერი სულის“ ღირსეული სამკაული. ის „მონაბერი სული“ არსად არა სჩანდა, თითქო ჩამკვდარაო, ისე გაშლილიყო მის ბრწყინვალების ქონშია“.

პირველი შეცოდების შემდეგ ადამიანი დაშორდა ღმერთს და მიეჯაჭვა მიწას, მაგრამ სულის თვისებაა ცოდვებისაგან განწმენდის წადილი და სწრაფვა დაკარგული სამკვიდროსაკენ. ეს რთული პროცესია, რადგან ამქვეყნად გვერდიგვერდ თანაარსებობენ კეთილი და ბოროტი, ღვთაებრივი და ეშმაკეული. მხოლოდ რჩეულის ხვედრია ჭეშმარიტი გზით სიარული, რაც დიდ ნებისყოფასა და ძალისხმევას მოითხოვს პიროვნებისაგან, რადგან, როგორც მათეს სახარებაში წერია: „...ვრცელ არს ბჭე და ფართო არს გზა, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედელად, და მრავალნი ვლენან მას ზედა. ვითარ-იგი იწრო არს ბჭე და საჭირველ გზა, რომელი მიიყვანებს ცხოვრებასა, და მცირენი არიან, რომელნი ჰპოვებენ მას“ (მათე, 7, 13-14). და დგება ჟამი, როცა ადამიანი აბსოლუტურ სრულყოფილებას აღწევს, ხდება წმინდანი და მზადაა ღმერთთან მისაახლებლად.

გიორგი მერჩულისათვის გრიგოლის გარდაცვალება არ არის ტრაგიკული მოვლენა. და თუ მაინც გამოსჭვივის მწუხარება, ეს წმიდანთან განშორებით გამოწვეული სინანული უფროა; გარშემო მყოფნი საკუთარ თავს ტირიან, რადგან აკლდებიან მასთან ურთიერთობის ბედნიერებას.

გრიგოლის სიკვდილი სასწაულებრივი ნიშნითაა აღბეჭდილი: „მაშინ ნათლითა მიუწვდომელითა შეიმკო შუენიერად ხილვაჲ მისი ბრწყინვალედ ქრისტეს მიერ. რამეთუ ბანაკი ანგელოზთა უფლისათაჲ გარემოადგა მას და პატიოსანთა საკუმეველთა სულნელებამ აღავსო ყოველი იგი ერი კრებული მამათაჲ და რამეთუ აქუნდა ჩვეულებაჲ ზეცისა წმიდათა მთავრობათა ხილვისაჲ სულსა მას მართალსა და აწ მათგანვე სიხარულისა ხმაჲ ესმა ესე: „ნუ გეშინინ მოსლვად ჩუენთანა, მსახურო ქრისტესო, სანატრელო, რამეთუ ქუეყანისა ანგელოზსა და ზეცისა კაცსა გიწესს მეუფეჲ ცათაჲ ქრისტე. აწ მოვედ სიხარულით და უფლისა შენისა თანა იხარებდ დაუსრულებლად, რამეთუ ნეტარ ხარ შენ შორის კაცთა ნეტარსა მას დიდებასა დამკვიდრებად განმზადებული და მხიარული საუკუნოდ“. ხოლო ესე სიტყუანი ესმოდა რომელთამე მოწაფეთა მისთა, არამედ ხილვაჲ იგი დიდებული ყოველთა იხილეს“.

ზესთასოფელი

გიორგი მერჩულე გვიხატავს ზეცად ამაღლების სურათს. მოწაფენი სთხოვენ მოძღვარს, რათა ილოცოს მათთვის უფლის წინაშე. ასევე ზეცად ამაღლებად წარმოუდგებათ მერეს მონასტრის მკვიდრთ მათი წინამძღვრის – მატოს გარდაცვალება: „და მე ვხედევდ სუეტსა ნათლისასა, რომელი შთამოიწეოდა ზეცით ზედა მონასტერსა მას და სიმრავლე წმიდათა ანგელოზთაჲ სუეტსა მას თანა გარდამომავალი, და ერთი ვინმე დიაკონის სახედ ოლარითა მათ თანა რომელნი უგალობდეს ღმერთსა ბრწყინვალითა ხმითა. და კუალად ვიხილე კრებული იგი წმიდათა ანგელოზთაჲ, ეგრეთვე სახედ აღმავალი ზეცად და საშუალ მათსა წმიდაჲ მატოჲ ხელაპყრობით აღჰყუანდა ნათლითა შემკობილთა მათ უხორცოთა დიდებითა გამოუთქმელითა გალობით მაღალთა შინა“.

სიკვდილი აქ მარადიული სიცოცხლისა და თავისუფლების დასაბამად წარმოგვიდგება. სულიერი განწმენდა და ამაღლება სასუფევლის დამკვიდრების საწინდარი და ადამიანის არსებობის უმაღლესი მიზანია.

ამის გათვალისწინებით, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ქართული სულიერი კულტურის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენაა და მისი მნიშვნელობა არ განისაზღვრება ოდენ მხატვრული ღირსებებით ან უნიკალური ისტორიული ფაქტების სიუხვით.

ქართველი ერი გამუდმებით იბრძოდა ფიზიკური და სულიერი გადარჩენისათვის ათასი ჯურის მომხდურთან. ბუნებრივია, დაუსრულებელ ომს მხოლოდ ქართული ხმალი ვერ გასწვდებოდა, საჭირო იყო ეროვნული კონცეფცია, რომელშიც მოაზრებული იქნებოდა მოქმედების გეგმა. უნდა ითქვას, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ერთგვარი საპროგრამო ნაწარმოებია, რომელიც დაპყრობილ ქვეყანას სულიერი განწმენდისა და ხსნის გზას უსახავს. ამავე დროს, თხზულებაში აღწერილი გრიგოლ ხანძთელის სახე ქართული სულისა და ენერგიის გამოვლინებაა.

სულიერი და ხორციელი წინამძღოლი

„ცხოვრება“ წმ. გრიგოლის გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ – 951 წელს დაიწერა და საკმაო დრო იყო გასული საიმისოდ, რომ კარგად აეწონ-დაეწონათ მისი მოღვაწეობის ყველა მხარე და მნიშვნელობა. ნაწარმოების მიზანი არ არის მხოლოდ ერთი პიროვნების ღვაწლის წარმოჩენა – აქ აღწერილია იმ დიდი ეროვნული მოძრაობის ისტორია, რომელიც გრიგოლ ხანძთელმა წამოიწყო და მკვიდრ ნიადაგზე დააყენა. ნიშანდობლივია, რომ გრიგოლის გარდაცვალებიდან თითქმის ერთი საუკუნის შემდეგაც ქართველი საზოგადოებისათვის მისი საქმიანობის მრავალი მხარე კვლავინდებურად აქტუალურ საზრუნავად რჩებოდა და არსებითად ამით უნდა იყოს გამოწვეული თხზულების შექმნა. გრიგოლის მიერ შემუშავებული ეროვნული აღორძინების კონცეფცია სამოქმედო პროგრამად იქცა. უნდა ითქვას, რომ ეს კონ-

ცეფცია საგულისხმოა არა მხოლოდ კულტურის ისტორიის კუთხით, არამედ დღევანდელობის თვალსაზრისითაც, ამიტომ ეს ნაწარმოები გულდასმით შესწავლას საჭიროებს.

თხზულების მიზანი

როგორც ვნახეთ, წმიდა მამები ზეცად მაღლდებიან. „და აწ სულითა ბრწყინვალენი იხარებენ დაუსრულებელსა ნათელსა შინა და მარადის ჩუენთჳს მეოხებასა ჰყოფენ, განმხიარულებულნი ქრისტეს აღთქმულთა მოღებითა, რამეთუ შრომითა მათთა წილ მიუღებიეს სიხარული და მხიარულებაჲ უოხჭნოჲ, მოუკლებელი და გამოუთქმელი ცათა შინა“, – მაგრამ მარადიულ ნათელში შესვლამდე წმიდანი მეტად რთულ და ეკლიან გზას გადის.

გრიგოლი შატბერდში მოელოდებოდა აღსასრულს, მაგრამ მას მიეახლნენ ხანძთელი ბერები და მონასტერში დაბრუნება სთხოვეს, „რამეთუ პირველი ნაყოფი წმიდათა შრომათა შენთაჲ ხანძთაჲ არსო“. ამ თხოვნის ქვეტექსტი ნათელი იყო, ხანძთა უნდა ქცეულიყო წმ. გრიგოლის სამუდამო ძვალთშესალაგად – ეს დაამტკიცებდა ამ შესანიშნავი სავანის პირველადობას.

მონაფეთა სურვილი სამართლიანი იყო, ხანძთა იყო დასაბამი გრიგოლის მიერ განვლილი დიდი გზისა. და მოძღვარი დაჰყვა სულიერი შვილების ნებას, რითაც „დიდებაჲ ხანძთისაჲ ამაღლდა საუკუნოჲთა და საცნაურთა სამკაულითა, იქმნა რაჲ განმზადებულ შრომათაგან მაშურალთა მათ ნაწილთათჳს განსასუენებელ უკუნისამდე“.

შატბერდიდან მომავალი გრიგოლი შემაღლებულზე შედგა და ლოცვა აღავლინა ღვთის მიმართ; უფალს ავედრებდა მრავალრიცხოვან მონაფეებს, მონაფეთა მონაფეებს და მომავალ თაობას, რომელიც მისგან შემზადებულ ნიადაგზე ამოიზრდებოდა. მადლობას სწირავდა მაცხოვარს, რომელიც ზუსტად ოთხმოცი წლის წინ (781 წელს) მოუძღვა ერთი ფიქრით გამსჭვალულ ოთხ ახალგაზრდა კაცს ამ გაუდაბურებულ და უშენ ქვეყანაში, სადაც ახლა საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცენტრი იყო და მკრთალად, მაგრამ უკვე ისახებოდა ერთიანი საქართველოს კონტურები; იმ ადგილას, სადაც ოთხმოცი წლის წინ მარტოდ დაყუდებული ბერის – ხუედიოსის მიერ დანთებული ეული სანთელი ებრძოდა წყვდიადს, უკვე ხანძთის წმიდა გიორგის ტაძარი აზიდულიყო „ძლევად მტერთა“.

ივანე ჯავახიშვილი VIII საუკუნის ბოლო მეოთხედს ასე ახასიათებს: ესეს იყო, დროებით მიბნედილი ეროვნული თავმოყვარეობა და მიმართულება იღვიძებდაო. აქედან დაიწყო ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციის პროცესი და უნდა ითქვას, რომ ამ მოძრაობას სასულიერო პირებთან ერთად მხარი აუბეს ერისკაცებმაც. უმძიმესმა პოლიტიკურმა ვითარებამ მეფე, ბერი, აზნაური და უაზნო ერთნაირად დააყენა ეროვნული გადარჩენის პრობლემის წინაშე. შუა საუკუნეებისათვის საერთოდ დამახასიათებელი ფეოდალური შინააშლილობის ფონზე, როცა დიდებულთა შორის პირველობისათვის ბრძოლა ჩვეულებრივი ამბავი იყო, VIII-IX სს. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში

აშკარად შეიმჩნევა საზოგადო, ქვეყნის ინტერესების პირად პატივმოყვარეობაზე მაღლა დაყენების ტენდენცია. გიორგი მერჩულე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ აშოტ კურაპალატის სიკვდილის შემდეგ მისი შუათანა ძე ბაგრატი გამეფდა „ნებითა ძმათა თვისთაჲთა“ და „...ძმანი მისნი, ყოველნი კეთილნი და დიდებულნი ხელმწიფენი, – ადარნასე უხუცესი და გუარამ მრწემი, – მშუალესა მას ძმასა მორჩილ ექმნეს საღმრთოჲსა ძმობისა სიყუარულითა, რამეთუ ერთზრახვა, ერთსულ და ერთნება იყვნენ იგი“.

ამგვარი სიტუაციებისათვის ტრადიციულად დამახასიათებელი ინტრიგებისა და ქიშპობის ნაცვლად, ძმებმა კეთილგონიერებას მოუხმეს და ბაგრატს დაუთმეს ხელმწიფობა, ვინაიდან „...ბაგრატ უმთავრეს მათსა იყო სიბრძნითა, სახითა და სიქველითა და ყოვლითა ღმრთისმსახურებისა სიხარულითა...“ არ არის გამორიცხული, რომ მწერალი, თავისი დროისათვის სამაგალითოდ, ბაგრატის გამეფებასთან დაკავშირებულ მოვლენებს იდეალურ ფერებში წარმოგვიდგენს, მაგრამ აქვე საჩინოვდება მისი ეპოქის საზოგადოების მოწინავე ნაწილის სულისკვეთება და მისწრაფებანი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საერო ხელისუფლებმა იმთავითვე სწორად შეაფასეს გრიგოლის მიერ წამოწყებული საქმის დიდი მნიშვნელობა და შესაფერისი მატერიალური დახმარებაც აღმოუჩინეს მას. ნახევრადმშიერმა სულიერმა ძმებმა ხანძთის „უფიცხლეს“ კლდეებს ღვთის სიყვარული და თავგანწირული შრომა დაუპირისპირეს და შეძლეს საცხოვრებელი სენაკებისა და ძელის (ხის) ეკლესიის აგება, მაგრამ გრიგოლ ხანძთელმა, რასაკვირველია, მშვენივრად იცოდა, რომ მის მიერ ჩაფიქრებული დიდი მასშტაბის სამონასტრო მშენებლობა, რომელსაც საქართველოს სულიერი და პოლიტიკური ცენტრის არაბთაგან დაპყრობილი ქართლიდან ტაო-კლარჯეთში გადმონაცვლება უნდა მოჰყოლოდა, უპოვარ ბერთა ძალ-ღონეს აღემატებოდა.

სულიერი მისია

მას შემდეგ, რაც ბერები ხანძთაში დაფუძნდნენ, მომრავლდნენ და მონასტერი უკვე მკვიდრ ნიადაგზე იდგა, გრიგოლი ეწვია კლარჯელ ფეოდალს – გაბრიელ დაფანჩულს, რომელსაც ხანძთის სიახლოვეს სოფლები ეკუთვნოდა. გაბრიელი აშოტ კურაპალატთან დაახლოებული დიდებული იყო. გარდა ამისა, „ესე აზნაური შემკულ იყო ყოვლითა სისრულითა და სიმდიდრითა, სიბრძნითა, ჰასაკითა და ახოვანებითა და ყოველსა ზედა საქმესა განმარჯუებითა და კეთილად მორწმუნეობითა ქებულ იყო“. მან დიდი დახმარება გაუწია ბერებს, მისი მატერიალური შეწევნით დაიწყო ხანძთის წმიდა გიორგის სახელობის ქვითკირის ეკლესიის მშენებლობა. ჩანს, საზოგადოების მოწინავე ნაწილი იმთავითვე აცნობიერებდა იმ მისიას, რაც ტაო-კლარჯეთს ეკისრებოდა და ამიტომ ამ კუთხის აღორძინებასთან დაკავშირებულ ყველა მოვლენას დიდი გულისხმიერებით ეკიდებოდა.

გაბრიელის მიერ გრიგოლის მიმართ ნათქვამი სიტყვები: „აწ ჩუენთან არს ხორციელი კეთილი და თქუენ თანა არს სულიერ კეთილი, და ესე შევზავ-

ნეთ ურთიერთას“, საკმაო სიზუსტით ასახავს საერო და სასულიერო პირთა შორის ურთიერთობის სურათს VIII-IX სს. საქართველოში. სამღვდელოება და ერისკაცნი მოქმედებდნენ შეთანხმებულად და ხორციელისა და სულიერის ამგვარი შეზავება დაისახა მათი თანაარსებობის იდეალად.

მეფე-დიდებულები დღემუდამ ზრუნავდნენ მონასტრების ეკონომიკური ძლიერებისათვის, ვინაიდან კარგად ესმოდათ, რომ ამით, ფაქტობრივად, სახელმწიფოს საფუძველს ამაგრებდნენ. როდესაც აშოტ კურაპალატმა გაბრიელ დაფანჩულისაგან შეიტყო გრიგოლის საქმიანობის შესახებ, მაშინვე წერილი აახლა და თავისთან მიიწვია ხანძთის წინამძღვარი. სასახლეში გრიგოლს დიდი პატივით დახვდნენ. მეფემ და მისმა სამმა ვაჟმა მიწები შესწირეს მონასტერს, მაგრამ ამ შეხვედრას სხვა მხრივაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე მხარისთვის.

ქართლიდან არაბებისგან დევნილი აშოტ კურაპალატი კლარჯეთში გამაგრდა და იქიდან განაგრძო ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის. მის მიერ აღდეგნილი არტანუჯი მაშინდელი საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცენტრად იქცა. ასევე კლარჯეთში დაიწყო საქართველოს სულიერი გაერთიანებისათვის ბრძოლა გრიგოლ ხანძთელმა. პირველივე შეხვედრისას ორივე მხარემ ერთმანეთში შეიცნო ის თანამებრძოლი, რომლის თანადგომის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა დასახული მიზნის აღსრულება. ამ ორი პიროვნების ხვედრი იყო საქართველოს ხორციელი და სულიერი წინამძღვრობა და ისინი წლების მანძილზე სხვადასხვა გზით, მაგრამ ურთიერთშეთანხმებულად, იღვწოდნენ ქვეყნის კეთილდღეობისათვის. პირველი მიმართვებიდან ჩანს, თუ რაოდენ ზუსტად განჭვრიტეს აშოტმა და გრიგოლმა ის მისია, რაც მათ ეკისრებოდათ. „მაშინ კურაპალატმან ჰრქუა მამასა გრიგოლს: „მეფეთა ისრაელისათა ჟამითი-ჟამად წინასწარმეტყუელი აღუდგინეს ღმერთმან სიქადულად მათა და ზღუდედ შჯულისა, და შესაწევნელად მორწმუნეთა და სამხილებლად ურწმუნოთა, ეგრეთვე ჟამთა ჩუენთა შენ გამოგაჩინა ღმერთმან ქრისტეანთა სიქადულად და რაჲთა მას იღუწიდე ჩუენთვის წმიდითა ლოცვითა შენითა წინაშე ქრისტესა და წმიდათა მისთა“. აშოტმა გრიგოლი გაუტოლა ბიბლიურ წინასწარმეტყველებს, რომელნიც „ზღუდედ შჯულისა“ იდგნენ და მას სთხოვა შუამავლობა ერსა და უფალს შორის. თავის მხრივ, გრიგოლმა აშოტ კურაპალატი დასახა წამოწყებული საქმის ხორციელ წინამძღოლად და მის შთამომავლობას უწინასწარმეტყველა საუკუნო ხელმწიფობა საქართველოში, ვითარცა უფლის ნათესავებს: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო, მეფობაჲ და სათნოებანიცა მისნი დაგიმკვიდრდნენ ქრისტემან ღმერთმან, რომლისათვისაცა ამას მოგახსენებ: არა მოაკლდეს მთავრობაჲ შვილთა შენთა და ნათესავთა მათთაჲ ქვეყანათა ამათ უკუნისამდე ჟამთა, არამედ იყვნენ იგინი მტკიცედ უფროჲს კლდეთა მყართა და მთათა საუკუნეთა და დიდებულ იყვნენ უკუნისამდე“.

ეს არ არის უბრალოდ ტრადიციული პატივის მიგება მეფისადმი. ჩანს, სწორედ გრიგოლ ხანძთელის დროს ჩამოაყალიბა ქართულმა ეკლესიამ თავისი პოზიცია, რომლითაც პოლიტიკურად გაიაზრა და კანონიკურად ცნო ბაგრატიონთა გვარის დავით წინასწარმეტყველისაგან წარმომავლობა. ამის

შემდეგ ქართული ეკლესია მუდმივი თანამებრძოლი და შემწე შეიქმნა ბაგრატიონთა გვარისა. თვალსაზრისი მათი უფლის ნათესავობის შესახებ იმ ეპოქაშიც და შემდგომ საუკუნეებშიც სახელმწიფოებრივი ცხოვრების იდეოლოგიურ საყრდენად იქცა. ერთიან საქართველოს სჭირდებოდა ხორციელი წინამძღვარი, მეფე, რომელიც ქვეყანას „ერთსულ და ერთხორც“ შეაკავშირებდა. VIII საუკუნის საქართველო დაშლილი იყო რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად და ისინი ერთმანეთს ებრძოდნენ პირველობისათვის. ეს დაშლილობა გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს დაქუცმაცებულობისაგან არსებითად განსხვავდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ XV-XVIII საუკუნეებში ქვეყანა სამ სამეფოდ იყო გაყოფილი, ფორმალურად იგი მაინც ინარჩუნებდა ერთიანობას, ვინაიდან სამივეგან ერთი ოჯახის განაყარნი მეფობდნენ. თეორიულად საქართველოს გაერთიანება მათ ოჯახურ პრობლემად რჩებოდა და ბაგრატიონთა გვარის პრიორიტეტი მეფობაზე ეჭვს არ იწვევდა. VIII საუკუნეში ამ მხრივ საკმაოდ არასტაბილური მდგომარეობა იყო. ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ სხვადასხვა გვარის წარმომადგენლები და პირველობისათვის ბრძოლაში თითოეულს, ალბათ, თავისებური იდეოლოგიური საფუძველი ჰქონდა. ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, თუ ვის მხარეს დაიკავებდნენ სულიერი მამები. გრიგოლმა, რომელიც უფლისა და ეკლესიის ნებას გამოხატავდა, საბოლოო არჩევანი აშოტზე და მის შთამომავლობაზე შეაჩერა.

სიყვარული და მოვალეობა

ალბათ მართებული იქნება ამ მოვლენის ფონზე შევხედოთ აშოტის გამიჯნურების ამბავს. მიუხედავად იმისა, რომ მწერალი მეფის სატრფოს „სიძვის დიაცს“ უწოდებს, აშკარად ჩანს, ეს ქალი არ ეკუთვნოდა იმ კურტიზანთა რიცხვს, რომლებიც შუა საუკუნეებში მრავლად ირეოდნენ სხვადასხვა ქვეყნის სასახლეთა კარზე. ეს კარგად იცოდა თვით გიორგი მერჩულემაც. ამ შემთხვევაში ჩვენ წინაშეა დიდი და ტრაგიკული სიყვარულის სურათი. აღსანიშნავია, რომ გიორგი მერჩულე ქართულ ლიტერატურაში პირველად შეეხო ამ თემას. მან აჩვენა, თუ რაოდენ ძლიერია „მიჯნურთა სურვილი“ და როგორ ბატონობს იგი ადამიანის ბუნებაზე. ამავე დროს, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ პირველად დაისვა გრძნობისა და მოვალეობის დაპირისპირების საკითხი. სანამ ამის შესახებ ვისაუბრებთ, უნდა ვთქვათ ისიც, რომ, მართალია, ქრისტიანობა ადამიანს უპირველეს მოვალეობად უფლის სამსახურს რაცხს, მაგრამ, რასაკვირველია, სიყვარულისა და ცოლქმრობის წინააღმდეგი არ არის. არც გრიგოლ ხანძთელი გვევლინება მიჯნურობის დამთრგუნველად, იგი მხოლოდ ქორწინების გარეშე, „თავისუფალ“ სიყვარულს ებრძვის, პიროვნების, ოჯახის („ჰოი, საწყალობელო, რაჲსთვის შორის ცოლ-ქმართა შთაჭრილ ხარ...“) და ერის ზნეობრივ სიწმინდეს იცავს და მწერალიც ამ პოზიციიდან აფასებს მოვლენებს.

დამარცხებული
სიყვარული

აშოტ კურაპალატი, რომელიც თავის მეუღლესთან ერთად „კეთილად ცხოვნდებოდა მრავალთა წელიწადთა“, მოულოდნელად „ძლეულ იქმნა ბოროტითა მით ცოდვითა“, თუმცა კი მას „პირველ არა აქუნდა ეგევითარი ჩვეულებაჲ“, „მრავალთა ქუეყანათა მპყრობელ“ და ნიადაგ სამეფოს კეთილდღეობაზე მზრუნველ ხელმწიფეს „გარდარეული სიყუარული“ შეეყარა.

ცნობილია, რომ ნებისმიერ საზოგადოებრივ წყობაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის წინამძღოლის პირად ზნეობრივ მაგალითს (გავიხსენოთ: XIV საუკუნის ქართველი ისტორიკოსი, რომელიც ჟამთააღმწერლის სახელით მოიხსენიება ჩვენს ისტორიოგრაფიაში, აშკარად დაადანაშაულებს თამარ მეფის შვილებს, თავისი უზნეობით ქვეყანა წაახდინესო: „გარნა იწყეს უძღებება და განცხრომა ყოველმან ასაკმან, და მოიქცეს ყოველნი სიბოროტედ. და ვითარ არ გამოიცადეს ღმერთი, ამისთვის მისცა იგინი ღმერთმან უჯეროდ გინებად და ხოცად წარმართთა მიერ. რამეთუ მეფება რუსუდან ჩვეულებათა წესსა ძმისა თჳსისასა ვიდოდა განცხრომითა და სიმღერითა, ამისთჳს აღდგეს ბოროტნი უდიდესნი“).

ხანძთის წინამძღვარი ხედავდა, რომ ქვეყანაში გარკვეული სასიკეთო ძვრები ისახებოდა და „მძლავრებასა ქუეშე დამონებული ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრული“ ერი საკუთარი ძალების რწმენას იბრუნებდა, ამ დროს ყოველგვარი ზნეობრივი კომპრომისი, მით უმეტეს, ხელმწიფის მხრიდან, შეიძლება დამღუპველი ყოფილიყო. გრიგოლი დაძაბული ადევნებდა თვალს სასახლის კარის ცხოვრებას და როცა იგრძნო, მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა, დაუფარავად ამხილა მეფე. გრძნობისა და მოვალეობის შინაგან ჭიდილში გაორებული აშოტი, ჩანს, თვითონაც კარგად ხედავდა, რომ საქვეყნო საქმეს ღალატობდა და ამით არღვევდა იმ დაუწერელ პირობას, რომელიც მასსა და საქართველოს სულიერ მამას შორის არსებობდა. ამიტომ მან წინააღმდეგობა ვერ გაბედა და „აღუთქვა ცოდვისა მის განტევებაჲ და დედაკაცისა მის წარგზავნაჲ, ვითარცა მოეყვანა იგი“, – მაგრამ ძალა არ ეყო დანაპირების აღსასრულებლად, „რამეთუ იგი დაემონა გულისთქუმას“.

„ზღუდედ შჯულისად“ წოდებული გრიგოლი ვერ შეიწყნარებდა ამგვარ სულმოკლეობას, ამიტომ თვითონ აღასრულა ის, რის გაკეთებაც აშოტს ჰმართებდა, რათა უფლის ნათესავი სახელმწიფოს ხატი არ დაჩრდილულიყო, სასახლეში მივიდა და ქალი მერეს დედათა მონასტერში წაიყვანა. რასაკვირველია, გრიგოლს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა მიჯნურთა განშორებით გამოწვეული განცდა; როცა მან დაინახა, რომ ქალი მორჩილად იდგა მის წინაშე და მზად იყო ცოდვების მოსანანიებლად, დაუყვავა, აღუთქვა თავდებობა ღვთის წინაშე და ფებრონიას სთხოვა, განსაკუთრებით ეზრუნა საბრალო არსებაზე, „რამეთუ ჰხედავ გულსა ამისსა შემუსვრილსაო“. ფებრონიასთან საუბრის შემდეგ სასოწარკვეთილ კურაპალატს აღმოხდა: „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს“, – მაგრამ იძულებული გახდა, ბედს შერიგებოდა.

„ხორციელად ძლიერ ხელმწიფესა სულითა ძლიერითა კაცთა სძლეს“, – შენიშნავს მწერალი, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს „ძლევა“ აშოტის დიდი სუ-

ლიერი გამარჯვებაც იყო. „გულითა უძრავმან“ გრიგოლმა „ბოროტითა მით ცოდვითა ძლეულ“ მეფეს შემწეობა აღმოუჩინა და გააღებინა ის აუცილებელი ადამიანური მსხვერპლი, რომელიც ქვეყნისათვის თავდადებულმა მოღვაწემ უნდა გაიღოს. უბრალო შავი ჩოხით მოსილი, პირადულ სურვილებზე ამაღლებული ხანძთელი ბერი მხოლოდ ღმერთისა და საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა და ეს კარგად უწყოდა აშოტ კურაპალატმა. ამიტომაც იყო, რომ მიჯნურობით გათანგული სიკვდილს ნატრობდა და თან „სულითა იხარებდა“.

მიუხედავად შეცოდებისა, აშოტი დიდბუნებოვან პიროვნებად გვევლინება, რომელსაც ეყო კეთილგონიერება, მიმხვდარიყო – გრიგოლი მისი და ქვეყნის ინტერესებისათვის მოიქცა ასე. ჩანს, სწორედ კეთილგონიერების გამო აფასებდა გრიგოლი აშოტ კურაპალატს და ამიტომ გასაგებია ის მწუხარება, რაც მას მეფის მოკვლის ამბავმა მოჰგვარა. „მაშინ ტკივილისა ცრემლითა აღივსნეს ღმრთის-მსახურისა მის ხელმწიფისა დაცემისათჳს და ტირილითა სავსენი ულოცვიდეს მიცვალებულსა მას მეფესა. ხოლო ნეტარი გრიგოლ ჰმადლობდა ღმერთსა და გლოჲთ იტყოდა: „ჰოი, მეფეო ჩემო, ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტეანეთაო, სადაჲთმე მოგელოდი, აღმოსავლით მე ანუ დასავლით, ჩრდილოჲთ-მე ანუ სამხრით? რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ, რომელიცა წყობით ხელმწიფეთა დაიმორჩილებდი, საკვირველი ეგე დიდებული ღმრთის-მსახური ხელმწიფე! აწ ვითარ-მე მიეცი ხელსა შეურაცხთა უშჯულოთა და უნდოთა კაცთასა, რომელნი-იგი იუდაჲს მსგავსად შენ უფლისა თჳსსა მკლველ იქმნნეს მოსაკუდინებლად ჩუენ, გლახაკთა მლოცველთა შენთა, უკუნისამდე?“

გრიგოლის სიტყვებში იკვეთება ხატი იდეალური ხელმწიფისა. სწორედ ასეთი ზნეობრივად ამაღლებული და ყოველმხრივ სამაგალითო წინამძღოლი სჭირდებოდა ერს და, აქედან გამომდინარე, ხანძთელი ბერი თვალს ვერ დახუჭავდა ადამიანურ სისუსტეებზე, რაც აშოტს „საფრთხედ გაუხდებოდა“ და იდეალს დააშორებდა.

გიორგი მერჩულე აშოტის გამიჯნურების ეპიზოდით წარმოაჩენს, თუ რაოდენ უძლურია ადამიანის ხორციელი ბუნება გრძნობის წინაშე; ტრფობით გატაცებამ აშოტი და მისი საყვარელი ქალი ლამის ეშმაკეულის მსხვერპლებად აქცია. ამგვარი ურთიერთობის საპირისპიროდ, თხზულებაში მოცემულია კაცისა და ქალის იდეალური თანაარსებობის – სულიერი მიჯნურობის სურათი. გრიგოლი და ფებრონია მიწიერ ვნებებზე ამაღლებულნი არიან და ამქვეყნადვეა დამყარებული სრული ჰარმონია, ის სულიერი ერთობა, როცა „არა არს რჩევაჲ მამაკაცისა და დედაკაცისაჲ“. ამგვარ სულიერებას, სულის ხორცზე ამაღლებას სახავდა ჰაგიოგრაფია ადამიანური არსებობის უმაღლეს მიზნად. სული მიჩნეული იყო ღვთიურ გამოვლინებად და მისი აღმავლობისათვის ზრუნვა, ამავე დროს, უფლის შეცნობის გზაც იყო.

საერო და სასულიერო პირებს შორის გარკვეული წინააღმდეგობაც არსებობდა. მონასტრების გაძლიერებასთან და ავტორიტეტის ზრდასთან ერთად აშკარად გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სასულიერო პირები აღარ ემორჩილებოდნენ საერო ხელისუფალთ. ისინი ხშირად ერეოდნენ სახელმწიფო საქმეებსა თუ მეფე-დიდებულთა პირად ცხოვრებაში და იშვიათ შეუპოვრობასაც იჩენდნენ. საერო პირების მცდელობაც კი – მონაწილეობა მიეღოთ საეკლესიო პრობლემების გადაჭრაში, ფუჭი აღმოჩნდებოდა ხოლმე. ეს წინააღმდეგობა, ამა თუ იმ ფორმით, ხშირად იჩენდა თავს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მეფე-დიდებულნი ერიდებოდნენ გადამჭრელი ზომების მიღებას, რამაც თანდათანობით განამტკიცა რწმენა – ბერი მხოლოდ ღვთის წინაშეა პასუხისმგებელი და ამქვეყნად იგი არავის ემორჩილება. სახელმწიფოში დამყარდა ორგვარი იერარქია: მიწიერი, რომლის სათავეშიც ხელმწიფე იდგა და სულიერი, სადაც უმაღლეს საფეხურზე მეუდაბნოე ბერს ვხედავთ. ეს საქართველოში ქრისტიანობის სრულ გამარჯვებასა და უდიდეს ავტორიტეტზე მეტყველებს. ქვეყანაში შეგნებული ჰქონდათ ქრისტიანობის გადამწყვეტი მნიშვნელობა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში. ამ პერიოდში სრულიად გამორიცხული ჩანს იმგვარი თავხედური მოპყრობა სასულიერო პირთა მიმართ, როგორსაც ვარსქენი იჩენს. სამღვდელოებასაც შეუდარებლად მომატებია პირადი ღირსებისა და ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა. იგი უფლის ნების განმცხადებლად და აღმსრულებლად მიიჩნევს თავს. ამ მხრივ ნიშანდობლივია ერთი ეპიზოდი ბაგრატ მეფისა და საბა იშხნელის ურთიერთობიდან.

ერისკაცთა მორჩილება

აშოტის სიკვდილის შემდეგ გამეფებულმა ბაგრატმა ძმებთან ერთად მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა არაბებთან ბრძოლაში: „და მადლითა ქრისტესითა განდიდნა მეფობაჲ სამთა მათ ძმათა ხელმწიფეთაჲ, რამეთუ შეწევნითა ღმრთისაჲთა ხრმლითა მათითა დაიპყრნეს ფრიადნი ქუეყანანი და განიოტნეს აგარის ნათესავნი“. იგი ჯერ კიდევ უფლისწულობისას დიდ ყურადღებას აქცევდა მონასტრებს, მეფედ გახდომის შემდეგ მნიშვნელოვნად გაამრავლა წყალობა. მან ძმებთან და დიდებულებთან ერთად მოიხილა თითქმის ყველა მონასტერი და „შეწირეს მრავალი შესაწირავი ხელმწიფეთა და აზნაურთა და ყოველმან ერმან“. მისი უშუალო დახმარებით აშენდა მონასტერი შატბერდში. ამ დიდებულ და ღვთისმოსავ ხელმწიფეს გრიგოლმა საბა იშხნელზე ჩამოუგდო სიტყვა და „აუწყა ყოველი“. ბაგრატს გაუხარდა, „მსწრაფლ დაწერა წიგნი და წარავლინნა კაცნი კეთილნი და პატივით უწოდა“, მაგრამ წარგზავნილნი მალე დაბრუნდნენ და საბასგან შემოთვლილი უარი მოიტანეს: „არა ჰნებავს კაცსა მას ღმრთისასა მოსლვაჲ აქა...“

ხელმწიფემ არაფერი შეიმჩნია, პირიქით, ერთგვარად მოუბოდიშა კიდეც

გრიგოლს: „განუგებლად ვქმენ, რამეთუ წიგნი არა მიწერად გეც. აწ ვითარ წეს არს, მიუწერე. და თვით კუალად დაწერა წიგნი სხუაჲ და წიგნიცა მამისა გრიგოლისი წარსცა“.

მეორედ მოწვევის შემდეგ საბა მოვიდა. ბაგრატი მას „წინ მიეგება და პატივით მოიკითხა“, ხოლო როცა დასხდნენ, ჰკითხა: „ჯერ-არს ხელმწიფეთა მორჩილებაჲ, რაჲსათვის არრა მოხუედ პირველსა წოდებასა, წმიდაო მამაო?“ საბა იშხნელის პასუხი ნათელყოფს, რომ პირველ მოწვევაზე უარის თქმა ბერის სიჯიუტით კი არ აიხსნება, არამედ მრწამსით, რომელსაც მთელი კლარჯეთის მეუდაბნოეები იზიარებდნენ: „ხოლო მან რქუა: „დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა ხელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთაჲ. შენ ნათესავთა ამათ მეფე ხარ, ხოლო ქრისტე ყოველთა დაბადებულთაჲ; შენ წარმავალთა ამათ მეფე ხარ, ხოლო ქრისტე საუკუნოჲ მეუფეჲ და სრული ჰგიეს უცვალებელი, უჟამოჲ, დაუსაბამოჲ, დაუსრულებელი მეუფეჲ ანგელოზთა და კაცთაჲ და უფროჲს შენსა ჯერ არს სმენაჲ სიტყუათა მისთაჲ, რომელმანცა ბრძანა, არამედ აწ სიტყჳთა ძმისა და მოძღვრისა ჩემისა გრიგოლისათა მოვედ წინაშე შენსა“.

ამით ტახტზე ახლად ასულ ბაგრატს ეცნობა სასულიერო პირთა პოზიცია. ისინი მეფის ხელისუფლებაზე მაღლა აყენებდნენ თავს. საბამ მეფის წინაშე გრიგოლი გამოაცხადა ისეთ პიროვნებად, რომელსაც უნდა დამორჩილებოდა ქვეყანაში ყველა განურჩევლად წოდებისა. „სამართალ არს სიტყუაჲ შენი“, – დაეთანხმა ბაგრატი, რაც ბერების საერო ხელისუფალთაგან დამოუკიდებლობის აღიარებას მოასწავებდა, მაგრამ ეს მეფეს არ ათავისუფლებდა ეკლესიის წინაშე მოვალეობისაგან. ამ საუბრის შემდეგ მან დაათვალიერა იშხანი, სადაც „ხორციელად მოღუაწებითა ღმრთის-მსახურთა მათ მეფეთაჲთა“ განახლდა ტაძარი და „ნებითა ღმრთისაჲთა იქმნა საბა ეპისკოპოს იშხანს ზედა“.

შეიძლება ითქვას, რომ ბერებმა ერთგვარი ძალთა დემონსტრირება გამოხატეს მეფის წინაშე და თავისიც გაიტანეს. შემთხვევით არ შენიშნავს გიორგი მერჩულე ამ ეპიზოდის ბოლოს: „ნეტარი მამაჲ ჩუენი გრიგოლ პატივ-ცემულ იყო ზეგარდმო ღმრთისა მიერ და ჟამთა მისთა არავინ ურჩ იყო სიტყუათა მისთა, უფროჲს ხოლო ხელმწიფენი“.

იმ აზრმა, რომ ბერი მხოლოდ ღმერთს უნდა ემორჩილებოდეს, ჯერ კიდევ აფხაზეთის მეფესთან კლარჯეთის სამონასტრო ცხოვრებაზე საუბრისას იჩინა თავი. მაშინ გრიგოლმა კატეგორიულად განაცხადა: – „...სარწმუნონი და ჭეშმარიტნი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არავისსა ხელმწიფებასა ქუეშე არიან“. ღვთის ნებაა: „რაჲთა წმიდათა მათ უდაბნოთა მონასტერნი ხელითა გლახაკთაჲთა აღაშენნეს, რომელნიცა სრულიად თავისუფალ იქმნნეს სოფლისა საცთურთაგან“.

აქვე მან განსაზღვრა ხელმწიფეთა ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში: ისინი „...შრომასა მათსა თანა-მონაწილე იქმნებიან საფასეთა უხუად მიცემითა“.

ბაგრატის შენაწირი ბერებმა დიდი მადლიერებით მიიღეს, მაგრამ არც იმის აღნიშვნა დაავიწყდათ, რომ ხელმწიფენი ვალდებულნი იყვნენ, ეკლესიისათვის ხელი გაემართათ, ვინაიდან ასეთი იყო ღვთის ნება: „გულისხ-

მა-ყავთ, ვითარცა-იგი აბრაჰამ მამათმთავარმან და დავით წინასწარმეტყველმან სწორედ მეტრმეთა მისცა ნატყუენავთა მათგან ნაწილი, ეგრეთვე კეთილთაგან თქუენთა გლახაკნი და ეკლესიანი ნაწილეულ არიედ მარადის, ვითარცა ლევიტელთათვის უფალი ბრძანებს: „ნაწილი მათი მე ვარ“.

ეკლესიის ამოცანა

ბერების ამგვარ დამოკიდებულებას ისიც განაპირობებდა, რომ ეკლესია სახელმწიფოს და თვით მეფის ძლიერების ქვაკუთხედი იყო. ტაო-კლარჯეთის მონასტრების წინამძღვართა მიერ ბაგრატისათვის თქმული სიტყვები: „და ესე ეწოდა, რამეთუ სულიერად განწყობილნი ლაშქარნი თქუენნი ესე წმიდანი, უდაბნოთა მამანი, არიან ხორციელად განწესებულთა ლაშქართა თქუენთა სიმტკიცენი და საჭურველნი ყოველნი ყოველთა მორწმუნეთა მეფეთანი მწყობრთა შინა წყობისათა“, – ფაქტის აღნიშვნასთან ერთად გაფრთხილებაცაა, რომლის გაუთვალისწინებლობაც მეფეს არ შეეძლო. ბაგრატს, ჩანს, კარგად ჰქონდა გაცნობიერებული მეუდაბნოე ბერების როლი ქვეყნის ცხოვრებაში. მათში ხედავდა ძალას, რომელიც ზეციურ სამეფოს მიწიერთან აკავშირებდა, წარმავალ ადამიანურ ღირებულებებს – მარადიულთან. იგი აღფრთოვანებული მიმართავს ერთად შეკრებილ კლარჯელ ბერებს: „წმიდანო მამანო, ვინაჲთგან გიხილენით თქუენ, დაგვავიწყდა მებრ, თუ ქუეყანასა ზედა ვართ ჩუენ, არამედ ვჰგონებთ, ვითარმედ ზეცას წმიდათა ბანაკსა დამკვიდრებულ ვართ, რამეთუ თქუენ სულითა მარადის წინაშე ღმრთისა მდგომარე ხართ, და სადაცა არიან საყოფელნი თქუენნი, მუნცა არიან გულნი თქუენნი, არამედ იყავნ მეოხებანი თქუენნი ჩუენ ზედა აქა და საუკუნოსა“.

ეკლესიის მძლავრ ორგანიზაციად ჩამოყალიბება შუა საუკუნეებში მეტად პროგრესული მოვლენა იყო, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს მომდევნო ისტორიაში. ცალკეულ სამეფო-სამთავროებს შორის პირველობისათვის დაპირისპირების ხანაში ქართული ეკლესია აქტიურად იბრძოდა ყოველგვარი გათიშულობის წინააღმდეგ და, ფაქტობრივად, ერთადერთი ძალა იყო, რომელიც სრულიად საქართველოს ინტერესებს იცავდა და გამთლიანების საუკუნოვან სურვილს იდეოლოგიურ საფუძველს უქმნიდა. სწორედ მის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ, დაქუცმაცებულობისა და გარეშე მტერთა თარეშის მიუხედავად, საქართველომ სულიერი და კულტურული მთლიანობა შეინარჩუნა. სასულიერო პირთა ხელმწიფეთადმი დაუმორჩილებლობის იდეა აქტუალური იყო იმ მხრივაც, რომ ეკლესია იდგა ზნეობისა და სამართლიანობის მცველად და სამართალი უზენაეს კატეგორიად ცხადდებოდა; წინა პლანზე წამოიწია ღვთის წინაშე პასუხისმგებლობამ, რაც იმავდროულად სამშობლოს და, საზოგადოდ, ადამიანის წინაშე პასუხისმგებლობასაც გულისხმობდა.

იმხანად ქართული ეკლესიის გეზს განსაზღვრავდნენ მეუდაბნოე ბერები, რომლებიც თავიანთი მაღალი ზნეობით, სიბრძნით, ბოროტებასთან შეურიგებლობით მაგალითს აძლევდნენ და სიკეთის უძლეველობის რწმენას უბ-

რუნებდნენ ერს. ისინი არ ერიდებოდნენ თვით მეფეებსაც, თუ მანკიერებას შეატყობდნენ და, რაც საგულისხმოა, თუმცა ნამხილები ხელმწიფენი ხშირად საჩოთირო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე, მაინც არ ახშობდნენ მართალ სიტყვას, გულისყურით უსმენდნენ და მადლობას სწირავდნენ წმიდა მამებს, რადგან ხვდებოდნენ,რომ სიმართლესთან მებრძოლი სახელმწიფო დღეგრძელი ვერ იქნებოდა.

ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი XI ს-ის საქართველოს ისტორიიდან.

მეფე ბაგრატმა მოიწვია ღვთისმოყვარეობით და სიბრძნით განთქმული ბერი – გიორგი მთაწმიდელი და სთხოვა: „წმიდაო მამაო, ამისთჳს მოვაშერეთ სიწმიდე თქუენი, რაჲთა ნაკლულევანებაჲ და ცთომაჲ უწესოჲ აღმოჰფხვრა სრულიად სულთაგან ჩუენთა. დაფარული დაფარულად გვამხილე, ხოლო ცხადად თვალუხვავად განგვიმარტე. რამეთუ რაჲცა მიბრძანოს მამობამან შენმან, ესრეთ შევიწყნარო, ვითარცა პირისაგან წმიდათა მოციქულთაჲსა“.

როცა ხელმწიფემ დაინახა, რომ მის სამეფოში სამართალი სწორად ვერ ჭრიდა, ანგარებამ თითქმის ყველა სფეროში შეაღწია და თვით მისთვისაც არ იყო უცხო ზნეობრივი კომპრომისები, საკუთარ თავში იპოვა ძალა და წმიდა მამას შეევედრა: მოდი, გვამხილე და ჭეშმარიტების გზაზე დაგვაყენეო. მან კარგად იცოდა, რომ მხოლოდ ღვთიური მადლით გაბრწყინებულ „არავისსა ხელმწიფებასა ქუეშე“ მყოფ ჭეშმარიტ მონაზონს ძალუძდა სიმართლის თქმა. მანვე პირველმა მისცა სინანულის მაგალითი ერს: „ხოლო მიერითგან იწყეს აღსარებად და სინანულად თჳთ მეფემან, კათალიკოზმან, მღვდელთა, დიაკონთა, მონაზონთა და მოწესეთა, დიდებულთა და მთავართა, მდიდართა და გლახაკთა“.

გიორგი მთაწმიდელმაც „...პირველად ყოვლისა აღლესა მახვილი მხილებისაჲ მეფეთა მიმართ მრავალთა უწესოებათათჳს უშიშად და თვალუხვევად, სიბრძნით და გონიერად...“ და ამით გააგრძელა ის ტრადიცია, რომელსაც ასე დაბეჯითებით ამკვიდრებდა „ხელმწიფეთა თვალუხვავად მამხილებელი და განმსწავლელი“ დიდი ხანძთელი ბერი. გრიგოლმა უარი თქვა მღვდელმთავრობაზეც, რადგან სწამდა, რომ მხოლოდ ყოველგვარი პირადი პატივის უარმყოფელ კაცს სძღვნის ღმერთი ერისათვის ჭეშმარიტი სიტყვის თქმის ძალას, უნარსა და უფლებას: ღმერთსა და ერს შორის შუამავალი კი, შეუძლებელია, ამა ქვეყნის ძლიერთა მორჩილებდეს.

ჯავახეთის კრების მოვლენები

საერო და სასულიერო პირთა დამოკიდებულება საინტერესო კუთხით წარმოჩინდება ჯავახეთის კრებასთან დაკავშირებით მოვლენათა განხილვისას. როგორც ტექსტიდან ვიგებთ, სამცხელ ერისთავს, მირიანს, „მძლავრ სამცხისა ერითა“ და „კურთხევითა მცირედთა ეპისკოპოსთა“ თავისი ძე არსენი – ხანძთის მონასტერში აღზრდილი და გრიგოლის მოწაფე, კათოლიკოსად დაუდგენია. ამით განაწყენებულ ქართლის ეპისკოპოსებს და გუარამ მამ-

ფალს, რომელიც ისედაც „გულძვირად ყოფილა მირეანისათჳს“, კრება მოუწვევიათ ჯავახეთში.

ამ პერიოდში კლარჯეთის მონასტრები დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. მათი პოზიცია გადამწყვეტი მნიშვნელობისა იყო ქართული ეკლესიის ცხოვრებაში. ამას საგანგებოდ აღნიშნავს გიორგი მერჩულე: თუ „ყოველთა მათ უდაბნოთა წამება არა აქვს და წიგნი ყოველთა ჭეშმარიტი საწამებელი კათალიკოსმან საეპისკოპოსოჲსა მის ხელთა დასხმა ეპისკოპოსად არა ინების, არცა სათნო არნ სამართლითა საბჭოჲთა“. ასე რომ, ძნელი წარმოსადგენია, მირიანს თვითნებობა გაებედა კლარჯელ ბერებთან და, მით უმეტეს, გრიგოლ ხანძთელთან შეუთანხმებლად, რომელიც „განმგებელ იყო წმიდათა კლარჯეთისა ყოველთა უდაბნოთა“. ზემოთქმულს ადასტურებს ისიც, რომ ჯავახეთში შეკრებილთ მირიანი არც ახსოვდათ და მთელი გულისყური კლარჯეთისაკენ ჰქონდათ მიპყრობილი, საიდანაც არავინ ესწრებოდა კრებას. მათ გარეშე „მარტო ანჯმნობდეს წესისა წინამძღუარნი“, გადაწყვეტილებას კი ვერ იღებდნენ, თუმცა მეფის ძმა უჭერდათ მხარს და ფორმალურადაც მართლები იყვნენ.

გრიგოლი მოგვიანებით მოვიდა და მისმა სიტყვამ „მოკლედ დააწყნარა შფოთი გრძლად მოსაცილებელი“. ეპისკოპოსები რომ მათ სურვილს ანგარიშს გაუწევდნენ, ეს, ალბათ, ნავარაუდევი ექნებოდათ კლარჯელ ბერებს და, მართლაც, არსენის მოწინააღმდეგე სასულიერო პირთაც კი გრიგოლის სიტყვის შემდეგ დუმილი არჩიეს. ყველაზე აქტიურ ძალად გუარამ მამფალი დარჩა, რომელიც აშკარად ცდილობდა სულიერი მამებისათვის თავისი ნების მოხვევას. ეს ძალზე მნიშვნელოვანი ადგილია, რომლიდანაც კარგად ჩანს, რაოდენ შეუვალი იყო ეკლესია საერო პირთათვის. გუარამ მამფალმა განაცხადა: ძალის გამოყენებით მღვდელმთავრად გახდომა სჯულის კანონის დარღვევააო და „აუგისა სიტყუანი განამრავლა“. გრიგოლმა უპასუხა, რომ ერისკაცს არ აქვს უფლება, ჩაერიოს „წინამძღვართა მამათა განსაგებელში“ მაშინაც კი, „დაღაცათუ სამართლად საგონებელ იყოს“, – ვინაიდან ეს მღვდელმოძღვართა შეურაცხყოფა არისო. „უდაბნოს ვარსკვლავმა“ გუარამი იმის ღირსადაც კი არ მიიჩნია, რომ მასთან არსენის კათოლიკოსად კურთხევის კანონიერების შესახებ ემსჯელა – ამ შემთხვევაშიც ის ეკლესიის შეუვალობას იცავდა. განაწყენებულმა მამფალმა თავდაჭერა დაკარგა და შეურაცხყოფა მიაყენა გრიგოლს: „მრავლით ჟამითგან არა მეხილა მამაჲ გრიგოლ, არამედ მასმიოდა, ვითარმედ ბრძენთაგან შეუცავი სიბრძნე მისი შეცვალებულ არს სიბერითაო და პირველ სმენილი ვიხილე თუალითა“, – მაგრამ თავისი მაინც ვერ გაიტანა და, საბოლოოდ იძულებული გახდა, პატიება ეთხოვა წმიდა ბერისთვის. ჩანს, ეკლესიას შესწევდა ძალა, რომ დიდი ფეოდალისთვის პირდაპირ მიეხალა, ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევას ვერავისგან მოვითმენთო. ცხადია, მირიანი კლარჯეთელ ბერთა თანადგომით მოქმედებდა და ვინაიდან არსენის აღსაყდრება ერთგვარად საჩოთირო ვითარებაში მოხდა, გიორგი მერჩულემ, შესაძლოა, განზრახ არ გაამახვილა ყურადღება ამ საქმეში მათ წვლილზე. არსენის კათოლიკოსობა ყოველმხრივ მისაღებად ჩანდა კლარჯელთათვის. იგი ხანძთის მონასტერში აღიზარდა და მისი ტრადიციების გამგრძელებელ-დამამკვიდრებელი უნდა ყოფილიყო. ამავე დროს,

დიდებულ ოჯახისშვილს, საჭიროების შემთხვევაში, ძლიერი მხარდამჭერები ეყოლებოდა: რაც მთავარია, გრიგოლს ეჭვი არ ეპარებოდა თავისი მოწაფის ღირსებებში და მიაჩნდა, რომ არსენის კათოლიკოსობა ღვთის ნება იყო. არსენი მართლაც ფართო მასშტაბის საეკლესიო მოღვაწე დადგა: „რომელსა ეწოდა ღირსად დიდი არსენი ქართლისა კათალიკოზი და მცხეთისა საყდრისა გჳრგჳნი დაუჭნობელი“.

კრების შემდეგ გუარამმა „კეთილად ისტუმრნა ყოველნი“ და „რაჟამს განმხიარულდა ღვინითა“, – ისევ საერო და სასულიერო პირებს შორის დამოკიდებულებაზე ჩამოაგდო სიტყვა. იკითხა: ერისკაცმა რომ სადმე კეთილი წესი ნახოს, ან წიგნებში ამოიკითხოს რაიმე საგულისხმო ამბავი, რაც ჩვენში არ არის, მაგრამ ქრისტიანი ერის ცხოვრებისათვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია და ამის შესახებ მრევლს ამცნოს, კარგი იქნება თუ არაო? ეპისკოპოსთა პასუხიდან ჩანს, რომ გრიგოლის პოზიციას მთელი ქართული ეკლესია იზიარებდა. მათ მიუგეს: ყველაფერს სჯობს, ერისკაცი ჩუმად იყოს, მაგრამ თუ თავს ვერ იკავებს, მაშინ ყველაფერი ეპისკოპოსს უნდა აუწყოს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში თვითონ აზიარებს სამწყსოს სიახლეს, ხოლო ვინც ამ წესს არ დაემორჩილება, მეორედ მოსვლისას სასტიკად დაისჯებაო.

ჯავახეთის კრებაზე გადაწყდა არსენის კათოლიკოსობის საკითხი და, ამავე დროს, ეკლესიამ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა თავისი უფლებებისათვის ბრძოლაში. გუარამიც, ისევე როგორც მისი ხელმწიფე – ძმა ბაგრატი, სასულიერო პირებთან ურთიერთობისას იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო და ელიარებინა ეკლესიის დამოუკიდებლობა. გიორგი მერჩულე კმაყოფილებით აღნიშნავს: „ხოლო უმეცართა მათ შეიკდიმეს მხილებაჲ იგი უმეცართა წესის–დადებისაჲ და შეინდვეს სჯულისა წინამძღუართაგან“.

არაბებთან დაპირისპირება

თხზულებაში ყურადღებას იქცევს ერთი ეპიზოდი: ვინმე ცქირი, რომელიც დიაკვნობას ჩემულობდა, ხშირად იმყოფებოდა აშოტის სასახლის კარზე, როგორც თბილისის ამირა საჰაკის მოციქული. იგი, გიორგი მერჩულეს ცნობით, საჰაკს აღუზრდია და, ბუნებრივია, მოციქულობასთან ერთად ჯაშუშის როლსაც ასრულებდა. მას კარგად უნდა სცოდნოდა ტაო-კლარჯეთის შინაური ვითარება და, ცხადია, მისგან მინოდებულ ინფორმაციას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ექნებოდა არაბთათვის, რომელთაც დროთა ვითარებაში შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ, რომ სამხრეთ საქართველოში წამოწყებული მოძრაობა ქვეყნიდან მათ განდევნასა და საქართველოს გაერთიანებას ისახავდა მიზნად. ისიც ნათელი იყო, რომ ამ მოძრაობის მოთავედ და სულისჩამდგმელად ეკლესია გამოდიოდა, ამიტომ, როდესაც ანჩის ეპისკოპოსი გარდაიცვალა, საჰაკმა მის ადგილას ცქირის დასმა მოითხოვა. ამით იგი, ფაქტობრივად, კონტროლს უწესებდა ქართულ ეკლესიას და მოქმედების თავისუფლებას ართმევდა.

ცქირი და მკვლელები

ეტყობა, გარკვეული პოლიტიკური ვითარების გამო აშოტმა ვერ შეძლო უარის თქმა და ცქირი ანჩის ეპისკოპოსი გახდა. ეს არ იყო მხოლოდ ვიწრო საეკლესიო პრობლემა. კლარჯეთის მონასტერთა მღვდლებსა და დიაკვნებს ანჩელი ეპისკოპოსები აკურთხებდნენ და მათ მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ ამ მხარის სულიერ ცხოვრებაზე. გარდა ამისა, კლარჯეთის შუაგულში მდებარე ანჩის ტაძარი ოცდაათიოდე კილომეტრით თუ იყო დაშორებული აშოტის რეზიდენციას – არტანუჯს. თანაც, გაეპისკოპოსებულ ცქირს ქვეყანაში თავისუფლად მიმოსვლის საშუალებაც მიეცა. ანჩის წმიდა ეკლესიიდან, ფაქტობრივად, საჰაკ ისმაილის ძის ხარბი თვალი დასცქეროდა კლარჯეთს.

ძალაუფლებით განდიდებული თვითმარქვია ეპისკოპოსი სრულიად აშკარად ეწეოდა ანტიქართულ საქმიანობას, „რომლისა მოხსენებაჲ ამა წიგნსა შინა არა ჯერ-არს შთაწერად ყოველი", – შენიშნავს გიორგი მერჩულე. ცქირმა „მრავალი ბოროტი შეამთხვია მამასა გრიგოლს და მის ჟამისა წმიდათა მამათა და სხუათაცა მორწმუნეთა ერისკაცთა". იგი კარგად ხედავდა, რომ გრიგოლი ხანძთელი იყო ეროვნული მოძრაობის სულიერი მამა და წინამძღოლი და მისი მოკვლა გადაწყვიტა, მაგრამ განზრახვის ასრულება ვერ შეძლო. მოსყიდულ მკვლელს წმიდა მამაზე აღმართული მარჯვენა შეახმა და მხოლოდ მის მიერ გამეტებული კეთილმოწყალე ბერისავე ლოცვამ განკურნა. „სამისა გრივისა ფეტვისათჳს და ხუთთა თხათათჳს" კაცისმკვლელი ავაზაკი ღვთის მორწმუნედ და მონანიე სულად დაუბრუნდა ცქირს და „ყოველი იგი ყოფილი უთხრა". აქ გაცხადებულია იდეა, რომ უძლურება მხოლოდ გარეგნული სახეა სიკეთისა და ბოროტება ყოველთვის მარცხდება მასთან ბრძოლაში. ამ შემთხვევაში ცქირი, როგორც ჩანს, საჰაკ ისმაილის ძის მითითებით მოქმედებდა და ნათელია, რომ არაბები სწორედ გრიგოლ ხანძთელს მიიჩნევდნენ ყველზე საშიშ მოწინააღმდეგედ.

ხანძთელი ბერისათვის ცხადი იყო, რომ მტერი თანდათან ნიდაგს იმზადებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სულიერ და ფიზიკურ ტყვეობაში მოსაქცევად. აქ გამოვლინდა მისთვის დამახასიათებელი სიმტკიცე და პოლიტიკური სიბრძნე. მან სწორად განჭვრიტა, რომ ამ საკითხში დათმობა არ შეიძლებოდა, მიიღო გამოწვევა და აშკარად დაუპირისპირდა არაბების მოძალებას: გრიგოლმა შემოიკრიბა თანამოაზრე წმიდა მამები და ერისკაცები, დაარწმუნა აშოტ კუროპალატი ცქირის განდევნის აუცილებლობაში და საეკლესიო კრებაზე მან და დედა ფებრონიამ მოიკვეთეს მოღალატე, „ვითარცა-ღა ასოჲ დამპალი". ცქირი იძულებული გახდა, ისევ საჰაკთან წასულიყო თბილისში.

არაბები რომ ასე იოლად არ დათმობდნენ პოზიციებს, იმთავითვე ივარაუდა „უდაბნოს ვარსკვლავმა" და საპასუხო სვლაც დაგეგმა. ჩანს, აშოტი ჭოჭმანობდა, უფრთხოდა თბილისის ამირას წყენინებას და ამიტომ წინ ვერ აღუდგა თვითმარქვია ეპისკოპოსს, რომელმაც „კუალად მძლავრებით დაიპ-

ყრა ანჩისა საყდარი". ცქირს ანჩის ხელმეორედ დაუფლებისთანავე გაუგზავნია ხალხი ხანძთის მონასტრის დასანგრევად და გრიგოლის მოსაკლავად, რადგან ამირას სწორედ ხანძთაში ეგულებოდა ყველაზე მძლავრი ანტიარაბული კერა. მოძალადენი მზის ამოსვლისას მისდგომიან მონასტერს. წმიდა მამას მცირე დრო უთხოვია მათთვის, „რაჲთა წმიდასა შინა ეკლესიასა ვყოთ ვედრებაჲ წინაშე ქრისტჱსა, და შევიწიოთ წმიდაჲ გიორგი და ყოველნი წმიდანი". შემთხვევითი არ არის აქ შუბით ეშმაკეულის მმუსვრელი წმიდა გიორგის ხსენება. ამით კიდევ ერთხელ საჩინოვდება გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის ხასიათი: მისი იდეალი და გზის წარმმართველი ბოროტებასთან ბრძოლაში ძლევამოსილი წმიდა მხედარია. გრიგოლი თვალს ადევნებდა ცქირის ყოველ ნაბიჯს. იგი ვერ დაუშვებდა მის ხელმეორედ აღზევებას კლარჯეთში, რაც ქვეყანას დაღუპვას უქადდა და ამიტომ იძულებული გახდა, დაუნდობელი ყოფილიყო მტრის მიმართ. არაბთაგან მოსყიდულმა მედროვემ ვერ შეაფასა, თუ რა მასშტაბის მოღვაწესა და უშრეტი ენერგიის პიროვნებას დაუწყო ჭიდილი. ლოცვის შემდეგ გრიგოლი გამოვიდა ტაძრიდან და მონასტრის დასანგრევად მოვლინებულთ აუწყა: „ნუღარა გეშინით თქუენ მძლავრებისაგან მომავლინებელისა თქუენისა, რამეთუ უფალმა რისხვით მოკლა იგი". მალე მოვიდა მაცნეც და დაადასტურა წმიდა ბერის სიტყვები. ცქირის სიკვდილი იყო არა მხოლოდ უღირსი პიროვნებისადმი ანგარიშგასწორება, არამედ მნიშვნელოვანი პოლიტიკური სვლა, რომელიც სრულიად არაორაზროვნად მიუთითებდა, რომ ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფო ვეღარ მოითმენდა არაბთაგან საშინაო საქმეებში ჩარევას. მრავლისმეტყველია, რომ ამ შემთხვევაშიც გრიგოლ ხანძთელმა იკისრა დიდი პასუხისმგებლობა და გადაჭრა ის პრობლემა, რომლის წინაშე ქვეყნის პოლიტიკური წინამძღოლი უძლური აღმოჩნდა. „ რაც მთავარია, ავტორს ყოველივე ეს მოწოდებული აქვს ძალზე მაღალი ლიტერატურული კულტურით. ცქირის მკვლელობა შეფარულია ჭეშმარიტი ხელოვნის ოსტატობით, რათა მკითხველმა უშუალოდ არ მიაწეროს ეს გრიგოლის მომხრეებს და ამავე დროს მას ჰქონდეს განცდა, რომ ცქირი იმსახურებდა წმიდა გრიგოლისაგან სიკვდილით დასჯასაც კი" (რ. სირაძე).

ჰაგიოგრაფიის მოთხოვნები

ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში მთავარი გმირი იდეალური პიროვნებაა, იდეალიზებულია მისი ყოველი საქციელი, სიტყვა. იგი ბავშვობიდანვე გამოირჩევა განსაკუთრებულობით, ღვთისმოყვარეობით. მისი ცხოვრება დაბადებიდან გარდაცვალებამდე უფლისაკენ ზეაღმავალი გზაა, რომელიც ოდნავადაც არ მრუდდება სადმე. ჰაგიოგრაფი პერსონაჟს არ ხატავს რეალისტურად, თანამედროვე გაგებით, გმირი წარმოგვიდგება არა ისეთად, როგორიც იყო, არამედ ისე, როგორიც უნდა ყოფილიყო.

ეს არ ნიშნავს, რომ გიორგი მერჩულე გრიგოლის გაიდეალების მიზნით სახეს უცვლიდა ფაქტებს. აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ჰაგიოგრაფი მაშინაც კი, როდესაც პრაგმატულ საუკუნეში გაზრდილი ურწმუნო მკითხველისათვის ყოვლად დაუჯერებელ სასწაულს ყვება, თავისებური გაგებით მაინც რეალისტად რჩება, ვინაიდან ავტორისათვის სასწაული რეალური მოვლენაა: სასულიერო მწერლობისათვის დამახასიათებელი ამგვარი რეალიზმი გულისხმობს იდეალურის რეალურობაში დანახვას. მწერალი ღვთიურობის გამოვლინებას წმიდანის ცხოვრებაში ხედავს და თავის ნაწარმოებს ადამიანური სრულქმნილების ამსახველ ნიმუშად უტოვებს თანამედროვეებსა და შთამომავლობას. თუმცა, მისთვის ისიც ნათელია, რომ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები მხოლოდ ღვთის გზაზე დამდგარმა კაცმა შეიძლება შეიმეცნოს, ურწმუნოთათვის იგი დაუჯერებელ ამბად დარჩება. ერთ-ერთ საკითხავში პირდაპირაა მითითებული ამის შესახებ: „არამედ მეშინის, ნუსა და ნაცილ საგონებელ იქმნეს ესე შემდგომთა ნათესავთაგან და განხუებულ ჭეშმარიტებისაგან, რამეთუ უყვარს კაცთა, რაჲთა ბუნებასა შეემსგავსებოდინ ქმნილნი საქმენი, ხოლო უკუეთუ რაიმე თქმულის ზეშთა აღმატებული ბუნებითა საზღვრისაჲ მტყუვარ ჰგონებენ მას საღმრთოთა ნიჭთა უმეცარნი იგი“. როდესაც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოგვითხრობს, დიდგორის ომში ქართველთა ლაშქარს წინ წმიდა გიორგი მიუძღოდა და ამას თვით ურჯულოებიც კი აღიარებენო, ეს მისთვის ჭეშმარიტებაა. ასევე ჭეშმარიტებას გვამცნობს გიორგი მერჩულე, გრიგოლის გარდაცვალების ამბავს რომ ყვება: „ამათ რაჲ სიტყუათა იტყოდა ნეტარი გრიგოლ, მაშინ ნათლითა მიუწდომელითა შეიმკო შუენიერად ხილვაჲ მისი ბრწყინვალედ ქრისტეს მიერ. რამეთუ ბანაკი ანგელოზთა უფლისათაჲ გარე მოადგა მას და პატიოსანთა საკუმეველთა სულნელებამან აღავსო ყოველი იგი ერის კრებული მამათაჲ და რამეთუ აქუნდა ჩუეულებაჲ ზეცისა წმიდათა მთავრობათა ხილვისაჲ სულსა მას მართალსა და აწ მათგანვე სიხარულისა ხმაჲ ესმა ესე: „ნუ გეშინინ მოსვლად ჩუენთანა, მსახურო ქრისტესო, სანატრელო, რამეთუ ქუეყანისა ანგელოზსა და ზეცისა კაცსა გიწესს მეუფეჲ ცათაჲ ქრისტე. აწ მოვედ სიხარულით და უფლისა შენისა თანა იხარებდ დაუსრულებლად, რამეთუ ნეტარ ხარ შენ შორის კაცთა ნეტარსა მას დიდებასა დამკვიდრებად განმზადებული და მხიარული საუკუნოდ“. ხოლო ესე სიტყუანი ესმოდეს რომელთამე მოწაფესა მისთა, არამედ ხილვაჲ იგი დიდებული ყოველთა იხილეს“.

ისიც უნდა ითქვას, რომ წმიდანის ცხოვრება ღვთიურობის გამოვლინებად აღიქმებოდა. მისი ცხოვრების ამსახველი თხზულება უშუალოდ ეკლესიის შეკვეთითა და მეთვალყურეობის ქვეშ იქმნებოდა და იგი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ერის ცხოვრებაში. მხოლოდ რჩეულთა შორის ურჩეულესი პიროვნების ცხოვრებას მიიჩნევდნენ აღწერის ღირსად და, სხვასთან ერთად, იქნებ ესეც იყოს მიზეზი ორიგინალური ჰაგიოგრაფიული ძეგლების ერთგვარი სიმცირისა.

გრიგოლ ხანძთელი
და ილია ჭავჭავაძე

ის, რაც გრიგოლ ხანძთელმა შეძლო, ჩვეულებრივი მოკვდავისთვის, მართლაცდა, დაუძლეველ ტვირთად ჩანს, ნიშანდობლივია, რომ მისი და ილია ჭავჭავაძის ცხოვრება მრავალმხრივ ემსგავსება ერთმანეთს. ეს არც არის გასაკვირი. ჭეშმარიტი ეროვნული მოღვაწენი იმ გზას მიკვალავენ, რომელმაც ერი უდაბნოდან უნდა გამოიყვანოს. გრიგოლ ხანძთელი და ილია მართალი ბიბლიური წინასწარმეტყველებივით მოევლინნენ თავიანთ ქვეყანას და მათი ყოველი ფიქრი თუ ნაბიჯი დაცემული სამშობლოს აღდგენისაკენ იყო მიმართული. ილიას ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ თურმე იგი ბავშვობაში ყმაწვილურ გასართობებს ნაკლებად ეტანებოდა და უფრო განმარტოებით ფიქრი იზიდავდა. გრიგოლიც მარტოობის მოყვარული ყოფილა: „თავისუფალ იყო იგი სიმღერისაგან ყრმათაჲ და ყოვლისა აღრევისა კაცთაჲსა და მარტოდ იყოფვინ თჳსსა მას სადგურსა, რომელსა განწესებულ იყო, ამისთჳსცა დაყუდებულ უწოდიან მას სახელი“. დედამისს მხოლოდშობილი ვაჟი ჯერ კიდევ დაბადებამდე შეუწირავს ღვთისათვის და გრიგოლიც პატარაობიდანვე მკაცრად იცავდა მონაზვნური ცხოვრების წესს: „სიჩჩოჲთგანვე ღვინოჲ და ხორცი არ შეხდა პირსა მისსა“. ქართლის ერისთავის ცოლის ძმისშვილმა და ჩამომავლობით ნარჩინებულმა დიდებულმა ამქვეყნიური სიამენი ბერულ ჩოხაზე გაცვალა, მაგრამ, ამავე დროს, შეინარჩუნა დიდი სულიერი არისტოკრატიზმი, რაც გამოსჭვივის მის ყოველ ფრაზასა თუ საქციელში. ეს იყო მიზეზი, რომ იგი ყოველთვის მაღლა იდგა მინიერ ვნებებზე და მის წინაშე თვით მეფენიც კი ქედს იხრიდნენ.

ჩანართი №6

დამნახველი და გამომხატველი

მწერლობა დანახვა, შეცნობა, სახელის დარქმევა და გამოხატვაა. გიორგი მერჩულე, ოთხივე ამ თვალსაზრისით, შესანიშნავი მწერალია.

ის მოვლენებს, ფაქტებსა და ადამიანთა ნამოქმედარს როგორც ისტორიულ (დროით), ისე მეტაფიზიკურ (ზედროულ) კონტექსტში ხედავს. ყველაზე მნიშვნელოვანი მისთვის პიროვნულის, სახელმწიფოებრივისა და ღვთაებრივის ჰარმონიული ერთობაა, რაც არაერთგზის და სხვადასხვა რაკურსით ცხადდება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“.

როგორც ზემოთაც ვახსენეთ, ერთხელ გოეთემ თქვა: „ის, ვისაც სიქსტეს კაპელა არ უნახავს, ვერასდროს წარმოიდგენს, რისი გაკეთება შეუძლია ერთ ადამიანს“. არსებობს გამკეთებლის სიკეთე და დამნახველის სიკეთეც – მიქელანჯელომ შედევრი შექმნა, გოეთემ კი ერთი შესანიშნავი ფრაზით გამოხატა მისი მნიშვნელობა.

გიორგი მერჩულემაც მკაფიოდ დაგვანახვა, რა მასშტაბის მოღვაწე იყო გრიგოლ ხანძთელი – რა გააკეთა მან საქართველოსთვის და, ზოგადად – ადამიანებისთვის.

გრიგოლი ნერსე ერისთავის ოჯახში იზრდებოდა და კარგად დაინახა ამ დიდებული ქართველის პიროვნული ტრაგედია – კატასტროფული მარცხი საქართველოს არაბი დამპყრობლებისგან გათავისუფლების საქმეში. ნერსეს მთელი მოწიფული ცხოვრება საკუთარი ქვეყნის მსახურება იყო. ის არაერთგზის შეეცადა, არაბთა აგრესიულ ნებას წინ აღსდგომოდა, მაგრამ ამას კარგი შედეგი არ მოჰყოლია. თავად ერისთავი ჯერ ბაღდადში გაიწვიეს და იქ, ფაქტობრივად, შინაპატიმრობაში ჰყავდათ, შემდეგ თბილისში დააბრუნეს და აქედან ხაზარეთში გაქცევა მოუწია, ბოლოს კი, აფხაზეთში ერთხანს ყოფნის შემდეგ, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე უარის თქმის საფასურად, თბილისში დაბრუნების უფლება მისცეს.

გრიგოლი მთელი ეს დრო ნერსესთან იმყოფებოდა და ერთ უცილობელ ჭეშმარიტებას მიხვდა – მხოლოდ ხმალი (შიშველი ფიზიკური ძალა), თუ მას საზოგადოებისა და ადამიანის გამაძლიერებელი და გამაერთიანებელი იდეა არ უდგას უკან, პრობლემას ვერ გადაწყვეტს. განათლება, წიგნი და ფიქრი ქმნის ამ იდეას, რომელიც განწყობად იქცევა და მთების დაძვრა შეუძლია.

გიორგი მერჩულე გვიჩვენებს, როგორ წამოვიდა გრიგოლი თავის სამ თანამოაზრესა და მეგობართან ერთად სამხრეთ საქართველოში და მრავალწლიანი დაუღალავი მოღვაწეობითა თუ მოქმედებით შექმნა ეს მაცოცხლებელი იდეა. მისი ხელმძღვანელობით აგებული ეკლესია-მონასტრები არ იყო მხოლოდ ადამიანის დამაშვრალი და ცოდვით დამძიმებული სულის მოსაოხებელი ადგილები – ეს განათლების ძალიან მნიშვნელოვანი კერებიც იყო, რომლებშიც არა მხოლოდ სულის ხსნაზე, არამედ საზოგადოებისა და ქართული სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანეს თემებზეც ფიქრობდნენ და არსებითად უწყობდნენ ხელს მათ ადამიანთა ცნობიერებაში დამკვიდრებასა და შემდეგ – რეალიზებასაც.

შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ სამხრეთ საქართველოდან დაიწყო და დაგვირგვინდა კიდეც (ბაგრატ მესამის მეფობის ხანაში) ჩვენი ქვეყნის გაერთიანების საქმე – თბილისი ოდნავ მოგვიანებით (დავით აღმაშენებლის დროს, 1122 წელს) დაუბრუნდა საერთო მიწას.

ამ პროცესის სათავეში ტაოელი ძმები დგანან, რომელთა საქმე დიდმა ათონელებმა (ექვთიმემ, გიორგიმ და სხვებმა) გააგრძელეს და ქართველთა მიწიერი მესიის – დავით აღმაშენებლის – წინამორბედობა იკისრეს.

გრიგოლის მიერ დაწყებული მოძრაობა მერჩულემ „უდაბნოს ქალაქმყოფლობად“ შეაფასა. „უდაბნო“ ძველისძველი სიმბოლოა, ისევე როგორც „ქალაქი“; პირველი, ამ კონტექსტში, სიმბოლურად, ღვთის სიკეთეს მოკლებულ, უსახურ, ქაოსისკენ მიდრეკილ ადგილს ნიშნავს, მეორე კი – წესრიგს. მართლაც, გრიგოლის მოსვლამდე ტაო-კლარჯეთი მურვან-ყრუს შემოსევისა და ჟამიანობის (შავი ჭირის ეპიდემიის) გამო პრაქტიკულად უდაბურ ადგილად იყო ქცეული, ხოლო მისი მრავალწლიანი გონივრული მოღვაწეობის შემდგომ საქართველოს ახალ პოლიტიკურ, კულტურულ და ზნეობრივ ცენტრად იქცა – სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წესრიგად.

შენიშნულია (რევაზ სირაძე), რომ არაბმა დამპყრობლებმა თბილისში დამკვიდრებით ქართლი, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის

ციტადელი, მთლიანად დაუქვემდებარეს საკუთარ გავლენას და მისთვის წართმეული ლიდერის ფუნქცია ტაო-კლარჯეთს რომ არ აეღო, საქართველოს გაერთიანება (რომელიც, როგორც ვთქვით, სწორედ აქედან დაიწყო და წარმატებით გაგრძელდა) სათუო გახდებოდა.

აქედან გამომდინარე, გრიგოლ ხანძთელის ღვაწლი ძალიან დიდი და მნიშვნელოვანია.

რა თქმა უნდა, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი დამსახურება ჩვენი ქვეყნის სულიერი განვითარების საქმეში. რას ნიშნავს „ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი"? ეს იმას ნიშნავს, რომ გრიგოლი საკუთარ თავში ატარებს სვეტიცხოვლობის დიად იდეას. სვეტიცხოველი დაკავშირებულია იაკობის კიბესთან და, სიმბოლურად, ცისა და მიწის არსებით და ჰარმონიულ კავშირს გამოხატავს. კაცობრიობის ერთ-ერთ პირველ მამას, იაკობს, ეზმანა, როგორ ჩამოდიოდნენ და ადიოდნენ ციდან მიწამდე დაშვებულ კიბეზე ანგელოზები. მოძრაობა აქ ცალმხრივი არ არის – როგორც ზეციურ ძალებს შეუძლიათ ამსოფლად მოსვლა, ისე ადამიანებს ძალუძთ განლმრთობა. კაცის გაზეციურება შეუძლებელი არ არის და სწორედ ამისკენ უნდა მიისწრაფვოდეს ის. მაშინ ექნება მას „ღმრთის-მხედველი სული" (ამგვარ სულს ხედავს გრიგოლი თავის საყვარელ მოწაფე ეფრემ მაწყვერელში, თუმცა, პირველ რიგში, საერთო აღიარებით, სწორედ თავად არის მისი განსახიერება). გიორგი მერჩულეს აზრით, გრიგოლი საკუთარ თავში მოიცავს წუთისოფელში ჩამოსულ ანგელოზსა და ზეცაში ასულ ადამიანს – ამგვარი ჰარმონიული ერთობის განსახიერებაა. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ გრიგოლ ხანძთელისნაირი კაცები იესოს შემდგომ და მისი ამქვეყნიური ცხოვრების მიმსგავსებულობის კვალდაკვალ გამოხატავენ ღვთის ნამდვილ ხატებას ადამიანში.

ასეთი ხატება გულისხმობს, ერთი შეხედვით, უცნაურ შუამავლობასაც ცოცხლებსა და გარდაცვლილებს, ამ სამყაროსა და მიღმა სამყაროს შორის.

ადარნერსე მეფემ საყვარელი გაიჩინა, რომლის გამოც საკუთარ ცოლს, დედოფალს განეშორა. გრიგოლი განრისხებული იყო მეფის სატრფოზე, რადგან მან არ შეისმინა წმიდა მამის შეგონებანი. ამ ამბის დასასრულს მეფის საყვარელი ფებრონიასთან მივიდა და სიცოცხლის ბოლო მონანიებასა და სინანულში გაატარა. როდესაც ეს ქალი გარდაიცვალა, „ბრძანა დედამან ფებრონია მახლობლად დათა მათ ქრისტეს ნების-მყოფელთა დამარხვა მისი", მაგრამ, მართლაც, გაუგონარი რამ მოხდა – გარდაცვლილმა მონაზვნებმა ამ განზრახვის აღსრულება არ ინებეს – მიწა არ იღებდა მიცვალებულს: „რამეთუ დამარხვასა სხვათა მიცვალებულთასა სამ-გზის იპოვა შინაგან კარსა აკლდამისასა მდებარე" (ალბათ, გაგვახსენდა ცნობილი ქართული ფილმის, „მონანიების" რამდენიმე ეპიზოდი, რომლებშიც უკვე დამარხული ადამიანი კვლავ მიწის ზედაპირზე ხვდებოდათ, თუმცა იქ მსგავსი რამ ერთი კონკრეტული ადამიანის ნებით ხდება). ფებრონიამ ამ სასწაულის შესახებ გრიგოლს მისწერა და პრობლემის მოგვარება სთხოვა („აწ ჟამი არს შენდობისაო").

ზეციური სასწაული მიწიერმა ადამიანმა გააგრძელა – გრიგოლმა წერილი მისწერა მიცვალებულ მონაზვნებს, რომელშიც მათ სთხოვდა: „აწ გე-

ვედრებით, საწყალობელისა მაგისთვის დედაკაცისა ითხოეთ ქრისტესგან ბრალთა მისთა შენდობა და ღირს ყვენით ძვალნი მისნი ძვალთა თქუენთა და სული მისი სულისა თქუენისა თანა“.

მხოლოდ ამ წერილის საფლავთან წაკითხვის შემდეგ საბოლოოდ გაიხსნა მიწა ცოდვილი ქალისთვის.

გიორგი მერჩულე არაორდინალური კაცის არაორდინალურ პორტრეტს ქმნის.

მან დაინახა, შეიცნო და გვაუწყა.

ამით მან სულიერი მარადისობის გვერდით ლიტერატურული მარადისობაც შექმნა – ვიდრე ადამიანები მის ნაწერს წაიკითხავენ და გააცნობიერებენ, ყოველთვის გაუჩნდებათ სურვილი, ფიქრითა და განწყობით მიეახლონ კაცს, რომელსაც სიცოცხლეშივე მიეკუთვნა ადგილი მიწაზეც და ზეცაშიც.

ბერმონაზვნური
ცხოვრების წესი

გრიგოლი ბავშვობიდანვე მტკიცედ მისდევდა ბიბლიური დანიელ წინასწარმეტყველის სიტყვას: „პური გულის სათქუმელი არა ვსჭამო“ (მოგვიანებით ერთგვარად სახეცვლილი ეს აზრი გახმიანდება „ვეფხისტყაოსანშიც“: „რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“), რაც არ არის თვითმიზნური გვემისკენ მოწოდება. აქ გაცხადებულია პრინციპი, რომ „ხატად ღვთისა“ შექმნილი ადამიანი არ შეიძლება იქცეს მიწიერ სურვილთა ტყვედ, მან უნდა შეინარჩუნოს სულიერი თავისუფლება; საკუთარ არსებაში წარმავლის დათრგუნვით პიროვნება მარადიულ ჭეშმარიტებას ეზიარება. კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი, განურჩევლად რწმენისა, იმთავითვე ამას მიიჩნევდა ადამიანური არსებობის უმთავრეს მიზნად. რომის იმპერატორი, მარკუს ავრელიუსი, რომელიც არ იყო ქრისტიანი, წერდა: „მე უფრო დიდი ვარ და დიდი რამისთვის შობილი, ვიდრე მსახურებაა ჩემივე თავის მიმართ“. ეს „მე“ გულისხმობს საზოგადოდ პიროვნებას და არა მაინცდამაინც იმპერატორს.

ამგვარი პრინციპი დაუდო საფუძვლად გრიგოლმა ხანძთის მონასტერს და ამით იყო გამოწვეული, რომ იგი მკაცრად იცავდა დისციპლინას. მისი წინამძღვრობის პერიოდში ვერავინ იკადრებდა ეკლესიაში ლოცვის ჟამს საუბარს ან იატაკიდან მუხლის აღებას. არც კედელზე მიყრდნობა შეიძლებოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ძილსა და „უკრძალველად ჯდომაზე“. გიორგი მერჩულე მოგვითხრობს: „პირველთა მათ დღეთა ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისთა ფიცხელ იყო ფრიად კანონი მოწაფეთა მისთაჲ, რამეთუ სენაკთა მათთა შინა იყო მცირე სარეცელი და შეურაცხი საგებელი და თითოჲ სარწყეული წყლისათვის. ხოლო სხუაჲ ნუგეშინის-საცემელი ხორცთაჲ არა

აქუნდა საჭამადისაჲ და სასუამადისაჲ ყოვლადვე, არამედ რომელი ტრაპეზსა ზედა ერთბამად ჭამიან, მით იყო ცხორება მათი. და მრავალნი მათგანნი არა სუმიდეს ღვინოსა ყოვლადვე. და რომელნიცა მიიღებდეს, მცირედ მცირედ იხუმებდეს. და სენაკებსა საკუამი არა აქუნდა, რამეთუ ცეცხლი არა აღეგზებოდა და არცა ღამეჲ სანთელი აღანთიან, არამედ ღამე იყო ფსალმუნებაჲ და დღისით წიგნის კითხვაჲ და ლოცვაჲ მარადის...“

თავის სამწყსოსათვის მაგალითის მიმცემი თვით გრიგოლი იყო, რომლის ყოველდღიურ საზრდოს პური და წყალი წარმოადგენდა, თუმცა, აქაც უკიდურეს თავშეკავებას იჩენდა. „ნაკლულევანებით დღესა შინა ერთი ჭამის და წყალი წონითვე მცირედი, ღვინოჲ კულა სიყრმითგანვე არა ესუა“.

დღევანდელი ადამიანისათვის ცხოვრების ამგვარი წესი შეიძლება გადაჭარბებულ ასკეტიზმად მოჩანდეს, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ამ ბერების ცხოვრების უმაღლესი მიზანი ღმერთისა და ქვეყნის სამსახური იყო და მათ არ ეცალათ ხორცზე საზრუნავად. ეს მარადის მარხული ადამიანები გამოსცემდნენ იმ სულიერ ენერგიას, რომელიც აძლებინებდა ერს მტერთან ფიზიკურ ბრძოლაში. ისინი იყვნენ „ხორციელად განწესებულთა ლაშქართა სიმტკიცენი და საჭურველნი“. – რომელთაც „დაუცხრომელი ბრძოლაჲ აქუნდათ“ ბოროტების წინააღმდეგ. ამიტომ იყო, რომ გრიგოლი „არავის უდებთაგანსა შეინყნარებდა“ და „ურჩთა სიმართლისათა სრულიად განასხმიდა“; მაგრამ იგი სჯიდა არა სამაგიეროს გადახდის მიზნით, არამედ მისთვის მთავარი იყო ცოდვილის ჭეშმარიტების გზაზე დაყენება. რამდენადაც მკაცრი იყო „უდაბნოს ვარსკვლავი“, იმდენადვე შემწყნარებლობით გამოირჩეოდა. ერთი ოპიზელი ბერი იგონებდა: „სიჭაბუკესა ჩემსა სამ გზის ოპიზით განძებულ ვიქმენ მამისა გრიგოლისაგან უკეთურებისაგან სლვათა ჩემთაჲსა“. უკეთურებას ვერავის ჰპატიობდა, მაგრამ მონანიების შემთხვევაში მზად იყო, შეენდო და საკუთარ თავზე აეღო ბერის, მეფის თუ სიძვის დიაცის ცოდვები. მან არ დაინდო ქვეყნის მტერი, მაგრამ „წყალობით ჯუარი დასწერა და განკურნა“ თავისი მოკვლის მოსურნე.

გრიგოლის მიერ დამყარებულ დისციპლინას დიდი საზოგადო მნიშვნელობაც ჰქონდა. იმ პერიოდში, როგორც ითქვა, ეკლესიას წამყვანი როლი ენიჭებოდა ქვეყნის ცხოვრებაში და ბევრი რამ იყო დამოკიდებული ღვთისმსახურთა ზნეობრივ სიწმიდეზე. მონასტერში არსებული მკაცრი წესები თავისთავად განასხამდა იქიდან ხორცის გალაღების მოსურნეთ, რომელთა უმთავრესი საზრუნავიც პირადი კეთილდღეობა იყო. გრიგოლის გარდაცვალებიდან უკვე 90 წლის შემდეგ გიორგი მერჩულე სინანულით შენიშნავს: „ხოლო აწ წესთა მათგანი სულიერთაჲ მცირედი რაჲმე გჳპყრიეს, ვითარმცა ზღვისაგან წუეთი ერთი წყალი ვინმე აღმოიღო“. სხვასთან ერთად ამ თანდათანობითი ზნეობრივი კომპრომისის შედეგიც არის ის მძიმე სურათი, რომელსაც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აგვიწერს: „რამეთუ წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქვაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს და უღირსთა და უწესოთა მამულობით უფროს, ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსნი, ვითარცა ავაზაკთა, და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს, რომელნი ნაცვლად სჯულთა საღმრთოთა, უსჯულოებასა აწვრთიდეს მათ ქვეშეთა ყოველთა. და თვით სახლით უფლისათ და მღვდელთა-

გან გამოვიდოდა ყოველი უსჯულოება და ცოდვა, რომელთა თვალი ღმრთისა ხედვიდა ყოველთა და განრისხებულ იყო“.

გრიგოლი, რასაკვირველია, ხედავდა, რომ ხორციელი საცდური სამონასტრო ცხოვრების მტერი იყო. წმიდა ბერის მიერ დასახული მიზნისკენ სვლა შეიძლებოდა მხოლოდ ყურადღებისა და ენერგიის უკიდურესი დაძაბვით. ასე რომ, ბერების ასკეტური ცხოვრების წესი დიდი აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. პირადულ ფიქრთა და ვნებათა მსხვერპლად გაღება ღმერთისა და ქვეყნის სადიდებლად მიიჩნეოდა ადამიანის უმნიშვნელოვანეს ღვაწლად და ამის მაგალითად არის მოტანილი თხზულებაში გრიგოლის მონაფის, დიდი ზენონის, ბერად აღკვეცის ამბავი, რომელიც „...მიწევნულ იყო სათნოებათა მოძღვრისა თჳსისათა, რომლისათჳსცა იტყოდეს კაცნი შემდგომად ნეტარისა გრიგოლის გარდაცვალებისა, ვითარმედ: „ზენონ არს ზღუდე მტკიცე კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთაჲ“.

ადამიანის ღირსება

ზენონი ახალგაზრდობაში დიდი გამოცდის პირისპირ დააყენა ღმერთმა. სიყრმიდანვე ღვთისმსახურებაში აღზრდილს „სწადდა მონაზონებაჲ აღთქუმისაებრ მმარხველთაჲსა“. მშობლების გარდაცვალების შემდეგ მან გადაწყვიტა კიდეც, „რაჲთამცა მამული და დედული მონაგები დასა თჳსსა დაუტევა ნებისაებრ მისისა და თჳთმცა იქმნა მონაზონ უცხოებასა შინა. და ვითარ ამას განიზრახვიდა ზენონ, დაჲ იგი მისი ეშმაკისა განმარჯუებითა შეაცთუნა ვინმე უკეთურმან კაცმან და ღამე ყოველ წარვიდეს შავშეთს“. წარჩინებული ოჯახის შვილს შეურაცხყოფის სისხლით ჩამორეცხვა ჰმართებდა და საომრად აღჭურვილი ზენონი დაედევნა მტერს, მაგრამ „ვითარ დიდი ქუეყანაჲ ვლო, თქვა გულსა თჳსსა, ვითარმედ: „ვარ მე ჭაბუკ სახელოვან და რომელსა ვსდევ, ფრიად შეურაცხ არს, დაღაცათუ ვეწიო და მოვკლა, საბრხე არს სულისა ჩემისაჲ და უკუეთუ ცუდად უკუნვიქცე სახედ ჩემდა, სირცხვილ არს ჩემდა, არამედ აღთქუმაჲ მონაზონებისაჲ აწ აღუსრულო უფალსა“.

ზენონმა სძლია თავის თავში აღზევებულ პატივმოყვარეობასა და მედიდურობას, გაიხადა აბჯარი და ბერის ჩოხით შეიმოსა. სასულიერო იდეალებს ანაცვალა მან საერო ზრახვანი, შურისძიების გრძნობაზე ამაღლდა, ადამიანთა სიყვარულით განისმჭვალა და მათ სამსახურს მიეცა. გიორგი მერჩულე ამგვარ საქციელს სახავს პიროვნული ხსნის ერთადერთ ჭეშმარიტ გზად: „და ახოვან იქმნე ნეტარი ესე, რამეთუ მონაგებთა დატევებაჲ სისხლთა დათხევასა ემსგავსების“. მონასტერი სულის ამაღლებულ პიროვნებათა სამყოფელი იყო, რომელთათვისაც ამქვეყნიურ სიამეთაგან თავის მოზღუდვა შინაგანი აუცილებლობით იყო გაპირობებული: მონასტერში არსებულ მკაცრ წესს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ჰქონდა; თვით გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება იყო დასახული იმის მაგალითად, თუ რაოდენ მცირედი ჰყოფნის სხეულს.

გარდა სხვა პიროვნული ღირსებისა, გრიგოლ ხანძთელი გაცისკროვნებული ყოფილა იმ ღვთაებრივი შუქით, რაც თავიდანვე დიდი მოწიწებით განაწყობდა მისდამი ყველას. ნიშანდობლივია მისი პირველი შეხვედრა ხუედიოსთან: ხანძთაში მარტოდ დაყუდებულმა ბერმა, რომელსაც მთელი ცხოვრება ღვთის სამსახურში ჰქონდა გატარებული, იმთავითვე შეიცნო ახალგაზრდა კაცში დიდი მოღვაწე და ამ ადგილების ამაღორძინებელი. მანამდე მან იხილა ჩვენება: „და ესმა ხმაჲ ნეტარსა მას ბერსა, ვითარმედ, აღეშენოს წმიდაჲ ეკლესიაჲ ადგილსა ამას ხელითა გრიგოლ მღვდლისა, კაცისა ღმრთისაჲთა, და სულნელებაჲ ლოცვათა მისთაჲ და მოწაფეთა მისთაჲ, ვითარცა კეთილი საკუმეველი აღიწეოდის წინაშე ღმრთისა“.

სულიერი წინამძღოლობა

თავის მხრივ, გრიგოლსაც აუწყა ღმერთმა „ბერისა მის ღირსებაჲ და ადგილისა მის მიგებად მისა“. ამ ორმა წმიდა ადამიანმა „იხილა ერთმანეთი, გაინიხარეს ფრიად და ყვეს ლოცვაჲ“.

მათ არ აბრკოლებთ უცხოობა, ვინაიდან ყოფითის მიღმა ჭეშმარიტის დანახვის უნარი და ძალა შესწევთ. ისინი უმაღლეს სულიერებას არიან მიღწეულნი, სული კი, ვითარცა მარადიული არსი, მაშინვე ცნობს თავის მსგავსს. ამის გამოა, რომ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში გმირებს არ სჭირდებათ დრო ერთმანეთთან დასაახლოებლად (ასევე სულისგან სულის ცნობად ჩანს „ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილისა და ტარიელის პირველი შეხვედრა: „მათ აკოცეს ერთმანეთსა, უცხოობით არ დარიდეს“; ძველი ბერძნებიც ამასვე ამბობდნენ: „მსგავსი მსგავსს შეიმეცნებსო“).

ხუედიოსს ეუწყა ღვთისაგან, რომ ხანძთას მოევლინებოდა მოღვაწე, ვინც წარმოაჩენდა ამ ადგილის გარკვეულ დრომდე დაფარულ მადლს. მარტო დაყუდებული ბერისათვის დიდი სულიერი მნიშვნელობა ჰქონდა გრიგოლის მოსვლას, რაც იმისი დასტური იყო, რომ ხუედიოსის ლოცვა ისმინა უფალმა. იგი წინამორბედია გრიგოლ ხანძთელისა და შემთხვევითი არ არის, რომ მათი შეხვედრა იოანე ნათლისმცემელთან იესო ქორისტეს მისვლის ანალოგიით გაიაზრება. გავიხსენოთ, რა წერია მათეს სახარებაში: „მაშინ მოვიდა იესო გალილეაჲთ იორდანედ იოანესა ნათლისღებად მისგან, ხოლო იოანე აყენებდა მას და ეტყოდა: მე მიხმს შენ მიერ ნათლის-ღებაჲ, და შენ ჩემდა მოხუალ?“ (მათე 3. 3-14).

ასეთივე მოწიწებით შეხვდა ხუედიოსი გრიგოლს: „დაღაცათუ დღითა უმრწმეს ხარ, საქმითა კულა უხუცეს ხარ ჩემსა, რამეთუ შენ იყო მწყემსი კეთილი მრავალთა პირმეტყველთა საცხოვართა ქრისტეთაჲ და სულისა ჩემისა საუკუნოდ გჳრგჳნი და სასოჲ“.

ხანძთაში ხუედიოსის მიერ დანთებული სანთლის შუქს არ შეეძლო ჭეშმარიტი გზის გაცხადება. იოანე ნათლისმცემლის მსგავსად, მან განამზადა მხსნელი გზა. იგი განასახიერებდა მოლოდინს.

მხოლოდ წმიდა გიორგის მოსვლით მოეფინა კლარჯეთს ქრისტეს ნათელი და შესაძლებელი გახდა „უდაბნოთა ქალაქყოფა“ (ამ ფრაზის სიმბოლურ მნიშვნელობაზე ქვემოთ გავაგრძელებთ საუბარს).


გიორგი მერჩულე არაერთგზის შენიშნავს, გრიგოლის სიტყვას არავინ ეურჩებოდაო. რა უნდა ყოფილიყო მიზეზი, რომ ყოველივე მატერიალურისაგან განძარცული ბერის ნებას კანონად მიიჩნევდა ხელმწიფეც და უბრალო მონაზონიც. მასთან ურთიერთობისას თითქოს სცილდებოდათ პატივმოყვარეობისა და ქედმაღლობის საბურველი და მის წინაშე ვითარცა განკითხვის ჟამს უმაღლესი მსაჯულის წინაშე „ქართაგან ძლიერთა“ შეჭირვებული ერი მას აღიქვამდა „ზეცისა კაცად და ქვეყნის ანგელოზად“, ღვთის ნების მცნობლად და აღმასრულებლად, უდაბნოში მოვლენილ იმ ვარსკვლავად, რომელიც თავის დროზე ქრისტეს შობის მაუწყებლად გამოჩნდა ცაზე. გრიგოლი მიჩნეული იყო ტაო-კლარჯეთის ქართველთა სამეფოს ისეთ მამამთავრად, რომელიც მთელი საქართველოს მომავალს ამზადებდა და ვერავის ხელეწიფებოდა მაშინ ამგვარ მამამთავრად ყოფნა, ვერც კურაპალატს, ვერც დასავლეთ საქართველოს, ამიტომაც გრიგოლ ხანძთელი ყოველ მათგანზე ამაღლებულადაა წარმოდგენილი.

აფხაზეთის მეფე დემეტრე და აშოტ კურაპალატი დარწმუნებულნი იყვნენ გრიგოლის გადაწყვეტილებათა სისწორეში, გრძნობდნენ ხანძთელი ბერის მისიის განსაკუთრებულობას, და, მიუხედავად იმისა, რომ ეს მათ ნებას ზოგჯერ ეწინააღმდეგებოდა, მაინც ემორჩილებოდნენ მას.


მონასტრის ასაშენებლად გაპარული ძმების საძებნელად მისულ გრიგოლს დემეტრე მეფე „წინა მოეგება და სიმდაბლით მოიკითხა, რამეთუ ზარი აჰხდა მადლთაგან სიწმიდეთა მისთაჲსა და დიდებულებისაგან პირისა მისისა. რამეთუ ვითარცა პირი მოსე წინაჲსწარმეტყუელისაჲ იყო დიდებულ, აჰის ნეტარისაცა ხატი მადლითა ღმრთისაჲთა“. იგი იძულებული გახდა გაემხილა, რომ ბერები მასთან იმყოფებოდნენ და „უბრძანა მოყვანებაჲ ძმათაჲ მათ“. ვერც თევდორემ და ქრისტეფორემ გაუბედეს ურჩობა „და ვითარ იხილეს მამაჲ გრიგოლ, შეუვრდეს ცრემლით“. არადა, ორივენი საბა იშხნელთან ერთად გრიგოლის უახლოესი მეგობრები იყვნენ. მათ ერთად გადაწყვიტეს კლარჯეთში წასვლა და სამონასტრო მოღვაწეობის დაწყება; „ესე ოთხნი შეანაწევრნა სარწმუნოებამან და საღმრთომან სიყუარულმან შეამტკიცნა ერთზრახვად შეკრებულნი, ვითარცა სული ერთი ოთხთა გვამთა შინა დამტკიცებული“. გაპარულთა განზრახვა წრფელი იყო. საღმრთო შურით (რასაც მიწიერ შურთან საერთო არაფერი აქვს) ანთებულებს მონასტრის აშენება სურდათ. ორივეს დიდი გამოცდილება ჰქონდა ამ საქმეში და თუ მხოლოდ ყოფით პლანში შევხედავთ ამ ფაქტს, შეიძლება, გაკვირვებაც კი გამოიწვიოს მათმა მონანიებამ. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ გრიგოლი ზიარებული იყო მათთვის დაფარულ ღვთიურ ჭეშმარიტებას. ამ რწმენის გამო სამწყსო მოძღვარს მაშინაც კი ემორჩილებოდა, როდესაც საკუთარი სიტყვა თუ საქმე შეუმცდარი ეგონა.

აფხაზეთიდან დაბრუნებულმა გრიგოლმა მონასტერში მცირეწლოვანი არსენი და ეფრემი მოიყვანა, რაც მის მიერვე შემოღებული წესის დარღვევა იყო. კანონის ერთგულმა ბერებმა არ დამალეს აღშფოთება: „საქმენი

შენნი განუკითხვუელ არიან ყოველნი თჳნიერ ამისსა, რომელ ყრმანი ესე მოიყვანენ, და წესსა შენგან დამტკიცებულსა შენ ზევე გამოეხუების მომავალთა ჟამთა საკდემლათ ჩუენდა. დაღაცათუ უშიშ არს გული ჩუენი ჟამისა ამისთჳს, არამედ გარეშე წესისა არს საქმე ესე. და აწ ესე არს სიტყუაჲ ჩუენი, წმიდაო ღმრთისაო“.



იშხანი



ბარელიეფი – იშხანი

მოძღვრის
ნდობა

ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილია ნაწარმოებში და არა მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით: აქ ცხადდება პრინციპი, რომ ჭეშმარიტ მოძღვარს შეუძლია პირდაპირ, ლოგიკური მსჯელობის გარეშე აზიაროს მოწაფე ჭეშმარიტებას, მაგრამ ამისათვის აუცილებელია, მოწაფეს ჰქონდეს მასწავლებლის აბსოლუტური რწმენა. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოძღვრის პიროვნებას, მის სულიერ სიმაღლეს. ეს არ გამორიცხავს ლოგიკური გზით ცოდნის მიღების შესაძლებლობას, მაგრამ უმთავრესი, დაფარული ჭეშმარიტების შეცნობა მხოლოდ რწმენით შეიძლება. ფორმალურად, ყრმათა მონასტერში ყოფნა არ შეიძლებოდა, ბერებმა ეს იცოდნენ და თავიანთი პროტესტით წესის დაცვას ცდილობდნენ, მაგრამ სწორედ ეს ფორმალური სიმართლე ხელს უშლიდა მათ, დაენახათ მის მიღმა მთავარი – მოვლენის არსი. გრიგოლმა გაიხარა ბერების გულმოდგინებით, ვინაიდან იცოდა, მათ „კეთილი იგი გულის სიტყუაჲ" ამოძრავებდათ. თუმცა, იმასაც ხედავდა, რომ მათ არ ჰყოფნიდათ სულიერი სიმაღლე ღვთის ნების შესამეცნებლად და მხოლოდ მიწიერ სინამდვილეს ამჩნევდნენ. იგი არ შეეკამათა მოწაფეებს, დაეთანხმა წესის დაცვის აუცილებლობაში და საუკუნო სასჯელით დაემუქრა მისი დარღვევის მოსურნეთ; მაგრამ, ამავე დროს, მოუხმო მათ რწმენას და აუხსნა ბერებს: არსენისა და ეფრემის მონასტერში აღზრდა ღვთის ნებაა, რაც ანგელოზმა მაუწყა, ხოლო თქვენ ბედნიერნი უნდა იყოთ, რადგან უფალმა ღირსი გაგხადათ და თავის ნების აღმსრულებლებად დაგსახათ.

გრიგოლმა მოუწოდა მათ, ღვთის ნება მიეჩნიათ უმაღლეს კანონად, რათა ადამიანის მიერ შექმნილი წესი დაბრკოლებად არ შექმნოდა უფლის სურვილს. ბერებმა ირწმუნეს მოძღვრის სიტყვა და „ჰმადლობდეს ქრისტესა მოქმედსა საკვირველებათასა".

გრიგოლის წინასწარმეტყველება, როგორც ყოველთვის, ამჟამადაც სწორი აღმოჩნდა: არსენი და ეფრემი დიდი საეკლესიო მოღვაწეები დადგნენ, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ქართული ეკლესიის პოზიციების განმტკიცებაში. არსენის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ, ეფრემზე კი უნდა ითქვას, რომ მან მოიპოვა მირონის ქართლში კურთხევის უფლება (გიორგი მერჩულეს ცნობით, მირონი მანამდე იერუსალიმიდან შემოჰქონდათ ქართველებს), რაც საქართველოში დაწყებული ეროვნული მოძრაობის მორიგი გამარჯვება იყო. ამით ეროვნული ეკლესიის დამოუკიდებლობა განმტკიცდა და, ამავე დროს, ეს ყველა ქართულ საეპისკოპოსოს განუყრელად აკავშირებდა მცხეთასთან.

გრიგოლის პიროვნების სიდიადე მრავალმხრივ წარმოჩინდა ჯავახეთის კრებაზე, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ, ხოლო ახლა სხვა კუთხით უნდა შევეხოთ. ჯავახეთს მიმავალ გრიგოლს, ვითარცა ჭეშმარიტ მოძღვარს, არსენის კათოლიკოსობასთან ერთად აფიქრებდა (და იქნებ უფრო მეტადაც) ეფრემთან შეხვედრა. არსენის უფლებათა დაცვა ორგანიზაციული საკითხი იყო, რომლის მოგვარებაც გონების გამჭრიახობაზე იყო დამოკიდებული, ხოლო სულიერ შვილთან ურთიერთობა მრწამსს უკავშირდებოდა. ხანძთის

მონასტერში აღზრდილი ყრმა, ახლა უკვე მაწყვერელი ეპისკოპოსი, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ჩანს, სწორედ იგი ჩაუდგა სათავეში არსენის მოწინააღმდეგეთა ჯგუფს, რითაც ფაქტობრივად დაუპირისპირდა საკუთარ მოძღვარს. ისევე როგორც ზემოაღწერილ შემთხვევაში, გრიგოლს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ეფრემი წრფელი გულით მოქმედებდა და ხანძთელთათვის ჩვეული უკომპრომისობით შეეცდებოდა სიმართლის დაცვას. ეფრემიც დიდი მღელვარებით ელოდებოდა თავის მასწავლებელს და ზნეობრივ იდეალს, რადგან კარგად იცნობდა დიდ ხანძთელს და, რასაკვირველია, ვერ წარმოედგინა იგი უსამართლობის მომხრედ; მეორე მხრივ, ფაქტები თითქოს ეჭვის საფუძველს არ ტოვებდნენ, რომ არსენი აშკარად ძალადობით გახდა კათოლიკოსი. გრიგოლის მოსვლისთანავე მიეახლა ეფრემი და მოიკითხა იგი. „ხოლო ნეტარმან გრიგოლ ფარულად მოუწოდა ნეტარსა მას ეფრემს“, – მოძღვარი და მოწაფე ცალკე გავიდნენ სასაუბროდ. გრიგოლმა სთხოვა მას, ეცნო არსენი კათოლიკოსად. ეფრემმა უარი განაცხადა და შენდობა ითხოვა კადნიერებისათვის; მაწყვერელი ეპისკოპოსი ისე იქცეოდა, როგორც ხანძთის მონასტერში აღზრდილს ეკადრებოდა. ამგვარი უკომპრომისობა წმ. მამისთვის არ უნდა ყოფილიყო უცხო. მაგრამ, ამავე დროს, იგი ხედავდა, რომ არსენის წინააღმდეგ გამოსვლით ეფრემი უფლის ნებას გადადიოდა, რითაც საფრთხეს უქმნიდა საკუთარ სულს და საერთო საქმეს. ამის ლოგიკური მსჯელობით ახსნა გრიგოლს არ შეეძლო, არსენი მართლაც წესის დარღვევით აკურთხეს კათოლიკოსად. ეფრემს ჭეშმარიტების გზაზე მხოლოდ რწმენა და მოძღვრისადმი ნდობა თუ დააბრუნებდა.

მთელ ნაწარმოებში გრიგოლი სწორედ აქ ჩანს ყველაზე მეტად აღელვებული და, მართლაც, ეს იქნებ უმძიმესი წუთები იყო მის ცხოვრებაში. „მაშინ წმიდამან მან მკსინვარედ ჰრქუა: უკუეთუ ამას იქმ, მე უარ მყავ, ვითარ არა შენი მოძღუარი ვარ“. ამის წარმოთქმა მხოლოდ დიდი შინაგანი ძალით დაჯილდოებულ ადამიანს შეუძლია, იმავდროულად წამიერი სისუსტის გამოვლენაცაა. ეს სიტყვები არ არის განაწყენებული კაცის რეაქცია. გრიგოლის განცდა და ფიქრი ბევრად უფრო ღრმაა. იგი მოწაფისაგან უკიდეგანო, სრულ ნდობას ითხოვს. გრიგოლმა იცოდა, რომ ჰქონდა უფლება, მოეთხოვა ეფრემისაგან, ენდე ჩემს სიტყვას და არა იმას, რასაც ხედავო. ხანძთელი ბერი ამით უზარმაზარ პასუხისმგებლობას კისრულობს, მაგრამ ღვთისა და ერის წინაშე ვალდებულად მიიჩნევს თავს, ასე მოიქცეს. არ შეიძლება, მოძღვარსა და მოწაფეს შორის ეჭვი სუფევდეს. მაშინ მათ სულებს შორის გაწყდება ის ძაფი, რის გარეშეც ისინი უცხონი აღმოჩნდებიან ერთმანეთისათვის. გონების ასპარეზი შემოსაზღვრულია მატერიალური გარსით, ეფრემის სულმა უნდა შეიმეცნოს, რომ გრიგოლი ღვთის ნებას აღასრულებს და ამ გზით ეზიაროს ჭეშმარიტებას (გავიხსენოთ: „სულითა ხოლო საცნაურ არს!“).

გიორგი მერჩულესთვის გრიგოლ ხანძთელი იდეალური მოძღვარია, რომელიც მოწაფეს რწმენით აზიარებს იმ ჭეშმარიტებას, რაც მოჩვენებითი სინამდვილის მიღმა დგას. „ხოლო ნეტარი ეფრემ სიტყუასა მას ზედა სულიერისა მამისა და მოძღუარისასა სტირდა და ჰრქუა: „ფიცხელ არს ბრძანებაჲ ესე, განმკუეთელ უფროჲს მახუილისა. აწ ნებაჲ შენი იყავ და ნუ ნებაჲ ჩემი. წმიდაო ღმრთისაო“. ეფრემი ეზიარა მოძღვრის სიმართლეს, მოინანია და ამით

სულიერად ამაღლდა. მისთვის გრიგოლი ჭეშმარიტების დასაბამია, ცხოვრების წყაროსკენ მიმავალი ამქვეყნიური გზაა და, ამდენად, ყველაზე ძვირფასია. „უდაბნოს ვარსკვლავმა" უპირველეს საზრუნავად მოწაფის სულიერი სიმრთელე მიიჩნია და დაიფარა იგი მიწიერ ვნებათაგან, რადგან გულისთქმას აყოლილი კაცისათვის უფლისკენ მიმავალი გზა დახშულია. ადამიანურმა წყენამ იძალა ეფრემში, თორემ მან კარგად იცოდა, რომ არსენი ნამდვილად იყო კათოლიკოსობის ღირსი; მოძღვარმა კიდევ ერთხელ დაბეჯითებით შეახსენა მოწაფეს ეს, სთხოვა ამაღლებულიყო მიწიერ ზრახვაზე და საკუთარი „ღმრთისმხილველი" სულისთვის მიეგდო ყური: „და შენ უწყი სულითა შენითა ღმრთისმხილველითა, ვითარ ღმერთსა ებრძანა კათალიკოზობაჲ არსენისი სისრულისა მისისათჳს, არამედ მირეან, მამამან მისმან, აუგიან ყო უჟამოდ შესწრაფებითა, ვითარცა ადამ ჭამა ხილი იგი, რომელ არღა მწიფე იყო. აწ შენ კეთილად ჰყავ სმენაჲ ჩემი, რამეთუ გულის-წყრომამან კაცისამან სიმართლე ღმრთისაჲ არა ქმნის. ხოლო ბრალი ესე არსენისი ჩემ ზედა იყავნ".

ქართულ ლიტერატურაში პირველად გიორგი მერჩულემ ასახა მოძღვრისა და მოწაფის ურთიერთობა და მის უპირველეს საფუძვლად რწმენა და ურთიერთნდობა დასახა. მოძღვრად შეიძლება იწოდებოდეს უმაღლესი სულიერი ღირსებების მქონე ადამიანი. ეს აუცილებელი პირობაა, რადგან მხოლოდ მისი ზნეობრივი სისპეტაკისა და სრულქმნილების უსაზღვრო რწმენამ შეიძლება აზიაროს მოწაფე ჭეშმარიტებას, რომლის წვდომაც ოდენ გონებრივი ძალისხმევით შეუძლებელია. გიორგი მერჩულესათვის მოძღვარი უპირველესად ღვთიური მადლის გარდმომფენია და არა უბრალოდ მიწიერი ცოდნის მომნიჭებელი.

ჯავახეთის კრებასთან დაკავშირებულ მოვლენათა აღწერიდან ჩანს, თუ რა შეუვალი ავტორიტეტით სარგებლობდა გრიგოლი: ეპისკოპოსები დაობდნენ, მაგრამ გადაწყვეტილებას ვერ იღებდნენ. არსენის მომხრენიც და მოწინააღმდეგენიც ხანძთელი ბერის მოსვლას ელოდნენ. ერუშნელ ეპისკოპოსს კიდევაც განუცხადებია: „ოდეს მოვიდეს ვარსკულავი უდაბნოჲთა, მაშინ განიმართოს საქმე და განზრახვაჲ ყოველთაჲ". იქ მყოფთ იკითხეს: „ვისთჳს არს სიტყუაჲ ეგე დამტკიცებითი?" მან უპასუხა: „გრიგოლ არქიმანდრიტისათვის, ხანძთისა და შატბერდისა მაშენებელისა".

როგორც ჩანს, ყველას არ ახარებდა გრიგოლის ასეთი აღიარება: „მაშინ ერთმან ეპისკოპოსმან სილაღით თქუა შორის შეკრებულთა მათ: „იგი ოდენ არსა ვარსკულავი მნათობი?". ეს როყიო სიტყვები სხვათა აყოლიებასაც ისახავდა მიზნად, მაგრამ სიტყვასწრაფი მღვდელმთავრის ირონია არავინ შეიმჩნია. პირიქით, ყველა დაემოწმა ერუშნელ ეპისკოპოსს: „ჭეშმარიტსა იტყუის, რამეთუ იგი არს მოძღურებისა ნათელითა განმანათლებელ და შემკულ სულითა წმიდითა".

თვით კრებაზეც, როდესაც გუარამ მამფალმა არსენის წინააღმდეგ გაილაშქრა, „აუგისა სიტყუანი განამრავლნა, და ელოდა პასუხსა მათგან", ვერვინ იკადრა სიტყვის თქმა: „ხოლო თუალი ყოველთანი ხედვიდეს მამასა გრიგოლსა და ეპისკოპოსსა ეფრემს". თვით ეფრემმა კი კრებას მოახსენა: „საცა მამაჲ გრიგოლ იყოს, მე მუნ არა ვიკადრებ სიტყუად".

გრიგოლ ხანძთელის სახელის გვერდით ნაწარმოებში ხშირად გვხვდება უდაბნო. იგია „უდაბნოთა ქალაქმყოფელი“ და „ვარსკულავი უდაბნოთაჲ“. გიორგი მერჩულე მას ადარებს ბიბლიურ წინასწარმეტყველებს: მოსეს და სამოელს. აქ საქმე გვაქვს არა ეპითეტებთან, არამედ სიმბოლოებთან. ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება არა მოვლენის გარეგნულ მხარეს, არამედ მის დაფარულ შინაარსს. ამის გაუთვალისწინებლობამ შეიძლება არასწორ დასკვნამდე მიგვიყვანოს. ძველ ქართულ ლიტერატურაში მრავალგვარია „უდაბნოს“ მნიშვნელობა. კლარჯეთის „უდაბნოობა“ არ გახლავთ ამ მხარის მხოლოდ ფიზიკური დახასიათება. იგი უპირველესად მოვლენის სულიერ თვისებას წარმოგვიჩენს.

ქრისტიანული სიმბოლოები

ბიბლიის მიხედვით, უდაბნო ის ადგილია, რომელსაც ჯერ ღვთის მადლი არ სცხებია და ამიტომ აქ ბოროტი ძალები თავისუფლად დათარეშობენ. ღმერთმა ქაოსიდან შექმნა კოსმოსი. ყოველგვარი უწესრიგობის წესრიგად ქცევა ღვთიური აქტია და უდაბნო, ვითარცა უწესრიგობა, მოლოდინია ღვთისა. ამასთან, უდაბნო, სულიერი ძიების ადგილია. უდაბნოში მოხვედრილთა უმთავრესი საზრუნავი იქიდან თავის დასაღწევი გზის ძიებაა. იგი გამოცდის, სულიერად ამაღლების, განწმენდისა და ახლის შობის ადგილიცაა. უდაბნოში გაიყვანა მოსემ ებრაელი ერი და იქ იშვა ის თაობა, რომელმაც თავისუფლება მოიპოვა. უდაბნოში ორმოცი დღის მარხვის შემდეგ გამოიცადა ეშმაკისაგან ქრისტე. ამიტომ უდაბნოში გასვლა დიდი გზის დასაწყისის მომასწავებელიცაა. ამ გზის ძიება ფაქტობრივად საკუთარი სულის ლაბირინთების კვლევაა, რაც ღვთის შეცნობაა, ვინაიდან სულით ემსგავსება ადამიანი ღმერთს.

გრიგოლი არის „უდაბნოთა ქალაქმყოფელი“. ეს უმთავრესი ღვაწლია ხანძთელი ბერისა, მაგრამ „ქალაქი“ დღევანდელი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. საერთოდაც, ეს ტერმინი უშუალოდ აღმშნებელობით საქმიანობას არ უკავშირდება. „ქალაქი“ წესრიგის აღმნიშვნელი ცნებაა. იგი უპირისპირდება უდაბნოს, ქაოსს, „უდაბნოს ქალაქ-ყოფა“ უდაბნოში წესრიგის შეტანა – მისი კოსმოსად ქცევაა.

როდესაც გიორგი მერჩულე მოღვაწე ბერებს მარტვილთა გვერდით და უფრო წინაც კი აყენებს, იგი არ გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ „მარტვილნი ერთსა ხოლო შინა ჟამსა იწამნეს, ხოლო ესე ყოველსა ჟამსა იწამებოდეს სახელისათჳს ქრისტჱსისა“. წმიდანობის უპირველესი ნიშანი ღვთის მსგავსებაა. ქრისტიანებს სწამთ: ღმერთის ორი უმთავრესი თვისებაა შემოქმედება (ქაოსის კოსმოსად გადაქცევა) და ჯვარცმა (ადამიანის ცოდვების გამოსყიდვა). მარტვილი იმეორებს ჯვარცმული უფლის გზას, მოღვაწე კი – „ქალაქმყოფლობით“ – უდაბნოში წესრიგის შეტანით ემსგავსება უფალს. დაფარულ

სიწმიდეთა გამოვლინება, ეკლესია-მონასტრების მშენებლობა და წირვა-ლოცვის დამკვიდრება უდაბნოს სულიერი აღორძინების საწინდარი ხდება.

არაბთაგან დევნილი ქართველები ტაო-კლარჯეთს აფარებდნენ თავს. ამ დროს დაიწყო მნიშვნელოვანი მიგრაციული პროცესები. ეს საკითხის ისტორიული მხარეა. მაგრამ სულიერი გააზრებით ქართველები კლარჯეთის უდაბნოში არიან გასულნი. მათ სჭირდებათ ბიბლიური მოსეს მსგავსი მწყემსი და წინამძღვარი. სწორედ გრიგოლ ხანძთელს დაეკისრა ეს მისია. ამგვარად იკვეთება კავშირი მოსე წინასწარმეტყველისა და გრიგოლ ხანძთელის სახეებს შორის.

ეგვიპტელთაგან ჩაგრული ებრაელი ერი – მოსე – უდაბნო – აღთქმული მიწა;

არაბთაგან ჩაგრული ქართველი ერი – წმ. გრიგოლი –კლარჯეთის უდაბნო – ერთიანი საქართველო.

ასეთ ანალოგიებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქრისტიანულ აზროვნებაში და მასში მომავლის წინასწარმეტყველებას ხედავდნენ, რადგან ერთხელ მომხდარი ბიბლიური ამბავი სიმბოლურად მრავალჯერადად მიაჩნდათ. ადამიანთა არსებობის მარადიულ მოდელად წარმოედგინათ ბიბლიური პერსონაჟების ცხოვრება, მათი ბედი მუდმივად მეორდება კაცობრიობის, ერის, კონკრეტული პიროვნების ბედში – აი, საფუძველთა საფუძველი სამყაროს ქრისტიანული ხედვისა. ბიბლიურ პერსონაჟთა პარალელით განისაზღვრებოდა წმიდანის ადგილი ერის ცხოვრებაში. გიორგი მერჩულეს თხზულების სახისმეტყველებაში გრიგოლი ქართველების მოსეა, იგი მიუძღვის ერს უდაბნოში: ეს იყო გზა სულიერი ამაღლებისა და განმტკიცებისა. კლარჯეთის უდაბნოში უნდა იშვას ძლევამოსილი თაობა, თავისუფალი მონური მსოფლმხედველობისგან (არ დავივიწყოთ, რომ მოსემ ეგვიპტიდან წამოყვანილი ებრაელობა ორმოც წელიწადს ატარა უდაბნოში, რათა აღთქმულ მიწაზე თავისუფლებაში და თავისუფლებისათვის შობილი თაობა მიეყვანა), რომელიც გააერთიანებს და „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვით“ ატარებს საქართველოს.

მოსეს და გრიგოლის სახეთა მსგავსება მნიშვნელოვნად ჩანდა იმითაც, რომ მოსეს შემდგომ ერის წინამძღოლი ხდება ისუ ნავე, რომელიც ერის ძლევემოსილებას განასახიერებს და ღვთის შეწევნით თავზარს სცემს მტერს. ამ გაგებით, გრიგოლის სახე თავისთავად გულისხმობდა დავით აღმაშენებლის, „მესიის მახვილის“ წინამორბედობას.

თავისებური დატვირთვა აქვს წმ. გრიგოლის სამოელ წინასწარმეტყველთან დაკავშირებას. ძველი აღთქმის „მეფეთა პირველ წიგნში“ მოთხრობილია, რომ სამოელს ეუწყა ღვთის ნება, ერისათვის მიეცა მეფე. ღვთის ბრძანებით მან მეფედ დავითი აკურთხა. მისგან დაიწყო ფაქტობრივად მეფობა დედამიწაზე. გრიგოლმა აშოტი დავითის შთამომავლად გამოაცხადა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ეკლესიამ ბაგრატიონთა მეფობა ღვთის ნების აღსრულებად მიიჩნია. ამავე დროს, მათ სამფლობელოდ ცხადდებოდა ყველა ის ადგილი, სადაც უფალს ქართულად აღევლინებოდა ლოცვა.

გრიგოლის უდაბნოში გასვლას ის დატვირთვაც აქვს, რომ იგი მანამდე უღვთოდ შთენილ მხარეს ასულიერებს, ღვთის წიაღში აბრუნებს და ამით

უფლის ნებას აღასრულებს: „არამედ აბრაჰამ ქუეყანისა მისგან ურწმუნოთა ნათესავთაჲსა განაშორა ღმერთმან, ხოლო ესე მორწმუნისა და კეთილად მსახურისა ქუეყანისაგან გამოიყვანა ამის მიზეზისათჳს, რაჲთა უქმთა მათ უდაბნოთა შინა გამობრწყინდეს სანთელი ესე დაუვსებელი, ბრწყინვალეჲ ზედა სასანთლესა, მას მაღალსა ზეთითა მათ განუპარველითა“ (ასე რომ, წმ. გრიგოლის სახე ებრაელთა მამამთავარსაც უკავშირდება).

ღვთიურობას მოკლებული ადგილი ბოროტების შესაყარია, ეშმაკეულის საბუდარია და ამიტომ სულიერი გადააზრებით მეუდაბნოება ბოროტების მიმართ აქტიურ ბრძოლას მოასწავებს და არა ცხოვრებისაგან განდგომას. „რამეთუ ვიდრე მოსლვამდე გრიგოლ მწყემსისა მის კეთილისა, მხეცთაგან უხილავთა ლტოლვილნი მცირედნი იგი ცხოვარნი ქრისტესნი განბნეულ იყვნენ თითოჲ ანუ თუ ორ-ორი სივრცესა მას უდაბნოთასა, ხოლო მოსლვასა წმიდისა გრიგოლისსა ცხოვარნი იგი განმხნდეს და მხეცნი იგი ეშმაკნი განიოტნეს და ყოველი წესი საღმრთოჲ განემართა“. თავისებური გაგებით, მეუდაბნოე ბერი იგივე ქრისტეს მხედარია, რომელიც თრგუნავს იმას, რაც ღვთიურ სიკეთეს განშორებია. ეშმაკეულ ძალებთან ბრძოლად წარმოუდგება გრიგოლის მოღვაწეობა მის სულიერ დას – ფებრონიას; ეს ბრძოლა ფიზიკურად არ ჩანს, იგი ადამიანის სულში მიმდინარეობს, რისი ხილული ხატიცაა წმიდა გიორგისაგან გველეშაპის განგმირვა. საგულსხმოა, რომ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიით დაიწყო გრიგოლმა სამონასტრო მშენებლობა და, როგორც ვნახეთ, სწორედ ძლევეამოსილ კაპადოკიელ მხედარს მიიჩნევდა იგი თავის წინამძღვრად და მფარველად.

„უდაბნოს“ სიმბოლური გააზრება, როგორც აღვნიშნეთ, ბიბლიიდან მომდინარეობს, ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ძველ ქართულ ლიტერატურაში ამა თუ იმ ფორმით იჩენდა ხოლმე თავს ეს თემა. „შუშანიკის წამებაში“ აღწერილი ბოროტი ადგილი, სადაც დაავადებული ხალხი ცხოვრობს, იმდროინდელი ქვემო ქართლის სულიერ მდგომარეობას გამოხატავს, რომელიც ეშმაკეულისაგან ითრგუნება. რწმენაშერყეული ხალხი სასოწარკვეთილებას მისცემია. ამ ვითარებაში წმიდა შუშანიკი უპირისპირდება უფლის მოწინააღმდეგე ძალას. გადასახლება უდაბნოში „ღვაწლსა დიდსა შესლვაა“, – რომელსაც თავისი ნებით ირჩევს დედოფალი. სწორედ ამ წყეული ადგილის გასულიერებაა მისი მიზანი, რომლის შუაგულშიც დგას ბოროტების შესაკრებელი – ციხე. მას ჩრდილოეთის მხარეს აქვს ერთი პატარა საკანი, რომელიც მთელ ქართლში ყველაზე ბოროტი ადგილია. სწორედ იქ შედის შუშანიკი და მისი ღვაწლის შედეგად ეს მხარე სულიერდება.

„ვეფხისტყაოსანში“ სულიერი უდაბნოს შუაგული და ბოროტების წყაროა ქაჯეთის ციხე. მისი აღებით გმირები ღვთის ნებას აღასრულებენ.

შუა საუკუნეების სარაინდო რომანებში დიდი ადგილი უკავია იმის აღწერას, თუ როგორ ჟლეტენ საშინელ მხეცებს უკაცრიელ ადგილებში გასული რაინდები. უდაბნო იქაც ქაოსია, საშინელი მხეცები და ვეშაპები კი – ეშმაური ძალები, რომელთა განადგურებითაც რაინდები უფლის სამწყსოდ აქცევენ იქაურობას.

წმ. გრიგოლის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი უნდა მიუძღოდეს ნერსე ერისთავს. მის შესახებ არსებული ცნობებით თუ ვიმსჯელებთ, შუა საუკუნეების ტიპური ფეოდალი წარმოგვიდგება, რომლის მსგავსიც ბევრი ყოფილა საქართველოში. ერთმანეთს ენაცვლება ერისმთავრობა, ტყვეობა უცხოობაში, გადახვეწა ხაზარეთში, შემდეგ აფხაზეთში გადმოსვლა და ქართლში დასაბრუნებლად ხელსაყრელი დროის მოლოდინი. მაგრამ ამ მშრალი ცნობების მიღმა უაღრესად საინტერესო და ბრძენი კაცი უნდა იდგეს, რომლის ფიქრის ძირითადი საგანიც სამშობლოა. მარტო ის რად ღირს, რომ ქართველების მიერ წმიდანად შერაცხული და სალოცავ ხატად ქცეული ორი უმნიშვნელოვანესი პიროვნების – წმ. აბო თბილელისა და წმ. გრიგოლ ხანძთელის გზა მის ოჯახზე გადის. წმ. აბომ აჩვენა ერს უზარმაზარი ზნეობრივი მაგალითი, – უარი თქვა ბოროტებასთან შეგუებაზე, წინ აღუდგა თავისივე ტომელებს, რომლებიც უსამართლობას სჩადიოდნენ და მათივე ცოდვების გამოსასყიდად დაათხია სისხლი. მისმა ღვაწლმა დიდი გავლენა მოახდინა ქართლის ცხოვრებაზე. საუკუნეების მანძილზე, სხვასთან ერთად, წმ. აბოც იყო წყარო იმ სულიერი ენერგიისა, რომელიც საჭირო იყო ურიცხვი განსაცდელის დასაძლევად. სავარაუდოა, რომ წმ. აბო და წმ. გრიგოლი ახლოს იცნობდნენ ერთმანეთს, მათ ბევრი რამ აკავშირებდათ ერთმანეთთან: საერთო წრე, ინტერესები, ღვთისმოყვარეობა. ნერსეს ოჯახში აირჩია ორივემ თავისი სავალი გზა.

გრიგოლ ხანძთელის აღმზრდელი

როდესაც წმიდა აბო აწამეს, გრიგოლ ხანძთელი ოცდაშვიდი წლისა უნდა ყოფილიყო. ამ დროს იგი უკვე კლარჯეთში იღვწოდა და წმიდა გიორგის სახელზე ტაძარს აგებდა. გრიგოლი იქ ჩავიდა 781 წელს, როდესაც ნერსე ხაზარეთში გადაიხვეწა. იგი თაყვანს სცემდა წმიდა მოწამეებს, მაგრამ მისი გზა არ იყო მოწამეობა. მარტვილი დიდ მუხტსა და სულიერ მღვიძარებას სძენს ეროვნულ მოძრაობას, მაგრამ მხოლოდ თავგანწირვის უნარი ქვეყანას ვერ იხსნის – საჭიროა ყოველდღიური მოწამეობრივი შრომა და თანამიმდევრობითი აგურ-აგურ შენება იავარქმნილი სამშობლოსი. გრიგოლმა სწორედ ეს გზა აირჩია. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ცხოვრების ამგვარი წესი არ გამორიცხავს მოწამეობრივ აღსასრულს, რასაც თუნდაც ილიას მკვლელობა ადასტურებს. გრიგოლს რომ პირადული ინტერესები დავიწყებული ჰქონდა, ეს მხოლოდ სასულიერო წოდებებზე უარის თქმით არ გამოიხატა. მას არასდროს უცდია მოვლენათა ხელოვნური დაჩქარება იმ მიზნით, რომ წამოწყებული საქმის შედეგს მოსწრებოდა. მისი ყოველი ნაბიჯი გამომდინარეობდა კონკრეტულ-ისტორიული აუცილებლობიდან და საბოლოო გამარჯვებისაკენ იყო მიმართული. იარაღით ხელში გადამწყვეტი ომი არაბების წინააღმდეგ, რომელთა უზარმაზარი იმპერიაც მსოფლიოს აზანზარებდა, წინასწარ-

ვე განწირული იყო წასაგებად. გრიგოლი კი ერის მომავალს საალალბედოდ ვერ გახდიდა; მას სწამდა, რომ მხოლოდ გონივრულად და არა თავგანწირვით მოქნეულ მახვილს ჰქონდა ძალა. გრიგოლ ხანძთელმა, ვის სახეშიც მთელი იმდროინდელი სამონასტრო მოძრაობის ხასიათი გამოსჭივივის, ფიზიკურად ძლიერ მტერს მაღალი სულიერება და მოწამეობრივი შრომა დაუპირისპირა. ეს იდეა იყო მისი მოღვაწეობის საფუძველთა საფუძველი. სხვა უამრავ სატკივართან ერთად, მაშინდელი საქართველო დიდად განიცდიდა ცოდნის ნაკლებობას. XI საუკუნის გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსისა და მთარგმნელის, ეფრემ მცირის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მაშინ ჩუენი ნათესავი ლიტონ იყო და ჩჩვილ". ეს აწუხებდა იოანე მთაწმიდელსაც, როცა შვილს არიგებდა: „შვილო ჩემო, ქართლისა ქვეყანა დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან, და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმადლებია შენდა. აწ იღვაწე, რათა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან".

ბიზანტიასთან შედარებით განათლების მხრივ ერთგვარი წარმოჩენა სერიოზულ პრობლემად იდგა იმდროინდელი საქართველოს წინაშე. თუ ქართველებს საკუთარი ეროვნული სახის შენარჩუნება და საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლა სურდათ, აუცილებლად უნდა აეთვისებინათ ყველაფერი ფასეული, რაც კი მაშინდელ მსოფლიოში არსებობდა კულტურისა და მეცნიერების სფეროში. ესეც ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი გახდა გრიგოლ ხანძთელისა.

გრიგოლი სიყმაწვილიდანვე ცოდნის წყურვილით ყოფილა ავსებული: სწავლით გატაცება იყო მიზეზი მისი მარტოდმყოფობისა, თითქოს, ჯერ კიდევ ყრმა გრძნობდა იმ დიდ მისიას, რომელიც მას დააკისრა განგებამ და ამიტომ გართობის ნებას არ აძლევდა საკუთარ თავს: „... თავისუფალი იყო იგი სიმღერისაგან ყრმათაჲსა და ყოვლისაგან აღრევისა კაცთაჲსა". აბალგაზრდობის წლები მას ძალიან ნაყოფიერად გამოუყენებია, შეუსწავლია არა მარტო ქართულ ენაზე არსებული ლიტერატურა, არამედ „... მნიგნობრობაჲცა ისწავა მრავალთა ენათაჲ. ენების ცოდნამ მას საშუალება მისცა, გულდასმით გასცნობოდა ფილოსოფიას: „ხოლო სიბრძნესა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად და, რომელი პოვის სიტყუაჲ კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკუალი განაგდის" (ეს ცნობა არა მარტო გრიგოლს ახასიათებს, არამედ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ: იმდროინდელ საქართველოში ყოფილა პირობები, რომ მონდომებულ კაცს რიგიანი განათლება მიეღო). ბუნებრივ ნიჭთან ერთად დიდი განათლებაც უნდა ყოფილიყო მიზეზი, რომ გრიგოლი შეუდარებელი მჭევრმეტყველი იყო და ადვილად ატყვევებდა მსმენელს: „სიტყუაჲ მისი იყო შეზავებულ მარილითა მადლისაჲთა. რაჟამს იტყვიან, ბრძნად აღაღის პირი თჳსი და წესი განუჩინის ენასა თჳსსა". შეიძლება ითქვას, რომ გრიგოლ ხანძთელს სამონასტრო მოღვაწეობა ყოველმხრივ მომზადებულს დაუწყია, რასაც მისი ახლობლებიც აღიარებდნენ: მიუხედავად ახალგაზრდობისა, შენ მოგცა ქრისტემან კეთილი მოხუცებულობაჲ გონებისაჲ. აქვე უნდა ითქვას, რომ გრიგოლს შეუდარებელი მახსოვრობა ჰქონია, ერთხელ ნასწავლი „დაუვიწყებლად ახსოვდა" და „განსაკვირვებელ იყო ხსოვნებაჲ მისი".

საგანმანათლებლო კერა

შუა საუკუნეებში მონასტერი განათლების კერას წარმოადგენდა და სამონასტრო მშენებლობა იმავდროულად დიდი საგანმანათლებლო მოძრაობაც იყო. ბერები ეწეოდნენ ფართო მთარგმნელობით მუშაობას, ქმნიდნენ ორიგინალურ ნაწარმოებებს და ამრავლებდნენ უკვე გამზადებულ წიგნებს. გრიგოლის მოსვლის შემდეგ ამ მიმართულებით დიდი მუშაობა გაჩაღებულა კლარჯეთში. ოპიზა, სადაც მანამდე „იყვნეს ძმანი მცირედნი შეკრებულ ქრისტეს სიყუარულისათჳს“, იქცა ქართული მწერლობის მნიშვნელოვან კერად. აქ გადაუწერიათ 913 წელს ოპიზის სახარება. გრიგოლის მიერ აგებული შატბერდი ერთი უდიდესი ცენტრი იყო ჩვენი ძველი მწერლობისა; აქ გადათარგმნილა თუ გადაწერილა ბევრი ძვირფასი ძეგლი, რომელთაგან ჩვენამდე შემონახულა: ცნობილი შატბერდის კრებული, 973 წლის ახლო ხანებში გადაწერილი; ე. წ. ჰადიშის სახარება, 897 წელს გადანუსხული; ჯრუჭის სახარება 936 წლისა; პარხლის სახარება 973 წლისა; უდაბნოს მონასტრის მრავალთავი და სხვ. ლიტერატურული საქმიანობა მიმდინარეობდა ბერთის, წყაროსთავის მონასტრებში; ტბეთის მონასტერში სტეფანე მტბევარმა შექმნა ორიგინალური თხზულება წმ. გობრონის წამების შესახებ. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ხანძთაც, სადაც ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა თვით გრიგოლ ხანძთელი. მას შეუქმნია საგალობლების კრებული – „საწელიწდოჲ იადგარი“, „რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან“. ჯერ კიდევ მერჩულეს დროს მონასტერში



ხანძთა

დაცული ყოფილა წმ. გრიგოლისეული – „ხელითა მისითა დაწერილი“ ნუსხა, რომელიც ამჟამად დაკარგულია. ვარაუდობენ, რომ ის შესული უნდა იყოს მე-10 საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფის, მიქელ მოდრეკილის საგალობელთა კრებულში – იადგარში. ხანძთაშივე მერჩულეს დაუწერია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, რომლის შესახებაც კორნელი კეკელიძე წერდა: „თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთ სამაგალითო ნაწარმოებს, პირდაპირ მარგალიტს, მსოფლიო ჰაგიოგრაფიის ისტორიაშიც იშვიათად შეხვდებით“.

გრიგოლ ხანძთელს იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია, რომ მის მიერ დაარსებული მონასტერი საერთაშორისო დონეზეც სანიმუშო ყოფილიყო თავისი ცხოვრების წესით. გაუთვალისწინებია იერუსალიმისა თუ კონსტანტინოპოლის მოწინავე მონასტერთა გამოცდილება და მათგან გადმოუღია ყველაფერი საუკეთესო. მერჩულე მოგვითხრობს: „ხოლო ნეტარმან გრიგოლ მას ჟამსა განაწესა წესი თჳსისა ეკლესიისაჲ და მონასტრისაჲ სიბრძნით განსაზღვრებული და მეცნიერებით განბრწყინებული და ყოველთაგან წმიდათა ადგილთა გამორჩევით შეკრებული, ვითარცა საფასეჲ დაულევნელთა კეთილთაჲ“. ამ მიზნით იგი თვითონ წასულა კონსტანტინოპოლოში საბა იშხნელთან და ერთ მოწაფესთან ერთად.

იმ დროისათვის აღმოსავლეთ რომის იმპერიის დედაქალაქი ქრისტიანული სამყაროს ყველაზე დიდი ცენტრი იყო. როგორც ცნობილია, ქართული კულტურა ევროპული ტიპის კულტურაა. სწორედ ამ ევროპეიზმით უპირისპირდებოდა იგი მოძალებულ მაჰმადიანურ აღმოსავლეთს, ბიზანტინიზმი კი საქრისტიანო ქვეყნებში თავისებურ „მოდად“ იყო ქცეული, კულტუროსნების მაჩვენებლად ითვლებოდა და ქართველთა გაღვიძებული ეროვნული თვითშეგნება თხოულობდა ბიზანტიურ კულტურასა და მწერლობასთან რაც შეიძლება მეტ დაახლოებას, მაგრამ ეს არ ნიშნავდა ბრმა მორჩილებას მისდამი. ნიშანდობლივია, რომ გრიგოლ ხანძთელს კონსტანტინოპოლში ბევრი რამ უნახავს „და რომელიმე სახილავი მოძღუარ კეთილის ექმნის და რომელიმე განსაკრძალველ ბოროტისათჳს“. იგი განურჩევლად ყველაფერში არ ბაძავდა ბერძნებს, არამედ ეძებდა საკუთარი ქვეყნისათვის მისაღებს, ზოგ რამეს კი იწუნებდა.

ბიზანტიასთან შემდგომი კულტურული სიახლოვისაკენ გადადგმული ეს ნაბიჯი წინა ეტაპი იყო ათონის ლიტერატურული სკოლისა, რომელიც გრიგოლ ხანძთელის მიერ წამოწყებული სამონასტრო მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია. კ. კეკელიძე შენიშნავდა: „ტაო-კლარჯეთის მონასტრებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენი მწერლობის ისტორიაში; აქ დუღდა ლიტერატურული შემოქმედება. ასე რომ, უდიდესი ნაწილი იმ საგანძურისა, რაც ჩვენ მოგვეპოვება მეცხრე-მეათე საუკუნიდან, შექმნილა ამ მონასტრებში. აქ ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის საგანგებო სალიტერატურო სკოლა, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული, რომელმაც შეიმუშავა თავისი საკუთარი გრამატიკა, ენა, ხელი და მიმართულება. ქართველთა შემოქმედებითი ენერგია იმდენად გაიზარდა ამ მონასტრებში, რომ ტაო-კლარჯეთის საზღვრებში ის ვეღარ დაეტია, ამიტომ მან გადალახა ეს საზღვრები, გამოვიდა თავისი კალაპოტიდან და ფართო ნაკადით გადავიდა მცირე აზიის სხვადასხვა პუნქტში და მერე ათონის ნახევარკუნძულზე, სადაც მან შექმნა

ჩვენი მწერლობის ახალი ცენტრი ივერიის მონასტრის სახით. ათონის სამონასტრო და სალიტერატურო წრე თავდაპირველად წარმოადგენდა ვეებერთელა ტაო-კლარჯეთის ხის ერთ შტოს. ივერიის მონასტერი პირველ ხანებში იკვებებოდა ტაო-კლარჯეთიდან მიმდინარე ტრადიციებით“.

სულიერი ნათელი

როგორც უკვე ითქვა, ჰაგიოგრაფიისთვის (როგორც ქრისტიანული კულტურის ნაწილისათვის) დამახასიათებელია საგნისა თუ მოვლენის გარეგნული ხატის მიღმა მისი ჭეშმარიტი ბუნების ხედვა. ავტორი ასახავს სულის მოძრაობას და მის მშვენიერებას. მიწიერი რეალობა კარგავს თავის მნიშვნელობას და მის ადგილს მარადიული ღირებულება იკავებს. ამიტომ არის ხორციელად აღზევებული ვარსქენი საწყალობელი, ხოლო გვემული წმიდა შუშანიკი – ნეტარი.

ნათლის ესთეტიკა

ჯავახეთის კრებაზე მისულ გრიგოლს უბრალო ბერული ჩოხა ემოსა, რომელიც „ესრეთ ჩნდა, ვითარცა სამოსელი ნათლისა ბრწყინვალისა განუცდელისაჲ“, ხოლო მისი თავსაბურავი იხილებოდა „ვითარცა გჳრგჳნი სამეუფოჲ აღმკული“. ის, რასც თვალი უბრალოდ და ძველმანად აღიქვამს, შინაგანი მზერისათვის დიდებული სახილველია და სწორედ ამ დიდებულების წარმოჩენას ისახავს მიზნად გიორგი მერჩულე. ნათელი, რომელიც გრიგოლს ადგას, ნაწილია „დაუსრულებელი ნათელისა“ და წმიდანის მეშვეობითაა განფენილი „ხილულსა ამას და განქარვებადსა მზესა ქუეშე“. ქრისტიანული მსოფლმხედველობის მიხედვით, ნათელი ორგვარია: მატერიალური, მზისგან გამომავალი, თვალით სახილველი, მაგრამ „განქარვებადი“, როგორც ყველაფერი მიწიერი, და ჭეშმარიტი ნათელი, „ნათელი დაუღამებელი“, რომელიც მარადიული სულიერი მზისგან, ქრისტესგან მოეფინება ქვეყანას. წმ. გრიგოლის სენაკს განაბრწყინებს „სული ღმრთისაჲ განმანათებელი“, რაც ამ მწირ სამყოფელს, სადაც „ცეცხლი არაოდეს აღგზნებულ იყო“, კლარჯეთის უდაბნოს სულიერ ცენტრად აქცევს. „უდაბნოს ვარსკვლავი“ გზაა სიკეთისაკენ და ღვთის შემეცნებისაკენ: „გუამით მისით გამოვიდოდეს ნათლისა ისარნი ჯუარის სახედ. და დიდებითა შემკულ იყო იგი და ესრეთ ბრწყინავდა, ვითარცა მზეჲ“. მზის ფონზეც რომ ნათელად ჩანს, ესაა წმიდანის განსაკუთრებული სიდიადე, მისი ღვთაებასთან წილნაყარობისა და ზიარების მაუწყებელი. გრიგოლი ერთმანეთთან აკავშირებს „ზეშთა სოფელს“ და „წუთისოფელს“, რის ნიშნადაც „სუეტი ნათლისაჲ ფრიად ბრწყინვალე ცად აღწევნული ჰფარვიდა მას“:

გიორგი მერჩულე უშუალოდ არ აყალიბებს თავის შეხედულებებს ნათლის ესთეტიკაზე, მაგრამ მთელ მის პოეტიკას მსჭვალავს ნათლის ესთე-

ტიკა. სიკეთე, როგორც ყოვლისმომცველი პირველსაწყისი, მის მხატვრულ წარმოდგენაში არსებობს ნათლის სახით. ზეცა და სიკეთის ყოველი სამკვიდრებელი, გზა სიკეთისაკენ, სიკეთისეული მშვენიერება მოწოდებულია, როგორც ნათელი. ასეთია გრიგოლ ხანძთელის ერთ-ერთი სახე: „ნათლითა მიუწვდომელითა შეიმკო შუენიერად ხილვა მისი ბრწყინვალედ". „ნათელი მიუწვდომელი" შეგვაგრძნობინებს სიტყვის უკმარობას მის გამოსახატავად (რ. სირაძე).

სულით მღვიძარება

გრიგოლი ხანძთელი გარშემომყოფთ ესახებოდათ „შუამდგომელად შორის სიკუდილისა და ცხოვრებისა".

მას შემწედ მიიჩნევდნენ არა მარტო კაცნი, არამედ ცხოველებიც: „და არა ხოლო თუ კაცნი ოდენ ჰხედვიდეს მას ნავთსაყუდელად, არამედ ნადირნიცა ველისანი". მონადირეთაგან დევნილი ირემი „მოვიდა ვითარცა გონიერი ნეტარისა გრიგოლისა და თავისი თავი ზედა ხელთა მის წმიდისათა დადვა და რეცა ტიროდა მოწევნულისა მისთჳს ბოროტისა". ნადირი გრძნობს წმიდა ბერისაგან გამომავალ ღვთიურ ძალას და მასთან ეძიებს ხსნას, რაც ნათელყოფს, რომ ღვთაებრიობა მიიწვდომება უმანკო გულით და არა გონით. ამის შესახებ პირდაპირ არის თქმული სახარებაში: „და ჰრქუა: ამინ გეტყვი თქუენ, უკუეთუ არა მოიქცეთ და იქმნეთ ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა".

ბერის მფარველი

გრიგოლ ხანძთელის უმთავრესი ნიშანია სულიერი ამაღლებისა და ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლა. მისი ყოველი სიტყვა თუ ნაბიჯი საქართველოს კეთილდღეობისაკენ იყო მიმართული. აღსანიშნავია, რომ გრიგოლი არსად გვევლინება პატრიოტიზმის მქადაგებლად, არც სამშობლოს მძიმე მდგომარეობით გულგატეხილობას ამჟღავნებს სადმე, თუმცა მისი დრო იქნებ ყველაზე სასოწარმკვეთიც კი იყო საქართველოს ისტორიაში. ფიზიკურად დამარცხებული და სულიერად დაბეჩავებული ხალხი ღვთის იმედადღა იყო შთენილი. იოანე საბანისძე, როგორც გვახსოვს, ასე ახასიათებს მერვე საუკუნის ქართლს: „მიერითგან და ვიდრე აქამომდე ნაშობნი ქრისტეანეთანი გარდაგულარძნეს, რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკუვარებით. და სხუანი, რომელნი ესე ვართ მორწმუნენი, მძლავრებსა ქუეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძვირ-ძვირად ზღვეულნი, შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა..." ამ ვითარებაში გრიგოლ ხანძთელმა სავსებით დაუმორჩილა გრძნობა გონებას

და იწყო დიდი საქართველოს მშენებლობა. რუსთველური შეგონება: „კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეჭვ, ჭმუნვასა ესრე სჯობდეს“, – დიდი ხნით ადრე გამოვლინდა გრიგოლის საქციელში. მისი სახით ქვეყანას მოევლინა ქართული გონიერების, ნებისყოფისა და პატიოსნების სისავსე, რომელმაც ერს გადარჩენის იმედი და რწმენა შთაუნერგა.

უკვე სასუფევლის კარს მომდგარმა გრიგოლმა გაიხსენა იავარქმნილი კლარჯეთი, სადაც მისდა სასიხარულოდ იმჟამად სამონასტრო ცხოვრება უკვე მკვიდრ ნიადაგზე იდგა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც იმ მებაღეს ჰგავს, რომელიც კეთილი ნერგის გახარებაზე ზრუნავს, თუმცა კი იცის, რომ მის ნაყოფს მხოლოდ შთამომავლობა მოისთვლის.

ლამის ორსაუკუნენახევარი გავიდა ხანძთის მონასტრის ბალავრის გაჭრიდან დიდგორის ბრძოლამდე. წმიდა გიორგის ეკლესიის საძირკველში პირველი ქვის ჩადებით დაიწყო დიდმა ხანძთელმა ის ომი, რომლის ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი „ძლევაჲ საკვირველით“ დამთავრდა დიდგორის ველზე.

წმიდა გიორგი და საქართველო

მშენებლობის დაწყებამდე გრიგოლმა დალოცა ადგილი და „ესე ლოცვაჲ ცრემლით წართქუა: „შენ უფალო, აწცა აკურთხე ადგილი ესე, წმიდისა შენისა ეკლესიისა სამკვიდრებელი, მადლითა შენითა და წმიდათა შენთა ოხითა, რაჲთა ღირს ვიქმნე გლახაკი შენი სრულიად აღშენებად ამისა სახელსა ზედა და უძლეველსა სარწმუნოებასა დიდისა მოწამისა შენისა, გიორგი ჯუარითა მოქადულისა, ახოვნისა და სახელოვნად განთქმულისა ბრწყინვალედ შორის წმიდათა შენთა მარტვილთა და მოწამეთა, რომელთაცა ხორცნი მახვილითა დაიჭრებოდეს, ხოლო სარწმუნოებაჲ არა განიკუეთებოდა. ხოლო მათ ყოველთა უმეტეს იპოვა სიმხნითა წმიდაჲ გიორგი და მრავლით ჟამითგან უშჯულოთაგან ზარგანხდილთა ქრისტიანეთა ასწავა სიმხნეჲ ძლიერნი, მხიარულებით რაჲ მოითმინა მრავალფერნი სატანჯველნი და ძლევით იდიდა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა. ამისთუისცა ანგელოზთა თანა წმიდათა განიხარეს მოწამეთა ნეტართა სრულებაჲ ღუაწლთა მისთაჲ, რამეთუ მას მისცა ქრისტემან ძლევაჲ ყოველთა მტერთაჲ და აწ ნაწილთა და სახელსა მისსა, და მეოხებაჲ მისი მფარავს ყოველთა მადიდებელთა მისთა მარადის და უკუნისამდე“.

შემთხვევითი არ იყო, რომ გრიგოლმა სამონასტრო მშენებლობა წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის აგებით დაიწყო. ძლევამოსილი წმიდა მხედარი, რომელსაც „მისცა ქრისტემან ძლევაჲ ყოველთაჲ მტერთაჲ“, ესახება მას წინამძღოლად. აქ აშკარად ჩანს, გრიგოლ ხანძთელის მიერ წამოწყებული მოძრაობის მიზანი და ხასიათი.

კლარჯეთში მრავლად ყოფილან მოღვაწენი, „რომელნიცა-იგი ბრწყინვიდეს ვითარცა მთიებნი ზეცისა სამყაროსა ხილულსა ამას და განქარვებადსა მზესა ქუეშე“, – მაგრამ გრიგოლი ყველასგან გამოირჩეოდა სულიერი სიმაღლით. მიუხედავად ამისა, იგი ძალიან თავმდაბალი ყოფილა, საქვეყნო საქმეში

– მტკიცე და შეურყეველი, პირადულ ცხოვრებაში – საოცარი სისადავისა და უბრალოების განსახიერება. ეს გასაგებიცაა: ქრისტიანობაში თავმდაბლობა ერთი უსაჩინოესი სათნოებაა – თვითონ ქრისტემაც კი საიდუმლო სერობის დროს ფეხები დაბანა თავის მოწაფეებს.

ქრისტიანული სათნოება

გრიგოლ ხანძთელი გრძნობდა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ბერებს, შესაძლოა, მოძღვრის განდიდების სურვილი გასჩენოდათ და ამიტომ საგანგებოდ გააფრთხილა ისინი: „ხოლო ამას გამცნებ აწ ჯუარითა ქრისტე-ისისა, რაჲთა ხორცნი ჩემნი დაჰმარხნეთ ძმათა ჩემთა თანა, რამეთუ არა უმჯობეს ვარ ძმათა ჩემთა სათნოვებათა მოგებითა“. იგი უფრთხოდა პატივის მიღებას სიკვდილის შემდეგაც, მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ საკუთარ სულზე ზრუნვა. გრიგოლი უპირატესად მოწაფეთა დაცვას ცდილობდა ცდომილებისაგან, რათა მათ არ ეზრუნათ ვინმეს ხორციელი დიდებისათვის. იგი უნერგავდა სულიერ შვილებს, არ გამორჩეულიყვნენ სხვათაგან და არავითარი პრივილეგიით არ ესარგებლათ განურჩევლად მათი მდგომარეობისა. გრიგოლი საკუთარი ცხოვრებით აძლევდა თავმდაბლობის მაგალითს მოწაფეებს და ამიტომ მის დარიგებას ცხოველმყოფელი ძალა ჰქონდა.

„სიყრმითგან ჩემით მსგავსად ძალისა ვშუერ“, – თქვა სიკვდილის წინ დიდმა ხანძთელმა და „მსგავსად ძალისა“ შრომა დაუსახა სულიერ შვილებს ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზად, რადგან „ღმერთი გულსმოდგინებასა ეძიებს კაცთაგან და მიანიჭებს ნაცვლად სასუფეველსა მორჩილთა მისთა“.

ზოგჯერ თავს იჩენს ხოლმე ბერმონაზვნური ყოფის არასწორი შეფასება, ბერობა გაიაზრება ხოლმე ამქვეყნიდან განდგომად, საკუთარ თავში ჩაკეტვად, ამქვეყნიური ცხოვრების უგულებელყოფად. თუ ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობას გავეცნობით, ადვილად დავრწმუნდებით, რომ „ჭეშმარიტი მონაზვნობა“ სხვა არაფერია, თუ არა წუთიერ სიამეთაგან თავის მოზღუდვა, დღისით თუ ღამით სიკეთის დასამკვიდრებლად მოღვაწეობა, ყოველგვარი პირადულის უარყოფა ღვთის სადიდებლად და ქვეყნისა და მოყვასის საკეთილდღეოდ. შეიძლება ითქვას, რომ ამქვეყნად ყველაფერი ჭეშმარიტად ფასეული მხოლოდ ბერული შრომითაა შექმნილი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, თუმცა გრიგოლ ხანძთელს ხელთ ხმალი არ უპყრია, იგი ისეთივე დაუცხრომელი მებრძოლია ბოროტების წინააღმდეგ, როგორც წმ. დავით ალმაშენებელი. წმ. გრიგოლი და წმ. დავითი ერთი იდეის ორი სახეა, დროითა და ვითარებით გაპირობებული. გრიგოლ ხანძთელმა ჩადგა ის საფუძველი, რაზედაც შემდეგ „მესიის მახვილმა“ სვებედნიერი საქართველო ააშენა. ამ ნიშნით წმ. გრიგოლისა და წმ. ილია ჭავჭავაძის მისია (რაც წინამორბედობას გულისხმობს) დიდად ემსგავსება ერთმანეთს. ამ ორ პიროვნებაში განახლდა საქართველოს მარად და ყველგან „თანამდევი უკვდავი სული“.

ილია ჭავჭავაძე არსად ახსენებს გრიგოლ ხანძთელს და ეს გასაგებია. ნაწარმოები შემონახულია მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნის ხელნაწერ კრებულში, რომელიც იერუსალიმის საპატრიარქო წიგნთსაცავის ქართულ ხელნაწერთა ფონდში ინახება, მისი გადანაწერი პირები კი საქართველოში არ არსებობს. ამ ძეგლს 1845 წელს გაეცნო ნიკოლოზ ჩუბინაშვილი, მაგრამ მხოლოდ 1889 წელს გამოაქვეყნა მის შესახებ ინფორმაცია. თვითონ თხზულება კი 1911 წელს გამოსცა ნიკო მარმა. ასე რომ, ილია არ იცნობდა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას" და, მიუხედავად ამისა, იგი სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული თავისი დიდი წინაპრის სულთან. გრიგოლი არის ის იდეალური ტიპი ქართველი მოღვაწისა, რომელსაც ღვთისგან მოვლენილ ხილვებში ჭვრეტდა და ესაუბრებოდა მეცხრამეტე საუკუნის „უდაბნოს ვარსკვლავი" და „ქალაქმყოფელი უდაბნოსი".

ერთიანი საქართველოს რწმენა

ერთიან, ძლიერ საქართველოზე ფიქრი, ბუნებრივია, უნდა დაწყებულიყო იმის გაცნობიერებით, თუ რა არის საქართველო, რაც არ გახლდათ იოლი საქმე, ვინაიდან ერთიან სახელმწიფოდ არსებობის ტრადიცია თითქმის დაკარგული იყო. მომავალი გამთლიანებული საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე სამეფო თუ სამთავრო არსებობდა. ამას ერთვოდა არაბთა ბატონობაც. რასაკვირველია, ქვეყნის გაერთიანება მხოლოდ სამხედრო ძალით შეუძლებელი იქნებოდა (მით უმეტეს, რომ ეს ძალა დაქსაქსული იყო). საჭირო გახლდათ იდეა, რომელიც შემოკრებდა ქართველურ ტომებს, ცხოვლად შეაგრძნობინებდა ურთიერთნათესაობას და სხვათაგან განსხვავებას. სამშობლოს ცნებას ქართველის გონებაში მთლიანი საქართველო უნდა მოეცვა.

მიუხედავად მუსულმანთაგან დევნისა და ცალკეულ რეგიონებში წარმართობის კვალის არსებობისა, ქრისტიანობა იმდროინდელ საქართველოში გამარჯვებული რელიგია იყო; ორმხრივი სარწმუნოებრივი შეურიგებლობა მკვეთრად აპირისპირებდა ქართველებსა და მაჰმადიანურ აღმოსავლეთს, მაგრამ ქრისტიანობა ვერ გამოდგებოდა ზღუდედ სამხრეთ-დასავლეთით მოსაზღვრე ბიზანტიის იმპერიასთან ურთიერთობისას, რომლის პოლიტიკურ გეგმაშიც შედიოდა საქართველოს ბიზანტიზაცია. ამიტომ ეროვნული მთლიანობის იდეის შემუშავებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა ქართულ ენას, თუმცა აქაც დიდი პოლიტიკური გამჭრიახობა და ტაქტი იყო საჭირო. საქართველოში სამი ქართველური ტომი სახლობს, რომლებიც მონათესავე და მსგავს, მაგრამ მაინც ერთმანეთისაგან განსხვავებულ ენაზე საუბრობენ. ასეთ ვითარებაში შეიქმნა ფორმულა, რომელმაც განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის რაობა: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კჳრიელეისონი ბერძნულად ითქუმის". ეს იდეა იმთავითვე უნდა არსებულიყო,

მაგრამ ამ სახით, როგორც ჩანს, ხანძთაში ჩამოყალიბდა. აქ მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ საქართველოა ის მიწა, სადაც აღარებენ ბიზანტიურ მართლმადიდებლობას და ღვთისმსახურება ქართულ ენაზე მიმდინარეობს. ქართული ლოცვის ენად გამოცხადდა, რაც ნიშნავდა, რომ ქრისტიანობის განმტკიცება და ქვეყნის ძლიერება განუხრელად დაუკავშირდა ერთმანეთს. „საქართველო“ და „ქართველი“ მხოლოდ გეოგრაფიულ, პოლიტიკურ თუ ეთნიკურ კუთვნილებას კი არ აღნიშნავდა, არამედ რელიგიური ტერმინიც გახდა. ამან განაპირობა „ქართველის“ (რაც ქრისტიანს და ქართულ ენაზე მლოცველს ნიშნავს) ყველა ქართველური ტომის ზოგად სახელად ქცევა.

გრიგოლ ხანძთელის ღვაწლი მხოლოდ უკაცრიელი მხარის მოშენებითა და გასულიერებით არ ამოიწურება. ეკლესიების აგებითა და ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის დამკვიდრებით უდაბნო „საქართველოვდებოდა“. ამ ნიშნით „უდაბნოს ვარსკვლავი“ თავისი ერისათვის ტერიტორიის მომპოვებელი და დამამკვიდრებელია.

ქვეყნის მთლიანობის იდეა, რომელიც ენისა და სარწმუნოების ერთიანობას ეფუძნებოდა, იმდენად აქტუალური გამოდგა, რომ ცხოველმყოფელობა შეინარჩუნა მაშინაც კი, როცა კვლავ ძნელბედობის ჟამი დადგა და თავი იჩინა დაქსაქსულობამ. საქართველოს მიწაზე წარმოქმნილ სამეფო-სამთავროებს შორის სულიერი კავშირი არ გაწყვეტილა, ისინი ერთი ქვეყნის ნაწილებად მიიჩნეოდნენ და გამუდმებით იყო მცდელობა ამ ერთიანობის აღდგენისა. საგულისხმოა ისიც, რომ მერვე-მეცხრე საუკუნეებში ხანძთის მონასტერში შემუშავებული კონცეფცია დაედო საფუძვლად მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში დაწყებული ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის მოწოდებას: „მამული, ენა, სარწმუნოება“.

ტექსტის ანალიზი

გამეორება:

1. აღწერეთ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების გზა მისი ქართლში ყოფნიდან ოპიზაში ჩასვლამდე.
2. როგორ დაიწყო გრიგოლმა სამონასტრო მშენებლობა?
3. გაიხსენეთ, რა სირთულეები შეხვდა წმიდა ბერს თავისი მოღვაწეობისას.

განმარტება:

1. რატომ იღებდა თავის თავზე გრიგოლი სხვადასხვა პასუხისმგებლობას?
2. როგორ უპირისპირდებოდა წმიდა ბერი მტრის ძალმომრეობას?
3. როგორი წესები შემოიღო მან ეკლესია-მონასტრებში?

განსხვავებული ხედვა:

რა პოზიციას გამოხატავდით აშოტ კურაპალატის სამიჯნურო თავგადასავლის მიმართ?

ლიტერატურის კითხვა:

ადამიანის პირადი ცხოვრების აღწერას სხვა პიროვნების მიერ ბიოგრაფია ეწოდება. ბიოგრაფთა უმრავლესობის მსგავსად, გიორგი მერჩულე გვაწვდის ფაქტობრივ ინფორმაციას გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაზე, რითაც იგი საგანგებოდ ახასიათებს წმინდა ბერის სოციალური და სულიერი ბუნების უმთავრეს ასპექტებს. ამ გზით ჩვენ ვიგებთ არა მხოლოდ მისი ცხოვრების მოვლენების, არამედ პიროვნულ გამოვლინებათა შესახებაც.

1. რომელი შემთხვევები წარმოაჩენს მთავარი გმირის ხასიათის ძირითად შტრიხებს?

2. გრიგოლის ცხოვრების რომელ ასპექტებს გამოყოფს საგანგებოდ ავტორი?

კრიტიკული აზროვნება – არსებითი კითხვები

ბიოგრაფის მიზანია იმ თვალთახედვის ჩვენება, რომელსაც იგი აყალიბებს. ავტორი ხაზს უსვამს მისთვის საინტერესო საგნის უმთავრეს ნიშნებსა და ასპექტებს იმისათვის, რათა მიაღწიოს თავის მიზანს. ორ ბიოგრაფს, რომელიც ერთი და იმავე პიროვნების ცხოვრებაზე წერს, შეუძლია ფაქტობრივი ინფორმაციის განსხვავებულად ინტერპრეტაცია. მაგალითად, ერთს გმირის მოღვაწეობის სირთულეების მთავარი ფაქტების წარმოდგენა შეუძლია, ხოლო მეორეს – განსხვავებული ინფორმაციისა მკითხველის დასარწმუნებლად, თუ რატომ არის ეს პიროვნება გამორჩეული იმდროინდელ საზოგადოებრივ წრეში.

1. რა არის გიორგი მერჩულეს მთავარი მიზნები „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში?"

2. როგორ შეიცვლებოდა ეს მიზნები, თხზულება მხოლოდ საერო ნაწარმოები რომ ყოფილიყო?

ტექსტის ლინგვისტური გააზრება

წინადადებების შევსება

მრავალი სანიმუშო ტესტი შეიცავს შესავსებ წინადადებებს, რომლებიც ამოწმებენ ტექსტის ლექსიკურ ცოდნას. ქვემოთ მოცემულია წინადადებები და ჩასასმელად შემოთავაზებული ოთხი სიტყვა. აირჩიეთ ერთი მათგანი, რომელიც წინადადების შინაარსს შეესაბამება.

1. ხოლო იყო ხილვითა დიდ, ჴორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოლად კეთილ სრულიად, გუამითა მრთელ და სულითა...

ა) უკვდავი;

ბ) უბიწო;

გ) უმრწემესი;

დ) წმიდა.

2. ნეტარმან მამამან გრიგოლ პირველად აღაშენა... ეკლესიაჲ და შემდგომად საყუდელი თჳსი და თითო სენაკები ძმათა მათთჳს მცირჱ და ერთი სენაკი საოსტიგნედ დიდი.

ა) ღორღის;

ბ) ქვის;

გ) ძელის;

დ) ქვითკირის.

3. ვარ მე ჭაბუკ სახელოვან და რომელსა ვსდევ, ფრიად... არს, დაღაცათუ ვეწიო და მოვკლა, საბრჭე არს სულისა ჩემისა.

ა) უკეთურ;

ბ) ახოვან;

გ) შეურაცხ;

დ) ფიცხელ;

4. დიდებულო მეფეო, შენ ნათესავთა ამათ მეფე ხარ, ხოლო ქრისტე – ყოველთა დაბადებულთა; შენ ქუეყანისა ჴელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე – ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთაჲ; შენ... ამათ ჟამთა მეფე ხარ, ხოლო ქრისტე – საუკუნოჲ მეუფჱ და სრულ ჰგიეს უცვალებელი, უჟამოჲ, დაუსაბამოჲ, დაუსრულებელი მეუფჱ ანგელოზთა და კაცთაჲ.

ა) უაზნოთა;

ბ) გლახაკთა;

გ) დიდებულთა

დ) ნარმავალთა.

ფიქრი და წერა

ბიოგრაფიის წერა:

დაწერეთ თქვენი მეგობრის ან ოჯახის წევრის მოკლე ბიოგრაფია. თქვენი მიზანი უნდა იყოს ხასიათის იმ თვისებების აღწერა, რომლებიც გხიბლავთ. ამოირჩიეთ ისეთი შემთხვევა შერჩეული პიროვნების ცხოვრებიდან, რომელიც საინტერესოა და თქვენს მიზანს წარმოაჩენს. გადაკითხვისას და შესწორებისას იყავით დარწმუნებული, რომ შემოთავაზებული მასალა თქვენი მიზნის შესაბამის ფაქტებს შეიცავს.

შოთა რუსთველი

„ვეფხისტყაოსანი“

შესავალი

როდესაც შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობ, თავზარდამცემი სიცხადით ხდება ნათელი, სად გადის ადამიანის შესაძლებლობების ზღვარი: ჩვენს ქვეყანას, საბედნიეროდ, მრავლად ჰყოლია ისეთი შემოქმედნი, ნებისმიერი ეპოქისა და ხალხის ხელოვნებას რომ დაამშვენებდნენ, მაგრამ ქართველ კაცს არ უძნელდება უკვდავთა შორის უპირველესის დასახელება – რუსთველის გენია შეუდარებელია.

„ამაღლებულისათვის“

ახალი წელთაღრიცხვის III საუკუნეში რომში დაიწერა თეორიული ნაშრომი მშვენიერების არსზე – „ამაღლებულისათვის“, რომელიც ფსევდო-ლონგინეს ეკუთვნის (ქართულადაც არის თარგმნილი ბაჩანა ბრეგვაძის მიერ). აქ, VIII თავში, ვხვდებით სიტყვებს, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ წამკითხველს ეთქმის: „ამაღლებული კი არ არწმუნებს მსმენელს, არამედ აღელვებს და აღაფრთოვანებს მას, ვინაიდან განსაცვიფრებელი ყოველთვის უფრო მძაფრ ზემოქმედებას ახდენს, ვიდრე სარწმუნო ან სასიამოვნო. მართლაც, სარწმუნოს დაჯერება ან არდაჯერება – ჩვენი ნებაა, ხოლო განსაცვიფრებელი იმდენად ძლიერია და, წინააღუდგომელი, რომ მისი ზემოქმედება სავსებით დამოუკიდებელია ჩვენი ნება-სურვილისაგან.



შოთა რუსთაველი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკა

„ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა არ შეიძლება ერთი წაკითხვით. ეს მარადიულობას ნაზიარები დიდი სიბრძნის და მხატვრული ღირებულების მქონე პოემა ისეთი მრავალწახნაგოვანი სამყაროა, რომლის შეცნობასაც ადამიანმა შეიძლება მთელი ცხოვრება მოანდომოს. ეს ჩვენი მოვალეობაცაა ჩვენი ქვეყნისა და მთელი კაცობრიობის წინაშეც, მაგრამ, სხვა უამრავი მოვალეობისგან განსხვავებით, მის აღსრულებას გამორჩეულ მშვენიერებასთან წილნაყარობის განცდით მიღებული ესთეტიკური სიამოვნებაც თან ახლავს.

არის ამქვეყნად წიგნები, რომელთა გაცნობისას პიროვნება გრძნობს, რომ სამყარო ჰარმონიული და დიდებულია, რომ მასში არსებობს გასაოცარი კანონზომიერება. ამ დროს ადამიანი საკუთარ თავს ბუნების (ყოვლისმომცველი მთელის) ნაწილად მოიაზრებს და არა მას მოწყვეტილ, უსასრულობაში ჩაკარგულ არსებად. მაშინ ქრება განცალკევებუ-

ლობისა და მარტოსულობის ტრაგიკული განცდა და ადამის მემკვიდრე თავისი პირვანდელი ამაღლებულობითა და სიდიადით წარმოჩინდება.

„ვეფხისტყაოსანი“ ჩვენთვის არ არის მხოლოდ წიგნი (თუმცა თავისთავად ესეც დიდი ღირებულებაა). ეს ისეთი ტექსტია, რომელიც საკუთარ თავს შეგვაცნობინებს, როგორც კერძო პირს, როგორც ჩვენი ერის შვილს და როგორც კაცობრიობის წარმომადგენელს. ის არის ქართული შემოქმედებითი გენიის უდიადესი გაცხადება ცივილიზებული სამყაროს წინაშე.

პროლოგი

პროლოგის რაობა

„პროლოგოს“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს რისამე წინასიტყვაობას. ანტიკურ ეპოქაშიც და შუა საუკუნეებშიც საკმაოდ ხშირად ლიტერატურულ ნაწარმოებს წაუმძღვარებდნენ ხოლმე შესავალს, რომელშიც, ტრადიციისამებრ, ასახელებდნენ ღვთაებას, მეფეებს, მთავრებს ან უბრალოდ დამკვეთებს; გამოთქვამდნენ ხოლმე ფილოსოფიურ ან თეორიულ-ლიტერატურულ შეხედულებებს და ა. შ.

„ვეფხისტყაოსანიც“ პროლოგით იწყება. ეს ნაწილი დიდად მნიშვნელოვანია პოემის გასაგებად. მასში ჩამოყალიბებული მოსაზრებები აადვილებენ ნაწარმოების საერთო მიზანდასახულობაზე და, საერთოდ, რუსთველის მსოფლმხედველობაზე მსჯელობას.

ბეჭდური „ვეფხისტყაოსანი“

ქართველი მეფე და მწიგნობარი ვახტანგ VI, რომელმაც პირველმა გამოსცა ბეჭდური სახით „ვეფხისტყაოსანი“ (1712 წელს), პოემისთვის დართულ „თარგმანში“ (ანუ კომენტარებში) წერს: „წესია პირველად ანდერძსა და შესავალში პირველად ქება ღმრთისა და მერმე მეფეთა“.

დასაწყისში რუსთველიც ღვთაებას ახსენებს:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მისმიერითა“.

„რომელმან“ აქ ჩვენებითი ნაცვალსახელია, რომელიც პირდაპირ აღნიშნავს ღმერთს – მან შექმნა სამყარო. ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა („რომელმან“) საკმაოდ ხშირად გამოიყენებოდა ქართულ ჰიმნოგრაფიაში.



ქ: ამა ამბაჲ ღმრთეისი პირველი: ამ ღ სასმენლად შევნიერი სწავლისათვის
გ შაირეთასა ტარიელს ღ ნესტანღრეჯანს ვეფხის ტყაოსნობით უკმბენ:

რომ[ელ]მან შექმნა სამყარო : მაღითა მით მღიერი	თ	ა:	ა
ზე გარდმო არსნი სულითა : ყუნა ზეცით მნაბერი	თ	ა:	
ხვენ კაცთა მგვცა ქვეყანა : გვაძლეს უთვალავი ფერი	თ	ა:	
ღ: მისგან არს ყოველი კეთილ[ი]სთვე : სახითა მის მიერი	თ	ა:	
ჰე ღთ ერთო შენ შეჰქმენ : სახე ყოველისა ტანი	ს	ა:	ბ
შენ დამითარე მღერა მეც : დათრგუნვად მე სატანი	ს	ა:	
მომეც მიჯნურთა სურვილი : სიკუდიდმდე ვასატანი	ს	ა:	
ღ: ცოდვათა შესაბრალებად : მენ თანა წასატანი	ს	ა:	
ვის შევნის ღრმსა ქმარება : შუბისა თარ შიმშერი	ს	ა:	გ
მეფისა მზის თამარისა : ღაწვ ბალახშ თმა გიშერი	ს	ა:	
მას არა ვიცი შეჭაღრო : შესხმა ხოტბისა ხშირი	ს	ა:	
ღ: მასთა მშვრეტელთა ყანდისა : მირთმა ჯამს მართ მშიერი	ს	ა:	
თამარს ვაქებდეთ მეფესა : სისხლისა ცრემლ დათხეუ	ლ	ი:	ლ
ვთქუენით ქებანი ვისნიმე : არ ავად გამორჩეუ	ლ	ი:	
მეღონად ვექმარე გიშრის ტბა : და კალმად მინა რხეუ	ლ	ი:	
ღ: ვინცა ისმინოს დაესვას : ლახვარი ცისლისა ხეუ	ლ	ი:	
მაბმანეს მათდა საქებრად : თქმა ლექსებისა ტკბილი	ს	ა:	ე
ქება წარბთა და წამწამთა : თმათა და ბაგე კბილი	ს	ა:	
ბროლ ბალახშისა თლილისა : მით მიჯნურით მიწყობილი	ს	ა:	
ღ: გასტეხს ქვასაცა მაგარსა : ერდემლი ტკბილისა ლბილი	ს	ა:	
	ა		ანწ

„ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის ერთ-ერთი გვერდი

სამყაროს შექმნა

„სამყარო“ ამ კონტექსტში არ ნიშნავს ჩვეულებრივ ქვეყანას, წუთისოფელს – ეს სფერო („სამყარო“) შუალედური ადგილია (ეს მსჯელობა გარკვეულ პირობითობას გულისხმობს) ღმერთსა და ადამიანის ჟამიერ ადგილსამყოფელს შორის (სხვა მოსაზრებით „სამყარო“ ანგელოზთა საუფლოს ნიშნავს). ღვთაების მიერ ამ ქვეყნის შექმნა გააზრებულია, როგორც დასაბამიერი ერთისაგან სიმრავლის წარმოშობა. ეს პროცესი შინაგანად მთლიანია, ერთჯერადია, დაუნაწევრებელია, მაგრამ ლოგიკის ენაზე ასე წარმოჩინდება:

ღმერთი „ჯერ“ (ადამიანის გონებისათვის მოსახერხებელია მოქმედების დროით ჭრილში წარმოდგენა) ქმნის ამქვეყნად არსებული საგნებისა თუ მოვლენების წინასახეებს, რომლებიც სწორედ უცვალებელ და მყარ საუფლოში – „სამყაროში“ თავსდებიან და მხოლოდ მათი „შემდგომი“ განსხეულებისას წარმოიქმნება მიწიერი სიმრავლე. „სამყაროში“ არის ერთი წინასახე ანუ იდეა ადამიანისა – ამქვეყნად კი მრავალი ადამიანია, „სამყაროში“ არის ერთი იდეა რომელიმე ცხოველისა, მაგალითად, ცხენისა, – დედამიწაზე კი უამრავი ცხენია, „სამყაროში“ არის ერთი წინასახე სიყვარულისა – ქვეყნად კი ვინ მოთვლის, რამდენი მოყვარული წყვილია (ამგვარ „წინასახეებს“ ანუ იდეებს ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი მოიხსენიებდა). მაშასადამე, ღვთაება „მოიფინება“ გარკვეული იდეების წყებად და უკვე მათგან – სიმრავლედ. ამ სიმრავლის ადგილსამყოფელი დედამიწაა, ქვეყანაა, რომელშიც, ღვთის განგებით, ადამიანი უფლობს: „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“. ეს „უთვალავი ფერითა“ სწორედ ამქვეყნიურ სიმრავლეს აღნიშნავს.

ის ვინც სულიერია, ღვთის მონაბერი სულით არის სულიერი. ვახტანგ VI-ის სიტყვებით: „ზეციდამ სული ცხოველი მოჰბერა, რომელნიც მყოფნი ვართ“. სხვა აზრით, აქ ანგელოზთა შექმნა იგულისხმება.

რაც შეეხება ამ სტროფის ბოლო სტრიქონს, ჩვენ მასზე (ამგვარ მსჯელობაზე) გარკვეული წარმოდგენა უკვე გვაქვს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ – ამქვეყნიური ხელმწიფობა ღვთით გაპირობებული და მისით მადღცხებულია. როგორც გვახსოვს, გრიგოლ ხანძთელმა აშოტ კურაპალატის საგვარეულო დავით წინასწარმეტყველს (მაშასადამე, მის საგვარეულოში განსხეულებულ ქრისტესაც) დაუკავშირა და ამით ბაგრატიონების სამეფო უფლება ღვთიურად გამოაცხადა. ამავე იდეას ავითარებს რუსთველიც: „მისგან არს ყოველი ხელმწიფე, სახითა მისმიერითა“ – ამქვეყნიური მეფობა ღვთიურ ზეუფლობას განასახიერებს.

მეორე სტროფში რუსთველი უფალს შესთხოვს ძალასა და თანადგომას, რათა პოეტმა შეძლოს გასრულება უზარმაზარი შემოქმედებითი ამოცანისა, რომელიც მას წინ უძევს:

„ჰე, ღმერთო, ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიმდე გასატანისა,
ცოდვათა შესუბუქება, მუნ თანა წასატანისა“.

ამ სტროფში ჩვენ ერთ უნიშვნელოვანეს მსოფლმხედველობრივ კანონზომიერებას ვეცნობით. მისი შინაგანი ლოგიკა ასეთია:

სრულქმნილებისკენ მოწოდება

ადამიანი ერთადერთია, რომელიც ღმერთმა საკუთარი თავის „ხატად და მსგავსად“ შექმნა. სხვა არსს ასეთი რამ არ ღირსებია. ამიტომ, რელიგიური წარმოდგენით, ადამიანის უმთავრესი მოწოდება ამქვეყნად არის ის, რომ მუდმივად ესწრაფვოდეს ღვთაების მსგავსებას. ამგვარი სწრაფვაა სწორედ პიროვნების სრულქმნილების საფუძველი. ქრისტიანული მოძღვრება ასე ქადაგებს: „იყუენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ სრულ არს“ (მათე, 5,48).



თამარ მეფე
ბეთანიის ფრესკა

ღმერთს მიმსგავსებულობისაკენ სწრაფვა განსაკუთრებით უნდა გაცხოველებულიყო ადამისა და ევას შეცოდების შემდეგ, რადგან სამოთხიდან გამოძევებულმა ადამიანებმა დაკარგეს უდიდესი შინაგანი ნათელი, ღვთიურობა (ამ ნათლის შესახებ იხილეთ ამ წიგნის ორი თავი: „ნათელი „ვეფხისტყაოსანში“ (გვ. 177) და „ნათელი დავითიანში“ (გვ. 272).

ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, უპირობოდ ეხება შემოქმედ კაცს; ღმერთი, უწინარეს ყოვლისა, შემოქმედია – მისი შექმნილია ყველაფერი, რაც არსებობს. ამდენად, ადამიანი ყველაზე მეტად მაშინ ემსგავსება ღვთაებას, როდესაც ის შემოქმედია: როგორც ღვთაებრივი, ისე, ბუნებრივია, ადამიანური შემოქმედების საფუძველში ძევს სიკეთე, უცოდველობა, უმწიკვლოება და სიყვარული. სახარება გვაუწყებს: „ღმერთი სიყვარული არს“ – სწორედ საკუთარ არსებაში დაუტეველი სიყვარულის გამო შექმნა უფალმა ქვეყანა. ფსევდო-დიონისე არეოპაგელი ამას ასე განმარტავს:

სიყვარულით იქმნება სამყარო

„რამეთუ თჳთ იგი კეთილის მოქმედი არსთა ტრფიალებაჲ სახიერებისა შორის ზეშთააღმატებით წინაჲთვე იყო, რომელი-იგი არა უტევა მან უშობელად თავსა შორის თჳსა ყოფად, არამედ აღძრა იგი მოქმედების ყოფად ყოველთავე მოქმედებისა აღმატებულებითა“ (ზეაღმატებული კეთილის მქნელი სიყვარული ღვთაებაში იმთავითვე იყო, ხოლო მან დაუბადებლად არ დატოვა საკუთარ თავში იგი და უზენაეს ყველაფრის წარმომქმნელ მოქმედებად აღძრა). ამიტომაც შესთხოვს რუსთველი ღვთაებას: „მომეც მიჯნურთა სურვილი“ – სიყვარულით ამავსეო.

მომდევნო ორ სტროფში რუსთველი მოიხსენიებს თამარ მეფესა და დავით სოსლანს. მესამე სტროფში დასახელებული და შემკობილია დავითი, მაგრამ თამარის მეფური სიდიადე რომ არ დაიჩრდილოს, რუსთველი სოსლანს მეტაფორულად მოიხსენიებს – „ვინ შვენის – ლომსა, – ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა“, – და იქვე დაუქვემდებარებს საქართველოს შვიდმნათობიერ სულს, – „მეფისა მზის თამარისა, ღაწვ-ბალახშ, თმა-გიშერისა“. დავითი „ლომია“, ოღონდ თამარის ლომი. მეოთხე სტროფი აღმატებული ხოტბაა თამარისა:

თამარის მოხსენიება

„თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ-ავად გამორჩეული.
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული,
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული“.

„სახე ყოვლისა ტანისა“

რუსთველის პოემა სრულად, მთლიანად, აბსოლუტურად ისევე ამოუცნობია, როგორც თავად სამყარო. „ვეფხისტყაოსნის“ შემსწავლელ მეცნიერებაში, რუსთველოლოგიაში, ბევრი პრობლემური საკითხია, რაც აზრთა სხვადასხვაობას ბადებს. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, როდესაც საქმე ასეთ გრანდიოზულ ნაწარმოებთან გვაქვს და ამიტომ არ უნდა გვაკვირვებდეს. მაგალითად, რას ნიშნავს მეორე სტროფის „სახე ყოვლისა ტანისა“? ან რატომ წერია, რომ თამარს უნდა ვაქებდეთ „სისხლისა ცრემლ-დათხეული?“ მეცნიერებს განსხვავებული აზრი აქვთ როგორც ამ ორი ფრაზის, ისე სხვა უამრავი სტროფისა თუ ცალკეული გამონათქვამის შესახებ. „სახე ყოვლისა ტანისა“ შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ღმერთმა ქაოტურად არსებულ მატერიას ფორმა მისცა. სხვა თვალსაზრისით, აქ შეიძლება იგულისხმებოდეს, რომ ღვთაებამ ადამიანის სხეულს სული შთაბერა. არსებობს სხვა ინტერპრეტაციაც, ვთქვათ, ის, რომ ღმერთმა საგნების შექმნამდე მათი იდეები, წინასახეები შექმნა. ყოველ განსხვავებულ შემთხვევაში სტროფში გამოთქმული აზრი სხვადასხვა შინაარსს შეიძენს.

ერთმნიშვნელოვნად პასუხის გაცემა შეუძლებელია. ეს ბუნებრივიცაა და კარგიცაა. არ შეიძლება ადამიანის გონებამ ერთბაშად ყველაფერი მოიცვას, ყველაფერს მისწვდეს. პიროვნება მარადიულად ესწრაფვის სამყაროსა და აზროვნების შეცნობას, მაგრამ ჯერ კიდევ უთვალავი შეკითხვაა პასუხგაუცემელი. როდესაც ერთი ამოცანა ამოიხსნება, მის ადგილას იმ წუთას ჩნდება მეორე სამყარო და ხელოვნება რომ ბოლომდე შეცნობილი იყოს, ეს ორივე მათგანის დასასრული იქნებოდა. მაშ, თავიდანვე ვიცოდეთ, რომ ზოგიერთ კითხვას პასუხს ვერ გავცემთ და გავაგრძელოთ ჩვენი მსჯელობა.

„სისხლის ცრემლები“

რას შეიძლება ნიშნავდეს „სისხლის ცრემლები“? იქნებ როდესაც ეს სიტყვები იწერება, თამარი უკვე ცოცხალი აღარაა? ან იქნებ სამშობლოდან გადახვეწილი რუსთველი (მის გაძევებას საქართველოდან დაჟინებით იჩემებს ხალხური ტრადიცია) უკიდეგანო სევდის გამომხატველად მოიხმობს ამ მხატვრულ სახეს? კითხვა მრავალია, მაგრამ ზუსტი პასუხის გაცემა დღეს არსებული მონაცემებით ვერ ხერხდება.

რუსთველი გვაუწყებს, რომ პოემა შექმნილია დაკვეთით: „მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“. ხოლო შემდეგ ისევ პრინციპულ საკითხს ეხება, რომელზედაც აუცილებლად უნდა შევაჩეროთ ყურადღება. ჩვენ უკვე ვიცით, სასულიერო მწერლობაში მიღებული არ არის მწერლის ღვაწლის აღიარება. ფიქრობდნენ, რომ ნაწარმოები იქმნება სულიწმიდის შთაგონებით და ესა თუ ის პირი მხოლოდ შემსრულებელია – ის თავად კი არ არის შემოქმედი, უბრალოდ აფიქსირებს იმას, რაც ღვთიური ნებით ეუწყება. ეს, ცხადია, შემოქმედება არ არის. შემოქმედება პიროვნული აქტივობის შედეგია, ინდივიდუალურ სულში ახალი რეალობის დაბადება და მისი განხორციელებაა. სწორედ ასე ესმის ქმნადობის არსი რუსთაველს და, ბუნებრივია, ეს მასში უდიდეს პიროვნულ ღირსებას ამკვიდრებს. პოეტის აზრით, ადამიანს ოთხი თვისება თუ უნარი უნდა ჰქონდეს რომ მან შემოქმედებითი აქტი განახორციელოს:

შემოქმედი ადამიანის ოთხი საწყისი

1. ენა (მჭევრმეტყველება);
2. გული(ემოციური იმპულსი)
3. ხელოვნება (ეს ტერმინი არ ნიშნავს დღევანდელ „ხელოვნებას“. მასში ნაგულისხმევია სრულქმნილი პროფესიული ოსტატობა);
4. გონება.

ეს პიროვნული თვისებებია, მაგრამ თუ ამას ღვთაებრივი შეწევნაც არ დაემატება (ურომლისოდაც არაფერი ხდება მზისქვეშეთში), აღსასრულებელი მაინც არ აღსრულდება.

შემოქმედების არსებაზე საუბრის შემდეგ რუსთველი, პირველად პოემაში, ასახელებს მის მთავარ გმირს – ტარიელს და იმასაც გვაუწყებს, რომ ნაწარმოებში შევხვდებით სამ განუყრელ მეგობარს. ახლა მთლიანობაში აღვიქვათ განხილული სტროფი.

„აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება,
ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქვს, მივსცე გონება;
მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენება,
მათ, სამთა გმირთა მნათობთა, სჭირს ერთმანერთის მონება“.

მე-7 სტროფში გაცხადებულია ტარიელის განსაკუთრებულობა, მისი გამორჩეული სრულქმნილება („მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი"). აქვე, პირველად პოემაში, პოეტი თავის თავს ასახელებს („დავჯე, რუსთველმან გავლექსე") და ბოლოს გვაუწყებს, რომ „ვეფხისტყაოსნის" ამბავი ადრეც ცნობილი იყო და მან „წყობილ მარგალიტად" ანუ პოეტურ ნაწარმოებად აქცია იგი.

რუსთველი საგანგებოდ აცხადებს, რომ მისი შთაგონების წყარო თამარია და თავისი ქმნილების, ნამოღვაწარის შეფასებას მხოლოდ მისგან მოელის:

თამარი – შთაგონების წყარო

„მე, რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი:
ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ,
მისთვის მკვდარი;
დავუძლურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი,
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი".

ქართველმა მეცნიერმა პავლე ინგოროყვამ გონებამახვილურად შენიშნა, რომ ამ სტროფის შორეულ ექოდ ისმის დიდებული სახელი თამარისა (სამარი – თამარი). რაკილა რუსთველმა ზემოთ უკვე აღნიშნა, რომ შემოქმედების უპირველესი იმპულსი სიყვარულია („მომეც მიჯნურთა სურვილი"), ახლა სრულიად გასაგებია აზრი მისი ნათქვამისა – „ხელობითა ვიქმ საქმესა". გახელებული სწორედ მიჯნურს, შეყვარებულს ნიშნავს.

ძალიან დიდი დავა გამოიწვია რუსთველოლოგიაში ამ სტროფმა:

სპარსულია თუ არა „ვეფხისტყაოსნის" ფაბულა?

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექად გარდავთქვი,
საქმე ვქმენ საჭოჭმანები,
ჩემმან ხელ-ქმნელმან დამმართოს
ლაღმან და ლამაზმანები".

აქ თითქოს გარკვევით წერია, რომ „ვეფხისტყაოსნის" ამბავი სპარსულია, გადმოთარგმნილია ქართულად და ამის შემდეგ „ლექსად გარდაუთქვამს" რუსთველს. დავუშვათ, რომ ეს ასეა – დააკლდება რამე ამით მის გენიას? ცხადია, არა. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიამ არა ერთი მაგალითი იცის იმისა, რომ საქვეყნოდ აღიარებული ნაწარმოებების, შედევრების ფაბულად ავტორებს გამოუყენებიათ არა ორიგინალური (დამოუკიდებლად შექმნილი), არამედ უკვე ცნობილი ამბები. გავიხსენოთ თუნდაც დიდი ინგლისელი მწერლის უილიამ შექსპირის „რომეო და ჯულიეტა", რომელიც ავტორმა იტალიურ ქრონიკაზე დაყრდნობით შექმნა. მთავარია არა ამბის „ხორცი", მისი თავისთავად „მყოფობა", არამედ „სული", მისი დინამიურობაში გადასვლა, მისი წარმოჩენა და გახსნა. ახლა ბევრმა ჩვენგანმა იცის „ვეფხისტყაოსნისა" თუ „ღვთაებრივი კომედიის", „შაჰ-ნამესა" თუ „დონ-კიხოტის" ამბები, მაგრამ ჩვე-

ულებრივი მოკვდავისათვის ძნელი იქნება (ალბათ შეუძლებელიც) ასეთივე დიდებული ნაწარმოებების შექმნა – შემოქმედების საიდუმლო ნიჭიერებაშია და არა მხოლოდ ამბის მოძიებაში.

და მაინც, მიუხედავად ზემოთქმულისა, უნდა გავერკვეთ – მართლა სპარსული ამბავი გამოიყენა რუსთველმა თუ სხვაგვარადაა საქმე?

„ვეფხისტყაოსნის" მსგავსი სიუჟეტი სპარსეთში არ აღმოჩნდა. ჯერ კიდევ ვახტანგ VI ეძებდა მას ირანში ყოფნის დროს (მეფე-პოეტი კი აღმოსავლური ლიტერატურის დიდი მცოდნე იყო), მაგრამ ვერაფერს მიაკვლია. პოემის კომენტარებში ის პირდაპირ აცხადებს: „ეს ამბავი სპარსში არ არის".

ეს არ ყოფილა ერთადერთი დასკვნა – ვახტანგამდეც და მის შემდეგაც „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები" პირდაპირი მნიშვნელობით ესმოდათ. „ვეფხისტყაოსნის" მრავალ ხელნაწერს „ამშვენებს" ერთი ჩანართი სტროფი, რომელიც ამ გენიალურ ნაწარმოებს ხისტი რელიგიური პოზიციებიდან აფასებს:

„პირველთავი, დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად,
ვუხმობთ „ვეფხისტყაოსნობით, არსსა შეიქმს ხორცს, არ სულად,
საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთარსულად".
არას გვარგებს საუკუნოს, რა დღე იქმნას აღსასრულად".

პოემის ძველი უარმყოფელი შეფასება

საუკუნეთა მანძილზე ქართული ეკლესია თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა რუსთველის უბადლო ქმნილებას, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ქრისტიანული აზროვნებაც არ იყო თავისუფალი ამგვარი კატეგორიული შეფასებებისაგან (დიდი ვაჟა-ფშაველასი არ იყოს: „საცა სიმართლე ჰლაღადებს, იქვეა აზრთა ცდომაცა"). ამ სტროფის მთავარი ბრალდება პოემის მიმართ ის არის, რომ იგი „საეროა" და „არ ახსენებს სამებასა ერთარსულად" (ერთარსება სამების ქრისტიანულ წარმოდგენას უარყოფს). ასევე, რატომღაც კატეგორიულადაა ნათქვამი, რომ „ვეფხისტყაოსანში" ხორციელი ცხოვრებაა აღზევებული და სულიერი კი უარყოფილი („არსსა შეიქმს ხორცს არ სულად"). ბუნებრივია, რომ დასკვნაც წინა მსჯელობის შესაბამისია: „არას გვარგებს საუკუნოს, რა დღე იქმნას აღსასრულად".

მიუხედავად ჩვენთვის მიუღებელი ასეთი შეფასებისა, ამ სტროფში გამოთქმულ თვალსაზრისში ერთი საგულისხმო რამ უნდა დავინახოთ (საყურადღებო იდეა მიუღებელ თვალსაზრისშიც შეიძლება იყოს!). კერძოდ, სიტყვა „სპარსული" აქ მოაზრებულია, როგორც „არაქრისტიანული", მისი საწინააღმდეგო. ეს უნდა დავიმახსოვროთ.

ნიკო მარის შეხედულება

ახლა შედარებით ახალ დროში გადმოვინაცვლოთ. „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის სპარსულობას თავგამოდებით იცავდა დიდი მეცნიერი ნიკო მარი (ამის გამო თავის დროზე მან ილია ჭავჭავაძის პრინციპული კრიტიკაც დაიმსახურა). მას მიაჩნდა, რომ მე-12 საუკუნის მიწურულს საქართველოში არ იყო საკმარისი კულტურული წინაპირობა „ვეფხისტყაოსნის“ სიდიადის მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად (ახლა მრავალმხრივაა დამტკიცებული, რომ მკვლევარი ძალიან ღრმად ცდებოდა) და ამიტომ მისი საფუძველი სწორედ სპარსულ კულტურაში უნდა დაძებნილიყო. დიდხანს ეძებდა ნ. მარი სპარსულ ორიგინალს, მაგრამ ვერსად მიაკვლია. საერთოდაც, უნდა ითქვას, რომ ძნელია ისეთი რამის აღმოჩენა, რაც არ არსებულა და არც არსებობს.

მაშ, რატომღა წერია სრულიად გარკვევით: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ (სხვათა შორის, პოემის ეპილოგშიც იგივე წერია: „დავითის ქნანი ვითა ვთქვნე სიჩალხე-სიხაფეთანი! ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი, პირველ: ზნენი და საქმენი, ქვაბნი მათ მეფეთანი, ვპოვენ და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყფეთანი“)?

სიუჟეტის გაუცხოება

ჩვენ აქ საქმე გვაქვს სიუჟეტის გაუცხოებასთან. ლიტერატურის ისტორიიდან არა ერთი მაგალითია ცნობილი, როდესაც ესა თუ ის ავტორი, გარკვეული პოლიტიკური თუ სხვა რაიმე მოსაზრებით, ნაწარმოებში გაშლილ მოქმედებას უცხო ქვეყანაში (ან ქვეყნებში) გადაიტანს, რათა არ წარმოჩინდეს გამჭვირვალე ანალოგიები მისი საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ ასპექტთან. ჩანს, რუსთველსაც, გარკვეული მოსაზრებით, სწორედ ამ ხერხისთვის მიუმართავს. ასე ფიქრის საშუალებას ისიც იძლევა, რომ სიტყვა „სპარსული“ და სიტყვა „თარგმანი“ თავიანთი ჩვეულებრივი მნიშვნელობით ჩვენთვის საინტერესო სტროფში შეიძლება არც გამოიყენებოდეს. „სპარსული“ უნდა ნიშნავდეს უცხო ამბავს (გავიხსენოთ, რომ ეპილოგში რუსთველი პირდაპირ წერს: „ესე ამბავი უცხონი, უცხოთა ხელმწიფეთანი“) – არაქართულსა და არაქრისტიანულს; მაშასადამე, პოემაში აღწერილი ამბავი ჩვენთვის უცხოა, როგორც ეროვნულად, ისე სარწმუნოებრივად. მართლაც, ნაწარმოებში მოქმედება ვითარდება არაბეთში, ინდოეთში, მულღაზანზარში, ხატაეთში, გულანშაროში, ქაჯეთის ციხეში და მოქმედი პირებიც მუსლიმური რელიგიის მიმდევრები არიან, მაგრამ საქმე ისაა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ქართულად ნათარგმანებია. რას ნიშნავს „ნათარგმანები“?

რას ნიშნავს „თარგმანი“?

„თარგმანი“ ყროველთვის ერთი ენიდან მეორეზე გადაღებას როდი გულისხმობდა: ეს სიტყვა ძველად აღნიშნავდა განმარტებასაც, გააზრებასაც. მაგალითად, როდესაც ვახტანგ VI-ემ ბეჭდურად გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს“ (1712 წ.) კომენტარები დაურთო (ჩვენ ეს უკვე ვახსენეთ), სათაურად პირდაპირ მიაწერა: „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხის ტყაოსნისა“. პოემაში გადმოცემული ამბავი სპარსულია, უცხოა, მაგრამ ქართულად ნათარგმანები, ქართულად მოაზრებულია, მასში ქართული სულია ჩაბერილი, ქრისტიანული მსოფლხედვა და ზნეობაა ჩადებული. და მართლაც, ტარიელი ინდოელია, ავთანდილი – არაბი, ფრიდონი – მულღაზანზარელი, მაგრამ მათი ცხოვრების წესი, ღმერთთან მიმართება, ქალებთან დამოკიდებულება, ქცევა, მეტყველება აშკარად გვაგრძნობინებს, რომ ისინი ქართული სამყაროს შვილები არიან. იგივე უნდა ითქვას ნესტანზეც და თინათინზეც.

მომდევნო სტროფში გაცხადებულია, რომ რუსთველის თხოვნა – „მომეც მიჯნურთა სურვილი“ – ღმერთს შეუწყნარებია („აჰა, გული გამიჯნურდა“) და პოეტურმა შთაგონებამ ისეთ ზღვარს მიაღწია, რომ მხოლოდ შემოქმედებაში თუ გადმოიღვრება: „სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა“.

რუსთველი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ღმერთის მიერ შექმნილ სამყაროში, რომელიც გარკვეულ წესრიგს გულისხმობს, ყველა ადამიანს თავისი განუმეორებელი დანიშნულება, ფუნქცია აქვს და ყველამ თავისი წილი საქმე უნდა აღასრულოს:

„რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს,
მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს;
კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს,
არცა ვისგან დაიწუნოს, არცა სხვასა უწუნობდეს“.

ამის შემდეგ რუსთველი საგანგებოდ და ვრცლად ეხება ორ უმთავრეს ადამიანურ განწყობასა და უნარს: შემოქმედებასა და სიყვარულს, ანუ შაირობასა და მიჯნურობას.

რუსთველის აზრით, ხელოვნება, ამ შემთხვევაში – სიტყვიერი ხელოვნება, შაირობა სამყაროს შემეცნების ერთ-ერთი გზაა (როგორც ცნობილია, სხვა „დარგია“ მეცნიერება; არსებობს ღვთაების უშუალო წვდომის გზაც და ა.შ.).

რუსთველის შეხედულება პოეზიაზე (შაირობაზე)

რაკილა შაირობა სიბრძნის დარგია, სამყაროს წვდომის საშუალებაა, ბუნებრივია, ის „საღმრთოა“, იმიტომ რომ სამყაროს წვდომა ღვთის წვდომის ნაწილია, რა თქმა უნდა, ღვთის წვდომა „მსმენელთათვის დიდი მარგია“; მაგრამ რიგიანი კაცისათვის, რომელიც აღქმულის ღვთაებრივ მნიშვნელობას არ დაკარგავს, პოეზიის მიწიერი მნიშვნელობაც საამო და სასარგებლოა, რადგან პოეტური სახე ვრცლად სათქმელს ლაკონიურად გადმოსცემს. ყველაფერი ეს წერია შემდეგ სტროფში:

„შაირობა, პირველადვე, სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი,
კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი;
გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“.

რუსთაველისათვის პოეტური შემოქმედება ერთგვაროვანი არ არის – ჭეშმარიტად ფასეულია მხოლოდ ეპიკური ჟანრის, ვრცელი ნაწარმოები, რომელიც ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობისა და ძალისხმევის შედეგია:

„ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა, მობურთალსა – მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
მართ ეგრევე მელექსესა – ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა...“

როგორც ვხედავთ, რუსთველისათვის ადამიანური მოღვაწეობის სხვა სფეროებიც (არა მხოლოდ შემოქმედება) მასშტაბურობით გამოიცდება. ნამდვილი შემოქმედება დიდი ინტენსივობის მოქმედებაა, ნებისყოფის უმწვერვალესი გამოცდაა და ამიტომ გმირობას უტოლდება; აუცილებელია, რომ პოეტი „ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა“. ვისაც ეს არ შეუძლია, პოეტად ვერ მიიჩნევა და მისი პრეტენზიები მხოლოდ სიჯიუტედ თუ აღიქმება:

„მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი, ორი;
თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი;
განაღა თქვას ერთი, ორი, უმსგავსო და შორი-შორი,
მაგრა იტყვის: „ჩემი სჯობსო“, უცილობლობს, ვითა ჯორი“.

რუსთველისათვის ჭეშმარიტი შემოქმედი მხოლოდ „მთელის“ შემოქმედია. ღმერთმა მთლიანი სამყარო შექმნა და ის, ვინც მას უნდა ედარებოდეს (შემოქმედება კი ღმერთს მიმსგავსებულობაა), ასევე მთლიანობას უნდა ქმნიდეს და არა „ნაწილს“. ნაწილის შექმნა ნაკლული შემოქმედებაა. ამიტომაც რუსთველი ერთგვარად ირონიულად მოიხსენიებს ლირიკოს პოეტებს, „ლექსი ცოტაის“ ავტორებს, რომლებსაც არ ძალუძთ სრულქმნილი სიტყვის დამორჩილება და გამოუცდელ მონადირეებს ემსგავსებიან:

„მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა,
არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა,
ვამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა:
დიდსა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა“.

რუსთველი
და ლირიკა

ალბათ, ვინმე იკითხავს: რატომ ვერ შეძლო რუსთველმა ლირიკული პოეზიის დაფასება? სხვა იმასაც იტყვის, რომ თავად რუსთველს აქვს „ვეფხისტყაოსანში“ უმშვენიერესი ლირიკული ჩანართები. ამ შეკითხვას ნაწილობრივ ზემოთაც გაეცა პასუხი (მთელისა და ნაწილის მიმართება), მაგრამ ერთიც უნდა ითქვას: ადვილი შესაძლებელია, პოეტი ამგვარი შეფასებისას თავისი დროის პოლიტიკურ პირობებს უწევდა ანგარიშს – ამ ეპოქაში ირანული ლირიკა განვითარების უმაღლეს საფეხურზე იდგა და მის პროპაგანდას შესაძლოა სპარსული ცხოვრების წესის მოძალება გამოეწვია ჩვენს ქვეყანაში (საყოველთაოდ ცნობილია, რომ ლირიკას დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანზე). ეს ვარაუდი უცილობელი არ არის, მაგრამ გასათვალისწინებელი კია.

რუსთველი მესამე ლექსსაც გამოყოფს. ეს არის გასართობი, საყოფაცხოვრებო ხასიათის ლექსები, რომლებიც „კარგი არის სანადიმოდ, სამღერელად, სააშიკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად“. პოეტის თქმით, ამგვარი ლექსი საამოა, თუ ნათლად თქმულია.

პროლოგში ხაზგასმულია, რომ ჭეშმარიტი პოეტური შთაგონების წყარო ერთი არსება უნდა იყოს, რომელიც დიდი სიყვარულით აღძრავს ხელოვანს სამოქმედოდ:

„ხამს მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკმობდეს,
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს,
ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს, –
მისგან კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა-მუსიკობდეს“.

მე-19 სტროფში რუსთველი საქვეყნოდ აცხადებს, რომ ისიც „ერთსა ვისმე აშიკობს“, იმ ერთითაა გასხივოსნებული მისი შემოქმედებითი გზა, ისაა „მისი სიცოცხლე“ და სწორედ იგია შეფარვით შექებული „ვეფხისტყაოსანში“:

„ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია,
ესე მიჩს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია;
მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია“.

ვის „აქებს“ რუსთველი?

ჩვენ უკვე ვიცით, რომ რუსთველის შთაგონების წყარო თამარია („ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი“), ამდენად, ნათელია, რომ სწორედ ის არის შეფარვით წარმოჩენილი პოემაში. თამარის სხივმოსილი დიდებულება და საკუთარი შემოქმედებითი გენიის სრულად შეგრძნება ათქმევინებს რუსთველს ჰაგიოგრაფი ავტორებისათვის წარმოუდგენელ ფრაზას:

„ესე მიჩს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია“.

სიყვარულის არსობრივი ერთგვაროვნება

პროლოგში, როგორც ზემოთაც ითქვა, რუსთველი მიჯნურობის შესახებაც გამოთქვამს თავის აზრს. სიყვარული თავისი არსით მრავალგვარია, თუმცა ერთი სათავიდან მოდის. ფსევდო-დიონისე არეოპაგელი წერს:

„ტრფიალებაჲ გინა თუ საღმრთოჲ ანუ ანგელოზებრი, გინა საცნაურებრი, გინა მშჯნჯერებრი, ანუ ბუნებითი და ნერგობითი რაჟამს ვთქუათ, ერთობითსა რასმე და შეზავებითსა ძალსა გულისჴმა ვჰყოფთ“.

აქ ის არის ნათქვამი, რომ რაგვარ სიყვარულზეც უნდა ვსაუბრობდეთ, ყოველთვის ერთ, ყოვლის გამამთლიანებელ საწყისს ვგულისხმობთ. ეს საწყისი ღმერთია, ღვთიური სიყვარულია, რომლისგანაც იბადება სიყვარულის სხვადასხვა სახე.

დასაწყისში რუსთველი ეხება ღვთაებრივ, ზეციურ სიყვარულს – ეს არის „მიჯნურობა პირველი“. იგია „ტომი გვართა ზენათა“, ე. ი. ერთ-ერთი იმ იდეათაგანი, რომლებიც პირველ სტროფში ნახსენებ „სამყაროში“, უცვალებელ და მარადიულ სფეროში, იმყოფებიან. ამ სიყვარულზე ჩვეულებრივი მსჯელობა, მისი წვდომა ადამიანის გონებით შეუძლებელია – გონების სარბიელი მხოლოდ ქვეყანაა, რომელიც ღმერთმა „ჩვენ, კაცთა, მოგვცა“. ზეციური სიყვარული საზეოა და „მომცემი აღმაფრენათა“, მაგრამ ადამიანი, რომელიც მისკენ მიისწრაფვის, ვინც ცდილობს, რომ მას მიეახლოს, მრავალი სირთულის („წყენათა“) წინაშე აღმოჩნდება. ამ სიყვარულზე საუბრისას ცალკე ენა დაიღლება და ცალკე ყური. მიზანი კი მაინც მიუღწეველი დარჩება; ამიტომ რუსთველი აცხადებს, რომ ის „ვეფხისტყაოსანში“ აღწერს ხორციელ სიყვარულს, ოღონდ ისეთს, რომელიც ზეციურს ბაძავს, ღვთიური სიყვარულის ამქვეყნიური განსახიერებაა და არა სიძვა ანუ გარყვნილება. ყველაფერი ეს ნათქვამია შემდეგ ორ სტროფში:

„ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა,
ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;
ვინცა ეცდების, თმობაცა ჰქონდა მრავალთა წყენათა.

მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან,
ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან:
ვთქვნე ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ხვდებიან;
მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდეს არ სიძვენ, შორით ბნდებიან“.

მიჯნურობა ქალ-ვაჟის სიყვარულია. „მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა“, – გვამცნობს შოთა რუსთველი. ეს სიშმაგე „ვერ-მიხვდომის“ ვერ მიახლების, შეუცნობლობის წყენით არის გამოწვეული. ამასთან, ზოგი მიჯნური თავის სიყვარულში საღმრთო სიახლოვეს ეძებს, „დაშვრების აღმაფრენითა“, ხოლო სხვებს კი თავიანთი ბუნება უბრალო ხორციელებისაკენ მიადრეკს და გული, გონება და სული ლამაზმანებისაკენ გაურბის:

„მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა,
მით რომე შმაგობს მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა;
ზოგთა აქვს საღმრთო სიახლე, დაშვრების აღმაფრენითა,
კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუცთა ზედა ფრფენითა“.

იდეალური ადამიანი
იდეალური მიჯნურის სახით

ამის შემდეგ რუსთველი სრულქმნილი, იდეალური მიჯნურის სახეს წარმოგვიდგენს. საგულისხმო და დასამახსოვრებელი ისაა, რომ იდეალური მიჯნურის ხატვისას პოეტი, საზოგადოდ, იდეალურ ადამიანს მოიაზრებს. რა ლოგიკა მოქმედებს ამ შემთხვევაში?

დავიწყოთ იმით, რომ რუსთველი ქალ-ვაჟის ამქვეყნიურ სიყვარულს ღვთისგან დაბადებულად აცხადებს – „ავთანდილის ლოცვაში“ პოემის ერთერთი მთავარი მოქმედი პირი ასე მიმართავს ღვთაებას:

„შენ დაჰბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა“.

თუ ამქვეყნიური სიყვარული ღვთაებრივია (გავიხსენოთ, რას ამბობს ფსევდო-დიონისე არეოპაგელი – სიყვარულზე საუბრისას ყოველთვის ერთ საწყისს ვგულისხმობთო), ის აუცილებლად იქნება ამამაღლებელი, ადამიანის პირველსაწყისთან ანუ ღმერთთან მიმაახლებელი გრძნობა – როდესაც ჩვენ „ავთანდილის ანდერძს“ შევისწავლით, შევხვდებით ფრაზას „სიყვარული აღგვამაღლებს“. ახლა თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ღმერთს მიმსგავსებულობა ადამიანური სრულქმნილების საფუძველია („იყუენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ არს“), ადვილად დავასკვნით, რომ სიყვარული სრულქმნილებისაკენ სწრაფვის უმთავრესი იმპულსი ყოფილა. ეს აზრი მხოლოდ ქრისტიანული რელიგიისათვის არ არის დამახასიათებელი – ირანული ლიტერატურის გამორჩეულ ძეგლში, „ვისრამიანში“, რომელიც ქართულადაც თარგმნილია სარგის თმოგველის მიერ, გარკვევით წერია:

„ვინცა მიჯნური არა არს, არცა კაცი არს“.

უსიყვარულოდ ადამიანი შორდება ღვთაების ხატებასა და მსგავსებას და, მაშასადამე, საკუთარ ჭეშმარიტ ბუნებასაც კარგავს.

ახლა ის სტროფი ვნახოთ, რომელშიც იდეალური მიჯნურის (ე. ი. სრულქმნილი ადამიანის) დამახასიათებელი თვისებებია ჩამოთვლილი:

„მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს, მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, სიყმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა, მძლევა მებრძოლთა მძლეობა.
ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა“.

იდეალური მიჯნურის (ადამიანის) ათი თვისება

ჩვენ ადრე უკვე ვახსენეთ, რომ რენესანსული წარმოდგენა იდეალურ ადამიანზე გულისხმობს როგორც სულიერ, ისე ხორციელ სრულქმნილებას. ადამიანი ხორცისა და სულის ერთიანობაა და თუკი მისი ბუნების მაქსიმალურ გამოხატულებაზე ვლაპარაკობთ, ორივე ამ ელემენტის ჰარმონიული განვითარება უნდა მოვიაზროთ. ამიტომაცაა აქ ნახსენები „თვალად სიტურფე“ – გარეგნული მშვენიერება. ჩვენთვის საინტერესო სტროფში სულ ათი ადამიანური თვისებაა ჩამოთვლილი:

1. თვალად სიტურფე;
2. სიბრძნე;
3. სიუხვე;
4. სიმდიდრე;
5. სიყმე (მეფის, პატრონის, რაინდული ერთგულება);
6. მოცალეობა (ეს არის არა „მოცლილობა“, არამედ თავისუფალი დრო სიკეთის საკეთებლად – ელ. ხინთიბიძე; ნ. ნათაძე ამ სიტყვას განმარტავს როგორც „ყურადღებიანობას“, მოცალეობას სატრფოსთვის; სხვა შემთხვევაში კი – როგორც მაღალი, ინტელექტუალური ცხოვრების წინაპირობას);
7. ენა (მჭევრმეტყველება);
8. გონება;
9. დათმობა (ნებისყოფა);
10. მძლეთა მებრძოლთა მძლეობა.

რუსთველი შენიშნავს, რომ ამ თვისებათაგან ერთიც რომ აკლდეს ადამიანს, ის უკვე სრულქმნილად აღარ ჩაითვლება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ აქ საუბარია იდეალზე, რომელსაც ძალიან ხშირად ჩვეულებრივ ცხოვრებაში ადამიანი (მეტ-ნაკლებად – თავად „ვეფხისტყაოსნის“ გმირებიც) მხოლოდ უახლოვდება ხოლმე. როდესაც პოემას გავეცნობით, ვნახავთ, რომ ამ სტროფში მთლიანად არ არის ამოწურული იდეალური ადამიანის სამყაროსთან მიმართების ყველა შესაძლო გამოვლინება. აქ აკლია პიროვნების სიყვარულისა და მეგობრობის უნარი, ღმერთთან და ბედისწერასთან დამოკიდებულება და სხვ. ყველაფერი ეს პოემის ტექსტში თანდათანობით ვლინდება. საინტერესოა, რაგვარად წარმოჩინდება ზემონახსენებ სტროფში ჩამოთვლილი იდეალური ადამიანისათვის დამახასიათებელი თვისებები „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებში – ამას თვალი უნდა გავადევნოთ ნაწარმოების კითხვისას.

ადამიანის რუსთველური და ჰაგიოგრაფიული იდეალების ურთიერთმიმართება

ერთ მნიშვნელოვან საკითხზეც უნდა შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება. კერძოდ, როგორი მიმართებაა ადამიანის ჰაგიოგრაფიულ და რუსთველურ იდეალებს შორის? ეს საინტერესოა, რადგან სასულიერო და საერო წარმოდგენები, ამ მხრივ, მსგავსებასთან ერთად, საგულისხმო განსხვავებებსაც ამჟღავნებს; ეს გასაგებიცაა – იცვლება ეპოქები – იცვლება იდეალებიც.

ჰაგიოგრაფიული და რუსთველური იდეალების შედარება ძალიან ფართო და ღრმა ანალიზს მოითხოვს, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ასპექტს შევეხოთ. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ სასულიერო მწერლობა სრულქმნილებას რეალურ ცხოვრებაში ეძებს და პოულობს. ისტორიული სიზუსტე (რასაც საგანგებოდ მიუთითებენ ჰაგიოგრაფი ავტორები) საეკლესიო ლიტერატურის პრინციპად ქცეულა. იდეალური ადამიანი ღვთის მიერ შექმნილ სამყაროში უნდა დავინახოთ და არა შემოქმედი კაცის (როგორც ვიცით, ჰაგიოგრაფებისათვის ადამიანური შემოქმედებაც პირობითია – შემოქმედი სულიწმიდაა) მიერ წარმოსახულ მხატვრულ სამყაროში. რუსთველის იდეალური გმირები კი გამოგონილი პერსონაჟები არიან – „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ცნობს „გამონაგონის სიბრძნეს“, ანუ როგორც სულხან-საბა გვამცნობს – „სიბრძნეს სიცრუისას“.

ადამიანის ჰაგიოგრაფიული იდეალი ძალიან დემოკრატიულია, ყველასათვის მისაწვდომია – წმინდანი შეიძლება იყოს დედოფალიცა და ნელსაცხებლების ოსტატიც. რუსთველს სრულქმნილი პიროვნება მხოლოდ არისტოკრატად წარმოუდგენია, უბრალო საზოგადოებრივი ფენის კაცი შოთასეულ იდეალს ვერ შესწვდება.

როგორც ჰაგიოგრაფიული ისე რუსთველური იდეალი ეროვნულ გამორჩეულობას არ ეფუძნება, სრულქმნილებას ადამიანის პირად ღირსებებში, ცხოვრების წესში ხედავს და არა წარმომავლობაში.

ჰაგიოგრაფიული თვალსაზრისით, ფიზიკურ მშვენიერებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ადამიანის სრულქმნილების შეფასებისას – როგორც ვიცით, ხშირ შემთხვევაში სასულიერო მწერლობა ხორცის დათრგუნვასაც კი ქადაგებს და თავის განვითარების მხოლოდ მოგვიანო საფეხურზე „მოიხსენიებს“ ხორცს. რუსთველური აზრით კი, მხოლოდ ჰარმონიულად განვითარებული ადამიანი შეიძლება იყოს იდეალური.

ჰაგიოგრაფიული სრულქმნილება, წმინდანობა, მართალია, ამქვეყნადაც ნიმუშის დანიშნულებისა და მნიშვნელობის მქონეა, მაგრამ თავისი არსით ღმერთთან ზიარებაა. რუსთველური გმირები კი თუმცა იმქვეყნიურ არსებობას არ უარყოფენ (ეს ნათლად ჩანს პოემის გაცნობისას), ამქვეყნიურ ბედნიერებასაც ესწრაფვიან. „ვეფხისტყაოსანის“ ავტორმა ადამიანის ორი არსებითი განწყობილება და უნარი – შემოქმედება და სიყვარული – ღვთაებრივად აღიარა და ამით ამქვეყნიური ბედნიერებისაკენ სწრაფვა პიროვნების კანონიერ და ღვთით მადლცხებულ უფლებად გამოაცხადა.

ჰაგიოგრაფიული და რუსთველური იდეალებიც გამორჩეული ადამიანები არიან, მათ ბავშვობიდანვე ახასიათებთ ის თვისებები, რაც ერთობლიობაში

სრულქმნილებას გულისხმობს. ისინი აღიარებენ ღვთაებრივ უზენაესობას, მაგრამ თუკი სასულიერო გმირები თავიანთ ადამიანურ სიმდიდრესაც ღვთიური ნების გამოხატულებად მიიჩნევენ, რუსთველის პერსონაჟები არ გამორიცხავენ ადამიანური ნების გამოვლენასაც, რომელიც, ცხადია, ღვთაებრივს ერწყმის.

ახლა მოკლედ შევეხოთ ცალკეულ ადამიანურ თვისებებს, რომლებიც ზემოდამოწმებულ სტროფშია ჩამოთვლილი.

სიბრძნე – ორივე იდეალს ახასიათებს, ოღონდ ამ ცნებაში სასულიერო პირი ღვთსმეტყველებას მოიაზრებს („ამ სოფლის სიბრძნიდან" კი მხოლოდ იმას, რაც „ჯერკვალი" არ არის), რუსთველის გმირი კი – ზემოთქმულთან ერთად – ამ ქვეყნის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას. წმინდანს „მიწიერი" ცოდნა მხოლოდ ღვთაებრივის წვდომისათვის სჭირდება (ის მისთვის საშუალებაა), არისტოკრატისთვის კი მას თავისთავადი მნიშვნელობაც აქვს.

სიუხვე – ესეც ორივე იდეალის მახასიათებელია, თუმცა არსებითი განსხვავებით: სასულიერო პირი სულიერებას გასცემს (მას მატერიალური სიმდიდრე იშვიათად აქვს), რუსთველის გმირები კი მატერიალურსაც გასცემენ და სულიერსაც. ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ რუსთველური იდეალი აქ „მეტობს" სასულიეროს (რაკიღა არისტოკრატი „ორს" გასცემს და წმინდანი მხოლოდ „ერთს"), უბრალოდ აქ ცხოვრებასთან დამოკიდებულების სხვადასხვა გზებია წარმოჩენილი. საერთოდაც, უნდა ვიცოდეთ, რომ როდესაც ორ სხვადასხვა ღირებულებაზე ვფიქრობთ ან ვმსჯელობთ, ყოველთვის აუცილებელი არ არის იერარქიის „მაღალ" და შედარებით „მდაბალ" საფეხურებზე წარმოვიდგინოთ ისინი – ხშირ შემთხვევაში საკმარისია დაფიქსირდეს მხოლოდ სხვადასხვაობა.

სიმდიდრე – ეს მხოლოდ რუსთველური გმირის მახასიათებელია. ცხადია, ვგულისხმობთ მატერიალურ სიმდიდრეს და არა სულიერს. ჩვენ აქ შეგვეძლო შევჩერებულიყავით, შეგვეწყვიტა მსჯელობა, მაგრამ მოდით დავფიქრდეთ – რატომ არის აუცილებელი რუსთველის გმირისათვის მატერიალური სიმდიდრე (როდესაც რაიმეზე ფიქრს ვიწყებთ, უწინარეს ყოვლისა, მიზეზები უნდა მოვიძიოთ)?

თავიდანვე უნდა ვთქვათ,რომ არისტოკრატისათვის სიმდიდრე მხოლოდ საშუალებაა და არა მიზანი, ის ადამიანური სრულქმნილების გამოვლენის ხელის შემწყობი პირობაა მხოლოდ. სიმდიდრის მოპოვება მიზნად გადაჰქცევიათ „ვეფხისტყაოსნის" ვაჭრებს, მაგრამ იდეალური გმირი მათგან მკვეთრად გამიჯნულია პოემაში.

მთელი და ნაწილი

რუსთველის გმირისათვის მატერიალური სიმდიდრე გარე ფაქტორებისაგან დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გარანტიაა. რუსთველური აზრით, სრულქმნილ ადამიანს არ უნდა ჰქონდეს არანაირი ნაკლულობის შეგრძნება, მათ შორის – მატერიალური სიმდიდრის ნაკლულობისაც. ამ შემთხვევაშიც ჩვენ „მთელისა" და „ნაწილის" მარადიულ პრობლემას ვაწყდებით – სრულქმნილი შეიძლება იყოს მხოლოდ „მთელი" და არა „ნაწილი".

მაგრამ რა არის „მთელი“?

ეს უარსებითესი შეკითხვაა, რადგან „მთელზე“ წარმოდგენა შეიძლება განსხვავებული იყოს. რუსთველისათვის „მთელი“ ერთია, ხოლო ჰაგიოგრაფისათვის – სხვა! სასულიერო მწერლობის წარმომადგენელთათვის „მთელის“ ცნებაში მატერიალური ღირებულებები ნაკლებად მოიაზრება, რუსთველური წარმოდგენა კი ამის საპირისპიროა. ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ: გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თვალსაზრისს! მსჯელობის საყრდენი წერტილი, მისი საფუძველმდები დებულება განსაზღვრავს მთელ მსჯელობას: რუსთველის გმირი იდეალურია, რადგან მას არ გააჩნია არავითარი ნაკლულობის გრძნობა. მაგრამ ჰაგიოგრაფიისთვისაც წმინდანი სრულქმნილია, რადგან მისი შინაგანი სამყარო მატერიალური ღირებულების გარეშეც „მთელია“ და არა „ნაწილი“.

სიყმე – ეს თვისებაც, ერთი შეხედვით, მხოლოდ რუსთველის გმირებს ახასიათებთ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უცოდველობასთან და სიწმინდესთან წილნაყარი სულიერი სიღრმე, სულიერი ბავშვობა ქრისტიანული იდეალიცაა.

მოცალეობა – ორივე იდეალის თვისებაა – სიკეთის ქმნა მათი უარსებითესი მოთხოვნილებაა, სიკეთეც ისევე განუყოფელია, როგორც სიყვარული – შეიძლება ვისაუბროთ მის მრავალგვარ გამოვლინებაზე, მაგრამ მხედველობაში ყოველთვის ერთი საწყისი გვექნება – სიკეთე ანუ სახიერება თავად ღვთაებაა. სიკეთე ღვთის ერთგულებაა, მოყვასის სიყვარული და რწმენის საქმეში გამჟღავნებაა – საქმედქცეული რწმენა უდიდესი ღვთისმოსაობა. როგორც ჰაგიოგრაფიული, ისე რუსთველური იდეალები ამ გზას ადგანან.

ენა – ასევე ორივე იდეალს ახასიათებს,ოღონდ განსხვავება ისაა, რომ რუსთველის გმირები თავად არიან ამ მადლით (მჭევრმეტყველებით) დაჯილდოებულნი, ხოლო წმინდანთა ნაცვლად ხშირად სულიწმინდა ლაპარაკობს (გამონაკლისები ამ შემთხვევაშიც არსებობს: ამის მაგალითად უფართოესი განათლებისა და დიდი ზნეობის მქონე გრიგოლ ხანძთელიც კმარა – „სიტყუაჲ მისი შეზავებულ იყო მარილითა მადლისაჲთა“).

ბრძნება – გონების სინათლე და ძალა ერთნაირად საჭიროა ყველასათვის. როგორც ჰაგიოგრაფიის, ისე „ვეფხისტყაოსანის“ იდეალური გმირები ამ მხრივ გამოირჩევიან.

დაშმობა – ნებისყოფაც აუცილებელია სრულქმნილი (და ჩვეულებრივი) ადამიანისათვის; როგორც სასულიერო მწერლობის, ისე „ვეფხისტყაოსანის“ პერსონაჟები არაერთხელ ავლენენ პიროვნების დამამშვენებელ ამ თვისებას. ისინი არასოდეს ექვემდებარებიან საკუთარ სურვილებს და, საბოლოო ანგარიშით, თავად ბატონობენ მათზე.

მძლეობა მებრძოლთა მძლეობა – ერთი შეხედვით, მხოლოდ საერო იდეალისთვის უნდა იყოს დამახასიათებელი, მაგრამ სასულიერო პირებსაც ძალიან ხშირად უწევთ ეშმაკეულთან ბრძოლა, ამიტომ მათ სულიერ ძალმოსილებასაც ნუ გამოვრიცხავთ.

ჩვენი მსჯელობის დასასრულს ისიც უნდა ითქვას, რომ ჰაგიოგრაფიული

იდეალი ტრადიციულია, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულია, ხოლო რუსთველი თავისი დროის ახალ იდეალს ქმნის, თუმცა კი ეფუძნება ქრისტიანულ წარმოდგენას.

ამ ზოგადი მიმოხილვის შემდეგ დავუბრუნდეთ რუსთველის მსჯელობას სიყვარულზე.

რუსთველისათვის მიჯნურობა მშვენიერია, „ტურფაა", თუმცა „საცოდნელად ძნელი გვარია". ადამიანს სიყვარულად ეჩვენება ზოგჯერ ის, რაც მისი სრულიად საპირისპიროა – სიძვა, ამიტომ პოემის ავტორი ადრეც აღნიშნავდა და ახლაც საგანგებოდ ამბობს გაუგებართათვის, რომ ჭეშმარიტი მიჯნურობა და სიძვა სხვადასხვა რამ არის, „შუა უზის დიდი მზღვარი". ნამდვილი სიყვარული მარადიულია, დროს არ ექვემდებარება. ადამიანი თავისი სატრფოს ერთგული უნდა იყოს, „გული ერთსა დააჯეროს", ხოლო „უგულო" სიყვარული, მხოლოდ ხორციელებაზე დაფუძნებული, სულიერებას მოკლებული სწრაფვა უარყოს. როდესაც კაცს „დღეს ერთი უნდა, ხვალე სხვა", ეს ყმანვილის უმწიფარ გატაცებას ჰგავს, ხოლო „კარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა" – სატრფოსათვის პიროვნებამ ყველაფერი უნდა დათმოს ამქვეყნად (როგორც პოემიდან ირკვევა, რუსთველი აქაც და სხვაგანაც თავისთავად ცხადად მიიჩნევს, რომ ღმერთის შემდეგ ყველაფერზე მაღლა სამშობლო დგას).

პროლოგის ბოლო სტროფებში ნათლად გამოსჭვივის აზრი, რომ ნამდვილი მიჯნურობა – ეს არის „არ-დაჩენა ჭირთა, მალვა... შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა". მიჯნური

„ხამს თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს,
არ ბედითად „ჰაის" ზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს,
არსით აჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს,
მისთვის ჭირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს".

ადამიანმა თავისი სატრფო უხერხულ მდგომარეობაში არ უნდა ჩააყენოს სიყვარულის დაუფარავი და უადგილო გამჟღავნებით. ასეთ კაცს, რომელიც შეყვარებულსაც კი სიტყვით არცხვენს (მერე რითღა უნდა ასახელოს?) და გულს სტკენს, ჭკვიანი ადამიანი არ მიენდობა.

მიჯნურის მთელი არსება სატრფოს სიყვარულმა უნდა მოიცვას, რაც „ველად გაჭრას" გულისხმობს. „წმინდანის სამსახური ღმრთისადმი აქ შეცვლილია სატრფოსადმი მიჯნურობით, ხოლო წმინდანის უდაბნოში წასვლა იგივეა, რაც მიჯნურის გაჭრა ველად, სადაც იგი შორით კვდება, შორით ბნდება" (ვ. ბერიძე).

მიჯნურმა სატრფოსაგან არაფერი უნდა მოითხოვოს, თავად კი ყველაფერი მას უნდა მიუძღვნას (სიკეთის უანგაროდ ქმნის ქრისტიანული წარმოდგენის ერთგვარი სახეცვლილება). ყოველივე ეს შუა საუკუნეების რაინდთა ცხოვრების წესი იყო, რაც ასახულია კიდეც „ვეფხისტყაოსანში".

სიყვარული ქრისტიანული აღმსარებლობისა და მსოფლმხედველობის ქვაკუთხედია. რუსთველიც, როგორც ამ აღმსარებლობის მიმდევარი, თავისი შემოქმედებითი ამოცანის გადაწყვეტისას სწორედ ამგვარ წარმოდგენას ეფუძნება.

როგორია სიყვარულის ქრისტიანული გაგება?

ზოგადად ეს ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:

სიყვარულის ქრისტიანული გაგება

სიყვარული თავად ღვთაებაა („ღმერთი სიყუარული არს"), საკუთარ თავში არსებული დაუტეველი სიყვარულით შექმნა ღმერთმა სამყარო (გავიხსენოთ „არა უტევა მან უშობელად თავსა შორის თჳსსა ყოფად, არამედ აღძრა იგი მოქმედების ყოფად ყოველთავე მოქმედებისა აღმატებულებითა") და სწორედ ამ ყოვლისმომცველი სიყვარულით ესწრაფვის სამყარო ღმერთს; სიყვარულია მთელი შექმნილი ბუნების გამამთლიანებელი, ერთმყოფელი და იერარქიის (ჩვენ უკვე ვიცით, რომ სამყარო საფეხურეობრივია) ქვემო სფეროების ამამაღლებელი. ამის შესახებ ფსევდო-დიონისე არეოპაგელი წერს: „არს ტრფიალებაჲ საღმრთოჲ ძალ ერთ-მყოფელ და შემკვრელ და შემზავებელ განყოფილთა ერთ-ყოფად კეთილსა ზედა და სახიერებასა წინაჲთვე ქონებულისა მისთჳს კეთილისა და სახიერებისა და კეთილისაგან და სახიერებისა კეთილსა და სახიერებასა მომცემელობასა, რომლითა იპყრობს ერთ-მოდასეთა ზიარებითსა შინა ურთიერთ არსობასა და აღძრავს პირველთა განმგებელყოფად შემდგომთა და განამტკიცებს უდარესთა მიქცევად უმაღლესთა მიმართ".

სიყვარული – სამყაროს დამბადებელი და გამამთლიანებელი ღვთაებრივი ძალა

მაშასადამე, სიყვარულია საღმრთო ძალა, რომელიც სიმრავლედქცეული სამყაროს ერთ-მყოფელი და გამამთლიანებელია. ის იმთავითვე ღვთაებაში არსებულია. სიყვარული იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე „ერთ-მოდასეთა" ანუ მსგავსი არსის მქონეთა შემაკავშირებელი და განმსაზღვრელია. ეს სიკეთის მომცემელი ძალა განაპირობებს იერარქიის ზედა საფეხურის „გამგებლობას" ქვემოს მიმართ, ხოლო „უდარესთ" კი აღძრავს „მიქცევად უმაღლესთა მიმართ".

დავასკვნათ: სიყვარულია დამბადებელი, საკუთარი არსის შემნარჩუნებელი და სრულქმნილებისაკენ წარმმართველი ღვთაებრივი ძალა. ის მხოლოდ ღვთაებრივია („და ყოვლად კეთილისა და სახიერებისა სასურველ არს ტრფიალებაჲცა და კეთილსა და საჴიერებასა შინა წინაჲთვე დამყარებულ არს და კეთილისა და სახიერებისათვის არს და იქმნების"). სიკეთე, ანუ სახიერება, იგივე ღმერთია და ფსევდო-დიონისე არეოპაგელი სიყვარულს ყოველ

ჯერზე მას აკავშირებს. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სიყვარული ერთია და ერთისგანაა, მაგრამ მას მრავალი გამოვლინება აქვს – ღვთაებრივი სიყვარულიც სამყაროს შექმნის დროს სიმრავლეში გადადის.

სიყვარული რწმენის საფუძველი

სიყვარული რწმენის საფუძველია. როგორც პავლე მოციქული ამბობს: „აღმასრულებელი სჯულისაჲ არს სიყვარული“. ეს განსაცვიფრებელი ძალა არა მხოლოდ ღვთაებრივი შემოქმედების, არამედ ადამიანური შემოქმედებისა და მოქმედების, აღმშენებლობის საფუძველია: „მეცნიერებაჲ განალაღებს, ხოლო სიყუარული აღაშენებს“.

ჩვენ რამდენჯერმე ვახსენეთ პავლე მოციქული, ქრისტიანული რწმენისა და აზროვნების უდიდესი წარმომადგენელი. მის პირველ წერილში კორინთელთა მიმართ ვხვდებით სიყვარულის ამაღლებულ საგალობელს, რაც ზოგადქრისტიანულ თვალსაზრისად შეგვიძლია მივიჩნიოთ: „... სიყუარული თუ არა მაქუნდეს, არა-ვე-რაჲ ვარ. შე-ღათუ-ვაჭამო ყოველი მონაგები ჩემი და მივსცნე ჴორცნი ჩემნი დასაწუელად, და სიყუარული თუ არა მაქუნდეს, არა-ვე-რაჲ სარგებელ არს ჩემდა. სიყუარული სულგრძელ არს და ტკბილ; სიყუარულსა არა ჰშურნ, არა მაღლოინ, არა განლაღნის, არა სარცხვინელ იქმნის, არა ეძიებნ თავისასა, არა განრისხნის, არა შეჰრაცხის ბოროტი. არა უხარინ სიცრუესა ზედა, არამედ უხარის ჭეშმარიტებისა თანა; ყოველსა თავს-იდებნ, ყოველ ჰრწამნ, ყოვლითა ესავნ, ყოველსა მოითმენნ. სიყუარული არსადა დავარდის, წინაჲსწარმეტყველებანი გან-ვე-ქარდენ, გინა თუ ენანი და-ვე-სცხრენ, გინა თუ მეცნიერებანი გან-ვე-ქარდენ“.

პავლე მოციქული სიყვარულის შესახებ

უმთავრესი აზრი, რაც პავლე მოციქულის სიტყვებიდან გამომდინარეობს, ის არის, რომ უსიყვარულოდ ადამიანი არარაობაა, ისევე როგორც ყველაფერი შექმნილი ბუნებაში, რადგან სიყვარული სიკეთესთან და ჭეშმარიტებასთან ნილნაყარია. შეიძლება არაფერი დარჩეს წაუხდენელი და დაუცემელი (არც წინასწარმეტყველება, არც ენები ანუ – სხვადასხვა ხალხი, არც მეცნიერება), მაგრამ სიყვარული მარადიული და დაუმდაბლებლია, მას წარხოცვა არ უწერია. აკი წერია „ვეფხისტყაოსანში“:

„ბრძენთა უთქვამთ სიყვარული, ბოლოდ მისი არ წახდომა“.

რუსთველი აღიარებს ქრისტიანულ სიყვარულს

რუსთველი რომ ქრისტიანულ სიყვარულს აღიარებს, ეს მრავალგზის დასტურდება პოემაში, მაგალითად, თუნდაც ეს სტროფი გავიხსენოთ:

„წაგიკითხავს სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?
ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი მიაფერენ,
„სიყვარული აღგვამაღლებს“, ვით ეჟვანნი ამას ჟღერენ...“

ის, რაც პავლე მოციქულმა სიყვარულის უპირველეს ნიშნებად მიიჩნია, სრულად ახასიათებთ რუსთველის გამორჩეულ გმირებს. ეს ყველაფერი ხომ არ მოასწავებს იმას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მხოლოდ ღვთიურ სიყვარულზეა ლაპარაკი და პოემის მთავარი გმირების მიწიერი ურთიერთობანი თავისთავადი მნიშვნელობისა კი არა, მხოლოდ ზეციური მამის „ტრფობის“ მაუწყებელნი არიან?

რუსთველური სიყვარულის ვახტანგისეული განმარტება

ამგვარი თვალსაზრისი თანამედროვე ადამიანისათვის უჩვეულოა, მაგრამ ქრისტიანული აზროვნებისათვის ეს ისევე ბუნებრივია, როგორც სუნთქვა ცოცხალი არსებებისათვის. გარკვეული რელიგიური აზრით, ადამიანური სიყვარული მხოლოდ „გზა და ხიდია“ ღვთაების სიყვარულისა. ამას გალაკტიონი ასე გვეტყვის: „რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები, მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი, ხელუხლებელი, როგორც მზის სხივი, მიუწვდომელი, როგორც ედემი“. შუა საუკუნეებში სიყვარულის ამგვარი მოაზრება ჩვეულებრივი ამბავი იყო საქართველოშიც. ვახტანგ VI ჩვენ მიერ უკვე ნახსენებ „თარგმანში“ ერთი ცნობილი სტროფის („მიჯნურსა თვალად სიტურფე...“) განმარტებისას გვაუწყებს: „რასაც მიზეზით ეს წიგნი თქვა, ის ამბავი გაათავა, ახლა მეორეთ სამღთოსავ მოჰყუა. აბა, ზოგი ვინმე რომ იტყვის, რუსთვლის ნათქვამში საღმთო არა ურევია რა, მაშ, ეს რა არის. თუ ხორცის მიჯნურობაზედ თქვა, ეს რომლის ხორციელ კაცისაგან იქნება: სიმდიდრე და სიყმე ჰქონდეს და მოცლა. ან ეს როგორ იქნება, მოცლილი იყოს, უთმობდეს და მძლეს მტერს ერეოდეს. მძლის მტრის მორევა და მოთმინება როგორ იქნება. ასრე ახირებულსა და ტყუილს როგორ იტყოდა? მაგრამ ეს საერთოდ არ უთქვამს. სამღვდლოს კაცზედ უთქვამს“. შემდეგი სტროფის ანალიზისას („მიჯნურობა არის ტურფა...“) ვახტანგი პირდაპირ წერს: „...მიჯნურობას საღმთოს მიჯნურობისათვის ამბობს, ძნელი გვარი არისო, აქ აჩენს: მიჯნურობასა და სიძვაში დიდი მზღვარი ძევსო. თუ ქალის მიჯნურობისათვის თქვას, ქალის მიჯნურობასა და სიძვაში რა დიდი ზღვარი ძევს. მაგრამ უბნობს მიჯნურობა სიძვის დარი არ არისო. და დიდი სამძღვარი ძესო. და გეხვეწებათ, ამ ჩემს ნათქვამს წიგნს სოფლის სამიჯნუროდ ნურვინ გახდიო, რომ იმაზე არ მითქვამსო“.

სრულიად ნათელი და გასაგებია ვახტანგის მისწრაფება – იხსნას პოემა ეკლესიის აგრესიულად განწყობილი ფრთის თავდასხმებისაგან. თავად მეფე-პოეტი ასე ხსნის თავის ნაშრომზე მუშაობის დაწყების მიზეზს: „მე ვწერ... გამგებელი ქართლისა ვახტანგ წიგნსა ამას ამისთვის, უცოდინარობითა და სოფლის ნივთთა შემსჭვალვითა სამეძაოდ სთარგმნიდნენ მის რიტორისა და ბრძენ მეცნიერისა კეთილად ნამუშაკევისა სამუშაკოსა“ (უცოდინაროზისა და მიწიერებაში ჩანთქმის გამო მჭევრმეტყველი და ბრძენი კაცის კეთილ საქმეს გარყვნილებად აცხადებდნენო).

უნდა ითქვას, რომ თვითონ ვახტანგსაც თავისი თვალსაზრისი უცილობელ ჭეშმარიტებად არ მიაჩნდა და ამბობდა კიდეც „თარგმანში“: შესაძლოა

ისე არ იყოს, როგორც მე განვმარტეო, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ გამოქვეყნების შემდეგაც ეკლესიის გარკვეულ წრეებს არ შეუსუსტებიათ რუსთველის კრიტიკა.

ტიმოთე გაბაშვილის უარმყოფელი აზრი პოემაზე

ეპისკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი (მე-18 საუკ.) თავის „მიმოსლვაში“ (რომელშიც აღწერა მოგზაურობა იერუსალიმში 1757-1758 წლებში) წერდა:

შოთა რუსთველი იყოო „მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმიდისა წილ ბილწება და განრყვნა ქრისტიანობა. ხოლო უწინარეს ჩვენსა (მხედველობაშია ვახტანგ VI – გ.მ.) უმეცართა საღმრთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი“.

როგორც ვხედავთ, ვნებათაღელვა იმდენად დიდი ყოფილა, რომ თვით ქართველი მეფეც კი „უმეცრად“ არის მოხსენიებული.

უფრო გვიან საქართველოს კათოლიკოსი ანტონ I ამბობდა:

ანტონ კათოლიკოსის ნიჰილიზმი

„შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის მოყუარე ფრიად, ფილოსოფი, მეტყუელი სპარსთა ენის, თუ-სამ ჰსწადოდა (რომ მოენდომებინაო – გ. მ.) ღუთის-მეტყუელიცა მაღალ, უცხო-საკვირველ პიიტიკოს-მესტიხე, მაგრამ ამაოდ დაჰშურა და საწუხარ-არს ესე“.

რუსთველი „ამაოდ დაშვრა“... უცნაური აღსაქმელია, მაგრამ პოემის ანალიზისას ნათელი ხდება, რომ კლერიკალების გულისწყრომა (გავიხსენოთ „პირველთავი დასაწყისიც“!) ფორმალურად გამართლებული იყო – მათ რუსთველური სიყვარული ზედმეტად მიწიერად მიაჩნიათ. როგორც ჩანს, ისინი სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ რუსთველის ნათქვამს, დაფუძნებულს სწორედ ქრისტიანულ ტრადიციაზე: ამქვეყნიური მიჯნურობაც ღვთაებრივიაო („შენ დაჰბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა“). სიყვარული მთლიანია, არსებით ერთია და მისი ისეთი გამოვლინება, რომელიც ზეცის „ბაძვის“ გამომხატველია, არ შეიძლება ღვთის უარმყოფელი იყოს – „ზეცის მბაძავი“ ხორციელი კი არ უპირისპირდება ღვთაებრივს, არამედ გულისხმობს და მიემართება მას. კორნელი კეკელიძე წერდა: „შეყვარებულ ქალ-ვაჟთა რომანტიკული ლტოლვა-მისწრაფებანი... ალეგორიულად წარმოუდგენიათ, როგორც ლტოლვა ადამიანის სულისა ღვთაებისადმი, როგორც „ღვთაებრივი მიჯნურობა“ და სურვილი ღვთაებასთან შერწყმისა და გაერთიანებისა. რუსთველი თავისუფალია როგორც დასავლეთის მისტიკური სქოლასტიკისაგან, ისე აღმოსავლური მისტიკური სუფიზმისაგან“ („მისტიკა“ – იდუმალი ზებუნებრივი სამყაროს რწმენა და წვდომა; „სქოლასტიკა“ – შუა საუკუნეებში გაბატონებული ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც ცდილობდა თეორიულად დაესაბუთებინა ეკლესიის დოგმატები ლოგიკური არგუმენტებით; „სუფიზმი“ – მაჰმადიანობისთვის დამახასიათებელი მისტიკურ-ასკეტური მიმართულება – გ. მ.). ეს ფრაზა დაზუსტებას მოით-

ხოვს: ჭეშმარიტი სიყვარული ღვთის დამკვიდრებაა ადამიანში და, ამ აზრით, მართლაც არის „ლტოლვა ადამიანის სულისა ღვთაებისადმი“.

მაინც როგორია რუსთველური სიყვარული?

რაკიღა ამქვეყნიური ტრფობაც ღვთით მადლცხებულია („შენ დაჰბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა“), ამიტომ რუსთველის გმირებს სწამთ, რომ ჭეშმარიტ სიყვარულს ყოველთვის თან ახლავს ღვთაებრივი შეწევნა. ავთანდილი ფრიდონთან წასვლის წინ პირდაპირ ეუბნება ტარიელს: ღმერთს რომ შენი და ნესტანის საბოლოო განშორება სდომოდა, თავიდანვე არ მიგაახლებდათ ერთმანეთსო:

„ღმერთი მაგას მოწყალეობს, თუმცა ჭირმან არ გაგრიდა;
თუმც უნდოდათ გასაყრელად, პირველ ერთად არ შეგყრიდა“.

მართალია, მიჯნურის ხვედრი ადვილი არ არის, მას შეიძლება მრავალი განსაცდელი შეხვდეს წუთისოფელში, მაგრამ რადგან „ბრძენთა უთქვამთ სიყვარული, ბოლოდ მისი არ წახდომა“ (გავიხსენოთ პავლე მოციქულის სიტყვები „სიყუარული არასადა დავარდის...“), ამიტომ ვინც გასაჭირს გაუძლებს, საბოლოოდ ბედნიერებას ეწევა:

„სდევს მიჯნურსა ფათერაკი, საწუთროსა დაანავღლებს,
მაგრა ბოლოდ ლხინსა მისცემს, ვინაც პირველ ჭირსა გასძლებს!“

სწორედ ამ თვალსაზრისს ეფუძნება ავთანდილის შეურყეველი რწმენა – მას ერთი წამითაც არ ეპარება ეჭვი, რომ ნესტანს იპოვის, თუმცა თავიდან ამის არავითარი წინაპირობა არ არსებობს.

„ღმერთსამცა ესე რად ექმნა, ეგეთნი დაებადენით,
აღარ შეგყარნა, გაგყარნა, ხელი გქმნა ცრემლთა დადენით!
სდევს ფათერაკი მიჯნურსა, გაჭვრიტეთ, გაიცადენით,
თქვენ ერთმანეთი არ მოგხვდეს, მე სულნი ამომხადენით!“

– ეუბნება იგი ტარიელს. ბუნებრივია, სიყვარულის „არ წახდომა“ და გამარჯვება, რწმენასთან ერთად, გამორჩეულ ნებისყოფასაც ეფუძნება. როგორც გვახსოვს, ეს საგანგებოდაა აღნიშნული სტროფში „მიჯნურსა თვალად სიტურფე...“

იდეალური სიყვარული სრულქმნილი ადამიანის თვისებაა

რაკი ეს სტროფი გავიხსენეთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ, რუსთველის აზრით, სრულქმნილი სიყვარული მხოლოდ სრულქმნილი ადამიანის თვისებაა. „ვეფხისტყაოსნის“ გამორჩეული გმირები გამოუკლებლივ არიან დაჯილდოებულნი იმ თვისებებით, რაც, რუსთველის ფიქრით, ჭეშმარიტ მიჯნურთ მოეთხოვე-

ბათ: ისინი არაამქვეყნიური მშვენიერებით გამოირჩევიან და, ამის გარდა, გარშემო მყოფთ საკუთარი სიბრძნით, სიუხვით, სიკეთით, ენატკბილობით, ნებისყოფითა და ვაჟკაცობითაც აოცებენ. მთელ პოემაშია დაცული სიყვარულის მალვის ტენდენცია, რაც პროლოგშივე გაცხადებულია.

გარდა ამისა, ნამდვილი სიყვარული მხოლოდ სიტყვებით კი არა, სასიკეთოდ წარმართულ ქცევაში უნდა მჟღავნდებოდეს – ეს აშკარადაა გამოკვეთილი „ვეფხისტყაოსანში".

როდესაც თინათინი ავთანდილს უცხო მოყმის საძებნელად აგზავნის, ჩვენ ვგრძნობთ, რომ სახიფათო მოგზაურობისას გამოიცდება არა მხოლოდ ჭაბუკი სპასპეტის ვაჟკაცობა, რაინდული თავდადება და ნებისყოფა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, მისი სიყვარული. სიყვარულის ერთი დიდი გამოვლინება ის არის, რომ (ჩვენ ეს უკვე ვიცით) ის, შემოქმედების საწყისთან ერთად, მოქმედების საწყისიცაა. ეს მოქმედება კი სიკეთის ქმნადობისკენაა მიმართული. სიკეთის კეთება სიყვარულის სამსხვერპლოზე მიტანილი ძღვენია. სატრფოს ერთგულებას იმით უმტკიცებენ, რომ საგმირო და სასიკეთო საქმეებს სჩადიან (გავიხსენოთ, რომ დიდებული და უცნაური დონ-კიხოტი თვით არარსებული დულსინეასთვის სწირავდა თავს). ნესტანი არაორაზროვნად უცხადებს სიყვარულისაგან დაბნედილ ტარიელს:

„ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?
სჯობს საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია!"

სიყვარული იმდენად ამამაღლებელი გრძნობაა, რომ ზოგჯერ შეყვარებული კაცი, ერთი შეხედვით, საკუთარ თავსაც კი უარყოფს. რატომ „ერთი შეხედვით"? ან განა „საკუთარი თავის უარყოფით" შეიძლება რაიმე ამაღლდეს? საქმე ის არის, რომ სიყვარულით დაიძლევა ადამიანის მიწიერი ბუნების შეზღუდულობა და პიროვნების ქცევა ღვთაებრიობამდე მაღლდება. ადამიანებს ხშირად უკვირთ, როდესაც ესა თუ ის კაცი სხვისთვის ირჯება და საკუთარ თავს კი ივიწყებს, მაგრამ სიყვარულია სწორედ ის ძალა, რომელიც საოცარი სიცხადით წარმოაჩენს რუსთველური სიტყვების ჭეშმარიტებას:

„რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია".

სიყვარული და თვითშეწირვა

თვითშეწირვა ერთი უმაღლესი ადამიანური უნარია, რომელიც თავისთავად არ ჩნდება – მას მხოლოდ სიყვარული დაბადებს.

განვიხილოთ ამის დამამტკიცებელი ორიოდე მაგალითი.

ავთანდილი გამოქვაბულში ტარიელთან პირველი შეხვედრისას გაოგნებული ისმენს ინდოელის ნაამბობს. ის სულით ხორცამდე შეძრა შეყვარებულთა ტრაგედიამ და მიუხედავად იმისა, რომ თავად თითქმის სამი წლის განმავლობაში არ უხილავს სატრფო, ტარიელს ეუბნება:

„რა აქიმი დასნეულდეს, რაზომ გინდა საქებარი,
მან სხვა უხმოს მკურნალი და მაჯასისა შემტყვებარი,
მას უამბოს, რაცა სჭირდეს, სენი, ცეცხლთა მომდებარი:
სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი...
რომე აქათ არ წახვიდე, შენ თუ ამას შემეპირო,
მეცა ფიცით შეგაჯერო, არასათვის არ გაგწირო,
კვლავ მოვიდე შენად ნახვად, შენთვის მოვკვდე, შენთვის ვირო,
ღმერთსა უნდა, ვისთვის ჰკვდები, მისთვის ეგრე არ გატირო!“

ავთანდილის თვითშენირვა

ზნეობრივი სიმაღლის თვალსაზრისით, კიდევ უფრო გასაოცარია ის სიტყვები, რომლებიც ავთანდილი ტარიელს მიმართავს გაცნობისას – ამ დროს მან ჯერ კიდევ არ იცის ინდოელი ჭაბუკის ამბავი:

„ამა დღემან დამავიწყა, გული ჩემი ვინ დაბინდა;
დამიგდია სამსახური, იგი იქმნას, რაცა გინდა;
იაგუნდი ეგრეცა სჯობს, ათასჯერმცა მინა მინდა,
შენ გეახლო სიკვდილამდის, ამის მეტი არა მინდა!“

აქ გამჭვირვალე სახისმეტყველებაა:
იაგუნდი ძვირფასი თვალია და აქ, სიმბოლურად, არაბეთში თინათინთან ერთად ბედნიერ ცხოვრებას განასახიერებს, ხოლო მინა, რომელიც იაგუნდთან ახლოსაც ვერ მივა თავისი ღირებულებით, ამ შემთხვევაში ტარიელის ფათერაკიანი ყოფისა და განსაცდელის გაზიარებას ნიშნავს: ავთანდილი „მინას“ ირჩევს.

სიყვარული და მეგობრობა

ნუთუ „ვეფხისტყაოსანში“ მეგობრობა სიყვარულზე მაღლა დგას?

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ეს ასე არ არის. ავთანდილი იმიტომ კი არ ირჩევს „მინას“, რომ მეგობრობა „მეტობს“ სიყვარულს, არამედ იმიტომ, რომ მიჯნურობა, თავისი ღვთაებრივი ბუნების გამო, შეაძლებინებს საკუთარი ბედნიერება უარყოს მოყვასის სასარგებლოდ. ტარიელი ყველაზე უკეთ ხვდება ამას და სწორედ ამიტომ ამბობს:

„...მე შენი გული აწ მემხურვალების;
მიკვირს, თუ ნაცვლად მაგისად შენ ჩემი არ გევალების!
მაგრამ წესია, მიჯნური მიჯნურსა შეებრალების“.

მიზანი, ამოცანა და შესრულება
(ავთანდილის ანდერძი)

პიროვნება და მისი ცხოვრება – ნებისმიერი გამოხატულებით – მუდმივად რუსთველის ყურადღების ცენტრში დგას. კაცის ფიქრი, სიტყვა თუ მოქმედება ვეფხისტყაოსანში ყოველთვის დახვეწილი მოტივაციით არის წარმოდგენილი და უპასუხო კითხვებს არ ტოვებს. „რაცა ოდენ თქვან ნათელად", უპირველესად, იქნებ სწორედ ამ პოემას ეხებოდეს.

აი, ახლა, ამწუთას, ავთანდილი თავის მაგიდას მიუჯდა, კალამი აიღო და ანდერძის წერას იწყებს. მოდი, რამდენიმე კითხვა დავსვათ და შევეცადოთ მათ ვუპასუხოთ.

რა მიზანი აქვს მას – რატომ წერს ამ ანდერძს?

ავთანდილი შორეულ და სახიფათო გზას ადგას. უკან მშვიდობიანად დაბრუნების გარანტია არ არსებობს. არაბ სარდალს თავის სამშობლოში რჩება ყველა და ყველაფერი, ვისაც და რასაც მას შეუძლია „ძვირფასი" უწოდოს. შესაძლოა, ის მათ საბოლოოდ ემშვიდობება და ვეღარასდროს ნახავს.

რა თქმა უნდა, ავთანდილისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ ყველაფრის სულიერი ვალი არ დარჩეს – გამოხატოს მადლიერება, სიყვარული და პიროვნული ნება. ამას ის, პირველ რიგში, როსტევანის, საკუთარი აღმზრდელისა და მეფის, მიმართ აკეთებს. ანდერძის დამწერი, ასევე, ნათელყოფს, რომ სამშობლოს დატოვების უცნაური გადაწყვეტილება მისი პირადი და გაცნობიერებული არჩევანია.

რა ამოცანა აქვს ავთანდილს?

ეს ამოცანა, გადაწყვეტილების მსგავსად, უცნაური და საკამათო ჩანს – ავთანდილმა როსტევანი უნდა დაარწმუნოს, რომ სიკეთეს გააკეთებს, თუ დატოვებს სამშობლოს, მეფეს, სამსახურს, სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობას და გაურკვეველი ვადით გაემგზავრება ვიღაც უცხო ადამიანის დასახმარებლად, რომლის ბედიც სულ ცოტა ხნის წინ მისთვის არაფერს ნიშნავდა.

ცხადია, ეს რთული ამოცანაა, რადგან თავისი არსებით მარტივ თეზისამდე დაიყვანება – ღირსეული ცხოვრების პრინციპი აღემატება ადამიანის კეთილდღეობას.

ავთანდილი ტოვებს უდრტვინველ, ბედნიერ ყოფას და უკიდურესად ფათერაკიან, შესაძლოა – სიკვდილთან წილნაყარ, გზას დაადგება, რადგან მას სწამს, რომ არაფერია ამქვეყნად ადამიანზე, პიროვნებაზე და მისთვის სიკეთის გაკეთებაზე მნიშვნელოვანი. არ არსებობს კაცის უფრო მაღალი მოვალეობა, ვიდრე ის, რომ მოყვასისთვის თავი გადადოს. ეს სახარებისეული იდეა ანდერძის მთავარი გასაღებია. გარდა ამისა, სწორედ ამ იდეას – ადამიანის, როგორც უმაღლესი ღირებულების, პირველადობას – ეფუძნება განვითარების ევროპული გზა.

როგორ აღასრულებს ავთანდილი თავის გადაწყვეტილებას, რომ ამოცანა გადაჭრას და მიზანს მიაღწიოს?

ის ადამიანის ცხოვრების განმსაზღვრელ რამდენიმე იდეასთან საკუთარ დამოკიდებულებას აყალიბებს და როსტევანს უსაბუთებს არჩეული გადაწყვეტილების მართებულობას. ეს ცნებებია: „სიმართლე", „განათლება", „სიყვარული"„ღმერთი", „ადამიანის ნება", „სიკვდილი", „სახელი (ღირსება)".

სიმართლე – ადამიანი ღვთის ხატად და მსგავსად არის შექმნილი და რაკი ღმერთი ჭეშმარიტებაა, სიცრუე მისგან განდგომა და ღვთის ხატების დაკარგვაა. ამ გზაზე დამდგარი ადამიანი ჯერ მინიერ ცხოვრებას წაიხდენს და შემდეგ – ზეციურსაც („სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე – სულსა").

განათლება – რატომ სწავლობს ადამიანი, რისთვის ირჯება? ამას ერთადერთი მიზანი აქვს – შეიმეცნოს საკუთარი თავი და, ამასთან ერთად – მთელი სამყარო. გააცნობიეროს, რომ ეს სამყარო ღვთისგან შექმნილი წესრიგია და თავადაც ჩაერთოს ამ წესრიგში. თუ ადამიანმა მიღებული ცოდნა საკუთარი ცხოვრების მთავარ გზამკვლევად არ გაიხადა, რაღა აზრი ექნება ასეთ განათლებას? („არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა, მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა").

სიყვარული – სიყვარულით შეიქმნა და სიყვარულით ცოცხლობს სამყარო. სიყვარული თავად ღმერთია – ესეც სახარებისეული იდეაა. კაცი ადამიანურ ბუნებას კარგავს, თუ უსიყვარულოდ რჩება ამქვეყნად. მაგრამ სიყვარული არ არის მხოლოდ წიგნებში წასაკითხი თეორია. ის ცხოვრების მთავარ პრინციპად უნდა იქცეს, რომ ადამიანის რწმენა უფესვო ყვავილად არ იქცეს – პირველივე ქარს რომ შეეწირება. სიყვარული მხოლოდ ჭვრეტის კი არა, მოქმედების საწყისიც არის. ვინც სიყვარულით არ მოქმედებს, ცუდად – უმიზნოდ და უშედეგოდ – ირჯება. თუ, როგორც მათეს სახარება გვამცნობს, ამქვეყნად ადამიანის მთავარი მოწოდება ღმერთს მიმსგავსებაა, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ სიყვარულის გარეშე ეს მიზანი სრულიად მიუღწეველია. ავთანდილს სჯერა, რომ როსტევანი, როგორც განათლებული ადამიანი, ვერ გაიკცხავს მის საქციელს, რომელიც სწორედ სიყვარულის სიყვარულით აღსრულებას გულისხმობს.

ღმერთი და ადამიანის ნება – ავთანდილი არ აღიარებს ბედისწერას, მაგრამ სწამს განგებისა, რაც ღვთის ნებას ნიშნავს. „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების", მაგრამ რაც მისგან დაშვებულია, აღსასრულებლად მაინც მოითხოვს ადამიანის მტკიცე ნებას („სადა გინდ ვიყო, რა მგამა, ყოფამცა მქონდა ნებისა!"). ამიტომაც წერია ერთგან ვეფხისტყაოსანში: „ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების!" არაბ სარდალს სჯერა, რომ რაკი ის სიყვარულიან კეთილ საქმეს აღასრულებს, უფალი მუდმივად შეეწევა და მის განცდას არც ერთი წამით არ დაკარგავს.

სიკვდილი – ავთანდილი რაციონალური ადამიანია და სიკვდილთან მისი დამოკიდებულებაც ამას მოწმობს. მან იცის, რომ ისეთ გზას ადგას,

რომელზეც სიკვდილი ყოველ ნაბიჯზე ელოდება. თუმცა ეს მასში შიშს კი არ აღძრავს, რაც უმოქმედობის პირველი წინაპირობაა, არამედ – გაცნობიერებულ სიფრთხილესა და კეთილგონიერებას. მას არ ეშინია, მაგრამ მუდმივად მზად არის სიკვდილთან შესახვედრად – განა ეს ნებისმიერი მოკვდავის უცილობელი ხვედრი არ არის – მაშ, რაღა აზრი აქვს უაზრო წუწუნსა და მუდმივ გოდებას? სჯობს ადამიანმა ისე იცხოვროს, რომ სიკვდილს მშვიდად და ღირსეულად შეხვდეს.

სახელი (ღირსება) – მთავარი ის კი არ არის, რამდენ ხანს ცოცხლობ, არამედ ის, თუ როგორ ცხოვრობ. ავთანდილისთვის უღირსებო ცხოვრება უკიდურესად სათაკილოა და ასეთ „არსებობას“ სიკვდილს ამჯობინებს („მე მეშინია იმგვარ სიცოცხლის, სიკვდილს რომ ჰგავს და უარესია“ – გალაკტიონი). ადამიანს ყველგან წინ უძღვის მისი სახელი. ეს არის იდეა, რომელიც ფიზიკურ არსებობას აღემატება, ამიტომ ავთანდილისთვის სახელის მოხვეჭა ნებისმიერ სხვა სარგებელზე უმთავრესია.

ანდერძში გამოსჭვივის ადამიანის სულის მარადიულობის რწმენა („დამხსნას ხორცსა და სოფელსა, სხვად ნურას შევიცვალები“). ავთანდილის ფიქრს, მსჯელობასა და საქციელსაც სწორედ ეს რწმენა განსაზღვრავს – მარადისობის სირცხვილი ხომ ათასწილ აღემატება კაცის ამქვეყნიურ სირცხვილსა თუ სარგებელს. ერთგან არაბი ჭაბუკი ამბობს: „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვკრებ კიტრად ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“. ავთანდილი მარადისობის შვილია და ისე ფიქრობს და იქცევა, როგორც მარადისობას ეკადრება. ამიტომაც გაუგებს მას როსტევანი.

არაბეთის მეფეს, როგორც ასეთი კაცის აღმზრდელს, მხოლოდ სიამაყის ცრემლი თუ მოეძალებოდა ავთანდილთან განშორების გამო – ცრემლი, რომელშიც მათი მომავალი ბედნიერი შეხვედრის გარდაუვალობის იმედი ჩანს.

ნესტანის თვითშეწირვა

თუ ამ დროს ადამიანი მეგობრის გულისათვის თმობს საკუთარ სიყვარულს, სხვა შემთხვევაში ეს სამშობლოსათვის კეთდება. ნესტანი ციხიდან სწერს ტარიელს:

„წადი, ინდოეთს მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით ხელ-აღუპყრობელსა“.

ძალიან ძნელია ნესტანისათვის ამ სიტყვების დაწერა – გათავისუფლებაზე უარის თქმით ის სატრფოსაც კარგავს, სამშობლოსაც და საკუთარ სიცოცხლესაც (მას უტარიელოდ ცხოვრება არ შეუძლია), მაგრამ ჭეშმარიტი სიყვარული უდიდეს სულიერ სიმაღლეს ანიჭებს ადამიანს, ისეთ ნაბიჯს გადაადგმევინებს, რასაც „ჩვეულებრივი მოკვდავი“ ვერ შეძლებს.

ზემოთქმულს უკავშირდება „ვეფხისტყაოსნის“ კიდევ ერთი ეპიზოდი. მისი გაცნობისას ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, თუ როგორია ჭეშმარიტი სიყვარული.

დიდ რუს მწერალს, ლევ ტოლსტოის, ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „სიყვარული ნიშნავს ცოცხლობდე იმის სიცოცხლით, ვინც გიყვარს“. „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენთვის საინტერესო ადგილის გაცნობისას ადვილად დავრწმუნდებით, რომ არის მარადიული ჭეშმარიტებები, რომლებსაც სხვადასხვა დროისა და ეპოქის ჰუმანისტები თანაბრად სწვდებიან.

ავთანდილი უცხო მოყმის მოძებნის შემდეგ არაბეთში დაბრუნდა. სამი წლის აუტანელ განშორებას სამშობლოს, მეფე-პატრონისა და სატრფოს ხილვის ბედნიერება შეენაცვლა. ძალიან შთამბეჭდავია ავთანდილისა და თინათინის ოფიციალური შეხვედრის სცენა. შეყვარებულები უზარმაზარ სამეფო დარბაზში ხვდებიან ერთმანეთს. რუსთველს სურს გვაუწყოს, რაგვარად უხარიათ მათ ერთმანეთის ხილვა და პოეტი მართლაც დიდებულ მხატვრულ სახეს ქმნის:

„მას ავთანდილ თაყვანის-სცა, ლომთა ლომმან – მზეთა-მზესა.
მუნდ ბროლი და ვარდ-გიშერი გაეტურფა სინაზესა.
პირი მისი უნათლეა სინათლესა ზესთა-ზესა,
სახლ-საყოფი არა ჰმართებს, ცამცა გაიდარბაზესა!“

თავად მშვენიერებაა დაბუდებული ამ სიტყვებში! შეყვარებულთა ბედნიერებას ველარ იტევს სამეფო დარბაზი. დედამიწასაც არ ძალუძს ამ სიხარულის დატევა და რუსთველი გვეუბნება, რომ მთელი სამყარო მოიცავა ორი სრულქმნილი ადამიანის ტრფიალებამ – ზეცა გადაიქცა მათი ღვთიური შეხვედრის დარბაზად: „სახლ-საყოფი არა ჰმართებს, ცამცა გაიდარბაზესა!“

თინათინის დიდსულოვნება

პირისპირ შეხვედრისას ავთანდილმა თინათინს „წვრილად ჰკადრა, რა იცოდა, რა ნახულად, რა ნასმენად“. სპასპეტი დიდი გატაცებით უყვებოდა სატრფოს ნანახისა და განცდილის შესახებ, მაგრამ იმის თქმას კი ვერ უბედავდა, რომ კვლავ უკან უნდა მიბრუნებულიყო, რათა გასაჭირში ჩავარდნილ ტარიელს დახმარებოდა. ცხადია, ეძნელებოდა ავთანდილს ამაზე ლაპარაკის ჩამოგდება, რადგან სამი წლის უნახავ ძვირფას ადამიანს შეყვარებული გაჭირვებით თუ ჰკადრებს: ისევ უნდა მიგატოვოო. ცუდ დღეშია ავთანდილი, მაგრამ ისევ სატრფო უშველის: თინათინი მიხვდება, რაც სჭირს არაბ ჭაბუკს, რაც უმძიმს (ტარიელზე დიდი სიყვარულით საუბრის შემდეგ ავთანდილის განზრახვის ამოცნობა არ გაუძნელდებოდა მეფეს). მისთვის აუტანელია იმის გაფიქრება, რომ კვლავ დიდი ხნით ველარ იხილოს ავთანდილი, მაგრამ „სიყვარული ნიშნავს ცოცხლობდე იმის სიცოცხლით, ვინც გიყვარს“ (გავიხსენოთ პავლე მოციქულის სიტყვებიც: სიყვარული „არა ეძიებს თავისასა“) და თინათინიც ისეთ შეკითხვას დაუსვამს სატრფოს, რომ მას სათქმელი გაუადვილოს:

„ქალსა რა ესმა ამბავი, მიხვდა წადილი ნებისა,
განათლდა პირი მთვარისა, ვით ნათლად ნავანებისა;
იტყვის: „რა ვუთხრა პასუხი მას სათნებლისა თნებისა,
რაა წამალი მისისა წყლულისა განკურნებისა?“

ავთანდილს აღარ უმძიმს პასუხის გაცემა:

„დრო დამიც ჩემგან მისვლისა, მითქვამს დადება თავისა,
მზე შემიფიცავს თავისა, ჩემგან მზედ სახედავისა“.

თინათინი უწონებს ჭაბუკს რაინდულ ზრახვას:

„შენ არ-გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა, ფიცისა,
ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა“.

უფრო ადრე მეფე და სატრფო ეუბნება ავთანდილს:

„ზრდა სიყვარულისა გაქვს ჩემგან დანერგულისა“.

ერთი შეხედვით, გაუგებარი ფრაზაა. იმ ახალი შეხვედრის დროს მოსაუბრეებს არც ერთხელ არ ჩამოუგდიათ სიტყვა სიყვარულზე – რით დაასკვნა თინათინმა, რომ მის სატრფოს მიჯნურობის გრძნობა უფრო მოჰმატებია? მის სიტყვებს მხოლოდ ასეთი ახსნა შეიძლება ჰქონდეს: თინათინი „სიყვარულის ზრდას“ ავთანდილის კეთილშობილურ განაზრახში (უცხო მოყმის დახმარების სურვილში) ხედავს – ტრფიალება ხომ აღამაღლებს.

სიცოცხლის მოთმენა

რუსთველის გმირებისათვის უსიყვარულოდ ცხოვრებას ყოველგვარი აზრი ეკარგება. ნესტანის დამკარგავი ტარიელი სიცოცხლის „მოთმენაზეც“ კი ლაპარაკობს. დავაკვირდეთ, რა უჩვეულოდ ჟღერს ერთმანეთის გვერდით ეს ორი სიტყვა: „სიცოცხლე“ და „მოთმენა“:

„მისსა ვერ იტყვის ქებასა ყოველი ბრძენთა ენები;
მას, დაკარგულსა, ვიგონებ მე, სიცოცხლისა მთმენები;
მას აქათ ვახლავ ნადირთა, თავის მათებრვე მხსენები,
სხვად არა ვიაჯ ღმრთისაგან, ვარ სიკვდილისა მქენები“.

სიყვარულის ორსახოვნება

როგორც ვხედავთ, რუსთველისათვის სიყვარული მხოლოდ ბედნიერების მომტანი გრძნობა არ არის, მას შეიძლება უდიდესი სევდაც თან ახლდეს. ამადაც აცხადებს პოეტი:

„..სიყვარული კაცსა შეიქმს გულ-მოკლულად“.

„ვეფხისტყაოსნობა – სიყვარულის ტრაგიზმი

სიყვარულის ასეთი ორსახოვნება (ბედნიერება და სევდის, სიხარულისა და ტანჯვის ერთობლიობა) ამქვეყნიური დაპირისპირებულობის, ანტინომიის ბუნებრივი გამოვლინებაა. ამ მოვლენაზე ჩვენ საგანგებოდ ვისაუბრებთ ქვემოთ, ამჯერად კი შევნიშნოთ, რომ თავად სათაური ნაწარმოებისა – „ვეფხისტყაოსანი“ – მომცველია სიყვარულის ტრაგიზმისა (რევაზ სირაძე). „ვეფხისტყაოსანი“ რაინდი რუსთველს არ შეუქმნია – ასეთ გმირებს ადრევე იცნობდა ლიტერატურის ისტორია. ვეფხის ტყავს ატარებენ ისეთი ცნობილი ლიტერატურული პერსონაჟები, როგორებიც არიან იაზონი (არგონავტების მითი) და როსტომი (ფირდოუსის „შაჰნამე“). ვეფხისტყაოსნობა სიმბოლურად მაძიებლობას ნიშნავს – დაკარგულის მოძებნას. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ვეფხის ტყავი ყვითელი და შავი ფერების ერთობლიობაა, ხოლო ამ ფერებს სრულიად გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ: ყვითელი სევდასა და განშორებას განასახიერებს, ხოლო შავი – უბედურებასა და გასაჭირს. (ჩვენთვის არატრადიციულ გარემოში ამ ფერებს შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობაც ჰქონდეს). მაშასადამე, ვეფხის ტყავი, რომლითაც შემოსილია ტარიელი, განშორების სევდასთან და დიდ გასაჭირთან წილნაყარ მაძიებელ კაცს განასახიერებს.

საიდან მოდის ეს მხატვრული სახე? ვეფხისტყაოსან რაინდს ჩვენ პოემის დასაწყისშივე ვხვდებით („ნახეს უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა... მას ტანსა კაბა ემოსა გარე-თმა ვეფხის ტყავისა, ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა“), მაგრამ ამ დროს ჯერ არ ვიცით, რატომ ატარებს უცხო მოყმე ასეთ უცნაურ სამოსს. საიდუმლო მოგვიანებით გაცხადდება:

ტარიელმა, მისდაუნებურად, მეფე-დედოფალს ნესტანის გათხოვებაზე დასტური მისცა. ნესტანი თავზარდაცემულია ამ ამბით – მას ჰგონია, რომ სატრფომ სიყვარულის ფიცი გატეხა და უღალატა. ინდოეთის მეფის ასული იბარებს ტარიელს და განრისხებული ხვდება მას. ამირბარი იგონებს:

„ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირ-გამეხებული“.

ნესტანი და ვეფხის სახება

პირველად სწორედ აქ ასოცირდება ტარიელის გონებაში ნესტანი და ვეფხის სახება. ეს შთაბეჭდილება წარუშლელი აღმოჩნდება. ინდოელი ჭაბუკისათვის უნესტანობა აუტანელი გამხდარა და ის ცდილობს სიმბოლური ზმანებით (სატრფოს მოსვენებითი სულიერი თანყოფნით – ვეფხისტყაოსნობით) გაიქარწყლოს სევდა. ვეფხის ტყავი, ვითარცა ნესტანის სახება, ყოველთვის მასთანაა. ტარიელი ამას ასე აუწყებს ავთანდილს.

„რომე ვეფხი შვენიერი, სახედ მისად დამისახავს,
ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს“.

აქვე უნდა გავიხსენოთ ტარიელის სამიჯნურო იდუმალებით აღსავსე სიტყვები:

„ხრმალი გავსტყორცნე, გარდვიჭერ, ვეფხი შევიპყარ ხელითა,
მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა“.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირები ძალიან მტკივნეულად განიცდიან სატრფოსაგან შორს ყოფნას. მაგალითად, თინათინს განშორებული ავთანდილისათვის უძვირფასესი ადამიანის სახეს მთელი კოსმოსური სივრცე დაუფარავს, მთლად ბუნებაში განფენილა და ვარსკვლავებში განსხეულებულა:

„რა შეუღამდის, ვარსკვლავთა ამოსლვა ეამებოდის,
მას ამსგავსებდის, ილხენდის, უჭვრეტდის, ეუბნებოდის“.

დიდებული და ამაღლებული სურათია გადმოცემული უზომო სევდით შეპყრობილი მიჯნურის იდუმალი ხილვისა.

სევდა პოემაში

საზოგადოდ, მთელ პოემაში ამ სევდის, როგორც ყოვლისმომცველი გრძნობის, გამოხატულებაა ტირილი. თანამედროვე მკითხველს უჭირს რუსთველის ნაწარმოებში დაღვრილი ამდენი ცრემლის ესთეტიკური აღქმა – დიდი მგრძნობელობა ჩვენი რაციონალური ეპოქის დამახასიათებელ თვისებად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ამან არ უნდა შეგვიშალოს ხელი, რომ დავინახოთ, რა ფუნქცია აქვს ტირილს „ვეფხისტყაოსანში“. რუსთველის გმირების სიყვარული მიჯნურთა (ან მეგობართა) მიმართ იმდენად მოზღვავებულია, ზეადამიანურია, რომ ხშირად ნებისყოფას უჭირს მასთან ჭიდილი (შესაძლოა, არც სურს, რადგან ბუნებრივი ადამიანური გრძნობის გამჟღავნება არცაა საძრახისი). ამის გამო ისინი ჟამითი-ჟამად ცრემლით წარდგებიან მკითხველის წინაშე.

„მობრუნდეს, ყმამან ავთანდილს ხელი შეუპყრა ხელითა,
ერთგან დასხდეს და იტირეს დიდხანს ცრემლითა ცხელითა“.
ან:
„ღილ-ჩახსნილი საამბობლად დაჯდა, მხარნი ამოყარნა,
ვითა მზე ჯდა მოღრუბლებით, დიდხანს შუქნი არ ადარნა;
ვერ გაახვნა სასაუბროდ მან ბაგენი, გაამყარნა,
მერმე სულთქვნა, დაიზახნა, ცრემლნი ცხელნი გარდმოყარნა“.

ეს ცრემლები სხვა არაფერია, თუ არა უღრმესი სევდის გარეგნული გამოხატულება. სული არ ჩანს, მისი დანახვა შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ მას

შევიგრძნობთ ადამიანურ გრძნობებში – ცრემლი სულის თვალსაჩინოებაა (ისევე როგორც ქცევა, მეტყველება და ბევრი სხვა რამ).

რუსთველის იდეალურ გმირებს საყვარელი ადამიანის მუდამ „თანყოფნის“ ერთი ნატიფი გამოხატულება აქვთ: მათ ყოველთვის თან დააქვთ სატრფოს მიერ ნაჩუქარი ნივთი, რომელშიც თითქოს მისი სულია „შესახლებული“ და მარტოობის განცდას აქარწყლებს. ნესტანს აქვს ტარიელის ნაჩუქარი ყაბაჩა და რიდე, ტარიელს – ნესტანის ნაქონი სამკლაური, ავთანდილს – თინათინისაგან ნაბოძები მარგალიტის მძივი. ეს ნივთები პოემის გმირებს ყოველთვის აგონებენ ძვირფას ადამიანებს.

მრავლისმეტყველია „ვეფხისტყაოსანში“ სიყვარულის პირველი გაცხადების სცენები, როდესაც მიჯნურნი ერთმანეთის პირისპირ წარდგებიან. ნესტანისა და ტარიელის პირველი ასეთი შეხვედრა დუმილით მთავრდება. ტარიელი იგონებს:

„დიდხანს ვდეგ და არა მითხრა სიტყვა მისსა მონასურსა;
ოდენ ტკბილად შემომხედნის, ვითამცა რა შინაურსა;
ასმათ უხმო, მოიუბნეს, ქალი მოდგა, მითხრა ყურსა:
„ან წადიო, ვერას გითხრობს“, მე კვლა მიმცა ალმან მურსა“.

დუმილის ესთეტიკა

ის რომ შეყვარებულები ამ შეხვედრის დროს ერთმანეთს ვერაფერს ეუბნებიან, სრულიადაც არ არის შემთხვევითი. აქ გარკვეული კანონზომიერებაა. დუმილი ყოველთვის არ ნიშნავს სათქმელის უქონლობას – ის ზოგჯერ უმნიშვნელოვანესი და დიდებული აზრის ვერთქმა თუ ართქმაცაა. აზრის ყალიბი, მისი ფორმა სიტყვაა. მაგრამ აზრი უფრო მეტია, ვიდრე სიტყვა. სიტყვა აზრის გამოხატულებაა, მისი სახეა. გამოსახატი ყოველთვის მეტია გამოხატულებაზე, ხოლო პირველსახე – სახეზე. თუ აზრის სრულად გამოხატვა თავისთავად ძნელი რამ არის, მით უმეტეს ითქმის ეს გრძნობაზე – გრძნობის წარმოდგენა და გამოხატვა ლოგოსით (სიტყვით) თითქმის შეუძლებელია; სიტყვა სრულად, მთლიანად ვერასდროს მოახერხებს გრძნობის ასახვას. სიტყვაში წარმოჩენილი გრძნობა დაშორებულია თავის ჭეშმარიტ არსებას და დაკნინებულია: ამიტომაც იმეორებს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ გიორგი მერჩულე სოლომონ ბრძენის ცნობილ სიტყვებს: „ბრძნად მეტყუელებაჲ ვეცხლი არს წმიდაჲ, ხოლო დუმილი – ოქროჲ რჩეული“. სიტყვა ვერცხლია, დუმილი – ოქრო, მჭევრმეტყველება მშვენიერების განსახიერებაა, დუმილი – აღმატებული დიდებულებისა, სისრულისა.

თამარ მეფის მეხოტბეც, როდესაც სიტყვის შესაძლებლობებს ამოწურავს (ზღვარგადასულ ხოტბას ასხამს თამარის სრულქმნილებას), აცხადებს: შვიდმნათობიერი მეფის სახე მხოლოდ დუმილში თუ განიცდებაო. დუმილის არსი კარგად ჩანს ნ. ბარათაშვილის ლექსში „ჩემი ლოცვა“. პოეტი ღვთაებას ასე მიმართავს:

„გულთა-მხილავო, ცხად არს შენდა გულისა სიღრმე:
შენ უწინარეს ჩემსა უწყი, რაც ვიზრახო მე
და ჩემთა ბაგეთ რაღა დაუშთთ შენდა სათქმელად?
მაშა დუმილიც მიმითვალენ შენდამი ლოცვად!"

სხვა უამრავი მაგალითის დასახელებაც შეიძლება – ამჯერად კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მსჯელობა გავიხსენოთ.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელი (ჩვენ, ალბათ, თანდათანობით ვგრძნობთ რა დიდ გავლენას ახდენდა იგი ქართული – და არა მხოლოდ ქართული – აზროვნების განვითარებაზე) დუმილს ღვთიური საუფლოს თვისებად მიიჩნევს. რაც უფრო მაღლა „ავდივართ" იერარქიის საფეხურებზე, მით უფრო „მატულობს" დუმილი. და პირიქით, რაც უფრო „დაბლა" ვეშვებით, მრავალსიტყვაობის ტყვეობაში ვხვდებით.

„ვინაჲთგან რაოდენ აღმართ აღვიხილვიდეთ, ესოდენ სიტყუანი პირებსა საცნაურთასა შემოჰკრებენ, ვითარ ესე აწ, რაჟამს ზეშთაგონებისასა მას ნისლსა შევიდოდეთ, არღარა მცირედ სიტყუაობასა, არამედ ყოვლითურთსა უტყუებასა და მოუგონებლობასა ვჰპოებთ. რამეთუ მუნ რაჟამს ზენათაგან უკუანაჲსკნელთა მიმართ შთამოვიდოდის სიტყუაჲ რაოდენობისაებრ შთამომავლობისა შესამსგავსსა სიმრავლესა ზედა მოქადულობს, ხოლო აწ ქუენათაგან უზეშთაესთა მიმართ რაჲ აღვიდოდის, საზომისაებრ აღსლვისა შეიწრდებოდის და შემდგომად ყოვლისა აღსლვისა ყოვლად უხმო არს და ყოვლად შეერთებული უთქუმელსა".

ნესტანისა და ტარიელის სიყვარულიც, რომელიც ღვთაებრივ მადლთან წილნაყარია, პირველი შეხვედრისას „ყოვლად უხმო არს და ყოვლად შეერთებული უთქუმელსა". რასაც იმ წუთს ნესტანი და ტარიელი გრძნობენ, სიტყვით გამოუთქმელია, ამ დროს მხოლოდ თვალები საუბრობენ („ოდენ ტკბილად შემომხედნის, ვითამცა რა შინაურსა"), თვალი კი სულის სარკეა.

არანაკლებ ამაღლებულია თინათინისა და ავთანდილის პირველი სამიჯნურო შეხვედრაც. ეს ის შეხვედრაა, როდესაც მეფე თავის რაინდს უცხო მოყმის მოსაძებნად აგზავნის. თინათინი ავთანდილს სიყვარულში გამოუტყდება და დავალების მიცემის შემდეგ („წადი, იგი მოყმე ძებნე, ახლო იყოს, თუნდა შორად") მისგან პასუხს ელის. რა უნდა უპასუხოს სატრფოს ავთანდილმა ისეთი, რაც თავისი არსებით დუმილამდე ამაღლდება? რუსთველი ხომ აქაც იგივე მხატვრულ სახეს არ გამოიყენებდა, რასაც ზემოთ შევეხეთ? სიტყვა მართლაც ვერასდროს გაუტოლდება დუმილს – ეს შეუძლებელია. მაგრამ ის, რაც სხვათათვის შესაძლებლობის მიღმა ძევს, რუსთველისათვის პრობლემას არ წარმოადგენს. ვნახოთ – რაგვარად.

თინათინი შეჰფიცებს რაინდს:

„ფიცით გითხრობ: შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი,
მზეცა მრთხვდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი,

სრულად მოვსწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი,
შენი მკლავდეს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი".

ავთანდილი უპასუხებს:

„...მზეო, ვინ გიშერი აწამწამე,
სხვა პასუხი რომცა გკადრე, ანუ რამცა შევიწამე?
მე სიკვდილსა მოველოდი, შენ სიცოცხლე გამიწამე,
ვითა მონა სამსახურად განაღამაცა წავე, წა-მე!"

რას ნიშნავს „შენ სიცოცხლე გამიწამე"?

ამ პასუხის არსება უნდა ამოვიკითხოთ სიტყვებში – „შენ სიცოცხლე გამიწამე". რას უნდა ნიშნავდეს აქ „გამიწამე"? ფიქრობდნენ (ვუკოლ ბერიძე), რომ მთელი სიცოცხლის ერთ წამად გადაქცევა უაზრო ფრაზა იყო და რადგან „წამება" ძველ ქართულში დამოწმებას ნიშნავდა, ამიტომ ჩვენთვის საინტერესო სტროფის ზემონახსენები სიტყვები ასე ესმოდათ: მე სიკვდილს მოველოდი, შენ კი სიცოცხლე მაჩუქეო (დამიმოწმეო).

ეს, შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ავთანდილის პასუხი ჩვეულებრიობის ფარგლებს ვერ გასცდება – სიყვარულის გაცხადებას სცენა გმირის სულიერი ამაღლებულობის შესაფერისი არ იქნება. რუსთველი ამას არსად აკეთებს, მისი გენიისათვის უცხოა ასეთი შემოქმედებითი უყურადღებობა.

ამ სტროფში „გამიწამე" სულ სხვა რამეს უნდა გვეუბნებოდეს. აქ შეიძლება გავიხსენოთ ცნობილი ფრაზა გოეთეს „ფაუსტიდან".

„შეჩერდი, წამო, მშვენიერი ხარ!"

ჯერარგანცდილი სიხარულისაგან უმაღლეს ცაზე ამაღლებული ავთანდილი თინათინის მიერ სიყვარულის გაცხადების წამს მთელ სიცოცხლეს უტოლებს – ჩემი დარჩენილი ცხოვრება ამ ერთ უბედნიერეს წამად გადამიქციეო, – ეუბნება ავთანდილი სატრფოს. არაბი ჭაბუკის მთელი არსებობა ამ ერთი წამით იქნება გასხივოსნებული. მართლაც, მისი სიცოცხლის ყოველ მომდევნო დღეს, ყოველ საათს, ყოველ წუთს თან ახლავს და განსაზღვრავს ეს წამი. ეს წამია თავად მარადიულობა – იგია ადამიანის ღვთიურ ჰარმონიაში ჩართვის ნიშანი. ავთანდილის იმჟამინდელი განცდა არა მხოლოდ დროის, არამედ სიტყვის ძალის შეჩერებაცაა – თინათინის მიჯნური ისეთ სიტყვებს წარმოთქვამს, რომელთა აზრიც დუმილს უტოლდება.

აღსანიშნავია ის მოკრძალება, რასაც პოემის მთავარი პერსონაჟები ერთმანეთის მიმართ ამჟღავნებენ. მიუხედავად იმისა, რომ პიროვნებას სატრფოზე ახლობელი ადამიანი არა ჰყავს, მათი ურთიერთობა არასდროს მდაბლდება და ჩვეულებრიობის სამოსლით არ იმოსება. მშვენიერებით დაღდასმულია სიყვარულის პოეტურობაც „ვეფხისტყაოსანში" – მიჯნურობა აქ დიდად ესთეტიკურია. შეყვარებულ გმირთა მონოლოგებსა თუ დიალოგებ-

ში ლირიკული მეტყველების უბადლო მარგალიტებს ვხვდებით. აი, თუნდაც ერთი მაგალითი, რომელშიც ერთმანეთს ერწყმის დახვეწილი სისადავე, ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელი გამჭვირვალება მხატვრული სახისა და შეყვარებული რაინდის სევდანარევი ვნება:

„წევს, იტყვის: „გულსა სალხინო რამცაღა დავუსახეო?
მოგშორდი, ედემს ნაზარდო ტანო ლერწამო და ხეო,
შენთა მჭვრეტელთა ნიშატო, ვერ-მჭვრეტთა სივაგლახეო,
ცხადად ნახვასა არ ღირს ვარ, ნეტარმცა სიზმრივ გნახეო!“

არაიდეალური სიყვარული

რეალურ ცხოვრებაში მხოლოდ იდეალური სიყვარული არ არსებობს. რუსთველი თავის პოემაში გვიჩვენებს სხვაგვარ „სიყვარულსაც“. საუბარი შეეხება ზღვათა სამეფოს – გულანშაროს – ვაჭართა წრეს – ფატმანს. პოემაში ვაჭართა საზოგადოება თითქმის ყველგან დაპირისპირებულია არისტოკრატიასთან, რომელიც, როგორც ვიცით, რუსთველს ადამიანური სრულქმნილების საუფლოდ ესახება. სხვა მონაცემებთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ერთ სტროფს, რომელსაც ვხვდებით თავში „აქა ფატმანისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა“.

„ვა, ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს ლხენასა,
დღედ სიკვდილამდის სიხარბე შეაქნევს კბილთა ღრჭენსა,
შესდის და გასდის, აკლია, ემდურვის ეტლთა რბენასა,
კვლა აქა სულსა დაუბამს, დაუშლის აღმაფრენასა“.

სიყვარული და ოქრო

აქ გაცხადებულია ის, რომ რაც გამორჩეული გმირისათვის ერთ-ერთი საშუალებაა, ვაჭრისათვის მიზნად ქცეულა! ოქროს მოხვეჭა გულანშაროში ყველაზე სანუკვარი ოცნებაა. აქ არავინ ფიქრობს, რომ „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“. ღმერთს მიმსგავსებულობა, სრულქმნილების ძიება ამ ადამიანებისათვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს; სიხარბე განსაზღვრავს მათი ცხოვრების წესს; სულ რაღაც აკლიათ, კლავთ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა – ადამიანი ხომ „აღუვსებელი საწყაულია“. ძალიან ლოგიკურია შედეგიც. ოქროს სიყვარული ზღვათა სამეფოს მკვიდრთ „აქა სულსა დაუბამს, დაუშლის აღმაფრენასა“. ოქროს გაღმერთება კი არ „აღამაღლებს“, არამედ ამქვეყნიურობაში, მიწიერებაში ჩაკარგავს ადამიანს – ხორცს გაამარჯვებინებს სულზე.

ვაჭრები მოკლებულნი არიან ჰარმონიის შეგრძნებას, მათი დამოკიდებულება ადამიანებთან, იდეალებთან, მარადიულ ღირებულებებთან არასტაბილურია, მალეცვლადია, შემთხვევითობითაა აღსავსე. გულანშაროში, მატერიალური ღირებულებების მოხვეჭის სურვილის გარდა, მდგრადი და მარადიულობას ნაზიარები არაფერია, მათ შორის – სიყვარულიც. ამის ნათელი დასტურია ფატმანის სახე.

ფატმანის სახე

ზემოთქმულის შემდეგ, ერთი შეხედვით, ადვილია ფატმანის განსჯა. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ძალიან ზერელედ უყურებს მიჯნურობის წმინდა გრძნობას, არ შეუძლია „გული ერთსა დააჯეროს“, მასზეა სწორედ ნათქვამი პროლოგში „დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა...“ ფატმანს არ უყვარს თავისი ქმარი, იგი ერთგვარი ზიზღის განცდითაც კი ეუბნება ავთანდილს:

„მით არ ჯერ-ვარ ქმარსა ჩემსა, მჭლე არის და თვალად ნასი“. მათი ერთად ცხოვრება მხოლოდ საერთო მატერიალურ ინტერესებსა და ანგარიშიანობაზეა დაფუძნებული, რაც მთლიანად მიუღებელია გამორჩეული გმირებისათვის. უსენის მეუღლე ძალიან ადვილად არქმევს „სიყვარულს“ ჭაშნაგირთან ურთიერთობას, თუმცა მასზე განრისხებული ერთგან ამბობს:

„ნეტარძი ვინ სისხლი მისი შემახვრიტა ერთი თასი!“

თუნდაც დიდი ხიფათის გამოჩენის შემთხვევაში „სატრფოს“ სისხლის დალევა (თანაც ერთი თასის) დიდი ვერაფერი სიყვარულია.

როდესაც ფატმანის ავთანდილზე გამიჯნურების ამბავს აღწერს, რუსთველი ირონიულად შენიშნავს:

„თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია“.

როდესაც ფატმანისაგან სამიჯნურო წერილს მიიღებს, თავდაპირველად არც ავთანდილი იშურებს მძაფრ სიტყვებს:

„...ყვავი ვარდსა რას აქნევს ანუ რა მისი ფერია!
მაგრა მას ზედა ბულბულსა ჯერთ ტკბილად არ უმღერია.
უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია.
რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია!“

თითქოს ყველაფერი ნათელია, მაგრამ ძალიან მკაცრად ნუ განვსჯით ფატმანს. ის უფრო შესაბრალისია, ვიდრე გასაკიცხი. გარკვეული აზრით, შეიძლება ითქვას, რომ ფატმანი ორი სამყაროს მიჯნაზე დგას – რეალურად ვაჭართა საზოგადოებაში ცხოვრობს, მაგრამ შინაგანად უფრო ამაღლებული საზოგადოებისაკენ მიისწრაფვის. იქნებ შემთხვევითი არც ის იყოს, რომ მას (ერთადერთს ვაჭართა წრეში!) რუსთველი სევდას, კაეშანს, არსებული ცხოვრებით დაუკმაყოფილებლობის (სრულქმნილებისა და ზნეობრივი ღირებულებების თვალსაზრისით) გრძნობას მოუვლენს. თუ ეს ასეა, მაშინ არც ის იქნება შემთხვევითი, რომ სწორედ ასეთი ღრმა სევდის მოძალების დროს შემოიჭრება მის სამყაროში ნესტანი – თავად მშვენიერება და სულიერი ამაღლებულობა. ადამიანი არასდროს ესწრაფვის იმას რაც აქვს. ნებისმიერი სწრაფვა ნაკლულევანების შევსების სურვილია, ჯერ არარსებულის

მოძიებაა. ნესტანი ფატმანის პიროვნული განუხორციელებლობის სასურველი განსხეულებაა და ფატმანის დიდ შინაგან ღირსებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ სხვა არსებაში თავისი საოცნებო სრულქმნილების ხილვამ მასში ძალიან ბუნებრივი ადამიანური შური კი არ დაბადა, არამედ – თავგანწირული სიყვარული.

ფატმანს უმწიკვლო მეგობრობა შეუძლია. მისი დახმარება რომ არა, ტარიელისა და ნესტანის ბედნიერება სათუო გახდებოდა. შინაგანად ვაჭართუხუცესის მეუღლე ყოველთვის გრძნობს, რომ არსებობს ჭეშმარიტი სიყვარული, რომ ის არაფრით ჰგავს მის წუთიერ გატაცებებს, მაგრამ იმ საზოგადოებაში, რომელშიც ის ცხოვრობს, ამგვარ სიყვარულზე თითქოს ოცნებაც არ შეიძლება.

და აი, გამოჩნდა ავთანდილი! თითქოს ფატმანსაც ეწვია ნამდვილი სიყვარული. გამაოგნებელი იყო მისთვის დიდებულება და ამაღლებულობა ჭეშმარიტი მიჯნურობისა. გრძნობდა ფატმანი, რომ ავთანდილის „საფერი" არ იყო (მიუხედავად იმისა, რომ არაბ ჭაბუკსაც სავაჭრო ტანსაცმელი ეცვა), აღზევებული გრძნობის დამალვა ეწადა, მაგრამ თავს ვერ მოერია და არაბეთის სპასპეტს გულმხურვალე წერილი მისწერა. მხოლოდ ნამდვილი სიყვარული ბადებს ასეთ მშვენიერ სიტყვებს:

„ჰე მზეო, ღმერთსა ვინათგან მზედ სწადდი დასაბადებლად,
მით შეგქმნა მოშორვებულთა ჭირთა, არ ლხინთა მწადებლად,
ახლოს შემყრელთა დამწველად, მათად ცეცხლისა მადებლად.
მნათობთა შენი შეხედვა ტკბილად უჩს, დასაქადებლად.

შენ გტრფიალებენ მჭვრეტელნი, შენთვის საბრალოდ ბნდებიან,
ვარდი ხარ, მიკვირს, ბულბულნი რად არ შენზედა კრფებიან!
შენი შვენება ყვავილთა აჭნობს, ჩემნიცა ჭნებიან,
სრულად დამწვარვარ, თუ მზისა შუქნი არ მომესწრებიან".

უიღბლო და ტრაგიკულია ფატმანის სიყვარული – მას ავთანდილის თანაგრძნობა არ უწერია. ჭეშმარიტი მიჯნურობის ხიბლთან ზიარებამ ფატმანის ცხოვრების რამდენიმე დღე სიცოცხლის ნათლით გააცისკროვნა, მაგრამ საოცრად ხანმოკლე და წინასწარ განწირული იყო ეს ბედნიერება. სულ მალე ზღაპრული ნისლი გაიფანტა – ავთანდილი თავისი ნამდვილი სახით წარუდგა გულანშაროელ ქალს და გაირკვა ის, რასაც ფატმანი შინაგანი ალღოთი ყოველთვის გრძნობდა:

„ავთანდილ ფატმანს ყოველი უთხრა ამბავი თავისა". უეცრად მოვარდნილი სიყვარული ისევე სწრაფად გაქრა, „ვითა სიზმარი ღამისა".

სწორედ აქ გამოჩნდა ფატმანის დიდი ნებისყოფაც – მან თავს სძლია და რასაც მეგობრობისა და კეთილშობილების გრძნობა ავალებდა ნესტანისა და ავთანდილის წინაშე, სრულად აღასრულა. ავთანდილი მის შინაგან ღირსებას გრძნობს და ამიტომაც ეადვილება თხოვნა:

„მოდი და, ფატმან, მეწიე, ვეცადნეთ მათსა რგებისა.
ვუშველოთ, იგი მნათობნი ნუთუ მიეცნენ შვებასა;
ვინცა სცნობს კაცი, ყველაი ჩვენსა დაიწყებს ქებასა,
ნუთუ კვლა მიხვდნენ მიჯნურნი ერთმანეთისა ხლებასა“.

გავიხსენოთ ავთანდილის სიტყვები, რომლებიც მან ფატმანის გაცნობის დროს თქვა („ყვავი ვარდსა რას აქნევს, ანუ რა მისი ფერია“) და განშორების წინა მიმართვა („შენ გიცი კარგი მოყვარე, ერთგული, მისანდობელი“) და დავრწმუნდებით, რომ ადამიანები ხშირად ისეთები არ არიან, როგორც პირველი შეხვედრისას გვეჩვენება. ჩვენ თვალწინ ხდება ფატმანის ფერისცვალება. ამგვარი შინაგანი მეტამორფოზის შესაძლებლობა ყველა ადამიანშია და მისი წარმმართველი ძალა სიყვარულია. სიკეთეს, როგორც ყველაფერს დანარჩენს, სიყვარული ბადებს და ვისაც სიკეთის ქმნა შეუძლია (ფატმანი კი სწორედ ასეთია), მას ჭეშმარიტი მიჯნურობაც ძალუძს. სხვა საქმეა, ამ უნარის გამომჟღავნებისა და გაცხადების რაგვარ შესაძლებლობას აძლევს მას გარემო, საზოგადოებრივი ცხოვრების წესი.

ჩვენ ვსაუბრობდით რუსთველურ სიყვარულზე. ასეთი მსჯელობის დროს ყოველთვის რჩება უკმარისობის გრძნობა, რადგან სიყვარული „სულითა ხოლო საცნაურ არს“, – ლოგიკური ფიქრები ერთგვარად აკნინებს მის ჭეშმარიტ არსს. „ვეფხისტყაოსნის“ მიჯნურობა, სხვა უმაღლესი ღირებულებების დარად დუმილში უნდა განიცადოს ადამიანმა – ყველაფერ სხვასთან ერთად, რუსთველოს პოემა ამასაც გვასწავლის.

სიყვარულის სრული განცდა – მისი ღირსეული წვდომა და დათმენა ისეთი სულიერად ძლიერი ადამიანების ხვედრია, როგორებიც რუსთველის გმირები არიან.

ნათელი „ვეფხისტყაოსანში“

რატომ არის საჭირო ნათელზე ცალკე საუბარი, რა განსაკუთრებული სიმბოლური მნიშვნელობა აქვს ნათელს?

სანამ ამ შეკითხვას პასუხს გავცემდეთ, გავიხსენოთ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ სინათლეს, მზეს, მნათობებს ძალიან ხშირად ვხვდებით, შეიძლება თამამად ითქვას, რომ რუსთველის ქმნილება ნათელმოსილი პოემაა.

ნათელმოსილი პოემა

მაგალითების დასახელება არ გაჭირდება – ისინი ძალიან ხშირად გვხვდება:

„ვუჭვრეტდით პირსა მნათობსა, ელვათა მაელვარებსა,
მისი ციმციმი მზისაებრ ეფინებოდა არებსა“;

ან:

„მისმან შუქმან განანათლა სამყარო და ხმელთა კიდე“;

ან:

„უთხრა: „მზე ვნახე მოსრული, ჩან მანათობლად დღისისად“.

ცხადი ხდება, რომ ნათელი არ შეიძლება უბრალო მეტაფორა იყოს. მას განსაკუთრებული სიმბოლური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ეს მნიშვნელობა კი ასეთია:

ფიზიკური და სულიერი ნათელი

ბიბლიური წარმოდგენით, არსებობს ფიზიკური და სულიერი ნათელი. ფიზიკური ნათელი დაბადებული, წარმოქმნილი, შეძენილი ნათელია, ხოლო სულიერი კი – თვითმყოფადი, დაუბადებელი და განუპირობებელია, რადგან იგია თავად ღმერთი!

ნათელი – ღმერთის სახე და სახელია.

ქრისტიანებს სწამდათ, რომ სანამ ადამიანი სამოთხეში ცხოვრობდა, ის ნათლიერი იყო, მას არ სჭირდებოდა ფიზიკური ნათელი – მზე, ურომლისოდაც დედამიწაზე მცხოვრები კაცისათვის არსებობა წარმოუდგენელია.

სამოთხეში მყოფი ადამიანის ნათლიერება იმას ნიშნავდა, რომ ის ღვთიური იყო, ღვთაება „განფენილი“ იყო მასში, სამოთხიდან გამოძევების შემდეგ (როდესაც ადამმა და ევამ აკრძალული ხილი მიირთვეს და კეთილისა და ბოროტის გარჩევა შეძლეს) ადამიანს შემოეძარცვა ღვთიური ნათელი და ფიზიკური მზის იმედადღა დარჩა.

კიდევ ერთხელ დავაზუსტოთ:

ჭეშმარიტი ნათლის დაკარგვა და ცრუ ნათლის გაღმერთება

ის, რომ ნათელი სასულიერო და შემდეგ საერო მწერლობაშიც ღმერთს აღნიშნავს, ცნობილი ხდება როგორც ბიბლიიდან, ისე ეკლესიის მამათა ნაშრომებიდან. ფსევდო-დიონისე არეოპაგელი წერს:

„ნათელ საცნაურ სახიერებასა ეწოდების“

„სახიერება“ სიკეთეს ნიშნავს. მაშასადამე, ნათელი – ეს ხილული სიკეთეა, ანუ ხილული ღმერთია (სიკეთე ხომ ღვთაების ერთი უპირველესი სახელია: „ყოველნი არსნნი კეთილისაგან არიან“ – ფსევდო-დიონისე არეოპაგელი).

რაკილა ნათელი სიმბოლურად ღმერთს მიანიშნებს, ხოლო ადამიანის ამქვეყნიური მოწოდება კი მხოლოდ ის არის, რომ ზეციურ მამას მიემსგავსოს სრულქმნილებაში (კვლავ გავიხსენოთ: „იყუენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ სრულ არს“ – მათე, 5,48), სულიერი ნათლის დაბრუნება, აღდგენა მისი უმთავრესი მისწრაფება ყოფილა დედამიწაზე!

სულიერი ნათლის წარმოჩენის მაგალითები

როდესაც „ვეფხისტყაოსანში“ ნათელს ვხვდებით, თითქმის ყოველთვის პირვანდელი, ცოდვამდელი, შინაგანი ნათელი იგულისხმება. ეს ის ნათელია, რასაც ქართველი ჰიმნოგრაფი იოანე მტბევარი „თვით-მნათობ ნათელს“ უწოდებს და რომელიც თავად ღვთაებაა (იოანეს სახარებაში ქრისტე პირდაპირ ამბობს: „მე ვარ ნათელი სოფლისაჲ“).

„გამობრწყინდა დღეს თვით-მნათობი ნათელი,
შეუხებელი ქრისტე, მზეჲ სიმართლისაჲ.

ეს ის ნათელია, ასე რომ ანცვიფრებს მნათეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“, რომელიც დეკანოზს ეუბნება: „ცეცხლი აღდებულ არს სენაკსა შინა მამისასა“ (გრიგოლის სენაკს ცეცხლი მოსდებიაო).

დეკანოზი მივიდა გრიგოლის სამყოფელთან და „იხილა იგი ხელგანპყრობით და გუამით მისით გამოჯდოდეს ნათლისა ისარნი ჯვარის სახედ. და დიდებით შემკული იყო იგი და ესრეთ ბრწყინავდა, ვითარცა მზე“.

იქ მისვლამდევე დეკანოზი, რომელმაც კარგად იცის ყველაფერი, შეშინებულ მნათეს ნანახის არსებას ასე უხსნის:

„არა არს იგი ცეცხლი შემწუელი, გარნა სული ღმრთისა განმანათლებელი“ (ბიბლიურ მოსესაც „არაშემწველი“ ცეცხლის სახით გამოეცხადება ღვთაება მაყვლის ბუჩქზე).

დავასკვნათ: ნათელი აღნიშნავს თავად ღმერთს ან ადამიანის ღვთიურობას. ნათელმოსილი ადამიანი უმაღლეს სიწმინდეს მიღწეული პიროვნებაა. ასეთი კაცი თავად ასხივებს სულიერ ნათელს („გუამით მისით გამოჯდოდეს ნათლისა ისარნი...“), რაც მისი სრულქმნილებისა და იდეალურობის მაუწყებელია.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ როგორც ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის, ისე რუსთველის მიზანია იდეალური ადამიანის წარმოჩენა, ხოლო სრულქმნილების ქრისტიანული საფუძველი ნათლიერებაა (რაც ღვთიურობას გამოხატავს). ამიტომ სასულიერო მწერლობაშიც და „ვეფხისტყაოსანშიც“ სრულიად კანონზომიერია ნათლის ესთეტიკის ასე ჭარბი შემოტანა.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ, ქრისტიანული წარმოდგენით, სამოთხეს გაშორებული ადამიანი ცრუ ნათელს – მზეს აღმერთებს. სწორედ ამიტომაა, რომ თავდაპირველი ნათლის კვლავ აღდგენამდე გაღმერთებული ფიზიკური ნათელი უნდა დაკნინდეს, დამცირდეს, მასზე აღმატებულს დაექვემდებაროს. სანამ ჭეშმარიტი ნათელი გაბრწყინდებოდეს, მანამდე უნდა დაბნელდეს და „დამარცხდეს“ ცრუ ნათელი. ფიზიკური მზის დაბნელება წინ უსწრებს ნამდვილი „მზის“ აკიაფებას ადამიანის სულში. ღვთიურ ნათელს „ჭეშმარიტი ნათელი“, „მიუწვდომელი ნათელი“, „წარუვალი ნათელი“, „მზეჲ სიმართლისაჲ“ ან სხვა ამგვარი სიმბოლური სახელი ჰქვია. დავით გურამიშვილთან მამა-ღმერთი „მზეთა-მზედ“, ხოლო ქრისტე – „მზედ“ მოიხსენიება. მსგავსი აღმატებული მნიშვნელობის მხატვრული სახეები კონტექსტში არ არის ძნელი გამოსარჩევი.

ფიზიკური ნათლის დამცრობა და ჭეშმარიტი ნათლის გამარჯვება ადამიანში

დავუბრუნდეთ იმას, რომ „წარუვალი ნათლის“ გამოჩინებას ფიზიკური მზის დაბნელება უძღვის წინ. ამ მოვლენის კლასიკურ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან (326 წელი) დაკავშირებული საყოველთაოდ ცნობილი ლეგენდა თუ ფაქტი:

მირიან მეფეს, რომელიც სანადიროდ იყო წასული (აღმოსავლურ ლიტერატურაში ნადირობა სიმბოლურად რაიმეს მოძიებასაც ნიშნავს), თხოთის მთაზე მზე დაუბნელდა: დიდხანს ევედრებოდა მეფე თავის ღმერთებს – არმაზს, გაცსა და გას – ნათლის გამოჩინებას, მაგრამ ამაოდ. ტყვე ქალის ნინოს ღმერთი – ქრისტე გაახსენდა საგონებელში ჩავარდნილ მირიანს და ახლა მას შესთხოვა შველა: აღთქმაც დადო, რომ თუკი მზის ნათელი კვლავ გამოიბრწყინებდა, სწორედ იესოს აღიარებდა თავის ღვთაებად. მეყსეულად კვლავ განათდა მზე. მირიანმა სიტყვა შეასრულა – თვითონაც მოინათლა ქრისტიანულად და ხალხიც მოანათვლინა მტკვრისა და არაგვის შესართავში. ასე დამკვიდრდა საბოლოოდ ქრისტიანული რელიგია საქართველოში.

როგორც ვხედავთ, ჭეშმარიტი რელიგიის ასე მარადიული და წარუვალი ნათლის შემოსვლას ჩვენს ქვეყანაში, ამ ლეგენდის თანახმად, წინ უძღოდა მზის დაბნელება თხოთის მთაზე.

ეს რომ შემთხვევითი მომენტი არ არის და კანონზომიერებასთანაა დაკავშირებული, გვიდასტურებს „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიც რუსთველი ჭეშმარიტი ნათლის ნარმოჩენისას ხშირად აკნინებს და ამცირებს ფიზიკურ მზეს.

სულიერი ნათელი „ვეფხისტყაოსანში“

პოემის დასაწყისშივე ვკითხულობთ:
„მისი სახელი – თინათინ, არს ესე საცოდნარია!
რა გაიზარდა, გაივსო, მზე მისგან საწუნარია“.

„სოფლისა მნათი მნათობი“ მზეს „სწუნობს“.
თინათინის გამეფების აღწერისას რუსთველი ერთგან ამბობს:

„ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა,
ყურსა უპყრობდა, ისმენდა, წვრთნასა არ მოიწყინებდა,
მეფე სმასა და მღერასა იქმს, მეტად მოილხინებდა,
თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინობდა“.

აქაც თინათინის ღვთიურ ნათლიერებასთან ნაკლულად და დამცირებულად მოჩანს მზის სიკაშკაშე.

ფრიდონი დამწუხრებულ ტარიელს უყვება ნესტანის ნახვის ამბავს და მის ნაამბობშიც მზიური ნათელი ექვემდებარება, „ემონება“ ადამიანურ-ღვთაებრივ ნათელს.

„ამოძვრეს ორნი მონანი, შავნი მართ ვითა ფისანი,
ქალი გარდმოსვეს, სისხონი ვნახე მისისა თმისანი.
მას რომე ელვა ჰკრთებოდა, ფერნიმცა ჰგვანდეს რისანი!
მან განანათლა სამყარო, გაცუდდეს შუქნი მზისანი!"

ზემონათქვამს ეხმიანება ის, რომ რუსთველის გამორჩეული გმირი ღამეც „ანათებს"; რაც მზეს არ შეუძლია. ერთ-ერთი მეკობრე, ქაჯთა მეფის მონა, ფატმანის გადმოცემით, ასე ჰყვება ნესტანის ნახვის ამბავს:

„მინდორ-მინდორ მივდიოდით ჩვენ ღამესა დია ბნელსა,
დიდნი რამე სინათლენი გამოგვიჩნდეს შუა ველსა;
ვთქვით, თუ მზეა ნუთუ ზეცით ჩამოჭრილი ზედა ხმელსა!"

და შემდეგ:

კვლა ვჰკითხეთ: „გვითხარ მართალი საქმე შენ მზებრ ნათელისა,
ვისი ხარ, ვინ ხარ, სით მოხვალ მანათობელი ბნელისა?"

„ვეფხისტყაოსნის" გმირებმა კარგად იციან, რომ ნესტანი უბრალო მზე არ არის, არამედ „ზენა" მზეა, ღვთიური ნათლის მფლობელია. ფატმანი ასე მიმართავს მას წერილში:

„ფატმან სწერს: „აჰა, მნათობო, სოფლისა მზეო ზენაო,
შენთა შორსმყოფთა ყოველთა დამწველო, ამაზრზენაო..."

ღვთიური ნათელი ბნელს ანათებს, ღამეს აცისკროვნებს, მაგრამ თავად „დაუღამებელია". როგორც სახარება გვამცნობს „ბნელი მას ვერ ეწია". „ვეფხისტყაოსანშიც" ვხვდებით „დაუღამებელ ნათელს".

„თინათინს ჰკადრა შერმადინ, ნათელსა მას უღამოსა:
„ავთანდილ მოვა წინაშე გკადრებს ამბავსა ამოსა".

პოემაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ნათლიერთა წინასახე ღმერთია, ის არის დასაბამი და წყარო უზენაესი ნათლისა. თავში „დათხოვა ავთანდილისა როსტევან მეფესთან და ვაზირის საუბარი" ასეთ სტრიქონებს ვხვდებით:

„ჰკადრე: „ვინ გაქოს ყოველმან პირმან არ შეუზრახემან!
ვითა ვიშიშვი, გაცნობოს ღმერთმან, ნათელთა სახემან!"

ღმერთი – „ნათელთა სახეა". ის არის ნათლის დამბადებელი და მისი მარადიულად მომფენი. ღვთაებაა „ზეცით ზენის მანათობელი", „მზე ერთი", ხოლო სრულქმნილი ადამიანი, ვითარცა მის „ხატად და მსგავსად" შექმნილი, მისი ამქვეყნიური სახეა – საკუთარ არსებაში უმაღლესი ნათლის დამტევებელი და განმასახიერებელი. ავთანდილი ასე მიმართავს გამოქვაბულში შეხვედრისას ტარიელს:

„ავთანდილ უთხრა: „ვით მაქებ საქები ბრძენთა ენისა?
მაგისად ნაცვლად რამც ვიყავ ღირსი ქებისა თქვენისა!
სახე ხარ მზისა ერთისა, ზეცით მნათისა ზენისა...“

რაკიღა სრულქმნილი ადამიანი (ანუ ისეთი, რომელშიც პირვანდელი ნათელი აღდგენილია), „ერთი მზის“ სახეა. ბუნებრივია, ის თავადაც არის „ნათელთა მფენელი“ (ისევე როგორც ცოდვამდელი ადამიანი ან როგორც მიწიერებას გაშორებული წმინდანი). რუსთველი ავთანდილს სწორედ „ნათელთა მფენელად“ მოიხსენიებს:

„შერმადინს ეტყვის, უბრძანებს პირ-მზე, ნათელთა მფენელი:
„ესე დღე არის იმედი, ჩემის გულისა მლხენელი...“

მსგავსი სიტყვებით მოიხსენიებს რუსთველი ნესტანის გათავისუფლების შემდეგ არაბეთში დაბრუნებულ ავთანდილს, რომელიც დარცხვენილი დგას როსტევან მეფის წინაშე.

„მეფე კოცნასა ლამობდა, აღარა ცრემლნი სდენიან;
ავთანდილ ფერხთა ეხვევის, შუძნი ძკე დაუშენიან“.

ზემოთქმულიდან უნდა დავასკვნათ; რომ გამორჩეული ადამიანის ხატვისას, რუსთველი მასში აღადგენს პირვანდელ ღვთიურ ნათელს, განწმენდს ამქვეყნიური ცოდვისაგან, ბოროტებისაგან, სიბნელისაგან („მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია, ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“), ამასვე აკეთებს ჰაგიოგრაფიული მწერლობაც, მაგრამ, მისგან განსხვავებით, რუსთველის გმირები მიწიერი, ხორციელი ადამიანები, ამქვეყნიური ხიბლით სავსე პიროვნებები არიან და არა მთელი თავისი არსებით მიღმური ცხოვრებისაკენ მიდრეკილი წმინდანები. შუშანიკიც სრულქმნილია და ნესტანიც, გრიგოლ ხანძთელიცა და ავთანდილიც – ესენი ყველანი „ნათელთა მფენელნი“ არიან, მაგრამ ნათლის დაბრუნებისაკენ მიმავალი მათი გზები განსხვავებულია.

ფიზიკური მზე – ღვთაება ხატი

ბოლოს ერთ არსებით მომენტსაც უნდა შევეხოთ: საქმე ისაა, რომ „ვეფხისტყაოსანში“, ძველი ბერძნული ფილოსოფიის (პლატონი) თანახმად და კვალდაკვალ, ფიზიკური მზე პირდაპირ არის მოხსენიებული, როგორც ღვთაების ხატი, სიმბოლო, მისი ამქვეყნიური განსახიერება. თავში „წასვლა ავთანდილისაგან ტარიელის შეყრად მეორედ“ ავთანდილი მზეს მიმართავს:

„ვის ხატად ღმრთისად გატყვიან ფილოსოფოსნი წინანი,
შენ მიშველე რა ტყვე-ქმნილსა, ჯაჭვი მაბიან, რკინანი“.

მზე ხატია ღვთაებისა და ამ წილნაყარობის გამო სიმბოლურად ის სახელდებაშიც მონაწილეობს – ღმერთი „მზიანი ღამეა“:

„იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად,
ერთ-არსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად.
ვის გმორჩილობენ ციერნი ერთის იოტის წამისად,
ბედსა ნუ მიქცევ, მიაჯე, შეყრამდის ჩემად და მისად!“

„მზიანი ღამე“ ის შესიტყვებაა, რაც ფილოსოფიას პოეზიად აქცევს! ის არა მხოლოდ ლოგიკური ნათქვამია (ერთი განმარტებით, ნათელი ანუ მზე განასახიერებს ჩვენს ცოდნას ღვთაებაზე, ხოლო ბნელი ანუ ღამე, წყვდიადი – მის დაფარულობას), არამედ მშვენიერიც! კიდევ უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ეს არის სახისმეტყველება. ამ შემთხვევაში სახე მეტყველებს ჩვენთვის და არა ცნება. „მზიანი ღამე“ – ეს არის პირვანდელ ქაოსურ არსებობაში, სიბნელესთან წილნაყარ უდაბნოში ჭეშმარიტი მზის, ქრისტიანობის უმშვენიერესი ნათლის ამობრწყინებაც (ამობრწყინება ადამიანისათვის, თორემ თავისთავად ეს ნათელი მარადიულია, უშობელია).

ამით ვასრულებთ საუბარს ნათელზე. ალბათ, კარგად დავინახეთ, რომ ადამიანის ნათლიერება არ არის უბრალო ფიზიკური სინათლის ჩვეულებრივი მეტაფორული ხატება, ბუნებრივი ბრწყინვალებით ადამიანის სილამაზის განსახიერება. აქ გაცილებით ღრმა აზრი აქვს – ნათელი, რომელიც დღეს ანათებს და უბრალო სინათლეს წყვდიადად წარმოგვიჩენს („ვისთა შუქთაგან უკუნსა ჰგვანდის სინათლე დღისისა“), თავად ღმერთია და ამ ნათლის მფენელი ადამიანი ღვთიური არსებაა, სრულქმნილების განსახიერებაა.

ნათლის ფენომენს, როგორც უკვე ითქვა, ხშირად ვხვდებით როგორც სასულიერო, ისე საერო ქართულ მწერლობაში. დავით გურამიშვილის პოეზიაზე მსჯელობისას ჩვენ კიდევ ერთხელ შევეხებით ამ საკითხს.

სიკეთე და ბოროტება „ვეფხისტყაოსანში“

მარადიული საფიქრალი

სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართების საკითხი ისეთივე ძველია, როგორც თავად კაცობრიობა. ეს მარადიული პრობლემაა – სანამ ადამიანი არსებობს, სიკეთესა და ბოროტებაზე ფიქრი მას არ მოშორდება, .ადამიანის ცხოვრების საზრისის გაცნობიერება, უწინარეს ყოვლისა, ამ საკითხის გარკვევას უკავშირდება.

ბოროტების დაბადების ბიბლიური ხედვა

ბიბლიური წარმოდგენით, ნებისმიერი ბოროტების სათავე ამქვეყნად იყო და არის პირველი ცოდვა – აკრძალული ხილის ჭამა. შესაქმის წიგნის მიხედვით, ღმერთმა ადამი და ევა სამოთხეში დაასახლა, სადაც მათ არავითარი საზრუნავი არ ჰქონდათ და ნეტარებაში ცხოვრობდნენ.

ედემის ბაღში ორი ხე იდგა: ხე ცხოვრებისა და ხე ცნობადისა. მეორე ხის ნაყოფის ჭამა ღმერთმა აუკრძალა ადამსა და ევას, მაგრამ, გველში შესული ეშმაკის ჩაგონებით, ევამ მიირთვა აკრძალული ხილი და შემდეგ ადამსაც შეაჭამა. პირველ ადამიანებს გონების თვალი აეხილათ – ეს იყო პირველი ცოდვა, რომელიც ყველა ადამიანური ბოროტებისა თუ ცოდვის სათავედ იქცა. აქ დაირღვა სწორედ „ხატება და მსგავსება“ ღვთისა ადამიანში. დასაბამიერი ცოდვით კაცობრიობა პირველსაწყისს გაშორდა და, ღვთისგან შერისხული, მიწიერ ცხოვრებაში დამკვიდრდა. მას შემდეგ ადამიანის უწინარეს მოვალეობად იქცა ღვთაების „ხატებისა და მსგავსების“ აღდგენა. ქრისტეც იმიტომ მოვიდა ამქვეყნად, რომ „ახალი ხატ-ყოფა“ შეესრულებინა.

ადამიანში ორი საწყისია შეერთებული: ხორცი და სული – ამიტომაც უწოდებს მას ფსევდო-დიონისე არეოპაგელი „შეზავებულს“. ადამიანშივე არსებობს შესაძლებლობის სახით სიკეთე და ბოროტებაც და მას არჩევნის უფლება აქვს – შეუძლია კეთილიც იყოს და ბოროტიც. ღვთისგან ნაბოძები თავისუფალი ნება კაცს ამ არჩევნის საშუალებას აძლევს, განსხვავებით სულიერი თუ უსულო ბუნებისაგან. რაკიღა სიკეთეცა და ბოროტებაც ადამიანში არსებობს, მაშასადამე, მათი ურთიერთმიმართების პრობლემა, კოსმოსურ-საყოველთაოსთან ერთად, წმინდა ადამიანური პრობლემაცაა. სიკეთე და ბოროტება მაკროკოსმოსშიც (სამყაროში მთლიანად) ებრძვის ერთმანეთს და მიკროკოსმოსშიც (ადამიანშიც).

როგორ გაიაზრება სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართების საკითხი „ვეფხისტყაოსანში“?

როდესაც ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველ პერიოდს ვაანალიზებდით, უკვე ვახსენეთ ერთი უმნიშვნელოვანესი სტროფი რუსთველის პოემიდან, რომელშიც გაცხადებულია პოეტის დამოკიდებულება ჩვენთვის საინტერესო საკითხთან. აი, ეს სტროფიც:

„ამ საქმესა, დაფარულსა, ბრძენი დივნოს გააცხადებს,
ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს,
ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს,
თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს“.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თეორია (ღვთისმეტყველება)

რუსთველი პირდაპირ ასახელებს არეოპაგელს, რომელსაც ეყრდნობა სიკეთისა და ბოროტების საკითხის გარკვევისას. ფსევდო-დიონისეს აზრით, არსი მხოლოდ სიკეთეს აქვს, რადგან ის იბადება მარადიულად ღვთისგან, ის არის თავად ღვთაება (გავიხსენოთ: „ნათელ საცნაურ სახიერებასა ეწოდების“ – ნათელი ხილული სიკეთეა ანუ ხილული ღმერთიაო). ბოროტება ღმერთს არ შეუქმნია („და ბოროტსა არ დაბადებს“), ამიტომ მას არსი არ აქვს, ის არ არის ჭეშმარიტად არსებული [მაზდეანობამ ანუ ზოროასტრიზმმა (ამ მოძღვრების ფუძემდებელია ზარატუსტრა) აღიარა ორი საწყისი: კეთილიც (აჰურა მაზდა) და ბოროტიც (აჰრიმანი). ბოროტების ნებისმიერი გამოვლინება სამყა-

როში სწორედ აჰრიმანის „დამსახურებაა“. აჰურა მაზდასა და აჰრიმანის კოსმოსურ შერკინებაში წყდება ქვეყიერების ბედი. ამგვარ ხედვას დუალისტურს (დუალიზმს) უწოდებენ. „დუ“ ირანულად „ორს“ ნიშნავს: ამ შემთხვევაში კი მსოფლაღქმის ორ საწყისს მიანიშნებს. რით გამოიხატება ეს თვალსაჩინოდ? იმით, რომ სიკეთე მარადიულია, ხოლო ბოროტება – დროში შეზღუდული („ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს“). ჟამიერი ვერასდროს სძლევს მარადიულს. აქედან გამომდინარე, ბოროტებამ შესაძლოა მცირე ხნით გამარჯვება იზეიმოს, მაგრამ საბოლოოდ სიკეთე ყოველთვის დაამარცხებს მას – ეს ღვთიური განჩინებით გარდაუვალია. მთელი პოემა სწორედ ამის მხატვრული განსახიერებაა –„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

ზემოაღნიშნული სტროფი („ამ საქმესა დაფარულსა...“) შემთხვევითი არ არის „ვეფხისტყაოსანში“. მისი ანალოგიები რამდენიმეგზის გვხვდება პოემაში.

ფსევდო-დიონისეს თვალსაზრისის ანალოგიები პოემაში

როსტევან მეფე უცხო მოყმის გაუჩინარების შემდეგ ცუდ ხასიათზე დადგა: ღმერთს ჩემი კეთილად ცხოვრება მობეზრდა და ჩემზე ხელი აიღოო:

„უცილოდ ღმერთსა მოვსძულდი აქამდის მე მხიარული...
ტკბილნი მისნი წყალობანი ბოლოს ასრე გამემწარნეს,
დამავიწყდეს, რაცა დღენი მხიარულსა წამეარნეს“.

თინათინი მამას უპასუხებს:

„...მოგახსენებ მე სიტყვასა დანაყბედსა:
ჰე მეფეო! რად ემდურვი ანუ ღმერთსა, ანუ ბედსა?
რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკბილად მხედსა?
ბოროტიმცა რად შეეძმნა კეთილისა შემოძმედსა?

როგორც ვხედავთ, პოემის დასაწყისშივე რუსთველი ფსევდო-დიონისე არეოპაგელის დაუმოწმებლად იყენებს მის აზრს.

ასევე არეოპაგიტულ მსჯელობასთან გვაქვს საქმე, როდესაც ვეცნობით ფატმანის ავთანდილზე გამიჯნურების ამბავს. ვაჭართუხუცესის მეუღლემ, ადრეც ვახსენეთ, მხურვალე სასიყვარულო წერილი მისწერა ავთანდილს:

„შენ გტრფიალებენ მჭვრეტელნი, შენთვის საბრალოდ ბნდებიან,
ვარდი ხარ, მიკვირს, ბულბულნი რად არ შენზედა კრფებიან!
შენი შვენება ყვავილთა აჭნობს, ჩემნიცა ჭნებიან,
სრულად დამწვარვარ, თუ მზისა შუქნი არ მომესწრებიან“.

ავთანდილს ძალიან გაუკვირდება ამ წერილის მიღება და ამბობს:

„...ყვავი ვარდსა რას აქნევს! ანუ რა მისი ფერია!
მაგრა მას ზედა ბულბულსა ჯერთ ტკბილად არ უმღერია.
უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია.
რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია!“

ამ სტროფში სხვაგვარად არის ნათქვამი ჩვენგან ზემოთ უკვე ნახსენები აზრი: „ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხაგრძლად გააკვლადებს“. მაშასადამე, ბოროტება დროში დასაზღვრულია და, ამდენად, დასაღუპად განწირულიც („...მოკლეა, მით ოხერია“).

ჩვენ ასევე უნდა გავიხსენოთ ის ეპიზოდი, როდესაც ქაჯეთის ციხიდან გათავისუფლებულ ნესტანს გულანშაროში ჩაიყვანენ და ფატმანს შეახვედრებენ. გახარებული ფატმანი იტყვის:

„ღმერთო რა გმსახურო, განმინათლდა რათგან ბნელი!
ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია შენი ბრძელი“.

აქაც სიკეთის მარადიულობაზე და ბოროტების შეზღუდულობაზეა ლაპარაკი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ იმასაც, რომ სიკეთე ნათლითაა განსახიერებული (თუ რატომ – ჩვენ უკვე ვიცით), ხოლო ბოროტება კი – ბნელით. როდესაც ფატმანი ამბობს: „განმინათლდა ბნელიო“, იგულისხმება, რომ სიკეთემ ბოროტებაზე გაიმარჯვა. იგივე აზრი გამოსჭვივის ცნობილ სტრიქონებში:

„მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია,
ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი ბრძელია!“

სიკეთის გარდაუვალი გამარჯვების რწმენა პირდაპირ გამომდინარეობს ქრისტიანული სარწმუნოებიდან.

ანტიკური დროის მრავალ-ღმერთიანობა

როგორც ცნობილია, ანტიკურ საზოგადოებაში პოლითეიზმი ანუ მრავალღმერთიანობა იყო გაბატონებული. ძველ ბერძნულ წარმოდგენას სამყაროსა და მის კანონზომიერებებზე სწორედ ოლიმპიელ ღმერთთა პანთეონი შეესატყვისებოდა – ყველა „ძირითად ღმერთს“ თავისი სრულიად გარკვეული სფერო ეკუთვნოდა, რომელსაც ერთპიროვნულად განაგებდა. თანასწორთა შორის უპირველესი იყო ზევსი, მაგრამ ის არ ყოფილა ყოვლისმპყრობელი და ყველაფრის განმსაზღვრელი. ოლიპიელ ღმერთებზე მაღლა იდგა აბსტრაქტული, არსებითად არაკაცსახოვანი იდეა – მოირა, იგივე ბედისწერა, რომელსაც არა მხოლოდ ადამიანები, არამედ თავად ღმერთებიც ემორჩილებოდნენ. ასეთი მოირა რამდენიმე იყო. მოირებს ემორჩილებოდა ყველა, ხოლო ისინი არ ემორჩილებოდნენ არავის და არაფერს – ფაქტობრივად, ისინი განაპირობებდნენ წინასწარგანსაზღვრულობას სამყაროში.

ქრისტიანული რელიგია ვერ დაუშვებდა ერთარსება სამებაზე მაღლა მდგომი ვერანაირი იდეის არსებობას: ქრისტიანული ღვთაება საკუთარ თავში მოიცავს ყველაფერს იმთავითვე – არაფერია ისეთი, რაც მის გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არსებობდეს.

განგება

ამდენად, ღვთება თავადვეა ბედისწერაც. ის მოიცავს მას. „ვეფხისტყაოსანში“ ბედისწერის განმსაზღვრელ ღვთაებას **განგება** ჰქვია. მის გარეშე მზისქვეშეთში არაფერი ხდება. განგებას ექვემდებარება სულიერი თუ უსულო ბუნება, მთლად სამყარო.

გავიხსენოთ რამდენიმე მაგალითი:

„განგებასა ვერვინ შესცვლის, არ-საქმნელი არ იქნების“;
„განგებაა, სწორად მოჰკლავს ერთი იყოს, თუნდა ასი,
მარტოობა ვერას მიზამს, მცავს თუ ცისა ძალთა დასი“;
„უგანგებოდ ვერას მიზმენ, შე-ცა-მებნენ ხმელთა სპანი,
განგებაა, არ დავრჩები, ლახვარნია ჩემთვის მზანი“.

ზემოთქმულიდან ერთი უმნიშვნელოვანესი აზრიც გამომდინარეობს: თუკი ღვთაება მომცველია ბედისწერისა (ეს კი ქრისტიანულ რელიგიაში ასეა!); ხოლო სიკეთე ღვთაების უპირველესი და უარსებითესი გამოხატულებაა, ბუნებრივია, რომ სიკეთის გამარჯვება ბოროტებაზე ღვთაებრივი ნებითაც და ბედისწერითაც გარდაუვალია! ღვთაებრივი ნება, როგორც აღვნიშნეთ (ბერძნული წარმოდგენისაგან განსხვავებით), მოიცავს ბედისწერას.

ყველაფერი უფლის ნებით ხდება

„ღმერთმა შექმნა... სამყარო, მაგრამ შემდეგ თუ მონაწილეობს შემოქმედი... ყოფნის, არსებობის მდინარებაში? (ამ საკითხს ბედისწერის პრობლემაც უკავშირდება). მითოსურ ხანაში უზენაესი ღვთაება, გარდა იმისა, რომ საკმაოდ ცუდად იყო ინფორმირებული სამყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ისედაც, საგანგებო სიგნალის გარეშე, იშვიათად ერეოდა ემპირიულ ყოფაში (ესეც იწვევდა ღვთაებათა სიმრავლეს – ყოველ სტიქიონს, მოვლენას, საქმეს, ზოგჯერ საგანსაც კი ღვთაება ჰყავდა და მათ ერთიმეორისა თითქმის არაფერი უწყოდნენ)... ძველი აღთქმა და შემდეგ ქრისტიანული რელიგია ამ საკითხში უკიდურესად პრინციპულ თვალსაზრისს მისდევდნენ. ღმერთმა შექმნა კიდეც სამყარო და დაუცადებლად, წამისწამ განაგებს კიდეც მას. ყოველივე, რაც კი ხდება, უფლის ნებით ხდება. ღმერთი ყოველივეს განმგებელია და ყოველი საქმის მონაწილე, იმ ზომამდე, რომ მისი ნების გარეშე თმის ღერიც ვერ ჩამოვარდება“ (რ. თვარაძე).

ახლა ეს ვიკითხოთ: ის, რაც თეორიულად გაცხადებულია, „ვეფხისტყაოსანში“ (დამოწმებულია პირველწყაროც – ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), ამგვარად მჟღავნდება პოემის მხატვრულ სამყაროში? აისახება თუ არა თეორიული წანამძღვარი რეალურად?

სიკეთის გარდაუვალი გამარჯვება ბოროტებაზე

როგორც ირკვევა, პოემაში არის კარგად გამოკვეთილი ტენდენცია, რომლის გაცნობიერებისას თვალნათლივ წარმოგვიდგება რუსთველური განაზრახი – „ვეფხიტყაოსანში“, მიუხედავად ძალიან სერიოზული შემაფერხებელი გარემოებებისა, სიკეთე ერთადერთი შესაძლებელი გზით გაივლის და საბოლოოდ იმარჯვებს ბოროტებასთან გრანდიოზულ ჭიდილში. სად და როგორ ჩანს ეს?

მათეს სახარებაში წერია: „შევედით იწროჲსაგან ბჭისა, რამეთუ ვრცელ არს ბჭეჲ და ფართო არს გზაჲ, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედელად, და მრავალნი ვლენენ მას. ვითარ-იგი იწრო არს ბჭეჲ და საჭირველ გზაჲ, რომელიც მიიყვანს ცხორებასა, და მცირედნი არიან, რომელნი ჰპოებენ მას“ (მათე, 7, 13-14).

აი, ამ „საჭირველი გზით“ გაივლის „ვეფხისტყაოსანში“ სიკეთე და ბოლოს გამარჯვებული რჩება. ახლა ის ვიკითხოთ, „საჭირველი გზა“ რაღას ნიშნავს?

ცხადია, ტარიელსაც და ავთანდილსაც ათასი დაბრკოლების გადალახვა მოუწევთ, სანამ საწადელს მიაღწევენ – დევებსაც ებრძვიან, მეკობრეებსაც, სახელმწიფოს მტრებსაც და ბოლოს ქაჯებსაც. მაგრამ ეს „საჭირველობის“ მხოლოდ ერთი მხარეა. ადამიანებთან, საზოგადოდ სულიერ არსებებთან ბრძოლა გაცილებით ადვილია, ვიდრე გარემოებებთან, განსაკუთრებით კი შემთხვევითობასთან.

ძალიან ძნელია ნესტანის ქაჯეთის ციხიდან გამოხსნა, მაგრამ შესაძლებელია, იმიტომ, რომ, როგორც ავთანდილი ამბობს: „ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად“. მაგრამ თუკი ნესტანის ადგილსამყოფელი ბოლომდე გაურკვეველი დარჩება (კარგა ხნის განმავლობაში კი საქმეს სწორედ ასეთი პირი უჩანს, – რის გამოც ტარიელს „სოფლით გაღმა გაებიჯა“), მაშინ ვის შეებრძოლებიან პოემის გმირები – გარემოებებს? აბსტრაქციებთან ბრძოლა, რომ შეუძლებელია?

როდესაც ხელისშემშლელი გარემოებები კანონზომიერებად იქცევა, მაშინ ერთადერთი ხსნა არსებობს – შემთხვევა! ირკვევა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ – ეს არის შემთხვევითობათა მთელი ჯაჭვი, რომლის ერთი რგოლიც რომ გაწყდეს, ტარიელი ვერასოდეს იხილავს ნესტან-დარეჯანს! პოემაში ყველაფერი მაინცდამაინც ისე ხდება, რომ სიკეთემ და სამართლიანობამ გაიმარჯვოს. არსებობს ათასი გზა ბოროტების საზეოდ, მაგრამ რუსთველი პოემაში სიკეთეს ერთადერთ საცალფეხო ბილიკს გაატარებს და სწორედ მას გაამარჯვებინებს.

გავიხსენოთ ზოგიერთი არსებითი მომენტი.

განგების შემთხვევითობანი

როსტევანი და ავთანდილი მაინცდამაინც იქ და იმ დროს მიდიან სანადიროდ, სადაც და როდესაც ტარიელი „ჯდა მტირალი წყლისა პირსა“. ამ აზრით, შეიძლება ითქვას, როსტევანს რომ თინათინის გამეფების დღესასწაულზე არ მოეწყინა (რაც ნადირობის მიზეზად იქცა), ნესტანი და ტარიელი ვერასდროს ნახავდნენ ერთმანეთს.

შემდეგ ავთანდილი კარგა ხანს ეძებდა უცხო მოყმეს – თითქმის სამი წლის განმავლობაში, მაგრამ მისი ასავალ-დასავალიც ვერ გაიგო. ასე უშედეგოდ დამთავრდებოდა მისი მცდელობა, მოულოდნელად სამ ხატაელ ძმას რომ არ შეხვედროდა, რომელთაგან ერთ-ერთისათვის ტარიელს მათრახით თავი გაეჩეხა. ავთანდილი მათ სრულიად შემთხვევით შეხვდა ისეთ ადგილას, სადაც ადამიანი „თვე ერთ კაცსა ვერა ნახავს, ვერას შვილსა ადამისსა“. ავტორის განსაკუთრებული ნებაა საჭირო, რომ ამნაირ ადგილას პერსონაჟები ერთმანეთს შეახვედროს, მაგრამ ეს აუცილებელია ტარიელისა და ავთანდილის დასაკავშირებლად და არაბი ჭაბუკიც შემთხვევით შეხვდება სამ ხატაელ ძმას. შემთხვევითობათა ჯაჭვიდან ეს რგოლი რომ ამოვარდეს, ტარიელი და ნესტანი ვერასდროს შეხვდებიან ერთმანეთს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი:

ავთანდილმა ტარიელი სულიერი დეპრესიიდან რის ვაი-ვაგლახით გამოიყვანა და (ცხენზე შესმის ეპიზოდი იხ. გვ. 207-208.) და ნესტანის მოსაძებნად წავიდა. საით, რა იცის ფრიდონმა იმაზე მეტი, რასაც უკვე მოუყვა ტარიელს და რაც ავთანდილმაც ძალიან კარგად უწყის? ავთანდილი მაინცდამაინც გულანშაროში უნდა მოხვდეს, სადაც ცხოვრობს ფატმანი, რომელმაც იცის ნესტანის ადგილსამყოფელი! მაგრამ არაბ რაინდს ხომ არ დაესიზმრება, რომ ვაჭართა ქალაქში უნდა წავიდეს?! რაღაც განსაკუთრებული შემთხვევაა კვლავ საჭირო და ისიც ავტორის ნებით არ დაახანებს!

ზღვასთან მისულ ავთანდილს ნაპირთან ბაღდადელ ვაჭართა ქარავანი დახვდება. ეს ვაჭრები ახლა აქ არ უნდა იყვნენ – კარგა ხნით ადრე უნდა შესულიყვნენ ზღვაში და გულანშაროში თავიანთი საქმეები მოეგვარებინათ. მაგრამ შემთხვევით (ისევ შემთხვევით!) ნაპირზე გამორიყული და სასწაულებრივად გადარჩენილი (თავადაც უკვირს, როგორ აღმოჩნდა ნაპირზე) ეგვიპტელი ვაჭარი ნახეს, რომელმაც ისინი გააფრთხილა, რომ ზღვაში მეკობრეები იყვნენ და მოგზაურობა სახიფათო იქნებოდა. ავთანდილმა მათი მშვიდობიანად მგზავრობა ითავა და ასე მოხვდა ის გულანშაროში. ეგვიპტელი ვაჭარი რომ ზღვას ნაპირზე არ გამოერიყა, ტარიელი და ნესტანი ვერასდროს შეხვდებოდნენ ერთმანეთს!

ამის შემდეგ ავთანდილი ხვდება ფატმანს. ფატმანმა ათასი საინტერესო ამბავი იცის, მაგრამ ავთანდილს რომ მაინცდამაინც ნესტანის ამბავი აინტერესებს, მისთვის უცნობია. ავთანდილი მაინც იგებს ნესტანის ადგილსამყოფელს და ამასაც შემთხვევა განაპირობებს.

ერთ საღამოს ფატმანმა არაბი ჭაბუკი სახლში მიიწვია. რაინდი წასასვლელად ემზადებოდა და წავიდა კიდეც, მაგრამ გზაში მოულოდნელად „მიჯნურისაგან“ გამოგზავნილი ყმა შემოხვდა და აუწყა, რომ ამ ღამეს აღარ უნდა მისულიყო. ავთნდილი „წვეული აღარ დაბრუნდა კვლა ზევე უკუწვევითა“ და ფატმანს ეახლა. მოულოდნელად „შემოდგა კარსა ყმა ვინმე კეკულუცი, ტანნაკვთიანი“ და როდესაც ფატმანთან ავთანდილი დაინახა, განრისხებული დაემუქრა ქალს:

„ვარ შენთა შვილთა შენითა კბილითა დამაჭმეველად,
დავშალო, წვერთა ფუ მიყავ, ხელიღა ვრბოდე მე ველად!“

ამ საშინელი მუქარით გაცამტვერებული ფატმანი ტირილს მიეცა, მაგრამ მისი თხოვნით ავთანდილმა ჭაშნაგარი მოკლა და როდესაც უკან დაბრუნდა, უსენის მეუღლემ სრულად აუწყა ის ამბავი, რომლის უადგილო გახმაურებითაც ასე მწარედ ემუქრებოდა მას ერთ-ერთი „სატრფო“.

ავთანდილს რომ ფატმანისაგან გამოგზავნილი მონისათვის დაეჯერებინა და სახლში გაბრუნებულიყო, ტარიელი და ნესტანი ვერასდროს ნახავდნენ ერთმანეთს.

რა ახსნა აქვს ყველაფერ ამას? მხოლოდ ერთი – სიკეთის გამარჯვება რომ წინასწარ განჩინებული არ იყოს, შემთხვევითობათა ამგვარი ჯაჭვი არასდროს შეიკვრებოდა. იყო მრავალი შესაძლებლობა ბოროტების გამარჯვებისა და მხოლოდ ერთი სიკეთის ზეობისა, მაგრამ აღსრულდა ეს ერთი და არა სხვა!

შემთხვევითობათა ჯაჭვი

„ვეფხისტყაოსნის“ გმირებისათვის დღესავით ნათელია, რომ კარგისმქნელი კაცი ბოლოდ არ წახდების“. მართალია, სოფელი ხშირად მუხთალი და გაუტანელია, ათას ჭირსა და ვარამს აზიარებს ადამიანს, „სადაურსა სად წაიყვანს, სად აღუფხვრის სადით ძირსა“, მაგრამ ღმერთი – „ძალი უხილავი, შემწე ყოველთა მიწიერთა“, წუთისოფლისგან განსხვავებით, – არ გაწირავს კაცს. ღვთაებრივი თანადგომის შეგნება და შეგრძნება ადამიანს დიდი შინაგანი ღირსებითა და გამბედაობით, გმირული სულისკვეთებით აღავსებს.

ავთანდილი ამბობს:

„უგანგებოდ ვერას მიზმენ, შე-ცა-მებნენ ხმელთა სპანი;
განგებაა, არ დავრჩები, ლახვარნია ჩემთვის მზანი;
ვერ დამხსნიან ვერ ციხენი, ვერ მოყვასნი, ვერცა ძმანი.
ვინცა იცის ესე ასრე, ჩემებრვეა გულოვანი“.

„საღმრთო მშვიდობა“

ეს ქვეყანაა მხოლოდ სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირების სარბიელი (ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ დაწვრილებით ვისაუბრებთ), ხოლო ზეციურ საუფლოში „საღმრთო მშვიდობაა“ (ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ტერმინია), მაგრამ ამქვეყნადაც ადამიანი ღვთისაგან მიტოვებული არ არის შემთხვევისა და ბოროტი ძალების ანაბარა. ღვთაებრივი სამართლიანობა და რისხვა ატყდება ბოროტებას ამ წუთისოფელშიც. გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ ბოროტების არც ერთი გამოვლინება პოემაში დაუსჯელი არ რჩება, თუმცა აქაც იკვეთება ერთგვარი ტენდენცია.

რაინდები

პოემის მთავარი გმირები რაინდები არიან და; ტრადიციული ქცევის ნორმებიდან გამომდინარე, დამარცხებულ მოწინააღმდეგეს არ ხელყოფენ. რაინდობა სულის მდგომარეობაა, ესაა გზა სრულქმნილებისაკენ ბრძოლის გზით. ყოველი ახალი გამარჯვება კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია სრულყოფილებისაკენ, მაგრამ დამარცხება პიროვნული ტრაგედიის ტოლფასია. ჭეშმარიტი რაინდი არასდროს შეურაცხყოფს დამარცხებულ მტერს, იმიტომ, რომ თავად დამარცხებაა ყველაზე დიდი სასჯელი. რაინდის მიზანია საკუთარი უპირატესობის დამტკიცება და არა უბრალო მკვლელობა – უმიზნო სისხლისღვრამდე რაინდი არასდროს დამდაბლდება, სწორედ ამიტომაა, რომ ტარიელი შეიწყნარებს დამარცხებულ რამაზ მეფეს, ხოლო ინდოეთის მეფე ფარსადანი კი მას ისე შეეგებება, როგორც საკუთარ პირმშოს.

„ტკბილად ნახა ხელმწიფემან, ვითა შვილი სააკვანე“.

რაინდულ მიმტევებლობას იჩენს ავთანდილიც, როდესაც დამარცხებულ მეკობრეებს არაფერს უშავებს. თითქოს ასევე უნდა მოიქცნენ გმირი რაინდები ქაჯეთის ციხის აღების დროს, მაგრამ მოულოდნელად სულ სხვა სურათი იხატება – ტარიელმა, ავთანდილმა და ფრიდონმა, უკვე მტრის სასტიკი დამარცხების შემდეგ, „მონახეს და არ აცოცხლეს, რაცა მბრძოლი დარჩომოდა“. მათ პირისაგან მიწისა აღგავეს ქაჯეთის ციხეში დაბუდებული ბოროტება. რატომ ხდება ასე?

რამაზ მეფე, თავისთავად, არ არის ბოროტება, მისი „ბოროტება“ ძალიან ფარდობითია – მისი ინტერესები ინდოეთის ინტერესებს უპირისპირდება და ამიტომ აღმოჩნდება ის ტარიელის პირისპირ; ისე კი, რამაზი თავის სამშობლოს იცავს მტრის შემოსევისაგან და ასეთ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში რომ კაცმა ცბიერება და მზაკვრობაც გამოამჟღავნოს, ეს დიდ ცოდვად ვერ ჩაეთვლება – სამშობლოს დასაცავად კაცმა ნებისმიერი ხერხი და ღონე უნდა იხმაროს. მეკობრეებიც, თუმცა ბოროტმოქმედნი იყვნენ, დამარცხებულები შეწყალებას შესთხოვდნენ ავთანდილს და რაინდულმა სულმა აქაც იმძლავრა.

ქაჯეთის ციხე – ბოროტების ციტადელი

ქაჯეთის ციხე სულ სხვაა! ეს ციტადელია, მთავარი ადგილსამყოფელია ბოროტებისა – აქ მთელი თავისი „ბრწყინვალებით“ დაბუდებულა სიავე და ის ღვთაებრივი განჩინებით უნდა სრულად მოისპოს – ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ამ ციხის აღების დროს არა მხოლოდ ნესტანის გამოსახსნელად იბრძვიან, არამედ, უწინარეს ყოვლისა, არსებითად უფლის ნებას აღასრულებენ:

„მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღმრთისა:
კრონოს, წყრომით შემხედველმან, მოიშორვა სიტკბო მზისა,
მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმრგვლე ცისა,
ველნი მკვდართა ვერ იტევდეს, გადიადდა ჯარი მკვდრისა“.

ღვთის „უსაზომო რისხვა“ დაატეხეს თავს ქაჯეთის ციხეს გმირმა რაინდებმა და არც ერთი მოწინააღმდეგე ცოცხალი არ დატოვეს, იმიტომ რომ აქ რაინდული კოდექსი კი აღარ მოქმედებს, არამედ ღვთაებრივი სამართალი.

რა ბადებს ბოროტებას ადამიანში?

სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართების საკითხს მრავალი ასპექტი აქვს. შევეხოთ კიდევ ერთ მათგანს – რა ბადებს ბოროტებას ადამიანში? რუსთველი ამ მომენტს თეორიულად არ ეხება, მაგრამ პოემის კითხვისას პასუხი იკვეთება – ესაა სულის მიდრეკა მხოლოდ მიწიერი ცხოვრებისაკენ.

უსენისაგან დაბეზღებული ნესტანი გულანშაროს მეფეს, მელიქ-სურხავს მიჰგვარეს. ტარიელის სატრფო ფატმანის ნაჩუქარი მარგალიტებით დაიხსნის თავს მცველებისაგან:

„შემოიხსნა მარგალიტი, შემოერტყა რაცა თვალი,
მოიხადა გვირგვინიცა გამჭვირვალი, ერთობ ლალი,
მისცა, უთხრა: „გამომიღეთ, გეაჯები გულ-მხურვალი,
მე გამიშვით, ღმერთსა თქვენსა მიავალეთ თქვენი ვალი“.

რუსთველი ცხადად გვიჩვენებს, რა ზეგავლენა მოახდინა ნესტანის მცველებზე მისმა სიტყვებმა და მოქმედებამ:

„მონათა მიხვდა სიხარბე მის საჭურჭლისა ძვირისა,
დავიწყდა შიში მეფისა, ვითა ერთისა გზირისა,
გამოპარება დაასკვნეს მის უებროსა პირისა.
ნახეთ, თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა!"

და ამის შემდეგ მოდის ის სტროფი, რომელიც ახლა ჩვენ ყველაზე მეტად გვაინტერესებს, და რომელსაც ზემოთ (რუსთველური მიჯნურობის ანალიზისას) ნაწილობრივ უკვე შევეხეთ:

„ვა, ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს ლხენასა,
დღედ სიკვდილამდის სიხარბე შეაქნევს კბილთა ღრჭენასა,
შესდის და გასდის, აკლია, ემდურვის ეტლთა რბენასა,
კვლა აქა სულსა დაუბამს, დაუშლის აღმაფრენასა“.

ოქრო მიწიერების უაღრესი გამოხატულებაა, მისკენ მიდრეკა ადამიანს „აროდეს მისცემს ლხენასა“, არასოდეს მოასვენებს. ასეთ კაცს ყოველთვის რაღაც აკლია, მისი „დამიწებული“ სული „აუვსებელ საწყაულად“ (ბიბლიის კვალდაკვალ გავიხსენოთ ნ. ბარათაშვილის ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირას“) იქცევა. ადამიანი ამ დროს შინაგანად არასტაბილურია, გამუდმებით ბედისწერას ემდურის, აფორიაქებულია და მიწიერი ვნებების სიჭარბისაგან ადგილს ვეღარ პოულობს. ყველაფერს ამას რუსთველი მოკლედ იტყვის:

„კვლა აქა სულსა დაუბამს, დაუშლის აღმაფრენასა“.

აქ „სულიერი დაბმა“ მიწიერ ცხოვრებაში სრულად ჩაფლვას ნიშნავს. კვლავ (უკვე მერამდენედ) გავიხსენოთ მათეს სახარების ერთი უმთავრესი ფრაზა:

„იყუენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ სრულ არს“.

ადამიანი მოწოდებულია ცისკენ მიაპყროს თვალი, ეზიაროს ამაღლებულ ყოფას, ამას კი მას მხოლოდ სიყვარული შეაძლებინებს – „სიყვარული აღგვამაღლებს“. სულის აღმაფრენა – ადამიანის ხსნა და ბედნიერებაა, მაგრამ ოქრო კაცს სწორედ ამას „დაუშლის“ („დაუშლის აღმაფრენასა“) და სულს წუთისოფლის ამაოებაში „დაუბამს“ (აქ შეიძლება გავიხსენოთ, რომ განათლებაც „აგვამაღლებს“: „მით ვისწავლებით მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“).

ოქროსთან ანუ მიწიერებასთან დამოკიდებულება არსებითად განსაზღვრავს ძირეულ განსხვავებას არისტოკრატიასა და ვაჭართა წრეს შორის „ვეფხისტყაოსანში“. ის, რაც არისტოკრატისთვის მხოლოდ საშუალებაა, ვაჭრისთვის მიზნად ქცეულა, ამიტომაც ასე განსხვავებულია ამ ორი სამყაროს ზნეობაც, შინაგანი ღირსებაც, ვაჟკაცობაც, იდეალებიც.

სწორედ ამიტომაა, რომ ოქროს მოხვეჭას სახელის მოხვეჭა უპირისპირდება, ფიცის გატეხვას – სიტყვის ერთგულება, შიშსა და სიძაბუნეს – არნახული გულადობა, ხოლო „დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვას“ – „ცხადად ნახვასა არ ღირს ვარ, ნეტარმცა სიზმრივ გნახეო!“

„ვეფხისტყაოსანი“ ქებათა-ქებაა სიკეთისა, მისი დამბადებლისა და მისი აღმსრულებლისაც.

ყველაზე მეტად განსაცვიფრებელი ამ ჩვენს სამყაროში ის არის, რომ ერთ უზარმაზარ მთლიანობას ქმნიან ერთმანეთისაგან აგრერიგად განსხვავებული საგნები, ორგანიზმები და მოვლენები. მათი თანაარსებობა, ერთი შეხედვით ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია, მაგრამ ფაქტია.

ბლეზ პასკალი

სამყარო მთლიანი და განუყოფელია – ეს იმას გვაუწყებს, რომ ის გარკვეულ კანონზომიერებებს ეფუძნება და მისი ცალკეული ელემენტები არსებითი შინაგანი კავშირებით ერწყმიან ერთმანეთს (ამის შესახებ უკვე ვისაუბრეთ „აბოს წამების“ ანალიზის დროს). ჩვენ ადრე ვახსენეთ „სიმპათიის კანონი“ – ძველი ბერძნების წარმოდგენა ქვეყნიერების მთლიანობაზე, ახლა დიდი ფრანგი მოაზროვნის ბლეზ პასკალის (1623 -1662) აზრს გავეცნოთ:

„...რაკი სამყაროში ყველაფერი – მიზეზია და შედეგი, მამოძრავებელი და მოძრავი, უშუალო და გაშუალებული, რაკი ყველაფერი ბუნებრივი და იდუმალი კავშირით ერწყმის ერთმანეთს, კავშირით, რომელიც დაუხსნელად აერთებს ყველაზე მეტად განსხვავებულსა და დაშორებულ საგნებს თუ მოვლენებს, ამიტომ შეუძლებლად მიმაჩნია ნაწილთა შეცნობა მთელის შეუცნობლად, ისევე როგორც მთელის შეცნობა – ნაწილთა ამომწურავი ცოდნის გარეშე“. (ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანი).

მარკუს ავრელიუსი

ეს ყველაფერი ასე იმიტომ არის, რომ, ძველთა წარმოდგენით, სამყაროს ნებისმიერ ელემენტში გამჭოლად არსებობს მისი შემოქმედი. ერთი გამორჩეული რომაელი იმპერატორი და მოაზროვნე მარკუს ავრელიუსი (121-180) წერდა: „ყველაფერი ერთმანეთს ეწვნის, ყველაფერს წმინდა კავშირი ჰკრავს და არა არის რა, შეიძლება ითქვას, რაიმე უცხო და უთვისტომო საგანთა და მოვლენათა ხომლში. რადგან ყველაფერს ერთი და იგივე წესრიგი აწესრიგებს და ყველაფერი ერთსა და იმავე სამყაროს ამკობს“ (ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანი).

ლუციუს ანეუს სენეკა

ამავე აზრს ავითარებს რომაელი ფილოსოფოსი სენეკა (ძვ. წ. 4-ახ. წ. 65): „ყველაფერი, რასაც შენ ჭვრეტ და რაც გარემოიცავს ყოველივე ღვთაებრივს თუ ადამიანურს, ყველაფერი ეს ერთია და განუყოფელი, ხოლო ჩვენ ამ დიადი სხეულის ასოები ვართ. ერთი და იგივე მასალისაგან რომ შეგვქმნა, ბუნებამ ნათესავებად გვაქცია ჩვენ. მან ჩაგვინერგა ურთიერთსიყვარულის გრძნობა და მანვე გვიბოძა თანაცხოვრებისა და თანაარსებობის ნიჭიც“ (ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანი).

რატომ შეიქმნა ადამიანი შესაქმის ბოლო დღეს?

ადამიანი მოწოდებულია შეიმეცნოს ქვეყნის ეს უცნაური და მშვენიერი ჰარმონია. მისი არსებობის ერთ-ერთი პრინციპული გამართლება სწორედ ეს არის – ადამიანი იმიტომ შეიქმნა შესაქმის ბოლო დღეს, რომ ღვთაებრივი შემოქმედება გაეგრძელებინა, მაგრამ ამ მისიის შესრულება მას არ ძალუძს, თუკი იგი არ შეიმეცნებს თავად ღვთაების შემოქმედების არსსა და მის ნაყოფს. ბ. პასკალი წერდა: „ჩვენი ღირსება სივრცის დაუფლება კი არ არის, არამედ გონივრულად აზროვნების უნარი. რამდენი მიწაც უნდა შევიძინო, უფრო მდიდარი არ გავხდები, იმიტომ რომ სივრცის მეშვეობით სამყარო მომიცავს და მყლაპავს მე, მაშინ როდესაც აზრის მეშვეობით მე თვითონ მოვიცავ სამყაროს".

მაშასადამე, ჭეშმარიტი ადამიანური ბუნება მჟღავნდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის „მოიცავს" სამყაროს და არა მაშინ, როდესაც „ემონება" მას. კაცი, რომელიც სწვდება გარესინამდვილის ჰარმონიულ მთლიანობასა და განუყოფლობას, ასევე სწვდება ამ განუყოფლობისა და ერთიანობის კოსმოსურ საფუძველს – სიყვარულს, ძველი ბერძნებისა არ იყოს – „სიმპათიას", რაც უმაღლესი აზრით აკავშირებს ერთმანეთთან საგნებსა თუ მოვლენებს; და მაშინ ეს კაცი თავად ხდება შემოქმედი, ამ სიტყვის ყველაზე მაღალი გამოვლინებით.

ქართული მწერლობა არასდროს ასეთი მნიშვნელოვანი საფიქრალის მიღმა არ დარჩენილა. ეს იყო მისი, ისევე როგორც სხვა მწერლობების, გამჭოლი იდეა. ბუნებრივია, რომ ამან რუსთველთანაც იჩინა თავი.

უცხო მოყმის ნახვის შემდეგ როსტევან მეფემ ძალიან მოიწყინა:

„ბრძანა: „ღმერთსა მოეწყინა აქამდისი ჩემი შვება,
ამად მიყო სიამისა სიმწარითა დანავღლება,
სიკვდილამდის დამაწყლულა, ვერვის ძალ-უც განკურნება..."

ცოტა ხნის შემდეგ მას თინათინი ეახლება და მორიდებით ჰკადრებს:

„...ხელმწიფეო, დაღრეჯილსა ვინცა გცნობდეს,
ვინმცა გნახა კადნიერად, რატომ გინდა ამაყობდეს!
თქვენნი აგრე დაღრეჯანი მნათობთაცა დაამხობდეს!
კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეჭვ, ჭმუნვასა ესე სჯობდეს".

ბუნებრივად იბადება კითხვა: ხომ არ აჭარბებს თინათინი – მნათობები რატომ უნდა დაემხონ, თუკი როსტევანმა მოიწყინა? უბრალო გაზვიადებასთან, ჰიპერბოლასთან ხომ არა გვაქვს საქმე?

მოდით, ცოტა ხანს ეს კითხვა დავტოვოთ და გავიხსენოთ ნ. ბარათაშვილის ერთი საყოველთაოდ ცნობილი ლექსი – „ფიქრი მტკვრის პირას". ეს ლექსი ასე იწყება:

„წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად,
აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად,

აქ, ლბილს მდელოზედ, სანუგეშოდ ვინამე ცრემლით,
აქაც ყოველი არე-მარე იყო მოწყენით“.

სამყარო ერთიანია ღვთით

„მოწყენილი არე-მარე“... ბუნებამ იმიტომ „მოიწყინა“, რომ პიროვნებას სევდიანი ფიქრი მიეძალა. ბუნება „ეხმიანება“ ადამიანს. რატომ? იმიტომ, რომ მე, თქვენ, აი, ის ფოთოლი, ფანჯარაში რომ მოჩანს, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ბალახი, მდინარე, ირემი, ქვა, ცისარტყელა, მთა, ხე, ჩვენ ყველანი ერთნი ვართ – ერთარსნი ვართ, უმჭიდროესი და უარსებითესი შინაგანი კავშირებით ვუკავშირდებით ერთმანეთს. სულ მცირე ცვლილებაც კი რომელიმე ჩვენგანში მეყსეულად, იმავე წუთს აისახება ნებისმიერ სხვაშიც, რაკი ადამიანი და ბუნება (მთლიანად სამყარო) ერთია, ამიტომ თუ კაცი მოიწყენს, „მოიწყენს“ მისი გარემოც. თუ როსტევან მეფეს წუხილი დაეუფლება („დაიღრეჯს“), მნათობნიც დაემხობიან. ზოგადად ამ კანონზომიერების მოსააზრებლად ისევ ადამიანი დაგვეხმარება –მაგალითად, როდესაც კაცს ხელი სტკივა, მხოლოდ ხელი კი არ „წუხს“,არამედ „მთლიანად“ ადამიანი. სამყაროში „სიმპათიის კანონის“ მიხედვით, არ არსებობს აბსოლუტური განცალკევებულობა – რაც „სჭირს“ ერთს, „სჭირს“ ყველას. საგნები და მოვლენები თანამგრძნობიერნი არიან. ეს „თანაგრძნობა“ პასიურ აღქმაში კი არ გამოიხატება მხოლოდ, არამედ აქტიურ თანადგომაში.

ზემონათქვამი თანამედროვე ადამიანისათვის შესაძლოა ცოტა გაუგებარი და მიუღებელიც კი იყოს – ჩვენ ხომ ასე განვცალკევდით ბუნებისაგან! ერთმანეთისგანაც. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამყაროსა და საკუთარ თავზე ასე ფიქრობდა ჩვენი წინაპარი და დრო და გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მისი ფიქრი მშვენიერი და ამაღლებულიც იყო და მართებულიც – თანამედროვე ადამიანის ცნობიერება უბრუნდება წინაპართა მივიწყებულ სიბრძნეს.

დავუბრუნდეთ „ვეფხისტყაოსანს“.

სამყაროს მთლიანობისა და მასთან ადამიანის ჰარმონიის რუსთველური წარმოდგენა, ცხადია, მხოლოდ ერთი ზემონახსენები პასაჟით არ ამოიწურება. პოემაში ვხვდებით ამგვარი წარმოდგენის კლასიკურ მაგალითს: ავთანდილმა „სოფლის გაღმა გაბიჯებული“ ტარიელი სულიერი დეპრესიიდან იხსნა, შეიპირა, რომ მის დაბრუნებას დაელოდებოდა და ფრიდონისაკენ მიმავალ გზას დაადგა. არცთუ სანეტარო ფიქრებმა მოიცვა რაინდი, სწორედ ეს თავი – „წასვლა ავთანდილისაგან ფრიდონისასა“ – იწყება უმშვენიერესი სტროფით: რომელიც ყოველი ჩვენგანისათვის ბავშვობიდანვე ცნობილია.

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
ყოველი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგნით განაწირსა!“

ამავე თავში სევდით გათანგული ავთანდილი ციურ მნათობებს მიმართავს კოსმოსური სიმღერით, რომელშიც მთლიანად სამყაროს უცხადებს გულისნადებს და ერთი ადამიანის პიროვნულ გრძნობას „ასამყაროებს“. ეს ყოვლის მომცველი სიმღერაა, რომლის მიმართ გულგრილი არ რჩება არავინ და არაფერი:

ავთანდილის კოსმოსური სიმღერა

„მიმავალი ცას შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა:
„აჰა, მზეო გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,
ვინ მდაბალთა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ, სვესა,
მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა!

მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ჭირი ჭირსა,
გული შავად შემიღებე, სიბნელესა მიმეც ხშირსა,
შემომყარე კაეშნისა ტვირთი მძიმე, ვითა ვირსა,
მას უთხარ, თუ: „ნუ გასწირავ, შენია და შენთვის ტირსა“.

ჰე, მუშთარო, გეაჯები შენ, მართალსა ბრჭესა, ღმრთულსა,
მო და უყავ სამართალი, გაებრჭობის გული გულსა;
ნუ ამრუდებ უმართლესსა, ნუ წაიწყმედ ამით სულსა!
მართალი ვარ, გამიკითხე! რად მანყლულებ მისთვის წყლულსა!

მოდი, მარიხო, უწყალოდ დამჭერ ლახვრითა შენითა,
შე-ცა-მღებე და შემსვარე წითლად სისხლისა დენითა,
მან უთხრენ ჩემნი პატიჟნი, მას გააგონენ ენითა,
რაგვარ გასრულვარ, შენ იცი, გულია აღარ ლხენითა.

მოდი, ასპიროზ, მარგე რა, მან დამწვა ცეცხლთა დაგითა,
ვინ მარგალიტსა გარეშე მოსცავს ძოწისა ბაგითა;
შენ დააშვენებ კეკლუცთა და შვენებითა მაგითა,
ვისმე, გლახ, ჩემებრ დააგდებ, გახდი ცნობითა შმაგითა.
ოტარიდო, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხვასა:
მზე მაბრუნვებს, არ გამიშვებს, შემიყრის და მომცემს წვასა,
დაჯე წერად ჭირთა ჩემთა, მელნად მოგცემ ცრემლთა ტბასა,
კალმად გიკვეთ გაწლობილსა ტანსა, წვრილსა ვითა თმასა.

მო, მთვარეო, შემიბრალე ვილევი და შენებრ ვმჭლდები,
მზე გამავსებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ვსხვდები, ზოგჯერ ვწვლდები;
მას უამბენ სჯანი ჩემნი, რა მჭირს ანუ რაგვარ ვბნდები,
მიდი, უთხარ, ნუ გამწირავს, მისი ვარ და მისთვის ვკვდები“.

რატომ მღერის ავთანდილი? რატომ გაცხადდა გმირი რაინდის ამაღლებული თხოვნა მნათობებისადმი მუსიკით?

აქ ერთ წუთს მსჯელობა შევწყვიტოთ, იმიტომ, რომ ზოგიერთი რამ დასაზუსტებელი გვაქვს. საქმე ისაა, რომ როდესაც შეკითხვას სვამენ, ჩვეულებრივ, იგულისხმება, რომ უეჭველად არსებობს პასუხი – აი, ჩვენ დავსვით ასეთი კითხვა: „რატომ მღერის ავთანდილი“ – და ველით ახსნას. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამქვეყნად ყველაფერი კანონზომიერებას არ ემორჩილება – საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს შემთხვევითობას ან თუნდაც ბუნებრიობა. სადაც საქმე მარტივად წყდება, რთული ახსნა არ არის საჭირო... მაგრამ გასათვალისწინებელი კი უთუოდ არის. ფაქტი ყოველთვის ფაქტად რჩება, ხედვის კუთხე იცვლება მხოლოდ. სხვა დროსაც ყოველ ფაქტს – ცნება იქნება ის თუ მხატვრული სახე – ჩვენ განსხვავებული ხედვის კუთხეებიდან უნდა შევხედოთ ხოლმე, მაგრამ რაღაც გარკვეულ თვალსაზრისამდე უნდა მივიდეთ.

ერთი პასუხი ზემოდასმულ კითხვაზე ის არის, რომ ავთანდილს იმ წუთას უბრალოდ ემღერება! სიმღერა ხომ, სიხარულისა და ბედნიერების გარდა, სევდასაც გამოხატავს, იმედსაც და ნებისმიერ სხვა ადამიანურ განცდას. ის იმდენად ბუნებრივია, რომ ახსნაც არ სჭირდება, არ არის საჭირო, რომ რაიმე კანონზომიერებას დაეფუძნოს. მაგრამ შეიძლება სხვაგვარადაც ვიფიქროთ: ავთანდილის მიმართვა მნათობებისადმი რომ მუსიკით მჟღავნდება, ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა.

მუსიკა – კოსმოსის ენა

მუსიკა განფენილია სამყაროში. კოსმოსი – ღვთიური ჰარმონიაა, წესრიგია, ხოლო მუსიკა ამ ჰარმონიის ბგერაში გაცხადებაა. ამქვეყნად სამი ათასამდე ენაა. მოსმენით მათ ჩვენ ყველას მოვისმენთ, მაგრამ ერთის ან რამდენიმეს გარდა (რომლებიც ვიცით) ვერ აღვიქვამთ. მაგრამ არსებობს ერთი ენა, რომელიც ერთნაირად გასაგებია ყველასათვის – ეს მუსიკის ენაა. ამიტომაცაა, რომ ამღერებულ ავთანდილს ლამისაა მთელი ბუნება უკან გაჰყვება და თანაგრძნობას გამოხატავს.

„რა ესმოდით მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან,
ისმენდიან, გაჰკვირდიან, არ ატირდის, ატირდიან,
იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან“.

ქვა, რომ ქვაა, ისიც „საბრალო ლექსებით“ ამღერებულ ავთანდილს მისდევს უკან. თანაც ეს ქვები წყლიდან ამოდიან. რუსთველმა კარგად უწყის, რომ ქვები არ მოძრაობენ (მით უმეტეს მიზიდულობის კანონს ვერ დაარღვევენ და წყლიდან თავისით ვერ ამოვლენ), მაგრამ ის გვეუბნება: სამყაროში განფენილია უზარმაზარი, ყოვლისმომცველი ძალა სიყვარულისა, ურთიერთსიმპათიისა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ყველასა და ყველაფერს და ამ გრანდიოზულ ძალასთან შედარებით ფერმკრთალდება და უსუსური ხდება ფიზიკური კანონები.

ადამიანი – სამყაროს გვირგვინი

მშვენიერი და ამაღლებულია გამთლიანებული და ამღერებული ბუნების ხილვა და მის შუაგულში ადამიანი დგას – სწორედ ისეთი, როგორიც ის იყო შესაქმის დროს – ბუნების ჭეშმარიტი გვირგვინი, მისი გამამთლიანებელი და მასთან წილნაყარი. ასეთი ადამიანი ბუნების მტერი, მისი ცრუ „ბატონი“ კი არ არის, არამედ მისი უარსებითესი, უმშვენიერესი – მაგრამ მაინც ნაწილი.

ავთნდილის ხმას იმიტომ აქვს „სიტკბო“, რომ მასში დაბუდებულია სამყაროს ერთიანობის ჰარმონია, ამ ხმაშია რაღაც ისეთი, რაც ყველასა და ყველაფერს თავისკენ მოუხმობს – ადამიანის ხმაში წარმოჩენილი და სამყაროს შექმნის ექვსი დღის ძალმოსილება, ქაოტურად არსებული მატერიის მომწესრიგებლისა და გამამთლიანებლის უზენაესი ნება.

დიდებულია ადამიანი, რომელშიც გაცხადებულია სამყაროს არსებობის უპირველესი და უმთავრესი პრინციპი – სწორედ ასეთია ავთანდილი. ამგვარი ადამიანი აღმოჩენა იყო შუა საუკუნეებისათვის, ამიტომაც უწოდებენ რუსთველს რენესენსის წინამორბედს აღმოსავლეთში.

რუსთველური აზრის ანალოგიები ქართულ ლიტერატურაში

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ სამყაროს ერთიანობის იდეა მთლიანად მსჭვალავს ქართულ ლიტერატურას. ახალი და უახლესი მწერლობის შესწავლის დროს ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით ამ საკითხს. ახლა კი მოკლედ შევნიშნოთ, რომ მაგალითად, ნ. ბარათაშვილთან და ვაჟა-ფშაველასთან ვპოულობთ შეხმიანებას ზემონახსენებ რუსთველურ პასაჟთან (დ. გურამიშვილის შემოქმედებას, ამ კუთხით, საგანგებოდ შევეხებით).

ნ. ბარათაშვილი ლექსში „ჩინარი“ წერს:

„მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის.
და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის“.

ეს „საიდუმლო ენა“ სხვა არაფერია, თუ არა სამყაროს ერთიანობისა და მთლიანობის დამადასტურებელი ურთიერთობის საშუალება: ეს ის ენაა, რომელიც ვაჟა-ფშაველას პოემის „გველისმჭამელის“ მთავარმა მოქმედმა პირმა მინდიამ იცის. ქვეყნად ყველას ესმის ერთმანეთის, გარდა ადამიანისა, იმიტომ რომ ის გაშორდა დედა-ბუნებას.

გავიხსენოთ:

„დედას ვუყვარვართ შვილები,
დედა არ გვახსოვს შვილებსა,
მიტომაც წუთისოფელი
სულ მუდამ გვაცოდვილებსა“.

მინდიამ კი შემთხვევით გველის ხორცი შეჭამა (გველი ოდინდელი სიმბოლოა სიბრძნისა) და „ყურთ აეხილა“. მას ესმის ცხოველის, ფრინველისა და მცენარის მეტყველება. დიდი ვაჟაც ყურს უგდებდა ბუნების ლაპარაკს და მისთვის ადვილი იყო ეთქვა:

„მადლი შენ, ყველა ერთმანეთს, უფალო, დაუმონია,
ამაზე ტურფა და კარგი მე სხვა აღარა მგონია.
ხევი მთას ჰმონებს, მთა – ხევსა,
წყალნი – ტყეს, ტყენი – მდინარეს,
ყვავილნი – მიწას და მიწა – თავის აღზრდილთა მცინარეთ
და მე ხომ ყველას მონა ვარ, პირზე ოფლ-გადამდინარეთ“.

„დამონება“ აქ კავშირს ნიშნავს – ყველაფერი ერთმანეთთან კავშირშია, – ამბობს პოეტი, – ხოლო ადამიანი ამ უმჭიდროესი კავშირის შუაგულში დგას – „მე ხომ ყველას მონა ვარ“ სწორედ ამას გვაუწყებს.

საინტერესოა ის, რომ თავად მხატვრული ნაწარმოებია ისეთი სამყარო, რომელშიც არაფერია შემთხვევითი – რიგიან ქმნილებაში ყველა პასაჟი, სცენა, პერსონაჟი, სიტუაცია, მეტყველება თუ ნებისმიერი სხვა რამ, უარსებითეს კავშირშია ერთმანეთთან – „თავისთვად“ აქ არაფერი არსებობს, ღირებული მხატვრული ძეგლიც სამყაროსავით მთლიანი და განუყოფელია.

სამყაროს წინააღმდეგობრიობის პრინციპი „ვეფხისტყაოსანში“

ადამიანი ოდითგანვე აკვირდებოდა სამყაროს და ყურადღება მიაქცია ერთ გასაოცარ კანონზომიერებას: თურმე ამქვეყნად ნებისმიერი საგანი თუ მოვლენა – ეს არის ორი ერთმანეთის გამომრიცხავი და საწინააღმდეგო რაობის ერთობლიობა, რომელთა დაპირისპირებულ თანაარსებობაში ხდება განვითარება. ამ დაპირისპირებულ ელემენტთა ჰარმონიული თანაარსებობა, ერთი შეხედვით, წარმოუდგენელია, ისინი დიამეტრალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ უცნაური ის არის, რომ ერთმანეთის გარეშე მათ არსებობას აზრი ეკარგება – თუ არ არსებობს ერთი, არ არსებობს მეორეც. ისინი ურთიერთს განაპირობებენ.

„ტომითი ბრძოლა“ და „საღმრთო მშვიდობა“

ყველაფერი ეს ადამიანისათვის კარგა ხანია ცნობილია. ფსევდო-დიონისე არეოპაგელი ამქვეყნის განმსაზღვრელ რაობად „ტომით ბრძოლას“ წარმოიდგენდა, ხოლო იმქვეყნიური არსებობის გაცხადება იყო „საღმრთო მშვიდობა“. მაშასადამე, ელემენტთა „საბრძოლო თანაარსებობის“ პრინციპი მიწიერი ყოფის მახასიათებელია მხოლოდ – საგანთა და მოვლენათა შინაგანი წინააღმდეგობა ზეციური არსებობისათვის უცხოა.

რა ელემენტებს ვახსენებთ?

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ არ არსებობს სიტყვა „ნათელი“, რა აზრი ექნებოდა მაშინ სიტყვა „ბნელს“? განა შეიძლება არსებობდეს „დღე“ „ღამის“ გარეშე?

ან სიკვდილი რა არის, თუ არ არსებობს სიცოცხლე? გარდაცვალება ხომ მხოლოდ სიცოცხლისა ხდება. ქართული ხალხური ლექსი გვასწავლის:

„წუთისოფელი რა არი,
აგორებული ქვა არი.
რა წამს კი დავიბადებით,
იქვე საფლავი მზა არი!“

დაბადებას (და მხოლოდ მას!) იმთავითვე თან ახლავს სიკვდილიც – სიცოცხლე და გარდაცვალება ერთმანეთს გამორიცხავს; მაგრამ მათ უერთმანეთოდ არსებობა არ შეუძლიათ.

განა ასევე დაპირისპირებულთა მთლიანობას არ ქმნიან ამქვეყნად სიკეთე და ბოროტება? ან სადღაა სიხარული, თუ არ არსებობს მწუხარება?

რატომ არის ეს ქვეყანა „გაორებული“?

იქნებ იმიტომ, რომ თავად ადამიანია ორი საწყისის – სულისა და ხორცის ერთობლობა და მის ცნობიერებაში ყველაფერი ორსახად აირეკლება?

ერთ ფიქრად ღირს, წუთისოფლის წინააღმდეგობრიობა მისივე ბუნებრივი თვისებაა თუ „ორსაწყისიანი“ ადამიანის მასზე დიდი ზეგავლენის შედეგი – ან იქნებ ერთიცა და მეორეც, მაგრამ, რადგან ჩვენ უკვე ვიცით, რომ ზოგიერთ კითხვას ყოველთვის არა აქვს ერთმნიშვნელოვანი პასუხი, ისევ „პირველსავე სიტყუასა აღვიდეთ“.

ღვთაების შეცნობა-შეუცნობლობა

ადამიანისათვის, როგორც უკვე ითქვა, თავად ღვთაებაა წინააღმდეგობრივად მოაზრებული. რუსთველური „მზიანი ღამე“ ადამიანური ცოდნისა და არცოდნის ერთობლიობაცაა ღვთაების შესახებ. ღმერთია ის, რაც ჩვენ მასზე ვიცით და ისიც, რაც არ ვიცით. მისი ქმედებაც ძალიან ხშირად ადამიანისათვის გამაოგნებელია თავისი ჩვენგან მოუაზრებელი წინააღმდეგობებით. ქართველი პოეტი გრიგოლ ორბელიანი პოემა „სადღეგრძელოში“ წერს:

„ღმერთო, ვინ მიჰსწვდეს შენგან ქმნილს,
მისს ფერ უთვალავს მშვენებას?
სიბნელეს აქრობ ნათელით,
სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას!“

რა უცნაურად მოსასმენია: „სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას!“ – მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ დაპირისპირებული ელემენტები

ერთმანეთს აზრს სძენენ და სწორედ ამაშია წუთისოფლის ერთი იდუმალი და თან ნათელი ჭეშმარიტება.

„სიკვდილით ცხოვრების დაბადებას“ სრულიად კონკრეტული წინასახე აქვს: ქრისტეს აღდგომასთან დაკავშირებულ ერთ საყოველთაოდ ცნობილ საგალობელში ასეთ სიტყვებს ვხვდებით: „ქრისტე აღდგა მკვდრეთით სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“.

სიკვდილი – სიცოცხლის აზრის მიმცემი

მაცხოვარმა თავისი სიკვდილით, ჯვარცმით ადამისა და ევას პირველი ცოდვა გამოისყიდა (საზოგადოდ – ადამიანთა ცოდვებიც) და ამით სოფელში შემოსული სიკვდილი დაამარცხა – ჭეშმარიტ ცხოვრებას აზიარა კაცობრიობა. სწორედ ეს უნდა იგულისხმებოდეს გრიგოლ ორბელიანის სტრიქონებში, მაგრამ ამის გარდა სხვა აზრიც შეგვიძლია ამოვიკითხოთ, კერძოდ ის, რომ სიკვდილი ანიჭებს სიცოცხლეს აზრს – სიკვდილის გაცნობიერების გარეშე წარმოუდგენელია სიცოცხლის ჭეშმარიტი მოაზრება.

ვაჟა-ფშაველა იტყვის ერთგან:

„ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო,
სიცოცხლე შვენობს შენითა!“

სიკვდილის ამგვარი გააზრება უჩვეულო და ერთგვარად მიუღებელიც კი არის ადამიანისათვის. სიკვდილი პირველ ცოდვასთან ერთად დამკვიდრდა წუთისოფელში და მასთან არის დაკავშირებული ნებისმიერი ბოროტება. ყველაზე უარყოფითი ემოციები. ეს იმიტომ ხდება, რომ ის არის მიჯნა, რომლის მიღმა გადახედვაც ადამიანურ ძალმოსილებას აღემატება. კაცს ამქვეყნად ყველაზე მეტად გაურკვევლობის ეშინია. ხოლო სიკვდილი უმწვერვალესი გაურკვევლობაა – ამიტომაა, რომ პიროვნებას მასზე ფიქრისას თანდაყოლილი შიში იპყრობს.

ამგვარი ფიქრი სიკვდილზე ძალიან ბუნებრივია, მაგრამ რაც ბუნებრივია, ყოველთვის არ არის ერთადერთი. შეიძლება სხვაგვარად ფიქრიც:

რაკიღა არარსებულა სიცოცხლე, რომელიც არ „გარდაცვლილიყოს“, ცხადია, სიკვდილში არის ჩაბუდებული იდუმალი კანონზომიერება და საზრისი – ის ისევე აუცილებელი და გარდაუვალია, როგორც თავად არსებობა. ის არის ცხოვრების აზრის მიმნიჭებელი. ლექსში „სოფლისა წესი ასეა“ ვაჟა-ფშაველა წერს:

„სიცოცხლეს სიცოცხლე უყვარს,
ეს მიტომ დადვა წესადა,
სიკვდილი გაუჩენია
მას თავის გასაკვებადა“.

„გასაკვებად“ აქ ნიშნავს – „საარსებოდ“.
ძალიან იდუმალია: სიცოცხლემ საკუთარი თავის სიყვარულის გამო და-

ბადა ამქვეყნად სიკვდილი (გავითვალისწინოთ, რომ სიკვდილი მხოლოდ იმქვეყნიური ცხოვრებისა არსებობს).

უფრო კონკრეტულად ყველაფერი ეს შეიძლება ცნობილ მაგალითებზე მოვიაზროთ.

ზღაპრის სიბრძნე

არის ერთი მშვენიერი ქართული ზღაპარი – „მიწა თავისას მოითხოვს“.

ზღაპრები უბრალო საბავშვო გასართობი როდია – მათში უდიდესი ხალხური სიბრძნეა ჩაბუდებული: ზღაპრებში ყველაზე მარტივად ლაპარაკობს ადამიანი ყველაზე რთულ საფიქრალზე.

„იყო და არა იყო რა...“ – მეზღაპრეს არსებობა-არარსებობის მიჯნასთან მივყავართ – ეს არის დაახლოებით ის, რასაც სულხან-საბა ორბელიანმა „სიბრძნე სიცრუისა“ უწოდა – არარსებულის სიბრძნე. ზღაპრებში აღწერილი ამბები არასდროს მომხდარა, მაგრამ მათშია ჩადებული ცხოვრების ჭეშმარიტი არსება.

მაშ, იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა ბიჭი. ერთ მშვენიერ დღეს ის ატირებული მივიდა დედასთან და ჰკითხა:

ყველას თვისი მამა ჰყავს და მამაჩემი სად არისო?

დედა იძულებულია უთხრას, რომ მამა აღარ არის ამქვეყნად. ის გარდაიცვალა. ბავშვის გონებამადე ვერაფრით დადის ამაზრზენი არსება არარსებობისა, გაქრობისა და ის ეკითხება დედას: ნუთუ არ არის ცისქვეშეთში ისეთი ადგილი, სადაც სიკვდილი არ არსებობს?

დედა უარყოფითად უპასუხებს, მაგრამ ყმაწვილი არ ეგუება ამ აზრს და თავად მიდის ასეთი ადგილის მოსაძებნად. ეს არის ძებნა უკვდავებისა, მარადიული სიცოცხლისა, უსიკვდილო სიცოცხლისა, ანუ ისეთი რამის ძებნა, რაც არ არსებობს მიწიერ ყოფაში.

დროის ფარდობითობა

თუმცა ზღაპრებში ყველაფერი ხდება და დიდი ხნის ძიების შემდეგ ყმაწვილი მიაკვლევს ამნაირ ქვეყანას, სადაც მისი მასპინძელი უმშვენიერესი ფერიაა: საწადელი აუსრულდება ბიჭს – მას შეუძლია უკვდავებას ეზიაროს, მაგრამ ადამიანური ბუნება არ ანებებს მას ამ ქვეყანაში დარჩენას. ცოტა ხნის შემდეგ ყმაწვილს მშობლიური კერა და დედა მოენატრება და ფერიას ეტყვის: წავალ, ჩემს სამშობლოს მოვინახულებ და ისევ უკან დავბრუნდებიო. ფერიამ კარგად იცის, რომ ის აღარასოდეს დაბრუნდება (მიწა თავისას მოითხოვს!) და რამდენიმე ვაშლს გაატანს: თუკი სიცოცხლე მოგბეზრდება შეჭამეო. თავის სოფელში დაბრუნებულ ყმაწვილს აღარც დედა დაუხვდება და აღარ ნაცნობი ვინმე, იმიტომ რომ უკვდავების საუფლოში გასული „ცოტა ხანი“ ათასი წელი ყოფილა წუთისოფლისათვის – ესეც ერთი დიდი კანონზომიერებაა: დრო თანამდევია ჟამიერი ცხოვრებისა, მარადისობას ის არ ესაჭიროება. უკვდავებისათვის სრულიად ზედმეტია ისეთი სიტყვები, როგორიცაა წამი, წუთი, საათი, დღე, თვე, წელიწადი, საუკუნე...

ბიჭი ვაშლებს შეჭამს და ადამიანურ აღსასრულს შეეგებება – ზღაპარი ამტკიცებს იმ აზრს, რომ სიცოცხლე არ არსებობს უსიკვდილოდ, „რა წამს კი დავიბადებით,იქვე საფლავი მზა არი“. ადამიანს არ შეუძლია ზედროული გახდეს და გაექცეს თავის დროსა და სიკვდილს – ეს იქნებოდა „გაქცევა“ საკუთარი ადამიანური ბუნებიდან.

ციური სიცხადითაა ყველაფერი ეს მოთხრობილი ერთ უძველეს და საყოველთაოდ ცნობილ ლიტერატურულ ძეგლში, რომელსაც ჰქვია „სიბრძნე ბალავარისი“ (ამ მაგალითს ყურადღება მიაქცია რ. სირაძემ).

„ბალავარის სიბრძნის“ გაკვეთილები

ინდოელ მეფეს აბენესს დიდხანს შვილი არ ჰყავდა. ღვთის წყალობით მას ვაჟიშვილი შეეძინა. მეფემ მოინდომა, რომ მის შვილს არ ენახა არანაირი გასაჭირი და ბოროტება ამქვეყნად და ისეთი ქალაქი აუშენა, სადაც არც სიბერე იყო, არც უძლურება და არც სიკვდილი (მეფის საგანგებო ბრძანებით, უფლისწულის გარშემო მხოლოდ ახალგაზრდები იყვნენ). თავის ვაჟს, იოდასაფს აბენესმა აღმზრდელი მიუჩინა, სახელად ზანდანი და მას დაავალა, რომ უფლისწული მხოლოდ სიხარულითა და ბედნიერებით ყოფილიყო გარემოსილი.

„ხოლო მეფემან ძესა თჳსსა აღუშენა ქალაქი და ამცნო მუნ შინა ყოფა ძესა მისსა. და უბრძანა, რაჲთა ბერი კაცი არა უტჳონ მას შინა ყოფად და მისცა მონანი სარწმუნონი. რაჲთა ჰმსახურობდნენ ძესა მისსა. და მისცა ზანდან მზარდულად და ამცნო მას და ჰრქუა, რათა ბერი კაცი, გინა სნეული ყოვლად არა უჩუენოს და არც სიკვდილი უხსენოს სადა, რამეთუ სწადოდა აღზრდა მისი შუებითა და სიხარულით, და არარა შეჭირვებათაგანი შეემთხვიოს გინა სიბერისათვის, გინა უძლურებისა, გინა თუ სიკვდილისათვის“.

გავიდა დრო, უფლისწული წამოიზარდა ამ „მიწიერ სამოთხეში“ და კვლავინდებურად არ იცოდა, თუ რა იყო სიბერე, უძლურება, სიკვდილი...

ერთ მშვენიერ დღეს იოდასაფი თავისი ქალაქიდან გარეთ გამოვიდა. ასეთ შემთხვევაში მის წინ მთელი რაზმი მიდიოდა, რომ უფლისწულს ან ბერიკაცი, ან ავადმყოფი ვინმე არ ეხილა შემთხვევით, მაგრამ ამ ჯერზე მათ გამორჩათ და მეფის ძე მოულოდნელად ერთ მოხუც კაცს წაადგა: „და კუალად ოდესმე განვიდა, და მოყვასნი იგი წინამავალი უდებ იქმნნეს და ვერ იხილეს ბერი კაცი, მდებარე მოუძლურებული, რომლისა თმა იყო სპეტაკ, ვითარცა მატყლი, და პირსა მისსა კბილი არა იყო, და სიტყუა მისი ფლაფნით იყო“.

იოდასაფი გაოგნებული დასცქეროდა მოხუცს. მას ასეთი კაცი არასდროს ეხილა და იკითხა:

„რა არს ესე?“ (დააკვირდით: „ვინ“ არის კი არა, „რა“ არისო. – გ.მ.).
ხოლო მან (ზანდანმა – გ.მ.) ჰრქუა: „და ესეცა კაცი არს“.
და ჰრქუა: „რასა შეუქმნიეს ესრეთ?“
ხოლო მან ჰრქუა: „წელიწადთა სიგრძესა“.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ თუკი არ არის შეგრძნება სიკვდილისა, არც დროის შეგრძნებაა, იმიტომ, რომ ჟამი შემოზღუდული არსებობის, დასაზღვრული ცხოვრების თანამდევია. ამდენად, მოულოდნელი არ არის, იოდასაფის მომდევნო შეკითხვა:

„რა არს წელიწადი?"
მიუგო ზანდან: „ათორმეტი თთუე".
და ჰრქვა: რა არს თთუე?
მიუგო: „ოთხი კვირა".

იოდასაფის გონებაში რაღაც უცნაურმა აზრმა გაიელვა – ის მიხვდა, რომ დროის მსვლელობასთან ერთად შეიძლება შეიცვალოს ის ცხოვრებაც, რაც მას მარადიული და უცვლელი ეგონა. ის ეკითხება აღმზრდელს: რამდენ ხანში გახდება ადამიანი ასეთიო? ზანდანი უპასუხებს: ოთხმოცდაათი ან ასი წლის ასაკში. უფლისწული გონიერი იყო და სწრაფად „აღრაცხნა თთუენი და წელიწადნი". და უცბათ მეწყერივით მოვარდა უმთავრესი შეკითხვა:

„ვითარ ვხედავ, ადრე მიუთქს დღე დღესა და წელიწადი წელიწადს, და ასთა წელთა დასასრული მალე იქმნების. აწ რაღა წინა-უც კაცსა ამას (მე როგორც ვხედავ, ასი წელიწადი მალე გადის და ახლა რა ელის ამ მოხუც კაცსო – გ.მ.)?"

ზანდანი იძულებულია უპასუხოს: „ამისა შემდგომად სიკუდილი".

იოდასაფს არავითარი წარმოდგენა არა აქვს სიკვდილზე:

„და რაჲ არს სიკუდილი?"

ყოვლის წამლეკავია უფლისწულისათვის აღმზრდელის პასუხი:

„განქარდების სახსენებელი ამისი ქუეყანით".

მაგრამ ეს პასუხი ხომ მხოლოდ ამ მოხუც კაცს არ ეხება! ის ხომ ისეთივე ადამიანია, როგორც იოდასაფი? მაშ, მასაც ელის სიკვდილი და ამ ქვეყნით განქარვება, არარაობად ქცევა? იოდასაფისათვის ძნელია ამის გაფიქრებაც კი და თავზარდაცემული ეკითხება ზანდანს:

„მამა ჩემი ესევითარადვე იქმნებისა?"
და ჰრქუა: „ჰე, ეგრეთვე იქმნების".
„და შენცა ესრეთვეა?"
და ჰრქუა: „ჰე".
„და მე ესრეთვეა?"
„ეგრეთვე შენ".
„და ყოველნი კაცნი ესრეთვეა?"
ჰე, ეგრეთვე..."
და ჰრქუა: „მე აწ თანა-მაც სიკვდილი?"
და ჰრქუა: „არა შენ ოდენ, არამედ ყოველთა კაცთა".

აი, ეს „მე აწ თანა-მაც სიკვდილი?" არის სწორედ მიხვედრა იმისა, რომ „რა წამს კი დავიბადებით, იქვე საფლავი მზა არი". და ამის გაცნობიერების შემდეგ იბადება არსებითი კითხვა: თუკი სიცოცხლეს ბოლო აქვს, მაშინ რა აზრი აქვს ადამიანის ცხოვრებას ამ ქვეყანაზე?

სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემაა „სიბრძნე ბალავარისი“.

ჩვენც დავასკვნით, რომ ცხოვრების საზრისის საკითხს, უწინარეს ყოვლისა, სამყაროს წინააღმდეგობრიობაში გათვითცნობიერება ბადებს. ახლა გავიხსენოთ, რომ „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“ და რაზეც ამდენ ხანს ვსაუბრობდით, ვაჟა-ფშაველას ერთი უმშვენიერესი ლექსით („ღამე მთაში“) შევიგრძნოთ:

„ბუნება მბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მქნელია ავისა.
ერთფერად მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა,
საცა პირიმზეს ახარებს,
იქვე მთხრელია ზვავისა.
მაინც კი ლამაზი არის,
მაინც სიტურფით ჰყვავისა!“

თეთრი და შავი საქმის „ერთფერად ტვირთვა“ არის სწორედ წუთისოფლის და, ცხადია, ბუნების არსება.

ქართული ლიტერატურა, საზოგადოდ, იცნობს წინააღმდეგობრიობის პრინციპს და „ვეფხისტყაოსანშიც“ ჩვენ ვხვდებით მას: გავეცნოთ ერთ მაგალითს: ავთანდილი არაბეთიდან გაიპარა და მეორედ მივიდა ტარიელთან. ინდოელი ჭაბუკი უკანასკნელ დღეშია – ავთანდილს ასეთი უნუგეშო სურათი წარმოუდგა თვალწინ:

„რა ტარიელ დაინახა, განაღამცა დაეღრიჯა:
ახლო მყოფი სიკვდილისა ჯდა და პირი დაებღნიჯა,
საყელონი გარდეხივნეს, თავი სრულად გაეგლიჯა,
მას აღარა შეესმოდა, სოფლით გაღმა გაებიჯა“.

ასეთ სიტუაციაში, როდესაც ტარიელს „სოფლით გაღმა გაებიჯა“, ავთანდილის წასვლას ნესტანის მოსაძებნად არავითარი აზრი არ აქვს – აუცილებელია ტარიელის სულიერი დეპრესიიდან გამოყვანა, მისი სიცოცხლისაკენ მობრუნება.

ავთანდილი დიდი ხნის საუბრისა და შეგონების შემდეგ მიხვდება, რომ უბრალო სიტყვებით ტარიელს ვერ „მოაბრუნებს“ და ფსიქოლოგიურ ხერხს მიმართავს:

„ნუ გამგზავნი გულ-მოკლულსა, ერთი მიყავ საწადელი,
ერთხელ შეჯე, ცხენოსანი გნახო ჩემი სულთა მხდელი“.

უცნაური თხოვნაა!

ტარიელი სიკვდილს ნატრობს და არცთუ შორსაა მისგან. ავთანდილსაც სთხოვს, რომ მეტად აღარ შეაწუხოს და მხოლოდ დამარხვასღა ევედრება. ამ დროს არაბი ჭაბუკი მას ცხენზე შეჯდომაზე ელაპარაკება: ერთხელ კიდევ გიხილავ ცხენოსანს და მერე „მე წავალ და შენ დაგაგდებ, იქმნას შენი საქადელიო“.

„სოფლით გაღმა გაბიჯებული“ ტარიელი ცხენზე შეჯდომამ „სოფელშივე შემოიყვანა“. რუსთველი წერს:

„ცხადად უთხრა: „შევჯდებიო, მომიყვანე ცხენი წინა“.
მან მოჰგვარა წყნარად შესვა, არ სიჩქარით ააქშინა;
მინდორთაკე წაიყვანა, ტანი მჭევრი აძვრევინა,
ხანი წავლეს, სიარულმან მოჯობება დააჩინა“.

მხედრის ხატება

აქ, შესაძლოა, იგულისხმებოდეს რაინდის, მხედრის ხატების აღდგენა ტარიელში. რაინდი წარმოუდგენელია ცხენის გარეშე. კაცობრიობა მრავალ მაგალითს იცნობს – კაც-ცხენის სიმბოლური მთლიანობისა:

რელიგიურს (წმინდა გიორგი თეთრ ცხენზეა ამხედრებული), ისტორიულს (ალექსანდრე მაკედონელი და მისი ყველაზე ცნობილი ცხენი, რომლის სახელიც კი შემორჩენილია – ბუცეფალი), ლიტერატურულს (სარაინდო რომანები); ირონიულსაც კი (დონ-კიხოტი და მისი როსინანტი, განსაკუთრებით კი სანჩო-პანსა და მისი სახელგანთქმული ვირი).

ეს არ არის შემთხვევითი რამ – კაც-ცხენის მთლიანობა ძალმოსილებასა და მიზანსწრაფულობას, წინააღმდეგობათა გადალახვის უდიდეს უნარს განასახიერებს, რაც კეთილშობილებასთანაც არის წილნაყარი.

ტარიელს უნესტანობამ სიცოცხლის ჟინი და რაინდული ბუნება დააკარგვინა (გავიხსენოთ, რომ იგი სიცოცხლის მოთმენაზეც კი ლაპარაკობს). ამ ბუნების დაკარგვის უპირველესი ნიშანი ის არის, რომ ტარიელი ბედს შერიგებია. რაინდობა წინააღმდეგობის გადალახვის უწინარესი უნარი და სურვილია და არა შემგუებლობა. ავთანდილი სწორედ ამ ბუნების აღდგენაზე ფიქრობს, როდესაც ტარიელს სთხოვს, რომ ცხენზე შეჯდეს. აქ კვლავ განსახოვნდება კაც-ცხენის რაინდული მთლიანობა. აქვე უცხადებს ავთანდილი მეგობარს:

„ბედი ცდაა, გამარჯვება ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“ (რაც ღმერთს არ სურს, ის საქმე არასდროს განხორციელდება, მაგრამ ღვთისგან დაშვებულ საქმეს ადამიანიური ძალისხმევა აგვირგვინებს – ამ აზრით, ადამიანი თავად ქმნის საკუთარ ბედს).

ცხენზე შემჯდარ და მომჯობინებულ ტარიელს უკვე კარგად ესმის ავთანდილის „საუბართა მშვენიერთა“ მნიშვნელობა, მაგრამ სულ ცოტა ხნით ადრე ბრძნად ამეტყველებული არაბი ჭაბუკი ამაოდ ირჯებოდა. ტარიელი ასე უპასუხებდა მაშინ მეგობარს:

„ეგ საუბარი მაშინ ხამს, თუმცაღა ვიყო ცნობასა“.

მაგრამ ის სიტყვები, რომლებსაც ტარიელი ვერ ისმენდა, დიდად მნიშვნელოვანია პოემის საერთო მიზანდასახულობის გასარკვევად და მოსააზრებლად.

ყური დავუგდოთ ავთანდილს:

„თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი ბრძენნი აპირებენ ამა პირსა:
ხამს მამაცი მამაცური, სჯობს რაზომცა ნელად ტირსა.
ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა,
თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა“.

ზოგჯერ ადამიანი უბედურია იმიტომ, რომ იცის, ე.ი. გაცნობიერებული აქვს საკუთარი მდგომარეობა. არცოდნა უბედურებასაც ააშორებდა ადამიანს. მაშასადამე, გონიერებაა ხანდახან პიროვნების გასაჭირის სათავე, მაგრამ კაცი იმიტომაც არის „ღვთის ხატი და მსგავსი“, რომ თავის გამოვლინებებს გაუბატონდეს და არა დაემორჩილოს მათ. ნებისყოფაა ჭეშმარიტი ადამიანურობის ერთი უპირველესი განმსაზღვრელი – იგი გვიმორჩილებს სურვილებს და არა პირიქით. ამადაც ეუბნება ავთანდილი ტარიელს.

„რაც არა გწადდეს, იგი ქმენ,
ნუ სდევ წადილთა ნებასა!“

ნებისყოფა – სურვილებზე გაბატონება

სურვილების მონობა – სატანური საწყისია ადამიანში, მათზე გაბატონება კი – ღვთიური).

კვლავ მოვუსმინოთ ავთანდილს:

„ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებ,
მინდორს სტირ და მხეცთა ახლავ, რას წადილსა აისრულებ?
ვისთვის ჰკვდები, ვერ მიხვდები, თუ სოფელსა მოიძულებ!
თავსა მრთელსა რად შეიკრავ, წყლულსა ახლად რას იწყლულებ?
ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ სახმილნი სდებიან?
ვის არ უნახავს პატიჟნი, ვისთვის ვინ არა ბნდებიან?
მითხარ, უსახო რა ქმნილა, სულნი რად ამოგხდებიან?
არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან!“

ავთანდილი ამას შეაგონებდა ტარიელს, რომ „უსახო“არაფერი შექმნილა ქვეყანაზე (ყველაფერი ღვთისგანაა, მან მისცა სახე ყოველივეს, ისიც გავიხსენოთ, რომ სახიერება სიკეთეს ნიშნავს), ამიტომ საბოლოო გამარჯვება სიკეთეს რჩება, მაგრამ წუთისოფელი წინააღმდეგობრივია და ბოროტებასთან შერკინების გარეშე ძნელად თუ მიაღწევს კაცი საწადელს: „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებიან“.

სწორედ აქ ამბობს ავთანდილი თავის ცნობილ სიტყვებს:

„ვარდსა ჰკითხეს: „ეგზომ ტურფა — **ვარდის**
რამან შეგქმნა ტანად, პირად? — **პასუხი**
მიკვირს, რად ხარ ეკლიანი? პოვნა
შენი რად არს ჭირად?"
მან თქუა: „ტკბილსა მწარე ჰპოვებს,
სჯობს იქცნებისა რაცა ძვირად;
ღმერთს ტურფა გაიაფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად".

აი, ლაკონიურად გაცხადებული წინააღმდეგობრიობის პრინციპი: „ტკბილსა მწარე ჰპოვებს" (აქ ალბათ, ყველა ჩვენგანს გაახსენდება დავით გურამიშვილის ბავშვობაშივე გაგონილი სიტყვები: „ჯერ მწარე ჭამე კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა!").

„ტკბილი" არ არსებობს „მწარის" გარეშე, „მწარე" „გვაპოვნინებს" „ტკბილს", ის სძენს აზრს თავის საპირისპირო ცნებას.

ასეა ადამიანის ცხოვრებაც – მხოლოდ ბედნიერება არ განფენილა ამ წუთისოფელში (როგორც ტარიელი ამბობს: „საწუთრო ნაცვლად გვატირებს, რაც ოდენ გაგვიცინია, ძველი წესია სოფლისა, არ ახლად მოსასმენია"). კაცს წინ განსაცდელიც დაუდგება, ავი დროც, ათასი გასაჭირიც, მაგრამ მან არასდროს უნდა დაივიწყოს, რომ „ბედი ცდაა", შეგუება და დამარცხება ერთმანეთის ტოლფასია. ადამიანს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ლხინს ვერავინ მოიმკის „პირველ ჭირთა უმუშაკო". ასეთია წუთისოფელი, მისი კანონზომიერება „ტომით ბრძოლაშია" და პიროვნებას ყოველთვის უნდა ახსოვდეს ეს.

ადამიანის ოდინდელი ოცნება იყო „საღმრთო მშვიდობის" დამკვიდრება დედამიწაზეც, ციური ამაღლებულობისა და მშვენიერების გაცხადება კაცთა საუფლოში. ამ საუკუნო ოცნების აღსრულებაა „ვეფხისტყაოსანის" ფინალი – პოემის გამორჩეულმა გმირებმა ისეთი ქვეყნები შექმნეს, სადაც ღვთიური ჰარმონია სუფევდა:

„ყოველთ სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავთა მქნელნი დააშინნეს, კრავნი ცხვართა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს".

„საღმრთო მშვიდობა" წუთისოფელში – ადამიანთა ოცნება ჰარმონიულ სამყაროზე

თხისა და მგლის ერთად „ძოვა" სწორედ მიწიერ დაპირისპირებულ არსთა შორის „საღმრთო მშვიდობის" დამკვიდრებას განასახიერებს.

წინააღმდეგობრიობის პრინციპს, ისევე როგორც აზროვნების სხვა გამჭოლ იდეებს, კიდევ არაერთგზის შევხვდებით ქართული მხატვრული ლიტერატურის გაცნობისას.

ძალიან არსებითად მეჩვენება იმის განსაზღვრა, თუ რა განაპირობებს რუსთველის პოემის, მართლაც, საგანგებო მნიშვნელობას ქართული საზოგადოების თვითიდენტიფიცირების თვალსაზრისით. რა მოუტანა რუსთველის გენიამ ქართველებს ისეთი, რის გარეშეც, პრაქტიკულად, წარმოუდგენელია თანამედროვე ქართველის ბუნება, კულტურა და სახე.

ჩემი აზრით, რუსთველმა სამი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა:

1. გამოხატა ქართველი კაცის ურყევი ნება, რომლის ძალითაც ამქვეყნად უმაღლესი ღირებულება ადამიანია, პიროვნებაა. არაფერია მისი დარი ან ფარდი – არც იდეა, არც სახელმწიფო და არც რაიმე სხვა პასუხისმგებლობა. ეს პირდაპირ ჩანს „ანდერძში". ავთანდილის ამოცანა ის არის, რომ როსტევანს აუწყოს და დაუმტკიცოს – კარგს გააკეთებს, თუ დატოვებს სამშობლოს, თავის პასუხისმგებლობას, გამზრდელ მეფესა და საოცნებო თინათინს და წავა თითქმის უცნობი ადამიანის დასახმარებლად. არაფერი შეიძლება აღემატებოდეს ადამიანის სწრაფვას ბედნიერებისკენ – მას აქვს ამის უფლება წუთისოფელშიც და ყოველი კაცის უზენაესი ვალდებულებაა დაეხმაროს მას. სხვა ყველაფერი ადამიანისთვის უნდა არსებობდეს. ამ იდეაზე დგას მთელი დასავლური ცივილიზაცია და რუსთველი, ამ თვალსაზრისით, სრულად ევროპელი შემოქმედია.

2. საქართველოსა და მსოფლიოს წარუდგინა რაციონალურად მოაზროვნე და მოქმედი ქართველის სახე, რომლისთვისაც მთავარია ცხოვრების ორი არსებითი პრინციპი: „კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეჭვ, ჭმუნვასა ესრე სჯობდეს" და „ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების". ამ ვრცლად სასაუბრო თემას მოკლედ ასე გამოვთქვამ: ცხოვრების მხოლოდ ემოციური აღქმა და გამოხატვა დამღუპველია ადამიანისთვის – მისი ფიქრი, მეტყველება და მოქმედება რაციონალური, გონივრული უნდა იყოს. პიროვნების სამივე ეს გამოხატულება არ უნდა ექვემდებარებოდეს ბედისწერის განცდას და გაცნობიერებულად უნდა გულისხმობდეს ადამიანის გააზრებულ მცდელობას მიზნის მისაღწევად. რუსთველის ეს აზრი, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ვერ იქცა ვერც ქართველთა და ვერც მთლიანად კაცობრიობის უმთავრეს მახასიათებლად.

3. წარმოაჩინა გამარჯვებული, ბოროტების დამმარცხებელი ქართველის სახება, რითაც სრულად გამოხატა ჩვენი იმედიცა და ოცნებაც. აჩვენა, რომ ამ გამარჯვების მთავარი საფუძველი სიყვარულია, რომელიც არასდროს დაეცემა, სხვა ყველაფერი რომ განადგურდეს. რუსთველმა, არეოპაგელზე დაყრდნობით, გააზიარა ის ხედვა, რომ ბოროტება, როგორც უარსო რამ, დროში შეზღუდულია („ავსა წამ-ერთ შეამოკლებს") და ყოველთვის დამარცხდება მარადიულობის ნიშნით აღბეჭდილ სიკეთესთან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, „ვეფხისტყაოსანი" შექმნის დღიდან ყოველი ქართველისთვის არის: ადამიანის წიგნი, გონების წიგნი და იმედის წიგნი.

I. ტექსტის გაგება

1. რას ნიშნავს პოემის პირველი სტროფის „რომელმან“?
2. როგორ განმარტავთ ამავე სტროფის „სამყაროს“?
3. რას ნიშნავს „სახე ყოვლისა ტანისა“?
4. რუსთველის აზრით, ადამიანის რა ოთხი თვისებაა აუცილებელი შემოქმედებითი აქტისთვის?
5. რას ნიშნავს „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“?
6. როგორია რუსთველის შეხედულება პოეზიაზე?
7. ვინ იგულისხმება შემდეგ სტრიქონში: „მისი სახელი შეფარვით, ქვემორე მითქვამს, მიქია“?
8. როგორია რუსთველისეული მიჯნურობა?
9. რომელ სტროფში ახასიათებს რუსთველი იდეალურ მიჯნურს?
10. რას ნიშნავს ავთანდილის მიერ თინათინისთვის ნათქვამი სიტყვები: „მე სიკვდილსა მოველოდი, შენ სიცოცხლე გამიწამე...“?
11. რას ნიშნავს რუსთველური „განგება“?
12. რა თვალსაზრისს გამოხატავს პოემის სიტყვები „შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“?

II. ტექსტის შეფასება

1. როგორ შეაფასებდით „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართ სტროფს: „პირველ თავი, დასაწყისი, ნათქვამია იგ სპარსულად...“?
2. განმარტეთ ნიკო მარის მოსაზრება პოემის სიუჟეტის წარმომავლობაზე?
3. რატომ ეხება რუსთველი პროლოგში საგანგებოდ შემოქმედებისა და სიყვარულის პრობლემას?
4. რატომ წარმოაჩენს რუსთველი იდეალურ ადამიანს სრულყოფილი მიჯნურის სახით?
5. რას დაუმატებდით ან გამოაკლებდით იდეალური მიჯნურის რუსთველისეულ ათ პრინციპს?
6. როგორ განმარტავს ვახტანგ VI რუსთველურ სიყვარულს?
7. როგორ აფასებენ ტიმოთე გაბაშვილი და ანტონ კათოლიკოსი რუსთველის შემოქმედებას?
8. როგორ შეაფასებთ სტროფს: „ვა, ოქრო მისთა მოყვასთა, აროდეს მისცემს ლხენასა...“?
9. როგორ არის წარმოდგენილი პოემაში „ნათლის ესთეტიკა“?
10. როგორ არის პოემაში წარმოდგენილი „სიკეთისა და ბოროტების ურთიერთობა“?
11. რით გამოიხატება პოემაში სამყაროს წინააღმდეგობრიობის პრინციპი?
15. რა აზრით უკავშირდება პოემაში გამოხატულ თვალსაზრისს „სიბრძნე ბალავარისი“?
16. როგორ განმარტავთ რუსთველის სიტყვებს „ბედი ცდაა, გამარჯვება ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“?

17. როგორ განმარტავთ რუსთველის სიტყვებს „რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ ნადილთა ნებასა“?

18. როგორ არის ასახული და წარმოდგენილი პოემაში სიყვარულისა და მეგობრობის ურთიერთმიმართება?

19. თქვენი აზრით, რა გავლენა მოახდინა „ვეფხისტყაოსანმა“ ქართულ ლიტერატურაზე?

20. ჰაგიოგრაფიის გმირთაგან განსხვავებით, რატომ ესწრაფვიან რუსთველის გმირები ამქვეყნიურ ბედნიერებას?

21. როგორია „ვეფხისტყაოსანში“ ადამიანის მიმართება ღმერთთან?

III ხასიათების ანალიზი

1. როგორ ახასიათებს ავთანდილს სტროფი: „ამა დღემან დამავიწყა, გული ჩემი ვინ დაბინდა...“?

2. როგორ ახასიათებს თინათინს სტროფი: „ქალსა რა ესმა ამბავი, მიხვდა წადილი ნებისა...“?

3. როგორ ახასიათებს ავთანდილსა და თინათინს სტროფი: „მას ავთანდილ თაყვანის-სცა, ლომთა-ლომმან, მზეთა-მზესა...“?

4. როგორ ახასიათებს ტარიელსა და ნესტანს სტროფი „დიდხან ვდექ და არა მითხრა, სიტყვა მისსა მონასურსა...“?

5. იმსჯელეთ თემაზე: „ფატმანი ორი სამყაროს მიჯნაზე“?

6. დაახასიათეთ პოემის მეფეთა სახეები?

7. როგორ შეგიძლიათ შეაფასოთ ასმათის სახე?

8. როგორ დაახასიათებთ ვაჭართა სამყაროს წარმომადგენლებს?

9. რამდენად სრულად აკმაყოფილებენ პოემის გამორჩეული გმირები „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის იდეალური მიჯნურის („მიჯნურსა თვალად სიტურფე...“) მახასიათებლებს?

10. როგორ ახასიათებს ავთანდილს მისი „კოსმიური სიმღერა“? (მიმავალი ცასა შესტირს...“).

11. შეადარეთ ერთმანეთს იდეალური ადამიანის რუსთველური და ჰაგიოგრაფიული ხედვა.

IV. განსხვავებული ხედვა

1. რა აზრით შეიძლება ვთქვათ, რომ პოემის მიხედვით სიყვარული ორსახოვანია? (ბედნიერებისა და ტრაგიზმის მომტანი).

2. ეთანხმებით თუ არა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის აზრს, რომ ბოროტებას არსება არა აქვს?

3. თქვენი აზრით, მართებულია თუ არა რუსთველური კონცეფცია, რომ სიკეთე საბოლოოდ ყოველთვის იმარჯვებს?

4. მართებულია თუ არა ძველი ბერძნული („სიმპათიის კანონი“) და რუსთველური მოსაზრება, რომ სამყაროში ყველაფერი ერთმანეთს უკავშირდება?

V. თხზულების გააზრება

1. სიკეთე და ბოროტება „ვეფხისტყაოსანში“ (შეეცადეთ გააანალიზოთ და შეაფასოთ, არეოპაგიტულ მსოფლხედვაზე დაფუძნებით, როგორ რე-

ალიზდება პოემაში სიკეთის საბოლოო გამარჯვების რწმენა – ამგვარი ხედვის საფუძვლიანობა დაასაბუთეთ კონკრეტული მაგალითებით).

2. სიყვარული „ვეფხისტყაოსანში“ (შეეცადეთ წარმოაჩინოთ სიყვარულის რუსთველური კონცეფცია, ამ კონცეფციის სახარებისეული და არეოპაგიტული საფუძვლები და მისი მხატვრული გააზრება პოემის კონკრეტული მაგალითებით).

3. მეგობრობა „ვეფხისტყაოსანში“ (ეს თემა გაიაზრეთ და შეაფასეთ, ძირითადად ავთანდილის მაგალითზე. წარმოადგინეთ თქვენი თვალსაზრისი, საზოგადოდ, „ავთანდილობის“ შესახებ; გაითვალისწინეთ ასმათისა და ფატმანის სახეებიც.

4. ქალის ახლებური სახე „ვეფხისტყაოსანში“ (შეეცადეთ განმარტოთ, რა სიახლე დანერგა რუსთველმა ქალის სახის გააზრების თვალსაზრისით – სასურველია ეს შეძლოთ, საზოგადოდ, ქართული ტრადიციის კონტექსტში; გააანალიზეთ და შეაფასეთ, როგორ არის რეალიზებული ნესტანისა და თინათინის სახეებში რუსთველის მიერ პროლოგში გაცხადებული სიტყვები: „მისი სახელი, შეფარვით, ქვემორე მითქვამს, მიქია“?

5. ნათელი „ვეფხისტყაოსანში“ (შეეცადეთ წარმოადგინოთ ბიბლიური და არეოპაგიტული წანამძღვრები, რა დაფუძნებითაც პოემაში „ნათელი წარმოჩინდება“ როგორც მსოფლმხედველობრივი, კულტურული და მხატვრული ფენომენი. ეს ყველაფერი დაასაბუთეთ კონკრეტული მაგალითებით)?

6. რა არის „ვეფხისტყაოსნობა“ (ტარიელის მაგალითზე განმარტეთ „ვეფხისტყაოსნობის“ არსება; წარმოაჩინეთ, რას ნიშნავს მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში სიმბოლურად ვეფხის ტყავი და მისი ტარება და რატომ არის პოემის სათაური ტრაგიზმის მომცველი)?

7. სამყარო – ერთიანი და მთლიანი თუ წინააღმდეგობრივი? (შეეცადეთ სამყაროს მთლიანობის პრინციპისა და სამყაროს წინააღმდეგობრიობის პრინციპის წარმოჩენა „ვეფხისტყაოსნისა“ და ქართული ლიტერატურის სხვა მაგალითების მოტანით; განმარტეთ, რა ურთიერთმიმართება შეიძლება არსებობდეს ამ ორ პრინციპს შორის; ასევე, შეადარეთ ერთმანეთს ორი ცნება „საღმრთო მშვიდობა“ და „ტომითი ბრძოლა“).

სულხან-საბა ორბელიანი

„სიბრძნე სიცრუისა“

ეპოქა და ავტორი



სულხან-საბა ორბელიანი

საქართველოს ისტორიისათვის კონსტანტინოპოლის დაპყრობას თურქთა მიერ 1453 წელს და ბიზანტიის იმპერიის დაცემას, შეიძლება ითქვას, საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა. თუ 1453 წლამდე ჩვენი ქვეყანა უშუალოდ უკავშირდებოდა მსოფლიო პოლიტიკისა და კულტურის ერთ-ერთ მთავარ ცენტრს – კონსტანტინოპოლს, ამის შემდეგ იგი დასავლური სამყაროს სულიერ და მატერიალურ მონაპოვარს ჩვეულებრივ უშუალოდ ველარ ითვისებდა. ძირითადი გზა, რომელსაც საქართველოში ევროპული სულიერი ფასეულობები მოჰყვებოდა, რუსეთზე გადიოდა.

დასავლეთისკენ სწრაფვა

ქართული მწერლობისათვის დასავლური სამყარო იმიტომ იყო მნიშვნელოვანი, რომ ქარული კულტურა თავისი არსით სწორედ მის ნაწილს შეადგენდა. ამიტომ განსაკუთრებით საყურადღებოა დასავლეთისაკენ სწრაფვა აღორძინების ხანაში (XVI-XVIII სს.) აღმოსავლურობის მოჭარბების დროს ევროპულ სამყაროსთან საქართველოს კავშირის აღდგენის მცდელობა სულხან-საბა ორბელიანის სახელსაც უკავშირდება.

სულხან-საბა მრავალმხრივი მოღვაწე იყო. იგი გახლდათ პროზაიკოსი, პოეტი, ლექსიკოგრაფი, მქადაგებელი, მწიგნობარი, სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწე. მძიმე და ტრაგიკული ბედი არგუნა საბას განგებამ. საქართველოს სიყვარულმა იგი ათას ადგილას წაიყვანა, ათას გაჭირვებას შეჰყარა, მაგრამ, სამწუხაროდ, მის მიზნებს განხორციელება არ ეწერა. თუმცა დაგვიტოვა ნაშრომები, რომლებიც საკმაოდ სრულად წარმოადგენენ სულხან-საბას შემოქმედებას. მის ლიტერატურულ გემოვნებას და გვიჩვენებენ იმ სამწერლობო და ფილოლოგიურ ხარვეზს, რომელიც XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში არსებობდა და რომლის აღმოფხვრაც დაისახა მიზნად დამაშვრალმა საბამ.

სულხან-საბა ორბელიანი დაიბადა 1658 წელს ქვემო ქართლის სოფელ ტანძიაში: სულხანის მამა – ვახტანგი მეფე ვახტანგ V-ის (1658-1675 წწ., შაჰნავაზის) კარზე იზრდებოდა, მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა მამიდაშვილებთან – მეფე გიორგი XI-სთან, არჩილთან და ლევანთან.

სულხან-საბა მხარში ედგა გიორგი XI-ს და ქვეყნის პოლიტიკური განმტკიცებისათვის იბრძოდა. ისტორიული ვითარება კი იმ პერიოდში უმძიმესი იყო: ქართლ-კახეთი სპარსელებს მოეოხრებინათ. კახეთის 1659 წლის აჯანყებამ მტერს დაანახვა, რომ საქართველოს იარაღით დამონება არცთუ ადვილი საქმე იყო. ამიტომ მან გათიშვის ხერხი მოიმარჯვა – განადგურების მუქარით თუ დაყვავება-მოსყიდვით მტერმა თავის მხარეს გადაიბირა აჯანყების ნაკლებაქტიური მონაწილენი. როგორც იოანე საბანისძე იტყოდა, „რომელნიმე მძლავრებითა, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკვრებით". მრავალი თავადი განუდგა საერთო საქმეს, „გარდაგულარძნდა". ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, „შეერიათ ქართველთა განცხრომა, სმა-ჭამა ყიზილბაშური, სიძვა, მრუშობა...ტყუვილი, ხორცთგანსვენება, უგვანი კეკლუცობა..."

ასეთი ვითარება სუფევდა სამი ათეული წლის შემდეგაც, როდესაც სულხან-საბა გიორგი XI-ს ემსახურებოდა. აღმოსავლეთისაგან თავის დახსნისა და დასავლეთთან დაკავშირების საბასეულმა პოლიტიკურმა იდეალებმა მარცხი განიცადა, როდესაც ირანის შაჰმა ქართლის მეფობა გამაჰმადიანებულ ერეკლეს (ნაზარალიხანს) უბოძა; 1688 წელს გიორგი ქართლიდან გააძევეს. თითქმის იგივე ბედი ხვდა წილად საბასაც – 1698 წელს „იგი მონაზონ იქმნა და გარესჯის მრავალმთის წმიდის ნათლისმცემლის მონასტერს დაადგრა".

1703 წელს ქართლის ტახტზე ვახტანგ VI (1675-1737 წწ.) ავიდა. საბაც პოლიტიკურ ასპარეზს დაუბრუნდა. 1710- 1712 წლებში დიპლომატიური მისიით იგი ორჯერ გაემგზავრა სპარსეთს. 1713 წელს ფრანგ მისიონერ რიშართან ერთად საგანგებო დავალებით ევროპას მიაშურა. ფიქრობენ, რომ ამ პერიოდსავე უკავშირდება მის მიერ კათოლიკობის მიღება, „განლათინება" (იოანე ბატონიშვილი) – ევროპისაკენ მიმავალი საბა 1713 წელს კონსტანტინოპოლში წმიდა ბასილის ორდენის მიმდევარი შეიქმნა. ამ ორდენის თავისებურება იყო გარკვეული სიახლოვე მართლმადიდებლობასთან, და რაც, აგრეთვე, საგულისხმოა, ბასილიანთა ორდენის წევრებს წვერის ტარების უფლება ჰქონდათ.

საბას მოგზაურობის მარშრუტი ასეთი იყო: კონსტანტინოპოლი – მარსელი – პარიზი – რომი, ასევე, იტალიის სხვა ქალაქები, ბოლოს კონსტანტინოპოლი და თურქეთის გზით – საქართველო. 1714 წლის აპრილში ვერსალში საბა ლუდოვიკო XIV-მ მიიღო. პარიზიდან გამობრუნებულ ქართველ მოღვაწეს რომის პაპმა კლიმენტი XI-მ იმავე წლის ივლისში ორჯერ გაუმართა აუდიენცია.

ასეთი იყო საქართველოს ევროპულ სამყაროსთან კავშირის აღდგენის საბასეული მცდელობა და „ფრიადი შრომა", რის გამოც მას მრავალი შეჭირვებისა და შეურაცხყოფის დათმენა მოუხდა. აი, რას წერს ამის თაობაზე საბა თავისი თხზულების – „მოგზაურობა ევროპაში" – ბოლოს: „ქართველი ეპისკოპოსნი და სამღვდელონი რომს წასვლისათვის გამიმტერდნენ და ასე შეკრეს ყოველი – ჩემი ნათესავი და მოყვარე და მეფე – დარბაისელნი, ვერავინ შემომეწია... მერმე სამღვდელოთ შფოთი აღძრეს ჩემზედ, კრება და ბოროტის ქნა მოინდომეს, მაგრამ მეფე ვერ აიყოლიეს... მერმე მეფე ბაქარ დასჯდა მეფედ, ვისთვისაც ესოდენი ჭირი მენახა და ვისაც მეფობას ვსცდილობდი,

ათხუთმეტის წლისა იყო. მოატყუეს, მცხეთას, ჩემი სიყვარული და სამსახური სულ დაავიწყეს, კრება მიყვეს და წმიდის პაპის გინება მომიდვეს. მე მართლმადიდებლობა ვერ უარვყავ და მრავალი ავი მოინდომეს, მაგრამ ღმერთმან ყოვლისაგან დაგვიხსნა. მეფემაც პატივი მოგვაპყრა და მათი ვერაგობაც გაცუდდა. ვახტანგ მეფეს სმენოდა, დიდად სწყენოდა და ყოველნი დაეტუქსა".

მოგვიანებით ქართლის აწეწილმა ბედმა ვახტანგ VI-სთან ერთად რუსეთისაკენ აქცევინა პირი საბას, მაგრამ პეტერბურგამდე ვერ მიაღწია – 1725 წლის 26 იანვარს იგი მოსკოვში გარდაიცვალა. დაკრძალეს ვსესვიატსკოეს ძველ ეკლესიაში. საფიქრებელია, რომ საბა კვლავ დაუბრუნდა მართლმადიდებლობას; წინააღმდეგ შემთხვევაში, მართლმადიდებლთა ეკლესიის გალავანში ის არ დაიმარხებოდა. როგორც ჩანს, საბა დარწმუნდა, რომ კათოლიკობა ვერ გაამართლებდა იმ მისწრაფებებსა და იდეალებს, რომელთა გულისათვის მან კათოლიკობა მიიღო, უკანვე დაუბრუნდა წინაპართა აღმსარებლობას. საქმე ისაა, რომ საქართველოსა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა რეალურ დაახლოებას განხორციელება არ ეწერა: ამ ხანებში გარდაიცვალა ლუდოვიკო XIV. საფრანგეთში შეიცვალა მმართველი წრეები. თვით დასავლეთ ევროპაში ახალი პრობლემები წამოიჭრა და თურქეთთან და ირანთან ურთიერთობის გამწვავებას საფრანგეთი და რომი მოერიდნენ.

მაგალითები იმისა, როდესაც პოლიტიკური მოსაზრებებით გამაჰმადიანებული მეფეები ისევ ქრისტიანობას უბრუნდებოდნენ, საქართველოს ისტორიაში არცთუ იშვიათია (მაგალითად, არჩილი, ვახტანგი და სხვ.). ამდენად, საბას ამგვარი ნაბიჯი გასაგებიცაა.

საბას დიდ ავტორიტეტზე თანამედროვეთა შორის მეტყველებს უცხოელი მოგზაურის – ფრანგ მისიონერ რიშარის შეფასება: „იგი მთელს საქართველოს მამად მიაჩნიაო".

შემოქმედებითი მემკვიდრეობა


ისევე როგორც მოგვიანებით მოღვაწე დავით გურამიშვილის ცხოვრება, საბას ბიოგრაფიაც ერთგვარი მატიანეა იმ მარცხთა თუ უბედობათა, ბრძოლათა, ტყვეობათა, რაც საქართველოს გარდახდა XVII-XVIII საუკუნეებში. მიუხედავად ამისა, „სოფლისა საქმეთაგან უცალო" სულხან-საბა ორბელიანი მაინც პოულობდა დროს ლიტერატურული და მეცნიერული მოღვაწეობისათვის. ამ ხანას ივანე ჯავახიშვილი ენციკლოპედიურს უწოდებს. იგი წერს, რომ იმდროინდელი მოღვაწეების აზრი და გონება იმ ფიქრისკენ იყო მიმართული, ქართველი შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნის ნამუშევარი და ნაჭირნახულევი შეეკრიბათ, შეესწავლათ და ცოდნა გადაეცათ.

სულხან-საბა ორბელიანის კალამს ეკუთვნის ქართული კულტურისათვის უმნიშვნელოვანესი თხზულებები და შრომები: „სიბრძნე სიცრუისა", რომელიც დაწერილია 1786-1695 წლებში; „ლექსიკონი ქართული", რომელსაც ვახტანგ VI-მ სიყვარულით „სიტყვის კონა" უწოდა (საბამ მასზე მუშაობა 1685 წლიდან დაიწყო და 1716 წელს დაასრულა); ქადაგებათა საყურადღებო კრე-

ბული, რომელსაც ეწოდება „სწავლანი და მოძღურებანი“ (ეს თხზულება საბას ძმამ – ზოსიმემ გადაწერა მოსკოვში 1729 წელს); აგრეთვე, ბიბლიის „კონკორდასი“ ანუ „სიმფონია“, რომელიც სომხურიდან თარგმნა სწავლულმა; კათოლიკობის გავრცელების მიზნით მან დაწერა „სამოთხის კარი“, რომელსაც ანტონ კათოლიკოსმა (1720-1788 წწ.) „ჯოჯოხეთის ბჭე“ უწოდა; საბას შეუსწორებია „საქრისტიანო მოძღვრება“ ანუ კატეხიზმო; უთარგმნია „წამებანი წინასწარმეტყველთანი“ და „სწავლა მეცნიერთათვის თქმული; აღვიარებ, რომელ არს ღმერთი ან სჯული“; საბამ დაწერა „მოგზაურობა ევროპაში“, რომელიც ამ ეპოქაში აღმოცენებული მემუარული ჟანრის ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშია; დიდი შრომა გასწია მან ვახტანგ VI-ის მიერ ნათარგმნი „ქილილა და დამანას“ ლიტერატურულად დახვეწისათვის ანუ „გაჩალხვის“ საქმეში და ლექსების გაწყობაში; დაწერა რამდენიმე „ანბანთქება“ და თეიმურაზ I-ის (1589-1663 წწ.) „ქეთევანიანს“ დაუმატა სამი სტროფი. არსებობს, აგრეთვე, სულხან-საბა ორბელიანის მიერ რედაქტირებული ბიბლიის ტექსტი, რომელიც „მცხეთური ხელნაწერის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ეს არის XVII-XVIII საუკუნეების მიჯნის ქართული ბიბლიოგრაფიის, ამ ეპოქის ფილოლოგიური, მეცნიერულ-კრიტიკული საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ძეგლი.

წიგნი ზნეთსწავლულებისა

მსოფლიო ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში თუ ფოლკლორულ მასალებში მრავლადაა მშვენიერი იგავარაკული თუ მორალისტური ხასიათის ნაწარმოებები, რომელთაც საქვეყნოდ ცნობილი ან ანონიმი



რომი – ვატიკანი

ავტორები ჰყავთ; მათ შორის ღირსეული ადგილი უკავია სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“. სხვა მსგავსი თემატიკის თხზულებათაგან იმითაა გამორჩეული, რომ კომპოზიციურად მთლიანი და შინაარსობრივად შეკრული ძეგლია, ერთ ქარგაზე აგებული. მისი სათაური გულისხმობს, რომ ის შეიცავს სიბრძნეს, ე.ი. გარკვეულ აზრს, მნიშვნელობას სიცრუისას ანუ გამონაგონისას, ცრუ, მოგონილი ზღაპრებისა და იგავებისას.

თხზულების
სათაური

თხზულების სათაურთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე წერდა: „საბა ორბელიანმა რომ თავისი ზღაპრები დასწერა, სიბრძნე სიცრუის წიგნი დაარქვა, მე ხშირად ჩავფიქრებივარ ამ უცნაურ სახელს წიგნისას. მართლაც, სადაც სიბრძნეა, იქ სიცრუეს რა ხელი აქვს? სიბრძნესთან სიცრუე რა მოსატანია? რა სიტყვის მასალაა? რა უგავთ ერთმანეთსა? საბა ორბელიანი – ეს ბრძენი, დარბაისელი კაცი, რათ იკადრებდა სიბრძნეში გაერია სიცრუე? ან რა სახარბიელო სახელია სიცრუე?

მე ვფიქრობ, რომ საბა ორბელიანს ამის თქმა უნდოდა: მე ზღაპარს გეუბნები და სიბრძნეს კი გამცნობო – ზღაპარი მოგონილი ამბავია, არამართალი, მაშასადამე, სიცრუეა. ამ მხრივ წიგნი საბა ორბელიანისა სიცრუეა. ის სიცრუე კი არა, რომელიც სწამლავს და ჰშხამავს ადამიანს და სიცრუის მთქმელს უფრო სთხრის და აუწმინდურებს, ვიდრე სხვას. ის სიცრუე კი არა, რომელსაც აუღია ურცხვად თავი და ქურდულად იკბინება გესლიან მორიელსავით და რომელიც ასე საზიზღარია და სამართლიანად დევნილი ყოველ პატიოსან კაცისაგან.

საბა ორბელიანის სიცრუე ზღაპარია, იგავია, არაკია. იგავი, არაკი, ზღაპარი ამისთანა სახეა, კანია აზრისა, რომელიც საჭკუო და საზნეო ჭეშმარიტებას ზედმიწევნით გვიხატავს ხორცშესხმულად, ჭკუას გვასწავლის, გვარიგებს, ზნეს გვიწურთნის, ავსა და კარგს გვანიშნებს ერთმანეთში გასარჩევად. საბა ორბელიანის სიცრუე... უცოდველია, უმწიკვლოა, უბოროტოა, უბრყვილოა. იგი ნამუსიანია, არც არავისა ჰმტრობს, არც არავისა ჰგმობს. ამაზე მეტსაც ვიტყვით, იგი მადლიანია იმ მხრით, რომ აზრის ამხსნელია, მაუწყებელია, გაგების გზა და ხიდია, ცოცხალი ხატია, ხელთქმნილი დიდის გრძნეულებით“.

სავარაუდებელია, რომ თვით სახელწოდება ამ ნაწარმოებისა მოფიქრებულია ბიბლიური წიგნების იგავთას და სიბრძნე სოლომონისას, აგრეთვე, „ვარლაამისა და იოსაფის“ სათაურების მიხედვით, რომელსაც ქართულად „სიბრძნე ბალავარისა“ ეწოდება.

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ ძველ ქართულ მწერლობაში გავრცელებული სიმბოლურ-ალეგორიული გამოხატვის ერთ-ერთ ფორმას – იგავური ალეგორიზმის ხერხს მისდევს. ასეთივე ალეგორიზმია გამოყენებული ბიბლიაში, „სიბრძნე ბალავარისაში“, „ვეფხისტყაოსნის“ იგავური ჩანართებისას, „რუსუდანიანში“ და სხვ.

იგავური ალეგორიზმის ფორმას, როგორც განსახოვნების ერთ-ერთ მხატვრულ ხერხს, ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი ნაყოფია შუამდინარული, ბაბილონური, ეგვიპტური, ანტიკური სახისმეტყველებისა, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა და დატვირთვა მან ებრაულ და ქრისტიანულ საღვთისმეტყველო და ლიტერატურულ აზროვნებაში შეიძინა.

იგავთ-მეტყველება

ქრისტიანული თვალთახედვით, იგავი სიმბოლოების ანუ სახეების საშუალებით „მეტყველებაა". ეს სახეები აღებულია ამქვეყნიური რეალობიდან იმისათვის, რათა მათი მეშვეობით აღნიშნოს ღვთის გამოცხადება. სასულიერო მწერლობაში იგავი აღძრავს ცოდნის წადილს და ადამიანს განაწყობს ფიქრისათვის. განსაკუთრებული ფუნქციითაა დატვირთული იგავი „სახარებაში" – იგი არის აუცილებელი შუამავალი რწმენისათვის გონების გასახსნელად. მორწმუნე რაც უფრო წვდება ღვთაებრივ სიბრძნეს, მით უფრო ესმის იგავის აზრი. ამიტომ იესო ქრისტე თავის შესახებ მოწაფეებს იგავურად ესაუბრება, ვინაიდან მათთვის იესოს საიდუმლოება (რომ იგი ღვთის ძეა) უჩვეულოა; თანდათანობითი იგავური ქადაგებით მოწაფეებს იგი უღვივებს რწმენას, რის შემდეგაც მათთვის ცხადი ხდება როგორც ქრისტეს მოვლინება, ასევე მისი მოღვაწეობა, ჯვარცმა, აღდგომა და, საერთოდ, მთელი მოძღვრება. იგავები გვაძლევს იმის საშუალებასაც, უკეთესად დავინახოთ იმათი სიბრმავე, რომელნიც შეგნებულად არ აღიარებენ ქრისტეს ქადაგებებს. აი, რა წერია იგავის შესახებ სახარებაში: „და მოუხდეს მოწაფენი და ჰრქუეს მას: რაჲსათვის იგავით ეტყვი მათ?.. ამისათვის იგავით ვეტყვი მათ, რამეთუ ჰხედვენ და არა ჰხედვენ, ესმის და არა ესმის; არცა გულისხმა-ყვიან" (მათე 13. 10,13). თუმცა მაცხოვარი ამასაც აუწყებს თავის მოწაფეებს : „ამას იგავით გეტყოდე თქუენ, ხოლო მოვალს ჟამი, ოდეს არღარა იგავით გეტყოდი თქუენ, არამედ განცხადებულად..." (იოანე 16.25).

ამასთანავე, „სახარებაშივეა" მონიშნული ისეთი იგავები, რომლებიც უფრო ნათელია და განსაკუთრებულ განმარტებას არ საჭიროებენ – მკითხველს თავად შეუძლია მორალისა და დასკვნების გამოტანა.

ეზოპესა და აღმოსავლური არაკების მსგავსად, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას" იგავ-არაკებიც პრინციპულად განსხვავდება სახარებისეულ იგავებისაგან. გარდა იმისა, რომ ისინი გარკვეულწილად ზღაპრული შინაარსითაცაა შევსებული, ამ იგავ-არაკებს უზენაესის მოძღვრების სიბრძნის ჩაწვდომის პრეტენზია არ აქვთ. ისინი უფრო ყოფითნი არიან, თუმცა ქრისტიანული ეთიკის, ზნეობრივი ნორმების პრინციპები მათში, როგორც წესი, გატარებულია. საბამ სახარებიდან იცის იგავის ძალა – მისი თხზულების პერსონაჟები „არაკობას იწყებენ". „სიბრძნე სიცრუისაში" იგავთა მეშვეობით ხდება ჩვენება და თავმოყრა მორალური პრინციპებისა. გარკვეული აზრით, აქ ადგილი აქვს იმ მოძღვრების შემუშავებას, რომლითაც უნდა აღიზარდოს არა მარტო მეფისწული, არამედ ნებისმიერი პიროვნება – როგორც ერისშვილი, უფრო მეტიც – ჭეშმარიტი ქრისტიანი. სხვაგვარად

რომ ვთქვათ: საბასთვის იგავ-არაკები ქრისტიანული შინაარსის მორალისტურ-დიდაქტიკური დანიშნულებისაა, რომლებიც ჩვეულებრივ, ალეგორიული, გადატანითი გზით გვაწვდის ამა თუ იმ ზნეობრივ შეგონებას ისე, რომ მას უმეტესად ქვეტექსტური გაგება ახლავს. ამ ფორმით ახერხებს საბა თავისი მოძღვრების ჩამოყალიბებას.

ნაწარმოების ანალიზიდან ირკვევა, რომ „სიბრძნე სიცრუისას“ დაწერისას სულხან-საბას უსარგებლია როგორც ლიტერატურული წყაროებით, ასევე ზეპირსიტყვიერების ნიმუშებითაც. მაგრამ, ამასთანავე, იმდენად აქტიურია საბას შემოქმედებითი ჩარევა ამ თხზულებათა შერჩევა-გაჩალხვისას, რომ „სიბრძნე სიცრუისა“ მთლიანად ორიგინალური ნაწარმოების ელფერს იძენს. მისი ენა არის მარტივი, დარბაისლური, ადვილად გასაგები, ბარბარიზმებისაგან განტვირთული და შესამჩნევად დაახლოებული ხალხურ მეტყველებასთან, თუმცა მასში არცთუ იშვიათია აღმოსავლური პოეტური ენისთვის დამახასიათებელი შედარებები და სხვადასხვა ტროპული ხერხი.

„სიბრძნე სიცრუისას“ არაერთი იგავ-არაკი ემსგავსება „პანჩატატრას“, „ჰიტოპადეშას“, „ანვარი სოჰაილის“ ანუ „ქილილა და დამანას“, „ათას ერთი ღამის“, მხითარ გოშის „თუთი-ნამეს“, „თიმსარიანის“, „სიბრძნე ბალავარისას“, „მეფეთა სალაროს“, „ბარამგურიანის“, ეზოპეს, პლუტარქეს, „მელის წიგნის“, „შვიდვეზირიანის“ და სხვა აღმოსავლური თუ დასავლური ლიტერატურული და ხალხური თხზულებების არაკებს.

არსებობდა აზრი, თითქოს საბაზე გავლენა მოუხდენია ლაფონტენს, რომელიც მას საფრანგეთში ყოფნისას უნდა გაეცნოო. მაგრამ საბა ევროპაში 1713-1716 წლებში მოგზაურობდა, ხოლო ლაფონტენი კი 1694 წელს გარდაიცვალა. არც ლიტერატურული ნაცნობობაა მოსალოდნელი, რადგან საბამ „სიბრძნე სიცრუისას“ დაწერისას (1686-1695 წწ.) ფრანგული ენა არ იცოდა. მთავარი ერთი რამ არის: ცნობილია ე. წ. მოარული სიუჟეტები, რომლებიც ზეპირი გზით ვრცელდება და შემორჩება ხოლმე – ისინი შეესაბამება იმ ხალხის ხასიათს, ტემპერამენტს, რომელმაც მიიღო ეს სიუჟეტები და გამიზნულია ამ ერის ნაკლულევანებათა გამოსასწორებლად, მანკიერ თვისებათა მხილებისა და აღმოფხვრისათვის, ზნეობრივი განწმენდისათვის. ასეთი სიუჟეტები თავისთავად შეიძლება წარმოიშვას . ყოველივე ერთად აღებული კი ცხადად გამოხატავს ქვეყნის სატკივარს, იმ შეჭირვებას, რაც ერს ადგას, რის გამოსწორებაც წინსვლისათვის აუცილებელია. სწორედ ამ ნიშნითაა აღბეჭდილი სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“.

თხზულებაში ერთგვარად ორი დამოუკიდებელი იდეური ხაზი ვითარდება: პირველ რიგში, სიუჟეტური ხაზი სვამს სამართლიანი მეფისა და უფლისწულის აღზრდის საკითხს; და მეორე: იგავთა მოშველიებით წამოჭრილია საერთოდ ადამიანის ბუნების, მისი ავკარგიანობის პრობლემა; მაგრამ ეს ორი ეთიკური ხაზი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული ალეგორიული ხერხით და მარადიული პრობლემის – კეთილისა და ბოროტის ურთიერთმიმართების ერთ მთლიან საფუძველს ქმნის.

ქართველი რომანტიკოსი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის ფილოსოფიურ ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას" ასე განსაზღვრავს ბოროტი და კეთილი მეფეების სახეებს:

...თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს
არც ვინღა არის და წინაშე არც ვინ აღუდგეს...
შფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან: „როდის იქნება,
ის სამეფოცა ჩვენი იყო?" და აღიძვრიან
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!
თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?
მისი სიცოცხლე: ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული,
მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს
თავის მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს
არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას!..

ასე ზუსტად, შეკუმშულადაა დახასიათებული და მოცემული ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მეფის სახე ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ – ბოროტება და შური, ერთი მხრივ, და სიკეთე და შორსმჭვრეტელობა, მეორე მხრივ, დანახულია ზოგადადამიანური პრობლემის – ყოველივეს წარმავლობისა და ამქვეყნიური არსებობის ამაოების ჭრილში.

„სიბრძნე სიცრუისაში" მეფეთა სახეები გაშლილადაა წარმოდგენილი. აქ მწერალი უფრო ეძებს, აზუსტებს „უმაღლესი სოფლის დიდების" მფლობელთა ხასიათებს, ცდილობს აჩვენოს და მიახვედროს მკითხველი, თუ რა არ ეკადრება და რაა შესაფერისი ღირსეული მეფისათვის. აქ არაა მხოლოდ რაიმე ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნა. განსჯა გარკვეულწილად თავად მკითხველისათვის აქვს მინდობილი საბას, ხოლო მორალი, როგორც წესი, იგავის ბოლოშია გატანილი, ან შეგონებების სახითაა ხოლმე ჩამოყალიბებული.

კომპოზიცია

„სიბრძნე სიცრუისა" მთლიანი ნაწარმოებია, თუმცა, ამასთანავე, იგი კრებულის სახისაა; თხზულებაში მოთავსებული იგავ-არაკები ისეა აგებული და შეკრული, რომ წარმოაჩინოს ერთ ფონზე გაშლილი უმთავრესი საჭირბოროტო პრობლემა – ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის. სწორედ ამ საკითხის მაღალმხატვრული გადაწყვეტა და ხასიათთა ზნეობრიობის კუთხით განხილვა მსოფლიო ლიტერატურის შედევრად წარმოადგენს საბას მხატვრულ ნაშრომს.

თხზულების მთავარ ხაზს წარმართავს ხელმწიფე ფინეზის ამბავი და მისი ქვეშევრდომების – ვეზირ სედრაქისა და საჭურის რუქას იგავური პაექრობა, რომელშიც ჩაერთვებიან ხოლმე მეფისწული ჯუმბერი და მისი აღმზრდელი ლეონი. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჯუმბერის აღზრდის ჩვენებას

ორმაგი ფუნქცია აქვს – ერთი მხრივ, სიუჟეტურად აერთიანებს ნაწარმოებს და, მეორე მხრივ, დიდაქტიკურ მოძღვრებას წარმოაჩენს.

ფინეზი ყველა იმ მეფური ღირსებით ხასიათდება, რომლებიც ჩამოთვლილი აქვს შოთა რუსთაველს „ვეფხისტყაოსანში“ როსტევანის წარმოსადგენად: საბა წერს: „არა იყო გულსა მეფისასა ზრუნვა“ („ღმრთისაგან სვიანი“ და „მორჭმული“ ანუ გამარჯვებული, წარმატებული), ამავე დროს, ფინეზი იყო უხვი, კეთილი და ქველი („მაღალი, უხვი“), მას „სიფიცხე და უწყალოება ჯავრისანი გულისაგან ღვთის შიშისა ნიავით გაექარვებინა“ („მდაბალი“, „მოსამართლე და „მოწყალე“); „მისი შიში და ზარი ესრეთ განფენილ იყო პირსა ყოვლისა ქვეყანისასა, მეხის ტეხისა უსაზარლესად მიაჩნდათ“ („განგებიანი“ ანუ მართვა-განმგებლობის კარგად მცოდნე, „ლაშქარ-მრავალი, ყმიანი“, „მეომარი უებრო“). ფინეზის „სიტკბო და ალერსი ესრეთ შეეტკბოთ, ჩჩვილთა წულთაებრ, სძისა და ძუძუთა უსაყვარლესად მიეზიდათ“ („მოუბარი წყლიანი“).

აღმზრდელის ძიება

თუკი როსტევანზე შოთა რუსთაველი წერს, რომ „სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასულიო“, ფინეზს მეტი შეჭირვება აქვს, „რომე შვილი არ ესვა“ საერთოდ. „დღესა ერთსა გახსნა და გასცა განძი ურიცხვი გლახაკთა ზედა, რათა ევედრონ ღმერთსა ძისა ბოძებისა მისისათვის“. გამოხდა ხანი. ღვთის წყალობით ფინეზს ვაჟი შეეძინა, რომელსაც ჯუმბერი დაარქვეს. მეფისწულის აღმზრდელი, ბუნებრივია, ფინეზისთანა გონიერი და განგებიანი მეფის კარზე მოიძებნებოდა, მაგრამ სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული ჩანაფიქრი სხვა გზით მიდის – ხელმწიფე ღმერთის ნების აღმსრულებელია ამ ქვეყანაზე და ამიტომ ავტორს ნაწარმოებში შემოაქვს სასწაულებრივი ჩვენება, რაც მხოლოდ მხატვრული ფუნქციით არაა დატვირთული: ჯუმბერის – მომავალი მეფის, თავისი ხალხის სვეიღბლის გამგებლის ბედი საკრალურია, ზეცაშია გადაწყვეტილი.

„ღამესა ერთსა ეჩვენა მეფესა ჭაბუკი ვინმე შვენიერი, მსგავსი ლომისა, მხნე, ახოვანი, პირმწყაზარი, ტანსარო... უთხრა მეფესა: ღმერთმან გიდღეგრძელოს ძე ეგე შენი და თუმცა მე არ მომაბარებ, ნება შენდა, ვერვინ გასწვართოს; თუ მეძებო, მპოვო, თუ არა, შენვე ინანდეო. სახე თვისი, ეტრატსა ზედა გამოწერილი, ხელთ მისცა და უთხრა: მეძებე, თავმან შენმაო! და თვით წავიდა“.

ფინეზს გამოეღვიძა და ნახა, იმ ჭაბუკის გამოსახულებიანი ეტრატი ხელთ ეპყრა.

იგი დარწმუნდა, რომ ყოველივე ღვთის განგებით ხდებოდა. მან მეორე დღესვე ბრძანა სპათა ამხედრება და სანადიროდ გასვლა. არც ეს ეპიზოდია შემთხვევით შემოტანილი „სიბრძნე სიცრუისაში“. სანადიროდ გასვლა როგორც მითოსში, ასევე ლიტერატურულ ნაწარმოებებში, ერთგვარი კვანძის შეკვრას, მომავალი თავგადასავლებისა თუ მნიშვნელოვანი საქმეების აღსრულებას მოასწავებს:

– მეფე ფარნავაზი ნადირობის დროს იპოვის საგანძურს, რომლითაც დაიქირავებს ჯარებს, გაათავისუფლებს ქართლს და საფუძველს ჩაუყრის „ერთმთავრობას“.

– მირიანს ნადირობის დროს დაუბნელდება მზე, რის შემდეგაც მოექცევა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე;

– ვახტანგ გორგასალი ნადირობისას ირჩევს თბილისის დაარსების ადგილს;

– მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში“ აბესალომ ინდოთა მეფე ნადირობისას მიადგება შენობას, რომელშიც ამირან დარეჯანის ძის, მისი მეგობრებისა და მავანი ასულის სურათია გამოსახული.

– როსტევანი და ავთანდილი ნადირობის დროს იხილავენ ვეფხისტყაოსან უცხო მოყმეს.

ფინეზი და მისი ამალა ნადირობის მერვე დღეს ერთ ადგილას მივიდნენ, სადაც „კვიპაროზი იდგა შვენიერი, ძირს წყარონი დინდეს და კორდნი ყვავილთა შემკულნი“. ასეთი გარემო – კიპარისით შემკული, მის სიახლოვეს გამომდინარე წყაროები და ყვავილოვანი ველი – უკვე ერთგვარი ამქვეყნიური სამოთხის ასოციაციას იწვევს. სწორედ იქ იხილეს მეფემ და მისმა ამალამ ეტრატზე გამოსახული ყრმა, სახელად ლეონი, თითქოს მართლაც ზეცით მოვლენილი – „მე არ ვიცი, სადაური ვარ... მამაჩემი დედის ჩემისა ჩემზე დაორსულებისას მომკვდარა და დედაჩემი ჩემსა შობასა და აქა-იქ სვლითა გავზრდილვარო“, – ეუბნება ფინეზს ლეონი. საჭურის რუქას არ მოსწონს ლეონის ასეთი „ბედუკეთური“ წარმომავლობა, მაგრამ ფინეზის გადაწყვეტილება ურყევია: „ღმერთს თავი შენი ჩემთვის მოუცია“, „ბედისაგან მოცემული ხარო“, – არწმუნებს ლეონს და ისიც თანხმდება, იკისროს ჯუმბერის აღზრდა, რადგან იცის, რომ მეფე „სცნობს ღვთითა“.

ჩვენ არ ვიცით, როგორ აღიზარდა თავად ფინეზი. მხოლოდ იმას ვხედავთ, თუ რა ღირსებები აქვს მას. ასე რომ, საბა გვთავაზობს, თვალ-ყური ვადევნოთ ლეონის მიერ ჯუმბერის წვრთნას და ეს აღზრდა უნდა წარმოადგენდეს ფინეზზე აღმატებული მეფური ღირსებების მქონე პიროვნების ჩამოყალიბების ზნეობრივ მოდელს. ამის თქმა იმიტომაც შეიძლება, რომ ლეონის აღზრდის ზოგიერთი პრინციპი ფინეზისათვის გაუგებარი და თუნდაც მიუღებელია ხოლმე. გასათვალისწინებელია, რომ ლეონი ჯუმბერს არა მხოლოდ ფიზიკურად აწრთობს და, ივარაუდება, მეცნიერებასაც ასწავლის, არამედ იგავურადაც აზიარებს უმაღლეს სიბრძნეს.

ახლად წამოზრდილ ჯუმბერს ვეზირმა სედრაქმა სახედრის გულისხმიერება, ძაღლის ერთგულება და ჭიანჭველას ძალა უსურვა. ამან რუქა აღაშფოთა, მაგრამ სედრაქის განმარტება ნათელს ხდის მის კეთილმოსურნეობას: თუ სახედარს ერთხელ ტალახში გაატარებ და შემდეგ გინდაც გაახმო ის ადგილი და სახედარი მაინც გამოგყვება, მაშინ იგი უგუნური პირუტყვია; თუ გლახაკის მჭლე და გამხდარ ძაღლს მიუყვან მდიდარს, რომელიც მას აპატივებს და გაასუქებს და მერე, არჩევანის დროს, მდიდარს გაჰყვება, ასეთი ძაღლი ორგულია; თუ ჭიანჭველას თორმეტი დღე ჭიქაში დაამწყვდევ, შემდეგ გამოუშვებ და ის ოთხ წილზე მეტს ვერ წაიღებს, ასეთი ჭიანჭველა უსუსურია.

მემკვიდრის
წვრთნა

სედრაქის ამ იგავური შედარებებით მოინიშნება აღზრდის ის სავარაუდებელი პრინციპები, რომელთა მიხედვითაც უნდა გაწვრთნას ლეონმა ჯუმბერი (როგორც ქვემოთ დავინახავთ, ლეონი და სედრაქი ფაქტობრივად თანამოაზრეები არიან). ამიტომაც სთხოვს მომავალი აღმზრდელი ფინეზს: „ხელთწერილი მომეც ფიცისა, ვირემ ჩემი სიტყვა არ მოისმინო, სხვათა ენით არ მომაკვდინოო".

ლეონმა ცალკე ააშენებინა სამეფო სახლი, წაიყვანა ჯუმბერი და შეუდგა დღედაღამ მის წვრთნას. „და მეფის წინაშე აღარ მიიყვანის ხშირად", რადგან ჯუმბერი თავიდანვე უნდა შესჩვეოდა დამოუკიდებლობას.

სხვადასხვა გამოცდას შორის, რომლებსაც ლეონი უწყობდა მეფისწულს, ავტორი რამდენიმეს გამოყოფს:

– ერთხელ აღმზრდელმა სამი დღე-ღამე ინადიმა, ჯუმბერი „მწდედ დაიყენა, არც დასვა და არც არა აჭამა". შიმშილისაგან გულშეწუხებული მეფის ძე „ქვე დაეცა". მხოლოდ ამის შემდეგ მისცა უფლება ლეონმა მას დამჯდარიყო და პური ეჭამა;

– „დღესა ერთსა" ლეონი სანადიროდ წავიდა. თავად ცხენზე შეჯდა, ჯუმბერს ხელზე ქორი შეუსვა და უცხენოდ წარიმძღვარა, საღამომდე არბენინა. მეორე დღეს მწევრები ჩააბარა. ჯუმბერს სირბილისაგან ფეხსაცმელები გაუცვდა და ფეხები დაუსკდა. მესამე დღეს კი შიკრიკად გამოიმძღვარა, დაღლილ-დაქანცული მეფისწული ხშირ-ხშირად ეცემოდა.

– ერთხელაც ლეონი ტყუილუბრალოდ განურისხდა ჯუმბერს, შეიპყრო და ორმოცდაათი ჯოხი დაჰკრა.

იგულისხმება,რომ ლეონი სხვა შემთხვევებშიც ასე მკაცრად და ერთგვარი სისასტიკითაც კი ზრდიდა ჯუმბერს, მაგრამ საბა მხოლოდ ყველაზე მკვეთრ სურათებს გვიჩვენებს. დასკვნებსაც ამ ეპიზოდებიდან აყალიბებინებს ლეონს.

განრისხებულმა ფინეზმა იხმო აღმზრდელი, რათა სიკვდილით დაესაჯა, მაგრამ ლეონმა მას ფიცი შეახსენა, დაამშვიდა და შემდეგი მოახსენა: „მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთაო!" საფიქრებელია, რომ სულხან-საბას აქ სურს ხაზი გაუსვას შემდეგ გარემოებას: თუკი მეფე ჭეშმარიტ მწყემსს –იესო ქრისტეს უნდა ემსგავსოს, ყველა ტკივილი, გაჭირვება, უსამართლო წყენინება, თუნდაც დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მაცხოვარივით უნდა დაითმინოს, რათა გაიგოს ადამიანისა, იმ ტკივილითა და საზრუნავით იღვაწოს, რომლითაც აღვსილია ჩვეულებრივი მოკვდავის ყოფა. „აწ ყოველთა გლახაკთა, უღონოთა და მდაბალთა ჭირნი მისწავებია და ამისა შემდგომად ნახეთ თქვენდაცა, რა არის სასწავლოდ მისსა?" – ასეთია ლეონის „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი".

აქ შეიძლებოდა გაგვეხსენებინა დავით გურამიშვილის „დავითიანიდან" ერთი სტროფი, რომელიც უფრო აღმზრდელთათვისაა გასათვალისწინებელი, ვიდრე მოწაფეთათვის:

ნუ გენაღვლების სწავლაზე ყრმის წკეპლის ცემით კივილი,
მალ გამთელდების უწამლოდ მისი წყლურების ტკივილი,
რა მოიზარდოს, მოყვინჩლდეს, მამლურებ შექმნას ყივილი,
უფრთხილდი, მისგან წყენითა არაზე შექმნა ჩივილი.

ისმის კითხვა: რა მეთოდია საბას მიერ შემოთავაზებული ბავშვის წვრთნის ეს ფორმა? გარკვეული მოსაზრებით, „სიბრძნე სიცრუისაში" ადგილი აქვს სპარტული აღზრდის სისტემის გადმოცემას. სხვა შეხედულებით, საბას მიერ შემოთავაზებული აღზრდის მეთოდი სპარსულს უახლოვდება.

სპარტული წვრთნის სისტემა უმთავრესად ითვალისწინებდა ახალგაზრდათა ფიზიკურ გაკაჟებას, ომის ხელოვნების დაუფლებას, ტკივილის ამტანობის გამომუშავებას, უშიშრობას, მამაცობას, მორჩილებას, წესრიგის სიყვარულსა და გამარჯვების მეცნიერების დაუფლებას. ყრმებს წერა-კითხვასაც ასწავლიდნენ, მაგრამ ეს მეორეხარისხოვან საქმედ ითვლებოდა. სპარტელებს მიწის დამუშავება ეკრძალებოდათ. ამ საქმიანობას მათი მონები – ჰილოტები ასრულებდნენ. სპარტელთათვის ზნეობრივად გამართლებული იყო სხვისი ცოლის შეყვარება და მასთან საღი შვილების გაჩენა. სიმორცხვის დათრგუნვის მიზნით კი შიშველი ქალები და ვაჟები ერთად ვარჯიშობდნენ. სპარტის ეს კანონები შექმნა ქრისტეს შობამდე IX ს-ის მითიურმა პიროვნებამ ლიკურგემ.

სპარსული აღზრდის სისტემასაც საფუძვლად სამხედრო მოთხოვნები ჰქონდა. პატარა ბიჭები, სპარტელთა მსგავსად, მკაცრ პირობებში იზრდებოდნენ, იტანდნენ სიცივეს, წვიმას, სიცხეს, მწყემსავდნენ საქონელს. შემდგომ, მოზარდ ასაკში, გადიოდნენ სამხედრო და სპორტულ წვრთნას. სწავლობდნენ ნადირობას, ეუფლებოდნენ მჭევრმეტყველების ხელოვნებას, ლიტერატურასა და რელიგიის საკითხებს. მაგრამ მათ აღზრდაშიც მთავარი იყო ცხენოსნობის, მშვილდოსნობის, ქამანდობის, ნადირობისა და ჩოგნის თამაშის დაუფლება. აქაც აქცენტი ძირითადად ფიზიკურ წრთობაზე იყო გადატანილი. ორივე ქვეყნის აღზრდის სისტემა იქითკენ იყო მიმართული, რომ სახელმწიფოს ჰქონოდა სამხედრო ძალა – უფრო სხვათა დაპყრობის მიზნით.

საბასათვის კი მთავარი იმდენად არა ფიზიკური სრულყოფაა, რამდენადაც სულიერი, ზნეობრივი დახვეწა ადამიანისა. სხეულის გვემამ უნდა გააძლიეროს მოკვდავის სულიერი თვისებები. აქ ჩვენ ასკეტის, წმიდანის, კიდევ მეტიც – მოწამის გზას უფრო ვხედავთ, წმიდა მხედრად რომ უნდა ჩაუდგეს სათავეში თავის ერს და ღმერთს ემსახუროს. ეს კი უკვე წრთობის მორალურ-რელიგიური, ქრისტიანული პრინციპია, რომელიც სეფუძვლად უდევს შუა საუკუნეების აღზრდის სისტემას. ადამიანმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა დათრგუნოს თავისი სიამაყე, ამპარტავნება, პატივმოყვარეობა, მოკლედ, ყველა ის თვისება, რომლებსაც ხორციელი ვნებები წარმოშობს. ისიც მითითებულია: საბას აღზრდის სისტემა არა მხოლოდ რელიგიური კუთხითაა დანახული, არამედ შევსებულია ხალხური სიბრძნითაც: ვისაც თავად არ უგემია ტანჯვა, სხვის წუხილს ვერ გაიგებს (დამატებით გავიხსენოთ ძველ საქართველოში არსებული გაძიძავების ხალხური ტრადიციაც, რაც სპარსეთშიც იყო გავრცელებული).

ასე რომ, საბას ზნეობრივ სისტემაში მთავარია ადამიანის შინაგანი სულიერი სიფაქიზე, სრულყოფილება, სულგრძელობა, თანაგრძნობის უნარი, დანარჩენი კი მეორეხარისხოვანია.

სამართლიანი მმართველი

ამის ჩვენებას სულხან-საბა მეფეთა ხასიათების დახატვისას ცდილობს უპირველეს ყოვლისა და ეს გასაგებიცაა: საბა, როგორც დავინახეთ, თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით დაკავშირებული იყო საქართველოს სამეფო კართან. ამიტომ მისთვის მმართველობის იდეალური ფორმა იყო ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომლის სათავეში იქნებოდა სამართლიანი მეფე, სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნული საჭირბოროტო საკითხების გადაჭრა რომ გონივრულად ხელეწიფება.

როგორი უნდა იყოს სამართლიანი მეფე, რა თვისებებით დაჯილდოებული?

ამ საკითხს სხვადასხვა მიმართება აქვს. ყველა სოციალური ფენის ადამიანის – დიდებულის თუ მდაბიოს, აზნაურის თუ უაზნოს, და, რაც მთავარია, უზენაესის მთავარ მოთხოვნებს თუ აკმაყოფილებს მეფე, მაშინაა იგი ჭეშმარიტად ღმერთისა და ერის ნების გამომხატველი. მოვუსმინოთ ლეონის შეგონებებს:

ღმერთს მეფისაგან უნდა სიმშვიდე, სიმდაბლე და სულგრძელობა;

ღმერთი მეფეს დაუმადლებს სამართლის უქრთამოდ განჩინებას, მოწყალებასა და ყველას სიყვარულს (დავუკვირდეთ, რომ ეს მოთხოვნები ქრისტესეულ ათ მცნებას ეხმიანება);

ქვეყანა მეფისაგან სამ რამეს ნატრობს: სამართლიან განრისხებას, უეშმაკო სიმართლესა და დაუსრულებელ სიუხვეს.

დიდებულები სამ რამეს უქებენ ხელმწიფეს: სიტკბოს, საამო ნადიმსა და „ჭირში – ჭირსა და ლხინში – ლხინსა“.

მხედართ მეფისაგან სურთ სწრაფი ცხენი და მტკიცე საჭურვლის ჩუქება, აგრეთვე, სამსახურის დანახვა-დაფასება;

გლახაკნი ითხოვენ ღია კარს, თხოვნის შესრულებასა და სიხარულით გასტუმრებას;

მონათა ოცნებაა სავსე ტაბლა, ჯამაგირის მიღება და მაბეზღარისთვის არდაჯერება;

ვეზირებს სწადიათ, რომ მეფემ ყური დაუგდოს, სიტყვა გაუგონოს და რჩევა დაუჯეროს;

მომჩივართა სათხოვარია საჩივრის მოსმენა, გადაწყვეტილების მიღებისას აუჩქარებლობა და მიუდგომლობა;

ვაჭართა ნატვრაა, მეფე ცნობდეს ძვირფას ქვებს, მისცემდეს შესაფერის თანხას და უბაჟოდ რთავდეს ვაჭრობის ნებას;

მოგზაურთა სავედრებელია მეკობრეთა თავდასხმათაგან დაცვა, ბაჟის დადგენილი წესით აღება და მგზავრთა უხიფათო სადგომების, ქარვასლების აგება;

დაბეზღებულნი იხვეწებიან მაბეზღარათა პირისპირ დაყენებას, ურისხველი ბრძანების გაცემასა და თავის მართლების უფლებას;

პატიმართა სათხოვარია შეცოდების შენდობა, რისხვის წყალობით შეცვლა და მეფის ხილვა.

აი, ესაა ჭეშმარიტად ქველი და განგებიანი მეფის თვისებები, ასე „რომელმან ჰყოს, იგი და ქვეყანა მისი დაემყაროს“, – ასკვნის ლეონი ფინეზთან საუბრის შემდეგ.

მმართველთა სხვა სახეები „სიბრძნე სიცრუისაში“ გამოყვანილია ჩამოთვლილ ზნეთა თუ წესთა მიმდევარ ან არმიმდევარ მეფეთა ხასიათების ჩვენებით. თუმცა ხშირად, თანადროულად, იგავ-არაკებში ადამიანთა სხვა უარყოფით თუ დადებით თვისებებსაც ესმება ხაზი.

მეფეთა
ხასიათები

ზემოთ ითქვა: ფინეზმა ურიცხვი საბოძვარი გასცა, რათა გლახაკთა და არასმქონეთ ელოცათ, რომ მეფეს ძე შესძენოდა. „გულჩქარ და ფიცხელ“ საჭურის რუქას მისი ასეთი სიუხვე არ მოეწონა. ვეზირმა სედრაქმა კი იცის, რომ ხელმწიფეთათვის უშურველობა და საბოძვრის გაცემა აუცილებელი თვისებაა. ამიტომაც ყვება იგი ხორასნის მეფის ამბავს („მეფე ხორასნისა“), რომელშიც საუბარია არა მხოლოდ ხელმწიფურ სიუხვეზე, არამედ, ერთი მხრივ, ადამიანის გადამეტებულ თავმოწონებასა და, მეორე მხრივ, სიკეთის სიკეთით მიზღვაზე. როდესაც ხორასნის მეფემ „დღესა ერთსა გახსნა სამნი სალარონი“ და ურიცხვი საბოძვარი გასცა, თავმოწონებამ შეიპყრო, დაიბარა თავისი შვიდი ვეზირი და დააფიცა ეთქვათ, თუ გაეგონათ მათ მსგავსი სიუხვე, „უმცროსსა ვეზირსა გაეცინა“ და მიუგო, რომ ასეთი მოყმე ჩინეთში ცხოვრობს – „მისებრ უხვი არც უწინარეს ყოფილა და არც დღეის წაღმართ იქმნებისო“. ხორასნის მეფე გადაცმული ჩავიდა ჩინეთის ქვეყანაში და მართლაც დარწმუნდა იმ მოყმის სიუხვეში. მთავარი კიდევ ერთია: გაჭირვებაში ჩავარდნილი მოყმე ხორასნის მეფემ არ დაივიწყა და მადლი მადლით გადაუხადა. მორალი ასეთია: „ვერც ასეთს გასაცემს იქმს კაცი, რომ სხვას არ ექმნას და არც კარგსა საქმესა ღმერთი დაუკარგავსო“.

ლეონის მიერ მოთხრობილ არაკში „ინდოთ მეფე და ვაზირნი“ აქცენტი უფრო ადამიანის მოხერხებულობაზეა გადატანილი, თუმცა ჩანს კრიტიკა ისეთი მეფისა, რომელიც გულუბრყვილოდ მიენდო თავის უხუცეს ვეზირს გადამტერებულ მოშურნე ქვეშევრდომებს.

ბუნებრივია, რაკი საბა იგავური ალეგორიზმით სარგებლობს, ამ ხერხითაც ცდილობს იგი ჩააფიქროს მკითხველი ამქვეყნიურ ცოდვა-მადლზე. ასეთი არაკია „უტკბესი და უმწარესი“. ერთი ვეზირი აჯერებს მეფეს, რომ „არცარა ენის უტკბოსი იქნების და არცარა ენის უმწარესი პირსა ყოვლისა ქვეყნისაო“. ამიტომაა, რომ მეფესთან დაახლოებული პირველ რიგში, ვეზირი, ხამს იყოს „გონიერი, წყნარი და სიტყვამარჯვე“. რუქა მეფეთა თანადგომის კიდევ ხუთ სასურველ ზნეს ჩამოთვლის და ხუთივე გამოხატავს ადამი-

ანის გონიერებას, ენამზეობას, კორექტულობასა და ტაქტიანობას. ვეზირსო, – ამბობს რუქა, – ტკბილი სიტყვა უნდა ჰქონდეს, „გამწყრალი დააწყნაროს, არა თუ მხიარული გააწყროს“, „პირიდან ავი სიტყვა არ წაიცთუნოს“, „სიტყვის თქმის ჟამი იცოდეს“ და „რაც თქვას, ყოველ კაცს მოაწონოს“.

ლეონის თქმით კი, „ხელმწიფეთა წინა მდგომი კაცი სანთელია: თავსა თვისსა დასწვავს და სხვათ გაუნათლებს“. ასეთ კაცს იმგვარი თვალი უნდა ჰქონდეს, „რომე ასის თვალისაგან უმეტესს ხედვიდეს და მეორეს თვალი ბრმისაგან უბრმეთი იყოს“; მან უნდა „ცალი ყური ასმინოს და ერთი დაიყრუვოს“; ყველა გაგონილი ამბავი დაიხსომოს და გულში დაიმარხოს; უვარგისი რამ არ თქვას და „ჭკუით საფერი“ კი არ დამალოს; ისეთი ენა ჰქონდეს, „თაფლი და სამსალა ორივ სდიოდეს“.

მოგვიანებით, როდესაც ლეონის მიერ აღზრდილი ჯუმბერის გამოცდის დღე დგება, მეფისწულის თვალთახედვაც ემატება რუქასა და ლეონის შეგონებებს, თუ რა თვისებები უნდა ჰქონდეს მეფის კარზე მოღვაწე პირს: მან არ უნდა დაასმინოს ხელმწიფის საყვარელი კაცი, რადგან დასმენას არ დაუჯერებენ, თავად კი დაზიანდება; თუკი მეფეს ვინმეს სიტყვა ეამება, შენც უნდა უქო იგი, რადგან ძაგება ხეირს არ დაგაყრის; ვინც ხელმწიფის გულითადია, იმას უნდა დაუახლოვდე, თორემ „დღე დაგიმოკლდება“. ასეთი პრაქტიკული და, ამავე დროს, შორსმჭვრეტელური შინაარსითაა გაჯერებული ჯუმბერის შეგონებანი.

მეფისათვის უკადრისია გულბოროტება. ლეონის მონათხრობი არაკი „მეფე და მხატვარი“ მიუთითებს ლავდიკიის ცალთვალა ხელმწიფის ღვარძლიანობასა და მისი მხატვრის მოფიქრებულობაზე – გულუკეთურ მეფეს ხელოვანი საზრიანობით დაუსხლტა: მან „დახატა ირემი და მეფესა ხელთ თოფი მისცა, ბრმა თვალი დაუხუჭა და მიართვა...“

არც უსამართლობა და დაუნდობლობაა ღირსული საქცილი მეფისათვის („უსამართლო შირვან-შაჰი“). ასეთი იყო შირვან-შაჰი – „სადაცა მოჩივარი ანუ გლახაკი ნახის, წამსვე მოჰკლის, აოხრდა ყოველი სამეფო მისი“. ერთმა მომჩივარმა მოახერხა, თავი დაეხსნა მისგან – ყველა ფრინველისა და ცხოველის ენა ვიციო. შირვან-შაჰმა იგი თავის ვეზირს მიაბარა, ასწავლე მათი ენა ჩემს ქვეშევრდომსო. ვეზირმა იცოდა, რომ მომჩივარმა თავის გადასარჩენად მოიგონა ეს ტყუილი და „განუტევა“ თავისი გზით. ერთხელაც შირვან-შაჰი და ვეზირი სანადიმოდ ისხდნენ. შემოესმათ ჭოტების კივილი. ქვეყნის საჭეთმპყრობელმა იკითხა, რას იტყვიანო? ვეზირმა მიუგო: „ერთს ქალი ჰყავს და მეორე ვაჟისთვის სთხოვს. ქალის პატრონი ეუბნება: თუმცა ჩემს ქალს შვიდას ნასოფლარს არ მოართმევ პირის სანახავად, არ მოგცემო. ვაჟის მამა ასე ეუბნება: შენს ქალს რომ შვიდასი ნასოფლარი მოვართვა, ექვსი შვილი სხვა მყავსო, მათ საცოლეებს რაღა ვუყო? ქალის მამამ ეგრე უთხრა: რას ზარობ და დაღონებულხარ? თუ შირვან-შაჰს დღე გაუგრძელდა, ბევრს სხვას ააოხრებსო“. საბას აზრით, გულბოროტი ადამიანი უგუნურიცაა, თავის ავზნეობას მიხვედრილი შირვან-შაჰი გულმოწყალე შეიქმნა.

მეფე ისეთი გამჭრიახი უნდა იყოს, რომ არ აჰყვეს ავსიტყვაობასა და დასმენას, თორემ ისეთ გაჭირვებაში ჩავარდება, ფინეზი რომ ყვება მავანი მეფის შესახებ, რომელსაც ერთი დაახლოებული ავსიტყვა კაცი ჰყავდა

(„მეფე და ავსიტყვა კაცი“). იმდენი ტყუილი უთხრა ამ ყიამყრალმა მეფეს, რომ უკანასკნელს „გულთა ცეცხლი მოედვა“, წვერები დაიგლიჯა და თავში ხელები დაიშინა. არადა, „თურმე მისი სიტყვა ყველა ტყუვილი იყო და კაცთა საწყენად მოიგონის“.

უმადურობა არა მხოლოდ მეფეთათვის, არამედ ჩვეულებრივ მოკვდავთათვისაც უღირსი თვისებაა. ხალიფამ, რომელსაც ნადირობისას მოშიებულს ერთმა ღატაკმა არაბმა თავისი სამივე თხა დაუკლა, ამ არაბს ღვთის წყალობით მიგნებული საგანძურის მოტანა მოსთხოვა („ხალიფა და არაბი“). ხალიფას ვეზირის სიტყვები სამართლიანად და მწარედ ჟღერს: „ერთ გლახაკს არაბს სამიოდენ თხა ჰყვანდა და შენ დაგიკლა“, იმასაც შენ ართმევო?! ლეონის მიერ მონათხრობი ეს არაკი ერთგვარად გამაფრთხილებელი შინაარსისაა – უმადურობით ადამიანმა შეიძლება ღმერთი გაანაწყენოს და სვებედი გაიმწაროს.

არის თუ არა ამ წუთისოფელში უნაღვლო და უზრუნველი ადამიანი? შეიძლება ინატროს მოკვდავმა ასეთი რამ? როგორც უხსოვარი დროიდან მოყოლებული ფიქრობდნენ, ასეთი კაცი არ დაიარება ცისქვეშეთში და არც გაჩენილა. რანაირი გონიერი, სიბრძნეს ზიარებული და მდიდარიც არ უნდა იყოს ადამიანი, მას ნაღველი მაინც შეიპყრობს ხოლმე. აი, რას გვაუწყებს ეკლესიასტეს წიგნი ძველი აღთქმიდან: „როცა მივაპყარ გულისყური, შევიცან სიბრძნე, მეცნიერება, უმეცრება და სისულელე, მივხვდი – ამასაც არა აქვს აზრი, რადგან, როცა დიდია სიბრძნე, დარდიც დიდია; მრავლის შეცნობა ადამიანს წუხილს უმრავლებს“ (ეკლესიასტე, 1. 17-18);

სიბრძნის შეცნობისადმი ანალოგიური მოლოდინი – შიში, მოკრძალება და რიდი ჩანს ავთანდილის სიტყვებში, ველზე ნაპოვნ გონებამიხდილ ტარიელს რომ ეტყვის:

„თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი ბრძენნი აპირებენ ამა პირსა:
ხამს მამაცი მამაცური, სჯობს რაზომცა ნელად ტირსა,
ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა,
თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა“...

„სიბრძნე სიცრუისას“ ერთ-ერთ იგავში მოთხრობილია უნაღვლოთა მძებნელი მეფის ამბავი, რომელიც უბრალო ტანსაცმლით შეიმოსა და სამოგზაუროდ გაეშურა. ერთ სამოთხისებრ ადგილას მიადგა თალარს (ფანჩატურს), სადაც ათი კაცი იჯდა – ზოგი ჭაბუკი, ზოგიც მხცოვანი. მეფეს მიაჩნია, რომ ასეთ ადგილას დასახლებულთ, ალბათ, არც საზრუნავი და არც საფიქრალი უნდა ჰქონდეთ, მაგრამ ეს ასე არ აღმოჩნდება. „ყოველთა მწუხარეთა უსაწყლესი გიპოვნივართო“, – ეუბნებიან „ათნი კაცნი“ მეფეს და მოუყვებიან თავიანთი შეჭირვების ამბავს. ერთის გამოკლებით, ზოგი ყოფილი მეფე, მეფისწული, ზოგი გრანდუკას (მთავარის) ძე, სპასპეტი, ზოგიც დიდვაჭარი ან დიდებულია. არაბეთის ყოფილ მეფეს ბედისწერის მსახვრალი ხელი მოხვდა. მისი სიტყვები ამაოების საკუთარ თავზე გადამტანი კაცის ნათქვამია: „გუშინ ცხრაასმან აქლემმან ვერა ზიდა ჩემი სამზარეულო და დღეს ერთს ძაღლს ესუბუქაო“ („მეფე არაბეთისა“). ამ სიტყვებში მწარე თვითირონიაცაა გაცხადებული.

არც ქობულეთის მეფის ძე დაინდო განგებამ – მოშუღლარმა მას სათაყვანებელი ცოლი წაჰგვარა („ქობულეთის მეფის ძე"). გრანდუკას ძეს ცოლმა მონასთან უღალატა („გრანდუკას შვილი"). მავანი კეისრის სპასპეტი კი მტერთან დამარცხების გამო განრისხებულ მეფესა და საკუთარ დუხჭირ, ყბედ და ავენა ცოლს გამოექცა („კეისრის სპასპეტი"). სხვებსაც სხვადასხვა ნაღველი სჭირთ – ზოგი საკუთარი სიხარბის მსხვერპლია („ქვის მთლელი"), ზოგიც ქალის ცბიერებისა; „დიაცის გული ლბილიაო", – ამბობს სპარსი ვაჭარი („დიდვაჭარი სპარსი"); ვლახეთის მეფის ძესაც „ბედი უკუღმა დაგრეხია", რადგან მამამისმა რამდენი ცოლიც არ მიჰგვარა, ყველა უმალ მოკვდა („ვლახეთის მეფის ძე"); ბუღდანელ დიდებულს კი ბედის განგებით სნეულებამ ცოლი, ასული და რვა ვაჟი დაუხოცა, მეცხრე – ურჩი და წყეული კი გადარჩა, რომელმაც გამოაძევა სასახლიდან სვეგამწარებული მამა („ბუღდანელი დიდებული").

როგორც ვხედავთ, თითოეული პერსონაჟი თითქოს უზრუნველი და უნაღვლო ადამიანი იყო, რისთვისაც მათ ყველანაირი მატერიალური თუ საზოგადოებრივი მდგომარეობა ჰქონდათ, მაგრამ, საბოლოოდ, ყველაფერს „ბედი მდევარი" სახრავს. „უნაღვლო კაცი დედისაგან არ იშობების!" – ასეთია ერთადერთი და უტყუარი დასკვნა, რომელიც გამოაქვს საბას ზემომოყვანილი არაკებიდან.

„წერა მწერლის" განგება ერთია და სხვაა კიდევ ის, რაც თავად ადამიანზეა დამოკიდებული. რააა იმისათვის საჭირო, რომ მეფემ „არ მისცეს წყევით თავის სახელი შთამომავლობას"? ამაზე საბა იგავურად მიუთითებს თავის არაკში „ძალა ერთობისა". ოცდაათი შეკრული ისრის გადატეხვა მეფემ თავისი ოცდაათი ვაჟის თვალწინ ვერ შეძლო, სათითაოდ დამტვრევა კი არ გასძნელებია. მორალი ნათელი და სადაა: „თუცა ერთად ხართ და ერთსა პირსა ზედა სდგეხართ, მტერი ეგრე ვერ გაგტეხსთ, ვითა წეღან შეკრული ისარი ვერ გავტეხე; თუ გაიყრებით, ესრეთ თითოთითოდ დაგლეწოსთ მტერმან, თავიცა მოსთხაროთ და მოყვარეცა". კეთილმა მეფემ თავის დანატოვარს ერთმანეთის სიყვარული და ურთიერთპატივისცემა უნდა ჩაუნერგოს – ადამიანის სახელიდანაც „სამზეოზე" სხვა არაფერი რჩება.

ხელმწიფის გონივრულ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული მისი ქვეყნის მომავალი – ვის ჩაუგდებს ხელში ერის სვე-ბედს, ვის დაუტოვოს სამკვიდრებელი? ძეს, რომელიც ბრიყვია – ყველაზე კეკლუცად თავისი ცოლი, მსუქნად თავისი ცხენი და მალად თავისი ქორი მიაჩნია, თუ ძეს, რომელიც ქლესაა – „დედოფლის ულამაზესი, მეფის ცხენის უმსუქნესი და მეფის შევარდნის უმალესი არა იქნებისო". მომავალი მეფე პირუთვნელი, დაფიქრებული და სიტყვამზიანი უნდა იყოს: „გაზაფხულის უკეკლუცესი, შემოდგომისაგან უფრო უმსუქნესი და თვალთაგან უფრო უმალესი არა რა იქნების პირსა ყოვლისა ქვეყნისაო", – ასეთია უმცროსი ძის პასუხი და სამეფო გვირგვინსაც იგი იღებს.

კიდევ ვნახოთ ორიოდე არაკი, რომლებშიც განხილულია მეფეთათვის სასურველი თუ დასაგმობი თვისებები: სიმამაცე, მაგრამ საკუთარი არსებობის ამაოების განცდაც გამოსჭვივის ხმალაბჯარასხმული უზრუნველი მეფის ნათქვამში, სიკვდილის მოწყვლა რომ გადაეწყვიტა – დასნეულებულმა სა-

ჭეთმპყრობელმა „აგინა სიკვდილსა და უთხრა: ეგ რა მამაცობა არისო? კაცს პირველ ღონეს წაართმევ და მერმე მოჰკლავო. თუ გულოვანი ხარ, პირისპირ შემებიო“!

საბას კრიტიკა მწვავეა, იგი ხშირად მიმართავს, ასე ვთქვათ, „მკვახე შეძახილს“ ან მწარე იუმორს იმისათვის, რათა აჩვენოს ადამიანის ბუნების ავკარგიანობა. ასეთი რამ ზოგჯერ აუცილებელიცაა: სხვაგვარად განა შეიძლება მიახვედრო თავის სიბრიყვეს ისეთი ადამიანი, თანაც მეფე, რომელიც „ღმერთობას ჩემულობდა“, თუ არა ისე, როგორც ეს მისმა ჭკვიანმა ვეზირმა გააკეთა. რაკი შენ ღმერთი ხარ, მე ანგელოზად დამნიშნეო, – სთხოვა და მერე შესთავაზა: მოდი, სასწაული ვქნათო. დაითანხმა უზენაესობას დანატრებული მეფე ვეზირმა, დააცლევინა სასახლე და მონებს შუა ზაფხულში სხვადასხვა სიბინძურით აავსებინა სრადარბაზები. მეთერთმეტე დღეს მისულებს იქაურობა აყროლებული დახვდათ. ეს რაგვარი სასწაულიაო? – იკითხა მეფემ. „ვეზირმან მოახსენა: „შენ რომ ღმერთი ხარ და მე შენი ანგელოზი, ჩვენგან ესეც დიდი სასწაულის ქმნა არისო“ („მღმერთებელი მეფე და მისი ვაზირი“).

ღვთივ მცნობელი მეფე

დაბოლოს, ერთი არაკი იმის დასადასტურებლად, რომ მეფე „ღვთივ მცნობელია“, რომ მისი პირით არცთუ იშვიათად უზენაესი ატყობინებს შთამომავლებს თავის ნებას. მამის დანაბარების არშემსრულებელი მეფისწულის მიერ დანანებით ნათქვამი – „რასაც კაცს მამის ანდერძი არ დაუსწავლია, უარესიც დაემართებაო“! – იმის გასათვალისწინებლადაა საბასაგან შემოთავაზებული, რომ „გვესმას მშობლისა“, ანგარიში გავუწიოთ წინაპართა ნაანდერძევს. ეს არაკიც იმას გვაუწყებს, როგორ არ დაიჯერა მამის ნათქვამი მეფისწულმა – „ქოსა კაცი შენს საბრძანებელში ნუ გინდაო“, მაინც დაიახლოვა ახლადგამეფებულმა ქოსა, ხოლო მერე ამ უკანასკნელმა ეშმაკობით თავისსავე ყმად გაიხადა მტრისაგან დევნილი, სამკვიდრომოკლებული ყოფილი ხელმწიფე.

კიდევ რამდენიმე არაკის მოყვანა შეიძლებოდა იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი უნდა იყოს სამართლიანი, „ღვთისაგან სვიანი“ მეფე, რა თვისებებით დაჯილდოებული, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია ამის წარმოსაჩენად. ასეთი იგავებით ბრძნადმეტყველებას ისმენს ჯუმბერი და ჩვენ ნაწარმოებიდანვე ვატყობთ, რომ მისგან ყალიბდება ისეთი მეფე, პიროვნება და ერის შვილი, რომელიც აგრერიგად სჭირდება მთელ ქვეყანას – მდიდარს თუ უპოვარს, ჭირუნახავს თუ გაჭირვებულს, დიდებულს თუ მდაბიოს.

ჯუმბერიც უკვე ბრძნადმეტყველებას იწყებს, როდესაც ლეონის წინადადებით მეფე ფინეზი თავისი ძის ცოდნის შემოწმებას შეუდგება. მის მოსაყვანად ჯერ ხელარგოსანი გააგზავნეს, შემდეგ დარბაზთუხუცესი, მესტუმრეთუხუცესი, ვაზირი, დაბოლოს, მოლარე. მხოლოდ ამ უკანასკნელის მოხმობაზე ეახლა სპილოზე ამხედრებული ჯუმბერი მამას სასახლის კარზე – „ჩამოხდა სპილოდამ, სარტყელი შემოიხსნა, სპილოსა ზედა დააგდო და

ცალის ხელით მიწა აიღო და ცალის ხელით ქვა და მამას მოართვა". ჯუმბერი ხელარგოსანს იმიტომ არ გამოჰყვა, რომ შეცოდება არა ჰქონდა, არც დარბაზთუხუცესს ეახლა – მონა ხომ არა ვარო; არც მესტუმრეთუხუცესს – მასპინძელი საკუთარი მამაა, მე – მისი მემკვიდრე და ვის უნდა ვსტუმრებოდიო? ვეზირის მოწვევა მხოლოდ მეფეთათვის არის მისაღებიო; მოლარეს კი იმიტომ მოვყევი, რომ „მე ვარ შენი საუნჯე, მე ვარ შენ განძი, შენი ლარიო", – პასუხობს კითხვებზე ჯუმბერი. სპილოზე ამხედრებულად მოსვლას ის ქვეტექსტი აქვს, რომ სამეფო გვარისშვილი „დიდსა რასმე ზედა უნდა ჯდეს". სარტყლის სპილოზე დატოვებას ის აზრი ჰქონდა, რომ ტახტის მპყრობელმა თავისი სიძლიერე და სიდინჯე არასოდეს არ უნდა დაივიწყოს. მინის მიტანა იმაზე მითითებაა, რომ ადამიანი მიწაა და მიწადვე იქცევა, ხოლო ქვისა, რომ გამოუყენებელ საუნჯეს ქვის ფასი აქვს.

ამის შემდეგ ჯუმბერი არაკობას იწყებს და ისეთ ამბებს ყვება, რომლებიც მას ჩამოყალიბებულ კეთილზნიან პიროვნებად წარმოგვიდგენს. „ძუნწი და ოქრო" იმას გვაუწყებს, რომ ადამიანმა სიცოცხლეშივე დროზე უნდა მოიხმაროს დანაზოგი და არა მიწაში დაფლას; არაკში „დიდვაჭარი და მისი ძე" საუბარია იმის შესახებ, თუ როგორ გააჩანაგა ღვინისმოყვარულმა , „მემთვრალე" ვაჭრის შვილმა მემკვიდრეობა და რომ არა მამის მიერ სიკვდილის წინ ერთი ერთგული მონისათვის მიბარებული სამასი ლიტრა ტყვია, იგი სულ დაიღუპებოდა; სხვა არაკებიც ჯუმბერის გონიერებასა და დაკვირვებულობას გამოხატავენ: ძმათა შორის ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის აუცილებლობას („ორნი ძმანი"), სიბრიყვისა და წინდაუხედაობის დაგმობას („აქლემი და ვირი"), ზოგჯერ თავის გადამრჩენი სიცრუის მომარჯვებას („ცრუ და უმეცარი") და სხვ.

ჯუმბერის არაკობა და სიტყვა-პასუხი დინჯი, გაწონასწორებული, სხვისი ჭირის გამზიარებელი და სხვისი სიკეთით გამხარებელი ახალგაზრდის ნაფიქრია: „კაცისა დიდი სიკეთე იგია, რომე სიავე არ იმახსოვროს და სიკეთით დაფაროს", რადგან მხოლოდ ასე განმრავლდების „მადლისა და კეთილის საქმე ღვთისაგან".

ჯუმბერმა ისიც იცის, რომ ჯიში და ჯილაგი, ერთი მხრივ, და „სამეფო წესითა და ჭაბუკთ ზნეობით" წვრთნა, მეორე მხრივ, არ იკარგება. ამას კი, რა თქმა უნდა, თავად ადამიანის ბუნებაც ემატება. ამიტომ აცხადებს მეფის ძე ხატოვნად: „კარგი ნერგის ხილი ვარ... ხელოვანის მებაღის შეწვრთილი... ფრთხილის შემნახავის ბარებული..." და სხვაგანაც იმავეს იმეორებს არაერთგზის: „ჯუმბერ დადრკა, მამას ეთაყვანა, მიწას აკოცა და ეგრე მოახსენა: დამბადებელცა შენი დიდებულ არს, სვემცა შენი ბედითურთ ამაღლებულ არს, სახელიმცა შენი ნუ დაილევის!.. მე თუ რამ სიკეთე მაქვს – შენგან... კეთილი ხე კეთილს მოიბამს, თვარა თავით თვისით ხილი უნერგი კარგი არ იქმნება... შენი ხორცი ვარ და ლეონის გაზრდილი, ჩემი სიკეთე ჩემგან არ არის: აგებულობის საქმე – შენგან და წვრთილობა – ლეონისაგან".

„მეფეთა საქმეს ვერავინ სცნობენ", – ასე სწამს ფინეზს, რაშიც ღვთის ნებაც იგულისხმება და ბრძანებს: „შვილო ჩემო, შენთვის ღმერთსაც მოუნდომებია და მეც მომიცია ადგილი და სამეფო ჩემი და დღეის წაღმა უფლებდე ყოველსა ზედა და ნუმცა ვინ არს ურჩი შენიო".

ისმის კითხვა: რატომ ეხება სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებში მორალის საკითხები ძალზე ხშირად მეფეებს? ეს ძირითადად შემდეგი პრობლემის წარმოჩენის მიზნით უნდა იყოს განპირობებული: მორალის წინაშე პასუხს აგებს ყველა, თვით მეფეც კი, ანდა – უპირველესად სწორედ მეფე. მეფობა როდია მხოლოდ ღვთის წყალობა ან ღირსება, მეფობა ვალდებულებაცაა. მეფემ პირველმა და თანაც ყველაზე მეტად უნდა დაამტკიცოს ქედმოხრა მორალის წინაშე.

„სიბრძნე სიცრუისაში“ არ ჩანს ჯუმბერის გამეფება, რის ჩვენება არცაა მთავარი, რადგან ჩვენს თვალწინ ზნეობრივად ისე ყალიბდება და იხვეწება მეფის ძე, რომ კითხვა აღარ გვებადება, თუ როგორ წარუძღვება იგი ერს. მთავარი სხვა რამაა: „მრავალი ესე მეტყველებით“ მოიხაზა საკითხთა ის წრე, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის სწავლა-აღზრდისა და ზნეობრივ ნორმათა მთლიან სისტემას აყალიბებს და წარმოადგენს. არაკებმა, გამონაგონმა, „სიცრუემ“ თუკი შვა სიბრძნე, თუკი დავიდა მკითხველის გულისა და გონების ყურამდე, მაშინ მწერლის მხატვრული ჩანაფიქრიც განხორციელებულად უნდა ჩაითვალოს.

სიბრძნე და სივერაგე

სულხან-საბა ორბელიანი თავის „სიტყვის კონაში“ „სიბრძნეს“ ასე განმარტავს: „სიბრძნე არს მშობელი ჭკუვისა და გამსინჯველი, გამსჯელი ცნობათა“; და იქვე უმატებს: „სიბრძნე და სივერაგე ემსგავსებიან: სიბრძნე – კეთილი, ხოლო სივერაგე – არა“. აქ იგი წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველს იმოწმებს.

უნაყოფო გონიერება

რუქას სიბრძნე, გონიერება რეალურია, ცხოვრებისეულია, რამდენადმე გასათვალისწინებელიც, მაგრამ არა კეთილი ნაყოფის მომტანი, ის სივერაგეს შემსგავსებულია. ასეთი გონიერება უპირისპირდება ფინეზის, სედრაქის, ლეონისა და ჯუმბერის ანუ ჭეშმარიტი რწმენითა და ღირსებით სავსე სიბრძნეს. ამიტომ რუქას მორალს და გონიერებას პირობითად „საჭურისული“, უნაყოფო სიბრძნე, სივერაგე შეიძლება ეწოდოს, თუმცა, ვიმეორებთ, ასეთი სიბრძნე გასათვალისწინებელია ცხოვრების გზაზე. ეს რომ ასეა, დავუკვირდეთ, ერთი მხრივ, რუქას მონათხრობ არაკებს, ხოლო, მეორე მხრივ, ლეონისა და მისი თანამოაზრეებისა – თითოეულის პოზიციას პრინციპულს, მსოფლმხედველობრივს რომ ხდის. ასეთი შეპირისპირება არაკთა თანმიმდევრობის დაურღვევლადაა საჭირო, ვინაიდან ამბები ოპოზიციურ მთლიანობაშია აკინძული. ერთ არგუმენტს კონტრარგუმენტი მოსდევს, რაც უფრო ნათელს ხდის მორალს და წარმოაჩენს რუქას გონიერების უნაყოფობას, სივერაგეს.

რუქას მსჯელობის მთავარი წარმმართველია „ძველთაგან თქმული“:

„არას კაცს კარგის მოქმედისათვის კარგი არ უქმნიაო“. ეს ანდაზა „სიბრძნე სიცრუისაში“ გამაფრთხილებლად ჟღერს, ერთგვარად მხედველობაში მისაღებია და არა გასაზიარებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფინეზისთანა შორსმჭვრეტელი და სვიანი მეფე საჭურის რუქას მრჩევლად არ გაიჩერებდა. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მეფეს ასეთი „ოპოზიციონერი“ იმისთვის სჭირდება სატახტო კარზე, რათა გააწონასწოროს მისაღები გადაწყვეტილება, შესძინოს ზომიერების ის აუცილებელი გრძნობა, რომელიც სწორად წარმართავს ქვეყნის პოლიტიკას, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ზნეობრივი თვალსაზრისით.

მოუვისმინოთ რუქას: ერთი კაცი იხრჩობოდა, ღმერთს შეევედრა, მიშველეო! მეორე ამხანაგმა უთხრა, „ხელი გაიქნიე, გახვალ და ნაშველები იქნებიო“ („უგუნური მცურავი“).

ამ არაკ-ანდაზას სედრაქი ასე პასუხობს: „დია კეთილგონიერი ხარ. თუმცა უღთოთ ცდით საქმე იქმნება“, რატომ არ ცდილობ, ცოლ-შვილს მოეკიდოო? – და ყვება ისეთ არაკს, რომელშიც საუბარია უბედურ დიდვაჭარზე, ღმერთს რომ „არა ესვიდა“ („უბედური დიდვაჭარი“). ეს დიდვაჭარი როგორც არ ეცადა თავისი საქმეების წაღმა წარმართვას, ვერაფერს გახდა, რადგან ღვთის წყალობას იყო მოკლებული. საბოლოოდ ასეთი ბედი ხვდა წილად: „შეიპყრის კაცი იგი და ორნივე თვალნი აღმოხადეს“.

მორალი ნათელია: ადამიანმა ღმერთის წინაშე ვალი უნდა მოიხადოს, მაგრამ თავისი მარჯვენისა და გონების გამოუყენებლობა არ ეპატიება. არც პირველი იქნება მეორისა და არც მეორე – პირველის გარეშე. ისიც ცხადი ხდება, რომ რუქას მსჯელობა ღვთის „არმესავი“ ადამიანის განსჯაა. ამ დასკვნების გამოტანის საშუალებას რუქასა და სედრაქის პაექრობის ერთიანად წარმოდგენა იძლევა ამ და სხვა ეპიზოდებშიც.

ერთი კია: რუქას ერთგულება ფინეზისადმი სანიმუშოა, ყველა მეფისათვის სასურველი. ეს ერთგულება რუქას სიტყვებიდანაც ჩანს, ლეონს რომ ეუბნება: „ლეონ,მე შენს სიკვდილს და გაგდებას არა ვდევ. მე მეფისა ჩემისა უმჯობესის პოვნა მინდა და შენ თუ ამასთან იყოფვი, დიდი დანაკლისია“. ჯუმბერის აღმზრდელმა კი იცის,რომ რუქას „არა ეშინის ღვთისა და არცა სცხვენის კაცთა“, მაგრამ მისი დამარცხება მხოლოდ სიბრძნით ეგების.

ლეონისეული აღზრდის სისტემის მოწინააღმდეგე რუქა ორ არაკს ყვება: „მოძღვარ მელში“ მოთხრობილია სამღებროს ლილით სავსე ქვევრში ჩავარდნილი ერთი მელიის ამბავი, რომელმაც თავისი სიცრაგით ხელთ იგდო უგნური მამალი, ძერა და ოფოფი – იერუსალიმში მივდივარ ცოდვათა მოსანანიებლადო. გულაჩუყებული ფრინველებიც უკან გაჰყვნენ. გზად მელია თავისი სოროსაკენ გაუძღვა „დამოწაფებულთ“: შვილებო, იერუსალიმს უმოძღვრო კაცს არ მიესვლება, ცოდვის აღსარება უნდა გამანდოთო; „მოძღვარმა“ ორორი ცოდვა შეუნდო მამალსა და ძერას, მესამის აღსარებაზე კი თავები წააწყვიტა. ამასობაში ოფოფმა „მელს ოსტატობით გადაამეტა“, გააბრიყვა ცრუმოძღვარი და მონადირესა და მის მწევრებს ჩაუგდო ხელთ.

მეორე არაკში „ოთხი ყრუ“ საუბარია ხარის დამკარგავ, ვირის მპოვნელ და ცოლიან კაცებზე – სამივე ყრუ რომ იყო და თავიანთი დავის გასარჩევად მათზე უარეს ყრუ ყადთან მივიდნენ: საბოლოოდ „ვერც ერთმან ვერა გაიგეს რა“.

რუქას მიერ მოყოლილი ამ ორი არაკიდან რამდენიმე რამაა ჭკუის სასწავლებელი: „ბევრის ნდომა კაცს... წაახდენს“ (სიხარბისა და სიმსუნაგის დაგმობა); მელიის ნათქვამი – „რასაც მოძღვარს აღსარება სამოწმოდ გაუხდია, უარესიმც დაემართებაო“ – გასათვალისწინებელია თვითირონიის გამჟღავნების მხრივაც; ასევე დამცინავად ჟღერს არაკი ოთხ ყრუზე, რადგან საჭურისის აზრით, ფინეზი, სედრაქი და თავად რუქა ამ ყრუებს ჰგვანან, ერთმანეთისა რომ ვერა გაუგიათ რა.

სედრაქის „კონტრარაკი“ ზომიერია, მკაცრ შემფასებლობას მოკლებული. ერთი კაცის მიერ ღვთისადმი გამოთქმულ საყვედურს – „ცოტას ბალახისთვის ნესვი მოგიბამს და დიდის ხისათვის ნიგოზიო!“ – ის მოჰყვა, რომ ამ კაცს ყვავისაგან ჩამოგდებული კაკალი მოხვდა შუბლში. კაცმა აიხედა მაღლა და უფალს მადლობა შესწირა: „ღმერთო, შენ უკეთ გაგირიგებიაო, თუ იქ ამისგან უდიდესი ბმოდა, თავს გამიჭყლეტდაო!“ როგორც ვხედავთ, ამ არაკშიც ირონიაა გამჟღავნებული და მითითებაცაა იმაზე, რომ ამქვეყნად თითოეული საგანი ღვთის წინასწარგანჭვრეტითაა შექმნილი.

თითქოს ფინეზ მეფის ქვეშევრდომები ჯერჯერობით ლაღობენ, მსუბუქ იუმორისტულ ამბებს ყვებიან, მთავარი, გადამწყვეტი სათქმელისაკენ მიდიან. ჯერ ხომ არც ერთს ლეონის აზრი, – თუ რატომ ზრდის ასე ჭირთათმენით ჯუმბერს – არ მოუსმენია.

რუქას მიერ მოყოლილი მომდევნო არაკიც პაექრობის ირონიულ განწყობილებას აგრძელებს. „მაშენებელში“ დაძმობილებული ძაღლი და მამალი ყეფა-ყივილით სოფლის აშენებას მოინდომებენ. გაუმაძღარი მელა თავისი სიმსუნაგის გამო ამ ბრიყვ ძმობილებზე ბრიყვი გამოჩნდება – სიხარბე გონებას დაუბინდავს მას. დაკოდილი და ნათრევი მელა ასე მიაძახებს ძაღლსა და მამალს: „მე ხომ ჩემი ჭკუისა დამემართა, და თუ თქვენ მაგ საქმით სოფელი ააშენოთ, თქვენც შეიტყობთო“.

საჭურისის ფიზიკური სიცვედანე და უნაყოფობა რუქას სულიერ მხარესაც მოიცავს. სედრაქის თქმით, საჭურისს ჰმართებს იყოს მხევალისებრ მორცხვი, ავი ენის შემნახავი და უნდა შეეძლოს პატრონის ხვაშიადის „დაკრძალვა“. ლეონმაც თავიდანვე „სცნა საჭურისობა მისი“ და უთხრა: – თუცა მამაკაცი ხარ, წვერი და ულვაში სადა არს? თუცა დიაცი ხარ, სადა არს თმანი ნათხზენი? თუცა ჭაბუკი ხარ, სადა არს ძლიერება მაჯათა?“

ლეონს მეფე ასე აწყნარებს: „საჭურისისა და დიაცის გული უსუსურია და ნუ დაიხსოვნებო“. ლეონის მონათხრობი არაკი „საჭურისი ალაბიდან“ ფინეზისათვის გამაფრთხილებელია – „სადაცა სიტყვა საჭურისისა გავიდეს, მუნცა ცოლი არა იყოს ცოლი ქმრისა თვისისა“. საჭურისი, როგორც წესი, ავსიტყვა და გულბოროტია, რადგან „არა ეშინის ღვთისა და არც სცხვენის კაცთა“.

რუქას მძულვარება ლეონის მიმართ კიდევ უფრო ძლიერდება. ჯუმბერის აღმზრდელს სიტყვატკბილ ბოროტის მოქმედ კაცს ადარებს, რომელიც „რა ბოროტისაგან მოიცალის, დაიწყის ლოცვა და ტირილი“ („ჯოჯოხეთში დაუტევნელი“). თავისი „გრძნების მოქმედებით“ ამ იგავის პერსონაჟმა მო-

ახერხა და სამოთხეში მოხვდა. ასეთი ვერაგია ლეონიცო, – სურს რუქას, დაარწმუნოს ფინეზი.

ბოროტება ბოროტებით არ ისპობა. ის, რაც რუქას თავისი მეფისათვის სიკეთედ მიაჩნია, სიკეთე არაა. ლეონი ამის ჩვენებას ცდილობს თავისი შეგონებებითა თუ არაკობით.

აქაც და შემდგომაც ფინეზი ერთგვარი დამკვირვებელია ქვეშევრდომებს შორის გამართულ პაექრობაზე, თუმცა ზოგჯერ, როდესაც საჭიროა სეფე-სიტყვის თქმა, იგი ჩაერთვება ხოლმე იგავთმეტყველებაში და ან განმუხტავს დაძაბულობას, ან კი სხვა მიმართულებას აძლევს არაკობით კამათს.

მეფის სიტყვა

როდესაც ფინეზმა შეიტყო, რომ ვეზირი სედრაქის, ლეონის, ჯუმბერისა და რუქას პაექრობას ბოლო აღარ უჩანდა და თანაც ის მწვავე დაპირისპირებაში გადაიზარდა, ასეთ არაკს მოჰყვა: ერთ მძორს შვიდი-რვა ძაღლი მისეოდა, ჭამდნენ, მაგრამ თან ერთმანეთს უღრენდნენ და კბენდნენ. თუ რამ მხეცს დაინახავდნენ, შეიკრებოდნენ და გააძევებდნენ, თუმცა შუღლობას კვლავ გააგრძელებდნენ ხოლმე. აზრი ამ იგავისა („მოშუღლარი ძაღლები") ნათელია: მასში საბოლოოდ მჟღავნდება ფინეზის დამოკიდებულება, ერთი მხრივ, სედრაქის, ლეონისა და ჯუმბერის და, მეორე მხრივ, რუქას მიმართ. ორივე მხარის პოზიცია ერთიანობაში მეფეს სჭირდება სწორედ გონივრული გადაწყვეტილების მისაღებად, საქმიანი პოზიციის ჩამოსაყალიბებლად; ან სხვაგვარად: მართალია, მეფის ქვეშევრდომები ერთმანეთის საპირისპირო აზრს გამოხატავენ, მაგრამ წინააღმდეგობა ფინეზისათვის ყოველთვის როდი ნიშნავს უარყოფას. ხომ იტყვიან: საწინააღმდეგოსგან მიღებული გადაწყვეტილება! სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი ქვეყნის მმართველისათვის.

მეფის მონათხრობი სხვა არაკებიც იქითკენ მიემართება, რომ რუქას სატახტო კარზე ყოფნის საჭიროება დაინახონ სხვებმა და ერთგვარად ლმობიერად მოექცნენ მას („უკანმიდევნებული ლამპარი", „იხვი და მყვარი"); „რადგან რუქა აგრე ავის საქმის ქმნაზე დამკვიდრებულა, თქვენ კი ნუ აჰყვებით, კარგი ქმენითო", – აფრთხილებს ფინეზი რუქას მოწინააღმდეგეებს.

თავიდან მომავალი მეფის – ჯუმბერის დამოკიდებულება რუქასადმი არაა შემწყნარებლური: „მამაცობაში – დიაცურობა და დიაცობაში – ვერც მართლა დიაცურობა" გჭირსო, – ეუბნება რუქას მეფის ძე. მას საჭურისი „გონების თვალით ბრმად მიაჩნია, რადგან „ყოველი თავისებრ ჰგონია". საკუთარი პოზიციის დასაცავად ვერაგი რუქა ჯუმბერს ასეთ რამეს ურჩევს: „ძეო მეფისაო!.. მრჩეველებს ნუ დაარჩობ, უგვანს ნუ დაენდობი, გაუსინჯავად საქმეს ნუ იქმ, თვარა ბოლოს დაინანებ". შემდეგ კი გულისტკივილით ამ სიტყვებსაც ეუბნება მეფისწულს: „ჩემი მართალი ტყუვილის უმტყუნესად მიგაჩნია, ჩემი სიტყვა კარგი ავის უარესად გესმან. ყრმა ხარ და სიბრძნეს ჩემობ; პატრონი ხარ და საჭურისნი გძულან. მეფის ძე ხარ და ერთის მეტი კაცი არ გინდაო", – გულისხმობს ლეონს რუქა.

ჯუმბერი უკან არ იხევს და ასე პასუხობს მას: „რადგან საჭურისი ხარ, ცვისათვის დიაცისა შეუქმნიხარ“ შენს ბედსო.

მეფე ფინეზი ჯუმბერისათვის გასათვალისწინებლად და რუქას დასაშოშმინებლად ბრძანებს: „ეს იცოდე, მეფენი საჭურისთა და სხვათაცა საქმესა სცნობენო“. ჯუმბერიც არსებითად იმავე თვალსაზრისზე დგება, როდესაც რუქას ეუბნება: „შენ საჭურისი ხარ, მეფის ერთგულება და დღე და ღამის სამსახურის ცდა გმართებსო“.

ვეზირი სედრაქიც მონდომებულია დააწყნაროს და გაწვრთნას რუქა: „ძმასა და შვილსა ორსავ მირჩევნიხარ და არცა შენგან უკეთესი მეგობარი მყოლია. ამას გეტყვი და გასწავლი: რა კაცი კაცს გაუმტერდება, სიქიშპე ვეღარას დაანახვებს... რასაც კაცისათვის ავი და ბოროტი მთქმელი იყო, ყოველს კაცსა სიყვარულს უნდა აჩვენებდე, თვარა, რა გაუმტერდე და ვეღარ შეიძლო, დაძაბუნდები“.

სედრაქის შეგონებების შემდეგ თითქოს რუქას მოთმინების ფიალა ევსება და მის სიტყვებში ერთგვარი დიაცურად გაანჩხლებული კაცის ხმის ტონი ისმის: „შენ მაგ ბუნების პატრონი ხარ, რომე ყოველი კაცი გიყვარს და მე ყოველნი მძულან“. რუქას აზრით, მისდამი მძულვარება მისი მეფისადმი ერთგულებითაა გამოწვეული. „ვირემ მეფე ცოცხალია, არცავინ მინდაო“, – ამბობს იგი.

ლეონიც უკვე შემრიგებლურად ცდილობს დაელაპარაკოს რუქას: „ძმაო რუქავ! დია კაი კაცი ხარ... ჩვენ შენთან შეცოდება არა გვიცს რაო...“ მაგრამ რაკი საჭურისი არ ცხრება და კიდევ უფრო მეტ გესლს აფრქვევს, ლეონი ეუბნება მას: „ჩვენს ბედს სიმარტოვე სძულს და მოყვასნი უყვარან. და შენი ბედი შენისთანაა და რაც მას სჭირს, შენც იმას გაძლევს“.

„ავსიტყვა და საქმით მრავლის ავის მოქმედი“ რუქა ეგრე იოლად არ წყნარდება და არ წყვეტს არაკობას. მას მიაჩნია, რომ ყველამ პირი შეკრა მის წინააღმდეგ და ცდილობენ გადაჰკიდონ მეფეს. საჭურისი იქადნის კიდეც: „ვიცი, თქვენისას ნებისას დამმართებთ, მაგრამ თუ სანთლით არ მომნახოთ, შეიტყობთო!“

მეფე ფინეზსაც თითქოს გული აუცრუვდება ერთგულ საჭურისზე. მისი ფიქრით, რუქას ჰგონია, ჯერ ასე მოქცევა სჯობს, სიკეთეს მერე ვიქმ. ის კი არ იცის, რომ სოფელი მოკლეა და „ავნაქნარი და კაის უქმნელი რჩება და მერმე ველარას წაიძღვანს ავნაქნარის მეტს“. მეფეს სწყინს ქვეშევრდომთა ერთმანეთზე ასეთი ურთიერთწაკიდება, რადგან გრძნობს, რომ არც ერთი არ გადაურჩება ამ საქმეს უფათერაკოდ, ამიტომ პაექრობის შეწყვეტას ბრძანებს.

სიბრძნე და ღირსება

ასეთია ჭეშმარიტი სიკეთისა და სიბრძნის, და უნაყოფო სიკეთისა და სიბრძნის ურთიერთშეპირისპირება, და, ამავე დროს, ერთ მთლიანობაში წარმოდგენის საბასეული მხატვრული მოდელი, რაც, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი დანიშნულებისათვისაა გამიზნული. თუკი

სიკეთესა და სიბრძნეს გულბოროტება უდევს საფუძვლად, ის უკვე სივერაგეა, რადგან საწუთროს ავკარგმა არ უნდა გააგულნამცეცოს კაცი. ამიტომ ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ მომავალი მეფის – ჯუმბერის სატახტო კარზე რუქას მსგავსთ არ დაედგომებათ. ჭეშმარიტი სამართლებრივი სახელმწიფო მხოლოდ ჭეშმარიტ სიკეთესა და სიბრძნეზე უნდა იყოს დაფუძნებული.

ასე რომ, რუქას სახის მიღმა შემდეგია ნაგულისხმევი: სწორი აზრის უკან უნდა იდგეს ღირსეული პიროვნება. ულირსის ნათქვამი სიმართლეც კი უმოქმედო და უნაყოფოა. რუქას სიბრძნე და გონიერება თავისი არსით სივერაგეს უახლოვდება; ამ გზით ცხოვრების წარმართვა კი ცოდვის გზაზე სიარულს ნიშნავს.

სულიერი სრულყოფა

ასე რომ, სულხან-საბა აკრიტიკებს არა ცალკეულ პიროვნებას და არც განსაკუთრებულად რომელიმე სოციალურ ფენას, არამედ, ზოგადად, ადამიანის ამა თუ იმ უარყოფით თვისებას. საბა, უპირველეს ყოვლისა, მორალისტია, რომელიც ფიქრობს, რომ ადამიანის ზნეობრივი სრულყოფით შეიძლება გადაწყდეს როგორც სოციალურ-პოლიტიკური, ასევე ეროვნული პრობლემებიც. ხოლო ამის ჩვენებას სულხან-საბა ორბელიანი ცდილობს კეთილი და ბოროტი მეფეების, ჭეშმარიტი სიბრძნისა და უნაყოფო სიბრძნის, სივერაგის ურთიერთშეპირისპირების ფონზე; ამქვეყნის ცოდვა-მადლის წარმოჩენაც აღნიშნულ კონტექსტშია მოქცეული, მაგრამ, ამავე დროს, თითქოს დამოუკიდებელ სიუჟეტურ წრეშიცაა ჩართული.

რატომაა, რომ ერთნი მხოლოდ ბოროტებით სუნთქავენ, იმაზე ფიქრობენ, ვის რა ავნონ, არ სურთ დაინახონ სიკეთე, სხვანი კი სხვის ავსაც სიკეთით პასუხობენ?! სულხან-საბას მიაჩნია, რომ ადამიანის უკეთურების მიზეზი ძირითადად ხორციელი ვნებების აყოლაა – სიხარბე, მომხვეჭელობა, სიმსუნაგე – თუ ამას „ბუნებითი“ თვისებები – სისასტიკე, მზვაობრობა, უვიცობა, ცრუსაქმიანობა, ორპირობა, პირმოთნეობა, შური, სიბრიყვე, უმადურობა – დაემატა. ასეთი პიროვნების წვრთნა არ მოიტანს რაიმე სასურველ შედეგს. მაგრამ, როგორც ითქვა, ბოროტება ბოროტებით არ მარცხდება და ამიტომ „ბოროტი“ შინაარსის შემცველ ნაწარმოებებს ისევ და ისევ სიკეთისა და მადლის მარადიული არსებობის გამომხატველი და დამადასტურებელი არაკები უპირისპირდება და ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ მთავარია,მართლაც „ყოველს კაცს სიყვარული“ აჩვენო.

ამდენად, სულხან-საბა ორბელიანის მორალი ძირითადად და პრინციპულად ქრისტიანულია. თუმცა ის განიხილავს სიკეთესა და ბოროტებას არა მარტო რელიგიური ასპექტით, არამედ ამქვეყნიურითაც. ამიტომ საბა ყველაზე მეტად ხაზს უსვამს სწავლის, ცოდნის შეძენისა და აღზრდა-განათლების საჭიროებას, სწავლა-განათლება, მისი აზრით, აკეთილშობილებს ადამიანს და საზოგადოებას, გარკვეულ ღირსებებს ჰმატებს მათ, ის უფრო მაღლა დგას, ვიდრე გვარიშვილობა, სიმდიდრე და სამსახურებრივი მდგომარეობა.



დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსი

საბას შეხედულებით, განსაკუთრებით საჭიროა ცოდნა და სწავლა-აღზრდა მეფისათვის, რადგანაც იგი თვითონ უნდა იყოს თავის ქვეშევრდომთა მასწავლებელი და აღმზრდელი, ის უნდა იყოს ზნეობრიობის მაგალითი თავისი ერისათვის. საკითხის ასე დასმა „არ ახალია“, ჯერ კიდევ გრიგოლ ხანძთელი მოითხოვდა აშოტ კურაპალატისაგან, ყოფილიყო ერის არა მხოლოდ „ხორციელი“ წინამძღოლი, არამედ თავისი ქვეშევრდომებისათვის სულიერებისა და ზნეობრიობის მაგალითის მიმცემიც.

საბა ყველგან და ყველაფერში ზომიერების მომხრეა. ზომიერების გრძნობა ადამიანს სულიერად აწონასწორებს. ამიტომ, პირველ რიგში, ერისკაცთა გასაგონად ამას ქადაგებს სულხან-საბა თავის „სწავლანში“. „არა გეტყვი არა სმასა, არა ჭამასა ანუ შიმშილითა მოყმობასა, არამედ გეტყვი ლხინსა არაბრალოვანსა, ჭამასა უნაყროვანსა და სმასა დაუთრობელსა. ნუ ჰგონებთ, თუ გეტყოდე არა ჩაცმასა, არა დახურვასა, არა კეთილშემოსვასა, არამედ გეტყვი ჩაცმასა უცოდველად, დახურვასა არა ვალით, მოკაზმასა არა ნატაცებითა, შემოსვასა არა ქვრივთა და ობოლთა ნაძარცვთა“ (გავიხსენოთ ზემომოყვანილი სიტყვები ვახუშტი ბატონიშვილისა: „შეერიათ ქართველთა განცხრომა, სმა-ჭამა ყიზილბაშური, სიძვა, მრუშობა... ტყუვილი, ხორცგანსვენება, უგვანი კეკლუცობაო...“).

კორნელი კეკელიძე შენიშნავდა, რომ „სწავლანი“ ახლო კავშირშია „სიბრძნე სიცრუესთან“ იქამდე, რომ ორივე იმეორებს ერთსა და იმავე იგავს... ორივეს ერთი და იგივე მიზანდასახულობა აქვს, ორივე საზოგადოების თითქმის ერთსა და იმავე ნაკლს ამხელს (მხოლოდ არა ერთნაირი ენობრივ-სტილისტიკური ფორმით), მაგრამ თუ „სიბრძნე სიცრუისაში“ ეს მხილება იგავა-

რაკული ფორმითაა წარმოდგენილი, „სწავლანში“ ის გაშლილი, ახდილი სახითაა მოცემულიო.

„მიწა ხარ და მიწადვე მიიქეც“, – დასწერს მოსე თავსა შინა შესაქმისა, რომელი ღმერთმან უბრძანა ადამს, მამასა ჩვენსა, ოდეს მიიღო მიწა და შეამზადა ხორცი და შთაბერა სული ცხოველი და დაადგინა სამოთხესა შინა... და ამცნო მცნებათა დამარხვა, ხოლო იგი გარდახდა განზრახვითა ეშმაკისაჲთა, და გამოაძო ღმერთმან საშვებელით და უბრძანა:

მიწა ხარ და მიწად მიიქეციო, რამეთუ მცნება, რათამცა უკვდავ გყომცა, და აწ მოკვდავად დამისჯიხარ მიწა ეგე მიწიერი.

არათუ მარტო ადამ დასაჯა სიკვდილით, არამედ ყოველნი ძენი და ნათესავნი ამისნი მოკვდავ ვიქმენით უკუნისამდე („სწავლანი“ , თავი – „სწავლა სიკვდილის დღისათვის“).

პირველცოდვის სიმძიმეზე ასეთი მსჯელობა შუა საუკუნეთა არაერთი ავტორისთვისაა დამახასიათებელი. ამიტომ საბა, რომელმაც ჩამოაყალიბა არა მხოლოდ სწავლა-აღზრდის საკუთარი სისტემა, არამედ თავადვე იყო მასწავლებელი და აღმზრდელი, ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების უმთავრეს პრინიციპად ქრისტიანული მონანიებისა და სიკეთის თესვის აუცილებლობას მიიჩნევს. „სიბრძნე სიცრუისა“ სწორედ ხორცზე სულის, ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებისა და მისი მარადიულობის მქადაგებელი ნაწარმოებია.

ენა და სტილი

სულხან-საბა ორბელიანმა შუა საუკუნეთა სალიტერატურო ენა მჭიდროდ დაუკავშირა და დაუახლოვა ხალხის ცოცხალ სამეტყველო ენას. ეს განსაკუთრებით „სიბრძნე სიცრუისას“ ეხება, რომელშიც მკაცრი ზომიერების გრძნობის დაცვითაა შეტანილი ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმები და ლექსიკური ერთეულები.

სულხან-საბას სამწერლობო სტილზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: საბა, ასე ვთქვათ, რამდენიმე ქართულ სალიტერატურო ენას ფლობს; მისი „სიბრძნე სიცრუისა“ გამართულია სტილურად უბრალო, სადა, ხალხური მეტყველებით; „ლექსიკონ ქართულში“ ვაკვირდებით მწერლის მეცნიერულ-ლექსიკოლოგიურ შესაძლებლობებს; ე. წ. „მცხეთურ ბიბლიაში“ ჩანს სულხან-საბას თეოლოგიურ ცნებებსა და სახისმეტყველებაში განსწავლულობა; ვახტანგ VI-ის მიერ ნათარგმნ „ქილილა და დამანას“ რედაქტირებისას მჟღავნდება მისი მთარგმნელობითი ნიჭი და უნარი, შეიძლება გამოვყოთ, აგრეთვე, სულხან-საბას თხზულების – „მოგზაურობა ევროპაში“ – ენა, რომელიც, მსგავსად „სიბრძნე სიცრუისას“ ენისა, მარტივი და სადაა, ოღონდ ერთგვარი „მემუარული“, სამოგზაურო ჟანრის თხზულებებისათვის დამახასიათებელი მხატვრული სტილისა.

ლაკონიურობა

სულხან-საბა ორბელიანის ფრაზათა ერთ-ერთი თავისებურებაა ლაკონიურობა. მოკლე წინადადებათა საშუალებით მწერალი ახერხებს სურათის მკვეთრად და ნათლად წარმოჩენას. საბას ნაწარმოებებში, როგორც წესი, არა აქვს ადგილი გაზვიადებულ თხრობას, დეტალურ აღწერას. მოკლე, სხარტი გამოთქმებით თხრობა დინამიკურია, რადგან თავად წინადადებებია სადა და უბრალო, ამასთანავე, გამჭვირვალეც.

საბას სტილის ლაკონურობის ერთ-ერთ საშუალებად მიჩნეულია სიტყვათა შინაგანი, ასოციაციური კავშირის საფუძველზე ფრაზის მოკვეთა. ამ აზრის ნათელსაყოფად და დასადასტურებლად „სიბრძნე სიცრუისადან" შეიძლება ორი არაკის მოყვანა – „მეფე და მხატვარი" და „ბერად შემდგარი მელი". თავისი მხატვრის სიკვდილით დასჯას მოწადინებული ლავდიკიის ცალთვალა მეფე და ფრინველების შეჭმას მონდომებული გამოძღვრებული მელა მიზეზს ეძებდნენ. ეს აზრი ერთ არაკშიც და მეორეშიც ერთი ფრაზითაა გადმოცემული – „მიზეზს ეძებდა". სულხან-საბა არ აღნიშნავს, თუ რის მიზეზს ეძებდნენ ლავდიკიის მეფე ან მელა. მოტივირების მიზეზი არ ჩანს, თავად მკითხველმა დასრულებულად უნდა წარმოიდგინოს აზრი, იმდენად ნათელ სიტაუციასა და კონტექსტში არის ნახმარი გამოთქმა „მიზეზს ეძებდა". გაწყვეტილი ფრაზა არ გვიშლის ხელს არაკის აზრის გაგებაში: „მიზეზს ეძებდა" ორივე არაკში ასე გაშლილად რომ ყოფილიყო მოცემული – „მეფე მიზეზს ეძებდა, მოეკლა მხატვარი" და „მელი მიზეზს ეძებდა, თავი წაეგლიჯა ძერასთვის, მამლისთვისა და ოფოფისათვისო" – თხრობას რამდენადმე დაამძიმებდა, გააჭიანურებდა. „მიზეზს ეძებდა" და მის მიერ მკითხველს მინდობილი წარმოსახვითი ამბავი კი სტილს ლაკონურს და დინამიკურს ხდის და, ამავე დროს, წარმომსახველობას ანიჭებს ნაწარმოების პოეტიკას. ეს არის საბას სტილის ერთ-ერთი თავისებურება, რაც პრინციპულ ხასიათს ატარებს, ვინაიდან იგი რიტმულობის ელფერს სძენს „სიბრძნე სიცრუისას".

რიტმი

საბა თხრობის ლაკონურობას სხვა ხერხებთან ერთად აღწევს უარყოფით სიტყვათა მაწარმოებლებისა და უკუთქმითი წინადადებების გამოყენებითაც. ფრაზათა შეკვეცის მიზნით ავტორი თავისებურად აწარმოებს სიტყვას, განტვირთავს წინადადების დამხმარე, რიგ შემთხვევაში, ზედმეტი წევრებისაგან. აი, ამის მაგალითი: „...მეფემ ნადიმი გარდაიხადა, აფიცა ვაზირთა მისთა, თუცა რომელთა ასმოდეს ანუ იცოდეს მისი მსგავსი მდიდარი და უუხვესი მეფე. ექვსთა ვაზირთა ფუცეს უსმენლობისათვის მსგავსისა მისისა. და უმცროსსა ვაზირსა გაეცინა. ჰკითხა მეფემან: რას მიზეზისათვის იცინიო. მან ფიცი სთხოვა მოუკვლელობისათვის". არაკის – „მეფე ხორასანისა" – ამ ეპიზოდში სიტყვები „უსმენელობისათვის" და „მოუკვლელობისათვის" მთელი ფრაზების ნაცვლადაა ნახმარი. პირველი ცვლის წინადადებას – „რომ მათ არ სმენიათ", ხოლო მეორე – „რომ არ მოკლავდა". ანალოგიურ სტილურ

ხერხთან გვაქვს საქმე ამავე არაკის სხვა ეპიზოდშიც: „ეევედრებოდა უცნობობისათვისო“, რაც ცვლის მთელ წინადადებას – „ეევედრებოდა ეპატიებინა მისთვის, რომ ვერ იცნო იგი“.

ქართული ენის თავისებურებებიდან გამომდინარე, სიტყვათა, ლექსიკურ ფორმათა ასეთი ბუნებრივი წარმოებით იზრდება თხრობის ტემპი, უშუალოდ, სწრაფად შედის მკითხველი ამბის არსში და სადად წარმოგვიდგება გარკვეული სიტუაცია თუ ეპიზოდი. სტილის ლაკონურობით სულხან-საბა ახერხებს მკითხველის ყურადღების მობილიზებას, კონცენტრაციას გარკვეულ პასაჟზე და გაჭიანურებული თხრობის თავიდან აცილების საშუალებით აღარ გვეფანტება ყურადღება, სწრაფად, ადეკვატურად აღვიქვამთ ამბავს.

მოტივაცია და ლექსიკა

სულხან-საბა ორბელიანი დიდ ყურადღებას აქცევს, აგრეთვე, ამბავთა მოტივირებას . ყოველი ფრაზა, ყოველი ეპიზოდი ურთიერთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, წინა განსაზღვრავს და განაპირობებს მომდევნოს. პერსონაჟის ყოველი მოქმედება შინაგანი აუცილებლობით არის გამოწვეული, მწერლის მიერ დამარწმუნებლადაა ახსნილი იმისათვის, რათა ამ დროს არ დაირღვეს დინამიკურობა, საბა თავს არიდებს მოჭარბებულ მეტაფორებს, რთულ ტროპულ ხერხებს და მოვლენის ან საგნის წარმოსასახავად ხმარობს თითო-ოროლა ეპითეტს, მკითხველის ყურადღება რომ არ გაფანტოს. არაკში „ვირი, ვეფხვი, მელი და მგელი“ ვკითხულობთ: „ერთი ვირი გლახაკისა კაცისა, მოჭირვებული და მჭლე, გაეპარა პატრონსა თვისსა და წავიდა. ერთს მაღალსა ადგილსა დაისადგურა. ესეთი ადგილი იყო: დიდი წყალი ჩადიოდა და წყალთა პირსა ხენი შვენიერნი იდგეს, დიდნი კლდენი მოსცემოდნენ, კორდნი – მწვანენი, ყვავილოვანნი“. სურათი ნათლად და თვალსაჩინოდაა დახატული, ეპითეტები რეალისტურია, სადა და გადაუჭარბებელი.

ბუნებრივია, „სიბრძნე სიცრუისადან“ გამოსჭვივის XVII-XVIII საუკუნეების სამეტყველო ქართული ენის „სურნელი“. ასეთია, ვთქვათ, სიტყვები: „აიალაფა“ (აიკლო, დაარბია), „ამობორტყდა“ (ოთხით ამოვიდა), „აუმტერდნენ“ (გადაემტერნენ), „დაახორავეს“ (დააგროვეს), „დღეის წაღმართ“ (დღეის შემდეგ, დღეის იქით), „მოჭირვებული“ (ჭირში მყოფი, ჭირმიყენებული, შეწუხებული), „მოვინმევიდა“ (ვიღაცა მოვიდა), „პაშტა“ (საკმაოდ ბევრი), „უარშიობს“(არ იგუებს, არ ეწყობა, არ ემორჩილება), „უსუქარი“ (გამხდარი, მჭლე), „შეამციენა“ (შეამჩნია, შენიშნა) და მრავალი სხვა.

სულხან-საბა ორბელიანის პოეტური მეტყველებისათვის, რასაკვირველია, უცხო არაა აღმოსავლური მწერლობისათვის დამახასიათებელი მეტაფორები და შედარებები. ამის არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება: ჯუმბერსო „სინათლითა მზე მოშურნეობდა, ათხუთმეტისა დღისა მთვარე ნათელსა მისგან ითხოვდა, ვარსკვლავნი მისსა კამკამებასა გაეცვიფრებინა, შავნი მერცხლისა მხარნი ბროლთა ზედან განპყრობით დაეშვენებინა. მელნის გუბენი გიშრის ლერწმით შემოესარა, ვარდი და ზამბახი ერთმანეთში

აეყვავებინა"; სხვა მაგალითი: „დილა ოდეს გათენდა და შავთა უფსკრულთა ფარდაგი ცეცხლისა ალთა მსგავსისა მზისა შუქითა დაიხივა, მისნი ელვარე მოციქულნი ხმელეთსა განფინნა" და ა. შ. სიტყვების – „მზე", „ათხუთმეტის დღის მთვარე". „მელნის გუბენი", „გიშრის ლერწამი", „ვარდი", „ზამბახი", „ფარდაგი ცეცხლისა" და სხვ. – ასეთ კონტექსტებში ჩართვა სწორედ არაბულ-სპარსული მწერლობისთვისაა დამახასიათებელი: როგორც ჩანს, სულხან-საბა ბოლომდე არაა გათავისუფლებული და ვერც გათავისუფლდებოდა იმ ეპოქაში მომძლავრებული აღმოსავლური სახისმეტყველებისაგან. ამის დაძლევა ევროპულ კულტურას უშუალოდ ზიარებულმა და მიახლებულმა, აღმოსავლურ სამწერლობო ტრადიციებს მოწყვეტილმა დავით გურამიშვილმა მოახერხა.

ეს, რასაკვირველია, სრულებითაც არ აყენებს ჩრდილს სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებას. მწერლის ენა, ისევე, როგორც ზოგადად ენა, ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც რეალურად ასახავს ერის ისტორიას გარკვეული კუთხით და არა მხოლოდ ისტორიას, არამედ თავად პიროვნებას, იმ ტრადიციებსა თუ ტენდენციებს, რომლებზედაც აღიზარდა ესა თუ ის მწერალი.

სულხან-საბა ორბელიანი თავისი შემოქმედებით აგრძელებს იაკობ ხუცესის, იოანე საბანისძის, გიორგი მერჩულეს, ჰიმნოგრაფების, შოთა რუსთაველისა და სხვათა სარწმუნოებრივ-პატრიოტულ თუ მხატვრულ-ესთეტიკურ მისწრაფებებსა და იდეალებს.

აი, როგორ აფასებს საბას ღვაწლს „კალმასობის" ავტორი იოანე ბაგრატიონი (1768-1830 წწ.): „ამან ქმნა წიგნი ზნეთსწავლულებისა, „სიბრძნე სიცრუედ" წოდებული. ესე წარვიდა რომსა, მიიღო პაპამ კეთილად და აწვია თვით წინა წირვად და დაბანა ფერხიცა, მისცა ნიშნად ძელი ცხოველის ნაწილი და სხვანი წმიდათა ნაწილები და პატივითა გაისტუმრა. ესე ფრიად დაშვრა მეფეთა მსახურებისათვის ისპაანს ყეენთან წასვლით. ამანვე შეთხზა წიგნი, „სამოთხის კარად" წოდებული, გარნა ამაში არ თანეხმნენ ქართველნი მეცნიერნი, ვინაიდგან მიჰკერძა უფრო ლათინთა და ამა იჭვისათვის განლათინებულად აღიარებენ საბასა".

თუ რამდენად მართალი იყო სულხან-საბა ორბელიანი თავისი ევროპული და კათოლიკური ორიენტაციის გამო, ეს სხვა მსჯელობის საგანია. მთავარი კი ისაა, რომ საბამ მთელი თავისი ცხოვრება მამულისა და ენის სამსახურს შესწირა. ხოლო მისი ერთგვარი სარწმუნოებრივი შემგუებლობა ისევ საქართველოს გადარჩენისათვის იყო გამიზნული.

სიტყვა „აღმზრდელს" სულხან-საბა „მამის" ერთ-ერთი მნიშვნელობის ანალოგიით განმარტავს: „მამა არს ღმერთი დამბადებლობითა. მამა არს შემქმნელი. მამად ითქმიან მოძღვარი, მღვდელი, აღმზრდელი ოსტატი, გინა კაცი უხუცესი". იმ ეპოქის საქართველოს საბა რომ მამად მიაჩნდა (მისიონერი რიშარი), ამაში, პირველ ყოვლისა, სულხან-საბა ორბელიანის – მოძღვრისა და აღმზრდელის საოცარი უნარი – ოსტატობაც იგულისხმება. „სიბრძნე სიცრუისაც" ამის დასტურია.

ტექსტის გაგება

1. როგორ ახასიათებს სულხან-საბა ორბელიანი მეფე ფინეზს, რა შეჭირვება ადგა მას და როგორ მოიქცა იგი?

2. მოკლედ დაახასიათეთ ფინეზის ვეზირები – სედრაქი და რუქა. რა რეაქცია ჰქონდათ მეფის სიუხვეზე და როგორ ახასიათებს ეს მეფის ქვეშევრდომებს?

3. რის საფძველზე მიდის მეფე ფინეზი სანადიროდ და რამდენად მართლდება მისი მოლოდინი?

4. როგორ წარმოადგენს ავტორი მეფისწული ჯუმბერის მომავალ აღმზრდელს – ლეონს და რაზე მიუთითებს მის მიერ მოყოლილი არაკი „უტკბესი და უმწარესი"?

5. რა თვისებებია ყველაზე მეტად დამახასიათებელი, ერთი მხრივ, სედრაქისა და ლეონისათვის, და, მეორე მხრივ, რუქასთვის? თხზულებიდან წარმოადგინეთ ის დეტალები, რომლებიც ამყარებენ თქვენს მოსაზრებას.

6. რატომ ითხოვს ლეონი მეფისგან „ხელთწერილს ფიცისას" და როგორ ზრდის იგი უფლისწულს?

7. რატომ იწყება იგავური პაექრობა მეფის მსახურებს შორის და რა მორალს ქადაგებენ მთხრობელები?

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი

1. **იგავი.** თხზულებას, რომელშიც მოცემულია მაგალითი, ნიმუში ადამიანის ბუნების შესახებ, იგავი ეწოდება, ხოლო რასაც გვარიგებს – მორალი. ზოგჯერ მწერალი არ გვაწვდის მორალს. მას სურს, მკითხველმა თავად იფიქროს განვითარებულ მოვლენებზე და წარმოიდგინოს დარიგება. რატომ ითვლება „სიბრძნე სიცრუისა" იგავურ ლიტერატურულ ძეგლად? რა არის მისი ძირითადი მორალი?

2. **თემის დაკავშირება სათაურთან.** ხშირად ნაწარმოების სახელწოდება იძლევა თემის გასაღებს. სულხან-საბა ორბელიანის თხზულების სათაური ორი საპირისპირო სიტყვისგან შედგება. როგორ ფიქრობთ, რა არის ამ ლიტერატურული ძეგლის მთავარი იდეა და რატომ დაასათაურა იგი ავტორმა ასე? თქვენ როგორ სათაურს მოუძებნიდით?

3. **თვალსაზრისის შეფასება.** ავტორი „სიბრძნე სიცრუისაში" ამბავს მესამე პირში ყვება და თვალთახედვასაც ამ ხერხით გადმოსცემს. იგი მოვლენებს რამდენიმე პერსონაჟის მეშვეობით აღწერს. ვინ არიან ისინი? რატომ აქვს ავტორს მსგავსი ხასიათები შერჩეული? რა ზეგავლენას ახდენენ ეს პერსონაჟები ნაწარმოებში განვითარებულ მოვლენებზე?

4. **ხასიათები.** რამდენიმე გზა არსებობს, რომელთა საშუალებითაც ავტორი თხზულებაში ხასიათებს აჩვენებს. მას შეუძლია გამოიყენოს: 1) ფიზიკური აღწერა, 2) დიალოგი, 3) პერსონაჟთა ქმედებები, 4) სხვა ხასიათთა

რეაქცია პერსონაჟებისადმი, ან 5) გმირის ფიქრები და გრძნობები. რომელ მეთოდებს იყენებს სულხან-საბა თავისი პერსონაჟების ხასიათების საჩვენებლად? მოძებნეთ მაგალითები თქვენი პასუხის დასადასტურებლად.

5. **სტილი.** „სიბრძნე სიცრუისას" ხელნაწერებზე დასაწყისშივე აღნიშნულია: „ნათქვამი სულხან-საბა ორბელიანისა ჟამისა სიჭაბუკისა თვისისა". ნაწარმოები მასში შეტანილი იგავ-არაკებით, ანეკდოტებით, ნოველებით, აპოლოგებით, ზღაპრებითა თუ ავანტურული რომანებისათვის დამახასიათებელი სათავგადასავლო პასაჟებით დაწერილია მარტივი, სადა, გამართული სალიტერატურო, ერთგვარი რეპორტიული სტილითაც. მაგალითად, წინადადებები, ჩვეულებრივ, მოკლე და მიზანმიმართულია, დინამიკური და წარმომსახველობითი. რატომ არის ამგვარი სტილი ასე შესაფერისი „სიბრძნე სიცრუისათვის"?

ლექსიკური შნარების განვითარება

სიტყვის კონტექსტური მნიშვნელობა. ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებული აზრობრივი დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს. ზოგჯერ იგი ფრაზაშია მოცემული, ხან დამოუკიდებლად წარმოდგენილი, ან კომპოზიტით შემოთავაზებული.

განმარტეთ ქვემომოყვანილი ხაზგასმული სიტყვებისა და ფრაზების მნიშვნელობები.

1. ფინეზს სიფიცხლე და უწყალობა ჯავრისანი გულისაგან ღვთის შიშისა ნიავით გაექარვებინა;

2. სედრაქს ჰაერთა და ვარსკვლავთა საქმენი გულის ფიცართა გამოეწერა;

3. არა იყო გულსა მეფისასა ზრუნვა, გინა შეჭირვება უძეობისა კიდე;

4. იყო საჭურისი მეფისა კაცი გულჩქარი და ფიცხელი, სეფეთუხუცესი იყო და გულითადი მეფისა;

5. დიდად ვმადლობ გულსა შენისა სიმდოვრეს და შენსა ეგზომსა სულგრძელობასა;

6. ძმა მყვანდა, სიყვარული, მორჩილი ჩემი და ნება გულისა ჩემისა;

7. გლახაკმა დაიწყო გზა-გზა სვლა და გულთა ამას უბნობდა;

8. გლახაკმა „ამ გულისთქმაში შეშა აუდვა და ქალაქს გასაყიდად წამოიღო;

9. მეფეს დაეტყო ბოლოდ, რომ რუქაზედ ავგულად ქმნილიყო.

მოიფიქრეთ სიტყვა „გულიდან" ნაწარმოები სხვა კონტექსტები, ფრაზები და კომპოზიტები.

უცხო სიტყვები: სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობის პერიოდში განსაკუთრებით შეინიშნება აღმოსავლურობის მოჭარბება ქართულ კულტურაში. ამ მხრივ სულხან-საბას შემოქმედება მაქსიმალურად ინარჩუნებს ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდეს, თუმცა ზოგჯერ აღმოსავლური მხატვრული სახეები, ფრაზები და ლექსიკური ერთეულები, ცალკეულ შემთ-

ხვევებში, მაინც გვხვდება; მაგრამ ეს მოვლენა არ არის ბარბარიზმად – ენაში საჭიროების გარეშე შემოტანილ სიტყვად ან გამოთქმად, ენის ბუნებისათვის შეუფერებელ სინტაქსურ კონსტრუქციად მოყვანილი; ავტორი ამ ხერხს იყენებს სტილისტიკური ნიშნით, პერსონაჟთა იერსახისა და ამბის კოლორიტის შესანარჩუნებლად. შეძლებისდაგვარად მოძებნეთ და ამოწერეთ აღმოსავლური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ფრაზები, შედარებები და სიტყვები, განმარტეთ, რატომაა ისინი გამოყენებული ნაწარმოებში.

წერითი უნარების განვითარება

1. შესავლის შეფასება. თხზულების შესავალში უნდა იყოს ინფორმაცია ხასიათებზე, გარემოსა და შესაძლო კონფლიქტებზე. ის, აგრეთვე, უნდა აღძრავდეს მკითხველის ინტერესს.

განიხილეთ „სიბრძნე სიცრუისას“ დასაწყისი ვიდრე ლეონის მიერ ჯუმბერის აღზრდამდე. იმსჯელეთ, რატომ არის ან არ არის თხზულების ეს მონაკვეთი შესაფერისი შესავალი.

თხზულების გააზრება. ხელახლა წაიკითხეთ ნაწარმოების მითითებული ნაწილი. შემდეგ მოძებნეთ დეტალები, რომლებიც ადასტურებენ ინფორმაციას ხასიათების, გარემოსა და კონფლიქტების შესახებ. მოკლედ ჩაიწერეთ შენიშვნები, დაკავშირებული ამ დეტალებთან. რომელი მათგანი იპყრობს მკითხველის ყურადღებას და აღვივებს ინტერესს? ამაზეც გააკეთეთ შენიშვნები. გადაწყვიტეთ, არის თუ არა კარგი ეს შესავალი ნაწილი.

თხზულების წერა. დაიწყეთ ნათელი წინადადებით, რომელიც ამჟღავნებს შესავლის თქვენეულ შეფასებას. შემდეგ განიხილეთ დასაწყისის სხვადასხვა ელემენტი. როდესაც რომელიმე ნაწილის განმარტებას დაასრულებთ, დამაჯერებლად აჩვენეთ, რატომაა ეს კერძო დეტალი მნიშვნელოვანი; რატომ არის საცოდნელად ეს ინფორმაცია მკითხველისათვის აუცილებელი, რათა ავტორმა გააგრძელოს თხრობა; როგორ უკავშირდება იგი ტექსტში აღწერილ შემდგომ მოვლენებს. გამოიყენეთ შუალედური სიტყვები და ფრაზები მაშინ, როდესაც გადადიხართ ერთი თვალსაზრისიდან მეორეზე. დაწერეთ დასკვნითი წინადადება, რომელიც შეაჯამებს თქვენს აზრს თხზულების შესავალ ნაწილზე.

შემოწმება. გაუცვალეთ რვეული თანაკლასელს. თითოეულმა თქვენგანმა გაითვალისწინოს ქვემოთ მოცემული შეკითხვები, როდესაც მეორის ნაწერს წაიკითხავს:

არის თუ არა ერთმანეთთან დაკავშირებული იდეები ერთად დაჯგუფებული?

აჩვენებს თუ არა ნაწერი, რომ თქვენი თანაკლასელი ხვდება, რა არის თხზულების შესავალი?

არის თუ არა მასში მოყვანილი ნაწარმოების სპეციფიკური დეტალები?

თუკი ასეა, არის თუ არა სწორი ციტირება?

დაწერეთ თქვენი ნაშრომის საბოლოო მონახაზი, რომელშიც გათვალისწინებული და შეტანილი იქნება თანაკლასელის მიერ შემოთავაზებული რჩევა თქვენი თვალსაზრისის სრულყოფისათვის.

2. **შესავლის წერა.** როგორც იცით, შესავალი თხზულების მნიშვნელოვანი ნაწილია. ცუდად დაწერილ შესავალს შეუძლია ზეგავლენა იქონიოს მთელ ნაწარმოებზე. წარმოიდგინეთ, რომ წერთ თხზულებას კონკრეტული ხასიათის შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების წინაშე დგას. მაგალითად, თქვენს პერსონაჟს შეუძლია გადაწყვიტოს, უთხრას თუ არა მეგობარს მწარე სიმართლე, ან არ გააფრთხილოს იგი ამის შესახებ. დაწერეთ შესავალი, რომელიც მკითხველს აწვდის ინფორმაციას ხასიათებზე, გარემოსა და მოსალოდნელ კონფლიქტებზე. ვიდრე წერას შეუდგებოდეთ, რამდენიმე ხანს იფიქრეთ თხზულების შესაძლო სიუჟეტზე. მხოლოდ ამის შემდეგ შეგეძლებათ შესავლის დაწერა.

როდესაც მუშაობთ, გახსოვდეთ, რომ თქვენ გსურთ შექმნათ ისეთი შესავალი, რომელიც მიიზიდავს მკითხველის ინტერესს. გამოიყენეთ დეტალები, რომლებიც მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ.

შნარების განვითარება სწავლისა და კვლევის პროცესში

ავტობიოგრაფიული დეტალების გამოყენება. ნაწარმოების შექმნისას ავტორი საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, მსოფლმხედველობრივ შეხედულებებს და, ზოგჯერ, ავტობიოგრფიულ დეტალებსაც იყენებს. სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ რამდენადმე ავტობიოგრაფიული ნიშნების მატარებელი თხზულებაა და შემოქმედის დიდაქტიკურ შეხედულებებს ასახავს.

გამოიყენეთ მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ სხვადასხვა ლიტერატურული წყარო, ენციკლოპედიები. მასალების კითხვისას ჩაინიშნეთ ის მონაცემები, რომლებიც თხზულებასთან პარალელებს მოგანახვინებთ. მოემზადეთ, რათა თანაკლასელებს გაუზიაროთ შემდეგი ინფორმაცია:

რომელი სოციალური ფენის წარმომადგენელი იყო სულხან-საბა ორბელიანი და სად იზრდებოდა?

ვის ენათესავებოდა იგი?

ვისი აღმზრდელი იყო იგი? რა ურთიერთობა ჰქონდა აღსაზრდელთან?

როგორაა ეს ცხოვრებისეული დეტალები ასახული „სიბრძნე სიცრუისაში“? პოულობთ თუ არა რაიმე მსგავსებას სულხან-საბა ორბელიანსა და თხზულების რომელიმე პერსონაჟს შორის? ახსენით.

დამატებითი დავალება. დააჯგუფეთ იგავების, სენტენციების, ანეკდოტების, ნოველებისა და სხვ. სათაურები მათი პერსონაჟებისადმი კუთვნილების მიხედვით.

დავით გურამიშვილი

„დავითიანი“



დავით გურამიშვილი

დავით გურამიშვილი ჩვენი ქვეყნისთვის ავბედით ჟამს ლეკებმა გაიტაცეს საქართველოდან და მას შემდეგ არ ღირსებია სამშობლოს ნახვა. მაგრამ თურმე შესაძლებელი ყოფილა სულიერი თანაარსებობა კაცისა და მიწისა, რომელზეც ის დაიბადა. დიდად სამართლიანი იყო ის, რომ დავით გურამიშვილის დიდებული შემოქმედების ნაყოფი – „დავითიანი“ – საქართველოს დაუბრუნდა და დროთა ულმობელ სვლას არ შეეწირა. როგორ გაღარიბდებოდა ქართული სულიერი კულტურა ამ უმშვენიერესი და ბრძნული ქმნილების გარეშე?

„დავითიანი“ ძალიან მარტივი, ნათელი და იმავდროულად რთული, დიდი შინაგანი ჰარმონიით, კანონზომიერებით აღსავსე, „მრავალხმიანი“ ნაწარმოებია. სიტყვა „ნაწარმოები“ აქ ერთგვარად უხერხულადაც კი გამოითქმის – ეს არის თავად ცხოვრება კაცისა, რომლისთვისაც ბედისწერას არ დაენანა არც ბედნიერების „ციმციმა“ დღეები და არც უკიდურესი ტანჯვა. მარტოსულობა მრავალი ღირსეული შემოქმედის ხვედრი ყოფილა ამქვეყნად, მაგრამ დავით გურამიშვილს ეს განცდა გაუმძაფრა სამშობლოსაგან შორს ყოფნამ, თუმცა კი უდიდესი ენერგიისა და ნებისყოფის მქონე პოეტმა შეძლო უხინჯოდ ეტარებინა ჭეშმარიტი პიროვნებისა და შემოქმედის არცთუ მსუბუქი ტვირთი.

„დავითიანი“
– დავით გურამიშვილის „სიტყვა“

„დავითიანი“, როგორც უკვე ვთქვით, პოეტისათვის არ არის უბრალოდ ნაწარმოები – ის მისი „შვილია“, მისი „ძეა“, უშვილძიროდ გადაგებული გურამიშვილისთვის მისი ქმნილება უკვდავ მემკვიდრედ ქცეულა. ეს ერთგვარად უცნაური მსჯელობა ნათელი გახდება, თუკი ვიტყვით, რომ პოეტი უაღრესად რელიგიური კაცი იყო – მისი თითოეული ფიქრი, განცდა, თითოეული სტრიქონი დავალებული და გაჟღენთილია ქრისტიანული ჭეშმარიტებისა და სათნოების მადლით და ისევე როგორც ერთარსება სამების მეორე წევრი – ქრისტე არის „ძე“ ღვთაება-მამისა, „დავითიანიც“ არის „ძე“ მისი შემოქმედისა. „ძე“ ღვთისა, იგივე „სიტყვაა“ (გავიხსენოთ: „პირველთაგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი“), მამისაგან „ნათქვამი“, მისგან მარადიულად დაბადებული, „დავითიანიც“ გურამიშ-

ვილის „სიტყვაა“ და, ამდენად – მისი „ძეც“. სად და რით ჩანს ეს? შემდეგი ორი სტროფი გავიხსენოთ:

„მე საწუთრომ ბერწოვნება მომახვედრა თავში კობლად:
ძე არ მომცა, არც ასული, შემქმნა სახლ-კარ დასამხობლად.
ამ ლექსთ თავი მოუყარე, სადა მეთქვა თვითო ობლად,
აგების რომ ბრძანოს ვინმემ სიტყვა ჩემთვის შესანდობლად“.

თავში: „დავით გურამიშვილისაგან საწუთროს სოფლის სამდურავი“ პოეტი პირდაპირ მიუთითებს:

„მშვილდს მომიწივა მუხთალმა (წუთისოფელმაო – გ.მ.)
ისარი გულში მამასო,
არ მომცა ძე, არც ასული, არვინ მიძახის „მამასო“.
მან დამიჩაგრა გონება და მტერი თავსა მამასო.
დავჯექ და ლექსვა დავიწყე, ვსთქვი, თუ: „ვიშვილებ ამასო“.

„დავითიანია“ გურამიშვილისთვის მისი ამქვეყნიური სიცოცხლის არსი, მისი ადამიანური ყოფის გამართლება – მასშია განივთებული პიროვნული „მე“ კაცისა. „დავითიანით“ დიდი პოეტი სამარადისოდ დაუბრუნდა საქართველოს, ამიტომაც მიმართავს მოყვასს:

„მე უშვილომ ეს ობოლი მძლივ გავზარდე დიდის ჭირით;
რაც ვიცოდი საცოდნელი, მას ვასწავლე სიბრძნე-მცირით.
მოვკვდი, დამრჩა უნათლავი, ვერ შევიძელ მე სიმწირით,
ვინც მონათლავს, მე მას ვლოცავ ცოდვილისა ჩემის პირით.
ბრძენსა კაცსა ვეხვეწები, ეს ობოლი მამინათლოს;
თუ რამ იყოს სხვის სჯულისა, მამიქციოს, გამიქართლოს.
ან თუ იყოს მატყუვარა, ეცადოს, რომ გაჲმიმართლოს,
სხვასი ნურას მოინდომებს მაზედ მეტსა უსამართლოს...
ყრმაო, შენ ძმობას გენუკვი, ასულო, მიყავ შენ დობა,
ვინც წაიკითხოთ ეს წიგნი, მიბრძანეთ ცოდვილს შენდობა“.

„დავითიანის“
კომპოზიციის სამი ნაკადი

„დავითიანს“ საინტერესო კომპოზიციური აგებულება აქვს – მასში სამი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული აზრობრივი ნაკადია წარმოდგენილი.

რა ნაკადებია ეს?

გავიხსენოთ, რომ ნებისმიერი ადამიანი სამსახოვანია: ის არის ერთი რომელიმე კერძო პირი (განუმეორებელი თავისი არსებით –გარეგნულადაც და შინაარსითაც), გარკვეული ერის წარმომადგენელი და მთლიანად კაცობრიობის წევრიც. ვთქვათ, ილია ჭავჭავაძე ერთი კაციცაა, ქართველიც (კონკრეტული ერის წარმომადგენელი) და უბრალოდ ადამიანიც. დავით გურამიშვილის ქმნილებაში ეს სამასახოვნება თვალნათლივ ცხადდება: კერძო კაცის ბედი ჩანს თავად დავითის თავგადასავალში, რომელიც ჩართულია ნაწარმოებში, როგორც მისი ორგანული ნაწილი, ერისკაცი მოჩანს ქართლის „ჭირის“ ამსახველ სტრიქონებში, ხოლო ზოგადად ადამიანის სული გამოსჭვივის უმშვენიერეს რელიგიურ ჰიმნებსა და ბიბლიურ სიუჟეტებში, რაც მრავლადაა ჩართული „დავითიანში“.

ძალიან საინტერეოა ნაწარმოების აგების პრინციპი. ეს იმდენად მნიშვნელოვანი მომენტია, რომ მასზე საგანგებოდ ღირს შეჩერება.

დავით გურამიშვილი ისევე ქმნის „დავითიანს“, როგორც, ბიბლიური წარმოდგენით, ღმერთმა შექმნა სამყარო!

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი პერიოდის ზოგადი მიმოხილვისას ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ძველები სამყაროს გაჩენას ღვთისგან მოიაზრებდნენ, როგორც ქაოსიდან წესრიგის შექმნას. ვახსენეთ ისიც, რომ ქრისტიანული, საზოგადოდ ბიბლიური, შეგრძნებითა და ფიქრით ადამიანი იმიტომ იქმნება შესაქმის ბოლოს, რომ მან გააგრძელოს ღვთაებრივი შემოქმედება; რომ ადამიანი ყველაზე მეტად მაშინ ემსგავსება ღმერთს, როდესაც ის შემოქმედია. შემოქმედების არსში ქაოსიდან წესრიგის შექმნა ძევს. ქრისტიანი მოაზროვნის თვალსაწიერში ღვთაების მიერ შექმნილ სამყაროში განსაცვიფრებელი, შემოქმედებითი იდუმალების შემცველი ის არის, რომ მთლიანობის, ერთიანობის ნიშნით აღბეჭდილია ერთმანეთისაგან ესოდენ განსხვავებული უამრავი საგანი თუ მოვლენა. ამ მთლიანობისა და ერთიანობის შეგრძნებას ბადებს მოწესრიგებულობა – წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანის გონების თვალწინ მხოლოდ საგანთა და მოვლენათა ქაოსი იქნებოდა. დავით გურამიშვილის პოეტურ სამყაროშიც უმაღლესი მხატვრული აზრით ერთმანეთს დაკავშირებია, ერთი შეხედვით, სრულიად განსხვავებული, თითქოს ყოვლად დაუკავშირებელი მოვლენები. მართლაც, რა საერთო შეიძლება იყოს პოეტის ლეკთაგან დატყვევებასა და ადამის საჩივარში, ანდა კისტრინის ომის დროს ლაფში დაფლვასა და „სწავლა-მოსწავლეთაში“, ზუბოვკელ ქალსა და ქრისტეში, ახალგაზრდა ქალ-ვაჟის სიყვარულსა („ქაცვია მწყემსი“) და ღვთისმშობლის მიერ მაცხოვრის დატირებაში და ა. შ. როგორ და რა საფუძველზე შეიძლება ყველაფერი ეს ერთ მთლიანობად მოვიაზროთ?

„დავითიანი“ – ავტორისეული ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდი

მხატვრული წესრიგი

საქმე ის არის, რომ „დავითიანი“ საგანთა და მოვლენათა ქაოსიდან მხატვრული წესრიგის (მხატვრული კოსმოსის) შექმნაა: ამ მხატვრული სამყაროს შემოქმედად გვევლინება დავით გურამიშვილი, რომლის პიროვნული „მე“-თი, მისი განცდებითა და თავგადასავლით, ასევე მის სულიერ პრიზმაში გარდატეხილი რელიგიური მსოფლშეგრძნებითა და გამოცდილებით მთლიანდება ნაწარმოების ყოველი სიტყვა, პასაჟი თუ ცალკეული თავი. „დავითიანი“ ავტორითაა გაშინაარსებული, ის არის მისი დვრიტა, მისი შემოქმედის სული ტრიალებს „დავითიანის“ ყოველ სფეროში, ყოველ სიტყვაში, ყოველ წინადადებაში – როგორც ღვთაება ამთლიანებს სამყაროს (მის ყოველ ელემენტს), ისე დავით გურამიშვილის შემოქმედებითი ნებისყოფა ამთლიანებს მის მიერვე შექმნილი მხატვრული სამყაროს ყველა ნაწილს.

მხატვრული ქმნილების ამგვარი გააზრება მოულოდნელი და შემთხვევითი სრულიადაც არ არის შუა საუკუნეებისათვის. ეს ის ვრცელი დროა, როდესაც ფიქრისა და განცდის უმთავრეს საგნად ადამიანის ღვთაებასთან მიმართება ქცეულა. დავით გურამიშვილისთვისაც სხვა არაფერია ამაზე ამაღლებული და მშვენიერი საფიქრალი – ეს არის მოაზრება პირველსაწყისისა, საფუძვლისა:

„საფუძველი არს ყოველთა დაუსაბამო პირველი,
მამა, ყოვლისა მპყრობელი, ცათა და ქვეყნის მჭირველი,
მიუწვდომელი უზომო, გამოუთქმელი, მბრწყინველი,
ღმერთი, აბელის მსხვერპლისა კეთილად შემაწირველი“.

არსებულთა ორი მნიშვნელობა

რაკიღა „ღვთის გამო ქმნილ არს ყოველი, არს მყოფობს რაც ნივთიერი“, ამიტომ ამქეყნად ყველაფერს – ნებისმიერ საგანსა თუ მოვლენას – ორი მნიშვნელობა აქვს. ერთი – თავისთავადი და მეორე – ღმერთზე, შემოქმედზე მიმანიშნებელი. მაგალითად, მდინარე კალაპოტიანი ნაკადიც არის და ღვთის „მაუწყებელიც“, ვარსკვლავი მნათობიც არის და ღმერთის „გამახსენებელიც“. ასევეა ქვა, ხე, ცხოველი, ადამიანი – საზოგადოდ ყველაფერი, რადგან თავად არსებობა განასახიერებს ამ არსებობის დამამკვიდრებელსა და დამფუძნებელს. ეს გურამიშვილისეული აზრი არ არის – გავიხსენოთ თუნდაც სიმბოლოთა რიგი „აბოს წამებიდან“ (კარი, გზა, ტარიგი, მწყემსი, ლოდი, მარგალიტი, ყვავილი, ანგელოზი, კაცი, ნათელი, ქვეყანა, მარილი, მატლი, მდოგვის მარცვალი. სიმართლის მზე – ყველაფერი ეს ღმერთის სახელებიაო), ეს ზოგადქრისტიანული წარმოდგენაა. ამგვარი წარმოდგენა სათავეს უდებს ყოვლისმომცველ სიმბოლიზმს – ღმერთის, სამყაროს, ადამიანისა და მათი ურთიერთმიმართების სიმბოლურ მოაზრებას. დავით გურამიშვილი ამბობს:

„მას (ღმერთს – გ.მ.) აქებენ ანგელოზნი, ცა, ქვეყანა, ბნელ, ნათელნი,
ზღვა, ხმელეთი, ხე, ბალახნი, მთა, ბორცვი, ტყე, ბაღნარ, ველნი,
პირუტყვ-მხეცნი, მფრინველ, თევზნი, ვეშაპ, ყოვლნი ქვემძრომელნი,
ცეცხლი, ქარი, წყალი, მიწა, კაცი ცხოვლად პირმეტყველნი.
მზე და მთვარე, ვარსკვლავები, ღრუბელ-ნისლი, ცისსარტყელი,
ზამთარ, ზაფხულ, ყინვა, სიცხე, თოვლი, წვიმა, მწყურნებთ მრწყველი,
ელვა-ქუხილ, მეხ ტატანი, ხოშრაკ, სეტყვა ხილთ მბერტველი, –
ყოველი სული აქებდით, იტყვის წინასწარმეტყველი“.

დავით გურამიშვილის ამ სტრიქონებს აკვალიანებს დავით წინასწარმეტყველის – ფსალმუნთა ავტორის – 148-ე ფსალმუნი: „აქებდით უფალსა ცათაგან, აქებდით მას მაღალთა შინა! აქებდით მას ყოველნი ანგელოზნი მისნი, აქებდით მას ყოველნი ძალნი მისნი! აქებდით მას მზე და მთოვარე, აქებდით მას ყოველნი ვარსკვლავნი და ნათელნი... აქებდით უფალსა ქვეყანით ვეშაპნი და ყოველნი უფსკრულნი, ცეცხლი, სეტყვა, თოვლი, მყინვარი, სული ნიავქარისა, რომელნი ჰყოფენ სიტყვასა მისსა, მთანი და ყოველნი ბორცვნი, ხენი ნაყოფიერნი და ყოველნი ნაძვნი, მხეცნი და ყოველი პირუტყვნი, ქვეწარმავალნი და ფრინველნი ფრთოვანნი, მეფენი ქვეყანისანი და ყოველნი ერთი, მთავარნი და ყოველნი მსაჯულნი ქვეყნისანი, ჭაბუკნი და ქალწულნი, მოხუცებულნი ყრმათა თანა!“

ეს „შექება“ („ყოველი სული აქებდით“) სწორედ ღვთის „მაუწყებლობაა“, მასზე მინიშნებაა, მისი მარადიული განსახიერებაა მის მიერ შექმნილისაგან. ამ აზრით, ნებისმიერ რამ ამ ქვეყანაზე, საზოგადოდ სამყაროში – ეს არის სიმბოლო, რომელიც შემოქმედს „წარმოადგენს“.

ადამიანი – ყველაზე დიდი სიმბოლო

ყველაზე დიდი სიმბოლო კი ადამიანია, რომელიც „ღვთაების ხატად და მსგავსადაა“ შექმნილი. ამადაც წერს დავით გურამიშვილი:

„ჩემსა კაცად მხატველს, მსახველს,
რაც მე ძალმიცს, გიქებ სახელს“.

არ არსებობს არც ერთი წამი, დავითს რომ ღვთაება ავიწყდებოდეს – ის სულ მის თვალსაწიერშია, მისი ფიქრისა და განცდის ცენტრშია. ამას, გარდა სხვა ყველაფრისა, ისიც განაპირობებს, რომ ქრისტიანი კაცისათვის ბიბლიური ამბები მხოლოდ წარსული კი არ არის, რაც ერთხელ მოხდა და ჩამთავრდა, არამედ – საზოგადოდ ცხოვრების, არსებობის მფეთქავი ძარღვი, ყველა შემდეგდროინდელი ამბის **შინა-არსი**, მათი განმსაზღვრელი იდეა. როდესაც წმინდანი ეწამება, ეს ტანჯვა თავისთავადიც არის და ქრისტეს ჯვარცმის გამეორებაც – ჯვარცმა გამჭოლად „არსებობს“ ყველა მარტვილობაში. სწორედ ამიტომ უწოდებენ მარტვილებს „მოწამეებს“, ანუ ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების „დამმოწმებლებს“. ანალოგიით ამას იტყვიან ტანჯულ კაცზე: „ეკლის გვირგვინი დაიდგა თავზეო“ – და ჩვენ გვახსენდება, რომ ბოროტად მოზეიმე ბრბომ სწორედ ეკლის გვირგვინით „შეამკო“ მაცხოვარი გოლგო-

თის მთაზე ასვლის წინ; ნებისმიერ ღალატში ქრისტეს გამყიდველი იუდას ზარდამცემი აჩრდილი მოჩანს, ხოლო თუკი ერთი შეხედვით სუსტი ძლიერს დაამარცხებს, თვალწინ დაგვიდგება ბიბლიური სცენა – როგორ იმარჯვებს დავითი გოლიათზე.

ყველაფერი ეს იმიტომ ვახსენეთ, რომ კარგად გავაცნობიეროთ – შუა საუკუნეების ადამიანის არსებითი სულისკვეთებაა ღვთაებასთან ზიარება, საკუთარი სულის ყველა მისწრაფებით „მის წიაღ ყოფნა“, ადამიანური ცხოვრების ნებისმიერი დღის, წუთისა და წამის ღვთაებრივი მადლით გასხივოსნება.

და იბადება ამ მშვენიერი გულისთქმით აღბეჭდილი ნათელმოსილი სტრიქონები:

„სახით სიტყვა-შვენიერო, სხიო, მზეთა-მზის სახეო,
ვეძებე და შენი მზგავსი მე აქ ვერცადა ვნახეო;
გეაჯები, ნუ გამწირავ; მოვჰკვდე, შენ კერძ დამმარხეო,
ჯოჯოხეთში ნუ ჩამაგდებ, მიწყალობე სამოთხეო!
ვამე, ჩემო საესავო, ტკბილო ცხოვრებისა წყარო,
გავეყარე შენს სახესა, ვა, თუ ვეღარ შავეყარო!
აწ შენვე გთხოვ, შენ შემყარო, ვინც გარდასთენ ცა-სამყარო!
მასაც გვედრებ, ვინც გამყარა, მისი ჯავრიც ამამყარო!
საყვარელო, სახით თქმულო, უსასყიდლო მარგალიტო!
ვის გადარო, ჩემთვის მკვდარო, მზევ, მზეთა-მზის მაგალითო!
გევედრები შემიბრალო, თავს მომჭრიან მანგალითო,
ოდეს სული ამომგლიჯონ, შენკენ მისწი მანგანითო!
მტანჯვენ, სთმეო: აწ ვით დაგთმო, ვით უმანკო მტრედო, გვრიტო?
შენ, შარბათი, ვით დაგღვარო და ძირმწარის წვენი ვხვრიტო;
ბნელსა ვზივარ, გეაჯები სასინათლო ამიხვრიტო,
ამოვსძვრე და გამოვიქცე, მოვიდე და შენა გჭვრიტო.
შენ, იესო, მწყემსო ჩვენო, ჩვენთვის სისხლის დამანთხეო!
ვით ცხოვარი, ვარ წყმენდილი, ნუ დამკარგავ, მომნახეო;
ჩემზედ მხეცთა უხილავთა ნუ მოუშვებ, შერისხეო.
მარცხნივ თიკანთ განმარიდე, მარჯვნივ კრავთან შემრაცხეო!“

როდესაც საქმე ჭეშმარიტ, ღვთით მადლცხებულ პოეზიასთან გვაქვს, იმდენად საგრძნობია მისი დიდი შინაგანი ჰარმონია, რომ ანალიზისას მისი ცალკეული ელემენტების „განჩხრეკისას“ თითქოს მთავარი იკარგება (განა არ ვახსენეთ, რომ ადამიანი არ არის მხოლოდ ხელი, ან მხოლოდ თვალი, ან მხოლოდ გული... ის არის „ყველაფერი ერთად“), მაგრამ ცალკეულ ელემენტებად დაშლისა და მათი ანალიზის შემდეგ კვლავ შეიძლება გამთლიანება და ეს იქნება უკვე (ჩვენთვის) თვისებრივად ახალი მთელი!

განვმარტოთ წარმოდგენილი ჰიმნის ზოგიერთი სახე.

„სიტყვა“ როგორც ვიცით, ქრისტეა, ძე-ღმერთია („პირველთაგან იყო სიტყუაჲ“), რომელიც მამა-ღმერთის უპირველესი და მისი იდენტური სახეა. „მზეთა-მზე“ – იგივე მამა-ღმერთია, ამდენად, „სიტყვა“ „მზეთა-მზის“ სახეა.

„ცხოვრების წყარო“ – ქრისტეს სიმბოლური სახელია, მის „ხატად და მსგავსად“ არის შექმნილი ადამიანი და ამადაც ჯავრობს გურამიშვილი ცოდვით დაცემასა და ღვთის სახისაგან განდგომას („გავეყარე შენს სახესა, ვა, თუ ვეღარ შავეყარო!“).

„უსასყიდლო მარგალიტი“ სახარებისეული სახეა ქრისტესი. ქრისტე ამბობს სახარებაში: „მერმე მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა ვაჭარსა, რომელი ეძიებენ კეთილსა მარგალიტსა. და პოვის რაჲ ერთი მარგალიტი მრავალ-სასყიდლისაჲ, წარვიდა და განყიდა ყოველივე რაჲცა ედვა, და მოიყიდა იგი“ (მათე, 13,45-46).

ქრისტეა „უსასყიდლო მარგალიტი“, რომლის გულისთვისაც ადამიანებმა ყველაფერი უნდა დათმონ, როგორც სახარებისეულმა ვაჭარმა გაყიდა ყოველივე, რაც ებადა და „მარგალიტი მრავალსასყიდლისაჲ“ შეიძინა.

ასევე ქრისტეს სიმბოლური სახელებია: „მზე“ („მზეთა-მზის მაგალითი“ ანუ სახე), „უმანკო ტრედი-გვრიტი“, „შარბათი“, „მწყემსი“ (ადამიანები კი მისი „ცხოვარნი“ არიან – „ვით ცხოვარი ვარ წყმენდილი, ნუ დამკარგავ მომნახეო“).

რაც შეეხება „ბნელსა“ და „უხილავ მხეცებს“ – ესენი ბოროტებისა და ეშმაკეულის განსახიერებანი არიან.

დავით გურამიშვილისათვის უდიდესი შინაგანი სევდის მომგვრელია ის, რომ ადამიანებმა ცით მოვლენილი და განკაცებული ღმერთი, რომელიც კაცობრიობის ცოდვათა გამოსასყიდად მოვიდა, ვერ შეიცნეს, უარყვეს და შეურაცხყვეს. ცოდვის მძლავრობა მადლზე ყველაზე აშკარად ღვთის დამცირებასა და მიუღებლობაში გამოიხატა. ღმერთი მივიდა ადამიანთან და ადამიანმა ვერ შეიცნო ის. დავით გურამიშვილი მე-18 საუკუნის კაცი იყო. 1800 წელი აშორებდა ქრისტეს ამქვეყნიურ ყოფას, მაგრამ ეს ასწლეულები არაფერია ჭეშმარიტ ადამიანურ სულისკვეთებასთან – ქრისტეს უარყოფით თავად დამცირებული და შეურაცხყოფილი პოეტი მოთქვამს ადამიანთა გადაცდომაზე და ცოდვასთან წილნაყარ უსამართლობაზე. ეს უნაპირო გოდებაა მართალი კაცისა და გურამიშვილისეულ სტრიქონებში ჩვენ ცხადად შევიგრძნობთ, რომ გოდებაც შეიძლება მშვენიერი და ამაღლებული იყოს.

„ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო,
ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო,
მაცხოვნებელი შენ მათი წამწყმენდლად მიგიჩნიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
„ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო,
ღვთის საიდუმლო გაგტეხეს, გულში ვერ დაგიტიესო,
ოცდაათ ვერცხლად გაგყიდეს, ისიც კი დანაბნიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
„ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო,
ავაზაკზედა გაგცვალეს, ბარაბა მათ ირჩიესო;
ურიგო სიტყვა შეგკადრეს, გაგლანძღეს, გაგათრიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
„ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო,
ფრჩხილთა გიყარეს ლერწამი, ნუნები აგატკიესო,

ყვრიმალს გცეს თვალებ-აკრულსა, გკითხეს: „ვინ გცემა, თქვი ესო“?
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
„ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო,
ბრალი ვერ გპოეს, დაგსაჯეს, პილატე მოგისიესო;
ბრალობის სისხლი თავზედა შვილითურთ გარდინთხიესო.
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
„ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო,
ხელ-დაბანილთა შოლტით გცეს, მსხვერპლს სისხლი შეურიესო;
დაგადგეს ეკლის გვირგვინი, გოლგოთას მიგიწვიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
„ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო,
შესამოსელი გაგხადეს, ქლამინდი მოგახვიესო!
ჯვარზედ გაგაკრეს, ხელ-ფეხთა ლურსმანი გაგიწიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
„ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო,
წყალი ითხოე, მოგართვეს, ძმარში ნაღველი რიესო;
წმიდასა შენსა სამღთოსა გვერდსა ლახვარი მიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
„ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო,
მოგკლეს უბრალო, ბრალითა ქვეყანა შეარყიესო;
მზე დანაბნელეს, მთვარეცა, ვარსკვლავნი დააფრქვიესო;
თავს კრეტსაბმელი განაპეს, ბოლომდი შუა ხიესო.
ჯვარით გარდმოგხსნეს, წაგგრაგნეს, ტილოში წაგახვიესო;
დაგმარხეს, მკვდარსაც არ გენდვნენ, გარს მცველი შემოგხვიესო.
ჰქმენ სულგრძელობა მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვის ესო!
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
„ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო,
არ ვიცი, რად ქნეს უგბილთა, ავი რა შეგამჩნიესო?
მკვდარს აღუდგენდი, კურნავდი კეთროანს, წყალ-მანკიერსო;
ბრმას თვალთ უხელდი, ცისცისად არჩენდი ეშმაკიერსო.
უტყვს ენას ძღვნიდი, ყრუს – სმენას, საპყართა – სლვას შვენიერსო,
პურს მცირეს დიდად, წყალს ღვინოდ უქცევდი, – ჭამე, სვი ესო.
ამის მეტს არას ეტყოდი: „ვსევდით ღმერთს ზეციერსო!
მშვიდად ცხოვრობდით, ნუ უზამთ ერთმანეთს თქვენ უდიერსო!
გაიკითხევდით გლახაკთა, ასმევ-აჭმევდით მშიერსო:
რასაც კეთილს იქთ, ღმერთი თქვენ მოგაგებსთ მის მაგიერსო“.
ორსავ გზას წრფელს წინ უდებდი: ხორციელს და სულიერსო.
ამის სანუფქოდ შენ მათა სიკვდილსა შეგამთხვიესო!
ქმენ სულგრძელობა მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვის ესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ეს არის ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების მხატვრულად გაცხადებული მოკლე ისტორიაც.

„ვეფხისტყაოსანზე“ მსჯელობიდან ჩვენ უკვე ვიცით, რომ ადამიანის ღვთებასთან მიმაახლებელი და მაზიარებელი ძალა სიყვარულია, სწორედ ის „აღგვამაღლებს“. ამგვარი სულიერი ამაღლებისას წარმავალი და მიწიერებასაც წილნაყარი კაცი ეზიარება მარადისობას, ჭეშმარიტი ღირებულებების არსებას სწვდება – ადამიანი სიყვარულში პოვებს ბენიერებას. დავით გურამიშვილი ამის შესახებ წერს:

„სჯობს ვეტრფიალო მზეთა-მზეს, მზისათვინ თავი ვახელო,
ნათლისა გავხდე მიჯნური, რადგან თვალებსა ვახელო,
მის უკეთესი მოყვარე სად ვპოვო, სადა ვახელო?
მზე მიწყენს, თუ მზის სანაცვლოდ თინათინს ხელი ვახელო“.

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ მიჯნურობა ქალ-ვაჟს შორის მოიაზრებოდა, როგორც ღვთის სიყვარული (გავიხსენოთ, რომ ვახტანგ მეექვსე თავის კომენტარებში, „თარგმანში“, რუსთველურ სიყვარულს სწორედ ამგვარად ხსნიდა). დავით გურამიშვილისთვისაც ადამიანური სიყვარული ღმერთის ტრფობას უტოლდება, მიწიერ მიჯნურობაში ის სიმბოლურად ღვთაების სიყვარულს განჭვრეტს. ქალის სიყვარული არის „ხიდი“ კაცის ღმერთთან ზიარებისა:

„ვაიმე! მე ვინ მაღირსებს მის მზის ყუდროში დასმასა,
მის ნათლით შვებას, სიხარულს, ართუ ჭამასა და სმასა.
მე ყინვით დამძრალს, გულზედა სათბუნლად ხელის დასმასა?
რომელიც ქალი მაღირსებს, ძმას ვანაცვალებ, დას მასა“.

ქალია ის, ვინც პიროვნებაში აღძრავს უკიდეგანო სიყვარულს, რომელიც ფიზიკურ ზღვარს გადაცილებული სულიერებაში გადაიზრდება და ღვთაებას მიემართება; ქალი შეაძლებინებს მას „მზის ყუდროში“ მისვლას („ყუდროს“ სულხან-საბა განმარტავს, როგორც „ქარუხვედრ ადგილს“, გურამიშვილთან იგულისხმება სამოთხე).

ის, რაც ამ სტროფში ლაკონიურად და ერთგვარად „თეორიულად“ არის ნათქვამი, მხატვრულად განსახიერებულია დავით გურმიშვილის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ლექსში – „ზუბოვკა“.

გავიხსენოთ, რომ „სიყვარულია საღმრთო ძალა, რომელიც სიმრავლედქცეული სამყაროს ერთმყოფელი და გამამთლიანებელია“, ის იერარქიის ქვედა საფეხურებს აღძრავს „მიქცევად უმაღლესთა მიმართ“. სიყვარული ერთია და ერთისაგანაა და მის მრავალ გამოვლინებაში ყოველთვის ჩანს ეს ერთი: ამ თვალსაზრისით, ადამიანური, ხორციელი სიყვარულიც ღვთაებრივის განსახიერება და ჩინებაა.

სწორედ ამგვარია „ზუბოვკის“ შინაგანი ლოგიკა.

„ზუბოვკის“ სიმბოლიკა

სოფელ ზობოვკიდან (დ. გურამიშვილს იქ მამული ჰქონდა) მომავალ პოეტს გზად ერთი ლამაზი ქალი შემოხვდა, რომლის სიმშვენიერესა და საკუთარ განცდასაც დავითი უაღრესი ხორციელებით ხატავს:

„ზუბოვკიდამ მომავალმან ვნახე ერთი ქალი,
მეტად ტურფა, შვენიერი, მასზე დამრჩა თვალი.
შავ თვალ-წარბას, პირად თეთრსა ასხდა შავი ხალი,
მისმან ეშხმან და-ცა-მლეწა, შემიმუსრა ძვალი.
ვკითხე მზეო, სიდამ მოხვალ, სად ხარ წამავალი?
გეაჯები, მაცოდინე შენ გზა და კვალი;
შენთვის გული ქვად გარდმექცა, გახდა ვით კლდე სალი,
მასხი წყალი, დამიშრიტე, მე შენი მწვავს ალი“.

ქალი ძალიან გაბრაზდა ამგვარი სიტყვების მოსმენისას:

„ხმა გამომცა, გაგულისდა, სიტყვა მითხრა ავი:
„ავო კაცო, ვით გაბედე, შენ მე მთხოვე თავი?
ბულბულთ ნაცვლად ვარდ-კოკობმან რად დაგისვა ყვავი!“
მით ავსტირდი, ცრემლი ვღვარე ზღვათა შესართავი“.

პოეტს „ჯავრით“ დიდი სევდა მოეძალა, მაგრამ წინ თურმე უარესი ელოდა:

„მითხრა: „შენგნით ნუმცა მსმია სიტყვა მაგის მეტი“.
აიღო და დამიშინა თავში დიდი კეტი.
დავრეცრეცდი, გარდავიქეც, დამეხვია რეტი“...

და სრულიად მოულოდნელად:
„შავებრალდი, თავს დამადგა, ვით ბნელს, ნათლის სვეტი“.

სიტყვა „ნათელი“ აქ რასაც მიგვანიშნებს, ჩვენთვის უკვე ცხადია, მაგრამ ღვთიურობის განცდა თანდათან უფრო კონკრეტულად იხატება ნაცნობი სიტყვებით:

„მერმე ტკბილად დამიყოვა, კიდეც გამიცინა;
ასე მითხრა: „აქ ნუ ვსხედვართ, გვნახოს არავინა.
ახლა ავდგეთ, ჩვენ წავიდეთ თავთავისთვის შინა;
კულავ სადმე ამოივლი, მე დაგხვდები წინა“.
სად წავიდა, ვერა ვნახე, ჩემი საყვარელი,
მან დამიგდო საიმედო სიტყვა სახარელი.
მე, მის მონას, ნუმც ამხდია მისგან საშარველი!
დამპირდა, თქვა: „კიდევ მოვალ, ან მე იმას ველი,
სად მიჭირდეს, მამეშველოს, სხვას აღარას ველი.

სიკვდილის დროს მე მის მეტი არავინ მყავს მშველი,
მან გამიღოს სამყოფისა კარი შესასცლელი...
ღვთისგან ვითხოვ, არ გამყაროს მე მის სიყვარულსა,
სხვას უკეთესს ვის ვიშოვნი სილამაზით სრულსა?
ჩემის სიყვარულისათვის სცემს ხელშეკრულსა,
სახით ვხედავ ჩემთვის მკვდარსა სისხლით გაბასრულსა.
აწ შენ, ჩემო საყვარელო, იმყოფები სადა?
ქვეყნად შენგან უკეთესი მე არავინ მყვანდა.
ჯვესკნელსა ვარ, ვერა გხედავ, მეგულვები ცადა,
გეაჯები, ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა!"

ჩვენ მიერ გამოყოფილი სიტყვები ნათლად მიგვანიშნებს, რომ ტექსტში ლაპარაკია არა მხოლოდ მიწიერ ქალზე, არამედ ქრისტეზე, რომელიც ადამიანთა სიყვარულისათვის აწამეს, რომელიც კვლავ დაპირდა მათ მოსვლას და რომლის იმედიც ყოველთვის აქვს კაცს გასაჭირსა (ქვესკნელში ყოფნის) თუ სამყოფის კარის გაღების დროს.

ქრისტეა გურამიშვილისათვის „მკვიდრი მიჯნური", რომლის მარადიულ სიყვარულსაც უნდა ანაცვალოს ადამიანმა ყველაფერი, მათ შორის, წუთიერი მიჯნურის ანუ წუთისოფლის სიყვარულიც.

სატრფოს სახე

საინტერესოა, რომ სატრფოს სახეში ღვთის დანახვა მთლიანად აღორძინების ხანისა და შემდეგდროინდელი ქართული მწერლობისთვისაც დამახასიათებელი მოვლენაა. მე-19 საუკუნეში იბადება ახალი ლიტერატურული ხედვა – „სატრფოში" მოიაზრებოდნენ უკვე სამშობლოს (მაგალითად, ალექსანდრე ჭავჭავაძის – „მას ვჭვრეტ პატიმრად, ვის ჰმონებს გული", ან აკაკი წერეთლის – „საყვარლის საფლავს ვეძებდი, ვერ ვნახე დაკარგულიყო" და ა.შ.).

დავით გურამიშვილის პოეტური აზროვნება სიმბოლური აზროვნებაა. ეს სიმბოლოები ქრისტიანული შინაარსითაა სავსე. „დავითიანის" მკითხველს დაახლოებითი წარმოდგენა მაინც უნდა ჰქონდეს ამ სიმბოლოებზე – წინააღმდეგ შემთხვევაში დავით გურმიშვილის სახისმეტყველება მისთვის გაუგებარი დარჩება.

განვიხილოთ ერთი, შდარებით მარტივი მაგალითი – ორსტროფიანი ლექსი „ამიცანად იგავი, ასახსნელად ადვილი", რომელშიც წერია:

„ვირემდის განახლდებოდა ძველი დღე-ღამე მზიანი,
იფქლი, კალოზედ ეყარა განურჩეველი, ბზიანი;
ახალმან დღემან განწმინდა ღვარძლიან ნაკმაზიანი,
მის დღითგან მოჩანს გარჩევით სარგებელი და ზიანი.
სანამ დღე ძველი დღეს ახალს ჩვენ დღედ არ გაგვითენებდა,
მანამდის ჩვენსა დაშლილსა ვერავინ აღაშენებდა;
რა დღე გათენდა ახალი, ქვეყანას დანაშვენებდა,
ყურითაც კარგსა გვასმენდა, თვალითაც კარგს გვაჩვენებდა".

„ძველი დღე“

ის, ვისაც ერთხელ მაინც გაუგონია, ან წაუკითხავს ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ამბები, ადვილად მიხვდება, რომ „ძველი დღე-ღამე მზიანი“ მამა-ღმერთია („ხოლო ღმერთი... ძუელად დღეთად ითქუმის“ – ფსევდო-დიონისე არეოპაგელი; ხოლო „ახალი დღე“ – ქრისტე. ამ მიხვედრის შემდეგ ნათლად ცნაურდება მთელი ლექსის შინაარსი.

„ახალი დღე“

სანამ ძველი აღთქმის ჭეშმარიტება დაბინდული იყო და ადამიანებს მივიწყებული ჰქონდათ, „იფქლი კალოზე ეყარა“ ანუ ხორბალი და ბზე განურჩეველი იყო (ღვთაებრივი სიმართლე აღრეოდა მიწიერ ცოდვიანობას). როდესაც „ახალმან დღემან“, ანუ ქრისტემ, „განწმინდა ღვარძლიან-ნაკმაზიანი (ჭეშმარიტება და ბოროტება განაცალკევა ერთმანეთისაგან თავისი ჯვარცმით, თავისი ამქვეყნიური ყოფნით ადამიანებს „ახალი ხატყოფა“ მისცა, შეაგრძნობინა და დაანახვა მართალი ცხოვრების წესი), „მის დღითგან მოჩანს გარჩევით სარგებელი და ზიანი“.

„ახალი დღის მობრძანება არ აკნინებს „ძველ დღეს“ – სწორედ „ძველმა გაგვითენა ახალი“. ასე რომ არ მომხდარიყო, ადამიანურ ცოდვითდაცემას არაფერი ეშველებოდა – „მანამდის ჩვენსა დაშლილსა ვერავინ აღაშენებდა“.

ოდნავ განსხვავებულ, მაგრამ მაინც სიმბოლურ ხედვასთან გვაქვს საქმე ლექსში „ოდეს დავით გურამიშვილი კისტრინის ომში ცხენითურთ ლიაში დაეფლა, იმის მონასიბად ღვთისმშობლის შესხმა“.

კონკრეტული ფაქტის ზოგადსიმბოლური მნიშვნელობა

მეომარი გახურებული ბრძოლის დროს თავისი ცხენით ლაფში ვარდება, სრულიად მიწიერი მოვლენაა, ამასთან – არცთუ უხიფათოც. ასეთ უბრალო ფაქტს თითქოს არც კი შეიძლება ჰქონდეს რაიმე სიმბოლური მნიშვნელობა, მაგრამ დავითისათვის (ისევე როგორც მთლიანად ძველი ლიტერატურული და თეოლოგიური აზროვნებისთვის) ყველაფერს ამქვეყნიურს თავისთავადის გარდა ღვთიურ სფეროზე მიმანიშნებელი მნიშვნელობაც აქვს. ცხენითურთ ლაფში ჩავარდნა გურამიშვილს მყისიერად აგონებს ადამიანის ცოდვის ლაფში დაფლვას და იბადება ვედრების სტრიქონები:

„ზეცად გესავ, ერთო ღმერთო, ქვეყნად ერთ-უფალო,
ყოვლად წმინდავ ღვთის-მშობელო, დიდო დედოფალო,
ცოდვის ლიას უკუვარდი, ღრმად შიგ დავეფალო,
თუ შენ მე არ აღმომიყვან, ძნელად აღმოვალო.

თაყვანსა გცემ, გეაჯები, ვითხოვ შემიწყნარო,
მიმკვდარებულს მამაშველო უკვდავების წყარო;
მასვა, მკვდარი განმაცოცხლო შენს ძეს შემამყარო,
ვით წესია საყვარლისა, ტრფიალს შემაყვარო,
მავნე-მაცდურს განმარიდე, ძელო, ქრისტეს ჯვარო!
ჩემი ცრემლი ზედ იდინე, ცხოვრების წყლის ღარო.
გაუფრთხილდი, ცუდ-უბრალოდ არცად დამიღვარო,
დავითს წინ ძღვნად წარუმძღვარე, ღვთის ძღვენთ წინამძღვარო!"

„დავითიანი" – უკვდავების წყაროთი სავსე სურა

„უკვდავების წყარო", „ტრფიალი", „ცხოვრების წყალი" – ეს ქრისტეს სიმბოლური სახელებია, ცხოვრების წყლის ღარი კი სიმბოლურად ღვთისმშობელია. უკვდავების წყაროთია მორწყული მთლიანად „დავითიანი", მისი გაცხადებაა დავითის ქმნილების უმთავრესი მიზანი. „უკვდავების წყაროს იგავში" პოეტი წერს:

„მოდი, მსმენელო, ისმინე, დაჩუმდი, ვიტყვი, სუ, რასა,
უკვდავებისა წყაროთი მოგართმევ სავსეს სურასა".

„დავითიანი" ყოფილა „უკვდავების წყაროთი სავსე სურა". ამ სურის ამავსებლის, ანუ დავით გურამიშვილის, შემოქმედების საწყისადაც სწორედ ქრისტიანული აზრთმეტყველება უნდა მოვიაზროთ.

მდგრადი ისტორიული (პარადიგმული) სახეები „დავითიანში"

მხატვრული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია სახეები, რომლებიც სხვადასხვა ეპოქასა და ხალხში გვხვდება. ეს მდგრადი ანუ პარადიგმული სახეებია, იგივე – პირველსახეები: მათი გამოჩენა განსაკუთრებით მოსალოდნელია პრინციპულად ნორმირებულ ლიტერატურაში (ვთქვათ, სასულიერო მწერლობაში), რაც ცალკეულ ავტორში მსგავსი იდეური პოზიციის ან შემოქმედებითი გამოცდილების მაუწყებელია. ამგვარ სახეთა არსებობა და მათი ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობა თითქოს ეპოქათა და ხალხთა ისტორიულ „შეთანხმებაზე" მეტყველებს და გვაუწყებს, რომ მარადიულად ცვალებად სამყაროში (რეალურსა თუ მხატვრულში) ვხვდებით უცვლელ მხატვრულ და იდეურ წარმოდგენებს. აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ერთმანეთს საუკუნეებით დაშორებული პარადიგმული სახეები, ცხადია, ყოველთვის იდენტური მნიშვნელობისანი არ არიან, აბსოლუტურად არ ემთხვევიან ერთმანეთს – სხვადასხვა კონტექსტი ურთიერთმსგავს მხატვრულ ელემენტებსაც კი ზოგჯერ განსხვავებულ მნიშვნელობებს სძენს.

დავით გურამიშვილი, როგორც უაღრესი რელიგიურობით გამორჩეული პოეტი, ხშირად იყენებს ქრისტიანული აზროვნებისათვის დამახასიათებელ პარადიგმულ სახეებს. შევჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე, რომლებიც, ძირითადად, ღვთისმშობლის სახეს უკავშირდება.

მთა – კლდე – კიბე

„მთა" – სიმბოლური თვალსაზრისით, იგივე „კლდე", „კიბე" ღვთისმშობლის უმნიშვნელოვანესი და საყოველთაოდ გავრცელებული სახეებია. ისინი ერთ შინაარსობრივ რკალში თავსდება.

მთა არ არის მხოლოდ ღვთისმშობლის „მახასიათებელი". ეს ცნება მრავალგზის იძენს სიმბოლურ მნიშვნელობას ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში, ასევე – ბევრ სხვა რელიგიაში. მრავალი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, „კლდეს", რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მაცხოვრის სახელთან. 1974 წელს ბრიუსელში გამოცემული „ბიბლიური ღვთისმეტყველების ლექსიკონი" განმარტავს.

„ღმერთი – მაგარი, როგორც კლდე, საკუთარი სიმაგრის გამო კლდე ისეთივე სანდო თავშესაფარია ლტოლვილისათვის, როგორიც მთა. ღრმული კლდეში იძლევა თავშესაფარსა და ხსნას... ღმერთი სახელდებულია „ისრაელის კლდედ", რადგან უზრუნველყოფს მის ხსნას. ეს აზრი ღვთაების სხვა ანალოგიური სახელწოდებებითაც არის აქცენტირებული. ის არის სიმაგრე სიმტკიცე, თავშესაფარი, დაცვა, ზღუდე, ფარი, ქვის მთა".

ქართულ სასულიერო მწერლობაში, განსაკუთრებით კი ჰიმნოგრაფიაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ეს სახეები ღვთისმშობელს უკავშირდება.

1.„იაკობ კიბედ გიხილა, ხოლო მოსე –
მაყვლად, დანიელ – მთად, გედეონ – საწმისად..."
2....რომელსა დავით მთად პოხილად გიწოდა,
რომელსა შინა დაიმკჳდრა ქრისტემან".
3. შენ, ღმრთისა დამტევნელო გამოუთქმელად,
კიბეო, რომელსა ზედა გარდამოჴდა
ღმერთი და ჴატი მონისა მიიღო დღეს..."

მთის (კლდის) სიმბოლიკას ჩვენ ვხვდებით „ნინოს ცხოვრებაში", რომელიც ქართული ქრისტიანულ-სიმბოლური აზროვნების კლასიკურ ნიმუშად შეიძლება მოვიაზროთ; არმაზის ნგრევისას, როდესაც „იქმნეს ქუჴილნი სასტიკნი და ხმანი საზარელნი და მეჴისტეხანი შესაძრწუნებელნი" და „თითოეული სახიდ თჳსა (ანუ – საკუთარ სახლში – გ. მ.) მირბიოდეს", ნინო სრულიად უშიშრად იდგა კლდეს თავშეფარებული:

„ხოლო ნეტარი ჟამსა მას ზეგარდმოჲსა ძალისაგან წარწყმედისა კერპთასა მდგომარე იყო უშიშრად მახლობლად ადგილისა მის, მცირესა საფარველსა კლდისასა ქუეშე მდგომარე და შესწირვოდა ღმერთისა ქებასა და მადლობასა".

ბუნებრივად ჩნდება აზრი, რომ გადამრჩენელი კლდე, რაც ღვთისმშობლის სიმბოლური სახელია, სწორედ ნინოს ქართლში გამომგზავნელსა და მფარველს (ყოვლადწმიდა მარიამს) უკავშირდება.

დავით გურამიშვილი, როგორც ღრმად რელიგიური პოეტი, ცხადია, გვერდს ვერ აუვლიდა ზემონახსენებ სიმბოლურ სახეებსა და სახელებს, მით უმეტეს, რომ მის მხატვრულ ქმნილებაში ღვთისმშობელს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი მიეკუთვნება.

ამ თვალსაზრისით, ძალიან ნიშანდობლივია ლეკთა ტყვეობიდან თავდახსნილი და ავდრის გამო ტყეს შეფარებული პოეტის ვედრება („ვედრება ღვთის-მშობლისა დავითისაგან, ოდეს ამ ზეით თქმულს ლოდ-გამოკვეთილს კლდეს შეაფარა ავის დრის მიზეზით").

„ნინოს ცხოვრების" ზემოდასახელებული პასაჟის მსგავსად, „დავითიანშიც" ადამიანი, რომელსაც ღვთისმშობელი მფარველობს, კლდეს აფარებს თავს გასაჭირის ჟამს. აღსანიშნავია, რომ მარიამის ქების შემდეგ (ამას ეძღვნება მთლიანად თავი ლდ) დავით გურამიშვილი თითქოსდა პირდაპირ აიგივებს მის გადამრჩენელ მთასა და ღვთისმშობელს:

„რომელმან მთამან დამფარა, მას მთაზედ იმ სეტყვებითა,
მეც იმ მთას მსხვერპლი შევსწირე, რაც გითხარ იმ სიტყვებითა":

„რაც გითხარ იმ სიტყვებითა" სწორედ ზემონახსენებ თავს (ლდ) მიანიშნებს.

ისიც უნდა ითქვას, რომ „მთა", „კლდე", „გამოქვაბული" არა მხოლოდ ქრისტესა და ღვთისმშობლის სახედ არის მიჩნეული, არამედ ეკლესიისაც. ამ შემთხვევაში უნდა გავიხსენოთ, რომ, ქრისტიანული მსოფლმხედველობით, ქრისტე და ეკლესია ურთიერთგამსჭვალავი ცნებებია.

რაც შეეხება „კიბეს", ეს ძველი აღთქმიდან მომდინარე სახე, ისევე როგორც „მთა", ცისა და დედამიწის, ღვთაებისა და კაცობრიობის შემაერთებელ ხიდად ითვლება, ამასთან, როგორც ერთი, ისე მეორე მიმართულებით.

ბიბლიურმა იაკობმა იხილა ცისა და მიწის შემაერთებელი კიბე, რომელზეც ანგელოზები ადიოდნენ და ჩადიოდნენ.

ღვთისმშობელი – კიბის „საშუალებით" მაცხოვარი მოევლინა ქვეყანას და მისივე მეოხებითა და შეწევნით იბადება პერსპექტივა განღმრთობისა, „ზეცად აყვანისა".

ამ სახის კლასიკურ განმარტებად შეიძლება ჩაითვალოს იოანე მტბევარის „იამბიკონის" ერთი სტროფი:

„შენ, ღმრთისა დამტევნელო გამოუთქუმელად,
კიბეო, რომლისა ზედა გარდამოჯდა
ღმერთი და ხატი მონისა მიიღო დღეს და ზეცად
ამიყვანა შენ მიერ, ქალწულო
ამისთვისცა სარწმუნოებით გადიდებთ!"

მაყვალი

ბიბლიის მიხედვით, ებრაელთა წინამძღოლს მოსეს ღმერთი მაყვლის ბუჩქზე ცეცხლის სახით გამოეცხადა – ცეცხლმა არ დაწვა მაყვალი:

„უჩუენა მას ანგელოზი უფლისა. ცეცხლითა ალისთა მაყლოვანითა გამო, და იხილა, ვითარმედ მაყლოვანსა მას აღტყდების ცეცხლი და მაყუალი იგი არა შეიწუების“ (გამოსვლათა 3,2).

მაყვლის სახე (რომელიც არ „შეიწვა“) მორწმუნე კაცის გონებაში ძალიან ადვილად დაუკავშირდა ღვთისმშობელს, რომელმაც ღმერთი დაბადა და მისი ღვთაებრივი ბუნებით არ დაითრგუნა:

„ვითარ შვა ქლწულმან, ვისწაოთ და ვითარ
ცეცჴლი საღმრთოჲ წიაღითა იტვირთა დღეს
და არაჲ შეიწუვა, ვითარ მაყუალი“.
ან:
ვითარცა ბჭესა დაჴშულსა და მაყუალსა
შეუწუელსა და მთასა ლოდის მშობელსა,
რომელი იქმნა თავ საკიდურთა, გევედრებით...“
ან:
„შეუჴებელმან
საღმრთომან ცეცჴლმან
არაჲ აღაგზნა,
მსგავსად მაყულისა წმიდაჲ ქალწული,
და განსაკჳრვნა
ძალნი ზესკნელს ცათანი,
ვითარცა მოსე – მთასა სინასა!“

ღმერთი – „უსხეულო ცეცხლი“

ღმერთი „უსხეულო (ე.ი. არამატერიალური – გ.მ.) ცეცხლია“, რომელიც ისე „მოედო“ ღვთისმშობელს, როგორც სინას მთაზე (მოსეს თვალწინ) – მაყვლის ბუჩქს. „ზეციურ ძალთ“, ანუ ანგელოზებს, ისევე უკვირთ წმიდა მარიამის „აღუგზნებლობა“, როგორც მოსე განცვიფრდა მაყვლის ბუჩქის „შეუწველობით“. „მაყვალს“ ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში ღრმად გაუდგამს ფესვები. კლასიკური მაგალითის მოძიების სურვილს ისევ „ნინოს ცხოვრებასთან“ მივყავართ.

ნინომ, რომელიც ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანაში მარიამის ლოცვა-კურთხევით გამოემგზავრა, მცხეთაში სამკვიდროდ აირჩია „მაყვლოვანი“, ადგილი, რომელიც მაცხოვრის დედის სიმბოლიკითაა გაპოხილი:

„ხოლო ღირსმან ნინო მადლი შეწირა ყოვლად-საჴიერსა ღმერთსა და წარვიდა საყოფლად თჳსად, შორის მაყვალთა მათ...“ და კიდევ:

„ესევითარითა მოღვაწებითა დაადგრა ადგილსა მას შორის მაყვალთა, ექვს წელ“.

წმინდა ნინო, ჩვეულებრივ, ამ ადგილას ლოცულობს ხოლმე. მეფე მირიანის შეკითხვაზე, თუ სად არის ამჟამად ნინო, მას უპასუხებენ:

„ილოცავს ჩვეულებისამებრ მაყუალთა მათ შორის“.

ბუნებრივია, „დავითიანის“ ავტორი გვერდს ვერ აუვლიდა ღვთისმშობლის ამ საყოველთაოდ გავრცელებულ სახეს. დავით გურამიშვილი საკმაოდ ორიგინალურ კონტექსტში წარმოადგენს ამ სიმბოლოს:

„ვით შეუწველო მაყვალო, საღმრთო ცეცხლ-განუქრობელო,
მიხსენ, ნუ დამწვავ საჭმილით, იესოს ქრისტეს მშობელო“.

აქ ოსტატურადაა გამოყენებული დაპირისპირების ხერხი – პოეტი ევედრება ყოვლადწმინდა მარიამს, რომ მან, სიმბოლურად „ცეცხლ-განუქრობელმა“ („ცეცხლი“ აქ ქრისტეა), დაიცვას დავითი ჯოჯოხეთის არასიმბოლური ცეცხლისაგან – გეჰენიისაგან. ამ პასაჟს თან ახლავს მეორე შინაარსობლივი მომენტიც – გურამიშვილი ცდილობს დაედაროს ადამიანური სრულქმნილების გამომხატველ „შეუწველ“ ღვთისმშობელს, მაშასადამე, თავადაც გახდეს „შეუწველი“, ეზიაროს იდეალურ ადამიანურ ბუნებას და აქედან გამომდინარე (ღვთისმშობელი ხომ „ხიდია“) – ღვთიურობასაც.

ვენახი

„ვენახს“, ბიბლიური სიმბოლიკის თვალთახედვით, ასე განმარტავენ:

იესო არის ღვთის წინაშე ის, რადაც ვერ იქცა ისრაელი – ღვთაების რჩეული ქვეყანა: ის არის ნაყოფიერი ვენახი, ვაზი ჭეშმარიტი, ისაა ნამდვილი ისრაელი. ის დარგო მისმა მამამ, ახარა და გასხლა, რათა უხვი ნაყოფი გამოესხა. იესო ჭეშმარიტად „ისხამს ნაყოფს“, როცა სწირავს საკუთარ სიცოცხლეს, ღვრის თავის სისხლს, რაც სიყვარულის უმაღლესი დასტურია. და ღვინო, ვენახის ნაყოფი, ზიარების საიდუმლოში იქცევა იდუმალ ნიშნად იმ სისხლისა, რომელიც ახალი კავშირ-აღთქმისათვის დაიღვარა. იესოსთან ერთად ჭეშმარიტი ვენახია, აგრეთვე მისი ეკლესიაც, რომლის წევრებიც ქრისტესთან კავშირში არიან.

„შენ ხარ ვენახი“ – ღვთისმშობლის საგალობელი

„ვენახი, არა მხოლოდ ქრისტესა და ეკლესიის, არამედ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სიმბოლური სახელიცაა. ამის დასტურად თუნდაც ქართული „ავე მარია“ – „შენ ხარ ვენახიც“ იკმარებდა. ძალიან ნიშანდობლივია, რომ ღვთისმშობელი საქართველოში წმიდა ნინოს ვაზის ჯვარს გამოატანს: „მაშინ წმიდამან დედოფალმან (ე.ი. ღვთისმშობელმა – გ.მ.) მიყო ჴელი ზედა კერძო ცჴედრისა მისისა მყოფსა მას რტოსა ვენაჴისასა და მოჰკუეთა მისგან და შექმნა ჯუარის სახედ და მისცა იგი ჴელთა ნინოჲსათა და ჰრქუა: ამით ნიშითა სძლო

ყოველთა მანქანებათა ეშმაკისათა და წარგემართოს ქადაგებაჲ შენი, და თანაშემწე გეყო და არა დაგიტეო შენ".

„ვენახი", როგორც ღვთისმშობლის სახელი, „დავითიანში" გვხვდება თავში ლდ.

„ნაყოფიერო ვენახო, ვით ვაზო მორჩ-უჭკნობელო,
უკვდაებისა მტევანთა მოკვდავთა მოსართობელო,
მაჩრდილობელო ნერგო და კეთილთა შტოთა მყნობელო!
მიგრილე ცოდვით საწვავსა, იესოს ქრისტეს მშობელო!"

დავით გურამიშვილთან, ბუნებრივია, ვაზის სახება ქრისტესაც უკავშირდება. ეს ზედა სტროფშიც კარგად ჩანს, მაგრამ საგანგებოდაა წარმოდგენილი შემდეგ სტრიქონებში.

„ვაქებ მიტომა, დავითის შრტომა
ზედ გამოიბა კარგი ყურძენი".

ჩვენ მათეს სახარებიდან ვიცით, რომ ქრისტე დავით წინასწარმეტყველის საგვარეულოში განსხეულდა – ის „დავითის ძედ" იწოდება. ამდენად, „დავითის შტო" სწორედ დავითის საგვარეულოს ნიშნავს, ხოლო „კარგი ყურძენი" – ქრისტეა.

ხე

ამ სიმბოლოს ძირები შორეულ წარსულშია საძიებელი, ბიბლიის ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში ეს სახე მრავალჯერაა გამოყენებული. ხის სიმბოლო ასე განიმარტება:

„ადამიანის თვალში ხე არის შემოქმედის მიერ ბუნებაში განფენილი სიცოცხლის ძალის ცხადი გამოვლინება" (ბიბლიური ღვთისმეტყველების ლექსიკონი).

კარგი და უვარგისი ხეები

ხე, ბიბლიური წარმოდგენით, შეიძლება კარგიც იყოს და უვარგისიც. ამას ნაყოფიერების მიხედვით აფასებენ (სახარებიდან ცნობილია, როგორც გაახმო იესო ქრისტემ ლეღვის ხე უნაყოფობის გამო).

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ხის სიმბოლიკა სამი მიმართულებით განვითარდა:

ხე ცხოვრებისა

ცხოვრების ხე და ხე ცნობადისა

ბიბლიური წარმოდგენით, ცხოვრების ხე უკვდავებას უკავშირდება. ამის საპირისპიროა ცრუ სიბრძნის სიმბოლო – ხე ცნობადისა, რომლის ნაყოფის მირთმევითაც ადამიანმა დაკარგა უკვდავებასთან

წილნაყარობა: ქრისტეს მიერ ჯვარცმით ცოდვის გამოსყიდვის საბოლოო მიზანი ის არის, რომ ადამიანმა კვლავ იგემოს ცხოვრების ხის ნაყოფი და უკვდავებას ეზიაროს.

ხე საღვთო სამეფოსი

ხელოვნური ადამიანური დიდება

აღმოსავლეთის მითოსი იცნობდა კოსმოსური ხის სიმბოლოს, რომელიც მთლიანად სამყაროს განასახიერებდა. ბიბლიამ უარყო ამგვარი მნიშვნელობა და ამ ხეში დაინახა ხელოვნური ადამიანური დიდება, რომელიც სიამაყეს ეფუძნებოდა. საღვთო წერილის თანახმად, ღვთიურ სამსჯავროზე ეს ხე მოიჭრება.

ჯვრის ხე

ხე წყევლის ნიშნად იქცევა, როდესაც მას ადამიანის დასასჯელად იყენებენ. საღვთო წერილის თანახმად, იესომ თავის თავზე აიღო ეს წყევლა, როცა ჯვარზე აიტანა ადამიანის ცოდვები. იმავდროულად, წყევლის უძველესი ნიშანი (ადამიანის სატანჯველი ხის ჯვარი) ახალ აღთქმაში ცხოვრების ხედ იქცა – იესოს ჯვარცმაში დაიბადა ხსნა, კაცის უკვდავებასთან ზიარება.

„ნინოს ცხოვრებაში“ დადასტურებულია ხის მოჭრის (ეცემა ძველი რწმენა) და მისგან ჯვრის გაკეთების (ძველის ახალში გარდასახვა) სიმბოლური მნიშვნელობის მქონე ფაქტები.

ხის სიმბოლიკას ძალიან ხშირად ვხვდებით ქართულ ჰიმნოგრაფიაში. იოანე მინჩხი თავის ერთ-ერთ ჰიმნში წერს:

„კაცებაჲ პირველ ჴისა გან დაცემული,
აწ აღსდგა ძელისა მის აღმართებითა,
რომელსა ზედა ივნო მჴსნელმან ჴორცითა...“

აქ გაცხადებულია, რომ „პირველი ხისგან“ ანუ ხე ცნობადისაგან ცოდვას ნაზიარები ადამიანი („დაცემული“) აღსდგა „ძელის“ ანუ ჯვრის აღმართვით, რომელზეც ხორციელად დაიტანჯა მაცხოვარი. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც „ნინოს ცხოვრებაში“, „პირვანდელ“ ხეს უკავშირდება „შემდგომი“ ჯვარი, რაც ძველი ჭეშმარიტების გარდასახულ აღდგენას გულისხმობს.

პირვანდელი ხე და „შემდგომი“ ჯვარი

დავით გურამიშვილთან ხის სიმბოლიკას ვხვდებით როგორც ტრადიციული, ისე განსხვავებული მნიშვნელობით. მაგალითად, ქვემოდამოწმებულ სტროფში დაცემული და კვლავ აღდგენილი ხის სიმბოლიკა ჩანს (იგულისხმება, რომ პირველი ცოდვით დაკნინებულ ადამიანში მესიამ ახლად აღადგინა პირვანდელი ნათელი):

„იგ, მოკვეთილი, ნაყოფ კეთილი
ისევ განცხოვლდა, მე ვით ვილხენდი,
მტრით დაცემული, ცეცხლს მიცემული
სიგრილ-საჩრდილად მე მას ვირხევდი“.

„აქ „მოკვეთილი კეთილი ნაყოფის მომცემი ხე“ ძველი აღთქმის ჭეშმარიტებაა, რომელიც ადამისა და ევას შეცოდებამ „მოკვეთა“, მისი „განცხოველება“ – ქრისტეს გამოცხადებასა და ამ ცოდვის გამოსყიდვას მოასწავებს, „მტრით“ ანუ ეშმაკით ძირს დაცემული და ჯოჯოხეთის ცეცხლს მიცემული ადამიანი დასახსნელად ანუ „საგრილ-საჩრდილად“ ახალ ქრისტიანულ მოძღვრებას ირჩევს.

ასევე ტრადიციულად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი სტრიქონებიც:

„ბაღი დავითის ბაღისებრ აროდეს აღშენდებიან,
არც მისებრ ხეღა დაირგვის, არცა რა ზედ მოიბმიან“.

აქ ძალიან საგულისხმო ორმაგი სიმბოლიკაა – დავითის საგვარეულო შტოში განსხეულებული ქრისტეც იგულისხმება („დავითის ბაღი“) და მისივე (დავით წინასწარმეტყველის) შემოქმედების ნაყოფიც – „დავითნიც“. ამის საფუძველს ის ქმნის, რომ მაცხოვარი – იგივე „სიტყვა“ – შემოქმედების საწყისის იგივეობრივიცაა. იგია პირველი ხატი შემოქმედისა, პირველი „გამოსახული“. მიუხედავად იმისა, რომ ის დროში არ არის შექმნილი (შემოქმედების ნებისმიერი სხვა ნაყოფისაგან განსხვავებით), არამედ მარადიულად „იქმნება“, იშობება, მაინც „ღვთაება-შემოქმედის მიმართება მასთან გარკვეულ ანალოგიას ბადებს ადამიანი-შემოქმედისა და მის მიერ „დაბადებული“ მხატვრული სამყაროს ურთიერთმიმართებასთან.

ყვავილი

ყვავილი უძველესი სიმბოლური სახეა. ის განასახიერებს წარმავალ მშვენიერებას. ყვავილი, როგორც სიმბოლო, ბიბლიური წარმომავლობისაა. დავით წინასწარმეტყველის 102-ე ფსალმუნში ვკითხულობთ.

პარადიგმული სახის მაგალითები

„კაცისანი ვითარცა თივა არიან დღენი მისნი და ვითარცა ყუავილი ველისა ეგრეთ ყუავიან. ჰბეროს მას ქარმან. არღარა იყოს, არცაღა ჩანდეს ადგილი მისი“.

ქართული სასულიერო მწერლობა კარგად იცნობს ამ სახეს. გადავშალოთ „აბოს წამება“, სადაც საღმრთო სახელთა განმარტებისას ვკითხულობთ:

„ყუავილი ეწოდა („ღმერთსო – გ.მ.), რამეთუ ძირისაგან იესეჲსა ყუავილად აღმოსცენდა ეკლესიასა წმიდისა ქალწულისა მარიამისაგან ჴორცი-

ელად, ჯოლო სულნელებითა მით ღმრთეებისაჲთა სული იგი მადლისა მოჰფინა ჩუენ ზედა“.

ყვავილი მაცხოვრის ამქვეყნად მოვლინებასთან დაკავშირებით ცნაურდება და აბრაამის, იესესა და დავითის საგვარეულოში მის „აღმოცენებას“ ასახიერებს.

ამ სახეს, ბუნებრივია, ქართული ჰიმნოგრაფიაც იცნობს. იოანე მტბევარი თავის „ იამბიკონში“ წერს:

„განეღო დღეს ბეთლემს სამოთხეჲ, მოვედით,
გემოჲ ვიხილოთ ჯისა მის ცნობადისაჲ,
რომელ არს ქრისტე, საღმრთოჲ იგი ყუავილი“.

იქვე ვკითხულობთ:
„ძირისა გან იესესა აღმოსცენდა
ყუავილი ქრისტე ქალწულისა გან ბეთლემს...“

„ყვავილი“ ღვთისმშობლის სახეცაა, მაგრამ უმეტესწილად ქრისტეს აღნიშნავს.

„დავითიანის“ ავტორი რამდენჯერმე იყენებს ამ ტრადიციულ სახეს. მაგალითად:

„ვით ღამე ბნელსა მზიანი მოჰბმია დღე ნათლიერი,
ეგრეთ აბრამის ყვავილი, დავითზე ნაყოფიერი“.

როგორც ბნელ ღამეს მოსდევს დღე (იგულისხმება – როგორც ძველ აღთქმას მოსდევს ახალი), იესო ქრისტე – „აბრამის ყვავილი“ ნაყოფად გამოესხა დავითის შტოს.

მაცხოვრის დატირების აღწერისას (თავი: „ტირილი ღვთისმშობლისა“) დავით გურამიშვილი ყოვლადწმიდა მარიამზე ამბობს:

„მოედვა მწარედ საჯმილი, შეიქმნა დადაგულობით;
დაეწო გული და ღვიძლი, ნაწლევი გათანგულობით.
თქვა: „დამეკარგა საწუთრო ჭირნახულ დაკარგულობით,
დამიჭკნა გულის ყვავილი, გავხდი ვით გალი რგულობით“.

ამ შემთხვევაში ტრადიციულ ქრისტიანულ სახეს დავით გურამიშვილი სრულიად ახალი კუთხით წარმოადგენს (ღვთისმშობლის „გულის ყვავილად“ და არა რომელიმე შტოზე აღმოცენებულად, რაც მიღებულია) და დედაშვილობის დიდი ინტიმურობითა და ლირიზმით ტვირთავს მას.

„დავითიანში“ პოეტი ქრისტეს მოიხსენიებს, როგორც „აბრამის დაუჭნობელ ყვავილს“ („დავითის ვარდო, აბრამის ყვავილო დაუჭკნობელო“). აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ სიტყვა „დაუჭკნობელს“. ყვავილი მიწიერი, წარმავალი სილამაზისა და მშვენიერების სიმბოლოა, ზოგჯერ ის აღნიშნავს ადამიანთა ამაო დიდების წარმავალობასაც, დავით გურამიშვილი კი მაცხოვრის წარუვალი დიდების სახოტბოდ „ყვავილს“ განსაზღვრებად დაურთავს

„დაუჭკნობელს“ – ქრისტე ჩვეულებრივი ყვავილი კი არ არის, არამედ „დაუჭკნობელი ყვავილია“ – წარმავლობა მას არ ეხება.

„ყვავილის“ მაგალითზე კარგად ჩანს, თუ რა არის პირადიგმული სახე – მას ვხვდებით ბიბლიაშიც, დავით გურამიშვილთანაც, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაშიც და თანამედროვე ლიტერატურაშიც. ნ. ბარათაშვილი ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა“ წერს:

„სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების,
და, ვით ყვავილი, თავის დროზე მსწრაფლად დაჭკნების,
აგრეთვე გული, მხოლოდ მისდა შენამსჭვალები,
ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები!“

აქ „ყვავილი“ ხორციელებაზე დაფუძნებული სიყვარულის წარმავლობასა და უმტკიცობაზე მეტყველებს.

ახლა თანამედროვე პოეტს – მურმან ლებანიძეს მოვუსმინოთ. ერთგან ის თავის მეგობარს (ოთარ ჭელიძეს) ასე მიმართავს:

„გაზაფხულზე ყაყაჩო ყვავილია,
თიბათვეში გასთიბვენ და – თივა,
ყვავილობა, იცოდე, ჩავლილია,
ოთარ, გული მტკივა!“

ამ შემთხვევაში ყვავილი (ყაყაჩო), რომელიც ძალიან სწრაფად თივად იქცევა ხოლმე (გავიხსენოთ დავითის ფსალმუნის სიტყვები), დაკარგულ ახალგაზრდობას განასახიერებს.

დავასკვნათ: გადის არა უბრალოდ წლები, არამედ საუკუნეები და ათასწლეულებიც კი, მაგრამ არსებობს მხატვრული სახეები, რომელთაც დრო-ჟამის სრბოლა ვერაფერს აკლებს – ისინი მდგრადი ღირებულების ისტორიული სახეები არიან, რომელთაც გასაოცარი სიცოცხლისუნარიანობა აქვთ. ესენი არიან სწორედ პარადიგმული სახეები.

ნათელი „დავითიანში“

„ვეფხისტყაოსანზე“ საუბრისას ჩვენ შევეხეთ საღმრთო ნათელს და ვთქვით, რომ ღვთიური ნათელი განსხვავდება მიწიერისაგან (მზისაგან), რომელიც ცოდვით დაცემულმა ადამიანმა შეცდომით გააღვთაებრივა. ადამიანი კი მოწოდებულია, რომ თავისი პირვანდელი შინაგანი ნათელი აღიდგინოს და ცრუ ნათელს არ ეთაყვანოს.

„დავითიანში“ თვალნათლივ ჩანს, რომ პოეტს კარგად აქვს გააზრებული ამგვარი ნათლის მნიშვნელობა. ამის მაგალითები საკმარისად მოიპოვება ნაწარმოებში: ვთქვათ:

„ოდეს ადამ ბრმად ღმერთმა დაბადა,
ნათელი ეცვა ტანთა კაბადა“.

ქრისტიანული წარმოდგენით (რაც აისახა კიდეც ამ ფრაზაში), ეს პირვანდელი „სიბრმავე" სწორედ ნათელხილვას ნიშნავს. „თვალის ახელის" , ანუ ხე ცნობადისას ნაყოფის მირთმევის შემდეგ შინაგანი ნათელი დაიკარგა და დადგა ფიზიკური ნათლის ცრუ განდიდების დრო.

შინაგანი ნათლის დაკარგვას, „მტრისაგან" (ეშმაკისაგან) მიყენებულ კოსმოსურ ზიანს დავით გურამიშვილი ასე გამოხატავს:

„აქ გაშინჯეთ მის მტრის ძმაცვა,
რა დამიწყო მან მახეა;
ტანთ ნათელი შემომძარცვა,
ცხვრის ტყავფუჩი მამახვია".

ძალიან საინტერესოა ის, რომ დავით გურამიშვილი ერთისაგან სიმრავლის წარმოქმნას (ანუ სამყაროს შექმნას), ღვთისაგან ყველაფერი არსებულის დაბადებას მოიაზრებს, როგორც ნათლისაგან ფერების წარმოშობას. მთლიანი პირველადი ნათლის სპექტრულ ფერებად დაშლა განასახიერებს ამქვეყნიური სიმრავლის ანუ მრავალფეროვნების ხატებას. გავიხსენოთ რუსთველის ანალოგიურ ფრაზაც:

„ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა".

მიწიერ ფერადოვნებას უნდა წარმოადგენდეს „დავითიანში" ტერმინი „წითელ-ყვითელი".

„ადამ ჰრქვა ევას: „მითხარი შენა,
თვალთა ნათელი რამ აღგიშენა?
მიუთხრა ევამა: „იმ ხისა რხევამა, რომელსაც ვსცევდით...
...აჰა, ის ხილი, შენცა შეჭამე,
დღე განითენე, განაგდე ღამე!"
– ადამცა შეჭამა, იმასაც ერთ წამა თვალთ აღეხილა.
რა დაინახეს წითელ-ყვითელი,
შემოეცარცვათ ტანთა ნათელი..."
(„ქაცვია მწყემსი")

ნათლისა და სპექტრული ფერების სიმბოლიკა

ყველაფერ ამასთან, შესაძლოა, ძირეული კავშირი ჰქონდეს ერთ მეტად საინტერესო გარემოებას. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში შემონახულია შუა საუკუნეების ქართული ტიხრული მინანქრის ორი მშვენიერი ნიმუში; რომლებზედაც გამოსახულია, თუ როგორ კლავს წმინდა გიორგი გველეშაპს. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ორივე კომპოზიციაზე წმინდანი თეთრ ცხენზეა ამხედრებული (ნათელი), ხოლო გველეშაპი კი ჭრელია.

ამ კოპოზიციებზე, ისევე როგორც „დავითიანში", ერთმანეთს უპირისპირდება განუყოფელი ნათელი და სიმრავლედქცეული ფერი. პირველი ღვთაებრივი სახიერების სიმრთელეს წარმოაჩენს, ხოლო მეორე კი – სიმრავლესთან

წილნაყარი სოფლის წიაღში დაბუდებულ ბოროტებას. ღვთაებრივი ნათელი ამარცხებს მიწიერ ფერადოვნებას, სიჭრელეს.

წინააღმდეგობრიობის პრინციპი „დავითიანში"

დავით გურამიშვილის პოეზიაში ნათლად არის წარმოჩენილი წინააღმდეგობრიობის პრინციპი, რომელზედაც ჩვენ „ვეფხისტყაოსანთან" დაკავშირებით ვსაუბრობდით. პოეტს კარგად ესმის, რომ სააქაო დაპირისპირებულ ელემენტთა თანაარსებობის ასპარეზია და რომ ამ კანონის „პერსპექტივა" იმაში, რომ იმქვეყნად ის წყვეტს მოქმედებას – საიქიო „გაერთმნიშვნელიანებულია" და იცვლება „სამრთო მშვიდობით".

„თქმულა სიბრძნესთან სიგიჟე, ვითა ცოცხალთან მკვდარია", – ბრძანებს დავით გურამიშვილი.

„სწავლა მოსწავლეთას" ცნობილი სტრიქონები კი ჩვენ უკვე ვახსენეთ:

„ისმინე, სწავლის მძებნელო! მოყევ დავითის მცნებასა,
ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა".

გავიხსენოთ, რომ „გემოვნება" აქ ცხოვრების საზრისს ნიშნავს, ხოლო „მწარე" და „ტკბილი" (რუსთველი: „ტკბილსა მწარე ჰპოვებს") დაპირისპირებული ელემენტებია.

საინტერესოა, რომ წინააღმდეგობრიობის პრინციპი „დავითიანში" მჭიდროდ უკავშირდება ქალის სახეს: ქალი, როგორც ზეაღსვლის „ხიდი", ზემოთ მოვიხსენიეთ „ზუბოვკის" ანალიზის დროს, მაგრამ მასშივე ყოფილა დაბუდებული ბოროტების, მაცდურობის საწყისიც (გავიხსენოთ, რომ სწორედ ევამ შეაჭამა ადამს აკრძალული ხილი). ეს ოდინდელი ბიბლიური თვალსაზრისი დავით გურამიშვილთან ასე წარმოჩინდება:

„როცა დავკაცდი, ჭკვას მაშინ შავცდი,
ლამაზ ქალს შავჴვდი, მიჯნურად გავჴდი.
ამაზე წავჴდი, მცნებას გარადავჴდი („მცნება" – ღვთაებრივი აკრძალვა – გ. მ.)
როგორც ვიგემე, ისე ვიგვემე!"

ყოველ ადამიანში, როგორც საწყისი, არის ადამი. ამიტომ კონკრეტული კაცის სათქმელში ადამის სათქმელიც ჩანს – დავით გურამიშვილიცა და ადამიც მეტყველებენ, როცა წარმოითქმის სიტყვები: „როგორც ვიგემე, ისე ვიგვემე!" ადამის ცოდვა ძველზე ძველია, მაგრამ ადამიანთა გადაცდომების გამო არ „კვდება".

მაშასადამე, პოეტის აზრით, ქალში არის საწყისი ზესთასოფლისაკენ სწრაფვისაც („რომელიც ქალი მაღირსებს, ძმას ვანაცვალებ, დას მასა!") და ცოდვისკენ დაღმასვლისაც. ალბათ ამ თვალსაზრისს გამოხატავს და ხსნის შემდეგი სტროფი:

„ისო ზრაქში (ბიბლიის ერთ-ერთი წიგნია – გ.მ.) ბრძენმა დასწერა
დედაკაცისა პყრობა და ჭერა,
კარგ-გვარად ქადაგებს, აქებს და აძაგებს ისო დედაკაცთ“.

ეს „ქება“ და „ძაგება“ სწორედ მთელის ორსახოვნებაზე უნდა მიუთითებდეს ამ კონტექსტში.

დავით გურამიშვილი ერთგან ფრიად საგულისხმოდ აკრიტიკებს (იმქვეყნიური „საღმრთო მშვიდობის“ პოზიციიდან) ამქვეყნიურ „გაორებას“:

„თუ ხარ ღვიძილი, რაღა არს ძილი?!
თუ ხარ სიმაძღრე, რა არს შიმშილი?!
თუ ხარ სიცოცხლე, რა არს სიკვდილი?!
იყავ ერთ-ერთი, იწამე ღმერთი!“

ეს ჩივილი დავით გურამიშვილის უაღრესი სევდის მატარებელი ცხოვრების დიდი ტკივილით გაპირობებული ამოძახილია სულისა, თორემ პოეტმა კარგად უწყის, რომ „იყავ ერთ-ერთი“ ამქვეყნად სრული შეუძლებლობაა – ეს ქვეყანა არა ჰარმონიის, არამედ სწორედ წინააღმდეგობრიობის პრინციპს ემორჩილება.

საღმრთო მშვიდობა წუთისოფელში

თუმცა ეს პრინციპი ერთხელ დაირღვა დედამიწაზე და ეს მოხდა ნოეს კიდობანში: ეს კიდობანი, დავით გურამიშვილის ხედვით, იყო ზეციური „ერთმნიშვნელიანობის“ ჟამიერი განსახოვნება მზისქვეშეთში. ლექსში „წარღვნის ამბავი: ნოეს კიდობნად შესვლა“ პოეტი წერს:

„მაშინ დამოყვრდნენ ყოველნი მტერნი:
ქორნი, კაკაბნი, ალალნი, მწყერნი,
კაც-ასპიტნი, გველნი, ცხვარნი, თხა და მგელნი, კატა და თაგვნი...
„სიკვდილ-სიცოცხლე იქმნენ ვით ძმანი,
მოკვდავთ საკვლავად გაკმინდა ჴმანი.
სიკვდილმან კლა ვერა, ვირემ არ განერა რღვნას კიდობანმა“.
(„ქაცვია მწყემსი“)

მაშასადამე, მაშინ, როდესაც თავად ეს ქვეყანა სრულად უნდა განწმენდილიყო მისი დამამძიმებელი ცოდვიანობისაგან, შეიქმნა (ზეშთაგონებით) ზესთასოფლის მცირე მოდელი, რომელმაც საყოველთაო კატასტროფის დროს ახალი ცხოვრების ასაღორძინებელი მარცვლები შემოინახა საკუთარ წიაღში.

„ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისას ჩვენ ვახსენეთ ანტონ კათოლიკოსის ცნობილი გამონათქვამი რუსთველზე: „ამაოდ დაშვრა და საწუხ არს ესეო“. კათოლიკოსის ამგვარი შეფასება იმან გამოიწვია, რომ რუსთველმა გამონაგონი ამბავი გამოიყენა თავის პოემაში და არა რეალური, რაც განმსაზღვრელ აუცილებლობად მიაჩნდა სასულიერო ლიტერატურას. როგორც გვახსოვს, ჰაგიოგრაფია მთლიანად ისტორიულ, ნამდვილად მომხდარ ამბებზე აგებული მწერლობაა და გამონაგონის, ანუ „სიცრუის“ სიბრძნე მისთვის მიუღებელია. ეს პრინციპია – ადამიანმა ღვთის მიერ შექმნილ სამყაროში უნდა მოიძიოს შემოქმედების ობიექტი და არა მის მიერვე წარმოსახულ სინამდვილეშიო. ჰაგიოგრაფებისათვის არ არსებობდა მხატვრული სიმართლე – თავად სიმართლე იყო მათთვის მხატვრულობის, ესთეტიკურობის შემცველი.

ჰაგიოგრაფია და გამონაგონის სიბრძნე

ამ თვალსაზრისთან ახლოს დგას პრინციპი, რომელსაც დავით გურამიშვილი და საზოგადოდ აღორძინების ხანის ქართული ლიტერატურული აზროვნების წარმომადგენლები ამკვიდრებდნენ – ეს არის „მართლის თქმის“ პრინციპი.

რა არის ამ სააზროვნო წანამძღვრის არსი?

სამშობლოს ბედის გააზრება

მწერალმა მხოლოდ ისტორიულ ამბავზე უნდა შეთხზას თავისი ნაწარმოები, რათა კარგად იქნას გაცნობიერებული ერის სასიცოცხლო ინტერესები, ადამიანის ადგილი სამყაროსა და თავის ქვეყანაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ დროს სამშობლოს ბედის მოაზრებას – შეიძლება ითქვას, რომ მართლის თქმის პრინციპის დამკვიდრება გამოიწვია ეროვნული ტკივილების უკეთ გაცნობიერებისა და ქვეყნის სავალალო მდგომარეობის ანალიზის სურვილმა, საჭირბოროტოდ გადახლართული მოვლენებისა და ფაქტების ობიექტური შეფასების აუცილებლობამ. მე-18 საუკუნის საქართველო ბედუკუღმართი ისტორიის გზამ უმომავლობის უფსკრულამდე, ეროვნულ კატასტროფამდე მიიყვანა. საჭირო იყო დაუყოვნებელი მოქმედება ქვეყნის დასახსნელად – ეროვნული სულის გადაგვარების პროცესი დაწყებული აღმოჩნდა: ქრისტიანული მსოფლხედვა და ზნეობა თანდათან და დაბეჯითებით იდევნებოდა და იცვლებოდა მასთან დაპირისპირებული რელიგიური იდეოლოგიით – მუსლიმანობით, რაც ქართველი კაცის ეროვნულ მდგრადობას საშინელ გამოცდას უმზადებდა. რაც მთავარია, თუ ადრე ამ იდეოლოგიის შემოსვლას ჩვენს ქვეყანაში ხმლით ხელში წინ აღუდგებოდა ქართველი, ახლა მეტ-ნაკლებად მშვიდობიანი გზით მკვიდრდებოდა იგი ცნობიერებაშიც და ყოფაშიც.

აუცილებელი გახდა ისეთ მამულიშვილთა გამოჩენა, რომლებიც სრულად გაიაზრებდნენ მოსალოდნელი გადაგვარების საშიშროებას, გააანალიზებდნენ და პრინციპულად, პირუთვნელად შეაფასებდნენ არსებულ სავალალო მდგომარეობას. ასეთ კაცთა რიგს ეკუთვნოდა დავით გურამიშვილი.

„დავითიანის“ ეროვნულ-ქრისტიანული სულისკვეთება

თუკი თეიმურაზ I-იც კი, რომელიც თავისი დიდი ცხოვრების მანძილზე იარაღით ხელში ებრძოდა სპარსელებს, ამბობდა: „სპარსული ენის სიტკბომან მასურვა მუსიკობანიო“, გურამიშვილის მთელი პოეზია გ ა ჟ ღ ე ნ თ ი ლ ი ა ე რ ო ვ ნ უ ლ-ქ რ ი ს ტ ი ა ნ უ ლ ი სულისკვეთებით. ის აღწერს შეულამაზებლად, სრული სიმართლით, პრინციპულად და ობიექტურად. რეალური ამბის „ნატყუარად“ მოხმობა დავით გურამიშვილისათვის ისეთივე „სიცრუეა“, როგორც გამონაგონი, შეთხზული ამბავი.

პოეტს ერთი დიდი საფიქრალი ჰქონდა – საკუთარი სამშობლოს ცხოვრების პირუთვნელი შეფასება მისი უარყოფითი, არასასურველი მხარეების ნათელ ჩვენებაც გულისხმობს – ხომ არ ეწინააღმდეგება ეს ქვეყნის სიყვარულს, მამულიშვილის მოვალეობას მის წინაშე? განა ქვეყნის ნაკლოვანებათა საჯარო მხილება არ დაამცირებს მას სხვათა თვალში და, თუ ეს ასეა, მაშინ მეტი ცოდვა განა დაედება ადამიანს?

ეს მარადიული შეკითხვაა – ერთ მშვენიერ დღეს ის აუცილებლად გახადდება ხოლმე ჭეშმარიტი მამულიშვილის წინაშე. გაივლის გურამიშვილის დროიდან ერთი ასწლეული და ილია ჭავჭავაძე ლექსში „ჩემო კალამო“ დაწერს:

„ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართვლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია“.
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს,
ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია“.

დავით გურამიშვილიც გვანდობს:

„ამ ამბის თქმა გარჩევითა გულმან ამად არ მინება,
ბევრი ავი გამოჩნდება ჩვენი, მაზე მერცხვინება...
მტერს შაესმის, იამების, მოყვარეს კი ეწყინება.
რასაც ახლა ვამბობ, ვგონებ, ამაზედაც მხვდეს გინება“.

პოეტი აცხადებს, რომ უკიდურესი შეფასებებისაგან მას თავი შეუკავებია, მაგრამ ტყუილს მაინც ვერ იკადრებდა და ჭეშმარიტი სურათი დახატა მისდროინდელი ქართული ყოფისა – ადამიანს ხომ იმქვეყნად წუთისოფელში გაკეთებული საქმეები მიუძღვის:

„ტყუილი ვჰთქვა, ჩემი თქმული შეიქმნების რა სავარგი?
მართალი ვჰთქვა, მეშინიან, ვა, თუ გავხდე დასაკარგი!
კაცს მის მეტი არა აქვს-რა სიკვდილს უკან თან საბარგი,
სულს მიუძღვის ხორცთ ნაქნარი: ავსა – ავი, კარგსა – კარგი“.

ზნეობრივი დათმობის უარყოფა

დავით გურამიშვილისათვის ტყუილი ცოცხლად სიკვდილის ტოლფასია და, ამდენად, შინაგანად მიუღებელია: „სჯობს ტყუილით ქვე ყოფნასა ზე სიმართლით ავიბარგო“. ზნეობრივი კომპრომისი პოეტისათვის გამორიცხულია, ის კატეგორიულად აცხადებს, რომ უღირს კაცთა პირ-საფერად შავზე ვერ იტყვის, თეთრიაო:

„მართალს ვიტყვი, შევიქმნები ტყუილისა მოამბე რად?
ვერას უქებ საძაგელთა, უფერულთა პირ-საფერად.
მე, თუ გინდა, თავიც მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად“.

პოეტს კარგად ესმის, რომ შემოქმედ ადამიანს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აქვს თავისი ქვეყნის წინაშე და ვალდებულია, ყოველგვარი საშიშროებისა და დევნის მიუხედავად, სიმართლე უთხრას სამშობლოს – მწერლის უპირველესი დანიშნულება ხომ სულიერი, ზნეობრივი სიწმინდის ერთგული სამსახურია. ყველა შემოქმედის მრწამსი უნდა იყოს ის, რომ რაც ერთ კაცს ავნებს, ის შესაძლოა არ ვნებდეს ქვეყანას, მაგრამ რაც ვნებს ქვეყანას, ის ყოველთვის ვნებს კერძო კაცსაც:

„მართალია მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების,
მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების!
წამხდენელთა და მბაძველთა კიდევ სხვა რამ წაუხდების;
ძრახვავე სჯობს საძრახავთა, ძრახვას კაცი მოუფთხვების“.

ნაკლოვანებებისა და ცოდვიანობის მხილება იმიტომ არის საჭირო, რომ სხვა გაფრთხილდეს და ანალოგიური შეცდომა აღარ დაუშვას – თუ საზოგადოება, ხალხი ცოდვილ კაცს საქვეყნოდ არ განსჯის, ის ცოდვა იმრავლებს და მთელ ქვეყანას მოედება. დავით გურამიშვილს კარგად ახსოვს სახარების შეგონება: ერთმა ადამიანმა მეორე არ უნდა განიკითხოს, რადგან არავინაა ამქვეყნად უცოდველი, მაგრამ მან ისიც უწყის, რომ ყველაფერი შეფარდებითია და აცხადებს: კარგს არავინ გაჰკიცხავს და ავზე თუ ავი არ ითქვა, სიავე დაკანონდებაო:

„ჭეშმარიტად ცოდვა უძღვის კაცსა კაცის განმკითხავსა,
მაგრამ ავზედ ავი ითქმის, კარგს არავინ გაჰკიცხავსა!“

დავით გურამიშვილი სინანულით ამბობს, რომ ხშირად თავად ავისმოქმედნი გამოეწყობიან ხოლმე ჭეშმარიტების დამცველთა მანტიებში და სხვებს წესიერებას ასწავლიან, რაც ამის მხილველებსა და შემფასებლებში მსგავსი მოქცევის სურვილს აღძრავს:

„ამას ვსწყინობ: ავნი ავსა თვით იქმენ და სხვას კი სძრახვენ;
ბაძით მორცხვიც გაურცხვდების, უსირცხვილოს თუ არ არცხვენ“.

დავით გურმიშვილისთვის ცხადია, რომ „რაგინდ რომე კაცმან მალოს, ჭირი თავსა არ დამალავს“, ქვეყნის ტკივილი ჭეშმარიტ მამულიშვილს მოსვენებისა და გულარხეინობის საშუალებას არ მისცემს. პოეტი თითქოს ფიზიკურად შეიგრძნობს სამშობლოს ბედუკუღმართობას, გადაგვარების ავბედით სენთან ჭიდილი, ჭეშმარიტების დამკვიდრება და ბოროტების მხილება გამხდარა მისი ცხოვრების მრწამსი:

„მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ჰფარავს,
მეტად მწარედ გული მტკივა, მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს,
ვერ მოვითმენ, რომ არ დავგმო, აღმა მხვნელსა, დაღმა მბარავს,
ჩემი ცოდვამც მისცემია ჩემს ამამთხრელს, ამამბზარავს!“

აღზრდის პრინციპი „დავითიანში“

ქვეყნის ინტელექტუალური და ზნეობრივი განახლება

აღზრდა, ძირითად ღირებულებათა სწავლება ყოველთვის დგას ნებისმიერი საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბება ერთი ყველაზე დიდი საიდუმლოა ამქვეყნად, რომლის ამოცნობაზეც კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლები ფიქრობდნენ და სხვადასხვაგვარად მოიაზრებდნენ მას.

ამა თუ იმ ერის განვითარების კონკრეტულ ეტაპზე, როდესაც მისი სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს ახალი პროგრესული თაობის უთუო და სწრაფ მოსვლას ისტორიის სარბიელზე, ადამიანის აღზრდის პრობლემა პირველ ადგილზე დგება ხოლმე. ქვეყანას ჟამითი-ჟამად სჭირდება ინტელექტუალური და ზნეობრივი განახლება, გადაღლილი და ხშირ შემთხვევაში მიძინებული ეროვნული ენერგია ახალი, ძლიერი იმპულსით გამოცოცხლება და სწორედ მაშინ საზოგადოებრივი აზროვნებისა თუ ყოფის თითქმის ყველა სფერო იჟღინთება უმთავრესი საფიქრალით: როგორი უნდა იყოს თანამედროვე ადამიანი – ჭეშმარიტი მოქალაქე და მამულიშვილი – და როგორ აღვზარდოთ იგი?

ამაზე უფიქრია დავით გურამიშვილსაც.

აღზრდის მნიშვნელობასა და არსებას საგანგებოდ ეხება „დავითიანის“ სამი თავი: „ქართველთ უფალთა მეგვარტომობის იგავი“, „სწავლა მოსწავლეთა“ და „საქონლის შეკრებისათვის“.

„სწავლა მოსწავლეთაში“ დავითი აცხადებს:

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?“

ადამიანის თვითშემეცნება

საკუთარი თავის შეცნობა ადამიანის ერთი უპირველესი მოვალეობაა ამქვეყნად (ფაქტობრივად, საკუთარი თავის შემცნობი კაცი სამყაროსაც შეიცნობს). გურამიშვილის ზემოდამოწმებული ციტატაც შეიძლება სამგვარად გავიგოთ – კაცს უნდა ახსოვდეს, რომ ის ღვთის შექმნილია და სამოთხიდან გამოძევებული შეჰყრია მიწიერ არსებობას; მან თავისი ამქვეყნიური არსებობის მნიშვნელობა არ უნდა გააზვიადოს და მუდამ გონების თვალწინ ედგას მომავალი მარადიული ცხოვრება.

ეს ერთი ამოკითხვაა დასახელებული ციტატისა.

მეორე წაკითხვა ასეთია:

ადამიანმა რომ საკუთარი თავი შეიცნოს, როგორც ერისშვილმა, კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, „სიდამ მოსულა“, ანუ რაგვარ ეროვნულ ფესვს ეყრდნობა, „სად არის“ ანუ ერის განვითარების რა საფეხურს განასახიერებს მისი თანამედროვეობა , და „წავა სადაო“ ანუ საით მიჰყავს განვითარების ტენდენციას მისი სამშობლო. ყველაფერ ამას მესამე წაკითხვაც ემატება – ადამიანმა უნდა გააცნობიეროს საკუთარი „პიროვნული ისტორიაც“, სულის, პიროვნული „მე“-ს განვითარების დინამიკაც. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს ის ცხოვრების საზრისის წვდომას.

დასახელებულ სტრიქონთა აზრის პირველი, მეორე და მესამე წაკითხვა ერთმანეთს კი არ გამორიცხავს, არამედ მხოლოდ ავსებს – ჩვენ ხომ უკვე ვიცით, რომ ასეთია მხატვრული სახის ამოცნობის კანონზომიერება.

სადაც დგას პიროვნების აღზრდის საკითხი, იქ ყოველთვის განმსაზღვრელია აღმზრდელის ანუ მასწავლებლის, გურამიშვილის ტერმინით – „ბრძენის“ პრობლემა. დავითი დაბეჯითებით აცხადებს, რომ ჭეშმარიტი აღზრდის საძირკველში ყოველთვის ძევს წმინდა ზნეობა, კეთილშობილება და ცოდნა:

„აწ ბრძენი უნდა სოფელში ეგრეთ, ვით წმინდა ბერია,
ცხოვრობდეს, ერთ ასწავლიდეს, გახადოს მეცნიერია;
ბრძენმან არ უნდა იკადროს, ურიგო რაც რომ ფერია,
ბრძენის ურიგოდ ქცევითა ბაძით წახდების ერია“.

დავით გურამიშვილმა კარგად იცის, რომ ყველაფერს ამქვეყნად და, მათ შორის, აღზრდასა და სწავლასაც, თავისი დრო აქვს (საერთოდაც, უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი საგნისა თუ მოვლენის ჭეშმარიტი ღირებულება, უპირატესად, შესაბამისი დროით განისაზღვრება).

„ვით ძნიად წნორი ბერფუყი დაიგრიხების წნელადა,
ეგრეთვე კაცი მხცოვანი განისწავლების ძნელადა,
ვით ახალ მორჩი ვაზისა ხელს მიყვეს საფუჩნელადა,
ეგრეთ ახალი მოზარდი ყრმა ოსტატს – გასაწვრთნელადა“.

ბედისა და გონების დაპირისპირება

დავითი ერთმანეთს უპირისპირებს ბედსა და გონებას, განსწავლულობას. ბედი ადამიანზე არ არის დამოკიდებული, მხოლოდ მას მინდობილი კაცი უთუოდ მოტყუვდება:

„ბედი არს ქცევა წუთისა, ვით დღისა ნაობ-ბინდობა,
ავდარობა თუ დარობა, ცის მოღრუბლვა და წმინდობა;
ხან მოსწვავს ნამთა სიმცირე, ხან ალპობს ღვართა დიდობა,
დღეს მომცემს, ხვალ კი წამართმევს, ამად არა მაქვს მინდობა".

უბედური კაცი ცოდვაა, მაგრამ არც იმას ულხინს, ვისაც ბედი სწყალობს, მაგრამ თავისი უჭკუობით, გაუნათლებლობითა და გამოუცდელობით ყველაფერს კარგავს.

„ჭკუა პურია სახითა მჭამელთა შესარგებელი,
ცოდნა და საქმის ხმარება – მარილი დასაწებელი.
ბედს რომ იტყვიან, არ ვიცი, რა უქო ბედს საქებელი;
ბედმან შეკრიბოს, ჭკვამ ფანტოს, მექნების რა სარგებელი?"

დავითის აზრით, განსწავლულობის უპირველესი მტერი სურვილებს აყოლაა (გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ ავთანდილი ამბობდა: „რაც არა გწადდეს, იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა"). გურამიშვილისათვის აშკარაა, რომ

„ნდომა ბნელს ნათლად აჩვენებს, დანაბრმობს ნათლად მხედველსა;
ნდომა მხრდალს გაჰხდის მამაცად, შებედავს ძნელს საბედველსა;
ნდომა სხვის სწავლას მიიკრავს ეგრეთ, ვით ცერცვი კედელსა!
ნდომა მიიყვანს მიმყოლსა შესარცხვენს, წარსაწყმედელსა".

პოეტმა კარგად იცის, „ვის სიყვარული დაიპყრობს და ნდომა დაიმონებსა, რაც თვით არ მოსწონს, მის მეტსა აღარას მაიწონებსა" და ამით ღვთის უარმყოფელი და წუთისოფლის მონა გახდება: „მკვიდრს მიჯნურს (ანუ ღვთაებას – გ.მ.) ზურგსა შეაქცევს, წუთს (ანუ ამქვეყანას – წუთისოფელს – გ.მ.) გულზე დაიკონებსა".

დავითი აღსაზრდელებს მოუწოდებს ნებისყოფის სიმტკიცისაკენ – ჭეშმარიტ სიბრძნესა და ზნეობას დაეუფლება ის, ვინც საკუთარ სურვილებს გაუბატონდება და ნებისმიერ სიძნელეს გადალახავს – უარსებითესი და ულამაზესია გამარჯვება საკუთარ თავთან, მხოლოდ ეს დააყენებს ადამიანს ღვთაებრივ გზაზე:

საკუთარ სურვილებზე გაბატონება

„იქმოდე გულის თქმისასა გემოვნებისა თმენასა,
თავს თაფლი, ბოლოს ძირმწარე ნუ
გეტკბილების ენასა;

გულით უფრთჴოდე, ყურითა, სასაფრთჴოს სიტყვის სმენსა,
მით შაეყრები საყვარელს (ანუ ღვთაებას – გ.მ.) შენს ლამაზ
გულის ლხენასა“.

ბრძენის, განათლებული კაცის სიცოცხლე ღვთიური მადლია, ამქვეყნად მოფენილი – მხოლოდ ასეთ კაცს აქვს ჭეშმარიტი თავისუფლება ანუ თავის უფლება. ეს არის ნამდვილი ხსნა ყველგან და ყოველთვის – ამის უმჯობესი, დავით გურამიშვილის აზრით, ამქვეყნად არა არის რა:

„ვსძებნე და ვერა ვჰპოე რა მჯობი ამ სწავლა-მცნებისა:
ბრძენსა აქვს თავის უფლება, სოფელში ყოფნა-ნებისა;
ბრძენი სადაც არს, დარჩების, საუნჯე თან ექნებისა;
ბრძენი პურთათჳს ჩემსავით მუხლთ არვის მოექნებისა!“

განათლება და თავისუფლება

განათლება წაურთმეველი, მუდამ „თანმყოფი“ საუნჯეა – ეს არის ერთადერთი მოსახვეჭელი ამქვეყნად (სახელთან ერთად), რომელიც მარადიულად რჩება ადამიანთან:

„ცოდნა თან დასდევს მცოდნესა, რაზომსაც დაეტარების,
აქვს უხლავი საუნჯე, ჴელი არ შაეკარების;
არც ცხადით ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარების,
ჭკუვა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების!“

თუ განსწავლულობა კაცის ბედნიერებაა, უმისობა უბედურებად და ტანჯვად გადაექცევა მას – ყველა სხვა წუთისოფლურ ღირებულებას „მახე უგია, თავისა გასაყოფელი“ და „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი“.

თუ ადამიანს სურს ამ ტანჯვას თავი აარიდოს, თუ სურს ჭეშმარიტ თავისუფლებასა და ღვთიური ცხოვრების წესს ეზიაროს, კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“ და ამიტომ მუდამ ახსოვდეს დავით გურამიშვილის სიტყვები:

„ისმინე სწავლის მძებნელო! მოყევ დავითის მცნებასა,
ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა;
თავს სინანული სჯობია ბოლოჟამ დანანებასა, –
ჭირს მყოფი, ლხინში შესული, შვებად მიითვლი ვნებასა“.

დავითი დასაშვებად და გამართლებულადაც კი მიიჩნევს ძალდატანებას მოზარდზე, თუკი ის თავად ვერ ხვდება განათლების სიკეთეს და ეურჩება აღმზრდელს:

„ნუ გენაღვლების სწავლაზე ყრმის წკეპლის ცემით კივილი;
მალ გამთელდების უწამლოდ მისი წყლულების ტკივილი,
რა მოიზარდოს, მოყვინჩლდეს, მამლურებ შექმნას ყივილი, –
უფრთხილდი, მისგან წყენითა არაზე შექმნა ჩივილი“.

გურამიშვილი მკაცრად აფასებს გაუნათლებელ ადამიანს (შვილსაც კი!) და შეურიგებელი ტონით ამბობს, რომ ასეთ კაცს გაუწვრთნელი ძაღლი სჯობს:

„უწვრთნელი ძაღლი მიხვდების გარეთ სიცივით თრთოლასა,
საჭმლითაც არვინ განაძღებს, პილწად დაიწყებს წრწოლასა;
გასწავლებული პატივით შტაქუნზე შეიქს წოლასა,
სჯობს ძილა უწვრთის ძაღლისა უწვრთელის შვილის ყოლასა“.

„დავითიანი“ – ეს არის სწავლის ძიების ქებათა-ქება. ნამდვილი, ჭეშმარიტი აღზრდა „ცოდვის მუხრუჭით შეკრული“ ადამიანის გათავისუფლება, მისი ღვთიურ გზაზე დაყენება, მართალი ადამიანური ბუნების პოვნაა.

თავად დავით გურამიშვილი ყოველთვის თავმდაბლურად მოიხსენიებს საკუთარ თავს და ერთგან შენიშნავს კიდეც, განათლება მაკლიაო:

„ჩემის უცებით შევატყვე, ბრიყვთათვის რაც შემიტყვია:
ავი და კარგი გარჩევით, ვხედავ, რომ ახლოს მიწყვია.
მინდა და სწავლის სიმოკლით ცალ-ცალკე ვერ გამიყვია.
ჰგავს უხორთუმოს სპილოსა ჭკვანი კაცი ბრიყვია!“

მიუხედავად ასეთი თვითშეფასებისა, უნდა ითქვას, რომ დავითი უაღრესად განათლებული და ცხოვრების გამოცდილებით დაბრძენებული კაცი ჩანს – ეს მთელ მის შემოქმედებას ეტყობა, რაც დახვეწილი გემოვნებისა და ჭეშმარიტი განსწავლულობის მქონე კაცის ნამუშაკევის დიდებული მაგალითია.

„ქართლის ჭირი“

„ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი ენამჭევრი!“ – სინანულითა და დიდი სევდით აღსავსე აცხადებს დავით გურამიშვილი.

ისტორიამ ზოგჯერ უსიამოვნო პარალელების გავლება იცის..

თუ XII-XIII საუკუნეების მიჯნის სვებედნიერ საქართველოში რუსთველი ბრძენის მჭევრმეტყველებას თინათინის საარაკო მშვენიერების აღსაწერად მოიშველიებს, XVIII საუკუნის საქართველოს პოეტი ბრძენის განსწავლულობას მოუხმობს სამშობლოს ენით გამოუთქმელი უბედურების გამოსახატავად.

„ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული“ , – ამბობს რუსთველი არაბეთის მეფის ასულზე.

„ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი ენამჭევრი“, – მოთქვამს გურამიშვილი.

რამ მიიყვანა საქართველო ამ მდგომარეობამდე?

რამდენიმე არსებითი მიზეზი მოვიხსენიოთ:

საქართველოს ისტორიული ფუნქცია

1. ჩვენ კარგად ვიცით, რომ თავისი არსებით ქრისტიანული საქართველო ევროპული ცივილიზაციის ქვეყანაა – ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ საბოლოოდ გადაწყვიტა ეს საკითხი. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ „ყურესა ამის ქუეყანისასა ვართ“ („აბოს წამება“) და ჩვენი სახელმწიფოებრივი ფუნქცია იყო ქრისტიანული სამყაროს აღმოსავლეთი სასაზღვრო ზოლის დაცვა – საქართველო იყო ქრისტიანობის უმთავრესი ციხე-გოდოლი კავკასიაში. ამ ფუნქციის შესრულებას დიდ და ყოველდღიურ წინააღმდეგობას უქმნიდა მუსლიმური გარემოცვა. ირანისა და თურქეთისათვის, ისევე როგორც ჩვენი მეზობელი მთიელი ტომებისათვის, ორ მსოფლიო რელიგიას (ქრისტიანობასა და მუსლიმანობას შორის ბუნებრივი საზღვარი კავკასიონის კალთებზე გადადიოდა. ის, ვინც ფლობდა დარიალის ხეობას, ფლობდა ამ საზღვარსაც. ამიერკავკასიაში საქართველოსა და სომხეთის არსებობას მუსლიმური ქვეყნები სერიოზულ პრობლემად მიიჩნევდნენ, რადგან მათ ქრისტიანული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა აგრესიად, ბუნებრივი საზღვრის დარღვევად მიაჩნდათ. ამიტომაც ეს ქვეყნები დიდი ისტორიული დროის განმავლობაში დაუღალავად ესწრაფოდნენ კავკასიის ქრისტიანული სახელმწიფოების დაპყრობას ან „მოთვინიერებას“ – სარწმუნოებრივი აღმსარებლობის შეცვლას. გაუთავებელმა ბრძოლებმა ქვეყნის მთლიანობისა და სარწმუნოების დასაცავად, ბუნებრივია, დაასუსტა საქართველო.

საქართველოს ევროპული კულტურულ-სარწმუნოებრივი ორიენტაცია

2. ქრისტიანული ორიენტაციისა და ევროპულ კულტურულ გარემოსთან სიახლოვის გამო ჩვენი ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა შავ ზღვას – უპირატესად სწორედ სანაოსნო გზით უკავშირდებოდა საქართველო ევროპას. როდესაც თურქებმა ბიზანტიის ათასწლოვანი იმპერია დაასამარეს (კონსტანტინოპოლი დაეცა 1453 წელს), ქართველობას ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის გზა გადაეკეტა. იმავდროულად, გარდაუვალი აუცილებლობა გახდა ახალი გზის მოძებნა – სწორედ ამ ხნიდან განსაკუთრებით ინტენსიური გახდა კონტაქტები რუსეთთან – დასავლეთის გზა უნდა შეეცვალა ჩრდილოეთის გზას. საქართველოს ამგვარი დაინტერესება ჩრდილოელი მეზობლით, რასაც ამ მეზობლის იმპერიული ზრახვების გამძაფრებაც მოჰყვა, მუსლიმური ქვეყნების დიდ შეშფოთებას იწვევდა. რუსეთის კავკასიაში დამკვიდრების პერსპექტივა ამ სახელმწიფოებისათვის უზარმაზარ პრობლემას ქმნიდა. ამ გარემოებების გათვალისწინებით ცხადი ხდება, თუ რატომ გაძლიერდა ირანისა და თურქეთის პოლიტიკური და სამხედრო ზემოქმედება საქართველოზე.

ეროვნული მთლიანობის დაკარგვა

3. არ უნდა დავივიწყოთ სუბიექტური მიზეზებიც – ძალიან ხშირად ჩვენ ისტორიულ უკუღმართობას გარეშე ფაქტორებით ეხსნიდით და გვავიწყდებოდა, რომ ქართველებიც სცოდავდნენ, თავად ჩვენშიც ბუ-

დობდა პიროვნული თუ რეგიონული ინტერესის ეროვნულზე აღმატების ქაოსური საწყისი, რაც ეროვნული მთლიანობისა და ერთსულოვნების იდეას აკნინებდა, ხოლო ზოგჯერ სპობდა კიდეც (ეს არ არის მხოლოდ ქართველი ხალხის დამახასიათებელი თვისება, მაგრამ ჩვენთვისაც გასათვალისწინებელია).

იოანე საბანისძე, დავით გურამიშვილი და ილია ჭავჭავაძე საგანგებოდ აღნიშნავდნენ ამ მიზეზს.

ყველაფერმა ამან და კიდევ სხვა მთავარმა თუ მეორეხარისხოვანმა მიზეზებმა საქართველო დაღუპვის პირას მიიყვანა.

ჩვენ სამი მიზეზი ჩამოვთვალეთ, – მაგრამ დავით გურამიშვილისათვის ისინი შედეგები უფრო იყო. შედეგები რისა? მთელი ერის ღვთისაგან განდგომისა. ბიბლიური თვალსაზრისით, უბედურებას მხოლოდ ცოდვიანობა და ღვთისგან გაშორება ბადებს – ადამიანი, ისევე როგორც მთლიანად ერი, საკუთარი ცოდვებისათვის ისჯება.

ღვთისგან განდგომა

„დავითიანის“ ორ თავში – „ქართველთა და კახთაგან თავიანთ უფალთან შეორგულება“ და „საწყაულის მოწყვა ღვთისაგან“ – გურამიშვილი სწორედ ამის შესახებ ლაპარაკობს:

„ორთა მათ ჩემთა უფალთა ერთად უჯსენე გვარია.
თუმცა ძირთაგან შორს იყვნენ, შრტოდ ახლოს მონაგვარია.
ერთი დავითის ძედ თქმული, რომელმან ივნო ჯვარია,
მეორე ვახტანგ მეხუთე, ქართველთა მეფედ მჯდარია“.

ქართველი ხალხი, – ამბობს დავით გურამიშვილი, – ორ უფალს აღიარებდა: ზეციურს – ქრისტეს („დავითის ძე“, „რომელმან ივნო ჯვარი“) და მიწიერს – ვახტანგ მეექვსეს
(პოეტი შეცდომით ასახელებს „მეხუთეს“).
ქართველობა ერთგული იყო ქრისტესი, მაგრამ ჭეშმარიტ გზას ასცდა:

„მას მორჩილებდნენ ქართველნი, ვით წესი იყო მონისა,
უმისოდ ჭირად მიაჩნდათ ცხოვრება სიამოვნისა:
მაგრამ კვლავ შეცდნენ მის გზითა, რა ცოდვის ბურმან მონისა.
ჩაცვივდნენ ცოდვის მორევსთა, გზა ვერ სცნეს მადლთა ფონისა“.

ასეთ დროს ყოველთვის გამოჩნდებიან ხოლმე ადამიანები, რომლებიც სამშობლოს დამდაბლებას ხვდებიან და ერს მოუწოდებენ ჭეშმარიტებას დაუბრუნდნენ – საქართველოშიც ასე მოხდა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია:

„ასწავლიდიან რჩეულნი თავიანთ ქვეყნის მეფისა.
წაუკითხიან ბრძანება გამოთარგმნილი კეფისა:

იქმენით ჯარკის მიმცემნი, აღმსრულებელნი სეფისა.
მოვიდა დიდი ძვირობა, დრო წაჰდა სიიეფისა“.

ქართველებმა „უარყვეს მცნება უფლისა, ისმინეს თქმა ეშმაკისა“, რაც იმით გამოიხატა, რომ „ბაგით პატივ-სცეს, აჩვენეს გული მტყუვარი ზაკვისა“, ამის შედეგად კი „რაც თესეს, ბოლოს მოიმკეს თავიანთ ნამუშაკისა“:

„არ დაიჯერეს, არა ქნეს სარწმუნო დასაჯერები; **დანაშაული...**
დაყრუვდნენ, ბრმანი შეიქმნენ, საქმე
ქნეს გასასტერები?
თუმც იყვნენ ხუცეს-ბერები, მათაც კარგი ქნეს ვერები,
დამცირდნენ მადლით მოყვრები, ცოდვით გამრავლდნენ მტერები...
შეიქმნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანეთის ძვრისა,
ამპარტავნობა და შური, ურცხვად გატეხა პირისა;
ავაზაკობა, ქურდობა, გზებზე დასხდომა მზირისა,
ტყვეობა, მოკვლა, ტაცება ქვრივთა, ობოლთა, მწირისა!“

ღვთის სასჯელმა არ დააგვიანა („მათ ღმერთსა სცოდეს, ღმერთმან მათ პასუხი უყო ცოდვისა“), მოსავალი გაჩანაგდა და ქვეყანაში შიმშილმა დაისადგურა, გვალვამ იმძლავრა, გარეული ნადირი მოსვენებას აღარ აძლევდა მოსახლეობას:

„გამოუვლინის ნადირნი, მჭამელნი კაცთა ჴორცისა. **...და სასჯელი**
მოთხარის მკვდარნი საფლავით, ცოცჴალიც
ბევრი ჴოცისა“.

მაინც არაფერი ეშველა ღვთისგან განმდგარ ქართველობას, თავს დატეხილმა ათასმა უბედურებამაც ვერ შეასმინა მათ ჭეშმარიტი სიტყვა და სწორედ მაშინ საქართველოს მოევლინა „უსაზომო რისხვა ღმრთისა“:

„ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას-შვიდას-ოც-და-ერთსა
ცოდვა მათი უმეტესად ესმა, მოეჴსენა ღმერთსა;
აღმოსავლით მტერი აღძრა, მოუწოდა კვლავ სამხრეთსა,
ღმერთმან მტერსა მოუვლინოს, რაც ქართლს უყვეს ან კახეთსა!
ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი ენა-მჭევრი!
იფქლი ღვარძლად გარდაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კევრი.
ერთმან მტერმან ათს მათსა სცის, ორმან წარიქციევის ბევრი,
მცირედ დარჩა ცოდვისაგან კაცი ღვთისგან შენანევრი.
თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი,
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაკრა თვითო ქიშტი!
მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი:
თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოიხვედრის ხიშტი!
ვით მამალი სხვის მამალსა დაჰმტერდეს და წაეკიდოს,
მას სცემოს და თვით იცემოს, დაქოჩროს და დაეკიდოს,

რა ორნივე დაღალულნი ძაღლმან: ნახოს, პირი ჰკიდოს, –
ეგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს!“

ქვეყნის გადაგვარებისა და აოხრების უმთავრეს მიზეზს დავით გურამიშვილი ქართველთა ინტერესების დაპირისპირებაში, ერთიანობის უქონლობაში, ფაქტობრივად კი, ერთმანეთის მტრობაში ხედავს. ძალა რომ მთელი სისრულით წარმოჩინდეს, ძალისხმევა ერთი მიმართულებით უნდა ხორციელდებოდეს. თუ ერთი ალთას იწევს და მეორე – ბალთას, ეს საერთო უღონობას გამოხატავს. ამადაც წერს გურამიშვილი:

„ერთი კაცი უკუღმართად ვნახე ერქვანთ ისხამს ფრთებსა;
კვლავ მეორე მისებრ მრუდსა მისთვის კაბდოს აკეთებსა.
მჴვნელსა ვკითხე: რად ეგრე იქ? თქვა: ძალა ჴნავს აღმართებსა,
მფარცჴველმა თქვა: დაღმა ვფარცჴხავ, აღმა-ჴნულსა ეს მართებსა“.

პოეტი ღრმა გულისტკივილით ამბობს:
„უკუღმართად ჴვნა და ფარცჴვამ ეს ნაყოფი გამოიღო:
მოგვითჴარა ქართლ-კახეთი, ძირ-ფესვიან ამოიღო!“

XVIII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ბრძოლის ისტორია

დავით გურამიშვილი თვალს გვადევნებინებს მე-18 საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ბრძოლის ისტორიას. თავში „რუსთ ჴელმწიფისაგან ქართველ მეფის ვახტანგის თავისთან მიპატიჟება“ პოეტი წარმოგვიდგენს ირანის შაჰის თამაზის (შაჰ-აბასის შვილიშვილის) სახეს, რომელსაც დიდი ანტიპათიით ხატავს:

„შეყვარებოდა ორივ მას – ლოთობა, მეძაობანი;
მით დაჰბნეოდა, წართმოდა თავისი ჭკვა და ცნობანი.
მუდამ შინ იჯდის განცხრომით, ვერ გასძლის გარეობანი,
მის გამო ვეღარ შეიძლო მან ქვეყნის პატრონობანი“.

ირანის სისუსტით მყისიერად ისარგებლეს ოსმალეთმაც, ავღანეთმაც და დაღესტანმაც. სწორედ ამ დროს გამოამჟღავნა თავისი ზრახვები რუსეთმაც. ქართველების დახმარების საბაბით რუსეთი კავკასიაში მარადიულად დამკვიდრებას ცდილობდა. ასე იყო თუ ისე, ამ დროისათვის რუსეთი ქართველების მეკავშირე ჩანდა და დიდ გასაჭირში ჩავარდნილი ქვეყნისათვის პეტრე პირველის ყურადღება ლამისაა ეროვნულ ხსნას გაუტოლდა. ამიტომაა, რომ დავით გურამიშვილი დიდი სიმპათიითა და პატივისცემით ლაპარაკობს პეტრე პირველზე:

სიმპათია პეტრე პირველის მიმართ

„ვირემდის იყო ცოცხალი, რუსეთში გადამწვარია;
ბრძენ, უხვი, მართალ, მოწყალე, სამართალ დაუმცდარია;

მტერთა მებრძოლთა ყოველთა მან ყველას ჯელი დარია,
მოკვდა და თვისის ანდერძით აწ ისევ საქმობს მკვდარია“.

ჩრდილოეთ კავკასიაში სოლაღის ციხესიმაგრის აშენებით რუსეთმა ამიერკავკასიაში დამკვიდრებისათვის ძლიერი ფორპოსტი შექმნა. მისი ამგვარი გაძლიერება საქართველოსთვისაც ქმნიდა მუქარას, მაგრამ ამ დროს ჩვენი ერის ისტორიაში ერთმანეთს ორი ჭირი დაუპირისპირდა და ქართველთა პოლიტიკოსებმა ისევ მოსალოდნელი საფრთხე (რუსეთის დამკვიდრება კავკასიაში) არჩიეს უკვე რეალურად არსებულ და დამღუპველ საფრთხეს (მუსლიმურ ოკეანეში ჩანთქმას).

რუსეთის კავკასიური პოლიტიკის სათავეში ქრისტიანული სარწმუნოება იდგა. ერთმორწმუნეობის ნიშნით აღბეჭდილი კავშირი დიდ და ძლიერ სახელმწიფოსთან გაუთავებელი ბრძოლებით ღონემიხდილი საქართველოსთვის მომხიბლავი პერსპექტივა აღმოჩნდა.

მიუხედავად ამისა, რუსეთთან სამოკავშირეო ურთიერთობის დამყარების საკითხი მარტივად არ გადაჭრილა ქართლის სამეფო კარზე. მომხრეები ამბობდნენ:

„ქრისტიანის ხელმწიფისა ხელ-დებულნი შევიქნებით,
ჩვენ მაგაზე რად წავხდებით, თუ არ უფრო გავკეთდებით“.
(„რჩევა ქართველთა ბატონისა“)

ამ კავშირის მოწინააღმდეგენიც არ ცხრებოდნენ – თავისთავად ეს მფარველობა კარგია, მაგრამ სანამ ერთმორწმუნე რუსეთი გვიშველის, მუსლიმები ჩვენსას დაგვმართებენო.

...არც ჩვენ ვსწუნობთ, კარგი არის, თუ ეგ საქმე მალ მოხდების,
მაგრამ მტერნი შეგვიტყობენ, ჯერლა ჩვენზე წამოდგებიან.
ვირემ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგვჭდების“.

ვახტანგ მეფის რუსული ორიენტაცია

აზრთა სხვადასხვაობა უკვე ზედმეტი აღმოჩნდა – მეფეს გადაწყვეტილება მიეღო.

„ვითარ ირემსა მაშვრალსა წყაროსა წყალი სწყუროდა,
ეგრეთ მეფესა რუსეთის ჯელმწიფის ნახვა სუროდა“.

დავით გურამიშვილი არ მალავს, რომ ვახტანგ მეექვსის პოლიტიკურ თამაშს „სამ ვეშაპთან“ (ირანთან, ოსმალეთთან და რუსეთთან) შეშფოთება და უკმაყოფილება გამოუწვევია ქართლში:

„მეფეს სძრახავდნენ, იტყოდნენ ეგევითარსა გმობასა:
სამ დიდს ხელმწიფეს პირს აძლევს, სამგან იკეთებს ყმობასა!
ყეენის სპარსალარია, თავს ირჭვამს მის რაყმობასა!
რუსთ ხელმწიფესთან მამაობს, ხვანთქართან ჩემობს ძმობასა!

ჩვენს ჭკვაში ესე საქმენი არ არის მოსაწონარი:
რა სამთავ ცემა შაექმნასთ, ჩვენზე მათ შექნან ონარი,
გარს მოგვეჭიროს მუხრუჭი, არსით ჩნდეს მოსაფონარი,
ვიქნებით შვილთა ჩვენთაგან გინებით მოსაგონარი!“

პოეტის სიტყვით, ვახტანგ მეექვსე ანგარიშს არ უწევდა ამგვარ შეგონებებს და ერთპიროვნულად წყვეტდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეებს:

„ბევრნი ბევრ რამეს იტყოდნენ, მაგრამ ვინ მოუსმინებდა?
მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა, რასაც ინებდა!“

ქართლის პოლიტიკურ მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ მეფესა და მის ძეს, ბაქარს, ერთსულოვნება არ ჰქონდათ და განსხვავებული ორიენტაციისა იყვნენ:

„წაჴდენის დროს მამა-შვილთაც არა ჰქონდათ ერთი პირი,
არჩევდიან, არ მოსწონდათ ერთმანერთის ნავეზირი...
მამა რუსეთს იზიდევდა, შვილი – ყეენისა კარსა“.

ვახტანგის რუსული ორიენტაცია შაჰისათვის საიდუმლოდ არ დარჩენილა. ირანის მბრძანებელი დიდად განრისხდა. პოეტის თქმით, ჯერ მას ის შეასმინეს, რომ ვახტანგს კავშირი ჰქონდა ყეენის ვაზირ ემამანდოლესთან, რომელსაც ღალატი დაჰბრალდა და თვალები დასთხარეს; ახლა კი, როდესაც ქართლის მეფეს რუსეთთან კავშირის სურვილიც შეატყვეს, მათგან პატიება უკვე შეუძლებელი გახდა. მაგრამ დასუსტებულ ირანს იმხანად არ შეეძლო ვახტანგის დასჯა და შაჰმა გამოცდილი დიპლომატიური სვლა გააკეთა – შეეცადა ერთი ქართველი მეორის ხელით ჩამოეშორებინა პოლიტიკური სარბიელისათვის:

„ვახტანგ ქართლში ბრძანდებოდა, სხვაფრივ ჴელი ვერ აწვდინეს,
ჩამოართვეს ქართლი, მისცეს ერეკლეს ძეს კონსტანტინეს“.

კონსტანტინეს, კახთა მეფეს, დავით გურამიშვილი გულთბილად მოიხსენიებს. მიუხედავად იმისა, რომ მას ჰქონდა ფორმალური საფუძველი ქართლის დაჭერისა, კონსტანტინემ საერთო ქართული საქმის ერთგულება ამჯობინა ახალი მიწების მოხვეჭასა და ძმათა სისხლისმღვრელი ომით მტრის გახარებას. პოეტი კახთა მეფეს ათქმევინებს:

„მე კაცი ვარ ჴორციელი, სულ ხომ ცას არ შავბერდები;
ვით ვყოფილვარ მიწა-მტვერი, ისრევ ისე გაჰვმტვერდები.
მე მტრად სხვანიც მეყოფიან, ძმასა რად-ღა დავმტერდები?
იმას ისრევ ქართლი ქონდეს, მე ჩემს კახეთს დავსჯერდები!“

კონსტანტინემ მეგობრობის წერილი მისწერა ვახტანგს და თანადგომა გამოუცხადა.

ვახტანგ მეფემ დიდად მოიწონა კონსტანტინეს განაზრახი და ის ქართლში მიიწვია მოსალაპარაკებლად. ქართლისა და კახეთის პოლიტიკური კავშირი რეალობა გახდა მაგრამ, სამწუხაროდ, ამჯერადაც აღმოჩნდა სხვა ძალა, რომელიც, პირად ინტერესებს აყოლილი, დაინტერესებული არ იყო ქართველთა ერთიანობით – ეს იყო ვახტანგის ძმა იესე. ამ კაცმა ყველაფერი იღონა, რომ ვახტანგსა და კონსტანტინეს შორის უნდობლობა დაეთესა. მან ეპიფანე ბერი გაუგზავნა კახთ ბატონს და წერილით აუწყა, რომ ქართლის მეფე მის მოკვლასა და კახეთშიც გამეფებას აპირებდა.

ქართლისა და კახეთის დაპირისპირება

კონსტანტინემ მზაკვრული დასმენა დაიჯერა და ვახტანგთან სამეგობროდ წამოსული შუა გზიდან მტრად გაბრუნდა უკან, კახეთში. ამის შემდეგ ქართლსა და კახეთს შორის შფოთი ჩამოვარდა. კონსტანტინე უკვე საბაბსღა ელოდა, რომ ქართლზე გაელაშქრა და ყეენისაგან ნაბოძები მიწა-წყალი დაემკვიდრებინა. მან მუქარითა და კადნიერებით სავსე წერილი გაატანა ვახტანგთან თავის ელჩებს – სასულიერო პირებს. დავით გურამიშვილი ირონიითა და სევდით სავსე აგვიწერს ამ „ელჩებს“.

„მოუხაროდათ დიაკვნებს საქართლოდ გაჩაფრულებსა:
„გვაწირვინებენ ქართველნი, ვიშოვნით მრავალს ფრულებსა;
საქონლით სავსეს მოვასხამთ ჯორ-აქლემთ დაყათრულებსა!“
ეს არ ეგონათ, საკანში ჩაყრიდნენ ხელ-შეკრულებსა!
ერთმან იხუმრა ვიბანებ თიფლის აბანოს ნურითა,
მეორემ – თევზით გავძღები ზურგიელ გელაქნურითა,
მესამემ – მივიბრუჟები ღვინითა ატენურითა...“

საქართველოს ტერიტორიული და სულიერი გათიშვა

დავით გურამიშვილი ნათლად გვაგრძნობინებს ერთ სამწუხარო გარემოებას – საქართველო გათიშულია არა მხოლოდ ტერიტორიულად, არამედ სულიერადაც. მეტიც – განცალკევებულნი არიან არა მხოლოდ ცალკეული სამეფოები და სამთავროები, ადამიანები „განთვითეულებულან“. ცნება „მამული“, ეროვნული ერთიანობისა და მისთვის თავგანწირვის შეგრძნება და შეგნებაც დროის ავბედით მდინარებას ნაუღია. ის, რისთვისაც იღვწოდნენ და იბრძოდნენ იოანე საბანისძე, გრიგოლ ხანძთელი და დავით აღმაშენებელი, გაპარტახებული ჩანს – „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების“ მხოლოდ განათლებული და ქვეყნის ერთგული კაცების სევდიან მოსაგონრადღა ქცეულა.

კონსტანტინეს ლაშქარი თბილისს დაატყდა თავს და ვახტანგი გააქციეს. საშინელი და სამწუხარო იყო ძმათა შორის ომი: „თეთრსა მტკვარსა წითლად ღებდა, რაც მათ სისხლი დააქციეს!“

ვახტანგი დამარცხებას არ შეეპუა და „საშველად“ ოსმალეთს უხმო, რათა თბილისი დაებრუნებინა. კონსტანტინემ ლეკები მოიხმო. გაბოროტებამ

დააბრმავა ორივე მეფე – თავიანთი საქმის კეთებაში მტრის საქმე გააკეთეს! დავით გურამიშვილი წერს:

„მოტყუვდნენ ჯუროთმოძღვარნი, იხმარეს ავი ჯურონი,
ძველთაგან მკვიდრად ნაშენნი, საქართლო-საკაჯურონი
მოშალეს, ვეღარ იშენეს სრა-ვანი საკვეჯურონი,
ყმა და მამული მტრებს მისცეს, თვით დარჩნენ უმსაჯურონი.

ოსმალეთის ძლიერ ჯარს კონსტანტინე წინ ვეღარ აღუდგა და თურქებმა თბილისი დაიკავეს, კახთ-ბატონი მათ „წინ მიეგება, მიართვა კლიტენი ციხის კარისა". ვახტანგი იძულებული გახდა, რუსეთს წასულიყო (ოსმალეთს სრულიადაც არ უნდოდა მისი „შველა"), ხოლო მისმა ძმამ, იესემ მაჰმადიანობა მიიღო და თურქებთან დარჩა.

შექმნილმა აუტანელმა ვითარებამ ქართველები აიძულა ისევ ერთიანობაში ეძებნათ ხსნა. კონსტანტინემ გაერთიანებული ქართული ჯარით გორის ციხეს შეუტია. აქვე მოვიდა თურქთა ლაშქარიც. ბრძოლა ზედაველასთან გაიმართა. დავით გურამიშვილი დამარცხების გულისშემძვრელ სურათს ხატავს.

ეროვნული კატასტროფა

„ვაი, იმ დღეს! ოსმალონი ბევრს უბრალოს
სისხლსა ღვრიდენ.
საცა შეხვდისთ მუშა-კაცი, გლახა მწირსა
თავსა სჭრიდენ;
გოდორს თავი აკლიაო, ცხრის ურმისა ზარში ჰყრიდენ,
ტანთ მარხველი არა ყვანდა, მელა-ტურა გამოჰვრიდენ!"

ასეთი კატასტროფის შემდეგ, ბუნებრივია; „მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამლადა!" დავით გურამიშვილი კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ უბედურება „მოგვგვარა ჩვენ ერთმანეთის ბრძოლამა!"

ამ ამბების აღწერას მოსდევს თავი „დავით გურამიშვილის ლეკთაგან დატყოება". ამ და მომდევნო თავებში აღწერილია პოეტის თავგადასავალი. დავითის მიზანდასახულობა ნათელია – ქვეყნის ბედი ყოველთვის აირეკლება ხოლმე პიროვნების ბედში, ადამიანი არ არსებობს დროისა და სივრცის გარეშე, მის მიღმა – და ამდენად, კერძო კაცის ცხოვრება ჭეშმარიტი სარკეა სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა. დავით გურამიშვილის ფათერაკებითა და ათასი გაჭირვებით აღბეჭდილი თავგადასავალი ცხადად წარმოგვიდგენს მისი დროინდელი საქართველოს უბედურებისა და უკეთურობის ნიშნით დადაღულ ვაი-ვაგლახიან არსებობას.

სახელმწიფო და პიროვნება

ქვეყანა არა მხოლოდ ტრადიცული საარსებო სივრცეა ადამიანისათვის, არამედ მისი ღირსებისა და უსაფრთხოების დამცველიც. მე-18 საუკუნის ქართული სახელმწიფოებრიობა პიროვნებას არავითარ გარანტიას არ აძლევდა იმისა, რომ მისი ღირსება არ შეილახებოდა და მის სიცოცხლეს არ

ხელყოფდნენ. კაცი მხოლოდ საკუთარ ძალმოსილებას თუ დაეყრდნობოდა, მაგრამ, როდესაც საქართველოს უამრავი კარგად ორგანიზებული მტერი ჯიჯგნიდა, ერთი კაცის მცდელობა თავის გადასარჩენად თითქმის უნაყოფო საქმე იყო. ასეთ დროს ხსნა სამშობლოში აღარ არსებობდა და ძალიან ხშირად, ნებსით თუ უნებლიეთ, ადამიანი უცხო ქვეყანაში პოულობდა მას. ეს ხსნა სევდიანიც იყო და ტრაგიკულიც, მისთვის პიროვნება უზარმაზარ მსხვერპლს იღებდა – ის უსამშობლო კაცი ხდებოდა და განწრული იყო მარადიული მონატრებისათვის. დავით გურამიშვილის პოეზია გაჟღენთილია სამშობლოდაკარგული კაცის მწუხარე და თანაც მაძიებელი ფიქრით. როდესაც რეალური სამშობლო შორსაა, პოეტი წარმოსახულ მხატვრულ სამყაროში „ქმნის“ და მაქსიმალურად „ხელშესახებს“ ხდის მას. „ქართულობის“ გამძაფრებული შეგრძნება დავით გურამიშვილის „სასიცოცხლო ინტერესია“.

დავით გურამიშვილის თავგადასავალი

გურამიშვილი დაწვრილებით გვიყვება თავისი თავის შესახებ:

„მე ვიყავ ერთი თავადი, მოსახლე გორის – უბანსა;
ჯვარობას ჩვენი ქალ-რძალნი იცვამდნენ არ ავს ჯუბანსა;
მუნით გამტყორცნა საწუთრომ, გარდამაცილვა ყუბანსა,
ვაი, რა კარგა მოვსთქვემდი, მეტყოდეს ვინმე თუ ბანსა!
მო, ყური მიგდე, მოგითხრობ ტყვედ ჩემსა წამოყვანასა,
ქართლის წახდენის ჟამსაჲთ ცხრაჴუთრეგდი სხჳის ქუეყანასა.
სადაც უხმობენ სახელად, ქსნის ხევზე ლამის-ყანასა,
მუნ მოყვრის მუშას თავს ვადექ, მკას უპირებდა ყანასა.
დილაზე ავდექ, წინაწინ წაველ კაცითა ორითა,
ვსთქვი, მუშას სადილს უმზადებთ ძროხით, ცხვრითა და ღორითა;
არ შეყრილიყო ჯერ მუშა, იყვნენ მოსასვლელ შორითა,
ჩვენ თურმე გვნახეს, მოგვმართეს ლეკთა არტოზის გორითა;
მუნ ახლოს წყარო დიოდა, მასთან ტყე იყო ხშირადო,
იქ მოგვეპარნენ, დაგვისხდნენ თხუთმეტი კაცი მზირადო;
ავიჯსენ თოფი და ჴმალი, მივყუდე მუხის ძირადო;
იმ წყალზე პირის საბანად მე მიველ თავის ჭირადო;
შემიპყრეს, წამომიყვანეს, ჴელ-ფეჴს მომიდვეს გენია,
გარდმომატარეს ასი მთა, მინდორი ცხრა იმდენია;
მუდამად თვალთა ნაკადი მდუღარე ცრემლი მდენია,
მაჭამეს დუმა და ალი, მაჴვრიპეს ხინკლის წვენია...
მიმიყვანეს, არაღირსთა ღირსეულად მიმსაჯურეს,
არც მასვეს და არც მაჭამეს, არც ჩამაცვეს, არც დამჴურეს,
უსასყიდლოდ მიღებული გასასყიდლად დამაშურეს...“

დაღესტნის სოფელ ოსოჭოლოდან გამოქცეული დავით გურამიშვილი ჩრდილოეთის გზას დაადგა – როგორც ჩანს, იფიქრა, რომ სამშობლოსაკენ

წამოსულს მდევარი ადვილად აღმოაჩენდა და კვლავ შეიპყრობდა. ხანგრძლივი ხეტიალისა და დიდი გაჭირვების შემდეგ დავითმა რუსეთს გააღწია:

„შევამოკლო, აწ რა მერგო, რაც ვიუბენ ამდენ ხანსა?
თერგიდამე სოლაღს წაველ, სოლაღიდამ აშტარხანსა,
მუნით მოსკოს მეფე ვახტანგს, ბაქარს – შინაოზსა ხანსა –
ვეახელ და თაყვანსა ვეც: ბრძანეს: „სჭვრიტე ჯაბახანსა“.

გურამიშვილს ჯაბადარბაშობა (იარაღის საწყობის ხელმძღვანელობა) უბოძეს – ასე დაიწყო მისი ხანგრძლივი ცხოვრება ემიგრაციაში, თუმცა მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ველარასოდეს იხილავდა სამშობლოს.

ვახტანგ მეექვსე თავისი დიდი ამალით რუსეთში 1724 წელს წავიდა. დავით გურამიშვილი მას ექვსი წლის შემდეგ – 1730 წელს შეუერთდა. ქართველი ემიგრანტების მდგომარეობა რთული, ხოლო პერსპექტივა ძალიან ბუნდოვანი იყო. როდესაც ვახტანგ მეექვსე რუსეთში ჩაბრძანდა, პეტრე პირველი უკვე გარდაცვლილი იყო. მის ორ მემკვიდრესაც „მოშლოდათ წუთისოფელი“. ვახტანგი საგონებელში იყო ჩავარდნილი:

„თავისას, თავის ქვეყნისას უბედურობას ჩიოდა:
გაგრძელდა საქმე, გაძნელდა, რაღა ვსთქვა, რა ვარჩიო, და?“

რუსეთის ტახტზე ახალი გვირგინოსანი ავიდა – ანა.

ანამ ვახტანგ მეფის თხოვნა შეიწყნარა და ყოველნაირი დახმარება აღუთქვა. გახარებული და იმედიანი ვახტანგი პეტერბურგიდან მოსკოვში დაბრუნდა და ირანელებზე სალაშქროდ გაემზადა. ქართველებისა და რუსების გაერთიანებულ ჯარს შამახია უნდა აეღო, რითაც ირანელების პოლიტიკურ ზრახვებს ფრთები შეეკვეცებოდა, მაგრამ ამ გეგმას ასრულება არ ეწერა – ბედის ჩარხი ისევ უკუღმა დატრიალდა. ირანში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, რამაც პოლიტიკური სიტუაცია მთლიანად შეცვალა – ქართველებისათვის არასახარბიელოდ.

პოლიტიკური სიტუაციის შეცვლა და ვახტანგის გეგმის ჩაშლა

გონებასუსტი და გარყვნილი თამაზის შემდეგ ირანში გამეფდა ძლიერი ნებისყოფისა და გონების კაცი – ნადირ-შაჰი. მან თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი სწრაფად ჩამოიშორა და როდესაც შინაური საქმეები მოაგვარა, აქტიური საგარეო პოლიტიკისთვისაც მოიცალა. ნადირ-შაჰმა იმძლავრა და რუსებს ამიერკავკასიაზე კონტროლის უმთავრესი რგოლი – სოლაღის ციხე-სიმაგრე დაანგრევინა. რუსეთმა თავისი კავკასიური გეგმების შესრულებაზე დროებით ხელი აიღო, ეს კი ვახტანგ მეექვსის პოლიტიკური იმედების სრულ განადგურებას ნიშნავდა. მეფე ასტრახანში დაფუძნდა და თავის ამალას მოქმედების თავისუფლება

მისცა. ვახტანგის შვილი მოსკოვში წავიდა საცხოვრებლად, ბევრი მას გაჰყვა. გურამიშვილი გულმძიმედ აღწერს მეფესთან განშორებასა და მოსკოვში გამგზავრებას:

„ყოველმან კაცმან საგზაოდ შევქენით მომზადებანი,
თავ-თავის საჯდომს ნავშიგან ნუზლთა და ბარგთა დებანი.
ვსწუხდით მეფისა გაყრისთვის, გვწვევდა სახმილთა დებანი,
ბევრმან დავსწყევლეთ მას დღესა ჩვენ ჩვენი დაბადებანი“.

მიუხედავად მეფის ასეთი პატივისცემისა, დავით გურამიშვილი არ მალავს ბაქარის სიტყვებს მამის შესახებ („მართლის თქმის“ პრინციპი!):

„ვერა ვნახე რა მაგისი ღრმად საქმე მინაწდომარე,
რაზედაც მიდგა, არ დარჩა ის საქმე წაუხდომარე!“

ქართველთა უსამშობლობა და უიმედობა

ნადირ-შაჰის აღზევებამ და რუსეთის უკან დახევამ ქართველების ბედი ემიგრაციაში საბოლოოდ გადაწყვიტა – ყველაზე ბოლოს იმედი კვდება და ეს ბოლოც დადგა! სასოწარკვეთამ დაისადგურა ქართველთა გულში – არც სამშობლო და აღარც იმედი. ამიტომ სრულიად გასაგებია, თუ რა განწყობილება დაეუფლებოდათ ემიგრანტებს უცხო ქვეყანაში, რომელშიც მათ ხელახლა უნდა დაემკვიდრებინათ თავი. ამგვარი ტკივილნარევი მდგომარეობა ამძაფრებდა წუთისოფლის ამაოებისა და გაუტანლობის შეგრძნებას. სოფლის სამდურავი საკმაოდ დიდ ადგილს იჭერს „დავითიანში“. თუმცა ეს მოტივი საზოგადოდაც დიდად დამახასიათებელია აღორძინების ხანის ქართული ლიტერატურისათვის.

სოფლის სამდურავი

„სევდა უსახოა“, – ამბობს ფრანგი პოეტი პოლ ვალერი. სევდა გათანგული სულის მდგომრეობაა, ისაა ყოველსმომცველი ადამიანური შეგრძნება სამყაროსა და პიროვნული ცხოვრების მოუწესრიგებლობისა, ქაოტური საწყისის მძლავრებისა. სევდა სახელშეურქმევლობაცაა. მოზღვავებული გრძნობის არსში ვერჩაწვდომაა. მაგრამ სევდა თურმე შეიძლება მშვენიერიც და მეტიც – ამაღლებულიც იყოს – ამაში უმალ დაგვარწმუნებენ დავით გურამიშვილის შეუდარებელი შინაგანი ჰარმონიისა და სილამაზის შემცველი სტრიქონები:

ამაღლებული სევდა

„ნუ მიენდობი, საწუთრო მტყუვანი არს და უპირო!
არ დაიჭირვის ხელშია, რაგინდ რომ ბჭალი უჭირო;
დღეს რომე ლხინი მოგაგოს, ხვალ ვერ მოურჩე უჭირო,
ამად სჯობს, ხორცი უვარჰყო, სულსა ულოცო, უწირო...

ვიცნობ, მეც ვიყავ სოფელსა განცჯრომასა და შვებასა;
მიყვარდა, კარგად მიმაჩნდა, ვცდილობდი არ გაშვებასა,
ახლა თქვენც ხედავთ აწ ჩემსა მის გამო პირქუშებასა,
გული დაუწვავს საჯმილით სულთქვნასა და უშებასა.
მოკლეა ესე სოფელი, კაცს არ შერჩების წამ-ერთო,
რაც მომებოძა თავიდგან, ბოლო-ჟამ ისევ წამერთო!
მან დამიკვანძა, მუხთალმა, მე რაცა მეხვეწა-მერთო,
მის გამო სევდით მე გული, ვით შეშა, ცეცჯლზე წამერთო...
მიდის-მოდის ეს სოფელი ქარტეხილთა ზღვისებრ ღელავს,
უკან დასდევს დრო და ჟამი, მის ნაქსელავს ქსოვს და სთელავს.
ის მჭლე კაცი ცელს რას აქნევს, რასა სთიბავს, რასა სცელავს?
ამად ვსწუნობ საწუთროსა, სულ ბნელია, რასაც ელავს!"

ვახტანგ მეფის გარდაცვალება

ქართული ემიგრაციისათვის თავზარდამცემი იყო ვახტანგ მეექვსის გარდაცვალება – მისი სიკვდილით თითქოს სამშობლოსთან რეალურად დამაკავშირებელი უკანასკნელი ძაფიც გაწყდა. გაფერმკრთალდა და გაუჩინარდა სიმბოლო ქართველთა მდგრადობისა, თითქოს ცნობიერებაში უმნიშვნელოვანესი ფესვი ამოიძირკვა და დარჩა უსაშველო სიცარიელე. ამადაც მოთქვამს გურამიშვილი:

„ვაი, რა ბოძი წაიქცა, საჯლ-კარი თავს დაგვექცაო!
ლხინი, შვება და სიამე სულ ჭირად გარდაგვექცაო.
ჩვენ, ყმანი, დავრჩით, პატრონი წავიდა, შორს გაგვექცაო,
გაფრთხილდი, შენც არ დაგვექცე, ღვთის მაცა (მადლსა – გ.მ.)
მაგრა დექ, ცაო!"

ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ ქართველთა წინაშე ასეთი არჩევანი დააყენა: ან საქართველოში უნდა დაბრუნებულიყვნენ, ან რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღოთ და მათ სამსახურში ჩამდგარიყვნენ. უმრავლესობამ მეორე გზა აირჩია, რადგან სამშობლოში მათი დაბრუნება დიდ ხიფათთან იყო დაკავშირებული.

თავდაპირველად ქართველ ემიგრანტთა კოლონია ერთსულოვნად ცხოვრობდა, მაგრამ თანდათანობით თავი იჩინა შურმა და ერთმანეთის გაუტანლობამ. განსაკუთრებით დაზარალებულა დავით გურამიშვილი, რომლის შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი ძალადობასა და მის შედეგად გაჩენილ ხანძარს უმსხვერპლია:

„შურმან მე დიდად დამკოდა, ხმალი შემომკრა მისრისა,
მსხვილს შვილებს ყელი დამიჭრა, წვრილები ფეხით მისრისა;
ცეცჯლით დამიწო საჯლ-კარი, ვამე, ჯავრი მკლავს მის სრისა!
ვით აღლესილი ლაჯვარი, მით სევდა გულსა მისრისა".

„მსხვილი შვილები" პოემებს უნდა ნიშნავდეს, ხოლო „წვრილი" კი – ლექსებს. ადვილი წარმოსადგენია, როგორი დარტყმა იქნებოდა ეს პოეტისათ-

ვის, რომლის ცხოვრების აზრიც (სამშობლოს დაკარგვისა და ათასი უბედურების გადატანის შემდეგ) მისსავე პოეზიაში გაცხადდა – რა უზარმაზარი ნებისყოფა და სულიერი ენერგია უნდა ჰქონოდა დავით გურამიშვილს, რომ განადგურებული შემოქმედება აღედგინა უკვე მოხუცებულსა და წუთისოფელზე გულგატეხილს!

„დავითიანი" – ეს არის მკვდრეთით აღმდგარი პოეზია გურამიშვილისა, მინიერ ცეცხლში განწმენდილი და ღვთიურ ცეცხლად აგიზგიზებული. ლექსში „ამიცანა ზმიანი" დავით გურამიშვილი ერთ უცნაურს აზრს გამოთქვამს:

„ცოცხალნი შობენ მკვდართა, და მკვდარნი ცოცხალთა ბადებენ!
ამას არ ავხსნი, სანამდის მე სოფელს არ მიქადებენ;
ასე თქმისათვის მსმენელნი რად დანაშაულს მადებენ?
თვითონაც მალე ახსნიან, თუმცა რომ მაინადებენ".

მოკვდავნი და უკვდავება

ადამიანს დაბადებისთანავე ახლავს სიკვდილი („რაწამს კი დავიბადებით, იქვე საფლავი მზად არი"), ამიტომ „ცოცხალნი შობენ მკვდართა" – ვინც იშობება, იმთავითვე სიკვდილთან წილნაყარია: „მკვდარნიც" ცოცხლებს ბადებენ, იმიტომ რომ ის, ვინც იმთავითვე სიკვდილისათვის განწირულია, დასაბამს უდებს არსებობის გამგრძელებელს. ადამიანი მოკვდავია, მაგრამ თავად სიცოცხლეა უკვდავი! ბედნიერია მხოლოდ ის კაცი, რომელიც ამ მარადიულ სიცოცხლეს შეიგრძნობს და ღირსეულად ატარებს მას: გაუთავებელ ადამიანურ წარმომავლობაში სიცოცხლის არსის მოძიება ცხოვრების აზრის პოვნაცაა იმავდროულად. არსი ერთია, მაგრამ მისი მიღწევის გზაა უსასრულოდ ბევრი.

დავით გურამიშვილის გზა – შემოქმედის გზაა, საკუთარი პოეზიით შესწვდა ის უზენაესს, გადალახა ბედის საზღვარი, რომელიც ბუნებამ დაუწესა, დროშიც და სივრცეშიც, ადამიანს.

ყოველი კაცი ეძებს თავის პიროვნულ ხსნას, თავის ჭეშმარიტ ადგილს სამყაროსა და საზოგადოებაში. და რომ მოყვასს „სიძნელე გზისა გაუადვილდეს" იწერება „დავითიანის" დარი წიგნები – „ხატად და მსგავად" ღვთიური ცხოვრების წესისა.

ტექსტის ანალიზი

I. ტექსტის გაგება

1. რას ნიშნავს, რომ „დავითიანი" პოეტის „შვილია", მისი „ძეა"?

2. ვის ახასიათებს დავით გურამიშვილი შემდეგი სიტყვებით: „მიუწვდომელი, უზომო, გამოუთქმელი, მბრწყინველი..."?

3. „დავითიანის" რომელი სტროფები შეიძლება მივიჩნიოთ 148-ე ფსალმუნის ანალოგად?

4. როგორ განმარტავთ სიტყვებს: „ჩემსა კაცად მჭატველს, მსაჭველს, რაც მე ძალმიცს, გიქებ სახელს“?

5. რას ნიშნავს, „სხიო მზეთა-მზის სახეო“?

6. ვისი სიმბოლური სახელებია „ცხოვრების წყარო“ და „უსასყიდლო მარგალიტი“?

7. რას ნიშნავს „საჴით სიტყვა შვენიერო“?

8. „დავითიანის“ რომელი სტროფები გადმოსცემს ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების მოკლე ისტორიას?

9. რა უნდა ვიგულისხმოთ გურამიშვილის სიტყვებში: „ნათლისა გავხდე მიჯნური“?

10. რა სიმბოლური აზრი უნდა ამოვიკითხოთ „დავითიანის“ ორსტროფიან ლექსში „ამიცანად იგავი, ასახსნელად ადვილი“?

11. ვისზე მიგვანიშნებს შემდეგი სიტყვები: „ცხოვრების წყლის ღარი“ და „ღვთის ძღვენთ წინამძღვარი“?

12. როგორ განმარტავთ გურამიშვილის სიტყვებს: „მოდი, მსმენელო, ისმინე, დაჩუმდი, ვიტყვი, სუ, რასა, უკვდავებისა წყაროთი მოგართმევ სავსეს სურასა“?

13. ვისი პარადიგმული სახეებია: „კიბე“, „მაყვალი“?

14. რას გამოხატავს პარადიგმული სახე „ყვავილი“?

15. როგორ განმარტავთ გურამიშვილის სიტყვებს... „ოდეს ადამ ბრმად ღმერთმა დაბადა, ნათელი ეცვა ტანთა კაბადა“?

16. როგორ გესმით: „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო: ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“?

17. რას ნიშნავს: „იქმოდე გულის თქმისასა, გემოვნებისა თმენასა“?

18. როგორ გესმით სიტყვები: „ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა“?

19. დაასახელეთ ის სამი ძირითადი მიზეზი, რამაც XVIII საუკუნის საქართველო უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო?

20. რას ახასიათებს დავით გურამიშვილი შემდეგი სიტყვებით: „მოტყუვდნენ ჯუროთმოძღვარნი, იხმარეს ავნი ჯურონი“?

21. ვის ეხება სიტყვები: „ვაი რა ბოძი წაიქცა, საჯლ-კარი თავს დაგვექცაო“?

22. როგორ განმარტავთ გურამიშვილის შემდეგ ორ სტრიქონს: „ცოცხალნი შობენ მკვდართა, და მკვდარნი ცოცხალთა ბადებენ“?

II. ტექსტის შეფასება

1. როგორ დაახასიათებთ „დავითიანის“ კომპოზიციურ აგებულებას?

2. რა მხატვრული ლოგიკა უდევს საფუძვლად „ზუბოვკის“ სიმბოლიკას?

3. დაასახელეთ ის სიმბოლოები „ზუბოვკიდან“, რომელიც მაცხოვარს მიემართება.

4. რა არის პარადიგმული სახეები?

5. „დავითიანის“ რომელ სტროფებში ჩანს ნათლისა და სპექტრული ფერების სიმბოლიკა?

6. როგორ არის წარმოჩენილი „დავითიანში“ წინააღმდეგობრიობის პრინციპი?

7. როგორ დაახასიათებთ „მართლის თქმის“ პრინციპს?

8. ჩამოაყალიბეთ გურამიშვილის შეხედულება აღზრდაზე.

9. როგორ ახასიათებს გურამიშვილი პეტრე პირველს?

10. როგორ ახასიათებს დავით გურამიშვილი ვახტანგ VI-სა და ბაქარის ურთიერთობას?

11. შეაფასეთ გურამიშვილის დამოკიდებულება წუთისოფლის მიმართ.

III. განსხვავებული ხედვა

1.„დავითიანის“ ტექსტის მიხედვით ჩამოაყალიბეთ ვახტანგის სამეფო კარზე რუსული თუ ირანული პოლიტიკური ორიენტაციის მიმდევართა პოზიციები.

2. როგორ შეაფასებდით დავითის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ აღზრდის პროცესში შესაძლებელი უნდა იყოს მოსწავლის ფიზიკური დასჯა?

3. ეთანხმებით თუ არა, წუთისოფლის გურამიშვილისეულ შეფასებას?

IV. თხზულების გააზრება

1. დავით გურამიშვილის თავგადასავალი (შეეცადეთ გააანალიზოთ და შეაფასოთ დავით გურამიშვილის არა მხოლოდ ფათერაკებით სავსე ცხოვრება, არამედ მისი სულიერი თავგადასავალიც);

2. ნათლის ესთეტიკა „დავითიანში“ (აქ წარმოაჩინეთ ნათლის, როგორც სიმბოლური ფენომენის – თეორიული გააზრება და ასევე – ნაწარმოების კონკრეტული მაგალითებით დაასაბუთეთ, რომ გურამიშვილი თავის ტექსტში ორგანულად იყენებს ნათლის სიმბოლიკას);

3. „მართლის თქმის“ პრინციპი „დავითიანში“ (შეეცადეთ წარმოადგინოთ ამ პრინციპის თეორიული გააზრება და პრაქტიკული რეალიზება „დავითიანში“);

4. სამშობლოს ობიექტური ხედვა „ქართლის ჭირში“ (შეეცადეთ წარმოაჩინოთ XVIII სუკუნის საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და სულიერი ვითარების გურამიშვილისეული შეფასება; უფრო კონკრეტულად კი – პოლიტიკური ორიენტაციის, ქართლისა და კახეთის ურთიერთმიმართების და სამეფო კარის სხვადასხვა საჭირბოროტო პრობლემასთან დამოკიდებულების საკითხები);

5. „დავითიანის“ პარადიგმული სახეები (თქვენი ამოცანაა დაასახელოთ და გააანალიზოთ „დავითიანში“ წარმოდგენილი პარადიგმული სახეები, ზოგადად, ქართული ლიტერატურის კონტექსტის გათვალისწინებით).

იგავების შესახებ

იგავი ლიტერატურული აზროვნების შესანიშნავი გამოვლინებაა. ის ლაკონიურად და გასაგებად გადმოსცემს ჭეშმარიტებას და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ძველ თუ ახალ კულტურაშია დამკვიდრებული. იგავები ბევრ ისეთ თემას ეხება, რომელთა გააზრება უკეთ შეგვამეცნებინებს საკუთარ თავს.

სიზარმაცე

იგავები ბევრ რამეს გვასწავლიან. მათ შორის იმას, რაც ისედაც ვიცით, მაგრამ უკიდურესად ხშირად გვავიწყდება.

ერთი ასეთი ესპანური მოგვითხრობს, რომ კაცი გარდაიცვალა და ისეთ მშვენიერ ადგილას მოხვდა, სადაც თავისუფლად და ნეტარად გრძნობდა თავს. ყველაფერი ისე იყო, როგორც მას ეოცნებებოდა.

კაცს თეთრ სამოსში გახვეული ვიღაც მიუახლოვდა და უთხრა:

– უფლება გაქვს, ინატრო, რაც გინდა – გართობა იქნება, სიამოვნება თუ გემრიელი საჭმელი.

გახარებული კაცი ისე ცხოვრობდა, როგორც ესურვებოდა. მრავალი წლის შემდეგ მან თეთრ სამოსში გამოწყობილ არსებას მიმართა:

– მე უკვე ვინეტარე და განცხრომით ვიცხოვრე. ახლა სამსახური მინდა ვიშოვო, რომ თავი საჭირო ადამიანად ვიგრძნო.

– ძალიან ვწუხვარ, – მიუგო თეთრსამოსიანმა, – მაგრამ ეს ერთადერთია, რისი ასრულებაც არ შემიძლია. სამსახური აქ არ არსებობს.

– რა გამოდის?! სამუდამოდ განწირული ვარ და სულ უნდა ვიტანჯებოდე?! არა, ბატონო, ამას სჯობდა, ჯოჯოხეთში მოვხვედრილიყავი! – წამოიძახა კაცმა.

თეთრებში გამოწყობილი მიუახლოვდა და ძლივს გასაგონად ჩასჩურჩულა:

– აბა, შენ თავი სად გგონია?

ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა – თუ ვინმე მის წარმატებას ან უბედურებას ვერ ხედავს და არ იზიარებს, თავს ცუდად გრძნობს. „გართობა“ და „სიამოვნება“ ძალიან ფარდობითი სიტყვებია და ვინც მათ სრულად მიჰყვება, ჯოჯოხეთური მოწყენილობისკენ მიდის.

თავიდან ჩვენ ყველას მშვენიერებამდე მოგვწონს, თუ არაფრის კეთებით განცხრომას ვეწევით. იმ კაცსაც ასე უხაროდა, რადგან მის ნეტარებას მარადისობის სახე ჰქონდა. მხოლოდ „მრავალი წლის შემდეგ“ მოუნდა ის, რაც საკუთარმა ნამდვილმა ადამიანურმა ბუნებამ უკარნახა – სამსახური ანუ სხვისთვის გარჯა, „საჭირო ადამიანად“ ყოფნა.

თეთრებში გამოწყობილმა უპასუხა, რომ „სამსახური აქ არ არსებობს“. ეს იმას ნიშნავს, რომ აქ სხვისთვის ვერ იცხოვრებ. ეს კი რაღას ნიშნავს? – მხოლოდ იმას, რომ აქ უსიყვარულო ადგილია. და არა მხოლოდ ასეთი – ეს უსიყვარულო მარტოობის ადგილია.

აქ ყველაფერი შეგიძლია გქონდეს, რასაც ისურვებ, მაგრამ ვერავინ გეყვარება და არავის ეყვარები. თქვენ სამნი ხართ ამ ადგილას: შენ, შენი უსიყვარულო მარტოობა და თეთრსამოსიანი, რომელიც თავიდან ანგელოზს ჰგავს, მაგრამ სრულიად მოულოდნელად სახეს იცვლის.

შეიძლება ჯოჯოხეთი სულაც არ იყოს ამაზრზენი ადგილი, მაგრამ ასეთად მას იმ ადამიანის ცნობიერება აქცევს, რომელიც ერთ მშვენიერ წამს ხვდება, რომ მის, ერთი შეხედვით ბუნებრივ, წარმოდგენას საშინელი შეცდომა უნდა ეწოდოს.

საარაკოდ შევცდებით, თუკი ვიფიქრებთ, რომ ჯოჯოხეთი (ან – სამოთხე) სადღაც ჩვენ მიღმაა. ერთიც და მეორეც ჩვენშია და მათ შორის მხოლოდ ის იძენს საბოლოო სახეს, რომლისკენაც ცხოვრების განმავლობაში მივისწრაფით.

რა სასტიკი იმედგაცრუებაა, როდესაც დუმილს მიახლოებული ხმა (ადრინდელი მომხიბვლელობისაგან სრულად დაცლილი და საშინლად არაკეთილგანწყობილი) გეუბნება: „აბა, შენ თავი სად გგონია?!"

ამის ასაცილებლად ცოტა დრო კიდევ გვაქვს...

ადამიანი და ბედისწერა

ბევრ ადამიანს სჯერა ბედისწერის. ეს ადვილი ასახსნელია, რადგან ჩვენ პოსტფაქტუმ ყველაფერს ვიგებთ და გვგონია, რომ რაც მოხდა, ასეც იყო ჩაფიქრებული. კი, მაგრამ – ვის მიერ?

ანტიკურ სამყაროში წარმოედგინათ მ ო ი რ ე ბ ი, რომლებიც ყველა ადამიანის ბედს განაგებდნენ. მეტიც – მათ ძალმოსილებას ექვემდებარებოდა თვით ზევსიც კი! ბედისწერა ყველასა და ყველაფერზე მაღლა იდგა და ის გარდაუვალი იყო – ვერაფერი და ვერანაირი ძალისხმევა ვერ შეაჩერებდა.

გავიხსენოთ თუნდაც ოიდიპოსის ამბავი – შემზარავი ტრაგედია ადამიანისა, რომელმაც ყველაფერი იღონა, რომ ბედისწერას ხელიდან დასხლტომოდა, მაგრამ როდესაც ეგონა, გავექეციო, სწორედ მაშინ აღმოჩნდა მის ხელში.

ქართველებსაც გვაქვს გამოთქმა: „სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი". როცა საქმე ბედისწერასთან გვაქვს, „გაქცევა" სწორედ მასთან მისვლაა.

ქრისტიანობაში ბედისწერას ასეთი ადგილი და მნიშვნელობა არ აქვს და ვერც ექნება – ერთარსება სამებაზე მაღლა არ შეიძლება რაიმე ძალა იდგეს. ამგვარ ცნებას აქ, მაგალითად, რუსთველური „განგება" ცვლის, ანუ – ღვთის ნება. თუმცა, ამ შემთხვევაში, ეს სიტყვა, თითქოს, უფრო ნეგატიურ განზომილებას გულისხმობს: „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების". უფალი არ ზღუდავს ადამიანის თავისუფალ ნებას და ნაკლებად ერევა იმაში, რა უნდა მოხდეს, მაგრამ მკაფიოდ აცხადებს, რას არ დაუშვებს.

ცხადია, ის თავის ნებასაც გამოხატავს პოზიტიური თვალსაზრისით.

მაგალითად, მე არ მტოვებს იმის შეგრძნება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ შემთხვევითობათა მთელი ჯაჭვია, რომლისგანაც ერთი რგოლის ამოგდებაც კი ბედნიერ ფინალს შეუძლებელს გახდის. ამის გათვალისწინებით შეიძლება დაიბადოს ასეთი უცნაური ფრაზები: „როსტევან მეფეს რომ თინათინის გამეფების ცერემონიაზე არ მოეწყინა, ტარიელი და ნესტანი ვერასდროს ნახავდნენ ერთმანეთს“. ან: „ზღვას რომ ეგვიპტელი ვაჭარი არ გამოერიყა, ნესტანი სამუდამოდ დარჩებოდა ქაჯეთის ციხეში“.

რა თქმა უნდა, ერთი შეხედვით, ეს „მძაფრი“ სისულელეა, თუმცა ასე არ არის. ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს ასეთი ამბები: როსტევანმა მოიწყინა – ამ მოწყენის მიზეზი დაასახელა – ავთანდილს გაელიმა – დათქვეს ნადირობა – ნადირობისას გადაეყარნენ უცხო მოყმეს – როსტევანის ბრძანებით გაგზავნილებმა უცხო მოყმე ვერსად იპოვეს – თინათინმა გააგზავნა ავთანდილი მის მოსაძებნად – ავთანდილმა (ასევე სრულიად შემთხვევით!) ის მოყმე იპოვა.

მეორე შემთხვევაში ავთანდილი მოდის ფრიდონისგან და უნდა მოხვდეს აუცილებლად გულანშაროში, სადაც ცხოვრობს ფატმანი, რომელმაც იცის ნესტანის ამბავი. როგორ უნდა მოხვდეს ავანდილი იქ – ხომ არ დაესიზმრება?! ის მიდის ზღვასთან, რომლის ნაპირთანაც ბაღდადელ ვაჭრებს ხვდება. ისინი კარგა ხნის გამგზავრებულნი უნდა იყვნენ, მაგრამ (როგორც ვახსენე) ზღვამ ეგვიპტელი ვაჭარი გამორიყა და მათ აუწყა, რომ ზღვაში მეკობრეები იყვნენ. ავთანდილი მათ ეხმარება. ისინი კი გულანშაროში ჩაიყვანენ. ასეთი შემთხვევითობა „ვეფხისტყაოსანში“ საკმარისზე მეტია.

ამ პოემაში ჩანს ნება, რომლის ძალითაც ქაჯეთის ციხე, როგორც ბოროტების ციტადელი, სამუდამოდ უნდა შეიმუსროს. ამის გაკეთება მხოლოდ ტარიელს, ავთანდილსა და ფრიდონს შეუძლიათ (ერთად!). სწორედ ამიტომ და ამისთვის ხდება ყველაფერი „ვეფხისტყაოსანში“, რომ ეს სამი ადამიანი ქაჯეთის ციხესთან აღმოჩნდეს. ტარიელს რომ ფარსადანმა მემკვიდრის უფლება ჩამოართვა და ნესტანის ხვარაზმშაჰის შვილზე გათხოვება გადაწყვიტა; თინათინმა რომ ავთანდილი უცხო მოყმის მოსაძებნად გააგზავნა; ფრიდონს რომ ბიძამ და ბიძაშვილებმა უმუხთლეს და მოკვლა დაუპირეს – ეს ამბები მიზანმიმართულად უჩვენებენ მთავარ გმირებს გზას ქაჯეთის ციხისკენ.

ეს არ არის ბედისწერა – ეს ღვთის ნებაა („მაშინ ციდამ მოაღწია უსაზომო რისხვამ ღმრთისა“), რომელიც გარდაუვლად უნდა აღსრულდეს.

ორივე ნახსენები ცნება („ბედისწერა“ და „განგება“) ძალიან პოპულარული ლიტერატურული თემაა. ისინი სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ხალხის შემოქმედებით ცნობიერებაში გვხვდება და ბევრ საინტერესო მხატვრულ სახეს გვთავაზობს.

როცა ამ საკითხზე ბავშვებს ან სტუდენტებს ვესაუბრები, ვიხსენებთ ხოლმე ერთ ძველ იგავს, რომელსაც ამ ტექსტის დასკვნით ნაწილად შემოგთავაზებთ. ის მარტივი და მკაფიო აღსაქმელია და „გზად“ მოულოდნელი ფინალის გასააზრებელ განწყობასაც გვიტოვებს. ამ იგავს ჰქვია „როდესაც სიკვდილი ბაღდადს ესტუმრა“.

ერთი ბაღდადელი სუფიას მოწაფემ, რომელმაც ქარვასლაში ღამე გაათია, შემთხვევით ორი უცნობის საუბარი მოისმინა და დაასკვნა, რომ ერთი მათგანი სიკვდილის ანგელოზი იყო.

– მომავალი სამი კვირის განმავლობაში ამ ქალაქში სამ კაცს უნდა ვესტუმრო, – უთხრა ანგელოზმა თანამოსაუბრეს.

სუფიას მოწაფეს ისე შეეშინდა, რომ სუნთქვაშეკრული და კუთხეში მიყუჟული გაუნძრევლად იჯდა, სანამ ანგელოზი და მისი თანამგზავრი არ წავიდნენ. ამის შემდეგ კი დაიწყო ფიქრი იმაზე, როგორ აერიდებინა თავიდან სიკვდილთან შესაძლო შეხვედრა. საბოლოოდ დაასკვნა, რომ თუ ბაღდადს გაეცლებოდა, სიკვდილის ანგელოზი ვეღარ წაიყვანდა.

დრო აღარ დაუკარგავს. მაშინვე იქირავა ყველაზე ფეხმარდი ცხენი და გრიგალივით გაიჭრა სამარყანდისკენ – არც დღე დაუსვენია, არც ღამე.

ამასობაში სიკვდილის ანგელოზი სუფიას შეხვდა და საუბარი გაუბა.

– თქვენი მოწაფე სად არის? – სწორედ ის გაქცეული შეგირდი მოიკითხა.

– სადღაც აქვე უნდა იყოს. შესაძლოა, ფიქრში ჩაფლული ქარვასლაშია განმარტოებული, – უპასუხა სუფიამ.

– უცნაურია, ძალიან უცნაური, – თქვა ანგელოზმა, – ის ჩემს სიაშია ჩაწერილი და აქვე აღნიშნულია, რომ სამი კვირის განმავლობაში მისი პოვნა მხოლოდ სამარყანდშია შესაძლებელი და სხვაგან არსად.

ბედისწერა შეიძლება არ არსებობს, მაგრამ ის ადამიანებზე ძალიან დიდ გავლენას ახდენს. როგორც ჩანს, ზოგჯერ არარსებულიც მოქმედებს ჩვენზე.

აზროვნების სტერეოტიპი

ადამიანებს ერთი საკმაოდ გავრცელებული სენი სჭირთ – რასაც კითხულობენ ან მოისმენენ, ზოგჯერ არასწორად ესმით ხოლმე. ასეთ დროს, მაგალითად, მოთხრობილ ამბავს ყველა ერთნაირად აღიქვამს, მაგრამ რა მიზნით არის მოთხრობილი ეს ამბავი და რისთვის შეთხზეს თუ გაიხსენეს, ბევრისთვის მიუწვდომელ ჭეშმარიტებად რჩება.

ამ სენის ფესვები ადრეულ ბავშვობაშია საძიებელი – ოჯახსა თუ სკოლაში კარგად რომ არ ირჯებიან საიმისოდ, რომ პატარაობიდანვე დაფიქრებული კითხვა და კონტექსტის ამოცნობა ასწავლონ. ძალიან სევდისმომგვრელია, როდესაც ადამიანი რაღაცას კითხულობს და ვერაფერს ხედავს იმის გარდა, რაც ზედაპირზე დევს.

ერთ საყოველთაო მაგალითს მოვიტან. სულხან-საბა ორბელიანს ეკუთვნის ცნობილი იგავი „იხვი და მყვარი" – სკოლიდან ალბათ ყველას გვახსოვს:

ერთს მთაში ერთი მომცრო, წვიმის მდგარი გუბე დარჩომილიყო. მივიდა ერთი იხვი, ჩაჯდა და იყოფებოდა. ერთი მყვარი დაეძმობილაიხვსადაერთადიყვნენდა,რაცგაეწყობოდა,შეექცეოდიან.რამზეგაცხარდა და ზაფხულმან სიცხე მოუმატა, წყალმან კლება შექმნა. იხვმან უთხრა მყვარს: მოდი, ადგილი ვიცვალოთო! მყვარმან უთხრა: შენ აქა-იქ თრევას ჩვეულხარ, მე სამკვიდროს ვერ დავუტევე-

ბო! იხვი გაფრინდა, სადაც დიდი წყალი იყო, იქ მივიდა. მყვარმან სამკვიდრო არ გაუშვა. ცოტას ხანს უკან იხვმან თქვა: წავალ, ჩემს ძმობილს ვნახავ, რასა იქმსო? მოვიდა, ნახა, გუბე გამხმარიყო, მყვარი მომკვდარიყო. უთხრა: ძმობილო, მაგისთანას სამკვიდროს სიყვარულს ჩემეულად სიარული სჯობნებიაო.

რა წერია აქ, რისი თქმა სურს სულხან-საბას? ადრე ასე ასწავლიდნენ და ხშირად ახლაც ამასვე ამბობენ, რომ ამ იგავის მთავარი სათქმელი სამშობლოს ერთგულებაა – რა გასაჭირი თუ საშიშროებაც უნდა ახლდეს მშობელი ქვეყნის წინაშე ვალდებულების შესრულებას, ღირსეულმა ადამიანმა უკან არ უნდა დაიხიოს და არასდროს მიატოვოს თავისი ქვეყანა პირადი კეთილდღეობისათვის. მყვარი „კარგია“, ხოლო იხვი – „ცუდი“. პირველი სამშობლოს მუდმივად ერთგულ ადამიანს განასახიერებს, ხოლო მეორე – მხოლოდ საკუთარ თავზე მზრუნველს.

ახლა ვიკითხოთ – ნამდვილად ასეა? სულხან-საბა მყვარის იდეალიზებასა და იხვის განქიქებას ცდილობს? თუ მართლაც ეს აქვს მიზნად, რატომღა მთავრდება ეს იგავი ერთ-ერთი პერსონაჟის ასეთი შეგონებით:

– რადგან რუქა აგრე ავის საქმის ქმნაზე დამკვიდრებულა, თქვენ კი ნუ აჰყვებით, კარგი ქმენით და მაგას იმ მყვარსავით დაემართებაო?

საქმე ის არის, რომ პატრიოტობა და სამშობლოს ერთგულება აქ არაფერ შუაშია – ეს იგავი სულ სხვა თემასა და აზრს ეხება. კერძოდ, რას? სანამ ამ კითხვას პასუხს გავცემდეთ, ერთ მომენტზე გავამახვილოთ ყურადღება.

მყვარი კვდება. რისთვის კვდება ის, რა აზრი ან გამართლება აქვს მის დაღუპვას? რას შეეწირა ის? პასუხი სავსებით ცხადი და ნათელია – პრაქტიკულად არაფერს. თავის „სამკვიდროსთან“ მას არ აკავშირებდა არანაირი კეთილი იდეა, არავითარი ღირებულება, ფიქრი ან საქმე. მისი „ერთგულება“ „არაფრის“ ერთგულებაა, მხოლოდ ნულოვანი წარმოსახვის შედეგია, რასაც პრაქტიკულად არარსებული აზრი შეუძენია. სამშობლო არ შეიძლება სტერეოტიპი იყოს – ის მეტისმეტად ცოცხალი განცდაა საიმისოდ, რომ მისი მნიშვნელობა ასე დავავიწროოთ.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, აბა, რაღას ეხება იგავი, რას გამოხატავს ეს პატარა ტექსტი? სულხან-საბა ორბელიანი აზროვნების ორ ტიპსა და კულტურაზე გვესაუბრება! ის გვასწავლის, რომ ადამიანის ცხოვრება ახალ-ახალ გამოწვევათა და ვითარებათა მთელი წყებაა და ნამდვილი პიროვნების ვალი და პასუხისმგებლობაა, ამ გამოწვევებს სათანადო რაციონალურობით უპასუხოს. არსებობს აზროვნების ორი გავრცელებული ტიპი. ერთისთვის ის არის დამახასიათებელი, რომ სიახლის შიში თუ რიდი არ აქვს, კრიტიკულად აფასებს თავის წარსულ გამოცდილებას და ცხოვრების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის ადეკვატურ გზებს ეძებს – როგორც წესი, პოულობს კიდეც. მეორეს კი ამგვარი რამ სრულიად არ ძალუძს აზროვნების გახევებისა და გაქვავებულობის გამო. როგორც ანტონ ჩეხოვის ერთი უცნაური ლოგიკის მქონე პერსონაჟი ამბობს: „ეს არ შეიძლება მოხდეს, იმიტომ რომ ეს არასდროს არ შეიძლება მოხდეს!“

ასეთი აზროვნების წესი მოვლენის, ფაქტისა თუ ადამიანის ზედაპირული შეფასებით კმაყოფილდება – არ შეუძლია და სურვილიც არ აქვს, სიღრმეს ჩახედოს, ნამდვილი არსი დაინახოს და შეაფასოს. მისი ხვედრი, როგორც ნახსენები იგავი გვაუწყებს, ფორმალური „იდეისთვის" (იდეებშიც არსებობენ „გააზნაურებული მდაბიოები") სიკვდილია. მართალია, ეს ფორმალური იდეა (პრიმიტიული აღქმის გამო) ზოგჯერ „კეთილშობილურ სამოსში" გვევლინება და, ერთი შეხედვით, კარგ ემოციებსაც აღძრავს, მაგრამ გონიერი ადამიანისთვის არაფრობა ყოველთვის არაფრობაა.

„სიბრძნე სიცრუისა" (როგორც ამ იგავის მთლიანი კონტექსტი) მთელ ჩვენს ამ მსჯელობას კიდევ უფრო მაღალ რეგისტრში აიტანს და ხსენებულ ფორმალურ იდეას ბოროტებასთან აკავშირებს. როდესაც აკვიატებული ფიქრი თუ განწყობა „ავის საქმის ქმნაზე დამკვიდრებულა", ის განწირულია დასამარცხებლად და გასაქრობად, რადგან მხოლოდ სიკეთეს აქვს არსი და მხოლოდ ის არის მარადიული – დანარჩენი ყველაფერი განქარვებადია.

სულხან-საბა ნათლად გვაგრძნობინებს, რომ იხვი „კარგია", მყვარი კი – „ცუდი". პირველი სიკეთესა და აზროვნების სიცოცხლეს გამოხატავს, მეორე კი – ბოროტებასა და აზროვნების სიხისტესა თუ გახევებულობას. მყვარის „პატრიოტობა" არაადეკვატურად აღმქმელთა მოგონილია.

და ბოლოს: ზოგჯერ ისე ხდება, რომ არასწორ ფიქრსა თუ მოქმედებას კეთილშობილი სიტყვებით წარმოგვიდგენენ – მყვარიც ხომ პათეტიკითა და ნიშნისმიგებით ამბობს: „მე სამკვიდროს ვერ დავუტევებო!". ასეთმა მიდგომამ არ უნდა დაგვაბნიოს – როდესაც სიტყვები რეალურ ვითარებას არ ასახავს და ვერც გამოხატავს, შინაარსისგან დაცლილია და საქმეს დაშორებული, მათ თავი არ უნდა მოვატყუებინოთ – უსულო სხეული ადამიანი აღარ არის, მხოლოდ გვამია.

ანგელოზთან საუბარი

ძველ დროს მამათა მონასტერში ერთი ბერი ცხოვრობდა, რომელიც ცისკრის ლოცვაზე მუდმივად აგვიანებდა. სულიერ ძმებს ეს ძალიან არ მოსწონდათ – რატომ ამპარტავნობსო – და წინამძღვარს „გადამწყვეტი ზომების" მიღება მოსთხოვეს. წინამძღვარმა მკაცრად გააფრთხილა დამგვიანებელი ბერი და მანაც პირობა დადო, რომ ამ სენისგან გათავისუფლდებოდა. მეორე დღეს ცისკრის ლოცვაზე ბერმა კვლავ დააგვიანა. აღშფოთებული წინამძღვარი და სხვა ბერები მისი სენაკისკენ გაემართნენ. მივიდნენ და მუხლმოყრილ ბერს ჰკითხეს:

– აბა, რატომ დააგვიანე ისევ?

– ბოდიშს გიხდით ყველას, – სინანულითა და სიყვარულით უპასუხა ბერმა, – ცისკრის ლოცვაზე იმიტომ დამაგვიანდა, რომ ამ დილას ანგელოზი გამომეცხადა და იმას ვესაუბრებოდი. სწორედ ამ დროს მოდის ხოლმე...

წინამძღვარმა დანარჩენებს გახედა, გაეღიმა და თქვა:

– მთელი ცხოვრება ვლოცულობ, რომ ერთხელ მაინც გამომეცხადოს ანგელოზი და ჯერ-ჯერობით ოცნება არ ამისრულდა. ეს კაცი წმინდანი ყოფილა, უფლებას ვაძლევ დააგვიანოს.

თამაზ ჩხენკელის თარგმნილ „ინდურ ლოტოსში“ დაბეჭდილია დიდი ინდოელი მოაზროვნის ვივეკანანდას (1862-1902) „ნაწყვეტები ლექციებიდან“. ერთმა მონაკვეთმა დამგვიანებელი ბერის ამბავი გამახსენა. აი, რას წერს ვივეკანანდა:

კაცმა შეიძლება არ იცოდეს არც ერთი ფილოსოფიური სისტემა, არ ირწმუნოს არც ახლა და არც მომავალში არავითარი ღმერთი, შეიძლება თავის სიცოცხლეში არც ერთხელ არ ილოცოს, მაგრამ უკეთუ მას ძალა კეთილი საქმეებისა იქამდე მიიყვანს, რომ მზად იქნება, სხვებისთვის განიროს სიცოცხლე და ყველაფერი, რაც აბადია ან რაც ახლავს, – იგი შეიმართება უმაღლეს მწვერვალებამდე, რასაც მორწმუნენი თავიანთი ლოცვებით, ხოლო ფილოსოფოსნი თავიანთი ცოდნით აღწევენ. მამაცნი იყავით! სიმამაცე უმაღლესი სიკეთეა. ყველას შეუპოვრად უქადაგეთ სიმართლე – დაუფარავად, უშიშრად, უკომპრომისოდ, და ნუ ზრუნავთ მდიდართა და ქედმაღალთათვის! მდიდრებთან ჩვენ არაფერი გვესაქმება. მათ წინაშე ლაქუცი, ლიქნა და პირფერობა როსკიპი ქალის საქმეა.

ყველაზე დიდი ადამიანები, თუნდაც სხვადასხვა რელიგიური თუ ფილოსოფიური აღმსარებლობისა, საუკუნეთა განმავლობაში ასწავლიან კაცობრიობას, რომ „თვინიერ საქმეთა სარწმუნოებაჲ მკუდარ არს“ – ადამიანი იმით ფასდება, რასაც აკეთებს. ისინი, ვინც დრომ და სიტუაციამ სხვების ბედის გადამწყვეტებად და ჭკუის მასწავლებლებად გამოაცხადა, ძალიან ეტანებიან ფორმალობებს, ხავსმოდებულ და ხისტ „წესებს“, რომლებიც უკიდურესად აადვილებს თავისუფალი ადამიანების მართვას. კი მაგრამ, რა წესი უნდა მოსთხოვოს ადამიანს, რომელსაც ყოველდღე ანგელოზი ელაპარაკება?! ის თვითონ არის წესი. შესაძლოა, არანაირ ფორმალობას არ იცავდეს, მაგრამ ამით რა იცვლება – მას ანგელოზი ელაპარაკება, სხვებს კი – არა. ის კი არ უნდა დავიმსგავსოთ, თავად უნდა დავემსგავსოთ მას. რით დავემსგავსებით? მამაცნი იყავით ამ გზაზეო, – გვეუბნება ვივეკანანდა. რა სიმამაცეზე საუბრობს? შედარებით ადვილია იფიქრო ან სიტყვებით გამოხატო სიკეთე – მთავარია აკეთო ის! ერთი კეთილი საქმე ათას კეთილ სიტყვას გადაწონის. შენი ცხოვრების ყოველი დღე უნდა იყოს სიკეთის განსახიერება. მაშინ აღარ გაგიბრაზდებიან, როდესაც დააგვიანებ – შენ ხომ ანგელოზი გელაპარაკება.

ანძა

სად გადის ზღვარი საკუთარი მნიშვნელობის გაცნობიერებასა და სხვის პატივისცემას შორის? როგორ ვიღებთ ჩვენ გადაწყვეტილებებს – საკუთარ თავს ვენდობით თუ სხვათა ავტორიტეტსა და გამოცდილებას?

უკიდურესობები ყველგან არის. არც ამ კითხვების პასუხები დგანან მათგან განზე. ზოგი სხვას ისეა „მიწებებული“, მისი სიტყვის გარეშე ცხოვრებაში ნაბიჯსაც ვერ დგამს. ამათგან განსხვავებით, არიან ადამიანები, რომლებიც მხოლოდ საკუთარ თავს ენდობიან და სხვისი აზრი ნაკლებად ან საერთოდ არ აინტერესებთ.

მაინც რომლები არიან მართლები – პირველნი თუ მეორენი?

სანამ რაიმე პასუხს გავცემდეთ, ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ:

ცხოვრება არასდროს არის სტატიკა – ყოველთვის დინამიკაა. აქედან გამომდინარე, ძალიან ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ყოველთვის არსებობს ეგრეთ წოდებული „აბსოლუტური პასუხები“ – ერთხელ და სამუდამოდ გაცემული და უცვლელად ჭეშმარიტი.

ეს აზრი დავიმახსოვროთ და ერთი არცთუ ძველი იგავიც შევიხსენოთ – იქნებ ამ მსჯელობისას გამოგვადგეს:

ცოდნის მძებნელი

ერთმა ცოდნის მძებნელმა ბრძენ განდეგილს სთხოვა, მისი მოძღვარი ყოფილიყო. განდეგილმა უარი უთხრა.

– კი მაგრამ, რატომ? – იკითხა მთხოვნელმა.

– მითხარი, ზღვაში შტორმი რომ ამოვარდეს და შენ გემბანზე იყო, რას იზამ – გემის კაპიტანს დაუწყებ ძებნას თუ ანძას ჩაეჭიდები?

– ტალღამ რომ არ წამიღოს, ანძას ჩავეჭიდები.

– კაპიტანს რატომ არ მოძებნი, მან ხომ ყველაზე უკეთ იცის, ამ დროს როგორ უნდა მოიქცე?

– შტორმისას დრო თუ დავკარგე, კაპიტანი ველარაფერს მიშველის.

– მაშინ შენს ცხოვრებაში რატომ ეძებ „კაპიტანს“?

– თქვენც ხომ ეძებთ და ძიების თქვენეული გამოცდილება ჩემსაზე გაცილებით მეტია...

– მე? მე ტალღამ უკვე წამიღო!

რას ეუბნება განდეგილი ცოდნის მძებნელს და მასთან ერთად ჩვენც? ის ჭკვიანი კაცი ჩანს და არაფრით დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ადამიანთა სიბრძნე და გამოცდილება არაფერს ნიშნავს. უფრო ღრმა აზრი უნდა ვეძიოთ ამ ტექსტში. მაინც რა აზრია ეს?

მასწავლებლობასა და მოწაფეობას ორი სურვილი განაპირობებს: ერთი მხრივ, უარი არ უთხრა მთხოვნელს სწავლებაზე და, მეორე მხრივ, სთხოვო სწავლება. ამ იგავში მეორე არის, პირველი კი არა. რატომ ეუბნება განდეგილი უარს ცოდნის მძებნელს?

იმიტომ რომ, სამყაროში არსებობს შესაბამისობის დიადი პრინციპი, რომელიც არასდროს ირღვევა – ყველაფერი შეიძლება მართალი ან ტყუილი, კარგი ან ცუდი იყოს იმის მიხედვით, არსებობს თუ არა შესაფერისი და შესაბამისი დრო და სივრცე.

ის, რაც კარგია ახლა, შეიძლება არ ვარგოდეს ხვალ და, საერთოდ, კატასტროფული შედეგის მომტანი ყოფილიყო გუშინ. სხვა მხრივ, რაც მშვენიერი და გონივრულია ერთ ადგილას, ადვილი შესაძლებელია, სრული სისულელე აღმოჩნდეს სხვაგან.

განდეგილმა მთხოვნელს ძალიან სპეციფიკური მაგალითი დაუსახელა – შუა ზღვაში გემზე ყოფნა ქარიშხლის დროს. ეს არ არის „ჩვეულებრივი“ სიტუაცია, რომელშიც ასევე „ჩვეულებრივი“ ადამიანური კანონები მოქმედებს. ამ დროს უმოქმედობა და „კაპიტნის“ ძებნა, მართლაც, დამღუპველია. გარდა ამისა (შესაძლო ტრაგიზმის გამოკლებით), სასაცილოც არის, რადგან უკიდურესად არაადეკვატური საქციელია. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ან განდეგილისთვის და ან მთხოვნელისთვის დი-

ალოგის მიმდინარეობის დროს არსებული ვითარება თუ სიტუაცია სწავლების ადეკვატურობასა და გონივრულობას უბრალოდ გამორიცხავდა.

კაცმა რომ თქვას, იგავის ამგვარი ახსნა არ არის ურიგო და თავისი ლოგიკა უთუოდ აქვს, თუმცა... სჯობს ეს ვერსია ახლავე დავივიწყოთ, რათა დავფიქრდეთ მომდევნოზე – საზოგადოდ, მხატვრული ტექსტი არ არის ერთმნიშვნელოვანი და „ცალფა", მასში ერთდროულად სხვადასხვა შინაარსის ამოკითხვა შეიძლება.

იქნებ იგავის გასაღები სულაც ბოლო წინადადებაში დევს? რას ნიშნავს „მე ტალღამ უკვე წამიღო"? იმას ხომ არა, რომ განდეგილმა ის გზა უკვე იწვნია, რაზეც მთხოვნელი თეორიულად ლაპარაკობდა („შტორმისას თუ დრო დავკარგე, კაპიტანი ვერ მიშველის")? თუ ასეა, მაშინ განდეგილი იმას ლაპარაკობს, რომ ცხოვრებაში მან დროულად ვერ მოძებნა „ანძა" და ჭეშმარიტება გაექცა – იგულისხმება, რომ, „კაპიტნისგან" განსხვავებით, „ანძა" ყოველთვის მოსაძებნია. ამ შემთხვევაში განდეგილის უარი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მისი გამოცდილება გასაზიარებელი და გასათვალისწინებელი არავისგან არის, რადგან უშედეგოა.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია – მიუხედავად იმისა, რომ პირველი და მეორე (მესამე... მეოთხე...) თვალსაზრისები ერთმანეთს პრაქტიკულად გამორიცხავს, ორივეს მაინც ერთსა და იმავე დასკვნამდე მივყავართ:

ადამიანის უმთავრესი საფიქრალი ის არის, არასდროს ასცდეს და დაშორდეს საკუთარ პასუხისმგებლობას, რომელიც პიროვნულ არჩევანთანაა დაკავშირებული. შენ უარს ვერ იტყვი შენს არჩევანზე, რის გარეშეც პიროვნება, ადამიანი საერთოდ არ არსებობს. შეგიძლია გაითვალისწინო ან არ გაითვალისწინო სხვისი აზრი თუ გამოცდილება, მაგრამ გადაწყვეტილების პასუხისმგებლობა მხოლოდ თავად გაქვს.

სულ ბოლოს კი ის უნდა ვთქვათ, რომ სანამ ცოდნა პირად გამოცდილებად არ იქცევა, მისი ფასი გროშია, რადგან „მკვდარი ცოდნისგან" განსხვავებით არსებობს „ცოცხალი ცოდნა". სწორედ მას ჰქვია „ანძა", რომლისთვისაც არც ერთი „ტალღა" საშიში არ არის.

თალესის პასუხი

თალესი (ძველი წელთაღრიცხვის დაახლ. 625-547 წწ.) ბერძენი ფილოსოფოსია. ერთხელ მას თურმე უთქვამს, რომ სიცოცხლესა და სიკვდილს არაფერი ასხვავებს და ეს ერთი და იგივე რამ არის.

– მაშ, რატომღა არ მოკვდები? – ჰკითხეს მას.

– აი, სწორედ ამიტომ, – უპასუხია თალესს.

რა აზრი დევს თალესის პასუხში, რას ნიშნავს „არაფერი ასხვავებს"?

ამ ამბავს (სიცოცხლე და სიკვდილი რომ ერთი და იგივეა) პოზიტიურადაც შეიძლება შევხედოთ და ნეგატიურადაც. პოზიტიური ის არის, რომ ამგვარად მოფიქრალისთვის:

საიქიო ნამდვილად არსებობს;

პიროვნული „მე" სიკვდილის მერეც რჩება და არაფერში ითქვიფება;

რჩება პიროვნული მიზნები და მისწრაფებებიც და მათი მიღწევა „მე"-ს ბედნიერებასა და სიამოვნებას ანიჭებს;

სიკვდილი იგივე სიცოცხლეა, ოღონდ სხვა განზომილებაში.

ნეგატიური მხარე რაღაა? არც ეს არის მაინცდამაინც რთული გამოსაცნობი – სიკვდილიც ისეთივე უშინაარსო არაფრობაა, როგორც სიცოცხლე და ისინი სწორედ ამით ჰგვანან ერთმანეთს. როდესაც ორი რაღაცის მონაცვლეობით არსებითად არაფერი იცვლება, სხვადასხვა სახელი მხოლოდ ადამიანის უსაგნო ფანტაზიის ნაყოფად რჩება.

საინტერესოა, რომელი თვალთახედვა იგულისხმა თალესმა? ახლა ამაზე დანამდვილებით პასუხის გაცემა ალბათ შეუძლებელია, თუმცა არც ერთი არ არის გამოსარიცხი – თუკი სიკვდილი იგივე სიცოცხლეა (რაგინდარა ნიშნით!), მაშინ „აი, სწორედ ამიტომ" ყოველთვის გამართლებულია.

კი მაგრამ, სიკვდილი რომ ასე გვაშინებს? რა გვაშინებს მაინც? – ალბათ, ყველაზე მეტად ეს არცოდნის, ბუნდოვანების, შეუცნობლობის შიშია (თითქოს სიცოცხლე გვქონდეს შეცნობილი!). რაც მიუწვდომელი და იდუმალია, ადამიანებს შიშს გვგვრის. თალესის პასუხი, რაც უნდა უცნაურად გვეჩვენებოდეს, იდუმალებისა და შეუცნობლობის ტაბუს არღვევს და სიკვდილს უშინაურდება – გონებასთან მოჰყავს და აადამიანურებს მას. ეს პასუხი – გინდა აღტაცებას (საიქიო ცხოვრებით) გულისხმობდეს, გინდაც სრულ ნიჰილიზმს – მაინც ჭკუისმიერია – გაუგებარი ცნება ცნობიერებაში შემოჰყავს, სწორედ ამიტომ შეიძლება ვუწოდოთ მას „უცნაურობის კეთილშობილება" ანაც „სიმძიმის სიმსუბუქე".

თალესის შემდეგ საუკუნეები გავიდა, მაგრამ მაგიური სამი სიტყვა – „აი, სწორედ ამიტომ" – არ ბერდება. ადამიანებს ის სიკვდილისთვის არ ემეტებათ.

რა არის ფანჯრის მიღმა?

როდის გარდაიქმნება სიცოცხლე ცხოვრებად?

მაშინ ხომ არა, როდესაც საკუთარ სიცოცხლეს სხვის სიცოცხლედაც აქცევ და მისთვის ახალ სამყაროდ დაიბადები?

არა... არ ვარგა – ძალიან რთული დასაწყისია. უკვე მეორე წინადადებამ ფილოსოფია არ უნდა გაგვახსენოს. ცოტას თუ მოვიცდით, შესაძლოა, ბოლო წინადადებად გამოგვადგეს – ფილოსოფიას დასკვნა უფრო ადვილად იტანს.

აბა, რა ვქნათ, დასაწყისში დასმულ კითხვას რომ ვუპასუხოთ?

ძველები ამ შემთხვევაში **ანალოგიის** პრინციპს იყენებდნენ – გაიხსენებ რაიმე მსგავს მაგალითს და პასუხი ბუნებრივად დაიბადება. მერე ფიქრის პრეცედენტი მოქმედების მაგალითადაც თუ იქცევა, მთლად უკეთესი!

მაინც როდის გარდაიქმნება სიცოცხლე ცხოვრებად? სად გადის ზღვარი ბიოლოგიურ არსებობასა და სოციალურ არსებობას შორის?

ანალოგიისთვის ერთ იგავს გავეცნოთ, რომელსაც ჰქვია „ცხოვრება ფანჯრის მიღმა":

საავადმყოფოს პალატაში ორი უიმედო ავადმყოფი იწვა. მათ ერთნაირი საწოლები და სრულიად თანაბარი პირობები ჰქონდათ. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ერთ-ერთ მათგანს შეეძლო ერთადერთ ფანჯარაში

გაეხედა, ხოლო მეორეს – არა. სამაგიეროდ, მის საწოლთან ახლოს ღილაკი იყო, რომლითაც ექთნის გამოძახება შეიძლებოდა.

დრო გადიოდა, ზამთარს გაზაფხული ცვლიდა, გაზაფხულს – ზაფხული... დარდით, ტკივილითა და წამლების სუნით გაჯერებულ ერთფეროვნებას იმით ებრძოდნენ, რომ ფანჯარასთან მწოლიარე ხშირად უყვებოდა მეზობელს, რასაც ხედავდა: რომ გარეთ წვიმდა, თოვდა, ან კიდევ, როგორ საოცრად ანათებდა მზე ირგვლივ ყოველივეს; რომ ხეები ბრჭყვიალა მაქმანებით იყვნენ მორთულნი, ხან მწვანეში ეფლობოდნენ, ხან კიდევ გამოსათხოვარი წითელ-ყვითელი სამოსი ჩაეცვათ; რომ ქუჩა სავსე იყო ხალხით, მანქანებით და იქ, ფანჯრის მიღმა, სიცოცხლე ჩქეფდა.

და აი, ერთხელ, ღამით, ფანჯარასთან მწოლიარე ცუდად გახდა. მან მეზობელს სთხოვა ექთანი გამოეძახა, მაგრამ იმან რატომღაც თხოვნა არ შეუსრულა და ფანჯარასთან მწოლიარე მოკვდა.

მეორე დღეს პალატაში სხვა ავადმყოფი შემოიყვანეს, მაგრამ დამხვდურმა ითხოვა ის დაეწვინათ ფანჯარასთან. თხოვნა შეუსრულეს. ბოლოს და ბოლოს, მას შეეძლო საკუთარი თვალით ენახა ყველაფერი ის, რასაც გარდაცვლილი უყვებოდა! მან ფანჯარაში გაიხედა და... სახტად დარჩა. ფანჯარა ყრუ დერეფანში გადიოდა და ნაცრისფერი კედლის გარდა არაფერი ჩანდა.

რა მცირე ფორმაა და რა დიდი შინაარსი! თითქოს ადამიანთა მთელი ისტორია ჩანს ამ პატარა ტექსტში – სიკეთითა და ბოროტებით, სინათლითა და სიბნელით, სიმართლითა და შეცდომებით, სასოებითა და იმედგაცრუებით სავსე.

ხანდახან, მეტის სურვილითა და მოლოდინით, საკუთარი ბედნიერებისა და სიხარულისკენ დაუოკებელი ლტოლვით სხვა ადამიანს ისე ვექცევით, რომ ჩვენშივე ვკლავთ ადამიანობას. როცა გვგონია, რომ რაღაც ახალი და დიდებული იბადება, სწორედ მაშინ იღუპება ის, რაც გვაქვს და არ ვუფრთხილდებით.

ეს ასეა, მაგრამ ეს არ არის ყველაფერი. მთავარი სხვა რამ არის – მოვძებნოთ პასუხი იმ კითხვაზე, რომელიც დავსვით. ეს იგავი ასეთ პასუხს გვაძლევს:

მოყვარული ადამიანი მთელ სამყაროს ცვლის. სიცოცხლეს ცხოვრებად იმედის მოლოდინი, დანახვა და შენი არსების ნაწილად დაბადება აქცევს. და მთავარი ადამიანი ის არის, ვინც ამ იმედს ქმნის, შესაძლოა წარმოსახვითს, მაგრამ ძალიან ნამდვილს. ყოველ კარგ რეალობას წინ კეთილშობილი ადამიანის ოცნება უძღვის და ეს ოცნება რეალობად აქცევს იმას, რაც ჯერ არ არის, მაგრამ ძალიან გინდა, რომ იყოს – სხვაგვარად ჩვენს ცხოვრებას აზრი ეკარგება, თუნდაც სიცოცხლის ბოლო დღეებს ვითვლიდეთ.

რა არის ფანჯრის მიღმა? – თუ ახლოს არ ხარ, შენს მოყვასს ჰკითხე და თუ თავად ხარ ფანჯარასთან, ეცადე, სხვისი სიცოცხლე ცხოვრებად აქციო – შენიც ამადვე გადაიქცევა და ამიტომ.

რა დევს ყურანში?

ყველაზე ნათლად გასაგები სიბრძნე მარტივად გადმოცემული ამბავია – მკაფიო იგავები უფრო ადვილად და მეტს გვასწავლის, ვიდრე დიდი ფილოსოფიური წიგნები. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს, როდესაც ცხოვრების წესსა და რიგზე ვფიქრობთ. რატომ ჩხუბობენ ცივილიზაციები და ადამიანები? იმიტომ რომ ყველა ფიქრობს – მხოლოდ მას, ერთადერთს, უჭირავს ხელში ჭეშმარიტების კარის გასაღები. „ჩვენ ვიტყვით: კაცნი ჩვენა ვართ, მარტო ჩვენ გვზრდიან დედანი...“ – ეს მთავარი პრინციპია. ჩვენს მიღმა სიმართლე და ჭეშმარიტება არ არის – დანარჩენებს მხოლოდ ის რჩებათ, რომ „რჯულძაღლები“ ან, უკეთეს შემთხვევაში, შემცდარი ადამიანები იყონ. ამგვარად მოფიქრალნი არ ითვალისწინებენ იმას, რომ ამპარტავნება ყველაზე დიდი ცოდვაა. უფრო მეტიც – ისინი ხშირად რწმენის სიხარულს უიგივებენ ამპარტავნებას. არ შეიძლება, ნამდვილი რწმენა სიჯიუტესა და ბოროტებას ბადებდეს – ისტორიის მანძილზე რამდენი ადამიანი შეეწირა მათ! „ერთადერთი ჭეშმარიტების“ სახელით სჯიან ყოველთვის და ბევრზე ბევრი ვერ აცნობიერებს, რომ ეს რთული და ფუჭი გზაა. აბა, მარტივი რა არის? რა და რელიგიურ-ფილოსოფიური დოგმებისა და სქემების მიღმა უბრალო ადამიანური განწყობების აღქმა და პატივისცემა – ეს ხომ ასე ბუნებრივია?! საილუსტრაციოდ, ერთი ძველი იგავი მოვიხმოთ, რომელსაც ჰქვია „რა დევს მასში?“:

იყო ერთი დერვიში ბექთაშის ორდენიდან, რომელსაც ყველა დიდ პატივს სცემდა ღვთისმოსაობისა და სათნოების გამო. ყოველთვის, როდესაც მას ეკითხებოდნენ, როგორ მიაღწია ასეთ სიწმინდეს, უპასუხებდა ხოლმე:

– მე ვიცი, რა დევს ყურანში.

ერთხელ ყავახანაში ის იყო, იგივე გაიმეორა, რომ ვიღაც ვიგინდარამ ჰკითხა:

– გვითხარი ერთი, მაინც რა იცი? რა დევს მასში?

– ყურანში, – თქვა დერვიშმა, – ორი გამხმარი ყვავილი და ჩემი მეგობარი აბდულას გამოგზავნილი წერილი დევს.

რას ნიშნავს ასეთი მოულოდნელი პასუხი? ცხადია, დერვიში არ დასცინის მსმენელებს. ის ამბობს, რომ ყველაფერი, რაც ყურანში წერია, აზრს მხოლოდ მაშინ იძენს, როცა სამყაროსა და ადამიანის სიყვარულით იმსჭვალება. ნამდვილი რწმენა კაცსაც და მის ცხოვრებასაც უკეთესს უნდა ხდიდეს. „ორი გამხმარი ყვავილი“ ბუნებაში განფენილი ჭეშმარიტების მშვენიერებას განასახიერებს, „აბდულას წერილი“ კი იმას, რაც ადამიანთა ურთიერთობას, მოყვასის სიყვარულს წუთისოფლური სიცოცხლის ქვაკუთხედად აქცევს. რაც უნდა ეწეროს ყურანში, საბოლოო ანგარიშით, იქამდე „დაიყვანება“, რომ ორი გამხმარი ყვავილი და აბდულა თუ არ გახსოვს და გიყვარს მუდამ, შენი რწმენა და ცოდნა შენივე ქცევისა და უმთავრესი განწყობებისაგან მოწყვეტილი იქნება. ავთანდილის პირით რუსთველიც ამას ამბობდა: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“ (იმის შესაბამისად თუ არ ვიცხოვრე, რაც წამიკითხავს და მისწავლია, რას მარგებს მაშინ ეს ცოდნა?!).

მხოლოდ სიყვარული სძენს რწმენასაც და ცოდნასაც მათ ნამდვილ მნიშვნელობას. მხოლოდ ის ბადებს სიკეთეს და მის გარეშე ყველაფერი არარაობაა. რა პატარა იგავია და რა ბევრისმთქმელი.

მაინც რა ეწერა, ნეტავ, აბდულას წერილში?

რას გვეუბნებიან ნამსხვრევები?

ჩინელებისგან კაცობრიობას ბევრი რამ უსწავლია – მათ შორის უკანასკნელ ადგილას არ დგას ადამიანის სწრაფვა, დაეუფლოს ჰარმონიას საკუთარ თავში. სიტყვა „დაეუფლოს" შემთხვევით არ დამიწერია. შემეძლო დამეწერა: „მოძებნოს", „იპოვოს", „აღმოაჩინოს" ან თუნდაც – „შეიგრძნოს". მაგრამ მაინც ის სიტყვა ვარჩიე, რომელიც გამოვიყენე. „დაეუფლოს" ბევრ რამეს გამოხატავს. მაგალითად იმას, რომ ამგვარი ჰარმონია თავისთავად არსებობს ადამიანში, მაგრამ მან ის „უცხოდან" ახლობლად უნდა აქციოს ნებისყოფით, ფიქრითა და ქცევით. მეორე მხრივ, ეს სიტყვა მიგვანიშნებს, რომ ამ ჰარმონიასთან დამოყვრება ერთჯერადი აქტი კი არა, პროცესია და ადამიანისგან შესაბამის აქტივობას, „მუშაობას" მოითხოვს. მესამედ კი ის უნდა ვახსენოთ, რომ ამ „დაუფლებისას" პაუზა არ არსებობს – გზიდან მცირედი გადახვევაც კი ჰარმონიის დაკარგვის ტოლფასია. ამგვარ მსჯელობას ფიქრის მკაფიოობასა და სინათლეს სძენს ერთი ჩინური იგავი („გახსოვდეს ნამსხვრევები"):

ერთხელ ხინგ ში ესაუბრებოდა იანგ ლის ადამიანის უმთავრეს უნარზე – გულში ჩაიცხროს მრისხანება და არ მისცეს მას გარეთ გამოსვლის ნება. იანგ ლიმ ყურადღებით მოუსმინა მასწავლებელს და შეწუხებულმა აღიარა, რომ ჯერ არ შესწევდა მტრის პატიების უნარი. თუმცა კი გულწრფელად ილტვოდა ამისკენ.

– მე მყავს მტერი, – დაიჩივლა მოწაფემ, – და სურვილი მაქვს ვაპატიო, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ მომიხერხებია მრისხანების გულიდან განდევნა.

– დაგეხმარები, – უთხრა ხინგ შიმ და თაროდან თიხის გაბზარული ჩაიდანი ჩამოიღო.

– აიღე ეს ჩაიდანი და ისე მოექეცი, როგორც შენ მტერს მოეპყრობოდი. იანგ ლიმ აიღო ჩაიდანი და უნდობლად შეათვალიერა – ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა. მაშინ ბრძენმა უთხრა:

– ეს ძველი ჩაიდანი მხოლოდ უსულო ნივთია და არა ადამიანი. ნუ გეშინია – ისე მოექეცი, როგორც გინდა, რომ შენ მტერს მოექცე. მაშინ იანგ ლიმ ჩაიდანი თავს ზემოთ აწია მთელი ძალით დაანარცხა იატაკზე. ჩაიდანი პატარ-პატარა ნამსხვრევებად იქცა. ხინგ შიმ დახედა ჭურჭლის ნამსხვრევებით მოფენილ იატაკს და მოწაფეს უთხრა:

– ხედავ, რა მოხდა? ჩაიდნისგან ვერ გათავისუფლდი. ის მხოლოდ უამრავ ნამსხვრევად აქციე, რომლებითაც შენ ან შენმა ახლობლებმა შეიძლება ფეხი გაიჭრათ. ამიტომ ყოველთვის, როდესაც ვერ შეძლებ გულიდან მრისხანების განდევნას, გაიხსენე ეს ნამსხვრევები. ცოტა ხანში კი დასძინა:

– უფრო კარგი კი ის იქნება, არ დაუშვა ბზარის გაჩენა იქ, სადაც ის არ უნდა არსებობდეს.

მრისხანება ჰარმონიიდან გაქცევაა. თუ მტრობას მტრობითვე უპასუხებ, მხოლოდ გაამრავლებ იმას, რაც გაღიზიანებს. თვითონ მტრობის იდეას „გატეხავ“ და ნამსხვრევებად აქცევ, რომელთაგან თითოეული „სრული“ მტერია და არა „ნაწილობრივი“. საპასუხო ძალადობა ერთსახოვან მტერს მრავალსახოვნად აქცევს, რომელიც უამრავი გამოვლინებით მთელ შენს ფიქრსა და არსებას უცილობლად დაეპატრონება – დაეუფლება (აი, ისევ ის სიტყვა, ოღონდ საწინააღმდეგო კონტექსტში). ვინც ცხოვრების აზრს ეძებს, ალბათ ამ მიმართულებით უნდა გაიხედოს და იმოძრაოს. საუკუნეთა სიღრმიდან ამას გვეუბნებიან ჩინელები და ამასვე გვასწავლის ქრისტიანობა – „გიყვარდეს მტერი შენი“ პრინციპულად იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ სიყვარული არ აძლევს საშუალებას მტერს „გამრავალსახოვნდეს“, გაძლიერდეს და სრულად გაიმარჯვოს შენზე. გიყვარდეს – არა უბრალოდ „სასარგებლოა“, არამედ არსებობის ერთადერთი პრინციპია, რადგან მხოლოდ სიყვარული ინარჩუნებს „მთელ ნივთს“ და არ აძლევს მას ბოროტ უფლებას – იქცეს ნამსხვრევებად. მთავარი გაკვეთილი კი ის არის, რომ თუ ღმერთმა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად შექმნა, ადამიანმაც უნდა გაიმეოროს ეს ქმნადობა – შექმნას საკუთარი თავი. უფალი მხოლოდ შესაძლებლობასა და თავისუფალ ნებას გვაძლევს, ამ შესაძლებლობის განხორციელება კი ჩვენი საქმეა. ... და არასდროს უნდა დავივიწყოთ ამ იგავის ბოლო წინადადება – პირველი ბზარი უკვე ნიშნავს იმას, რომ რაღაც დაიმსხვრევა.

რწმენა სხვის დასანახად

ჩვენი მსჯელობისთვის ერთი ძველინდური იგავი უნდა მოვიყვანოთ, რომელსაც „ლოცვის სიღრმე“ ჰქვია. იგავი ასეთია:

ერთი პენჯაბელი გოგონა მინდორში მიდიოდა. სწორედ ამ დროს იქ ვიღაც კაცი ლოცულობდა.რელიგიის კანონით, არავის ჰქონდა უფლება, ამ დროს მის გვერდით ჩაევლო. როცა სოფლელი გოგონა უკან ბრუნდებოდა, მორწმუნემ შერისხა:

– რა ცუდად მოიქეცი, ეს ხომ ცოდვაა – გვერდზე ჩამიარე მაშინ, როცა გულმხურვალედ ვლოცულობდი!

გოგონა გაჩერდა, მორწმუნეს ჯიქურ შეხედა და ჰკითხა:

– რა გაქვთ მხედველობაში, როცა ამტკიცებთ, რომ გულმხურვალედ ლოცულობდით?

– რა, არ იცი, ეს რას ნიშნავს? – შეჰყვირა გაოცებულმა მორწმუნემ, – ილოცო, ეს ნიშნავს მხოლოდ ღმერთზე ფიქრობდე და სხვას ვერაფერს ამჩნევდე.

გოგონამ უპასუხა:

– მაშ, როგორ შემამჩნიეთ, თუ მხოლოდ ღმერთზე ფიქრობდით? როცა ჩაგიარეთ, ჩემს შეყვარებულზე ვფიქრობდი და თქვენ ვერც კი დაგინახეთ...

ერთი შეხედვით, ამ იგავის აზრი, მოკლედ რომ ვთქვათ, ის არის, რომ სული მეტია ნებისმიერ წესსა და რიგზე. სული ღვთისაა, წესი კი – ადამიანის და თითქმის ყოველთვის ფორმალური ხასიათი აქვს. თუმცა, უფრო

ღრმად თუ ჩავხედავთ, შეიძლება სხვა მნიშვნელოვანი აზრიც ამოვიკითხოთ. როგორია ეს აზრი?

წესები, მათ შორის – რელიგიურიც, ზოგჯერ ფარისეველთა თავშესაფარია. წესი კლავს ინდივიდუალობას და „თქვეფს“ ყველაში. წმინდა გულის ადამიანი წესთა აღსრულებისასაც სუფთა და პატიოსანია – ის ისე „გამოდის“ საკუთარი თავიდან, რომ არ კარგავს მას. ამ შემთხვევაში განმაზოგადებელი ქცევა არ შეურაცხყოფს და აკნინებს პიროვნებას. ამის საწინააღმდეგოდ, ბოროტი კაცი წესს კი არ აღასრულებს, არამედ სათავისოდ იყენებს, რითაც წესსაც შეურაცხყოფს და საკუთარ თავსაც.

არის ნამდვილი მორწმუნე და არის სხვის დასანახად მორწმუნეც. სახელი ორივეს ერთნაირი აქვს, თუმც, მათი **„შინა-არსი“** არსებითად განსხვავებულია. ორივე სიყვარულზე ლაპარაკობს, მაგრამ პირველი ცხოვრობს ამ სიყვარულით, მეორე კი... თავს აცხოვრებინებს. პირველ შემთხვევაში კაცია სიყვარულისთვის, მეორეში კი – სიყვარული კაცისთვის. კაცისგან სიყვარულის მსახურება მადლია და დიდად განსხვავდება იმგვარი „სურათისგან", როდესაც სიყვარული „ემსახურება“ კაცს.

ზოგჯერ ორიგინალური არსება და მისი სუროგატი ძნელი გასარჩევია, მაგრამ, საბოლოოდ, ყველაფერი თავის ადგილას დგება – ის, რაც ბუნებრივი და ნამდვილია, ადრე თუ გვიან, თითქმის ყოველთვის იმარჯვებს და სრული სისავსით უკავშირდება და გამოხატავს სიტყვა „ღირსებას". თუ ხანდახან ასე არ არის, ეს მხოლოდ წუთისოფლის ადვილად შესამჩნევი ნაკლია.

მორწმუნე (არ იყო ის კარგი მლოცველი) ღმერთზე ფიქრობდა და გოგონა დაინახა, გოგონა თავის შეყვარებულზე ფიქრობდა და მორწმუნე ვერ შეამჩნია. ცხადია, თუ ვინ იყო სრულად გამსჭვალული თავისი საფიქრალითა და სიყვარულით. გულის სისავსე, „გულმხურვალება“ თვითკმარი რამ არის და სხვათა აღიარებას ან ზედმეტ ყურადღებას არ საჭიროებს.

ეს არის ინდოელი გოგონას გაკვეთილი.

სხვა საქმეა, რა უპასუხა მას მორწმუნემ ან როგორ ვისწავლით ამ გაკვეთილს ჩვენ.

რაზე წერდნენ ჩვენი წინაპრები და როგორ ამზადებდნენ საწერ მასალებს


ყოველთვის საგანგებო ყურადღებას იმსახურებდა იმის კვლევა, თუ როგორ დაიწყო კაცობრიობამ წერა-კითხვა და რას იყენებდა ინფორმაციის გადმოსაცემად.

ამ საკითხს უკავშირდება ანბანური დამწერლობის შემოღების, საწერი მასალისა და ადამიანის ნაფიქრის გამოხატვის სხვადასხვა საშუალების გამოგონების, ხელ ნაწერთა შექმნის, მათი შემკობისა და გაფორმების ისტორია და, აგრეთვე, ჩვენი წინაპრების როლი კაცობრიობის კულტურული განვითარების ამ პროცესში. აღნიშნული მიმართებით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შემორჩენილ ხელნაწერებს, ისტორიოგრაფიულ თუ დოკუმენტურ და სხვადასხვა ხასიათის არქეოლოგიურ მონაცემებს.

ქაღალდის მსგავსი საწერი მასალის – პაპირუსის შექმნამდე ადამიანები არაერთგვაროვან ნივთებს ხმარობდნენ, კერძოდ: ქვის, თიხის, მარმარილოს თუ თიხის ფილებს; ანტიკურ ეპოქაში ოქროს, ვერცხლისა და ტყვიის ფირფიტებითაც უსარგებლიათ; იყენებდნენ ხის დაფებსა და სპილოს ძვალსაც. მათზე სხვადასხვა ქვეყნის მმართველები და "ძლიერნი ამა ქვეყნისა" აღწერდნენ თავიანთ დიად საქმეებს, რადგან სწამდათ, რომ ამით საკუთარ სახელს უკვდავყოფდნენ.

საქართველოში შემონახული წარწერებიდან ერთ-ერთი უძველესია ქვის ფილაზე ბერძნული და არამეული ასოებით შესრულებული, II საუკუნით დათარიღებული, არმაზის ბილინგვა. გავიხსენოთ ტექსტის შემოკლებული ვერსია: "მე ვარ სერაფიტა, ასული ზევახისა, მცირისა პიტიახშისა ფარსმან მეფისა, მეუღლე იოდმანგანისა... ვაება ვაებისა, ის ვინც იყო ახალგაზრდა და იმდენად კეთილი და მშვენიერი იყო, რომ არავინ იყო (მისი) მსგავსი სილამაზით და გარდაიცვალა 21 წლისა".

რაც შეეხება პაპირუსს, ქართულად ჭილს, მისი გამოგონება ეგვიპტელთა სახელს უკავშირდება. სიტყვა "პაპირუსი" წარმომდგარია ეგვიპტური pa-pu-ro-დან და "სამეფოს" ნიშნავს. პაპირუსი ისლისებრ მცენარეთა ოჯახს განეკუთვნება და მრავლად იზრდება მდ. ნილოსის დელტაში. მისგან ამზადებენ ნავებს, კალათებს, თოკებს, ჭურჭელს, ავეჯს, სამოსს, ფეხსაცმელს, ჭილოფებს, დეკორატიულ მცენარედ აშენებენ ბაღებში, პარკებსა და ორანჟერეებში, ხმარობენ საკვებადაც; პაპირუსის გულს სანათურების პატრუქად იყენებდნენ, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მისმა საწერ მასალად ხმარებამ განსაზღვრა.




პაპირუსს ანუ ჭილს შემდეგნაირად ამზადებდნენ: მის თხელ, ფართო ზოლებს ერთიმეორის მიყოლებით ალაგებდნენ, შემდგომ ზემოდან მეორე, ზოგჯერ მესამე ფენასაც აწყობდნენ, ასხურებდნენ ბლომად ნილოსის წყალს, ბეგვავდ-

ნენ ხის ჩაქუჩებით, აშრობდნენ, გვერდებს ჩამოაჭრიდნენ და აპრიალებდნენ ნიჟარით ან სპილოს ძვლით. რომაელი ავტორის, პლინიუს უფროსის (23/24-79წ.წ.) თანახმად, პაპირუსს ოთხი თვისება უნდა ჰქონოდა: ყოფილიყო თხელი, მკვრივი, პრიალა და გლუვი; მაგრამ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაკლიც ჰქონდა – გადაკეცვისას ტყდებოდა, თან მხოლოდ ცალ მხარეს შეიძლებოდა წერა; ამიტომ მას გრაგნილად ახვევდნენ, რაკი რვეულად ვერ ლაგდებოდა; ზოგიერთი პაპირუსის გრაგნილი წიგნი ორმოც მეტრამდეა და მისი გამოყენება მოუხერხებელი იყო.

რამდენად ფართოდ იყენებდნენ ჭილს საქართველოში, დაუდგენელია. ჩვენამდე მხოლოდ ორმა ხელნაწერმა მოაღწია – ორივე პალესტინური წარმოშობისაა და სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში ინახებოდა; ერთია ჭილ-ეტრატის იადგარი, დათარიღებული IX-X საუკუნეებით და მეორე – IXს.-ში გადაწერილი ფსალმუნის ორი ფურცელი.

პაპირუსი შეავიწროვა და ხმარებიდან თანდათანობით განდევნა პერგამენტმა, თუმცა ის ეგვიპტესა და ახლო აღმოსავლეთში ძველთაგანვე გამოიყენებოდა. ტერმინი "პერგამენტი" სემანტიკურად მცირე აზიაში ბერძნების მიერ დაარსებულ ქალაქ პერგამოსს უკავშირდება.



პერგამენტი, ქართულად ეტრატი, სხვადასხვა ცხოველის ტყავისგან მზადდებოდა, კერძოდ: თხის, ცხვრის, ხბოს, იშვიათად – ანტილოპას ტყავისაგან; ერთ-ერთი ცნობით, ძველად საწერ მასალად "დრაკონის" (იგულისხმება პითონი) ტყავიც კი გამოუყენებიათ, რომელზეც ოქროს ასოებით ყოფილა დაწერილი ჰომეროსის "ილიადა" და "ოდისეა". განსაკუთრებულად ითვლებოდა ახალშობილი ბატკნისა და ციკნის ტყავები.

ერთ-ერთ ხელნაწერში შემონახულია პერგამენტის დამზადების წესი: ტყავს რეცხავდნენ, გამოჰყავდათ ნაცარტუტში, უმატებდნენ ნახშირმჟავა კალიუმს, ასუფთავებდნენ ბეწვისა და მიმხმარი ხორცისაგან, შემდეგ მეორედ რეცხავდნენ, გასაშრობად ჩარჩოზე ჭიმავდნენ, გლისავდნენ ცარცით, რომელიც ცხიმს იწოვდა და ხეხავდნენ მიწაქაფათი, რათა გლუვი გამხდარიყო.

პაპირუსთან შედარებით პერგამენტი უფრო მკვიდრი და გამძლეა, დრეკადი, არ ტყდება და მეორე მხარეზეც შეიძლება წერა, მაგრამ გაცილებით ძვირი ჯდებოდა მისი დამზადება; ზოგიერთი ხელნაწერის ფასად ქალაქში საცხოვრებელი ბინის შეძენა შეიძლებოდა.

პერგამენტის წიგნებს მარტო შემეცნებითი დანიშნულება არ ჰქონდა, ისინი, ამავდროულად, ხელოვნების ნიმუშები იყო: ხის დაფებისაგან გაკეთებულ ყდაზე ტყავი იჭიმებოდა და ერთმანეთთან ტყავისავე თასმებით ან რკი-

ნის მავთულებით იყო დაკავშირებული; ყდა არცთუ იშვიათად ვერცხლის ან ოქროს ჭედურობითა და ძვირფასი ქვებით იყო შემკული; ტექსტებს შორის არაერთი მაღალმხატვრული შინაარსობრივი მინიატურაც იყო ხოლმე ჩართული; ამგვარი ხელოვნების ნიმუშებია ქართველი ოქრომქანდაკებლების, ბეშქენ და ბექა ოპიზრების (XIIს.) მიერ შესრულებული ბერთისა და წყაროსთავის სახარებათა ვერცხლის ყდების მოჭედილობანი.

ისევე როგორც პაპირუსი განდევნა ხმარებიდან პერგამენტმა, ამ უკანასკნელის გამოყენება მოგვიანებით ათასწლეულების წინ ჩინეთში გამოგონილმა ქაღალდმა შეავიწროვა; VIII ს.-ში მისი დამზადების ტექნოლოგია ქ. სამარყანდში არაბებმა ისწავლეს; უძველესი არაბული ქაღალდის წიგნი 866 წლით თარიღდება.



ქაღალდის დამზადების წესი ასეთი იყო: ხის მერქნიდან მიღებულ მასას მავთულის ბადეზე დებდნენ და აბრტყელებდნენ, ამიტომ ფურცლებს სინათლეზე დასანახავი გადამკვეთი ზოლები ატყვია – შვეული და თარაზული. მერქნის მასისთვის წებოდ აღმოსავლეთში კრახმალს იყენებდნენ, დასავლეთში – ცხოველთა რქებისა და ჩლიქებისაგან დამზადებულ ჟელატინს.

IX ს.-დან ქაღალდი ბიზანტიაშიც შემოდის, საიდანაც საქართველოშიც უნდა გავრცელებულიყო. აქვე შეიძლება დაგვესვა ასეთი კითხვა: რა მასალაზე დაიწერა შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანი"? რატომ არ გვაქვს შემონახული დიდი პოეტის ხელნაწერი, პოემისა, რომელზეც, დღიდან მისი შექმნისა, მრავალი თაობა იზრდებოდა? იქნებ ქაღალდზე დაიწერა ის და, სამწუხაროდ, დროთა ქარტეხილებს ვერ გაუძლო?! ვფიქრობთ, საქართველოს ე.წ. ,,ოქროს ხანის" ეპოქაში ძნელი არ უნდა ყოფილიყო ქაღალდის დამზადება თუ არა, მისი მეზობელი ბიზანტიიდან შემოტანა, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეტრატის ერთი ხელნაწერის შექმნა სერიოზულ ხარჯებთან იყო დაკავშირებული; ამ მხრივ ქაღალდის მიღება გაცილებით იაფი და იოლი იყო. თავისთავად იგულისხმება, რომ თუკი ,,ვეფხისტყაოსანი" ქაღალდზე დაიწერა, სხვა მიზეზებთან ერთად, ამის გამო უფრო ვერ გაუძლებდა დროს, ვიდრე პერგამენტზე გადატანილი ტექსტი.

წერისას სხვადასხვა ხელსაწყო გამოიყენებოდა. ტყავის დიდი თხელი ფირფიტა დასახაზავად, სვეტებისა და სტრიქონების სწორად ჩასაწერად იხმარებოდა. ხაზავდნენ გრიფელით, თიხიანი ფიქალის რბილი ჩხირით; დისტანციის გასაზომად იყენებდნენ ფარგალს; წერდნენ ორმხრივ წამახვილებული კალმით; იხმარებოდა ფრინველის ფრთაც, რომელიც ასე მზადდებოდა: ბატის, გედის ან ფარშავანგის ფრთას დებდნენ ქვიშაში და ნაცარში, აშორებდნენ ზედმეტ აპკებს, ასუფთავებდნენ ქონისაგან, დაბოლოს, წვერს უმახვილებდნენ. არაბებმა პირველი ე.წ. მუდმივი კალამიც კი გამოიგონეს, მელნის შიდა რეზერვუარით.

მელნის დამზადების რამდენიმე წესი არსებობდა. იგი კეთდებოდა მურის, ალუბლის ნებოსა და დამწვარი ძვლის, მათ შორის, სპილოს ძვლის ნაზავისაგან; ურევდნენ სხვადასხვა ნაყოფის კურკის, რბილი მერქნის სახეობების ფხვნილს, ზოგჯერ კი მელანთევზას მელნისებურ სითხეს. არაბეთში ჭვარტლს, დამწვარ მცენარეულ ზეთსა და ნავთს გლისავდნენ ერთმანეთში; სამელნეები კეთდებოდა ქვისგან, ცხოველის რქისგან ან ლითონისგან, მათ შორის, ვერცხლისგანაც. ბევრი მათგანი დღემდეა შემორჩენილი ჩამხმარი მელნით (IXს.).

ასე ქმნიდნენ წარსულში ჩვენი წინაპრები საწერ საშუალებებს, წერდნენ ტექსტებს, თარგმნიდნენ ნაწარმოებებს, აფორმებდნენ ხელნაწერებს, გადასცემდნენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას თაობიდან თაობებს.



ბეშქენ ოპიზარი (XII ს.).
ბერთის სახარების ვერცხლის ყდის მოჭედილობა.

სარჩევი

მესამე გამოცემის წინათქმა 3
შესავალი (გია მურღულია) 4
იაკობ ხუცესი
„წმ. შუშანიკის წამება“ (გიორგი ალიბეგაშვილი) 38
იოანე საბანისძე
„წმ. აბოს წამება“ (გია მურღულია) 64
გიორგი მერჩულე
„წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (ვასილ მაღლაფერიძე)..... 91
შოთა რუსთველი
„ვეფხისტყაოსანი“ (გია მურღულია) 136
სულხან-საბა ორბელიანი
„სიბრძნე სიცრუისა“ (გიორგი ალიბეგაშვილი)..... 213
დავით გურამიშვილი
„დავითიანი“ (გია მურღულია)..... 247
რაზე წერდნენ ჩვენი წინაპრები და როგორ
ამზადებდნენ საწერ მასალებს (გიორგი ალიბეგაშვილი)..... 311

ჩანართი 1, 3, 5-9 (გია მურღულია)
ჩანართი 2 (გიორგი ალიბეგაშვილი)